

Handwritten signature or mark in the top right corner.

מכון תולדות ארץ ישראל  
מכון תולדות ארץ ישראל

# האינדיאני

10

1977



ლენინ, ოქტომბრის ბეჯადო,  
შენ არა ხარ ჩვენთვის მკუდარი!  
ძთელ მსოფლიოს გადაღვიძებს  
შენგან შემოკრული ზარი!



საქართველო  
წიგნწერის  
კავშირები

# სიხე

245

გამომცემის მხრით წელი



10

ოქტომბერი

1977

თბილისი

ნაგ. კვ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საბარძეველს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## სწორება კომუნისტაზუი

- 3. ღავით მანისუბამ — ხალხის კოლექტიური ბე-  
ლაღი
- 105. ილია რაფაელისვილი — რეგულაციონების  
თავდადობა

## პროზა, პოეზია

- 10. ტაგუ მუხარისვილი — საბოთა სოციალისტ-  
ური რესპუბლიკების ძაფშირი. ლექსი
- 11. შუამ ჯიქია — მუბათა-მუბა ნათელ ვიქსის.  
ლექსი
- 12. პრემოლ ჩიქოვანი — უკანასკნელი მთავარი.  
მოთბრობა
- 38. თთარ მელიქა — ლექსები
- 41. ნუგუარ შატაქა — მოთხრობები
- 48. არჩილ სულაკაური — ლექსები
- 51. ილია არსია — რეგულაციის ჯარისკაცს.  
ლექსი
- 52. დილარ ივარდავა — ლექსები
- 54. ჯამალ დავლიანი — წონასწორება. რომანი.  
გაგრძელება
- 76. შინდია არაბული — ლექსები
- 79. ზურაბ მართლელი — მუხისამენ... ლექსი
- 80. ვახტანგ მელიქა — ქართლის ცხოვრების ქრონი-  
კები. მესამე წიგნის პირველი ნაწილის დასასრული

## ოქტომბრის რეგულაციის 60 წლისთავი

- 110. მელაი შავლიანისვილი — ზუა სინათლისა. ნარკ-  
ვევი
- 118. ზაურ შიქია — ცა, ზღვა და ხმელეთი. ნარკვევი

## წერილები

- 125. კარლო გოგახა — ცხოვრების წიგნის პროზაული  
თანამედროვე იდეოლოგიური ბროლოკი
- 132. თანგი ჩხაქია — მუხარის წმინდა სიტყვა
- 143. ნანა ალანია — დიქტორი უზნაქის დაკვირვებანი  
ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე
- 146. ლადო მინაშვილი — წიგნი ვაჟა-ფშაველას შე-  
მოქმედებით ისტორიაზე

## მეცნიერება

- 151. ნოდარ ყიფშია, გურამ კახანაქა — სტრესი, ბი-  
ორიტმი და საუკუნის დაბადება

## იუმორი

- 156. ვლადიმერ ოსინსკი — და შეიპარა რბადი... თარგ-  
მნა გ. დვარაძემ.

## მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

### სარედაქციო კოლეგია:

- ვახუა ამირეჯიბი,
- ვალერიან ბაქრაქა,
- გურამ გვერდუთელი,
- გივი გეგეჭორი,
- რისეაზ გორდუნიანი,
- გიორგი გუგული,
- ნოდარ დუმბაქა,
- მერაბ ელიოვიშვილი,
- ელდარ მენაბდე,
- ოტია კახკორია,
- (მთ. რედაქტორის  
შოადგილი)
- ნუგუარ წმინთელი,
- ტარიელ ვანტურია,
- რეზო შიშვილი.



## ხალხის პოლიტიკური ბელადი

(პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლება განვითარებაში სოციალიზმის პირობებში)

კაცობრიობის ისტორიაში არც ერთს სხვა პოლიტიკურ პარტიას არ მოუხდენია ისეთი გავლენა მსოფლიოს ისტორიული განვითარების სვე-ბედზე, როგორც მოახდინა კომუნისტურმა პარტიამ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლთან განუყრელად არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის უდიდესი მოვლენები XX საუკუნეში: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რაც მოასწავებდა ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში; დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობა და სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება; იმპერიალისტური რეაქციის დასაყრდენის — გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება, ფაშისტური მონობისა და დამონების საფრთხისაგან ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლება.

მრავალმხრივია კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი საქმიანობა. თავისი არსებობის მანძილზე მან შეიძინა მუშათა კლასის, მშრომელი მასების რევოლუციურ-გარდამქმნელი მოღვაწეობის წარმართვის უდიდესი გამოცდილება, შემდგომ განავითარა და გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, გამოიმუშავა პარტიული მუშაობისა და მასების ხელმძღვანელობის სრულყოფილი ორგანიზაციული ფორმები.

კომუნისტურმა პარტიამ, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელი ხალხისა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოღვაწეობა წარმართა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ გარდაქმნა-

თა განსახორციელებლად. მან განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო, განავითარა სოციალისტური დემოკრატია, გააძლიერა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, უზრუნველყო ეროვნული საკითხის გადაჭრა მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოში, შექმნა სოციალისტური ერების თანამეგობრობა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების, საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების შედეგად მუშათა კლასის კომუნისტური პარტია გადაიქცა საბჭოთა ხალხის ავანგარდად, ვახდა მთელი ხალხის პარტია, გააფართოვა თავისი წარმმართველი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. იგი ფხიზლად აკვირდება მომავალს. უსახავს ხალხს წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს, უღვიძებს მასებს გიგანტურ ენერჯიას, მიუძღვის მათ გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად.

საკვ XXV ყრილობამ მთელ მსოფლიოს დაინახა, რომ საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის განუზღვრელი ამაღლება, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიღწევები, ისტორიული გამარჯვებები, რომლებიც ჩვენსა და ქვეყანამ მოიპოვა მეცხრე სთწლეულში — ყველაფერი ეს წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და მორგანიზებელი ძალის — კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელი ბილი მუშაობის შედეგს.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა შედეგად დიდად ამაღლდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი,

გაფართოვდა მისი გავლენა საზოგადოების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში.

კომუნისტური პარტიის როლის ზრდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში ვაჭარობებულა მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებით, რომლებსაც განეკუთვნება საზოგადოებრივი წარმოების უდიდესი მასშტაბი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანათა სირთულე, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებული მთელი რიგი პოლიტიკური გადაწყვეტის აუცილებლობა, მრავალმილიონიანი მასების აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებისა და წარმოების მართვაში. ყოველივე ეს მოთხოვს პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელშეწყობის უფრო მაღალ დონეს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი თანამედროვე რევოლუციური მოძრაობის, ახალი საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. იგი მარქსისტ-ლენინელებსა და რევოიონიზმის სხვადასხვა დროის წარმომადგენელთა შორის ბრძოლის საკენჭო პუნქტია.

ორი იდეოლოგიის ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს, მაგრამ თანამედროვე ანტიკომუნისტურ ძირითადი იერიში მოქმედებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპის წინააღმდეგ და ცდილობს ეჭვის ქვეშ დააყენოს ამ პრინციპის კანონზომიერი, საყოველთაო ხასიათი.

ბურჟუაზიული იდეოლოგები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ იმისათვის, რომ ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ დაუპირისპირონ მარქსიზმს. ნოვატორების პრეტენზიების საფარით თანამედროვე რევოიონისტები იყენებენ ბურჟუაზიული ისტორიკოსების ფალსიფიკატორულ თეზისს იმის შესახებ, რომ ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ თითქმის მწინააღმდეგება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს. იტალიური გამთიშველი ჯგუფის „მანიფესტო“ ვაითორეტისკენ, მავალითად, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ „მარქსიზმში ვერ ვხვდებით თეორიის პარტიის შესახებ“, რომ რევოლუციის მარქსისტულ თეორიაში „მისთვის არც აუცილებლობა და არც ადგილი“.

სინამდვილეში კ. მარქსი და ფ. ენგელსი არა მარტო აღნიშნავენ მეცნიერული კომუნიზმის დამოუკიდებელი პარტიის შექმნის ისტორიულ კანონზომიერებას, არამედ დიდი წილილი შეიტანეს მისი პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეურ-თეორიული პრინციპების გამომუშავებაში.

ანტიკომუნისტური იდეოლოგები მარქსისტული პოლიტიკური პარტიის განვითარების

ლენინური ეტაპის არსის დამახინჯებასთან ერთად გააფართოებთ იბრძვიან პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების წინააღმდეგ ისინი ავრცელებენ ბოროტ მორებს პარტიის ხელმძღვანელი როლის დაკემის, მუშათა კლასისაგან მისი მოწყვეტის შესახებ.

ანტიკომუნისტი ა. მეიერი, რომელიც თავის წიგნში „ლენინიზმი“ ცდილობს მოატყუოს მუშათა კლასი, ყბედობს იმის შესახებ, რომ თითქმის ვ. ი. ლენინი გადაქარბებულად აფახებდა იდეებისა და პარტიის როლს მუშათა მოძრაობაში და ჯერონად არ აფასებდა მუშათა კლასის მისიას.


ბურჟუაზიული სოციოლოგი ჯ. სებაინი წერს, რომ კომუნისტური პარტიები თითქმის არ გამოხატავენ მასების ინტერესებს და არ შეუძლიათ მათი ხელმძღვანელობა.

ფრანგი რევოიონისტი დ. დებრე, რომელიც თავის თავს „მემარცხენე მარქსისტად“ ასაღებს, ამბობს: „ავანგარდი პარტიის არსებობა არ წარმოადგენს შეიარაღებული ბრძოლის დაწყების აბსოლუტურ წინაპირობას... შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია, შეიძლება განხორციელდეს მუშათა კლასის ავანგარდის — მარქსისტულ-ლენინური პარტიის გარეშე“.

ანტიკომუნისტური ერთ-ერთი იდეოლოგი ჯონ კაუტსკი ცდილობს დაასაბუთოს ყალბი თეზისი იმის შესახებ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სეარათოდ ქრება პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობის აუცილებლობა. იგი აცხადებს: „საზოგადოების ეკონომიური განვითარების დაბალ საფეხურზე კომუნისტური პარტიის ძალა მინიმალურია. ეკონომიური განვითარების კვალობაზე ეს ძალა თანდათანობით ძლიერდება და მაღალ დონეს აღწევს, მაგრამ ეკონომიური განვითარების შემდგომი ზრდის პირობებში მკვეთრად ეცემა“. კაუტსკის კვერს უკრავენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გაქევებული რევოიონისტები, ისინი ლაყბობენ, რომ ლენინური დებულება პარტიის როლის შესახებ შეესაბამებოდა მხოლოდ რევოლუციამდე პერიოდს და ახლა იგი თითქმის მიუღებელია ევროპის სოციალისტური ქვეყნებისათვის.

უპარტიობის ბურჟუაზიული ლოზუნგები ანტიკომუნისტური სტრატეგებს ესაჭიროებათ იმისათვის, რომ დაშალონ კომუნისტური მოძრაობა, გამოაცალონ მს რევოლუციური სული, ძირი გამოუთხარონ კომუნისტური პარტიების გავლენას, განაიარაღონ მშრომელი მასები ბრძოლაში, რომელსაც ისინი ეწვეიან სოციალიზმისა და კომუნისტური გამარჯვებისათვის.

მაგრამ ამოთა იმპერიალიზმის იდეოლოგი-



ური ზღვნიტორნი თანებო. კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. იგი განუხრელად მიდის წინ, ირანშემბა და იჭრთობა.

ისტორიულმა გამოცდილებამ ნათლად დაადასტურა კომუნისტური მშრომელთა ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის კანონზომიერება, პარტია, რომელმაც მუშათა მოძრაობა შეუერთა სოციალისმს, სათავეში ჩაუდგა ისტორიაში პირველ ძლიერამოსილ სოციალისტურ რევოლუციას და უზრუნველყო სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების იშენება. ახლა წარმატებით ანხორციელებს კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გეგმებს. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება მსოფლიო სოციალისტური სისტემის მასშტაბით აგრეთვე იმის მაჩვენებელია, რომ იგი შეიძლება გამარჯვებით დაგვიარგვიდეს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

განვითარებული სოციალისტების პირობებში, როცა კომუნისტური პარტია მთელი ხალხის პარტია გახდა, იგი სრულიადაც არ კარგავს კლასობრივ ხასიათს. თავისი ბუნებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო და გვლავაც არის პარტია მუშათა კლასისა, რომელიც საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი ძალაა. კომუნისტების იდეალების პრინციპებზე მუშათა კლასის ვარშემო ერთიანდებიან ყველა მშრომელები. ეს მკაფიოდ დამატეცა ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკაში, საზოგადოებასა, რომელიც შექმნილია ხალხის სოციალურ-პოლიტიკური, იდეური და მორალური ერთიანობა.

პარტიის ხელმძღვანელობა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგს — ეკონომიკას, სოციალურ ბრძოლებებს, პოლიტიკას, კულტურას, იდეოლოგიას, საერთაშორისო ურთიერთობას. ამის შესაბამისად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდის ფაქტორები იყოფა ორ ნაწილად — საგარეოდ და საშინაოდ.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სრულად იყენებს მომწიფებულ სოციალისტების მკაფიოთის ძალას, თანამედვერტულად ახორციელებს მშვიდობიანი თანარსებობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის ლენინურ პოლიტიკას, გადაჭრით, შეუპოვრად იბრძვის ანტიკომუნისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელებში კომუნისტური მსოფლმხედველობის დანერგვას, სწორ ორიენტირებას ცვალებად საერთაშორისო ვი-

თარებაში, უნაწმ მტკიცედ განაზორციელო კლასობრივი ხაზი სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის. კლასობრივი ბრძოლის ფორმის გამწვავება საერთაშორისო ასპარეზზე განსაზღვრავს მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის განსაკუთრებულ როლს. ძლიერდება მნიშვნელობა კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმისა, როგორიც არის ორი მსოფლიო სისტემის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრება.

სკკ XXV ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ თავის მოღვაწეობაში პარტია მტკიცედ ხელმძღვანელობს კლასობრივი პრინციპით. მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებს რომ გამოხატავს, იგი განუხრელად არის დაკავშირებული მასებთან, ეარდნობა მათ, გამუდმებით ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ამღლება თავისთავად ცხადია, გამოიხატება მის მიერ ინტერნაციონალური ამოცანის შესრულებაში, რაც პირველყოფლისა გულისხმობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებას, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომ შეკავშირებას, ყველა ანტიიმპერიალისტური ძალის გაერთიანებას.

სკკ XXV ყრილობამ დასახა პარტიული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის ფორმები და მეთოდები: პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი მოწოდებული არიან სრულყოფილ ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელობა, თანამედვერტულად დაიცვან პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, გააუმჯობესონ თავიანთი რიგების თვისობრივი შემადგენლობა, გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გააფართოონ და განამტკიცონ მასებთან კავშირი.

ჩვენი პარტიის მთავარი პოლიტიკაა ეკონომიკა, რომლის წარმატება არსებითად წყვეტს საზოგადოების წინსვლას კომუნისტურ საკენ და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოზიციებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ტრევიზონისტური ერთმანეთს აშორებენ ეკონომიურ და სოციალურ ამოცანებს. „მემარცხენეები“, რომლებიც უგულვებლყოფენ ობიექტურ კანონზომიერებებს, ამტკიცებენ, რომ ყველაფერს წყვეტს ეკონომიურ ურთიერთობაში იძულებითი ჩარევა და დაგროვებული სიმდიდრის განაწილება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მაოისტური იდეოლოგია და პოლიტიკა. მაოის-

**დავით მახარაძე**  
ხალხის პოლიტიკური ბილადი

ტებს, რომლებმაც დიდი ხანია უღალატეს მარქსიზმ-ლენინიზმს და მთელი მსოფლიოს ყველაზე უკიდურეს რეაქციონერთა მოკავშირენი გახდნენ, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა მიაჩნიათ „შევ ეკონომიზმად“ და „ბურჟუაზიულ გადაგვარებად“. ისინი უარყოფენ თავისი შრომის შედეგებით მშრომელთა მატერიალური დაინტერესების პრინციპს და „პროლეტარული რევოლუციის ზურგში მიმართულ ხანჯალს“ უწოდებენ მას. შრომის მიხედვით განაწილების, ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა დაჯამყოფილებისათვის საწარმოო ძალების ყოველმხრივ განვითარების აუცილებლობის სოციალისტური პრინციპის საწინააღმდეგოდ მაოისტები მოითხოვენ წვრილბურჟუაზიულ გათანაბრებას, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს ეკონომიკის განვითარებას, ადამიანის აღზრდას. კომუნისმის დიადი სოციალური იდეალები შეცვლილია სამხედრო-ბიუროკრატიული, უზარბუღი „კომუნისმის“ თეორიითა და პრაქტიკით, ასკეტიზის ქადაგით, პიროვნების ინტერესების დათრგუნვით. მაოიზმის ეკონომიური პოლიტიკა გამოიხატება გეზით: მტკიცედ განხორციელდეს „რაციონალურად მცირე ხელფასის“ სისტემა. ეს გეზი განპირობებულია არა მარტო ჩინეთის ეკონომიკის სისუსტით: მაოისტები აიდეალებენ მშრომელთა სიღარიბეს, რომელიც მათ მიაჩნიათ რევოლუციური სულისკვეთების ერთადერთ წყაროდ. „საშინელებაა ვიფიქროთ, რომ დადგება დრო, როცა ყველა ადამიანი გამდიდრდება“ — ამბობს მაო ძე-დუნგი. ამით, არსებითად, უზარბუღი ცხადდება მშრომელთა ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნისმისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან იმისათვის, რომ უზრუნველყონ ყველასათვის შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

მემარჯვენე რევოლუციონისტების კონცეფცია გამოიხატება ეგრეთწოდებულ „საბაზრო სოციალიზმში“. მისი დედაზრია სოციალიზმის საფუძვლის — საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ძირის გამოთხზა, საყოველთაო-სახალხო საკუთრების შეცვლა ჭკუფური საკუთრებით. ამ კონცეფციას სრულებით არაფერი აქვს საერთო კაცობრიობის ეკონომიური და სოციალური პროგრესის მოთხოვნილებებთან, სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორულ საქმიანობის, ცენტრალიზებული დაგეგმვის წინააღმდეგ ილაშქრებენ ყველა ჭურის ოპორტუნისტები — რ. ლებრეს და ფ. ფანონის ანარქისტული და ნახევრად ანარქისტული დაჯგუფებანი, რენეგატები — რ. გაროდი, ე. ფიშერი, ფ. მარკეი, ტ. პეტკოვი, ე. ბლოპი, „მანიფესტოს“ ჭკუფი იტალიაში, მემარცხენე რადიკალები ე. გორცი (საფრანგეთი), ნ. რეიჩი (აშშ) და სხვა.

მარქსიზმ-ლენინიზმი გმობს როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ რევოლუციონიზმს, იგი ჰკიცხავს სუბიექტივისტურ მეთოდს, კომუნისმის მშენებლობის პრობლემატიკას, აგრეთვე ყოველგვარ უტოპიზმს, სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის უზრუნველყოფას. ამასთან, მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით სოციალიზმის მიზანი მარტო წარმოების მაღალი ეფექტიანობა როდია, არამედ საზოგადოების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებაა.

სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისადმი პეშმარტიად მეცნიერული, პოლიტიკურ-ეკონომიური მიდგომა შესაძლებლობას აძლევს ჩვენს პარტიას ამოიცნოს ეკონომიური განვითარების კანონები, დასახოს კომუნისმის ეკონომიკის შექმნის კონკრეტული გზები და მეთოდები.

ეკონომიკას, წარმოებას ჩვენში უშუალოდ მართავენ სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციები, ხოლო პარტია აერთიანებს, მიმართულებას აძლევს მათს საქმიანობას პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების საფუძველზე. ეს პრინციპებია: მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიური პოლიტიკისა და მისი განხორციელების მეთოდების შემუშავება; სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა კამიჯვნა და პასუხისმგებლობის ამაღლება; გადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა; სამეურნეო ორგანოების საქმიანობის მუდმივი კონტროლი, მათ მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების შემოწმება; მასების ფართოდ ჩაბმა წარმოების მართვაში, მათი შრომითი აქტიურობისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება.

თავის ზეგავლენას ეკონომიკაზე პარტია ახდენს პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის შეხამებით. პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის ერთიანობა ეკონომიკაზე პარტიის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. მას რომ ანხორციელდეს, პარტია უნარიანად წარმართავს ყველა თავისი ორგანიზაციის საქმიანობას ეკონომიური ამოცანების შესასრულებლად, უზრუნველყოფს სწორ პოლიტიკურ მიდგომას ყველა სამეურნეო საკითხის გადაწყვეტისადმი.

სახალხო მეურნეობის, წარმოების მართვა პარტიას მიაჩნია არა ტექნიკურ საქმედ, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებად, რომელშიც თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდში პარტია შემდგომ ანვითარებს და აღრმავებს ხელმძღვანელობის პრინციპებს, ამდიდრებს, მათ ახალი დებულებებით და დასკვნებით.

ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური



პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტა მოითხოვს პირველყოფლისა რეალური სინამდვილის მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს. მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებს მატერიალური პრობლემების განმარტებელ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამასთან უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტურ ფაქტორს განვითარების ობიექტური პირობებით შექმნილ შესაძლებლობათა განხორციელებაში.

მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ცნობილია ობიექტური პირობებისა და სუბიექტური ფაქტორის ურთიერთკავშირის არასწორი ანალიზის შედეგად გამოწვეული შეცდომებისა და გადახვევების არაერთი მაგალითი. სუბიექტური ფაქტორის უარყოფმა შემარჯუნენ სოციალ-დემოკრატიები და სხვა ოპორტუნისტები მიიყვანა ეკონომიურ კანონების სტიქიური მოქმედების წინაშე ქედისმოხარადე, კაპიტულიანტურ პასიურობამდე, სოციალისტური რევოლუციის საქმის დალატამდე. მეორე მხრივ, სუბიექტური ფაქტორის როლის გაზვიადებამ, განვითარების ობიექტური კანონების უგულვებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს „მემატყხენე“ გამოხლომები, ავანტიურიზმი პოლიტიკაში. ამის მკაფიო მაგალითია მათიზმი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მთელი მსოფლიოს ყველაზე უკიდურესი რეაქციის პოზიციას და არსებობდა იმპერიალიზმის დიდმნიშვნელოვანი რეზერვი ვახდა სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავის ხელმძღვანელ მოღვაწეობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეყრდნობა უდიდეს მორალურ ავტორიტეტს, რომელიც მან მოიპოვა ათეული წლების მანძილზე მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლით, თავის მრავალმხრივ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ გამოცდილებას, ცხოვრებით შემოწმებულ უნარს — წინაწარ განვერტოს საზოგადოებრივი განვითარების მოგონებები.

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მკაცრ-ტრალური ხაზი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ხარისხისა და ეფექტიანობის მკვეთრად გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე. უპირველეს ამოცანად რჩება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამყარება. მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს სოციალური რევოლუციის საბოლოო ამოცანები.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი წარმოადგენს კომუნისმის მატერიალურ-ტექნი-

კური ბაზის შექმნის მთავარ ზერეკტს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გადაწყვეტ პირობას. კომუნისმმა შეიძლება გამარჯვოს პირველყოფლისა საზოგადოებრივი შრომის მაღალი მყარმოებლურობით, დიდი შედეგების მიღწევით შრომისა და მატერიალურ საშუალებათა მცირე დახარჯვით, კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას რომ სახავს, პარტიას აუცილებლად მიაჩნია სოციალიზმის ყველა უპირატესობის სრულად გამოყენება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში პარტია მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის სტილისა და მეთოდების კარდინალურ შეცვლას, გადაწყვეტ ბრძოლას უძრავობასა და რეკონსტრუქციის წინააღმდეგ, ტრეგმებისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფას, ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ახალი იდეების უსწრაფეს დანერგვას წარმოებაში.

პარტია არის საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ორგანიზატორი, იგი სათავეში უდგას საყოველთაო-სახალხო ბრძოლას ტექნიკური პროგრესისათვის, მილიონობით მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, კონსტრუქტორს, მეცნიერს რაზმავს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სრულიად გამოყენებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა ადრგის ახალი ტექნიკით აღჭურვისათვის, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შექმნის ათვისების ვადების ყოველმხრივ შემცირებისათვის.


ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის შექმნის გარეკარტე თავის განთქმულ წიგნში „რა ვაკეთათ“ ვ. ი. ლენინი წერდა: „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“ (სხხ. ტ. 5, გვ. 461). ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის უდიდესი მნიშვნელობა, რასაც პარტია ანიჭებს რევოლუციურ თეორიას.

კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა, მისი მომავალი მუშაობის გეგმები ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნას, მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც კომუნისმის ჭზის მანათობელი ვარსკვლავია.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ლენინური პარტია შეუპოვრად იბრძოდა და იბრძვის ოპორტუნისმის ყოველგვარი გამოვლინების, მემატყხენე და „მემატყხენე“ რევოიციონისმის, ანარქიზმის, ტროცკიზმის, სექტანტობის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის.

**დავითი ბანიშრაძე**

ხალხის კოლმინიპარი ბაღდადი



კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში უდავოა ეს ავტორიტეტი მან მოიპოვა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულებით, თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომით, უნარით — განავითაროს, წინ წასწიოს იგი საზოგადოების ცხოვრების პირობების ცვალებადობის, რევოლუციური ბრძოლისა და სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის პრაქტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი აღმოჩენების, ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად. თავის მოღვაწეობაში პარტია თეორიის განუწყურლად უყავსირებს პრაქტიკას, ცხოვრებას, საზოგადოებრივი განვითარების რეალურ პროცესებს.

პარტიის კოლექტიური გონება და გამოცდილება მუდამ ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. თეორიაში გაბედული შემოქმედების მაგალითია პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობის დოკუმენტები, რომლებშიც ახლებურად არის გაშუქებული ის რეკონსტრუქციური კომუნისმის მშენებლობის, საერთაშორისო ურთიერთობისა და კომუნისტური ბრძოლის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხები.

ასეთებია: კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კონკრეტული გეზის დასახვა, დაეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების ხერხების გამოხატვა, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულის სრულყოფა, თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის თეორიული დასაბუთება; დიდი ყურადღება ეთმობოდა პარტიის ხელმძღვანელი რილის შესახებ მოძღვრების შემდგომ განვითარებას, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის საკითხებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში, გრძელდებოდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების პრინციპული საკითხების დამუშავება და ანალიზი უკეთდებოდა კაპიტალისტურ სამყაროში, მომხდარ ახალ მოვლენებს.

მაგრამ ცხოვრება აყენებს ახალ პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ ღრმა თეორიულ გაანალიზებას. სკკ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის განვითარების ახლანდელ ეტაპზე თეორიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშავების საჭიროება კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო იზრდება. როგორც ზოგადთეორიული, ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი ხასიათის ნაყოფიერი კვლევის ახალი შესაძლებლობანი იქმნება სხვადასხვა მეცნიერების, კერძოდ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერების შესაყარზე.

სკკ XXV ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა ამოცანა — კვლავაც

მეცნიერულ საფუძველზე სრულყოფდნენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. უნდა იქნას პარტიის წინაშე, რომ ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ მუშაობის მიზანებს უშუალოდ ასრულონ მანქანების კეთება, უმკურნალონ მათ, ან მეცნიერული ცდები აწარმოონ ლაბორატორიებში, არამედ, პირველყოელისა, სწორად შეარჩიონ, დააწინაურონ და აღზარდონ კადრები. პარტიის პოლიტიკა კადრების დარგში ის ბერკეტი, რომლის საშუალებითაც იგი გავლენას ახდენს საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე.

პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევა ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო მხსენებაში სკკ XXV ყრილობაზე, — მუშაობის სტრუქტურის სტილი, ლენინური სტილი კი — ეს არის შემოქმედებითი სტილი, რომლისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი, რომელიც განსწვავულია აველა საზოგადოებრივი პროცესისადმი მეცნიერული მიდგომათა. იგი გულისხმობს მაღალ მომთხოვნელობას საყოფარო თავისა და სხვებისადმი, გამორიცხავს თვითგამყოფილებას, უპირისპირდება ბუთერკატეტიზმისა და ფორმალისმის ყოველგვარ გამოვლინებას.

განვითარებულ სოციალიზმის პირობებში განუზომად იზრდება კომუნისტური პარტიის იდეურ-აღმზრდელი როლი მუშაობის როლი და მნიშვნელობა. კომუნისმი — ეს ხალხთა მასების შეგნებული შემოქმედების საქმეა, ხოლო კომუნისტური შეგნებულობის აღზრდა პარტიის ერთ-ერთი ძირითადი და რთული ამოცანაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიღწევები მუშების, გლეხების, ინტელიგენციის იდეურ აღზრდაში უდავოა. ახალი საბჭოთა ადამიანის აღზრდა — ეს პარტიის მრავალი წლის დაძაბული იდეოლოგიური მუშაობის შესაინაწავი შედეგია. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საბჭოთა კავშირში — ეს უცვლელი მოსახლეობის არა ცალკეული ჯგუფებისა და ფენებისა, არამედ ხალხთა ფართო მასების იდეოლოგიაა. კოლექტივიზმი და ურთიერთდახმარება, საზოგადოებრივი ვალის მოხდა, ჰუმანიზმის მაღალი გრძობა — საბჭოთა ზღაპრისა დიდი უმრავლესობის დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ პარტია ამით როდი კმაყოფილდება. იგი იბრძვის იმისათვის, რომ არა მარტო დიდი უმრავლესობა კომუნისტებისა, ყველა კომუნისტი დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და გამოიყენოს იგი ყოველდღიურ საქმიანობაში, იბრძვის იმისათვის, რომ არა მარტო უმრავლესობა საბჭოთა ადამიანებისა, არამედ ყველა საბჭოთა მოქალაქე კომუნისტურად ეკიდებოდეს შრომას, გაიმსწვალოს კომუნისტური მორალი და წინაბით.

პარტია მთითოეული თავისი წევრისაგან მოითხოვს იმადლებდეს იდეურ დონეს, მტკიცედ



ებრძოლოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველ გამოვლინებას, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთებს, რელიგიურ ცრურწმენებსა და წარსულის სხვა გადმონაშთებს, პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

იდეოლოგიური მუშაობა არა მარტო ამ დარგის სპეციალისტთა მოვალეობაა, არამედ მთელი პარტიის, თითოეული კომუნისტის ღვიძლი საქმეა. ამის შესაბამისად ჩვენში შექმნილია პარტიული განათლების მწყობრი სისტემა, რომელიც ითვისისწინებს კადრების თეორიული მომზადების სხვადასხვა დონეს და მიზნად ისახავს კომუნისტთა მთელი არმიის ჩაბმას მშრომელთა შორის აქტიურ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში.

პარტიის იდეურ-აღმზრდელი მუშაობის სისტემაში დიდ როლს ასრულებენ ლიტერატურა და ხელოვნება. პარტია შორს არის იმ აზრისაგან, რომ მოახდინოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ნიველირება, როგორც ამის შესახებ ლაყბობენ სოციალიზმის მტრები ან უციცი ადამიანები. პირიქით, იგი შემოქმედებითი სტილისა და ხელწერის მრავალფეროვნების მომხრეა. ამავე დროს სკვპ ურყევად იცავს ხელოვნების პარტიულობასა და ხალხურობის პრინციპს, ზრუნავს იმისათვის, რომ მხატვრები არ აცდნენ რეალისტურ გზას და არ ჩაეფლონ „წმინდა აბსტრაქციისა“ და ფორმალისტური თინაზობის ჭაობში.

პარტია სრულებითაც არ თვლის რაღაც უარყოფით მოვლენად, როცა მხატვარი ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვის დროს გვიჩ-

ვენებს ამა თუ იმ ჩრდილოვან მხარეს. პირიქით ასეთი ნაწარმოებები ხელს გვიწყობს ნაკლებობაში აღმოგზავრაში. მაგრამ პარტია დაბეჯითებით გვასწავლის, რომ კრიტიკას არაფერი აქვს საერთო ცილისწამებასთან. ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი ვალია ემსახურონ ადამიანების აღზრდას პირველყოფლისა დაღებით სახეების, მაღალი იდეალების გამოხატვით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განუყოფელი ნაწილია, განუხრებლად განამტკიცებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას, ავითარებს მშურ კავშირს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უღიღესი წვლილი შეაქვს ყველა ხალხისათვის ისეთი საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორც არის ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. იმპერიალისტ აგრესიონათა ბუერი გეგმა იმიტომ ჩაიფუშა, რომ ჩვენს პარტია და მოთხოვნა განუხრებლად ახორციელებენ საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს.

ე. ი. ლენინი კომუნისტურ პარტიას უწოდებდა მილიონების პარტიას, ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს. საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, მშრომელთა მოწინავე რაზმი, ნაღდი ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და უნარიანად წარმართავს ორასორმოცლათმილიონიანი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ენერჯიას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

შენს დეპარს და ვოლგას, დონსა და არაგეს,

ამუ-ღარიას,  
ახალ მშენებლებს, — დიდება მარად,  
მრავალჟამიერ!  
ზურგში თუ ფრონტზე გზა საომარი  
ძღვეით გალიე,  
ჩემო სამშობლოვ, დიდება მარად,  
მრავალჟამიერ!

ანა კალანდაძე





საბჭოთა სოსილისტური რესპუბლიკების კავშირი

კავშირი ჩვენი —  
 მზის თხუთმეტი თავთავიანი  
 სხივია მწველი —  
 შეკონილი პარტიის ხელით.  
 სუყველას ასდის  
 სურნელება თავთავიანთი,  
 მაგრამ სიმღერით  
 თხუთმეტივე ერთ ხმაზე ვმღერით.  
 ვმღერით და ვმღერით, —  
 სასიმღერო, უპირველესად,  
 ჩვენ გვაქვს,  
 რამეთუ ჩავედევით სინათლეს კვალში.  
 ლენინმა დიდმა —  
 ბრძენთა შორის უუბრძენესმა —  
 შთაბერა რწმენად კომუნიზმი  
 საბჭოთა კავშირს  
 შრომა და შრომა!  
 ცის  
 გახსნა და  
 გრიგალი ტაშის...  
 სამხიარულო თუ აქვს ვინმეს,  
 ჩვენა გვაქვს სწორედ.  
 ჩვენი ხსენება კაპიტალიზმს  
 აციებს ტანში

და რწმენის დროშას  
 აძლევს ხელში  
 სულთმობრძავე მონებს.  
 ავუწყვე ფეხი  
 მზის საათის ხმაურს და წიკ-წიკს,  
 ვაშენებთ სწრაფად,  
 ფრთები მიზანს  
 ცისკენ მიაფრენს...  
 ბრწყინავს დევიზი:  
 წინ, წინ  
 წინ, წინ  
 და კიდევ წინ, წინ!  
 ჩვენ მტრების გულის გასახეთქად  
 სულ ვიკიაფებთ.  
 ტყუილად ანთხვეთ,  
 დუშმანებო,  
 გესლზე და შხამზე  
 მწარე სიძულვილს,  
 ლენინიზმი იქუხებს მხსნელად...  
 გამეფდება სუყველგან ხვალ-ზეგ  
 წითელი ფერი  
 და ზეცის ჭერქვეშ  
 ერთ მოტივზე ვიმღერებთ ყველა.



## შაბათა-შაბა ნათელ შარჟის

გვაჭებს კონსტიტუციის  
ახალი პროექტი —  
ჩანჯს მოისადაგებს,  
მომართავს პოეტი!

უმღერის შენებას  
ნათელი მერმისის, —  
ახალი ჰიმნი გვაჭებს  
ახალი ღერბისთვის!..


ხოტბა მას — პარტიის  
უახლეს გენიას,  
რომელსაც მშვიდობის  
ნათელი ჰფენია!..

და დასათრგუნავად  
ბნელეთის კარების —  
შეერთდით, შეერთდით,  
თქვენ — პროლეტარებო! —

რომ ჩვენი პარტიის  
ახალი ნაბიჯი —  
დავიცვათ მარადის,  
არ დავამახინჯოთ!

ბა, ძმობის ქარტია!  
უმალლეთ ხმას:  
— პარტია! პარტია! —  
დიდება მას!





მოთხრობა

სამთავროები გაუქმდა. რუსთხელმწიფემ ოდიშს, სვანეთსა და აფხაზეთს ავტონომიის უფლება დაუტოვა. მალე ამ უფლების გაუქმების ყამიც დადგა. ავტონომიები უნდა გაეერთიანებიათ და ყველგან რუსეთის იმპერიის მმართველობა შემოეღოთ.

ავტონომიების მოსალოდნელი გაერთიანების ამბავი აღრევე გაიგეს მთავრებმა. რად უნდოდად ავტონომია. არავითარ უფლებას არ ანიჭებდათ და ამით გაღიზიანებულები, გლეხებზე იყრიდნენ ჭავრს.

ოდიშში ომერ-ფაშას გამანადგურებელი შემოსევით გაჩანაგებულ ხალხს ჯერ კიდევ არ მოეთქვა სული და ახლა მოთმინებისფილა ავსებული გლეხები ფეხზე დადგნენ, იარაღი აისხეს და სამკვდრთ-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს.

დეს ოდიშის დედოფალს ეკატერინე ჰევკავაძეს.

ხალხისაგან შერისხულ ეკატერინეს თავის მიწაზე აღარ დაედგომებოდა. იძულებული გახდა, პეტერბურგს გადასახლებულიყო. გამგზავრებამდე უტუ მიქაევას ჯარით შეშინებული გორდში გაიხიზნა.

არც სვანეთის მთავარს კონსტანტინე დადეშქელიანს ჰქონდა საქმე დალაგებული. თავისუფალი, სადადეშქელიანო და სადადიანო სვანეთი უკმაყოფილო ჰყავდა.

მეფისნაცვალს ამიერკავკასიაში — ბარიატინსკის — ოდიშის დედოფლის საკითხი მოგვარებული ჰქონდა. ეკატერინე პეტერბურგს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გაგარინს უნდა გაემგზავრებია.

ბარიატინსკის და გაგარინს სვანეთის მთავრის და აფხაზეთის მთავრის საქმე დარჩათ გადასაწყვეტი. რა მიზეზი უნდა წამოეყენებიათ დადგეშქელიანიათვის, რომ ოდიშის დედოფალივით თავის მიწა-წყლიდან აეყარათ? მიზეზი დადგინდებოდა თუ არა? შენგლოვანი უნდა ყოფილიყო. მთავრის ღიბება კი არ უნდა შეეღობათ. ასეთი მიზეზის გამოსაძებნად გაგარინმა თავისი შტაბის ლეგიონის უფროსის, ბარონ უსლარის ექსპედიცია გაგზავნა სვანეთში. ამ კაცმა, სადაც კი სამხედრო საქმეში მონაწილეობა მიიღო, ყველგან ხელი მოეცა. სვანეთზე წინასწარ აკვირებული აზრი ჰქონდა ბარონს. თავის აზრს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის შტაბის არქივის მასალებზე ამყარებდა. ეს მასალები მრუდედ წარმოაჩენდა მთავრის საქმეს. ამ მასალებით მისი ბრისხანე მტრის, ჯანსუღ დადგეშქელიანის მეკვლეობა მთავარს ბრალდებოდა. უსლარი კონსტანტინეს ომერ-ფაშასთან კავშირსა და რუსეთის მმართველობის უწყალობლობასაც აბრალდებდა.

კონსტანტინემ ადრე შეიტყო, რა აზრით მოდიოდა ბარონი მის საფეხლებელში და იმის შიშით, რომ უდანაშაულო ხალხის სისხლი არ დაღვრილიყო, შეგებულებით ჩამოსული თავისი ძმა, ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე დადგეშქელიანი აფრინა გაგარინთან.

ალექსანდრე ქალაქში ჩავიდა თუ არა, არ დაუსვენია, ხელ-პირი არ დაუბანია, შინ ეახლა გენერალ-გუბერნატორს.

საღამო ხანი იყო. გაგარინს სტუმრები ჰყავდა. სწორედ სვანეთსა და კონსტანტინე დადგეშქელიანზე საუბრობდნენ, როცა ადიუტანტმა ეკელნმა მოახსენა, შტაბს-კაპიტანი თავადი ალექსანდრე დადგეშქელიანი გეხლათო.

მასპინძელი არ ელოდა ასეთ სტუმარს. შეწუხებული იყო სვანეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობით. ესიამოვნა დადგეშქელიანის მოსვლა, იქნებ კა-

რგი ამბის შესატყობინებლად ჩამოვიდაო. ეკელნს უბრძანა, შემოეყვანა მტრ-მარი.

1853 წლის რუსეთ-თურქეთის ომში, გენერალმა გაგარინმა თავისი დივიზიით ყარსთან მედგრად შეუტია მრავალრიცხოვან მტერს და სწრაფად წაიწია წინ, მაგრამ მძიმედ დაიჭრა.

მამაცი გენერალი ექიმებმა ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს. რამდენიმე წელიწადს პარინში მკურნალობდა. იქიდან დაბრუნებული, სამოც წელს მიღწეული, სამსახურიდან გადადგომას აპირებდა. ყირიმში, თავის მამულში უნდოდა სიცოცხლის დარჩენილი წლები მშვიდობით გაეტარებინა. ამ დროს ძველ მეგობარს ბარიატინსკის შეხვდა.

ბარიატინსკი ქუთაისში გენერალ-გუბერნატორად დასანიშნ კაცს ეძებდა და დიდად ვაგებარდა გაგარინის ნახვა. მამინვე შესთავაზა ეს დიდი თანამდებობა, მაგრამ გაგარინმა ცივი უარი უთხრა.

ასეთ წინადადებაზე უარით გაცეცხულმა მეფისნაცვალმა მიზეზი ჰკითხა. მძიმე ჭრილობები ხშირად მიხსენებს ხანიც არ მიწყობს ხელს. მამულსაც მიხედვა უნდაო, უთხრა გაგარინმა.

ბარიატინსკიმ გული არ გაიტეხა. ჯიუტი კაცი იყო, რასაც მოინდომებდა, უსათუოდ მიაღწევდა, თხოვნით რომ ვერ დაიყოლია მეგობარი, ხელმწიფე ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს მიმართა დახმარებისათვის. თან გაგარინს არ ასვენებდა — სამი წელიწადი მაჩუქეო. გაგარინი იძულებული გახდა დამორჩილებოდა ხელმწიფის ნებასა და მეგობრის თხოვნას.

ქუთაისში ჩასვლის დღიდან ეს ხანში შესული კაცი ჰაბუკუთრი ვატიცებით შეუდგა ქალაქის კეთილმოწყობას. უცებ მოიპოვა ხალხის პატივისცემა. გულსყურით უსმენდა მთხოვნელებს, ვინც იმსახურებდა, უკეთებდა საქმეს, სიმაართლეს არავის უკარგავდა, ზრუნავდა

გრიგოლ ჩიკოვანი  
უბანასანელი მთავარი

ადამიანზე. ეს იცოდა ალექსანდრე დედეშელიანმა და ამიტომაც გამოეშურა მასთან.

გაგარინი ღიმილით შეეგება. მაშინვე შეატყუო, თავადი დაქანტული რომ იყო და სკამი შესთავაზა. ალექსანდრე არ დაჯდა. არც გენერალ-გუბერნატორმა ისურვა დაჯდომა და ამიტომაც მათმა შეხვედრამ მოულოდნელად ოფიციალური ხასიათი მიიღო.

გენერალ-გუბერნატორმა მთავარი მოიკითხა.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, სწორედ კონსტანტინეს ამბის მოსახსენებლად გეახელით, ვიცი, შინ არ უნდა შემეწუხებინეთ, მაგრამ დრო არ ითმენს და ამიტომ გავხედე.

მშვიდად დაიწყო ალექსანდრემ, მაგრამ გაგარინმა მაშინვე შეატყუო, როგორც ლელავდა შტაბს-კაპიტანი და თვალებით ავრძნობინა, დამშვიდდითო.

— მე და ჩემმა ძმამ ორი დღის წინ შევეტყვეთ, რომ მთავრის საქმის გამო-სარკვევად უსლარის ექსპედიციის გაგზავნას აპირებთ სვანეთში.

— უსლარის გაგზავნას კი არ ვაპირებ, იგი უკვე გაგზავნე სვანეთში, — გაუსწორა გენერალ-გუბერნატორმა ალექსანდრეს. მიხვდა, რისთვის იყო ჩამოსული შტაბს-კაპიტანი, არ ესაიშოვნა, უცებ უკმაყოფილოდ განეწყო.

— რა ჭირს, თქვენო ბრწყინვალეობავ, ჩემს ძმას გამოსარკვევი?! — ვერ დაფარა გაოცება ალექსანდრემ და შებედა: — უსლარს სვანეთზე წარმოადგენა არ აქვს.

უსლარის აუგად ხსენება ვერ მოითმინა გენერალ-გუბერნატორმა. უსლარი უნაკლო კაცად მიაჩნდა. მისთვის იგი შტაბის გამოცდილი ოფიცერი იყო, დიდად აფასებდა, ყველაფერში ენდობოდა, მის რჩევასა და აზრს ზედმეტ ანგარიშს უწევდა.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, უმოჩილესად გთხოვთ, უსლარის ექსპედიცია უკან გამოიწვიოთ, რომ გაუგებრობის ნიადაგზე ცუდი ამბავი არ დატოვალდეს სამთავროში.

— როგორ გვიგოთ ეს, შტაბს-კაპიტანი?!  
შტაბს-კაპიტანი

— ხალხი გულგრილად არ შეხვდება უსლარის შემოსვლას სვანეთში...

— სვანები უკმაყოფილონი არიან თქვენი ძმით. მისი ავტონომია შფოთის ბუდედაა ქცეული.

— ეს უსლარის მოგონილია, — უთხრა ალექსანდრემ და თვალი გაუსწორა გენერალ-გუბერნატორს. — ბარონი ჩემი ძმის მტრებს აპყვა.

— თქვენ გავიწყდებათ შტაბს-კაპიტანო, ვის ელაპარაკებით და ვის სწამებთ ცილს, — გაგარინი ბოლთის ცუძას მოპყვა, როგორც ამას მღელვარებისას აკეთებდა, თან გრძელ, გრუზა თმაზე ხელს ისვამდა. ალექსანდრეს საყვედური მასაც ეხებოდა, — თქვენ ექომაგებით ძმას და გავიწყდებათ, რომ თვითონ პასუხისგებაში ხართ მისაცემი.

— არ მესმის, რაში მდებთ ბრალს, — უთხრა ალექსანდრემ.

— უბედურებაც მაგაშია, შტაბს-კაპიტანო, რომ არ გესმით. თქვენ რუსის ოფიცერი ხართ. ეს მაინც თუ იცით?

— რატომ შეურაცხყოფთ ასე, თქვენო ბრწყინვალეობავ?!  
ბრწყინვალეობავ


— თქვენ დიდი ხანია შვებულება გავითავდათ, — შეაწყვეტინა სიტყვა გაგარინმა, — იქნებ დაგავიწყდათ?

— არა. არ დამვიწყებია...

— მაშ, რატომ აქამდე არ დაბრუნდით ლეგიონში?! — კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა გენერალ-გუბერნატორმა. თანდათან კარგავდა მოთმინებას, — წელიწადი გავიდა, რაც შვებულება გავითავდათ და ჩემი ბრძანების მიღების შემდეგაც არ ინებეთ დაბრუნება.

— ნება მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, მოგახსენოთ: ავად გავხდი და კაპიტანი დემიანოვიჩის ხელით ლეგიონს რაპორტი გავუგზავნე. მოვიკეთე თუ არა, ლეგიონში დაბრუნება დავაპირე, — ალექსანდრე სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, — მაგრამ ზამთარმა მომისწრო, გზები ჩაიკეტა და ჩემდა უნებურად მთელ სამყაროს მოწყვეტილი შინ დავრჩი. ყიტილის დმის დამთავრების





შემდეგ კი ლეგიონს არ მოეუკითხი-  
ვარ...

— განა ლეგიონს უნდა შეეხსენებია  
შეგებულების დამთავრება?! — ირონიით  
ჰკითხა გაგარინმა.

ალექსანდრემ ერთბაშად ვერ უბა-  
სუხა.

— რატომ დუმხარ?! —

— დამნაშავე ვარ... ძმა ვერ მივატო-  
ვე ასეთ დღეში.

— ძმა ვერ მიატოვეთ და ლეგიონი  
მიატოვეთ. სამხედრო კანონი დაარღვი-  
ეთ?!

— დამნაშავე ვარ, — გაიმეორა ალექ-  
სანდრემ და თავი დახარა.

— დანაშაულზე პასუხს აგებთ, შტაბს-  
კაპიტანო.

— დიას, თქვენო ბრწყინვალეზავ.

— ინებეთ და ქალაქის სამხედრო კო-  
მენდატთან მიბრძანდით, ხმალი ჩააბა-  
რეთ და მოახსენეთ, რომ დაპატიმრებუ-  
ლი ხართ.

— თქვენო ბრწყინვალეზავ... — მუ-  
დარით შეხვდა ალექსანდრემ გენერალ-  
გუბერნატორს.

— გაგარინმა თვალი ააჩრდა.

— ხვალ ტფილისში გაემგზავრებით.  
მისი უდიდებულესობა მეფისნაცვალ  
პირადად განიხილავს თქვენს საქმეს.  
ადიუტანტო! — მიუბრუნდა გენერალ-  
გუბერნატორი ეკელსს, — თქვენ გავა-  
ლებთ პასუხისმგებლობას ამ ბრძანების  
შესასრულებლად.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, სასჯე-  
ლის ღირსი ვარ, მაგრამ ვიდრე თქვენ-  
გან გავიდოდე, ნება მომეცით, ჩემი ძმის  
შესახებ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

გაგარინი ყოყმანობდა, არ უნდოდა  
მოსმენა. მერე ცალყბად უთხრა:

— ბრძანეთ.

— კონსტანტინე თვითონ გეახლებათ,  
— ხედავდა, რომ გაგარინი არ უსმენ-  
და, გაღიზიანებული შეჰყურებდა, —  
ჯანსუღ დადემშქელიანის მოკვლას ჩემს  
ძმას აბრალებენ მისი მტრები...

— ვინ არიან თქვენი ძმის მტრები?! —  
ფიცხად ჰკითხა გაგარინმა.

— ოდიშის დედოფალი ეკატერინე

და ისინიც, ვინც რუსეთის ურწმუნე  
ბლობას სწამებენ ჩემს ძმას და ხმებს  
უვრცელებენ, თითქოს სვანეთი უკმა-  
ყოფილო ჰყავდეს. ურწმუნლობა რომ  
მოუგონეს, ამის საბუთად ისიც კმარა,  
რომ ომერ-ფაშას ოდიშში შემოჭრის  
წინ, კონსტანტინემ თავისი უმცროსი  
ვაჟი ტფილისში ჩაიყვანა აღსაზრდე-  
ლად, რუსთხელმწიფის ერთგულების  
ნიშნად, — სული მოითქვა, — სვანეთი  
უკმაყოფილო რომ არა ჰყავს, ამის მო-  
წმე თვითონ ბრძანდებოთ. ერთი სვანი  
არ მოსულა თქვენთან საჩივრელად.

— უსლარი ყველაფერს გამოარკვევს,  
— ცივად უთხრა გაგარინმა, — კომენ-  
დატთან მიბრძანდით. გაჰყვით, ეკელს,  
— მიმართა ადიუტანტს, შეტრიალდა  
და ისე გავიდა სასტუმრო ოთახში, ალექ-  
სანდრეს არ გამოთხოვებია.

დადემშქელიანს თვალთ დაუბნელდა.  
ეკელსს სჯეროდა ყველაფრის, რაც  
ალექსანდრემ გენერალ-გუბერნატორს  
მოახსენა. მოეწონა ასე თამამად და თავ-  
გამოდებით რომ იცავდა ძმას.

— უცებ სასტუმრო ოთახიდან ხმადა-  
ლი ლაპარაკი და სიცილ-ხარხარი გაის-  
მა. მე დამცინიანო, გაიფიქრა ალექსან-  
დრემ, სასტუმრო ოთახისაკენ კინაღამ  
წადგა ფეხი, მაგრამ ეკელსმა მაშინვე  
იგრძნო და შიშით შესძახა:

— ბატონო თავადო...

ეს საკმარისი იყო, ალექსანდრე გონს  
მოგებოდა.

— წავიდეთ, მეგობარო ეკელს, კო-  
მენდატთან, — ძლივს ამოიღო ხმა და-  
დემშქელიანმა და კარისაკენ გაემართა.

კიბე ისე ჩაიარეს, ხმა არ ამოუღიათ,  
ხმა არ გაუტიათ ერთმანეთისათვის.  
ორივე კრიჭამეკრული იყო. ეკელსს უნ-  
და ჩაეყვანა ალექსანდრე ტფილისში და  
უმძიმა ამის გაკეთება, მაგრამ რას იზა-  
მდა, ჯარისკაცი იყო, უნდა შეესრულე-  
ბინა გენერალ-გუბერნატორის ბრძანე-  
ბა. დამნაშავესავით მიჰყვებოდა გვერ-  
დით.

გრიგოლ ჩიქოვანი  
შპანასკნელი მთავარი

— მადლობელი ვარ, მეგობარი ეკელნ, — დაარღვია დუმილი ალექსანდრემ, რიონის ხიდი რომ გაიარეს.

— რაღა მე დამავალა... — ჩანსუჩილი ხმით თქვა ეკელნმა.

შავ ცხენზე ამხედრებული სევანეთის მთავარი კონსტანტინე დადგმქელიანი დაღმართზე ეშვებოდა. მისი ახოვანი ტანის ქვეშ ულაცი კვიცივით მომცრო მოჩანდა. ალექსანდრეს ოქროსფერი თმა მზეზე უბრწყინავდა და მის ლამაზ, ვაქცატურ სახეს ემსხ მატებდა. სირმით გაწყობილი თეთრი ჩოხა ეცვა, წელზე ვერცხლით მოზარნიშებული, მისი ტანისა და მკლავის შესაფერი სიდიდის სატევარი და ხმალი ეკიდა. სახეზე ოფლი შელავდა.

ამალა შორს ჩამოეტოვებინა მთავარს. ჩქარობდა, სამთავროს იქით უნდა დახვედროდა უსლარის ექსპედიციას. ბუნებით მშვიდი და თავშეკავებული, აღელვებული იყო, კირივით სძულდა უსლარი, ეს პატივმოყვარე, თავის განათლებითა და მდგომარეობით გაამაყებული გრაფი. ვერ იტანდა, რომ უსლარს ზედმეტ ანგარიშს უწევდნენ, ვერ უბედავდნენ შეკამათებას და ასე იმიტომ ექცეოდნენ, სხვა მოხელეებზე ნეტი რომ იცოდა. ენაც უჭრიდა, ვესლიანი იყო. თავისი ბედით განებივრებულს, არაფრად უღირდა სხვისი დამცირება, ასე გაზარდეს მშობლებმა, ტვერელმა მდილარმა მემამულეებმა.

დამთავრებული ჰქონდა საინჟინერო სასწავლებელი და გენერალური შტაბის აკადემია. ისმენდა ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იცნობდა მეცნიერების მრავალ დარგს, მაგრამ აკლდა ის, რაც მთავარია ადამიანისათვის — სიკეთე, სათნოება, კაცთმოყვარეობა.

თავის შეცდომას წარბშეუხრებლად დააბრალებდა სხვის. ომერ-ფაშას შემოსევაში მას მიუძღოდა ბრალი, მაგრამ

ამაში მუხრან-ბატონსა და სხვებს ადანაშაულებდა.

ამიტომ სძულდა იგი კონსტანტინეს და ყოველთვის ერიდებოდა მასთან შეხვედრას. ისიც იცოდა, რომ უსლარი ზურგს უკან დასცინოდა, ველურს ეძახდა და ყოველნაირად უშლიდა ხელს გაგარინთან საერთო ენის გამონახვაში. იცოდა, უსლარს ერთი სული ჰქონდა, როდის გააუქმებდნენ ავტონომიას და თავის მიწა-წყლიდან აპყრიდნენ.

აი, ასეთ კაცთან შესახვედრად მიისწრაფოდა მთავარი, რომ უკან გაებრუნებია. გრძნობდა, თხოვნით ვერ გააბრუნებდა, ძალითაც ვერ შეძლებდა, მცირე ამალა მოჰყვებოდა მთავარს. უსლარი კი მრავალრიცხოვანი სალდათებით მოდიოდა. თვალწინ ედგა კონსტანტინეს თავისი უპირატესობით გაამაყებული ბარონის მოზოზღარი, ღმილიჩამდგარი თვალები, მისი მაღალი, ჯიუტი შუბლი, უკან გადავარცხნილი თმა, სქელი უღვაში და სუფთად გაპარსული თეთრი ნიკაპი, მზე რომ არასოდეს ეკიდებოდა.

მთავარი ქვევიდან ამომავალმა ცხენის ფლოქების თქარუნმა გამოიყვანა ფიქრიდან. მისი მსტოვარი მოიჩქაროდა. აღმართზე თითქმის ოთხით მომავალ თერთად გაქაფულ ცხენს პირიდანაც ქაფი სდიოდა, სიბზე ფეხი უსხლტებოდა. მხედარი წარამარა მათარახს ურტყამდა, აჩქარებდა სულთმობრძავ ლაფშას. მსტოვარმა დაინახა თუ არა მთავარი, მაშინვე დაქვეითდა, სადავე მიუშვა აძაძაგებულ პირუტყვს და სირბილით აეგება დადგმქელიანს.

კონსტანტინემ ულაცი შეაყენა.

— დიღო ბატონო, — მუხლზე დაეცა ცხენის წინ მსტოვარი, — უსლარის სალდათები ხუდაწში ჩამოხდნენ სამხრის საკუმელად.

— რამდენი სალდათი მოჰყავს?


— ორასამდე იქნება, დიღო ბატონო.

— რა აბჯარი ასხიათ?

— ხიშტიანი თოფები და ხმლები.

— ხომ არ დაგინახეს?

— არა, დიღო ბატონო.



კონსტანტინემ ადგილიდან მოწყვიტა ცხენი, თავქვე დაეშვა. ისეთი ციცაბო იყო, ულავი ქვევიდან უკანა ფეხებით დაკიდული მოჩანდა. მხედარი კი გამართული იქდა.

გაჰყვა ამაღა. მსტოვარი ისევ წინ გაიჭრა...

უსლარის სალდათებს სამხარი მოე-  
თავებინათ და ის იყო ამხედრებას აბი-  
რებდნენ, რომ მთავარი და მისი ამაღა  
დანახეს. თითქოს მთის კალთა მოიბრ-  
ვა და საცაა თავზე დაქცევათო, ისე  
მოეჩვენათ სალდათებს, მაგრამ სწრაფ  
გაარჩიეს, ამხედრებული სვანები მოჰქ-  
როდნენ მათკენ, იფიქრეს, თავს გვესხ-  
მიანო, ზურგიდან თოფები გადმოი-  
დეს.

უსლარი სალდათების წინ იღგა, ცხე-  
ნზე ჯდებოდა, უზანგიდან ფეხი გამოჰ-  
ყო და სალდათებს მიუბრუნდა. მხდალი  
არ იყო, მთიდან მისკენ დაშვებული  
სვანების დანახვაზე მაინც გადაუქანდა  
გული. ეგონა, ყოველი მხრიდან მოჰქ-  
როდნენ მისკენ ცხენოსნები. გადაწყვი-  
ტა სალდათებისათვის ებრძანებია ეს-  
როლათ სვანებისათვის და ის იყო პირი  
დაალო, რომ მისმა ბასრმა თვალმა შეამ-  
ჩინა, სვანებს თოფები არ ჰქონდათ, მა-  
რტო სატყვერები ეყიდათ.

კონსტანტინემ ულავი ყალყზე შემარ-  
თა უსლარის წინ. ფლოქვებმა ფხრაწა-  
ნი გაიღო და ნალებმა ცეცხლის ნაპერწ-  
კლები დაკვესა.

მთავარი სწრაფად დაქვეითდა.

დაქვეითდა ამაღაც.

— გამარჯობათ, — მიესალმა კონსტა-  
ნტინე შტაბის უფროსს, ხელი არ ჩა-  
მოართვა.

— გამარჯობათ თქვენო ბრწყინვა-  
ლებავ, — შვებით ამოისუნთქა ბარო-  
ნმა, — ზეგვივით მოქროდით ასეთ ცი-  
ცაბოზე თქვენი ამაღით. ცხენები კი  
არა, ქაჯები გყოლიათ.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩვე-  
ნი ცხენები შეჩვეულები რომ არიან ასეთ  
ციცაბოებს, — არ მიიღო მთავარმა  
გრაფის ქათინაური.

უსლარმა უხერხულად ჩაახველა, ხმა  
ჩაიწმინდა.

— საით მიიჩქართ თქვენო ბრწყინ-  
ვალეზავ? — მიხვდა, საით მოუჩქართადა  
კონსტანტინეს და მაინც ჰკითხა.

— ეს არ გამოვბარა მთავარს.

— თქვენთან შესახვედრად, — უთხ-  
რა ორპროვანდ კონსტანტინემ.

— ჩვენ კი თქვენს ავტონომიაში მო-  
ვიჩქართო, — სიტყვას ავტონომიას ხა-  
ზი გაუსვია უსლარმა.

არც ეს გამოპარვია მთავარს.

— მე თქვენ არ დამიპატიებებიხართ,  
— ცივად უთხრა კონსტანტინემ.

— ჩვენ დაუპატიებლად მოგდივართ,  
— უთხრა უსლარმა და შეურაცხყოფა-  
საგან სახე წამოუნთო, — თუმცა დაუ-  
პატიებელი სტუმარი არ უყვართ.

— მართალს ბრძანებთ. დაუპატიებ-  
ბელ სტუმარს აბუჩი ჰქვია.

უსლარმა ქართული კარგად იცოდა,  
ლინგვისტი იყო, მაგრამ აბუჩის, მნიშ-  
ვნელობა მაინც ვერ გაიგო. უსიამოვნო  
შეხვედრის მიუხედავად, ამ ცივი გუ-  
ლის კაცმა თავი ვერ შეიკავა, ინტერე-  
სმა წასძლია.

— რას ნიშნავს აბუჩი, თქვენო  
ბრწყინვალეზავ? — ჰკითხა მთავარს.

— არარად ჩავდებას, — მიუგო მთა-  
ვარმა.

ბარონს წამოწითლებულ სახეზე  
მკვდრისფერი დაედო. თვალებგაგანიე-  
რებული შეაქერდა კონსტანტინეს. ყე-  
ლი გაუშრა. ერთხანს ხმა ველარ ამოი-  
დო.

— ეს რა მაკადრეტ?! — ჰკითხა გო-  
ცებულმა.

— მე მხოლოდ ანდაზა მოგახსენეთ.

უსლარმა ნერწყვი ძლივს გადაიკლავა.  
შეურაცხვეს თავისი ოფიცრების და  
სალდათების წინ. უკვირდა, როგორ იჯა-  
ვებდა თავს. მისმა არეულმა გონებამ  
სწრაფად უკარნახა გაეთოკა მთავარი,  
მაგრამ კონსტანტინე ძალიან ახლოს იდ-  
გა, სალდათებისაკენ მიბრუნებას და

გრიგოლ ჩიკოვანი  
შაბნახანელი მთავარი

ბრძანების გაცემას ვერ მოასწრებდი, მთავარი ისე წააგდებინებდა თავს.

კონსტანტინე მთელი თავისი ახოვნებით ზევიდან დასცქეროდა და ესეც ჰგვრიდა შიშს შტაბის უფროსს. სიმწარისაგან ტუჩებს იკვნიტდა. დამუშტული, აცხცახებული ხელები ზურგს უკან დამოილა.

მთავარმა გრძელ უღვაწში ჩაიღიმა.

— თქვენ ალბათ, როგორც ლინგვისტს გინდოდით გაგეგოთ აბუჩის მნიშვნელობა...

— დიახ, — წამოიყვირა უსლარმა, — მაგრამ... ეს შეურაცხყოფელი სიტყვა ხომ მე მაკადრეთ.

— იგი დაუბატიებელ სტუმარზეა ნათქვამი, — მშვიდად უთხრა კონსტანტინემ, — თუ თქვენს თავზე მიიღეთ, კეთილი ინებეთ და უკან გაბრუნდით.

— არა. უკან არ გაგბრუნდები.

— მაშ, თვითონ იხდით აბუჩად თავს, — უთხრა მთავარმა და დაცინებით გაუღიმა.

— მე ამას არ ვაბატიებთ, — ბარონი ავად შეჰყურებდა ქვევიდან და ეჩვენებოდა, რომ მთავრის წინ პატარავდებოდა, ილეოდა, ბეჩავდებოდა.

— მემუქრებით, გრაფო?! — გამომწვევად შეხედა დადემქელიანმა.

— როგორც შტაბის უფროსი არა, მაგრამ როგორც ადამიანი...

— ნუ ცახცახებთ, ბარონ. მე დამინებას არ ვაკადრებთ, გირჩევთ, უკან გაბრუნდით თქვენი სალდათებით.

— მე არ შევასრულებ თქვენს რჩევას.

— თქვენი ნებაა, მაგრამ გაფრთხილებთ, ამას შეიძლება უსიამოვნება მოჰყვეს და შედეგზე პასუხს თქვენ აგებთ.

— დიახ, მე ვაგებ, — უფრო ხმაოდ წამოიყვირა უსლარმა და ხმა ჩაუწყდა.

— არ მინდა ამ უდანაშაულო რუსი სალდათების სისხლი დაიდგაროს. ამიტომ არ აღვიდგებით წინ. მიბრძანდით, — უთხრა მთავარმა და ულაყს მოევლო. არ გამომშვიდობებია უსლარს, არ შეუხედავს, ისე მოსხლიტა ცხენი ადგი-

ლიდან, დაეშვა თავქვე. გასცლა თუ არა სალდათებს, იგრძნო, ოფლში ცურავდა, იგრძნო, რა დიდი ჯაფა დაუქდა თავის შეკავება.

მთავარი და მისი ამაღა გვიან ღამით ჩავიდა ქუთაისში.

ქალაქს ეძინა.

ნავთის ლამები ბეჭუტავდა ქუჩებში. არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

ადიდებული რიონი ყრულ მიდულუნებდა ქვიან და მალალ კალაპოტში.

სიჩუმეში ნელა შეატანა ფლოქვების მძიმე ხმამ. მთავარს ნება-ნება მიჰყავდა ულაყი, რომ ქუჩები არ გაეღვიძებია, არ დაერღვია სიწყნარე. არ უნდოდა გაეგო ქალაქს ასე გვიან მისი ჩამოსვლა, ასე უჩუმრად, ასე მალულად, მაგრამ ქვაფენილზე მაინც მკვეთრად გახმინა ფლოქვები.

წინათ მთავარი თავისი მრავალრიცხოვანი ამაღით ზარ-ზეიმით შემოვარდებოდა ქუთაისში. შორს ისმოდა სვანთა შმაგი ცხენების თქარა-თქური. ქუჩები ფეხზე დგებოდა. გამოეფინებოდნენ სახლებიდან, ეზოებიდან, გადმოდგებოდნენ აივნებიდან და ფანჯრებიდან, ხელს უქნევდნენ მთავარს დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბავშვები გვერდით მისდევდნენ ყვილ-ხივილით.

ქალაქი კეთილმასპინძლო რუსული ეგებებოდა კონსტანტინეს.

ახლა კი ჩუმად შემოიპარა მთავარი. თავი არ აუწყვია, მაგრამ მაინც გრძნობდა ფანჯრებთან მოჭდვარი ქალისა და კაცის ნამძინარევი თვალები რომ მიიცილებდა და ეგონა, იმ თვალების დამცინავი გამოხედვა სჭვალავდა.

ამასვე გრძნობდა ამაღაც. თავჩაღუნული მიჰყვებოდა უკან წინად თავაწეული და სახეანთებული. უსლართან შეხვედრის შემდეგ, ქალაქში ასე ქურდულად შემოპარვა მეორე ლახვარი იყო მათთვის.

ქუთაისში ბევრი ნათესავი და მეგობარი ჰყავდა კონსტანტინეს. აქ ცხოვრობდა მისი უფროსი შვილი გრიგოლი

ცოლ-შვილით, აქ ცხოვრობდა მისი ნი-  
დედრიც, მაგრამ არც ერთთან არ შე-  
ჩერდა. სასტუმროში დაიკავა ნომერი,  
თავისთან ამალიდან რამდენიმე კაცი  
დაიტოვა, სხვები ნათესავ-მეგობრებთან  
გაისტუმრა.

კონსტანტინე იმიტომ ჩავიდა ქუთა-  
ისში, რომ გაგარინი ენახა. უსლართან  
შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა, აღარ  
ხლებოდა გენერალ-გუბერნატორს.

რისთვის მისულიყო? ეთხოვნა უკან  
გაბრუნებია უსლარის ექსპედიცია!  
გვიან იყო. კარგად იცნობდა გაგარინს.  
ახლა თხოვნით აღარ დაიმცირებდა  
თავს. კეთილგანწყობილებაც ჰქონდა მა-  
სთან, მაგრამ რაკი უსლარის ექსპედი-  
ცია გაუზავნა სამთავროში, მასასადა-  
მე, ეს კეთილგანწყობილება შეირყა:  
გაგარინმა ეჭვი მიიტანა მასზე, სწავ-  
ლობს მის საქმეს, იმიტომ ღირსების შე-  
ლახვად მიიჩნია მისგლა და თავის მარ-  
თლება.

მეორე დღეს მთელმა ქუთაისმა გაი-  
გო მთავრის ჩამოსვლა. კონსტანტინე  
არავის ღებულობდა. დილითვე გაიგო,  
რომ გაგარინმა არამც თუ შეისმინა მი-  
სი ძმის ალექსანდრეს თხოვნა, დააბა-  
ტიმრა იგი და ბადრაგით გაისტუმრა  
ტფილისს.

ამ ამბავმა მთლად მოუშხამა ისედაც  
მოშხამული გული. არ იცოდა ალექსან-  
დრეს დატუსაღების მიზეზი. ეს უსლა-  
რის ექსპედიციის გაგზავნაზე უფრო  
დიდი ლახვარი იყო მისთვის. დაუბატი-  
მრეს სათაყვანო ძმა, მისი ქომაგი, მოსა-  
რჩლე და მოსიყვარულე. რა მიზეზით  
მიიღო გაგარინმა ასეთი გადაწყვეტილე-  
ბა?! ნუთუ იმიტომ, რომ მე გამომესარ-  
ჩლა?!

არ იცოდა, რა იყო ნერვიულობა, მი-  
უხედავად იმისა, რომ ბევრი უბედურე-  
ბა ჰქონდა გადატანილი: ახალგაზრდა  
მოსისხლეებს უნდა მოეკათა, გადაურ-  
ჩა ბევრ სხვა ხიფათს, გადაიტანა ათასი  
უსიამოვნება, დაუმსახურებელი შუღლი  
და მტრობა, მაგრამ ისეთი მაგარი ნები-  
სყოფისა იყო, ვერაფერმა ვერ გაღუ-  
ნა, ახლა კი უდალატა წერებში.

არა. არ მივა გაგარინთან. დაუცდის,  
რა ამბავს ჩამოიტანს ის ცბიერე, ბაჭყალი  
ნი. არავის წინაშე არავითარ დანაშაულს  
არ გრძნობდა. მშვიდად შეეძლო თვა-  
ლში ეცქირა ყველა სათვის და თავისი  
სინდისისათვისაც.

დადეშქელიანის სასტუმროში ჩაკეტ-  
ვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქა-  
ლაქში. რას არ მიაწერდნენ ამ ამბავს.  
ისეთი ხმაც კი გავრცელდა, თითქოს  
მთავარი შინაურ პატიმრობაში ჰყავდა  
გენერალ-გუბერნატორს.

აღშფოთლდა საზოგადოება. უკვირ-  
დათ, მთავარმა ისეთი რა ჩაიდინაო.  
ყველგან — ქუჩებში, მაღაზიებში, ბა-  
ზარში, ოჯახებში, დაწესებულებებში  
ამაზე ლაპარაკობდნენ.

გაგარინის ყურამდეც მიიღწია ამ  
ხმამ. იგრძნო, განაწყენებული იყო მთა-  
ვარი. — „იქნებ არ იყო საჭირო, უსლა-  
რის სენათში გაგზავნა? — დაეჭვდა  
გენერალ-გუბერნატორი, — მეორე დღეა  
ჩამოსულია და არ მესტუმრა“. — გადა-  
წყვიტა თვითონ ხლებოდა დადეშქე-  
ლიანს.

მთავარი ტახტზე იყო წამოწოლილი,  
სასტუმროს სადარბაზო შესასვლელს  
გაგარინის ეტლი რომ მიადგა. გაუკვი-  
რდა კონსტანტინეს, მოულოდნელად  
რომ ეახლა გენერალ-გუბერნატორი. ის  
იყო, წამოდგომა დააბირა, რომ კიბეზე  
აჩქარებული ნაბიჯის ხმა გაისმა. მთავა-  
რი წამოდგა, თმა გადაივარცხნა, ჩოხა  
გაისწორა, რომ ამ დროს კარზე დააკა-  
ქუნეს.

— მობრძანდით!

კარი გაიღო, ზღურბლზე ექვლნი შე-  
დგა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, — მხედ-  
რულად მიესალმა გენერალ-გუბერნა-  
ტორის ადიუტანტი მთავარს, — მისი  
ბრწყინვალეება გაგარინი გეახლათ.

— თხოვეთ.

გრიგოლ ნიკოზანი

შაჰნასახილი მთავარი

ეკელნი ქუსლებზე შეტრიალდა და გაბრუნდა, კარი მიიხურა.

მთავარს უნდოდა ღერეფანში შეკვებებოდა სტუმარს, მაგრამ კარი ისევ გაიღო და ოთახში გაგარინი შემოვიდა.

— შემთხვევით გავიგე თქვენი ჩამობრძანება, თქვენო ბრწყინვალეზავ, — მისალმების შემდეგ უთხრა გაგარინმა, ქუდი მოიხადა და ადიუტანტს გადასცა.

კონსტანტინემ სავარძელი შესთავაზა. მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ ერთმანეთის პირდაპირ.

ეკელნი გავიდა.

არც ერთმა არ იცოდა, რითი დაეწყოთ საუბარი.

გაგარინმა მაშინვე შეატყო, რომ მთავარი ისე გულთბილად არ შეხვდა, როგორც წინათ.

— ჩემზე ნაწყენი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალეზავ...

— ვერ დავფარავ, გაკვირვებულნი ვარ. — უთხრა მთავარმა.

— არ შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავი.

— უსლარის ექსპედიციის გამოგზავნა იმდენად არ გამკვირვებია.

აბა რითი ხართ გაკვირვებულიო, ჰკითხეს გენერალ-გუბერნატორის თვალებმა.

— ჩემი ძმის ალექსანდრეს დატუსაღებით, — უთხრა კონსტანტინემ.

— მან სამხედრო კანონი დაარღვია. მოვგეხსენებთ, კანონი კანონია, და სამხედრო, მით უფრო.

— რა ბრალი მიუძღვის ასეთი ჩემს ძმას?!

— მას ერთი წლის წინათ დაუმთავრდა შევებულება და ლეგიონში არ დაბდუნდა. ომის დროს ეს ღებერტირობაა.

— არ მოგახსენათ მიზეზი, რატომ არ დაბრუნდა?!

— მომახსენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზეზი საპატიო არ გახლავთ.

ეს ისე დამაჯერებლად და სინანულით უთხრა გაგარინმა, რომ კონსტანტინემ ვერაფერი უბასუხა. დაინახა, რომ გენე-

რალ-გუბერნატორი სხვანაირად უნდა იქცეოდა, გული მოუღება.

— უსლარის გამოგზავნა რატომ ინებეთ?! — ჰკითხა უფრო რბილი კილოთი მთავარმა.

— რომ ბოლო მოეღოს ყოველგვარ ავ ხმებს თქვენს ავტონომიაზე.

— რატომ უწყვთ ანგარიშს ავ ხმებს?!

— თქვენი ინტერესებისათვის, — უთხრა გაგარინმა და გაიმეორა: — დიას, თქვენი ინტერესებისათვის.

კონსტანტინემ შეხედა და დარწმუნდა და გენერალ-გუბერნატორი გულწრფელი იყო. სითბო ჩაუღდა თვალში, არ უთხრა, რომ უსლარი ის კაცი არ იყო, რომელიც მიუღდგომლად, მიუკერძოებლად შეაფასებდა და განსჯიდა მის საქმეს. თუმცა არც იცოდა, მის საქმეში რა იყო განსასჯელი. არც ის უთხრა, რომ უსლარს გზაში შემოხვდა და წაღაპარაკდნენ.

— უსლარმა სასწრაფოდ უნდა წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი მეფისნაცვლისათვის, — უთხრა გაგარინმა, — მერწმუნეთ თქვენო ბრწყინვალეზავ, არ მეჭერა იმ ავი ხმების. ვისწრაფვი, რაც შეიძლება მალე მოეღოს მათ ბოლო. გთხოვთ, ვიდრე მოხსენებით ბარათს მივიღებდე, ქალაქში დარჩეთ. თქვენთვის მუდამ ღიაა ჩემი ოჯახის კარი. მოგეხსენებთ, რა პატივსა გცემთ ჩემი მეუღლე.

მთავარმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა. ფანჯრიდან შემოკრილ შზის სხივზე გაბრწყინდა მისი ოქროსფერი თმა და გაუნათდა ლამაზი სახე.

გენერალ-გუბერნატორს ყოველ შეხვედრისას სულ უფრო ხიბლავდა მისი ვაჟკაცური, რაინდული იერი, გამთბარი სულიერი სიწმინდითა და კეთილშობილებით.

გაგარინს ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად. ბევრი რამ გადაიღო მისი ზნეჩვეულებიდან. აღმერთებდა ცოლს. მოსწონდა, ხიბლავდა მისი გულკეთილობა და სითნობა. ცოლი ყველა ჩაგრულისა და გაჭირვებულის მფარველი იყო. მოსიყვარულე, პურმარაილიანი. თითქმის



ყოველ კვირა დღეს მათ ოჯახში ქუთაისის რჩეული საზოგადოება იყრიდა თავს.

— ხვალ კვირა გახლავთ, თქვენ ბრწყინვალეობამ, — უთხრა დამშვიდობებისას გაგარინმა მთავარს, — დიდად ასიამოვნებთ ჩემს მეუღლეს, თუ პატივს დამღებთ და ვახშმად გვეწვევით. ეს მისი თხოვნაა. მე მხოლოდ დავალებას ვასრულებ, — უთხრა და გაუღიმა.

ეს მართლაც ასე იყო. თვითონ გაგარინს კი იმიტომ უნდოდა მთავრის დაპატიება, რომ სტუმრები ნახავდნენ კონსტანტინეს მის ოჯახში და შეწყდებოდა ქალაქში მთავრის შინაურ პატიმრობაზე ლაპარაკი.



უსლარის მოხსენება იკვიანებდა.

გენერალ-გუბერნატორი დღეაღდა მართლაც შინაურ პატიმრობას ჰგავდა მთავრის მდგომარეობა. გაგარინი მთელი გულით თანაუგრძნობდა მას, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა. კონსტანტინე უკან არ გაბრუნდებოდა, ვიდრე უსლარი სვანეთს არ დატოვებდა. არადა, სანამდე იქნება ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში მთავარი?!

ქალაქში ისევ აღაპარაკდნენ კონსტანტინეზე, რა და რა ჭორს არ ავრცელებდნენ. ეს ყველაფერი მთავრის ყურამდე აღწევდა და გაგარინის ყურამდეც.

„იქნებ, არ იყო საჭირო, უსლარის სვანეთში გაგზავნა, — ისევ გაიფიქრა ერთ მშვენიერ დღეს გაგარინმა, — იქნებ არც ისეა საქმე, როგორც შტაბის უფროსმა წარმომიდგინა! ნუთუ შეცდა, უსლარი?! მისი შეცდომა ჩემი შეცდომაა. რას იტყვის ხალხი რას იტყვის მისი უდიდებულესობა მეფისნაცვალის!... ნუთუ უსლარმა განგებ გააზვიავდა მთავრის ამბავი! იქნებ, ჩიტი ბრდღვნად არა ღირდა! — ერთი მხრივ, უნდოდა, მართლა გაზვიადებული ყოფილიყო, ბრალი არ დადებოდა მთავარს, მაგრამ, მეორე მხრივ, გაგარინს

ჩირქი მოეცებოდა ნაჩქარევ შემქმნელისათვის. იტყოდნენ, გენერალ-გუბერნატორი შეშინდაო. არაფრისათვის სვანეთში ექსპედიცია გაგზავნაო. გაგარინს მაინც ერჩივნა მშვიდობა ყოფილიყო სვანეთში, მშვიდობა ყოფილიყო კონსტანტინეს ავტონომიაში და თვითონ მოეცებოდა ჩირქი. „რა მოხდა მერე! თქვან, აჩქარდაო გენერალ-გუბერნატორი. თქვან, შეშინდაო. ოღონდ კონსტანტინეს ავტონომიაში მშვიდობა იყოს და არ ვინაღვლებ, რომ მისმა უდიდებულესობა მეფისნაცვალმა საყვედური მითხრას აჩქარებისათვის“, — ფანჯრების წინ ბოლოს სცემდა ჩაფიქრებული და პაპიროსს ზედხედ ეწეოდა. კიტელის დიღები შეხსნილი ჰქონდა. რიონიდან თბილი, ნესტიანი ნიავი მოდიოდა, სიცხისაგან მკერდზე ოფლის წინწყლები ასხდა, — რომელ მთავარს, ან მემამულეს ჰყოლია ხალხი კმაყოფილი! რა დაქიანებით მარწმუნებდა, პიოტრ კარლოვიჩი, რომ სვანი ხალხი არც ერთ მთავრის ხელში არ ყოფილა ისე შეწუხებული, როგორც კონსტანტინეს ხელშიო. არა. არ უყვარს მას კონსტანტინე. ველურს უწოდებს. თვითონ ჩვენ ვიქცევით ველურებივით. ჩვენ გვინდა ჩვენზე გამოგონილ დრომოჭმულ, აბსურდამდე დასულ ავტონომიას ლიკვიდაცია ვუყოთ და ძალით ვიგონებთ ამისათვის მიზეზს, შაზზე ვართ, ცილს ვწამებთ მთავრებს. მიხეილ შერვაშიძეს, კონსტანტინე დადგეშელიანს, ოდიშის დედოფალს ეკატერინე ჭავჭავაძეს. დიდი ხნით წინათ გამოუტანეს განაჩენი ამ ავტონომიებს. ავტონომია თავის დროზე ხელშეწყობის უმალეს საბჭოში გამოიგონეს. ახლა ჩვენ უნდა გამოვიგონოთ მათი გაუქმების საბაბი და აი, ამისათვის გავუზავნენ სვანეთის მთავარს უსლარი. ჩემი ხელით ვაკეთებ ამ ბინძურ საქმეს. ამაჲ ჩემს ადგილზე კონსტანტინე არაფრის დიდებით არ იკადრებდა. ამას ქართვე-

გრიგოლ ჩოქოვანი  
უბანსახელი მთავარი



ლი ინტელიგენტი არ იკადრებს. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს მისაბადი ქართველებისათვის. რა აქვს კონსტანტინე დადევნელის ულმობელი მთავრის?! შემიცდინა უსლარიმა. როგორ დავიჯერო, რომ მთავარი დესპოტივით ექცევა თავის ხალხს“.

ლელავდა სვანეთის მთავარიც. — „რას ივლევს, რას ეძებს უსლარი ასეთს?! — დარწმუნებული იყო, რომ კარგ ამბავს არ უმზადებდა. მაინც გული საგულეში ჰქონდა. სიმართლის არ ეშინოდა, მაგრამ უსლარისაგან სიმართლეს არ ელოდა. ჯერ კიდევ გაცნობის პირველ დღიდან შეეპარა ეჭვი მის კაცურ კაცობაში, არ მოეწონა ბარონი, არ მოეწონა იქ, ხუდონში შეხვედრის დროსაც; გამორეცხილი თვალთ ბოროტად რომ შეჰყურებდა ქვევიდან. ხაფანგში გამოჰწყვდევულ მხეცს ჰვავდა. ახლაც წინ უდგას მისი თვალები. ასეთი თვალის პატრონს არ შეუძლია პატიოსანი იყოს. რა მთავარი ვარ მე?! ვილაც გადამთიელი აზნაური ივლევს ჩემს საქმეს. რა ეშმაკია ავტონომია?! თავს ვიტყუებ, მთავარი ვარ-მეთქი. მთავარს ასე ვერ მოექცევიან, — მიმოდოდა ნომერში. ვერ ეტეოდა მისი სული ოთხ კედელში, ვერ ეტეოდა მისი ტანი ოთხ კედელში, — რატომ ვეწვიე ვახშმად გაგარინს?! მან გამომიგზავნა ის აზნაური ავტონომიაში. ჩემთან იმიტომ მოვიდა გაგარინი, რომ დავემშვიდებინე. ეს თვალთმაქცობა იყო. ვახშმად იმიტომ მიმიწვია, რომ ხალხის ეჭვი გაეფანტა. ჰო, იმიტომ მიმიწვია ვახშმად. რა თავაზიანი იყო, რა ენამოქარგული“.

არავინ ჰყავდა ქუთაისში ისეთი, რომ ტკივილები და ეჭვები გაენდო. ნომერში ვერ ისვენებდა. ქალაქში გასვლა ერიდებოდა. არ უნდოდა, ვინმე ნაცნობი შეხვედროდა.

გვიან, ღამით, ქალაქს რომ ეძინა, მაშინ გადიოდა ნომრიდან. სეირნობდა უკაცრიელ ქუჩებში, მიმოდოდა რიონის მღალ ნაპირზე აღმა-დაღმა. მდინარის დუდუნი თავის ენგურს ავთნებდა და თითქოს ამშვიდებდა. ეგონა, რომ


ამშვიდებდა. დადიოდა მარტო, არ ვაიყოლიებდა მზღებელს. არ უნდოდა უბილოეს ადამიანსაც კი დაენახა, რომ მოფარვით სეირნობდა, ადამიანს ემალებოდა, გული ტკიოდა.

ქუჩაშიაც ვერ ეტეოდა მისი სული, მისი ტანი, თითქოს ფიზიკურად გრძნობდა სულის ტკივილს, სხეულის ტკივილს. ვერა, ვერ ამშვიდებდა რიონის დუდუნი. აქ, შორს, ძალიან შორს, ძალიან მაღლა ეჩვენებოდა ცა და თავი სადღაც ქვევით, წვევარაში ეგულებოდა. აქ შორს, ძალიან შორს, ძალიან მაღლა ეჩვენებოდა ვარსკვლავები, ძალიან შორს ბუბუტავდა ისინი. აქ კი, თავის სამთავროში ახლო, ძალიან ახლო იყო ცა, ძალიან ახლო ბრდღვიალებდა ვარსკვლავები, კაშკაშებდა ვარსკვლავები. ეგონა, ხელს აიწვდენდა და შეეხებოდა.

რიონის ნაპირზე სეირნობისას ცოლშვილზე ფიქრობდა. „რა ელით მათ? ეკატერინე ჰვაგჰავაძესავით მეც ამიკრავენ გულა-ნაბადს ჩემი მიწა-წყლიდან. ყველაფერს ავიტან, ოღონდ ცოლშვილს არ შეეხონ. ალექსანდრეს არ დაერიდა გაგარინი. ეს კაცი ისე მეპირფერებოდა სტუმრებთან, თითქოს არაფერი დაემსვენებოდა ჩემთვის. პართალია, ალექსანდრემ სამხედრო კანონი დაარღვია, მაგრამ გაგარინმა ხომ იცოდა, რომ ჩემი გულისათვის ჩაიღინა დანაშაული. ნუთუ აუცილებელი იყო, ალექსანდრეს ასე დამცირება?! დაპატიმრება და ტფილისში ბადრაგით გაგზავნა?! იქნებ, სამხედრო კანონით ეს აუცილებელი იყო...“ — არ უნდოდა, გაგარინზე ცუდი აზრი ჰქონოდა, მაგრამ ეჭვი დაუნდობლად უძვრებოდა თავში, უმღვრევედა გონებას, უშხამავდა გულს.

მოვიდა უსლარის მოხსენება. გაგარინმა სულის ერთი მოთქმით ჩაივითხა გრძელი ბარათი. გაეხარდა და თანაც ეწყინა. გაეხარდა ის, რომ ჩიტის ბრდღვენად არ ჩაუთვლიდნენ ექსპედი-





ციის გაგზავნას, ჩირქი არ მოეცხებოდა ნაჩქარევ გადაწყვეტილებად არ ჩაეთვლებოდა. ეწყინა ის, რომ გამართლდა უსლარის აზრი, უფრო დიდი ბრალი ედებოდა მოხსენებაში მთავარს.

მოხსენება ობიექტური ადამიანის ხელით არ იყო დაწერილი. მასში აშკარად გამოსჭვივოდა უსლარის ლვარძლი და მძულვარება, კონსტანტინესთან ხუდონში შეხვედრისას კიდევ უფრო რომ განეწყო ბარონი, მაგრამ გაგარინი ვერ ხედავდა ამას.

გამართლდა მთავრის ექვი: იმის გარდა, რაც წინასწარ ჰქონდა უსლარს კონსტანტინესათვის დაწამებული, მოხსენებაში სხვა ბრალსაც სდებდა. ისე დამაჯერებლად, სარწმუნოდ ასაბუთებდა ბრალდებას, რომ გენერალ-გუბერნატორს არ შეეძლო არ დაეჯერებინა თავისი შტაბის უფროსისათვის.

კონსტანტინეს ავტონომია მოხსენებაში დახატული იყო, როგორც ძალადობის, უსამართლობის, ყაჩაღობის, ხალხის ძარცვა-ლლეტის, რუსთხელმწიფის მმართველობის მოწინააღმდეგეების ბუდე. ხალხი აქ თითქოს პირველყოფილი ადამიანებივით ცხოვრობდა; არ სწამდათ ქრისტეს რჯული, მეფობდა შიმშილი და სიღატაკე, სისხლის აღების ადათი ანადგურებდა დიდსა და პატარას, გლეხს არ ეცალა შრომისათვის, იარაღი ეჭირა ხელში თავის დასაცავად, და ყველაფერი ამის მიზეზი იყო კონსტანტინე დადემქელიანის აღვირახსნილობა, იგი შუღლსა და მძულვარებას არა მარტო თავის ავტონომიაში თესავდა, თავისუფალ და სადადიანო სვანეთის საზოგადოებაშიც ურევდა ხელს.

კონსტანტინესა და ალექსანდრეს სვანეთიდან წამოსვლას უსლარი მოხსენებაში ერთ იგავს ადარებდა: მელას ძაღლები მისდევენ. მელა კულის ქნევით აქეთ-იქით აწყდება და ძაღლებს გზას უბნევს, ან დაოთხილი მირბის და მერე ერთბაშად წაუწყება ძაღლებს, სულს განაბავს, თავს მოიმკვდარუნებს. ძაღლები დროზე ვერ შეიკავებენ თავს, ზედ გადაახტებიან მელას და ინერციით ვარ-

ბიან, მელა დროს იხელთებს და სხვა გზით მოკურცხლავს.

იი, ასე უნდოდათ შევეცდინეთ, თვალი აეხვიათ ჩვენთვის ძმებს დადემქელიანებს, მაგრამ ის ძაღლები არა ვართო, ასკენიდა მოხსენებაში გრაფი და მოითხოვდა კონსტანტინე დადემქელიანი თავის ავტონომიაში არ გაეშვათ.

არა. არ ვახარა გაგარინი უსლარის მოხსენებამ. არ მოელოდა ასეთ ამბავს სვანეთში. ძნელი სარწმუნო იყო მისთვის კონსტანტინეს ეგზომ დიდი დანაშაული.

მთელი დღე ცუდ გუნებაზე იყო დაიბნა. გამოსავალს ვერ პოულობდა. მეფისნაცვალმა იცოდა, უსლარის ექსპედიციის სვანეთში გაგზავნის ამბავი და მის მოხსენებას ელოდა. გაგარინს მიღებისთანავე უნდა გაეგზავნა იგი მისთვის. გულში კი არ უნდოდა ასეთი მოხსენების გაგზავნა. — „რას გადაწყვეტს მისი უდიდებულესობა ბარიატინსკი? ნეტა არ გაგეგზავნა უსლარი სვანეთში, — უთხრა გულმა, — როგორ არ უნდა გაგეგზავნა?! ვალდებული იყავი“, — უთხრა გონებამ.

ყოველთვის ცდილობდა სამსახურებრივი საქმეების დროს უფრო გონების ხმისათვის მიეგდო ყური და იგი ამას ზოგჯერ სინანულით ასრულებდა. გულს ეურჩებოდა. ხშირად ეურჩებოდა ერთმანეთს გული და გონება.

მთელი დამე თვალი არ მოუხუჭავთ გაგარინსა და მის ცოლს. ორივეს გონებამ სძლია გულს. დილით მოხსენება ტფილისში გაიგზავნა.

სალამო ხანს გენერალ-გუბერნატორმა შინ მიიწვია მთავარი, რომ მათ შეხვედრას ამით ოფიციალური ხასიათი არ მიეღო და მეგობრული ყოფილიყო. მოკლედ გააცნო უსლარის მოხსენების შინაარსი.

დადემქელიანმა მშვიდად მოუხმინა. — სხვანაირ მოხსენებას არც ველოდი, — უთხრა მასპინძელს.

**პრიგოლ ნიკოზანი**  
**შანასანელი მთავარი**



გაგარინმა ვერ ჰკითხა, სხვანაირ მოხსენებას რატომ არ ელოდითო, იმდენად გააკვირვა მთავრის სიმშვიდემ.

— მე კი არ ველოდი... არ დავიფარავთ, გული მატყინა მოხსენებამ, — გაგარინი ფანჯარასთან იდგა. საღამოს ბინდი მკრთალად ანათებდა მის უძინარ თვალებს, ფერმკრთალ, სევდიან სახეს. — არ მინდოდა, მოხსენება ასეთი ყოფილიყო. დიახ, არაფრით არ მინდოდა, თქვენო ბრწყინვალეობავ.

ჩამოვარდა დუმილი. გაგარინი ბოლთას სცემდა. მთავარი კი არაფრით არ ამქლივებდა. მღვლეარებას. უნდოდა, არ ენერვიულა გაგარინს და კინაღამ უთხრა, დამშვიდდითო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ეს დაამკვირებდა გენერალ-გუბერნატორს. მასპინძელი ხედავდა, თანაგრძნობით რომ შეჰყურებდა სტუმარი და ამან კიდევ უფრო ააღელვა. სინდისის ქენჯნა იგრძნო.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, — შედგა მთავრის წინ, მერე სავარძელში ჩაჯდა მის პირდაპირ, — გთხოვთ, ტფილისში წაბრძანდეთ და მის უდიდებულისობა მეფისნაცვალს ეახლოთ.

სტუმარმა შეატყო, როგორ უპირდა ამის თქმა და მაინც ჰკითხა, მეფისნაცვალს რატომ უნდა ვეახლოვო.

— მისი უდიდებულისობა განიხილავს უსლარის მოხსენებას.

— მერე?! — არ შეხედა, ისე ჰკითხა მთავარმა.

— მხოლოდ ის გადაწყვეტს, რა მიმართულებას მისცემს თქვენს საქმეს.

— ჩემს საქმეს, — გაიმეორა კონსტანტინემ. ისევ წამოუტივტივდა აღრიწდელი ეპკები. გაგარინს ისევ არიდებდა თვალს. ფანჯარაში იყურებოდა.

ფანჯარაში ღამე იდგა.


მეფისნაცვალს არ მოეწონა უსლარის მოხსენება. ასეთ საქმეში ხელმოცარული ბარონის აღწერილი ამბავი გაზვიადებული ეჩვენა, საზიანო ქველმოქმედებად ჩათვალა ექსპედიციის გაგზავნაც და მთავართან შეხვედრა დროებით გა-

დალო. დავუცადოთ უსლარის დამატებით მოხსენებას, ახლა, იქმეზ... კონკრეტული და საყურადღებო ცნობები მოგვაწოდოსო.

მთავარს ბარათი გაუგზავნა. ბოდიში მოუხადა. იძულებული ვარ, მოუცლელობის გამო ჩვენი შეხვედრა გადავდოთ. ურჩევდა ქუთაისში დაბრუნებულიყო და იქ დალოდებოდა მოწვევას.

მეფისნაცვლის ბარათმა უფრო დააეჭვა და დააფიქრა კონსტანტინე. გაგარინმა ტფილისში გაგზავნა, მეფისნაცვალმა არ მიიღო, უკან გააბრუნა, სვანეთში წასვლის უფლებას არ აძლევდნენ და დარდი უფრო ღრმად შემოაწვა. ათამშებდნენ. არავინ ეუბნებოდა, რომ ავტონომია თვალის ასახვევად ჰქონდათ მოგონილი და დიდი ხანია მთავარი აღარ იყო. კონსტანტინე რომ არ დაემშვიდებოდა, ბარათინსკიმ თავის ახალგაზრდობის დროინდელი მეგობარი, პოლკის უფროსი ივანე ალექსანდრესძე ბარტოლომეი მიუჩინა მზრუნველად, ქუთაისში გააყოლა და მთავრისათვის საკმაოდ დიდი თანხა გადაურიცხა ბარტოლომეის. ამავე დროს გაგარინი გააფრთხილა, დადეშქელიანისათვის შესაფერი ცხოვრების პირობები შეექმნა, პატივისცემითა და ყურადღებით მოქცეოდა.

ბარტოლომეი კარგად იცნობდა სვანეთს, სვანების ადათ-წესებს, სხვაზე უფრო ის გამონახავდა მეფისნაცვლის აზრით მთავართან საერთო ენას. ბარათინსკის უკეთესი კაცი არ ეგულებოდა მთავრის მზრუნველად. შეცდა მეფისნაცვალი. ვერ გაუწია იმას ანგარიში, რომ ბარტოლომეი როგორც ადამიანი ამ საქმისათვის სრულიად შეუფერებელი იყო. უაღრესად პატივმოყვარე, სამსახურში დაწინაურებისათვის ყველაფერს იკადრებდა, ამპარტავანი, უგულო, მის ქცევაში, მიხრა-მოხრაშიც კი ჩანდა, რომ ამ კაცს ადამიანი არ უყვარდა. შეუხედავი იყო, დაბალი, ლიბრგადაკრული თვალები ერთმანეთთან ახლო ეჯდა. ქალებისთვის ჰკუთას კარგავდა, მაგრამ მათ შორს ეჭირათ თავი. ამას საში-



ნლად განიცდიდა პოლკოვნიკი. ერთ დროს ამის გამო ხალხს განერიდა, ჯაგრის გასაქარვებლად ნუმისმატობას აყოლებდა გულს, მაგრამ მალე მობეზრდა, დიდი ხანი ვერ ჩაიკეტა თავის ნაჭუჭში. პოლკის უფროსის წოდებას ვერა და ვერ ასცდა. მისმა მეგობარმა ბარიატინსკიმ მის ხანში მეფისნაცვლობის თანამდებობამდე მიადწია. თვითონ კი ერთ ადგილზე იდგა. შუროთ სკდებოდა მეგობრის წარმატებით და მიანიც მის კართან იყო დღენიადგ ატუხული და დაწინაურების მოლოდინში ფინიასავით შესციცინებდა თვალში.

ბარიატინსკიმ, დაწინაურების მაგიერად, კონსტანტინე დაღმუქელიანის მზრუნველად რომ დანიშნა, ამან მთლად გაააფა, გული მოუშხამა და გადაწყვიტა, ჯაგრი მთავარზე ეყარა. ზურგს უკან დასცინოდა. სპილოს დამტარებლად დამნიშნესო, შესჩიოდა მეგობრებს და ამ დროს ბრტყელი ტუჩები ზიზლით მოექცეოდა. გრძელი, შუახე გაყოფილი, წაწვეტებული ბოლოებით მარჯვნივ და მარცხნივ გაწეული წვერი შეუტოკდებოდა და ლიბრბადაკრულ თვალეში ყინული ჩაუდგებოდა.

მთავრისა და ბარტოლომეის შორის გაცნობის პირველ დღიდანვე ურთიერთ სიძულვილი წარმოიშვა. მხოლოდ კონსტანტინეს შეეძლო ამ კაცის ატანა. მოთმინებიდან რომ არ გამოსულიყო, ცდილობდა განრიდებოდა, მაგრამ ბარტოლომეი ყველგან ლანდივით დაჰყვებოდა. მთავრისათვის თვალყური რომ ედევნებინა, თარჯიმნის ნიღბით შეფარული ჯაშუში მიუჩინა. ეს არ იკმარა, იმ სასტუმროში დაბინავდა, სადაც კონსტანტინე ცხოვრობდა, რომ თვალი ჰეროდა, ვინ მიდიოდა მასთან. ყური მის ნომრის კედელზე ჰქონდა მიდებული. მთავარი მაშინვე მიხვდა, რატომ რაიკავა ნომერი სასტუმროში ბარტოლომეიმ, ისიც შეიტყო, ვინ იყო ჯაშუში და ისიც, „მზრუნველს“ ყური მისი ნომრის კედელზე რომ ჰქონდა მიცეცებული.

გაგარინი ან სხვა ვინმე წარჩინებული

პირი თუ საზოგადო მოღვაწე სადილად თუ ვახშმად რომ მიიწვევდა მთავარს, ბარტოლომეი დაუპატიებლად მივიდოდა და იმ ოჯახში. სუფრანსთან მთავრის წინ დაჯდებოდა და მის დასამცირებლად ფრანგულად ანგდოტებს ჰყვებოდა, თვითონ იცინოდა თავის ანგდოტებზე. და მალულად სტუმრებს სახეზე დააქერდებოდა, ჩემი ოხუნჯობა მოეწონათ თუ არაო.

ყველა ხვდებოდა, რომ პოლკოვნიკი ქარაგმულად მთავარზე ქილიკაობდა და ეს მხოლოდ ზიზლსა და უკმაყოფილებას იწვევდა სტუმრებში. ვერავინ ეუბნებოდა, ამას რას კადრულობთო, რადგან კონსტანტინე მიხვდებოდა, რომ ანგდოტები მას ეხებოდა და, ღმერთმა უწყის, რას დამართებდა დაუპატიებელ და თავხედ სტუმარს.

საბედნიეროდ მთავარმა ფრანგული არ იცოდა. სხვის ოჯახშიც რომ წინ ეჯდა ბარტოლომეი და თვალში ეკლად ესობოდა, ამას დიდი გაჭირვებით ითმენდა. ხასიათი წაუხდებოდა, სუფრა ჩაუმწარდებოდა.

მძიმე, შეურაცხმყოფელი იყო მთავრისათვის ასეთ პირობებში ცხოვრება, მაგრამ მტკიცე ხასიათისა იყო, დიდი თავშეკავების უნარი ჰქონდა და ითმენდა. გულს იმით იფხანდა, რომ ბარტოლომეის ძალად არ აგდებდა. არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ ეს „კაცუნა“ მეფისნაცვლის მიერ მისთვის ჩარიცხულ ფულს გამოზოგვით რომ აძლევდა, კრუხივით ზედ აჯდა.

კონსტანტინეს ფული არ უყვარდა, ხელის ჭუჭყად მიაჩნდა. ფუფუნებას არ იყო ჩვეული, ცოტა ყოფნიდა. ესეც კი აღიზიანებდა ბარტოლომეის. გულზე სკდებოდა, რომ მთავარი არაფრით არ იყო მასზე დამოკიდებული.

გრძნობდა, რომ კონსტანტინესათვის იგი არაარაობას წარმოადგენდა. ამავე დროს ხედავდა, რომ მთავარი კაცთმოყვარე იყო, ასეთ კაცზე იტყვიან, ჰიანჭ-

ზრივალ ჩიქოვანი  
შპანასანოვი მთავარი

ველას ფენს არ დაადგამსო. პარტივის სცემდა, თავმდაბლად ევიდებოდა ყველა პარტიოსანს, სამართლიან ადამიანს და მას რომ ასეთ კაცად არ თვლიდა, ეს ცეცხლს უკიდებდა.

დაწინაურების შიძიებელ პოლკოვნიკს ისიც ხეტავდა გულზე, რომ გაგარინი, ვიცე-გუბერნატორი კოლუბიაკინი და ქუთაისის მთელი მოწინავე საზოგადოება დიდი პარტივისცემით და ყურადღებით ექცეოდნენ სვანეთის მთავარს.

კონსტანტინეს მუდამ ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები ეხვია ვარს. სასტუმროში უამრავი მნახველი მოსდოდა. ზოგი მერტსმერტი პარტივისცემისაგან გულისტყვივლს გამოთქვამდა, რომ მთავარი არასაკადრის მდგომარეობაში იყო ჩაყენებულია.

შინ და გარეთ კონსტანტინეზე ლაპარაკობდნენ. რჩევა-დარიგებას აძლევდნენ, რომ რაიმე ზომები მიეღო. კონსტანტინე არ საჭიროებდა ასეთ რჩევა-დარიგებას.

ბარტოლომეიმ ვერ აიტანა, ასე გულთბილად რომ ექცეოდა ქუთაისის საზოგადოება მთავარს, და გადაწყვიტა შური ეძია: ქალაქში ერთი ვინმე, გვარად ტოლსტოვი, ცხოვრობდა. რომელიც ვრავ ტოლსტოის ბუში. საკმაოდ განათლებული კაცი. სამხედრო სკოლაში დამთავრებული ჰქონია და წარმატებისათვისაც მიუღწევია, მაგრამ ჯარში რაღაც დაუშავებია. ოფიცრის ხარისხი აუყრიათ. ჯავრისაგან დაავადებული ამის გამო. ჯარიდან გაუნთავისუფლებიათ. ისე გადარიბებულია, შიშველტიტველი დარჩენილა. ერთ ძველ მეგობარს სამხედრო ექიმის ტანსაცმელი უჩუქებია. ამდგარა და ბედის საძიებლად სხვადასხვა ქალაქში დაუწყია წაწალი. ბოლოს ქუთაისში ამოუყვია თავი. აქ სამხედრო ექიმად წარსდგომია საზოგადოებას. აი, ასეთი „მრჩეველი“ მიუგზავნა მთავარს ბარტოლომეიმ.

ტოლსტოვიმ საკმაოდ რომ მოიპოვა მთავრის ნდობა, ერთხელ დიდად გულშემმატვივარი კაცივით შეაპარა:

— ხომ ხელავთ, თქვენო ბრწყინვა-

ლებავ, როგორ მოგეცათ მეფისნაცვლი და როგორ გექცევათ გაგარინის ორინვენი პირგვერობენ, ზუტაცს უკან დაუვიინან, როგორც ის წვერტხინცარო პოლკოვნიკი, ჯაშუშად რომ მიგინინა ბარიატინსკიმ. ბარტომეული თქვენს ფულსაც არ გაძლევთ. როდემდე უნდა ითმინოთ ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა მეფისოდენა კაცმა?! ნურც მეფისნაცვლისაგან ელით რაიმე სიკეთეს და ნურც გენერალ-გუბერნატორისაგან. ისინი უსლარის დამატებით მოხსენებას ელიან და, ხელთ რომ ივდებენ, ვინ იცის, რა არ გაკადრონ... ჯობია, ხელმწიფე ალექსანდრე ნიკოლოზის ძესთან ეძიოთ გზა... მე კარგად ვიცი ფრანგული. თქვენი სახელით თხოვნის ბარათს დაეწერ საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ მესამესთან. თხოვნაში ავხსნი, რომ თქვენ, სვანეთის ხელმწიფეს უმართებლოდ გექცევათ მეფისნაცვლი ბარიატინსკი და ვთხოვ გიშუამდგომლოთ ხელმწიფე ალექსანდრე ნიკოლოზის ძესთან, რათა თქვენს უფლებებში აღადგინონ. ნაპოლეონს რუსთხელმწიფე ამაზე უარს არ ეტყვის.

მთავარმა მისთვის ჩვეული მოთმინებითა და სიღინჯით მოუსმინა პროვოკატორს, მერე წამოდგა, კარი გააღო და თავშეკავებით უთხრა:

— როგორ კადრულობთ, ექიმო?! ეგ არ შეშვენის თქვენს ღირსებას... ამერიდან ჩემი კარი თქვენთვის სამუდამოდ დაკეტილი იგულვკეთ, — უთხრა და კარი მიუხურა. მერე დიდხანს იდგა ღია ფანჯარასთან დაფიქრებული და აღმფრთვებული. დაჰყურებდა რიონს და თითქოს თავისი ენგურის დამაოკებელი ხმა ჩაესმისო, განრისხებულ სახეზე თანდათან სიმშვიდე შეეფინა.

ტოლსტოვიმ პოლკოვნიკს რომ უამბო, თუ როგორ გამოაპანდურა ნომრიდან მთავარმა, ბარტოლომეიმ ისე შეიცხადა, თითქოს თვითონ გამოეპანდურებულიო. ამით კიდევ უფრო გააგებულმა, ხალხში ხმა დაუყარა, თითქოს მთავარს თვითონ შეეთავაზებინოს ტოლსტოვისათვის ასეთი წერილის მიწერა

ნაოლეონ მესამესთან. სამშობლოს და-  
ლატი დასწამა.

ხალხმა ნუმინიუსმატიკოსის შეთითხნი-  
ლი ამბავი არ დაიჯერა, არ ირწმუნა. ამ  
ხმამ მეორე დღესვე გაგარინის ყურამ-  
დე მიადწია. შეწუხდნენ გენერალ-გუ-  
ბერნატორი და მისი მეუღლე. ორივე  
მიხვდა, რომ ეს ბარტოლომეის ბინძუ-  
რი ხრიკი იყო. სასწრაფოდ დაიბარა  
თავისთან და შეარტყვნინა. ტოლსტოვი  
კი იმავე კვირას ეტაპით გაისტუმრა თა-  
ვის სამშობლო ქალაქ კალუგაში. ნაც-  
ნობ-მეგობრებს სთხოვა ამ მონაპოვრზე  
კრინტი არ დაეძრათ მთავართან.

უსლარი, როგორც იქნა, დაბრუნდა  
სვანეთიდან. კონსტანტინეს დანაშაუ-  
ლის დამადასტურებელი აუარებელი  
„საბუთი“ ჩამოიტანა და გულმოდგინედ,  
მისთვის დამახასიათებელი პედანტურო-  
ბით შეუდგა მათ დამუშავებას.

მთავარმა შეიტყო, რა სიამოვნებით  
წერდა იგი დამატებით მოხსენებას, მაგ-  
რამ არაფრით არ გამოამყდენა თავისი  
უქმაყოფილება, მიუხედავად იმისა,  
რომ დარწმუნებული იყო, მოხსენება  
კიდევ უფრო ბინძური და ახალი ცილი-  
სწამებებით იქნებოდა აპრელებული.

უსლარი გარეთ არ გამოდიოდა. კონ-  
სტანტინესთან შეხვედრას ისე ერიდე-  
ბოდა, როგორც თხას მგელთან.

ერთხელ უსლარი ქუთაისის ვიცე-  
გუბერნატორმა კოლუბიაკინმა ვახშმად  
დაპატიჟა და ბარონის ვაკვირვებასა და  
შიშს საზღვარი არ ჰქონდა, დადემქე-  
ლიანი რომ იქ დახვდა. ფერი ეცვა-  
ლა. მთავარმა შეატყო შეშფოთება  
და შეეცოდა, თავაზიანად მიესალმა, მა-  
გრამ აკანკალებულ ბარონის აკანკალე-  
ბულ ხელს ხელი ისე მაგრად მოუ-  
ჭირა, რომ სახსრებმა ტკაცუნს გაიღო.

სტუმრებმა კარგად იცოდნენ დადე-  
შქელიანისა და უსლარის ურთიერთსი-  
ძულვილი. გაუკვირდით, შტაბის უფ-  
როსს მთავარი ასე მშვიდად როგორ  
შეხვდაო. თუმცა მაშინვე მიხვდნენ, რომ

კონსტანტინემ თავი შეიკავა და ის მხო-  
ლოდ მოჩვენებითი თავაზიანობა იყო,  
რომ სხვანიარად ვერ მოიქცეოდა ასე-  
თი კეთილმოსურნე მასპინძლის ოჯახ-  
ში, როგორც კოლუბიაკინი იყო მთავ-  
რისათვის.

სუფრაზე ერთხანს უხერხული დუმი-  
ლი ჩამოვარდა. კოლუბიაკინი გვიან მი-  
ხვდა თავის შეცდომას. ეს ორი კაცი  
ერთად არ უნდა დაეპატიებოდა და ახლა  
ყოველნიარად ცდილობდა სუფრა გაემ-  
ხიარულებინა, უხერხულობა გაეფანტა.  
კოლუბიაკინი ენამახვილი კაცი იყო,  
კარგი მოსაუბრე. იგი თავის ახალგაზრ-  
დობის დროინდელ ამბებს უყვებოდა  
სტუმრებს. დეკაბრისტებთან ერთად ვე-  
ლიამინოვის რაზმში სამსახურის პერი-  
ოდს. იგონებდა ოდოევსკის, ძმები ბეს-  
ტუევეებისა და სხვა დეკაბრისტების  
თავგადასაფალს, რის მონაწილეც თვი-  
თონ იყო და რისთვისაც სასტიკად და-  
ისაჯა. ამყობდა ამ სასჯელით.

კონსტანტინე მიხვდა, ამ ამბავს გუ-  
ბერნატორი მის გასართობად რომ ჰყვე-  
ბოდა, რათა ისიც, როგორც დეკაბრის-  
ტები, შერიგებოდა თავის ბედს, გაე-  
გო, რომ ხალხის სამსახურს უმსხვერპ-  
ლოდ ვერ გასწევს ადამიანი. გაეგო,  
რომ დღეს თუ ზვალ მასაც მოუწევდა  
მსხვერპლის გაღება, ჩამოართმევდნენ  
ავტონომიას, დაატოვინებდნენ თავის  
მიწას.

ამ საქმის სულის ჩამდგმელი წინ ეჯ-  
და მთავარს. უსლარს გვერდს უმშვენი-  
ბდა ბარტოლომეი. ორივე კრიჭაშეკრუ-  
ლი იყო. ყოველ წამს შეეძლო მთა-  
ვარს რაიმე მიზეზით შარი აეტეხა მათ-  
თვის. ბარტოლომეი აღარ ოხუნჯობდა,  
აღარ ჰყვებოდა ანეგდოტებს, სული  
ფეხებში ეპარებოდა, ლიბრგადაკრული  
თვალები დახრილი ჰქონდა.

დადემქელიანი ზომიერე მეტს სვამდა.  
ამით უსლარისა და ბარტოლომეის ში-  
ში უფრო მატულობდა. ვინ იცის, ღვი-  
ნომოკიდებულ კაცს რა აზრი მოუვა

გრიგოლ ჩიკოვანი  
შპანასანილი მთავარი

თავში, ჯდომამ რაღა მაინცდამაინც მის-  
პირდაპირ მოგვიწიო.

ცივმა შამბანურმა ვერ გაამხიარულა  
სტუმრები, ვერც ცეკვა-სიმღერამ შე-  
მატათ ხალისი, ვერც გრძელმა სადღეგ-  
რძელეობმა, ქართველი თავადიშვილები  
რომ წარმოთქვამდნენ მათთვის ჩვეული  
სილამაზით და ხატოვნებით.

მთავარს მარჯვნივ ზუგდიდის მაზრის  
უფროსი, პოეტი რაფიელ ერისთავი ეჯ-  
და, მარცხნივ, გენერალ-გუბერნატორის  
გაგარინის საქმეთამმართველი იზუმსკი.  
ორივე ამოდ ცდილობდა მის ვართო-  
ბას.

დადრეშქელიანი თითო ოროლა სიტყ-  
ვით პასუხობდა ერისთავსა და იზუმს-  
კის. დიდ პატივსა სცემდა მათ, მაგრამ  
ვერ აპყვა საუბარში. გაჩუმებული და  
დანადვლიანებული იყო. ისევ ის სირ-  
მით გაწყობილი თეთრი ჩოხა ეცვა,  
თმაც სირმისფრად უბრწყინავდა ჰერი-  
დან დაშვებული ლამპის შუქზე. ქამარ-  
ხანჯალი ერთკუთხეა. ხანჯლის ვადა მაგიდი-  
დან ერთი მტკაველით აშვერილი მოჩა-  
ნდა და მისი ვერცხლის ზარნიშიდან ატ-  
ყორცნილი შუქი თვალში უნათებდა  
უსლარსა და ბარტოლომეის.

მთავარი განიერი და ჩასხმული მხარ-  
ბეჭით ყველასაგან გამოირჩეოდა სუფ-  
რაზე. მისი სხეულის ნაკვეთბის უზა-  
დოდ შეხამება ათანასწორობდა, პარ-  
მონიულს ხდიდა მის ტანს.

ბარტოლომეიზე მეტად უსლარი დი-  
ხაფრა მთავრის შიშით. ვერ ისვენებდა.  
მთელი სხეულით გრძნობდა მთავრის  
თვალში ჩამდგარ დამცინავ ღიმილს და  
შანთივით ერჭობოდა გულში. არა. მთა-  
ვარს არ ედგა თვალში დამცინავი ღიმი-  
ლი. ეს უსლარს ეჩვენებოდა ასე. კონს-  
ტანტინე არასოდეს არ დასცინებდა თა-  
ვისზე სუსტსა და ბეჩავს.

უსლარს ისიც ეჩვენებოდა, რომ მთე-  
ლი სუფრა თვალს ადგენებდა. არა-  
ვინ უყურებდა. არ უყვარდათ იგი. ვერ  
აიტანა ეს მისმა პატივმოყვარე, ზედმე-  
ტად ამაყმა სულმა, სენაკის მაზრის უფ-  
როსს ბოროზდინს ხევწინთ წასჩურჩუ-

ლს, თავს ცუდად ვგრძნობ, შინ გამაციო  
ლეთო.

ბოროზდინმა იცოდა, რატომ გრძნო-  
ბდა თავს ცუდად ბარონი. ვერ თვითონ  
გავიდა სასადილოდან, მერე უსლარი  
გასხლტა ლანდივით.

ეს რომ ბარტოლომეიმ დაინახა,  
მთლად აერია გონება. გრძელმა, აქეთ-  
იქით გაწეულმა წაწვეტებულმა წვერმა  
მაკრატელივით იწყო ჰაერის ჭრა და ვე-  
რაფრით ვერ შეიკავა, ვერ წამოდგა,  
რომ უსლართან ერთად გაპარულიყო.  
წელმოწყვეტილივით იჯდა და თევზს  
დასცქეროდა. ჰირის ოფლში ცურავდა,  
კისერსა და შუბლს წარამარა იმშრალე-  
ბდა.

მთავარი მისკენ არ იყურებოდა. უს-  
ლარის გაპარვის შემდეგ ხასიათზე მო-  
ვიდა და მხიარული საუბარი გაუბა ერი-  
სთავსა და იზუმსკის.

უსლარსა და ბოროზდინის ქუჩაში  
უკუნეთი ღამე დაუხვდათ. ისედაც შეშ-  
ფოთებული ბარონი შიშის ქარმა აიტა-  
ნა.


— სალდათები გავიყოლით და  
ფარანი წავიღოთ, — უთხრა ბოროზ-  
დინს.

— არ არის საჭირო, პოეტრ კარლო-  
ვიჩ, — უთხრა ბოროზდინმა, — მთავა-  
რი არ ტოვებს ველურის შთაბეჭდილე-  
ბას. არც სპილოსა ჰგავს. იგი ერთობ  
თავზაზიანია.

— ტყუედებით, თავადო, თუ მართ-  
ლა თვინიერად გეჩვენებათ. სადმე  
ასეთ ღამეში რომ შემომეყაროს, არც  
კი დაფიქრდება, ნაწლავებს გადმომაყ-  
რევენებს იმ ვეება სატევრით.

ამ საუბრის მეორე დღიდან უსლარმა  
მონტერისტოს სისტემის დამბაჩით ვა-  
რჯიში დაიწყო მიზანში სროლაში. ხელ-  
სა და თვალს იწაფავდა. ეს ამბავი ბო-  
როზდინს გაუხსილა.

— მონტერისტოს დამბაჩის ტყვია  
ვერ მოკლავს იმ თქვენს „ველურს“, —  
გაცივინა ბოროზდინმა, — ვერც „სპი-  
ლოს“ ტყავში გაატანს მონტერისტოს  
ტყვია, პოეტრ კარლოვიჩ. მისი-სატევა-  
რი კი ლომს წააგდებინეს თავს.



— ჰო, მაგრამ, — უთხრა საქციელ-  
წამხდარმა ბარონმა ბოროზდინს, — მე  
მას ხმლის სიახლოვეს არ მოუშვებ.

— ვითომ? — ისევ გაიცინა ბოროზ-  
დინმა, — მის გოლიათურ ძალას ვერა-  
ფერი დააკავებს. მთასავეთ წამოვა. მთა-  
ვარი კბილით დაიჭერს თქვენ გასრო-  
ლილ ტყვიას. ბარტოლომეი მას სპი-  
ლოს ეძახის, თქვენ ველურს. მე კი  
თვინიერ რაინდად ვთვლი. ზედავთ, რა  
ხედავსხვა ასოციაციებს იწვევს დადე-  
შქელიანი! მთავარი უფრო კეთილი გუ-  
ლისაა, ვიდრე თქვენ და ბარტოლომეის  
გგონიათ. ამაში ღრმად დარწმუნებული  
ვარ. ვირჩევთ, მოთმინებიდან არ გამოი-  
ყვანოთ. მოგესხენებათ, ყველაფერს თა-  
ვისი საზღვარი ქვს.

გაგარინს კარგად ესმოდა, რა ძნელი  
იყო კონსტანტინე დადეშქელიანის და  
ეკატერინე ჭავჭავაძისათვის სამთავროე-  
ბის მიტოვება და თავისი ქვეყნიდან გა-  
დახვეწა, მაგრამ რა ექნა. დიდად  
წუხდა გენერალ-გუბერნატორი. იმასაც  
კი ნატრობდა, მალე დასრულებულიყო  
ეს სათაკილო ამბავი და აჰა, დედოფლის  
საქმეს აღსასრული დაუდგა. პეტერბუ-  
რგიდან გაგარინისათვის ნანატრი განკა-  
რგულება მოვიდა. ოდიშის დედოფალს  
რუსეთში იწვევდნენ.

გაგარინი სიხარულით ცას ეწია. ამ  
განკარგულებას მეფისნაცვლის ბრძანე-  
ბაც მოჰყვა. ბარიატინსკის შტაბის უფ-  
როსი ატყობინებდა გენერალ-გუბერნა-  
ტორს, მისმა უდიდებულესობამ მოის-  
მინა უსლარის დამატებითი მოხსენება,  
მოაწონა თქვენი რჩევა და გადაწყვიტა,  
მთავრის საქმე ხელმწიფეს მოახსენოს  
და დაელოდოს, რას გადაწყვიტს იგი.  
მანამდე კი დადეშქელიანს საცხოვრებ-  
ლად ქალაქი ერევანი მიუჩინეთ. მეფი-  
სნაცვლი ბრძანებს, მთავარი დაუყოვ-  
ნებლოე გაისტუმრეთ სომხეთში.

გაგარინს არ მოეწონა სიტყვა „დაუ-  
ყოვნებლოე გაისტუმრეთ“, მაგრამ რას  
იზამდა, ბრძანებას ვერ გადავიდოდა.

სწორედ იმ დღეს უნდა წასულიყო გო-  
რდში დედოფლის გასაცილებლად, ცენტ-  
ლი დაბარებული ჰყავდა. გამგზავრება  
მდე უნდა მოლაპარაკებოდა მთავარს და  
თავისი საქმეთამართველი იზუმსკი იხ-  
მო. დაევალა დადეშქელიანი სასწრაფოდ  
დაებარებინა.

გენერალ-გუბერნატორის ასეთი აჩ-  
ქარება არ მოეწონა იზუმსკის. იგი დე-  
დით ქართველი იყო, ქართული ზნე-  
ჩვეულებით აღზრდილი, ქართულის  
მშვენიერი მცოდნე. კარგად იცნობდა  
კონსტანტინეს, მასთან ახლომეგობრუ-  
ლი დამოკიდებულება ჰქონდა, ხშირი  
სტუმრები იყვნენ ერთმანეთის. გაგარინ-  
მა იცოდა მათი მეგობრობის ამბავი და  
ამიტომ გადაწყვიტა, იზუმსკის მოეწვია  
მთავარი და საუბარსაც დასწრებოდა.

— თქვენო ბრწყინვალეობავ, ამ ბო-  
ლო დროს მთავარი ძალიან განერვიუ-  
ლებულია. მისი ერევანში დაუყოვნებ-  
ლოე გამგზავრება, ვაძევებას დაემსგავ-  
სება. ნუ აჩქარდებით. დადეშქელიანი  
ამას არ იმსახურებს და ვერც აიტანს  
ასეთ შეუთრაცხყოფას. რამდენიმე დღე  
დავიცადოთ; წაბრძანდით გორდში, გა-  
აცილეთ დედოფალი. ამას რომ გაიგებს  
მთავარი, მეც ეს დღე მომელისო, თვი-  
თონ იფიქრებს და ცოტათი დამშვიდ-  
დება. ვიდრე გორდიდან დაბრუნდებო-  
დეთ, მთავარი შეურიგდება თავის  
ხვედრს და მშვიდობიანად მოილაპარა-  
კებთ ყველაფერზე. დღეს მთავარი მა-  
ინც ვერ გაემგზავრება...

გაგარინი გაღიზიანებული უსმენდა.

— რატომ ვერ გაემგზავრება?!

— ამ დილით მეუღლზე ჩამოსვლია.  
შვილთან დაბინავებულა. მოგესხენე-  
ბათ, სვანების წეს-ადათი — ქალი ხას-  
ტუმროში არ მივა. მგონი, ცოლ-ქმარს  
ჯერ ერთმანეთი არ უნახავთ. არ შეიძ-  
ლება ასე უცებ, უნახავად დავაშოროთ  
ერთმანეთს.

— მისი უდიდებულესობა მეფისნაც-  
ვალი ბრძანებს, დაუყოვნებლოე გაის-

გრიგოლ ნიჟრვანი  
შახანსანელი მთავარი

ტუმრეთო, — შეაწყვეტინა სიტყვა გავარინმა და უკმაყოფილობის დასაფარავად ორივე ხელის თითებით მაგრად დააწვა მაგიდას, — დარწმუნებული ვარ, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს სიტყვა დაუყოვნებლივ.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ სამ-ოთხ დღეს მნიშვნელობა არა აქვს. მეშინია და იმიტომ, ვიმეორებ, ამ დაუყოვნებლივ გასტუმრებას გაძევებულ მიიღებს მთავარი. ისევ და ისევ ვთხოვთ, გადადოთ მოლაპარაკება, — თითქმის ვედრებით მიმართა იზუმსკიმ.

— მაშინებთ, ანდრეი ანდრეიჩი?! — უკმაყოფილოდ ჰკითხა გაგარინმა.

— არა... მაგრამ რამდენიმე დღის წინათ, უსლარი თავის ადიუტანტთან ერთად ბულვარში სეირნობდა. მთავრის შიშით დიდი ხანია მართო გარეთ არ გადის. დადემშქელიანმა თვალი მოჰკრა თუ არა, სახე შეეცვალა. სატევრის ვადაზე ხელი გაივლო. წინ გადავუდექი და ვთხოვე დამშვიდებულიყო. ბავშვივით დამყვა. მოგეხსენებათ, იგი ჩემი ოჯახის მეგობარია...

— იქნებ ჩემს დანახვაზეც გაივლოს ხელი სატევრის ვადაზე. ამის თქმა გინდათ? — შეაწყვეტინა სიტყვა გაგარინმა და გაჯავრებით შეხედა.

გაგარინი და იზუმსკი არასოდეს არ შელაპარაკებიან ერთმანეთს. საქმეთა-მმართველმა იცოდა მისი ფიცხი სასიათის ამბავი და მოთმინებას არ კარგავდა. იმასაც ხელავდა, რომ გენერალ-გუბერნატორი ორცეცხლშუა იყო.

— მახატიეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა. უმორჩილესად ვთხოვთ, მთავრის ერევანში გამგზავრება გორდიდან დაბრუნებამდე გადადოთ.

გაგარინი ხელავდა მუდარით მიპურობილ იზუმსკის თვალებს და მაინც ცივად უთხრა:

— ვერც ერთი დღით ვერ გადავდებ. ახლავე გამგზავნეთ ეკელი მთავართან.

— თქვენო ბრწყინვალეებავ...


— რა დაგემართათ, იზუმსკი?! — გაგარინს გვარით არასოდეს არ მიუძმარ-

თვენს ნაქმეთა მმართველისათვის და თვითონვე არ მოეწონა ესევე დღეს თქვენ თავს არ ჰგაგებარებოდა იზუმსკიმ შეატყო, მოთმინებიდან რომ იყო გამოსული გენერალ-გუბერნატორი. მძიმედ შეტრიალდა და ფეხათრევით გაემართა კარისაკენ.

გაგარინმა გაკვირვებით გააყოლა თვალი. იზუმსკიმ კარი რომ გაიხურა, გენერალ-გუბერნატორი მაშინდა დაფიქრდა, რომ არასაკადრისად მოექცა საქმეთა მმართველს. კაცს, რომელსაც, დიდ ანგარიშს უწევდა, ყველაფერში ენდობოდა, ყურს უგდებდა მის რჩევას. ახლა რა ბზიკმა მიკბინაო, ინანა. არ იყო სინანულს დაჩვეული და ესეც არ მოეწონა.

„იქნებ, მართალია, იზუმსკი! იქნებ, სჯობდა დამეჯერებინა მისთვის და გადაედო მთავრის გამგზავრება!.. მაგრამ დადემშქელიანმა რომ შეიტყოს ბარიატინსკის გადაწყვეტილება და სამთავროში გაიქცეს! მაშინ მისი იქიდან წამოყვანა უსისხლოდ არ დამთავრდება... ეს რა დაეწამე მთავარს! — შერცხვა თავისი ფიქრის, — მთავარი გაქცევას არ იკადრებს... რა შემართება, საიდან მებადება ასეთი ეჭვი!.. რატომ ვლეღავ?!. სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, მოხბრა იზუმსკიმ... ზედმეტი სიფრთხილე არ ვარგა. სჯობია, დადემშქელიანს ვაწყენინო, ვიდრე მეფისნაცვალს... მთავარი დღესვე უნდა გავისტუმრო, მაგრამ რა სინდისით?!. ჯერ თურმე ცოლი არ უნახავს... ამით ხომ ვერ გავიმართლებ თავს მეფისნაცვალთან!... ვერა, ვერ გადავდებ ამ საქმეს. ჰირი მოშორებული სჯობია... რატომ ჰირი?! რატომ გახდა მთავრის საქმე ჩემთვის ჰირი?!. ერთი დღით გადადებულნი საქმე, ერთი წლით გადადებულთაო. რამდენი სიბრძნეა ამ ანდაზაში... ტყუილად არ დაუჯერე, იზუმსკის. კოლუმბიკინისთვის მეცხოვა, ის მოლაპარაკებოდა მთავარს. იმასთან კარგი მეგობრობა აქვს... მაგრამ დადემშქელიანი იფიქრებს, შეშინდა გენერალ-გუბერნატორიო, თვითონ ვერ გამოიხდებდა ამ მძიმე ამბის თქმაო. თუმცა რა მნიშვნე-





ნელობა აქვს, ვინდაც ასე იფიქროს. არა. აქვს მნიშვნელობა. მე უსლარი არა ვარ. მთავარს მოეხსენება, კარგი რომ მინდა მისთვის. გამიგებს, რომ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი“. — ბოლთას სცემდა, შუბლს ისრესდა.

კედლის საათმა თერთმეტი ჩამოჰკრა. თორმეტზე უნდა გაემგზავროს. ეტლი სდარბაზო შესასვლელთან უცდის.

„იქნებ, მართლა სჯობდა, გორდიდან დაბრუნებამდე გადამედო... იქნებ, მართლა სჯობდა! რატომ არ დავუჭერე, იზუმსისი?! — ეუბნებოდა გული, — მეფისნაცვლის ბრძანება?! — პასუხობდა გონება, — მთავარს არ მოუვა გული ჩემზე. ხომ იცის, კარგი რომ მსურს მისთვის. მინდა ვავიგო, რა უჭირს, რომ განკარგულება გავსცე ყველაფერი გაუკეთონ... ერთხელ კოლუბიაციონმა მითხრა, ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა — ცხარიაო. ენამ ხომ არ უყვილა კოლუბიაციონს! ახლა ამაზე ფიქრი გვიანდაა. ეკელნი, ალბათ, უკვე წავიდა მთავართან“, — იგრძნო რომ კვლავ სინანულით გაიფიქრა.

ეკელნმა სწრაფად გადასჭრა ბაგრატის ქუჩა. მარჯვნივ გაუხვია თუ არა, ეზოდან ხმლების ქარქაშების ყრუ ქლარუნის, ფარების ნელი რეკვის ხმა, თეფშების წკრიალი შეესმა. შემწვარი და მობარშული ხორცის სუნი ეცა.

ეზო სვანებით იყო სავსე. გაოფლიანებულები, დაქანცული ცხენები ღობის გასწვრივ ება.

ეკელნმა იცოდა, რომ სახლი კონსტანტინეს შვილის გრიგოლისა იყო, რომ ამ დილით დედა ჩამოუვიდა თავით ფეხამდე აბჯარ-აბჯარ ასხმული სვანებით. ამაღას ჯაჭვის პერანგი ეცვა, ხმალ-ხანჯალი და ფარები ეკიდა. — „რატომ არიან ასე შეიარაღებულნი?!. ამდენი ამაღა არასოდეს არ ჩამოჰყოლია სვანეთის დედოფალს, — გაუკვირდა ოფიცერს, — ალბათ, შეიტყო დედოფალმა რანაირი მოხსენება ჩამოიტანა უსლარმა“, — ავისმომასწავებლად ეჩვენა დედოფლის ამდენი სვანით ჩამოსვლა.

ეზოში ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდეებზე სუფრას შლიდნენ სვანებმა. ალფეგებდნენ თეფშებს, დგამდნენ თეფშებს კოკიდან ღოქებში ასხამდნენ ღვინოს. ეზოს ერთ კუთხეში დიდ ქვაბებში ხორცი იხარშებოდა, შამფურებზე წვამდნენ გოჭებსა და თიკნებს.

სვანები სკამებსა და მაგიდეებს ეხლებოდნენ თავისი დიდი ტანით, ერთმანეთსაც ეხლებოდნენ გვერდით თუ პირისპირ, ხმლებითა და ფარებითაც ეხლებოდნენ ერთმანეთს. ქლარუნებდა ხმალი, რეკავდა ფარი.

დედოფალი კესარია აივანზე გადმომდგარი თვალს ადევნებდა, როგორ ხელმძღვანელობდა სუფრის გაშლას გრიგოლი. კონსტანტინე ჯერ არ მისულიყო ცოლ-შვილთან.

ეკელნმა ნაბიჯს აღჩქარა, რომ მალე მისულიყო სასტუმროში. იქ მიესწრო მისთვის.

მთავარი ნომერში არ დახვდა. სახლს ცეცხლი რომ წაჰკიდებოდა, დილის წირვას არ დააკლდებოდა. საკრებულო ტაძარში სასტუმროდან ისე წასულიყო, ცოლის სანახავად არ შეეგლო.

ეკელნმა ტაძრის ღია კარიდან დაინახა ლოცვად მდგარი კონსტანტინე. ტაძარში მკრთალად განათებული, თაფლის სანთლების მქრქალი კვამლი იდგა. ამ თხელ კვამლში ნათლად ისახებოდა თეთრ ჩოხაში გამოკვართული მთავრის ძალოვანი ტანი. ნელა ელავდა მის წებლზე ხმალ-ხანჯალი.

მთავარი წმიდა გიორგის ხატის წინ იდგა. სხვები მისგან მოშორებით ლოცულობდნენ. ერიდებოდათ მთავრის, არ უნდოდათ მისი სიმშვიდე დაერღვიათ, იცოდნენ, ლოცვისას მისთვის სხვა არაფერი არსებობდა. ჰატივს იმითაც სცემდნენ, ასე გულმხურგალედ რომ უყვარდა წმინდანები.

ეკელნმა ზღურბლს ვერ გადააბიჯა. ასეთ ჟამს როგორ შეეშალა ხელი! მაგრამ გენერალ-გუბერნატორის ბრძანება

გრიგოლ ნიკოვანი  
შახანასანიძე მთავარი

უნდა შეესრულებინა. წამიერი ყოყმანის შემდეგ ძლივს შედგა ფეხი სამლოცველოში.

ტაძარში ნელა, ისე ნელა გალობდა გუნდი, რომ საცეცხლურის ქდარუნი, ქალისა და კაცის დუღუნი და ლოცვანის ფურცლების შრიალიც კი ისმოდა. ადამიანთა ნასუნთქის, საკმეველისა და სანთლების ნაწვავის სუნისაგან ჰაერი შეკრული, დამძიმებული იყო.

კვამლით გაშვარტლული, წმიდანებით მოხატული კედლები მრუხედ ლივლივებდა. მაღალი თალიც მრუხედ ლივლივებდა. თქროთი მოვარაყებული ღვთისმსახურების წიგნებიც მრუხედ ლივლივებდა, საბაზმებიდან თავლის სანთლების ყვითლად მოლაპლაყ ენებიც მრუხედ ლივლივებდა, ადამიანთა სახეებიც მრუხედ ლივლივებდა.

შეხუთული ჰაერისაგან სუნთქვა უჭირდა მრევლს, მაგრამ ლოცვა-ღაღადში წასული ადამიანები ყურადღებას არ აქცევდნენ ამას.

ფეხაკრფით მიეხსლა ეკელნი გარინდებით მღვარ მთავარს, მის უკან შედგა:

— თქვენო ბრწყინვალეებავ! კონსტანტინემ ხმაზე იცნო ეკელნი. მიბრუნდა მისკენ. გაკვირვებით შეხვდა.

— მომიტევეთ, ლოცვა შეგაწყვეტინეთ, — ეკელმა იცოდა, რომ მთავრისათვის ეს იყო წმიდათა-წმიდა წუთები და მის დარღვევას არავის აპატიებდა, — მომიტევეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, — კვლავ გაიმეორა ადიუტანტმა.

— რა მოხდა, ეკელნი? — გაკვირვებით ჰკითხა მთავარმა.

— მისმა ბრწყინვალეებამ გენერალ-გუბერნატორმა მიბრძანა სასწრაფოდ... — ეკელნი ისე ღელავდა, რომ სიტყვა გაუწყდა.

— რა გიბრძანათ, გენერალ-გუბერნატორმა? — კონსტანტინე ხედავდა ოფიცერს ადამიანის ფერი არ ედო და რბილად ჰკითხა.

ტაძარში ყველა მთავარსა და ეკელს მიაჩერდა.

— მისმა ბრწყინვალეებამ გენერალ-გუბერნატორმა მიბრძანა მასთან მივიწვიოთ, — არ უთხრა გავარნი გიბარე ბთო.

— ალბათ, გენერალ-გუბერნატორმა არ იცის, რომ ტაძარში ვარ და ვლობო.

— დიახ, არ იცის მისმა ბრწყინვალეებამ.


— მოახსენეთ, რომ წირვაზე ვდგავარ და როცა წირვა გამოვა, ვეწვევი.

— კეთილი, თქვენო ბრწყინვალეებავ, — შევებით ამოსუნთქვა ეკელმა, შეტრიალდა და სწრაფად გავიდა ტაძრიდან.

„ალბათ, ტფილისიდან, გავარინმა ჩემს შესახებ გადაწყვეტილება მიიღო“, — გაჰკრა ექვმა მთავარს. ყური ჰქონდა მოკრული, რომ გენერალ-გუბერნატორის უსლარის დამატებითი მოხსენება ჰქონდა გაგზავნილი მეფისნაცვალთან. ისიც იცოდა, რომ ბარტოლომეიც უგზავნიდა ბარიატინსკის დასმენის წერილებს. მეფისნაცვალი ამ მოხსენებისა და დასმენის წერილების საფუძველზე მის სასარგებლოდ ვერ გადაწყვეტდა საქმეს. კონსტანტინემ უფრო მხურვალედ განაგრძო ლოცვა: — „უფალო შემწყალე, მომბაღლე კურთხევა შენი! მოხედენ ხმასა ლოცვისასა ჩემისა!.. ლაღდებას ჩემსა შენდამი! ნუ გაუჭირვებ ცოლ-შვილს ჩემსას, თუ რამ შეგბედითი მომელის მე, — მონანიების ფსალმუნს არეულად იმეორებდა. ჩაუშხამეს ლოცვა, — შენ ხომ იცი, უფალო, ადამიანისათვის, ჩემი სამთავროსათვის არაფერი შემიცოდავს და თუ რამ შევცოდე უნებურად ჩემი ხალხის წინაშე, მუხლმოდრეკით გვედრები, უფალო, მე დამსაჯე“, — მთავარმა მუხლი მთიყარა.

გაოცებულნი უყურებდნენ მლოცველები. არასოდეს არ უნახავთ მთავარი მუხლმოყრილი.

ეკელმა ეზოდან სვანების ხორხოცი გაიგონა, გაიგონა ხმლების ქარქაშების ყრუ ქდარუნი, ფარების ნელი რეკვისა



და კათხების მიჭახუნების ხმა. დაინახა სვანების ღვინომოკიდებული, წამოჭარხლებული სახეები, მათი ვანიერი მხრები, სქელ კისრებზე მდგარი დიდი თავები, შუბლზე გადმოყრილი გრუხა ქოჩრით.

ყველა ერთნაირად ახოვანი იყო, თითქოს საგანგებოდ შერჩეულები. ჯაჭვის პერანგსა და სვანურ ქუდში მათი ტანი კიდევ უფრო ბრვე ჩანდა.

„მთავარი ცოლთანაა მისასვლელი, — გაიფიქრა ეკელმა, — იმის მაგივრად, რომ აქ მოვიდეს, გენერალ-გუბერნატორს უნდა ეახლოს. რა მოთმინება აქვს, მთავარს!“ — უკვირდა ადიუტანტს. ამ ფიქრით შევიდა გაგარინის კაბინეტში.

აქ იზუმსკისთან ერთად ოფიცრებიც იყვნენ. გაგარინი მთავრის მოლოდინში ბოლთას სცემდა, ეკელნი რომ დაინახა, შედგა, გაჯავრებით შეხედა:

— მთავარი სადაა?!

— საკრებულო ტაძარში ვახლავთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, — უთხრა ეკელმა, — ლოცულობს. წირვა რომ გამოვა, გაახლებათ.

— რას ჰქვია, წირვა რომ გამოვა! არ იცით, ადიუტანტო, რომ დედოფლის გასაცილებლად მივმგზავრები?!

— ვიცი, თქვენო ბრწყინვალეზავ.

— მერე?!

— მთავარი ლოცულობს, თქვენო ბრწყინვალეზავ...

— მიბრძანდით და ახლავე მომგვარეთ მთავარი, — დაუყვირა გენერალ-გუბერნატორმა ადიუტანტს, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიტაცა და აჩქარებით მოიწმინდა შუბლიდან ოფლი.

ადიუტანტი რომ გავიდა, იზუმსკიმ ვერ მოითმინა, ახლო მივიდა გაგარინთან.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, გთხოვთ აცალოთ მთავარს ლოცვის დამთავრება, — უთხრა თითქმის ვედრებით.

გაგარინი იზუმსკის წინ შედგა:

— ანდრეი ანდრეიჩ, ველარა გცნობთ. რა დაგემართათ?!

ვერც მე გცნობთ, კინაღამ უთხრა სა-

ქმეთაშმართველმა. გაგარინი გაფიქრებისას თავგზას კარგავდა. ახლა იზუმსკის რჩევას კი არა, ციდან ღმერთის რჩევა ჩამოსულიყო, იმის რჩევას არ დაიჯერებდა.



ეკელნი ტაძარში მიდიოდა. ქუჩა ხალხით იყო სავსე. მიედინებოდა ეტლები, დილოყანსები, ორთავალები, მიჭრილებდა ურმები, ისმოდა შოთი პურების დამტარებელთა ხაბახების ხმამაღალი ძახილი, სამჭედლოებიდან გრლდემლებზე უროების რაკარუკი, მეთულუხჩეების ყვირილი, ცხენების ფლოქვების თქარუნი, მაგრამ ეკელს არაფერი ეხმოდა, არავის და არაფერს ხედავდა, ბრმად მიდიოდა. მუხლმოყრილი მთავარი ედგა თვალწინ.

გრიგოლის ეზოს რომ მიუახლოვდა, შეზარხოშებულმა სვანების ღრიანცელმა გამოიყვანა ფიქრიდან. გრიგოლიც სვანებთან ერთად იჯდა სუფრის თავში.

დედოფალი კესარია აღარ იდგა აივანზე. ოთახში შესულიყო და მეუღლს მოლოდინში ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას.

ეკელნი ტაძარში რომ შევიდა, კონსტანტინე კვლავ დაჩოქილი იყო და ლოცულობდა. ოფიცერს თავზარი დაეცა. ვერ წაადგებოდა თავს მუხლებზე მდგარ მთავარს. ვერ ეტყოდა, გენერალ-გუბერნატორმა მიბრძანა, მთავარი ახლავე მომგვარეო. ვერა, ვერ წაადგება თავს, ვერ ეტყვის ამას, ვერ ჰკადრებს. დაიცდოს, ვიდრე ლოცვას დაამთავრებს დადეშქელიანი და არ წამოადგება.

მთავარმა ზურგით იგრძნო, მის უკან ვილაც რომ შეჩერდა. თავი ასწია. გველნაკბენივით წამოიჭრა.

— თქვენო ბრწყინვალეზავ... — ისევ გაუწყდა სიტყვა ეკელს.

მთელი მრევლი მათ მიაჩერდა. მთავარიც გრძნობდა ამას და ეკელნიც.

გრიგოლ ჩიკოვანი  
შაანასანილი მთავარი

— ბრძანეთ, — უთხრა კონსტანტინემ ოფიცერს.

— თქვენო ბრწყინვალეზავ... გენერალ-გუბერნატორი გთხოვთ ეწვიოთ, — ახლავე მომგვარეთო არ უთხრა.

— კარგით, — ყრულ მიუგო კონსტანტინემ, ხატისაკენ შებრუნდა, პირჯვარი გადაისახა: — უფალო მომმადლე კურთხევა შენი... ნუ გაუჭირვებ ჩემს ცოლ-შვილს, — წაიბუტბუტა ჩუმად, ტყვილით, ისე, თითქოს ეთხოვებო ხატს, ქუდი დაიხურა, ხელი ჩაიქნია და ჩქარი ნაბიჯით ტაძრიდან გავიდა.

მრევლმა თვალი გააყოლა და მერე ერთმანეთს გადახედა.

მთავარი არ წავიდოდა გაგარინთან, მაგრამ მასში უცებ რაღაც შეიცვალა, რაღაცამ უბიძგა. გარკვევით თვითონ არ იცოდა, რა შეიცვალა, რამ უბიძგა. ესწრაფებოდა გაგარინთან მისვლა. სული წინ უსწრებდა. ისე ჩაუარა შვილის ეზოს, არ მიუხედავს იქით.

დედოფალი კესარია ისევ ფანჯარასთან იდგა. მაშინვე დაინახა მეუღლე. დაინახა, რომ სახლისაკენ არ მოიხედა, დაინახა აღელვებული რომ იყო და ოფიცერს მიჰყავდა. ელდა ეცა კესარიას. უნდოდა აივანზე გასულიყო და კაცი დაედევნებია. ნაბიჯი ვერ გადადგა, მუხლმოკვეთილი სკამზე დაეშვა. ეზოდან სვანების სიმღერა ესმოდა და გულზე ლახვრად ეცემოდა. ცოტა ხნის წინ თვითონ ადევნებდა თვალს სუფრის გაშლას, არიგებდა გრიგოლს, როგორ გაძლოლოდა სუფრას.

ორთა ძმათა ხოტბას ვმღერი,

სიკვდილს ვმღერი ორთა ძმათა...

მღეროდნენ სვანები. კესარიამ ყურებზე ხელი აიფარა.

მთავარი ისე სწრაფად მიდიოდა, ისეთი გრძელი ნაბიჯით, რომ ეკელნი უკან ჩამოიტოვა. ოფიცერს უნდოდა რაიმე დამამშვიდებელი ეთქვა კონსტანტინესათვის, მაგრამ როგორ შეებედავდა მთავარს. დამნაშავესავით მიჰყვებოდა. თანაგრძნობით სავსე თვალს არ აშორებ-

და მის მხრებს, ვიწრო წელს, ღონიერ კეფას.

„ალექსანდრეს დატუსსობა“ და ტფილისში წაყვანა მე დამავალა, — სიმწრით ფიქრობდა ეკელნი, — მთავრის ლოცვიდან მოწყვეტაც მე დამავალა და პატიმარივით მიმყავს, — ჯავრისაგან თავი უსკდებოდა.

გენერალ-გუბერნატორმა ეკელნი ხელმეორედ რომ გაგზავნა, იზუმსკი მაშინვე გავიდა გაგარინის კაბინეტიდან და გზაში შეეგება მთავარს.

— გამარჯობათ, თქვენო ბრწყინვალეზავ. გავიგე, დედოფალი კესარია ჩამობრძანებულა და სანახავად მოვიჩქაროდი, — იძულებული იყო ტყუილი ეთქვა, შერცხვა თავის თავის.

— დიახ, ჩამოვიდა კესარია, — უთხრა კონსტანტინემ ისე რომ არ შემდგარა, არ შეუხელებია ნაბიჯი, — მაგრამ ჩემი მეუღლე ჯერ თვითონ არ მინახავს. რა უნდა გაგარინს? — ჰკითხა პირქუშად.

იზუმსკი გვერდით გაჰყვა.

— ქალადლი მოუვიდა მის უდიდებულესობა მეფისნაცვლისაგან.


— ამისათვის მომწყვიტა ლოცვას?! — უთუოდ არ იცოდა, რომ ტაძარში ბრძანდებოლით.

— იცოდა, — მტკიცედ მიახალა მთავარმა.

— იქნებ იმიტომ გთხოვთ მობრძანებულებიყავით, რომ გენერალ-გუბერნატორი თორმეტ საათზე ქალაქიდან გასვლას აპირებს.

— კი არ მთხოვა მობრძანება, დამიბარა. წირვად მდგარი დამიბარა. გესმით?! — უკმაყოფილოდ უთხრა მთავარმა.

გაგარინის მოსაცდელ ოთახში რამდენიმე მოხელე იდგა. მთავარმა არ შეხედა მათ, არ მიესალმა, პირდაპირ გენერალ-გუბერნატორის კაბინეტში შევიდა. იზუმსკი თან შეჰყვა. არც კაბინეტში მყოფთ მიესალმა მთავარი და არც გაგარინს.



გენერალ-გუბერნატორმა, როგორც  
 კი შემოვიდა კონსტანტინე და შეხედა  
 მას, ისევ ინანა, რომ აჩქარდა, რომ  
 არ დაუჯერა იზუმსკის.

საქმეთამბართველმა თვალით ანიშნა,  
 დაღეშქელიანი აღელვებულიაო.

გაგარინი აღერსიანად შეეგება მთა-  
 ვარს. უნდოდა ზელი ჩამოერთმია, მაგ-  
 რამ იგრძნო, დაღეშქელიანი საპასუხოდ  
 ხელს არ გაუწვდიდა. მაგიდიდან სკამი  
 გამოუწია, დაჯდომა შესთავაზა.

მთავარი არ დაჯდა.

— დიდად ვწუხვარ, თქვენო ბრწყინ-  
 ვალეზავ, რომ წირვას მოგწყვიტეთ. და-  
 ყოვნება არ შემეძლო, მისმა უდიდებუ-  
 ლესობამ მეფისნაცვალმა თქვენი საქმის  
 შესახებ ქაღალდი გამომიგზავნა.

— რას გწერთ ასეთს, მეფისნაცვა-  
 ლი? — ცივად ჰკითხა კონსტანტინემ და  
 ამ სიცივეში საყვედურიც ისმოდა.

— თქვენი საქმე მის უდიდებულესო-  
 ბას, ხელმწიფე ალექსანდრე ნიკოლო-  
 ზის ძესთან გაუგზავნია გადასაწყვეტად.

— რაო, ისე მაქვს საქმე, რომ ხელმ-  
 წიფემ უნდა გადაწყვიტოს?! — გამომ-  
 ვეცად ჰკითხა მთავარმა.

გაგარინმა თითქოს ვერ გაიგონა შე-  
 კითხვა. არ უპასუხა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,  
 თქვენო ბრწყინვალეზავ, მისი უდიდე-  
 ბულესობა ხელმწიფე კეთილისმყოფე-  
 ლია და მოწყალეზავს არ დაგაკლებთ.

— მე სამთწყალო არაფერი მჭირს,—  
 უფრო ცივად მიუგო მთავარმა.

თითქოს ესეც ვერ გაიგონა გაგარინ-  
 მა.

დაღეშქელიანი მოთმინებას კარგავდა.  
 გაგარინის ყოველი სიტყვა ლახვარივით  
 ხვდებოდა გულზე.

— ვიდრე პეტერბურგიდან მისი უდი-  
 დებულესობის ხელმწიფის გადაწყვე-  
 ტილება მოვა, მეფისნაცვალმა საჭიროდ  
 სცნო საცხოვრებლად ქალაქი ერევანი  
 მივიჩინოთ.

— როგორ?! სამშობლოდან მაძე-  
 ვებთ?! — ყურს არ დაუჯერა მთავარ-  
 მა.

— გაძევება ფიქრად არ მოსვლია მის

უდიდებულესობას. ალბათ, თქვენი  
 დროებით ერევანში დავანება ხელმწი-  
 ფის აზრიცაა.

კონსტანტინემ სახე მიაბრუნა. ერთ-  
 ხანს მდუმარედ იდგა.

ყველა მას შეჰყურებდა.

იზუმსკი მთავრის ზურგს უკან იდგა,  
 მაგრამ მაინც ხედავდა მის სახეს, გაფი-  
 თრებულს, ხედავდა მის ჰკვიან, მსხვილ  
 თვალებს, შემფოთებულსა და ამღვრე-  
 ულს.

გაგარინი გრძნობდა, რატომ არიდებ-  
 და სახეს მთავარი, გრძნობდა, თავს რომ  
 ძლივს იკავებდა. უნდოდა, კიდევ რაი-  
 მე დამამშვიდებელი ეთქვა, მაგრამ და-  
 ღეშქელიანი თვითონ დაარღვია ღუმი-  
 ლი:

— მე ხელმწიფის გადაწყვეტილებას  
 არ აღვუდგები... დარწმუნებული ვარ,  
 უსლარის შეთითხნილმა მოხსენებამ შე-  
 იყვანა შეცდომაში, მეფისნაცვალი...

— მბაბტიეთ, მაგრამ მისი უდიდებუ-  
 ლესობა...

— არ გაბატებით, — თვალი თვალში  
 გაუყარა გენერალ-გუბერნატორს მთა-  
 ვარმა, — ტფილისში წავალ... ერევანში  
 არა, — უთხრა მტკიცედ, მაგრამ ეს უფ-  
 რო მუქარას ჰგავდა, — სამი თვეა შინ  
 არ ვყოფილვარ. ოჯახი უპატრონოდ  
 მყავს მიტოვებული, — არ მოეწონა თა-  
 ვის ნათქვამი. ჩივილს ჰგავსო, იფიქრა.  
 ამან კიდევ უფრო გააღიზიანა.

— თქვენს ოჯახზე მე ვიზრუნებ...

— თქვენ ვერ იზრუნებთ ჩემს ოჯახ-  
 ზე, — შეაწყვეტინა სიტყვა მთავარმა,—  
 ჩემი ოჯახის საქმეს სხვა ვერ მოაგვა-  
 რებს...

— მე თქვენთვის სხვა არა ვარ, თქვე-  
 ნო ბრწყინვალეზავ. ამის თქმის უფლე-  
 ბას, თუ არ ვცდები, ჩვენი მეგობრობა  
 მაძლივს...

— ცდებით. თქვენ ჩემი მეგობარი  
 აღარ ბრძანდებით. ამაში ერთი ხანია  
 დავრწმუნდი, — უთხრა და დაუმატა:—  
 ალბათ, არც არასოდეს ყოფილხართ.

გრიგოლ ჩიქოვანი  
 შპანსანინი მთავარი

— ამას თქვენგან არ მოველოდი...

— მე კი მოველოდი ამას თქვენგან, — მიახალა, მაგრამ უცებ შეიცვალა კილო. ხედავდა, მისი საქმე გადაწყვეტილი იყო, ვერაფერი შეცვლიდა. აზრი არ ჰქონდა გაგარინთან ლაპარაკს. — კარგით, წავალ ერევანში, მაგრამ შინ ჯერ ჩემს საქმეებს მოვაგვარებ.

— მისი უდიდებულესობის მეფისნაცვლის ბრძანება დღესვე უნდა შევასრულო...

— დღესვე?! — გაოცდა მთავარი, — რანაირად?! ამ დილით მეუღლე ჩამომივიდა. ჯერ არ მინახავს, — ისევ არ მოეწონა თავისი ნათქვამი, ისევ ჩივილად მოეჩვენა.

— დიდად ვწუხვარ, რომ ეს ასეა, — უთხრა გულწრფელი სინანულით გაგარინმა, — ტფილისში მის უდიდებულესობას თხოვეთ. იგი უსათუოდ გაუწევს ანგარიშს თქვენს გაჭირვებას, — რამ მათქმევინა სიტყვა გაჭირვებაო, მაშინვე ინანა გაგარინმა და შეწუხებულმა შეხედა მთავარს.

კონსტანტინე სახეს არიდებდა.

— მე არც სათხოვარი მაქვს არაფერი მეფისნაცვალთან და არც გაჭირვებული ვარ, — ველარ შეიკავა თავი და მკაცრად მოუჭრა მთავარმა.

გაგარინი ადგილიდან მოწყდა, ხელეზი ზურგზე შემოიწყო და ბოლთის ცემას მოჰყვა, რომ თვითონაც არ წამოცდებოდა უკმეხი სიტყვა.

კვლავ ჩამოვარდა დუმილი. ყველა სულგანაბული იდგა, დაჰიმული მოლოდინით შეჰყურებდა მთავარსა და გენერალ-გუბერნატორს.

იზუმსკის უნდოდა რაღაც ეთქვა გაგარინისათვის, მაგრამ ყელი შეეკრა, ხმა ველარ ამოიღო.

მთავარს თვალეზში სისხლი მოაწვა.

— ერევანში მხოლოდ სვანეთიდან დაბრუნების შემდეგ წავალ, — თქვა მკაცრად, ჯიუტად.

გაგარინი უცებ შეტრიალდა, მთავრის წინ შედგა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, მე იმითმ მოგიწევით, რომ მისი უდიდებულე-

სობის მეფისნაცვლის ბრძანება მოგესვენებია. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, — უთხრა სწრაფად, მეტი თავი დაუჭრა იმის ნიშნად, რომ აღუდგენია დამთავრებული იყო.

კაბინეტიდან მისტუმრებსო, თავზარი დაეცა მთავარს.

ოთახში შეყრილებმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს.

იზუმსკიმ სიმწრისაგან ტუჩზე იკბინა.

— ჰო... იქნებ, ოჯახისათვის ფული არა გაქვთ. მე მოგართმევთ, — უთხრა მთავარს მოულოდნელად გაგარინმა. — „ეს რა წამოვროშე?!“ — გაიფიქრა მაშინვე გონს მოსულმა.

იზუმსკის თავზარი დაეცა. შეშფოთდნენ სხვებიც.

გაგარინი უჯრის გამოსაწევად მაგიდისაკენ მიბრუნდა. — „რას ჩავდივარ!“


— თქვენო ბრწყინვალეებო, არ აკადროთ!

დაუძახა ფრანგულად იზუმსკიმ, მაგრამ გვიან იყო.

გაგარინმა უჯრა გამოსწია, ფულს დასტა ამოიღო და მთავარს მაგიდაზე დაუდო.

დადგეშქელიანს თითქოს სილა გააწინესო, გონება აერია, ხელი თავისით წაუვიდა ვალისაკენ, იმიშვლა და მახვილი გაგარინს მთელი ძალით დაჰკრა იმ ხელში, ფული რომ დაღო მაგიდაზე.

გენერალ-გუბერნატორმა ტყვილისაგან კინალამ შეჰყვირა, წასკდა სისხლი, მაინც არ დაიბნა, მარცხენა ხელი ხმლის კოტაზე გაივლო. მთავარმა დაასწრდ, სატევარი შიგ მუცელში გაუყარა. ამ დროს მხრებში უკანიდან ვილაც ჩააფრინდა. მთავარმა არც მიიხედა, მხრების ძლიერი მოქნევით შორს მოისროლა და კედელს მიანარცხა მაღალი, ბრვე კაცი. იგი ოფიცერი ილინი იყო. არ წაიქცა ილინი, ხმალი იძრო და კონსტანტინეს მიეჭრა. მთავარმა სატევრის ერთი დავკრით გააგდებინა იგი. მაშინ ილინმა ზედ შეხტონა დაუპირა. დადგეშქელიანმა სატევარი მკერდში ატაკა.



ყველაფერი აირია. გავარინი აქამდე ცალი ხელით მაგიდას ეყრდნობოდა, მეორეთი მუცელი ეჭირა, ილინი რომ წაიქცა, ხელი უშვა მაგიდას და ხმლის კოტას წაეტანა, მაგრამ შებარბაცდა, მთავრისაყენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ფეხი აერია, მუხლებზე დაეცა, გვერდზე გადაქანდა და პირქვე დაემხო იატაკზე.

კაბინეტში მყოფნი მისაღებ ოთახში გაცვივნენ. იზუმსკი კედელთან იდგა, უწნოდა, შეეჩერებინა გაცოფებული მთავარი, საძრაობა წაერთვა, ფეხი ვერ გადადგა.

გავარინი რომ დაეცა, იზუმსკის გვერდით მდგარმა კაპიტანმა სავინიჩმა, რომელსაც ხმალი არ ეკიდა, სასოწარკვეთილებით დაიყვირა და სალდათების დასაძახებლად კარისაყენ გაიქცა.

მთავარი დაედევნა. აღარ იცოდა, რას ჩადიოდა, უცებ კაბინეტში პორუჩიკი არდიშვილი შემოვარდა, გზა უტია სავინიჩს, ხმალი იშისვლა, მთავარს წინ გადაუდგა.

— შეჩერდით თქვენო ბრწყინვალეებე! რას ჩადიხართ?! გონს მოეგეთ! — შესძახა სისხლში მცურავ გენერალ-გუბერნატორისა და ილინის დანახვით შეძრწუნებულმა პორუჩიკმა.

— ჩამომეცალე, არდიშვილო! — დაუყვირა მთავარმა.

არდიშვილმა იფიქრა, სავინიჩს დაეწევა, იმასაც სიცოცხლეს მოუსწრაფავსო და დადემქელიანის გასისხლიანებულ სატევარს ხმალი შემოპკრა.

— ჩამოდექი-მეთქი! — ისევ დაუყვირა

არდიშვილს მთავარმა, — თავს ნუ შემაკლავ, ბიჭო!

არდიშვილმა ახლა მკლავზე დაუჭირა ხმლის შემოკვრა. მთავარმა სატევარი აუკრა, ხელიდან გააგდებინა და მიმედ დაქრა. მეგრე კარისაყენ წავიდა, იზუმსკი მაშინდა დაინახა.

საქმეთამპართველი თვალცრემლიანი, თანაგრძნობითა და ტკივილით შეჰყურებდა. ეს რა ჩადინეთო, ეკითხებოდა უხმოდ.

დადემქელიანმა შეიცადა.

— თქვენ კეთილი გული გაქვთ, ანდრეი ანდრეიჩი, — უთხრა ჩავარდნილი ხმით, — მშვიდობით, — სატევარი ქარქაშში ჩააგდო და გავიდა.

მოსაცდელ ოთახში არავინ იყო. ჩაპყვა კიბეს. — „წავალ, ცოლ-შვილს გამოვეთხოვები, — ფიქრობდა კიბეზე ჩამავალი, — არა. არ წავალ... სვანებში არ დაანებებენ პოლიციას ჩემს თავს... ისევ დაიდგრება სისხლი... ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავედინე?!“ ეს რა ვქენი...“

ერთი კვირის შემდეგ სამხედრო ტრიბუნალმა მთავარს დახვრეტა მიუსაჯა. ტყვიებით დაცხრილული კონსტანტინე პირქვე ჩავარდა სამარეში. ვიწრო კედლებში უკანასკნელად დაძაბა ტანი, რომ გადაბრუნებულყო და ცისათვის შეეხებდა.

ცა ლურჯი, წმინდა და კრიალა იყო. ახლო იყო, მისი, სვანეთის ცა იყო — უფალო... შენ ხომ იცი, არ მინდოდა მათი დახოცვა... — აღმოხდა უკანასკნელად და სული განუტევა.



— ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოეტევა, — სახლებმაც იფიქრეს და სახლის პატრონებმაც; ქუჩის დასაწყისთან მოდგა კომუნიზმი, ელვის უსწრაფესად ქუჩები ფართოვდება!



### პრაზიკის გზაჯვარედინი

(რატსოლია)

ანგრევს თბილისი დღეგრძელ ეზოებს,  
სადაც განძივით ძვეს ვერაზია;  
ჩემი ბავშვობა ძველ ჩერქეზოვზე,  
ძველ არსენალზე, ძველ ვერაზეა.

საზთა, ფორტეპიანთა  
ჰანგი მტერიან ქუჩებში  
კოჯრის ნიავს მიმოჰქონდა,  
როგორც თივა-ფურჩი.

„ნებმა“ ქალაქის ლაფში აზილა  
სიძვის, სიმაძღრის ნაირფერობა,  
ძვირფას ქვებიან ფლასით — აზია,  
არისტოკრატის ფრაკით — ვერობა.

„ტორგსინების“ ტკბილეული  
მიმიხმობდა ოქტომბრულს,  
გულზე ვარსკვლავმიბნეული  
ვერ ვითვლიდი ოქროებს.

ნაძალადევი თუ ჩუღურეთი,  
თუ მალაკნების შუკა ბაზართან  
ერთად მიჭედდნენ სულს ჩუქურთმებით,  
ყველა ძმაკაცის ქუჩამ გამზარდა.

სუფთა ქვეშაგების გარდა,  
გარდა სველი ბალიშის,  
რწმენის გარდა, რა გამაჩნდა  
ძველი პროლეტარის შვილს!

თან მდევდა წყველა მრეწველ მეზობლის,  
ვისთვისაც სასჯელს ვერ მოუცლია, —  
გაჩენის დღიდან ვეზარებოდით  
მე და ოქტომბრის რევოლუცია.

თბილისის მონათლული  
ვიფერებდი მეტსახელს,  
მისი დროშის ნათელი  
მიმწეებდა ყელსახვევს.

მხურვალე ხვატი ვედარ მათობდა,  
ვერც მოჩითული, თბილი საბანი;  
ციებ-ცხელებით მღევდა, მადნობდა,  
მკლავდა უძილო ფიქრის საგანი.

— არ გაივლო გულში შიში,  
არ წახდეთ, დამიბარა  
და ბავშვობა პურის რიგში  
ხელემშუა გამეპარა.

რეკდნენ ზარები: — თუ გადარჩებით,  
ხვალ დაგაჯახებთ ახალ განსაცდელს!..  
აზია ყიდდა თრიაქს „გლარჯებით“,  
ვერობა — ნახმარ საცვალ-ტანსაცმელს.

დროის მძიმე საკაცე  
მხრებზე მქონდა გადებული,  
ვიყავ ჩემსავ ასაკზე  
გამარჯვებავადებული.

მელტად იქცა ბევრის ჭადარა  
ზარის, ყომარის, ბანქოს თამაშში,  
ბევრმა თავისი ძვლები ჩაყარა  
ლოტოს კოჭების პარკუჭანაში.

მუშტარს ელოდნენ ქარვასლები,  
ოქრომჭედლები, საბაზები,  
მედროგეები, ხარაზები,  
წითელღაწეება ლამაზები.

ბაყალ-კინტოებს, ყარაჩოხელებს  
მოფესწარ დროის გადანაშთებად,  
ღვინის მორევეში თავჩახრჩობილებს  
ჯამთაცვლის ტალღა ათამაშებდათ.

თაბახს ვინღა ავსებდა  
ცოცხალით და ხრამულით.  
სხვა სიმღერა დასდევდა  
არღანს, ბაზრის ხმაურით:

— ჩემი შვილი  
მემწვანლილედ მინდოდა —  
ვირის ტაჩკით  
გავიდ-გამოვიდოდა...

გავბრიყვდი და  
მივაბარე შკოლაში,  
ის კი თურმე  
დადის კომსომოლაში.



სახელად ოთარ, გვარად ჭელიძე  
ვგავდი ჩემს ქალაქს, ჩემს ქალაქელებს  
და ევრაზიის გზაჯვარედინზე  
ლუკმას ვუყოფდი მთვლემარ აქლემებს.

მოლა მინარეთიდან  
თავს დამკიოდა მაღალხმით:  
— ქვეყნად ღმერთი ერთია —  
უუმადლესი ალაჰი!..

რა სიფათების იყო მიმოსვრა  
სამიკიტნოთა ჩოჩქოლ-გრიალში,  
რომ ახელებდა ნიკო ფიროსმანს,  
ეთიმ გურჯსა და სოსო გრიშაშვილს.

და რა კრული  
ჰხმობდა თბილისის პოეტი:  
— დაკარგული  
შენი შვილი მოფედი...

ჩხუბი, ფეხბურთი, ლასტის ტყლაშუნი,  
ჯიბე უდანო და უკაპიკო,  
პირველი ცრემლი — ნაღდი, ბავშვური,  
ძველი ძმაკაცის მკვდარი დაიკო...

— ირგვლივ ყოველს ბინდი ფარავს,  
ოთახშიაც სევდა დადის  
და ჰკიღია დის გიტარა  
კედელს უხმოდ, როგორც დარდი.

ძლივს გადაბარგდა „აბა ჰაბარდა“  
ეტლი-ჯაგლაგი ცხენის ფორხილით,  
კონკა დაიძრა და გადავალა  
თვლებგამომბული ძველი ქოხივით.

თვალის ერთი შევლებით  
თითქოს სასწაულებრივად  
მაგრამ მაინც ბუნებრივად  
ახალ ზღუდეს შევებით.

ვავებდი ნატვრის ტაძარს ტაძარზე,  
ვიყავ დაბმული სულ სხვა მშვენებით  
და ევრაზიის გზაგასაყარზე  
ჩემს მოუსვენარ სულს ვაშენებდი.

ბოხ ბანს კი არ კარგავდა  
ძველი ქარხნის საყვირი,

კვამლს ლაჟვარდში ქარგავდა,  
ზღაპრულ ყაისნალივით.

დიდ იმპერიას შებრძოლებიან  
და რალა ძალა შეაკავებდათ;  
პროლეტარები ეზოებიდან  
ქუჩებს ერთვოდნენ შენაკადებად.

მათი რწმენა მმოძღვრავდა  
და მუშათა კლასის შვილს  
მწამდა — ჩემიც რომ სწამდათ  
მთელ საბჭოთა კავშირში.

იყო საერთო საცხოვრებელი  
ყოველი ეზო, ჩიხი, უბანი —  
ლხინში — დღედამის გამსწორებელი,  
ჭირში — მწუხარე ჭირისუფალი.

იმ ჭისმაგვარ ეზოთა  
სინანულით გავიმსჭვალე,  
სადაც ნდობა მეფოზდა  
და კედლები გამჭვირვალე.

ქუჩებში, გვიან შუადამისას,  
ოცნებას აღარ დავაჭენებდი,  
შენობებს ცისფერშუშაბანდიანს  
ფესვზე დამყნეს ცათამბჯენები.

გადაცნობილ ნაცნობებს  
არც ქუდს გუხდი, არც ბოდიშს,  
მათი ქცევა მაცოფებს,  
მტკვარში ვეძებ აბოს ნიშს.

ჩემზე იტყვიან: — რაო, რა თქვაო,  
სიკვდილის ზღვარზე, ალბათ გაბავშვდა...  
ყურს არ დავგუდებ, დაე ჩამთვალონ  
დედაქალაქის მთვრალ გადანაშთად.

მთვრალად... განა ღვინის სმით, —  
თბილისური მზის ეშხით.  
სულს ვღაფავდე თბილისის  
გაგანია სიცხეში.

აღარ მეფიქროს ახალ შაჰ-აბას —  
ალა-მაჰმად-ხან-ჯალალ-ედ-დინზე,  
მომადირსებენ, ალბათ, დამარხვას  
ძველ ევრაზიის გზაჯვარედინზე.



მზეო მარეხიდან ზუალისკენ  
 გზის არ მომიშალო სიდიადე,  
 მტანჯე მესთატეხის უნაგირზე,  
 ელვა მახედნინე სიკვდილამდე.  
 მიწას — შორეული სამყაროდან  
 შვილი დავცქეროდე საიმედო.  
 პეშვით მოხვეტილი ავგაროზად  
 ნისლში გასახვევად გავიმეტო,  
 ეგებ გავაბრწყინო სივრცეებში  
 ხომლის მობრდღვიალე კოცონამდის  
 და არ დამავიწყო — სიმრწემეში  
 ცა რომ გამიხსენი კოსმონავტის,  
 რომ არ დამტეხნა უსასრულო  
 დროის მონაკვეთი, სასჯელივით,  
 რომ არ ვბოგინობდი უწარსულოდ  
 მარტო აწმყოსათვის გაჩენილი,  
 რომ ვარ ამირანის ნაშიერი.  
 ვინც აზრს აზიარა დედამიწა,  
 ადამიანთათვის საშინელი  
 ცეცხლი სიცოცხლესთან შეამტკიცა.  
 და ვინც გაუბედა მარადწირულ  
 წყვედიადს ჩირაღდანით გაჩაღება,  
 თავისუფლებისთვის თავგანწირულ  
 მონებს საფლავებშიც აჯანყებდა,  
 მზეო, უდაბნოში გავარდნილის  
 ფართო მომადირსე ასპარეზი,  
 გზა არ აღმიკვეთო აეთანდილის  
 და არ დამიჩრდილო ასპიროზი.  
 ან რა ბედენაა მოხალისის  
 ფრენა ფრენისათვის მარტოდენ,  
 თუ არ გავისარჯე მოყვასისთვის,  
 სადაც ქვემძრომები ბატონობენ...  
 ძრწიან არნახული გახელებით,  
 ბოღმით მსწორებელნი დღედამისა,  
 უნდათ საკუთარი სახელები  
 სისხლით წააწერონ დედამიწას,

თუ მათ აკვამლებათ ეღირსებათ  
 ბევრგზის დაფლეთილი ავგაროზის,  
 თავზე დაატყდებათ მესხსებრად  
 რისხვა აზავთებულ სამყაროსი.  
 და ვინც ამბოხების ქარიშხლებით  
 ცეცხლი სიცოცხლესთან შეამტკიცა.  
 მისი მძვინვარებით წავიშლებით,  
 თუ კვლავ გაისისხლა დედამიწა.  
 მზეო, მესთატეხის უნაგირზე  
 ელვით დარახტული მიმაკარი,  
 მხედარს შემეფეთოს მოწავლისკენ  
 მერნით ვაფრენილი წინაპარი.  
 ლურჯა ცხენებიან ბალდახინის  
 ქროლვას დავეწიო მირაჟამდე,  
 ხელში უზარმაზარ ზამბახივით  
 მეპყრას კოსმოსური სილაქვარდე.  
 არ მწამს სულწასული წინამარბენის  
 ეგზომ გარდასახვა ათასფერად,  
 ჩემი მეოცნებე წინაპრების  
 ფრთები მიკვწესიან ასაფრენად.  
 მე — ვინც სიზმარულ ხილვებიდან  
 სახის სიცხადემდე მივალწიე,  
 განა მოთქროვილ ღიღებიან  
 მუნდირს ვანაცვალე სიყმაწვილე,  
 სადაც საქანელამ გამაბრუა,  
 დროში მერამდენედ გადავეშვი,  
 მაინც ვერასოდეს დამაბრუნა  
 ჩემი არსებობის სათავეში, —  
 სადაც შორეული ათინათი  
 მისმობს სილურჯენი დაუნჯებით,  
 სადაც აკვნიდანვე დავფრინავდი  
 ზღაპრულ ხალიჩებით, ფასკუნჯებით.  
 მზეო, მარეხიდან ზუალისკენ  
 გზის არ მომიშალო სიდიადე,  
 მტანჯე მესთატეხის უნაგირზე.  
 ელვა მახედნინე სიკვდილამდე.





**მოთხრობაჲი**

მოშუადღეველა და კარგა გვარიანდაც ჩამოცხა, მაგრამ შაქრია ჯერაც არაფერს აპირებდა. ერთი ორჯერ შეეხმინა მკლავებდაკაბიწებული დედაკაცი — რასა იქ, კაცო, თიჯანს რატომ არ დაპკლავო, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყა — არხეინად წამოწოლილიყო ტახტზე, თვალეზი ჰერისთვის მიეშტერებინა და ისლა აღარდებდა, რა ვიცი, ემანდ ღმერთი არ გაუწყრეთ, წამოსვლა არ გადაიფიქრონო.

საბატიო სტუმრებს ელოდა შაქრია და მერე რანიარ საბატიოებსა. ხომ ნთქვამია, აღამიანის ბედი ზეცაში წყლებო, მაგრამ ეხლა შაქრიას ბედს ზეცასთან არაფერი ესაქმებოდა — აქ უნდა გადაწყვეტილიყო, აი, იმ განიერ აივანზე, ბარაქიან სუფრაზე უნდა გადაწყვეტილიყო. იწვა და ფიქრობდა: გონების

თვალთ სულ მიმოჩხრიკა კოლექტივის საწყობის კუთხე-კუნჭული. მილაგ-მოალავა, აწონ-დაწონა. ზოგი იქით გადააწყო, ზოგი კიდევ აქეთ გადმოალავა-გაზომა და გაპყო, მიიტანა და წამოიღო — დააბინავა, დათაკრა, დააბილთუმა ძველი მწონავი ბაქმანაანთ ვარდენა მოხსნა, ახალი დანიშნა — „ვინ დავნიშნო, კაცო?“. თავმჯდომარეს თაფლი მიუზიდა, ბულალტერს — ყველი, მოანგარიშეს — ლობიო, აგრონომს — სიმიანდის ფქვილი, „იმერელია, გაუხარდება“, ვეტექიმს — „რამდენნი არიან ეს ოხრები?! — შაქარი. ალაჯუნე შალიკოს გაკეთებული ამბრის ცალ თვალში ფქვილი ჩაყარა, მეორეში — შაქარი, მესამე ლობიოთი გაავსო, წათხში ყველი ჩაალავა, ნაალში — ბატყლი, დიდრონი ბიღონები კიდევ თაფლით დააღიცილიცა.

გაკეთდა შავი დედალიგით, წელში გასწორდა. ძველი სახლი გაყიდა, ახალი ვენახში ააშენა, მოთუთიებულნი თუნუქით გადახურა, სახურავზე თუნუქისავე მტრედები შემოსხა, ეზოს ქვის მაღალი გლავანი შემოავლო, რკინის მძიმე ჭიშკარი შეება და თანაც ერთი კარგი ზიკ-ზიკა „ჩიგული“ დაიყენა კარებზე.

თიკანი კიდევ, თიკნის ამბავი შაქრიამ უფრო არ იცოდა? ის არა სჯობდა სტუმრების თვალწინ დაეკლა, ხელდახელ ჩამოეტყავებინა, აეკაფა და ჩაეყარა ქვებში, ქვევრიც იმათ თვალწინ მოეხადა, ამოეღო და დაექაშნიკებინა მამაპაპურად? უფრო არ გაუძღებოდათ თვალი, უფრო არ გაიგებდნენ შაქრიას სიმარჯვის მაღლსა და მარილსა, იმის მარიფათსა? ის კიდევ: თიკანს რატომ არ დაჰკლავო? ეჰ, ნეტა რა იცნს დედაკაცმა, ტყუილად კი არ არის ნათქვამი, თმაგრძელი და ჭკუამოკლეო!

მზე რომ კარგად გადავიდა, შაქრიას მორყეულ ჭიშკართან თავმჯდომარის „კოლხონიკი“ და ორიც შავი „ვოლგა“ ჩამოდგა — სულ შავად ჩამოაბნელეს იქაურობა. დაფაცურდა შაქრიას ჯალაბი, სტუმრებს გზაზე გაეგებნენ (ძალი წინდაწინ დაემწყვდიათ სალორეში და ახლა იქიდან ისმოდა წკმუტუნები). ჯერ თავმჯდომარე გადმოხტა მანქანიდან, წინ შემოგებებულ მასპინძელს თვალების ბრილით რაღაც გაუგებარი წაუტუტუნა, წინა „ვოლგის“ კარი გამოაღო და იქიდან, იმ მანქანიდან, ისეთი საპატრო გვამი გადმობრძანდა, მოულოდნელობისაგან შაქრიას ელეთმელეთი დაემართა — საცოდავად გადმოკარკლა თვალები და ბუზანკალდახვეული სახედარივით თავის კანტურს მოჰყვა.

გადმოვიდნენ სხვებიც, ყველანი ჩამუსლუტებულ-ჩაპალსტუკებულები მძიმედ დაიქნიეს თავები: ელდანაკრავი შაქრია მოწყალე ღიმილით აათვალეირჩაათვალეირეს და ერთმა ეტყობა იმათში ყველაზე ხუმარამა და ანგაღმა, მასპინძელს მხიარულად მოუთათუნა მხარზე ხელი, ჩაახველა და უთხრა:

— აბა, ჩემო შაქრო, სად არის ეს

შენი თიკანი? — მერე ყველაზე უფროსნი მიუბრუნდა: — რა ვენა, ბატონო, ჩემი თვალთ თუ არა ვნახე, ქვევრიც ქვევრით მიუბნელივით ბატკანი არ შემოგვატყუოს ამ პატიოსანმა კაცმა.

ყველაზე უფროსმა გაიცინა და სხვებიც აჰყენენ.

შაქრია კი იღვა და ისევ აკანტურებდა თავს, ანაზღად რაღაც ბუნდოვანი გაახსენდა და გულში გაივლო — „ეგე, აკი ვიძახდიო, მაგრამ როდის რას იძახდა, ველარ მოიგონა.

დედაკაცი, ხომ მოგვხსენებთ, მაინც დედაკაცია — ეშმაკზე ერთი ღლით ადრეა გაჩენილი და ის რომ იქ არა ჰყოლოდა სულ მოეჭრებოდა თავი უბედურ შაქრიას. დატრიალდა თავისებურად, დაფაცურდა, ფართოდ გამოაღო ჭიშკარი და სტუმრები შინ შეიბატიფა. ნელ-ნელა შელაგდნენ ეზოში, მიათვალეირ-მიათვალეირეს იქაურობა, თავმჯდომარეს რაღაც ვადაულაპარაკეს და ისიც, ის დალოცვილი თავმჯდომარეც, ისე გულდაგულ აღძღვა კიბეზე, გეგონება საკუთარ სახლში მიუხარიაო.

ჩამობრიალდა შაქრიას ცოლი ეზოში, ქმარს მუჯღუფუნი გაჰკრა და საჩიხში გაუჩინარდა, იქიდან შაქრიას თმაგაწიწილი, მკლავებდაკარწახებული გოგი იცქირებოდა. შიგ შებარგანავდა თვი-თონაც, მიიხედ-მოიხედა.

— ეგ რა მიყავი, შე ჯანდამწვარო! — სიბნელიდან გამოჰსისინა ცოლმა: — რო არც თიკანი დაჰკალი და რო აღარც ღვინო ამოიღე!

ახლა კი ცოტა გონს მოეგო შაქრია, გამოფხიზლდა — მიცა, დედაკაცო!.. ჩაიბურღლუნა და ეზოში გამოვიდა.

— კაცო, კოლავ! — ასძახა თავმჯდომარეს, — ქვევრი კი არ მომიხდია ჯერა. რა ვიცი, ეგება თავიანთი თვალთ რო დაინახონ, იგრე უფრო ესიამოვნოთ-მეთქი..

— ყოჩაღ, ჩემო შაქრო, ყოჩაღ! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურები! — ჩამოსძახეს აივნიდან.

ისევ ეზოში ჩამოლაგდნენ სტუმრები, მასპინძელს შემოეხვივნენ.

— ღვინო როგორი გაქვს, შაქრო, ნახოვარ ჭაჭაზე ხომ არა გაქვს დაყენებული? — ჰკითხა ისევ იმ ანგაღმა.

— სწორედ რომ თქვენი საკადრისია, თქვენი ჭირიმი, აი წამობრძანდით და გასინჯეთ.

მარანში ბნელოდა. ვიწრო, გამჭურული საკმლიდან შემოსული სუსტი შუქი ოდნავ ანათებდა გაულესავ კედლებს, ჭერში დაკიდულ ნივრისა და ხახვის გაულეს, დიდ, ცარიელ ამბარს, კასრებს, გოდრებს, ლასტებსა და ვინ იცის, კიდევ რაღას არა. შაქრიამ კარებუკან მიყუდებულ თოხს წამოავლო ხელი, მოგოზილ ქვევრს მიადგა, მერე უკან მიიბრუნა თავი და კარში ჩამდგარ, გაღიმებულ სტუმრებს მიჰხედა.

— თქვენი ხელით ხომ არ მოხდით. რა ვიცი, იქნებ ეგრე უფრო გეამოთ?

— მიდი, ვასილიჩ, მიდი! შენ უფრო გეხერხება ეგეთი რამეები! — შეუძახეს აქეთ-იქიდან ყველაზე ხუმარასა და იმანაც, რა ბიჭი იყო, თავი გამოედო! შაქრიას სიცილით ჩამოართვა თოხი და ხელდახელ გამოაჩინა სარქველი

— ერთი ჭიქები მოგვიტანე, დედაკაცო! — გასძახა შაქრიამ დერეფანში.

მოჰხადეს სარქველი, საფენიც გადააძრეს და მარანში ღვინის სასიამოვნო სურნელი დატრიალდა. ქალმა ჭიქები შემოიტანა, ქმარს მიაწოდა და — ხომ ბნელოდა, არა? მაინც მიხვდა შაქრია, რაღაც უბედურება რომ დატრიალებულიყო იმის თავზე. თვალი თვალში გაუყარა დედაკაცს და იმანაც ისე შემოჰხედა, კინაღამ მუხლები მოჰკვეთა. ჭიქები თავმჯდომარეს მიაჩეჩა შაქრიამ, ბოდიშით რაღაც წაიბურღლუნა და ცოლს გარეთ გაჰყვა.

— რა იყო, დედაკაცო?!

— რაღა რა იყო, შაქრო, — შესტირა იმან. — თიკანი აღარ არი, კაცო!

— რანაირადა, აღამიანო?! — ფერი წაუვიდა შაქრიას. დერეფნიდან გავარდა და სახლუკან ბოსლის მოღიავებულ კარს მიადგა. „აქი გარედან გადავჩაზე, ეს ოხერი“, თავი მოიქექა ჩაფიქრებულმა და შიგ შევიდა.

ცარიელი იყო ბოსელი, გრილოდა, ნაკელისა და თივის სუნი ტრიალებდა. გულშემოყრილმა მიმოავლო თვალი იქაურობას, ბაგაშიც კი ჩაიხედა და უცებ რაღაცა აზრმა დენივით დაჰკრა, ჩამობურთული გონება გაუკაშკაშდა, გარეთ გამოვარდა, და გამტკნარებულ დედაკაცს მიეჭრა.

— ბიჭი სად არი, ბიჭი!

— ვინ ბიჭი, ქაა?

— ბიჭი სად არი-მეთქი, შე ოჯახქორო, გოგია სად არი?

ქალიც თითქოს რაღაცას მიხვდაო, ავად მოკუმულ ტუჩებზე ხელის გული მიიფარა და აღმურმა აჰკრა. მარნიდან მხიარული ლაპარაკი და სიცილი ისმოდა.

— მართლა იმის ნაეშმაკარი არა იყოს რა, შაქრო, აქი გუშინაც გეხვეწებოდა, თიკანი არ დამოკლოა?!

— აიი... — გულზე ხელი დაიბაგუნა შაქრიამ — ერთი არაფერი მინდა, მაგის წაყვანილი იყოს, თუ ჩემი ხელით არ გამოვჭრა ყელი!

— ვერ უყურებთ იმ არგასაზრდელს იმას?!

— რა ვქნა, როგორ მოვიქცე, აღამიანო?!

ამასობაში სახეწამოლებული, გამხიარულებული სტუმრებიც გამოიმალნენ მარნიდან — ყოჩად, შაქრო, მართლა კარგი ღვინო გქონიაო, — შეაქქეს და ლაპარაკ-ლაპარაკით ისევ აივანზე ავიდნენ.

— აბა, დედაკაცო, ეხლა შენ იცი და შენმა მარითათმა, სუფრა გაშალე. მე თუ მომიკითხონ, უთხარი — თიკანს ატყავებს-თქო. — ჩაიხიხინა შაქრიამ, დერეფანში მიყუდებულ რცხილის სასრეს წამოავლო ხელი და ღობეს გადაევლო.

თვალის ცეცებით აათავა აღმართი, წყაროსთან ავიდა და ნეთან ჩაყუნცულ დედაბერს წაადგა თავზე.

— ჩემი ბიჭისათვის ხომ არსად დავიკრავს თვალი, დიდედო?

ნუზარ შატაიძე  
მოთხრობები

დედაბერმა ამოჰხედა.

— რა თქვი, შვილო?

— ჩემი ბიჭი ხომ არსად გინახავს-მეთქი, აღამიანო!

— ხმაძალა მითხარი, შვილო, განა-ლა მესმის ყურთა...

— დაგაყრუოს და დაგაბრმოს მამა-ზეციერმა...

„მაგის წაყვანილია, მაგისა! — ასკვნიდა გულზე ცეცხლშემონთებული შაქრია — აჟი დილას აქეთა ფეხი ამოიკვეთა და აღარ გამიჩენილა სახლში. სად წამივა, ამ სახრით რომ ავუტყრელებ გვერდებს, მაშინაც ვერ ისწავლის ჭკუას?!“

შუა გზაზე გახილული, ნაფრონტალი „ემადინის“ ქვეშ კაცი შემძვრალიყო. ფეხების მიუჩინადა გარეთ.

— გამარჯობა, შალაე! — დაუძახა შაქრიამ — ჩემ ბიჭს ხომ არ აუვლია აქეთ?

გულაღმა გამოტილმა შალამ გარეთ გამოყოფილი ცალი ფეხით მეორე მოიფხანა, გუნებაში ერთი გემრიელად შეუკურთხა თავის თავსაც და ამ მანქანის გამომცემსაც, ზენუთით გამოძვრა და თავზე წამომდგარ შაქრიას ქვემოდან აჰხედა.

— რა გინდა, რას დაეძებ, სახლში არ მოვა?!

— მოვა და კაი კალმახსაც დაიჭერს!

— მოერევი? — გაიცინა შალამ.

— მამ არსად დაგიკრავს თვალი?

— თიკანი მიჰყავდა, აეგრე აიარა.

— თიკანი? — სახეში სასახლმა აასხა შაქრიას. — როგორი იყო, თეთრი?

— ჰო, თეთრი. ოთხი ფეხი ჰქონდა, რქები, კული, რა ვიცი... შაქრია შებრუნდა და გზას ძუნძულით დაადგა.

— ე, შაქრო, მოიცა, კაცო!

— რა იყო? — მოიხედა შაქრიამ.

— მართლა, დამავიწყდა წვერიცა ჰქონდა, წვერიცა!

ჩქარი ნაბიჯით გაიარა სოფელი და ვენახის გზას დაადგა. სანამ ჭიშკარს მიაღგებოდა, ღობეზე გადაეყუდა, ყურადღებით მოათვალიერა იქაურობა. მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო, ნიავე არსადიან იძვროდა, გარინდებუ-

ლიყო მსხმოიარე ვენახი. ქარვისფრად დამკვრახულიყო მწიფე მტევნები. ჭიმკარი უჩუმრად შეაღო და შავ შევიდა. უფრო მიყუჩდა გარემო, განიბა. უცებ საიდანღაც გულგახეთილი ჩიხკვი აფრინდა, ჭახჭახით გადაუარა თავზე და ვენახებგადაღმა, ხევში გაუჩინარდა.

ბალახგადავლილ ბილიკზე ჩამოვდა ილაჯმიხილი შაქრია, უმწეოდ მოათვალიერა შაბიამინისფერი ვაზის ძირები. თვალწინ ენგრეოდა დილას აშენებული ორსართულიანი სახლი, ჰაერში დაფარფატებდნენ თუნუქის მტრედები, ირლვეოდა გალავანი. არა, თიკანი უნდა ეშოვნა სადმე! საათივით აწყობილ საქმეს ეგრე ადვილად ვერ დაანგრევდა, კარზე მომდგარ ბედს უკან ვერ გააბრუნებდა. ამხელა სოფელში ერთი ქეციანი თიკანი როგორ არ ეყოლებოდა ვინმეს?! ნებით თუ არ მისცემდნენ, ძალით წაართმევდა და სტუმრებთან კი არ შეირცხვენდა პირსა!

იქაურობას ერთხელაც მოავლო თვალი და ის იყო ადგომა დააპირა, რომ იქვე ახლოს თიკანმა დაიკიანა. ფეხზე წამოიჭრა შაქრია, სახრე მოიძარჯვა და ფრინველივით გადაეშვა ვენახში. თვალი მოჰკრა ვაზებში რომ გარბოდნენ თიკანი და პატარა ბიჭი — უკან გამოუდგა. იმის ფეხქვეშ დაწალაწალა იმტვრეოდა გამომხმარი სარი, მიწაზე დასეტყვარით ეფინებოდა ჩინურის მსხვილი მარცვალი და შაბიამინიანი ფოთოლი.

ბოლოს, როგორც იქნა, ღობესთან მოუსწრო გაქცეულებს, მისწვდა და შვილს ღონიერად გადაუშხულია სახრე. ახლა თიკანს გამოენთო. ზღვასავით მოვარდნილ სიმწვანეში თეთრი ბირალივით ელავდა შაქრიას იმედი—იმის დამღუპველი და ამშენებელი. სულ ახლოს იყო, საცაა მიიმწყვდელა კიდევ და ვენახის ბოლოში ისევ თავის ადგილს იჭერდა ორსართულიანი, გაკაშკაშებული სახლი, განიერ ეზოსაც ქვის მაღალი გალავანი ევლებოდა გარშემო. სახურავზე კი ნაცემი ბაღის ზღუქუნში, ნელნელა, ფარფატით სხდებოდნენ თუნუქის ბრჭყვიალა, სანუკვარი მტრედები.



საწყალი სოსანა ვენახში მომკვდარიყო. იმ დილით პონტოს შეჭვედროდა გზაზე — მომესალმა, სიკვილისა არაფერი ეტყობოდაო — უკვირდა. დაბორკილი ცხენიც იპოვნეს ჭალაში — თავისთვის სძოვდა. ვაზი გაესხლა ბერიკაცს, წალამი ვენახის ბოლოში გამოეზიდა. ერბო აიკრიფებოდა, ისე დაემასპეხებინა იქაურობა, მერე მიმჯდარიყო კაკლის ძირში და დაეღია სული.

ზარით ამოასვენეს სოფელში. დიდი და პატარა უკან მოსდევდა ურემს. ვეებერთელა, ნაჯაფარი ხელები გულზე დაეკრიფა სოსანას. საკვირველი იყო, ცარიელ ხელებადლა ქცეულიყო ადამიანი. უზარმაზარი, გამხმარი და გაშავრკინავებული მტევნები უძრავად დაესვენებინა დალულსა და დაპატარაებულ სხეულზე. ნახნავეში გუთნის პირით ამოყრილ ძეძვის ძირებსა ჰვავდა იმისი დამახინჯებული თითები — დამაშრულები, ფრჩხილებდახეთქილები.

თავჩაქინდრული მოდიოდა სოსანას ბიჭი — ქორა. ორივე ხელით ღონივრად მოსჭიდებოდა ურემის ჭალს, სახემორღვეული დასცქეროდა მამის ცხედარს და როცა წინ შემოგებებულმა, თმაგაშლილმა და ლოყებჩამოგაზულმა ცოლმა შესტირა — ეგ რა გვიყო მამაშენმა, ბიჭო ქორაო! — მაშინლა ამოუჯდა გული და ბალღივით ახლუქუნდა.

იმისი ცრემლის დანახვაზე უარესი ზარი შეუდგათ ქალებს, კაცებმა მწარედ ჩაიკენიტეს ტუჩები და — კარგი კაცო, ქორავ, კარგი! აბა ემაგ ტირილით ეშველება რამეო?! შეუძახეს აქეთ-იქიდან.



სოფლის გარშემო გადაშლილი, ფერნაცვალი მინდვრებიდან ძალუმად მოჩქროლავს გაზაფხულის ნაზი სურნელი. ძეძვის ბუჩქებზე შემომჯდარი მამალი მოლაღური გულსაკლავი სტვენით უხმოზს დედალს. ყველგან იგრძნობა დაუ-

ოკებელი წყურვილი სიცოცხლის ჩასახვისა. დილიდან დაღამებამდე გუგუნებენ ტრაქტორები და აფუებული, მკვრდგადახსნილი მიწაც თესლს ელოდება. შავ ხნულში განივრად დააბოტებენ სახეშეჯაგრული გლეხები, ვაფხოკოლი ბრეზენტის. აკალთავებული წინსაფრებიდან მუქით იღებენ მარცვალს და მსუქანი მიწის მომლოდინე, ღონიერ წიაღში დინჯად ანევენ.

მესამე დღეა ქორას ახალი, ორსართულიანი სახლიდან მოთქმა და ტირილი ისმის.

— შე ბეჩავო, სოსანა! — ხავის გუგულთან ქალო.

— ცარიელ ხელებადლა ქცეულხარ, სოსანა! — იმდულრება ბაბაღე.

— შენი დღე და მოსწრება ხარივით რო ჩაპლუოდი მიწასა! — შესტირის კაკანთ ქალო.

სადალაქოსთან ხალხი მოგროვილა, ხის გრძელ სკამზე დინჯად სხედან ნაბღისქუდიანი, კისერდანაოკებული ბერიკაცები. დიდი, დაჯოკრილი ხელები ფრთხილად დაუსვენებიათ მუხლებზე და ფიქრში შესულნი ჩუმად უსმენენ ქალების ტირილს. ახალგაზრდებიც ბლომად ურევით. ყველას ქორას სახელი აკერია პირზე.

— ორი კარგი ნასუქი ძროხა უყიდა ბაზარზე — იძახის თეთრხალათიანი ბადრა დალაქი.

- ახლა ღვინო?
- მარტო ღვინო, კაცო?!
- ღვინოც და სხვა რამეც.
- განა ცოტა ხალხი მოვა — ეგ არი და მთელი რაიონი.
- ერთთავად აუღებელი სუფრა აქვს გაშლილი, კაცოო?!
- იმიტომაც თვალში რომ ჩაუფარდეთ, ხელს არავინ ამოისვამს, გამტანია, გამტანი!

ქვემოლან ტრიხის ბიჭი გამოჩნდება,

ნაჯაზა შატაძე  
მომხრობები

ზურგზე ვეებერთელა გასისხლიანებული ტომარა ჰკიდია და ხეწმით მოდის.

— გამარჯობათ, ხალხო!

— გაგიმარჯოს, დაკალი ღორი?

— დაკალი, მიშველეთ ჩამომადები-  
ნეთ.

ორი ბიჭი წაუწვდება და ტომარას ძირს დაადგმევინებენ.

— თვალი გეჭირთ, წავალ სასწორს ამოვიტან.

— წადი, კაცო, აქ არა ვართ?!

ტრიხის ბიჭი დაღმა დაეშვება, ზურ-  
გი სისხლით აქვს მოსვრილი.

— ნეტავ როგორა ჰყიდის?

— არ იცი? ხუთ მანეთზე ნაკლებ არ  
იზამს.

— ეგვე მაგარია. — იძახის კვინწი.

— მაგარი რა... რაც მაგან ქათმების  
ფერმიდან საკვები ზიდა!..

მზე საშუადღეოზე წამოსულა. თბი-  
ლა და სასიამოვნო ნიაგი უბერავს. სა-  
დალაქოს თეთრად შეფეთქილ კედელ-  
ზე დიდი წითელი ასოებით წერია —  
„უსაქმურების ფეხქვეშ მიწა უნდა იწ-  
ვოდეს!“ შორიდან ისევ ისმის ქალების  
მოთქმა, გზაზე ქეციანი ძაღლი მოსუნ-  
სულებს, სისხლიანი ტომრის დანახვაზე  
გაჩერდება და კაცებს აღმაცერად ათ-  
ვალეირებს.

სოფლის თავში, წყაროსთან ქალები  
მოგროვილან, ცივი წყლით დაუვსიათ  
კოკები, მაგრამ შინ წასვლას არა ჩქა-  
რობენ — აქაც ისმის მოთქმა, აქაცა  
ტრიალებს საწყალი სოსანას სული.

— კერბი კაცი იყო, ცხონებული, —  
იძახის მამო, პატარა, გაძვალტყავებუ-  
ლი დედაბერი. — ნეტა რა გაუხდა ის  
ოხერი ვენახი. აკი ეხვეწებოდა ბიჭი,  
გავყიდოთ და სულაც მოვიწყვიტოთო.

— განა ეგრე ადვილია, ქალო...

— არ არის ადვილი, მაგრამ აგე ჩემ-  
მა მიტამაც, რო აღარ შეეძლო, ადგა და  
გაყიდა.

— აღარა ვარგანან ეხლანდელი ჯე-  
ვლები, არა!

— აბა ქორაზე მაგას იტყვის ადამი-  
ანი?!

— ჩემი ბიჭებზეთ რა მეგონა...  
ლაქში გაექცა შვილი...

— რაღა უნდოდა, ქაა?! მჭდარიყო.

— კარგი ესვა და კარგი ექამა.

— მარტო ქამა-სმამა, ადამიანო?!

— სხვა რაღა?

— არ იცი, რო ნაარმალი ლუქმა ძნე-  
ლად გადადის ყელში?

— იპ, ნეტაი შენ!

სადალაქოსთან ისევ ისმის ქალების  
მოთქმა-ტირილი. გზის გადაღმა, ტი-  
რიფებთან მშვიერი ძაღლი დაყუნცულა  
და სისხლიან ტომარას ხარბად შესც-  
ქერის. ქვემოდან ტრიხის ბიჭი მოაკან-  
კურებს სასწორს.

— როგორ ჰყიდი, კაცო, აღარ იტყ-  
ვი?

— ვითომ არ იცი, არა?

— ბიჭოს, მე რა ვიცი?!

— აბა გაიხედ-გამოიხედე, როგორა  
ჰყიდიან?

— გაიხედ-გამოიხედე, აპა!

— შენ ისა სთქვი, მყიდველი ხარ?

— რატომ, რა!..

— რამდენი გინდა?

— ჯერ საქონელი გვაჩვენე!

ბიჭები შველიან, ორად გაჩეხილ ბუ-  
რვაკს ტომრიდან იღებენ და ცოტა მო-  
შორებით, ჭერმის ხის ტოტზე უკანა  
ფეხებით ჰყიდებენ. კაცები გარშემო  
შემოეხვევიან.

— კარგი გამოსულა, კაცო!..

— მოვლა როგორიღა უნდა! — იბ-  
ღინძება ტრიხის ბიჭი.

— მოვლა რაა...

— სუკები რო ამოუთლია?! ჰაი, რა  
ხარ, ტრიხის ბიჭო!

— ჰა, რომელი ხართ მყიდველი!

— მამ რუსეთში მიდიხარ სამუშაოდ?

— შენ რა იცი?!


— მერე მანქანას თავს ანებებ?

— იმის ოხრობაც იყოს!

— ბიჭო და თავმჯდომარემ რო გავი-  
გოს, ხო იცი, რა დღესაც დაგაყრის?

— ფეხებსაც ვერ მომაჭამს!





— მერე ეხლა, კაცო, გაზაფხულზე?!  
 — ე, ლურთო, აბა ერთი აქეთ მოიხედე, რომელი ჩამოვაჭრა?  
 — გაზაფხული მოდის, კაცო, ეხლა ღალატი იქნება?  
 — ეს კიდევ თავისას უკრამს?! რომელი ჩამოვაჭრა-მეთქი!  
 არადა, მართლა მოდის გაზაფხული, მოდის კი არადა, უკვე მოსულა კიდეც

— ჩაშავებული ტყის პირებიდან ყვითლად იცქირება შინდი, ჰაერში თბილის წყლით გაჟიებული მიწისა და ბაღის სურნელი ტრიალებს. იღვიძებს არემარე, საცაა ვენახების ბარვას დაიწყებენ სოფელში, საბოსტნეები დაბარულიცა აქვთ. ქორას სახლიდან კი ისევ ისმის ტირილი და მოთქმა — გლეხი კაცი მოგვდარა და იმას დასტირიან ქალები.



კვლავ კვირტივით გამშლის  
 სიხარულის ჩქერი,  
 აღარა ვარ ბავშვი,  
 ბავშვივით კი ვმღერი.

მკერდში ვიკრავ კიდევ,  
 თუმცა წლები მიდის,  
 კომკავშირულ ბილეთს —  
 კოშვევის სინდისს!

ნაზი კილასონია





კახეთის მონატრება

მე თუ ვარსებობ,  
ვარსებობ შენთვის  
და თუ ვხმინანობ,  
შენთვის ვხმინანობ...

ო, ამ ზვრებს ხელი ატყვია ღმერთის,  
ჩემო მამულო ალაზნიანო!

ხელით კი არა,  
შუბლით გეხები,  
შენს წინ დავემხე და გავიხარე.

გულს,  
ოდესმე თუ დამელღები,  
აქ მოდი,  
დაშვრი,  
და დაილაღე!

ვერ მოგეფერე,  
ისე დავბერდი  
და ვერ გიხვეწე მზიანი სახე.  
სანამ გრემია და ალავერდი,  
კახეთი მუდამ გერქმევა კახეთს!

ეს გული შენზე ფიქრებში გაცვდა,  
იმთავით შენი ტკივილი მტკივა.  
არ მომწყინდები,  
თვითეულ გაზთან  
გლენიკაცივით ხუთასჯერ მივალ!

მეოცნებები და მესიზმრები,  
მე თუ თვალს ვახელ,



მთელი დღე ვფიქრობ:  
რა მიხარია?  
რატომ ვარ ასე კმაყოფილი,  
მშვიდი,  
კეთილი?

ეს დღე არაფრით განსხვავდება  
გუშინდელ დღისგან,  
დღესაც ისეთი დახუთული და ცხელი  
დღეა,

რომ სუნთქვა მიჭირს,  
მეზარება ხელის განძრევა...

შენგამო ვახელ.  
ვიდრე არსებობს ალაზნის ზვრები,  
კახეთი მუდამ გერქმევა კახეთს!

მეც მომიხნავს და მეც დამითესავს,  
მეც ვფურჩქნე ვაზი ჩემი არჩივი,  
და ერთხელ,  
როგორც ბერმა პაპამა,  
რქით გადმოვკიდო მინდა ხარჯიხვი.

ო, ამ ზვრებს ხელი ატყვია ღმერთის,  
ცხრაკარით ზეცის ცხრავე კარს ვაღებ.  
სანამ გლენკაცი ამ ზვრებში შედის,  
კახეთი მუდამ გერქმევა კახეთს.

თელავი და გურჯაანი,  
ახმეტა და ყვარელი...  
სულ მიყვარდი,  
სულ მიყვარხარ,  
სულ მუდამ მიყვარები!

მე თუ ვარსებობ,  
ვარსებობ შენთვის,  
მე თუ ვხმინანობ,  
შენთვის ვხმინანობ  
და სულის კვამლი შენს ნისლებს  
ერთვის,  
ჩემო მამულო ალაზნიანო!

გვიან საღამოს,  
როცა უკვე შინ ვბრუნდებოდი,  
მე გამახსენდა:  
ღილით ვნახე ბედნიერი პატარა-გოგო,  
მალაზიის წინ,  
როგორც წერო,  
ცალ ფეხზე იდგა  
და მამა ფრთხილად აზომებდა წითელ  
ფეხსაცმელს...

ო, ისე ფრთხილად,  
თითქოსდა ფეხი მინისა იყო  
ან მინის იყო ფეხსაცმელი...



I,

მე და შენ,  
როგორც ობოლი ძმები,  
სიყმაწვილეში ვზრდილით ერთმანეთს.  
თანდათან რასაც მართმევდა წლები,  
შენ მიბრუნებდი უკან,  
ღმერთმანო.

წასული ისევ შეიმედებო  
და შუბლზე ახლაც იმ ნისლებს ვიხვევ,  
გაბზარულია თუმცა კედელი  
და,  
როგორც ძველი,  
ბებერი ციხე,  
იმ ბზარით ვსუნთქავ...

2.

სადაც წახვედი,  
იქ,  
სადაც ცხოვრობ,

ო, მომილოცავს ძლიერი ფრთები,  
ჩემო მართვევ და იმედო ჩემო!  
შენ შეგიძლია უკვე:  
იფრინო...  
ან უფრო ზუსტად:  
შენ შეგიძლია უკვე — გაფრინდე  
ამ ველობიდან იმ მწვერვალამდე,  
იმ მწვერვალიდან საითაც გინდა,  
სადაც გაგიწევს გული და გონი!

ნუ გეშინია,  
შენს ალტაცებას  
და შენს სიხარულს არ შეგვეხები,  
არ მინდა შენი ნიჭის მისხალიც,  
შენი უზადო ბედნიერების  
ცისარტყელიდან შვიდივე ფერი  
შენს სულში დარჩეს ნიდადა,

იქნებ დუმილი და სიბნელე არ შეფოსს  
მხოლოდ

და სახლსა შენსა  
იქნებ არ ჰქვია სიცარიელე —  
ამაოების მყუდრო საკანი?

მამ, რად ბრწყინდება და რად იელვებს  
ის,  
რაც დატოვე და რაც აქ არის?!

ზოგჯერ მგონია:  
ცისკრისფერ მტრედებს  
მანდ მოაქვთ ხსოვნის პატარა სხივი,  
ვით კედლის ბზარში შეჭრილი შუქი  
ან მარგალიტის ცახცახა მძივი,  
რომ გაგინათონ სიზმრები შავი  
და მოგანიჭონ სიხარული სულ ერთი  
წამით...

მე დამიტოვე ეს ძველი ბუდე,  
ჩემს ბებრულ ფრთებსა და ბებრულ  
სუნთქვას  
მხოლოდ ეს ბუდე შეეფერება.

ძველმა სახლმა და ძველმა ცამ მშვიდი  
სიზმრები იცის.

ოღონდ  
მომეცი ნება  
ანუ უფლება,  
აღფრთოვანებულ შენს გულს და  
ფიქრებს  
გადმოფუნერგო ჩემი გულიდან  
გვების პატარა, ცოცხალი ყლორტი...

წელან შემომხვდა.  
ისე გამიღიმა,  
თითქოს შევახსენე დავიწყებული ვალი..

ბევრი გზა დაშიღლია,  
ბევრჯერ ჩამისვამს ლამის ბეჭედში  
მთვარის  
ელვარე თვალი...

და მაინც:  
სხვა კაცი ვარ ამერიღან!

აქამდეც შენთვის უნდა მომემართა:  
— ღმერთო,

შენ მიხსენ და ამარიღე  
ამგვარი ღიმილი ძველთა მეგობართა!

ჯიუტად მოდის თეთრი ზამთარი...  
ო, შეუბოვრად მოდის ზამთარი,  
ვით მეომარი შუბლშეჭმუნული,  
მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი,  
ბებერი,  
მაგრამ მკლავდონიერი,  
ერთის მოქნევით რომ ჰკვეთს შუაზე  
კაცსაც და ცხენსაც.

ო, შეუბოვრად,  
ჯიუტად მოდის!  
ჯერ კი არა ჩანს,  
მაგრამ ჰაერში  
იგრძნობა მისი ძლიერი სუნთქვა.

არ ჩანს და მაინც ქარმა, რომელიც  
ამ მთების მიღმა ატეხა ზამთრის  
ხმლის მიმოქნევამ,  
ჩემი ფანჯრის წინ

დააყრევინა ქაღალის ფოთლები,  
მე კი სახეში შემომაკვია  
ცისფერ ყინულით ნასსლეტი სუნთქვა.

მე ვიცი,  
ჩემთვის მოდის ზამთარი,  
ის უკვე იყო შარშან,  
შარშან წინ  
და თოვლი, რაიც წამოიყოლა  
ქომიტოს მთიდან,  
სუსველა თავზე გადამაყარა.

ახლა სხვაგვარად მოემართება  
ცივად მკივანი და ზართამხდელი...  
მაგრამ მე მშვიდად ვზივარ ბუხართან  
და ფხას ვუსინჯავ მახვილს,  
რომელიც  
სულ ეს ხანია ჩამოვხსენ ფარდავს...



**რევოლუციის ჯარისკაცს**

დასაბამიდან  
 პირველო კაცო, —  
 საუკუნეთა მიღმა დევნილო,  
 ათიათასჯერ,  
 ასიათასჯერ,  
 მაგრამ ყოველთვის  
 გადარჩენილო!  
 შენ რომ პირველმა  
 ცეცხლი გაკვესე,  
 ნგრევა გაქონდათ  
 თითქოს ნაპერწკლებს,  
 ცაც ქოლგასავით რომ გადაკეცე,  
 მიზე ვარსკვლავებით  
 თითქოს დაგეძებს...  
 შესძელ  
 მუდმივად ქვეყნად გეცოცხლა,  
 რადგან სინათლე  
 შენს ნაფეხურებს  
 არ ჩაქრობია,  
 უსაზღვრო სივრცეს  
 დაუბინდავი  
 თვალი შეპყურებს...  
 საკაცობრიოდ ქვეყნად  
 სიმართლის  
 მლალადებელი გადარჩენილა, —  
 საუკუნიდან საუკუნემდე  
 გადმოწერილა, გადაწერილა  
 მისი დღეების ვრცელი  
 ფურცელი, —  
 სიმართლის გზაზე,  
 სინათლის გზაზე,  
 სამარადისოდ  
 ფერშეუცვლელი!  
 აპრილის დღეთა  
 პირველო კვირტო,  
 საუკუნეთა მიღმა დევნილო —  
 ათიათასჯერ, დამარცხებულო,  
 მაგრამ ყოველთვის  
 გადარჩენილო!





9 აპრილი, ირანში

მარინა გვრასიმენკოვს.

აჟა ვარ ისევ,  
 ირანის პირას  
 მიდგას ოცნების პატარა ქოხი,  
 დამსიზმრებია დედოფლის ქოხი  
 და მინდვრად მწვანედ გაშლილი ნოხი.  
 და მარტო ნოხი?  
 სათიბის ველი  
 გადაქცეულა ზღაპრების ხონჩად, —  
 აქ ნაკრძალია,  
 ყელჭრელა შველი  
 უსიზმროდაც კი ჯაგებში მოჩანს.  
 უსიზმროდაც კი, როგორც სიზმარი  
 ხელშეუხები — გაკრთა ლანდები,  
 ახლა ერთია ჩემი მიზანი —  
 სულ მალე თბილისს გადავბარგდები.

რადგან წინაპრის არ მაქვს მოთმენა —  
 აქ ვერ მოვძებნი  
 ახალ მიზნოროდს, —  
 ვერ ვიზამ — თბილისს ჩემმა ფოთრებმა  
 გადაკარგული მამა იგლოვონ.  
 მაგრამ რაც იყო,  
 იყო ზღაპარი  
 და დედოფალიც ქოხში ათეგდა —  
 მოოქროვილი ცხენის ფაფარი,  
 ირანის ღამეს ათინათებდა.  
 და ასე დამტკბარ  
 ლალისფერ ღვინოს  
 ვნების გრიგალი დაენტო ძილშიც, —  
 იმ სიზმარულ და ზღაპრულ ჭილოფს.  
 ირანის ჩრდილში ვარდივით გიშლი...

თოვლის,  
 თოვლის სამოსელში  
 უნდა მოგვადე, დედი,  
 ირგვლივ, როცა,  
 ირგვლივ, როცა  
 ქარბუქი და ნამქერი,  
 გუგუნებდეს,  
 გუგუნებდეს მძლავრი ვნება ვერდის —  
 მუსიკაში მწუნარება — ნათელია...

ხვეის წყალთან  
 მკერდდაჭრილი ფოთრები,  
 ხილვალა ჰქმენ  
 ღვთიურ საკვირველებს.

საყვარელო,  
 დამიკრიფე ხელები,  
 მომაფინე შემოდგომის ფოთლები,

...ცას დახერხავს  
 ჭირხლის მჭრელი კბილები,  
 ტყეს ტირილი წაასკდება უცაბედ  
 და ვერ გეტყვის  
 ვერვინ დანამდვილებით,  
 რას ვუცდით ან  
 აქამდე რას ვუცადეთ!

წლები ქრებიან?  
 თუ ხარ ცოცხალი,  
 უნდა შეგეძლოს  
 ვარსკვლავებით გულის ავსება,  
 უნდა შეგეძლოს  
 სააპრილო მოხაპო ფერი,

უნდა შეგეძლოს  
 წარითაცო ქალწულთა დიმი,  
 უნდა შეგეძლოს  
 პანტოა ექო სულში აბრუნო  
 და მერე?  
 მერე კი მძაფრად ყველაფერ ამას,



შენც წარუმატე შენი სითბო,  
 სისხლი ცხოველი  
 და მერე?  
 რაც კი გაგაჩნია  
 კარგი და ნაღდი

მიმოაზინე ძვირფას თვლებივით  
 დედამიწაზე,  
 რომ შენაც დაგრჩეს  
 ხსოვნის კვალი კეთილმყოფელი.

წვრილებს შუკი და, ვით მიეჭველი,  
 ართავს მაჭოზე სხივთა ჩხორიას, —  
 კრიალებს წამი — ოქრო კენჭებად,  
 და ეძალეობა ფერთა ბორიას.

ვგედავ, ტყემლების თეთრი ეჭვნები,  
 მოაქლარუნებს სოფლის გზა-შუკებს, —  
 მთრთოლვარე ტყეთა ციგა-ჭვერი  
 სანახს აურთოლებს, ფერავს აშუქებს;

იალებს ზეცა — ლარნაკი ბროლის  
 და მონუსხული ხეთა რტოები  
 ლივლივებს, როგორც სიწმინდე თოვლის —  
 ბირველყოფილი უმანკოებით.

და შენც გწყუროდა უხილავ ფერთა  
 ჩაფხვგვულება სისხლით და ხორციით, —  
 გასურდა კი ამ დროს რაიმე გეთქვა, —  
 მაგრამ აღვმოსდა ჩურჩული ლოცვის.

ფრთონავს სიჩუმე გაუსაძლისი, —  
 მხატვრის ყალბი სიმშვიდეს ნისლავს  
 და ეჯიბრება მდინარის ნისლიც,  
 ცაზე გაფრენილ ოცნების ისარს.  
 ბაღში სიჩუმე ყვითლად იმსხვრევა...  
 ბირიაკობს ოქრო — მდინარის დენად, —  
 აქ ყველაფერი ახლა ისეა,

ვით ანგელოზის ნეტარი ფშვენა!  
 მწამს აღარასდროს მოგაგონდება  
 ამგვარი ჩქამი,  
 ტირილი,  
 ლხენა!  
 მაგრამ კვლავ სიზმრით განმეორდება  
 ბავშვობის ფრთებით უსაზღვროდ ფრენა,

არ წავალ ისე  
 არ მომიხდეს მოხედვა შენსკენ...  
 თუმც სასწაულთა  
 ვისღა რჩება იმედი, მაგრამ  
 ახლა ყოველ წამს,  
 ვითარც ოქროს ნამცეცებს დრაგა  
 ეძებს ქვიშაში,  
 ისე ვეძებ წარსულის ნეკნებს...  
 სამყარო იგი  
 კვლავ მინაა სხივგამჭვირვალე —  
 ფიქრში მჩქროლავი  
 ხეების თუ მინდვრების ქობა,  
 დაედოს ცრემლად ნუგეშით  
 გახარულ ყრმობას,  
 გაფრენილ დღეებს,

მომავალ სევდას,  
 გარდუხდელ ვალებს.  
 ყალბი განცდები  
 წაევიდა ხსოვნათა ეკრანს, —  
 საცოდავია ჩაფერფლილი  
 ვნების ზვინები,  
 ხდება ასედაც:  
 მართალია, წინ იმზირები,  
 მაგრამ წარსულიც ტაძარია და...  
 ზარებს რეკავს.  
 ...ვარ მყოობადი —  
 მომავლის ქვას მივაფშვნი ნეკნებს,  
 არ წავალ ისე  
 არ მომიხდეს  
 მოხედვა შენსკენ.





ჯემალ ლავლიანიძე

# ნონასნობობა

რომანი

ნაწილი პირველი

## კ ზ ა

ჯონდოს გაეცინა.  
 — კარგი ღვინო ვიშოვნოთ, — გა-  
 აგრძელა ლერიმ.  
 ჯონდო ისევ იცინოდა.  
 — რა, არ დალევ?  
 — არა.  
 ლერის გაუკვირდა:  
 — მაშინაც არ დალევ?  
 — არა!  
 ჯონდო წამოდგა, მარილი ჩაყარა ჭი-  
 ქაში, მოურია და ცხვირიდან შეისრუ-  
 ტა.  
 — ვარჯიშს იწყებ?  
 — ჰო.  
 — წავიდე?  
 — იყავი. წამოწექი, ან ეგ წიგნი წაი-  
 კითხე...  
 — რა წიგნია?  
 — „განდი“.  
 — კარგია?  
 — წაიკითხე.  
 ლერიმ წიგნი გადაფურცლა და ტახ-  
 ტზე ჩამოჯდა.  
 ჯონდო ფეხმორთხმული იჯდა.  
 ლერიმ პირველი გვერდი ჩაათავა.  
 — რომელ გვერდზე ხარ?  
 — მეოთხეზე...

— შესავალი არ გინდა, ტექსტი და-  
 წყე.  
 ლერიმ რამდენიმე ფურცელი წაიკი-  
 თხა. მერე სიცილი აუჯარდა.  
 — ცოლი შერთეს?  
 ჯონდო იცინოდა.  
 — ჰო.  
 — ეგრეა...  
 — ეს რა ხალხია... ცამეტი წლისას  
 ცოლი შერთეს... არაფერი იცოდა... ძმის  
 ცოლმა ასწავლა, არა?..  
 ჯონდო მოგრეხილი იჯდა.  
 ლერიმ მცირე ხანს კიდევ იკითხა წა-  
 გნი და ფრთხილად დალო.  
 — აღარ გინდა?  
 — ველარ ვიგებ. სხვა რაღაცებზე  
 ვფიქრობ.  
 — მაშინ არ წაიკითხო...  
 ჯონდო გულაღმა იწვა.  
 — გძინავს?  
 ჯონდომ ხმა არ გასცა.  
 ლერიმ ათი წუთი დააცადა.  
 ჯონდო ოღნავ შესამჩნევად სუნთქა-  
 და.  
 ლერიმ ფეხი წაჰკრა:  
 — გეძინა?  
 — იცი, რა კარგია?  
 — შემეშვი... ერთხელაც ეგრე მიძე-  
 იმას რა ჰქვია, რაღაც „ვაჯარასანა“..

გაგრძელება. დახაწვისი იხ. „ცისკარი“, № 8. № 9.





— წესით, ღირსიც არა ხარ იქ წაგიყო-  
ლო... რალაცას ჩაგიწყობ და მარტო წა-  
ვალ...

— გამოგეკიდები...  
— რით?  
— გგონია, შენს მეტს არავის ჰყავს  
მანქანა?  
— მაინც?  
— მოვიტაცებ.

— ცოდვა გინდა გაიყოლო?  
— მორჩი... მე ერთ რალაცაზე ვფიქ-  
რობ... შენ ავანტიურისტი ხარ.  
— ესე იგი, შენი აზრით, მე გადაგი-  
ბირე?

— ჰო... შენ სხვა კაცი ხარ. არა ღე-  
ლავ... მართალი გითხრა, მეშინია აღარ  
ყოფნისა. ქუჩაში რომ დავდივარ, უმი-  
ზეზოდ მიწარია — წარწერები კაფეებ-  
ზე, კინოთეატრის შენობებზე, გასტრო-  
ნომებზე... მიხარია აღამიანები ერთად  
რომ მიდიან...

— საკმელის რიგში რომ დგანან, —  
გააგრძელა ჯონდომ.  
— თუნდაც!..

— ყოველთვის გიხარია?  
— რაც სიკვდილზე ვფიქრობ, სულ  
მიხარია...

— მადლობასაც არ მეუბნები... —  
ლერის გაუქვირდა:  
— რის მადლობას?

— წინადაც ასე გიყვარდა საკმელის  
რიგში მდგარი აღამიანების დანახვა და  
წარწერები მაღაზიებზე?

— არა.  
— მეტი რა გინდა, ცხოვრება შეგაყ-  
ვარე — სიკვდილს რომ დავბირდი...  
— მორიელი ხარ, — ლერის გაეცი-  
ნა.

— ლერი, შენ უნდა დარჩე... შენი სა-  
ქმე არ არის ღრმა ამბები... ვილაცამ  
ხომ უნდა დაუკრას გიტარა, ტაშ-ფან-  
დური...

ჯონდო ნელა იცმევდა. ჩანდა, მოს-  
წონდა საუბრის თემა:

— ესე იგი, შეგაყვარე ცხოვრება.  
აღამიანი რომ აღამიანს ცხოვრებას შეა-  
ყვარებს, როგორი აღამიანია?

— არა თქვა, ღმერთთაო.

— არა, ღმერთი არა, მაგრამ შეუამა-  
ვალი ხომ არის?

— რა შეუამავალი?  
— ღმერთებსა და აღამიანებს შორის,  
— ეგეთებიც არიან?  
— ხომ. ხედავ, ყოფილან...

ლერი დაფიქრდა და მოგვიანებათ  
თქვა:

— ჯონდო, მართალი არა ხარ...  
— მაინც?

— შენნაირად რომ ვფიქროთ, ის,  
რაც ამ ქვეყანაზე მოდის მისდაუნებუ-  
რად, ასევე უნებურად უნდა წავიდეს. —  
რა უფლება გაქვს, თვითონვე რომ  
სწყვეტ შენივე არსებობის საკითხს?

— საკითხი ცუდი სიტყვაა, მაგრამ აზ-  
რი ჩინებულია.

— მიპასუხე, გაქვს ამის უფლება?

— უფლებაც ცუდი სიტყვაა.. რას შე-  
დავები? იმის თქმა გინდა, რომ მე ჩემ-  
დაუნებურად გავჩნდი და ასევე მოვკვ-  
დე?

— ჰო, მაგას გეუბნები!

— ლერი, შენ ხელოვანი კაცი ხარ,  
სიმღერა, რომელიც შენში არსებობს,  
ქალაქზე გადაგაქვს, მერე თუ არ მო-  
გეწონა, იმ სიმღერას ანადგურებ...

— მაგრამ თვითონვე კი არ იწვის ფუ-  
რცელი...

— უკვე ცუდად მიცნობ... ჩემზე ძა-  
ლიან ბევრი რამაა დამოკიდებულია  
აღამიანები...


გიტარა, რომელიც აქამდე წყნარად  
იყო მიყუდებული კედელზე, გადაცურ-  
და და ქლიალით დავარდა.

იომის რქა კარადის თავიდან ჩამოვა-  
რდა.

ნათურები გაქანავდა.  
ჯონდომ ფერი დაკარგა.  
გიტარა გამოხიზილდა.  
რქა გიტარისკენ დაიძრა.  
ქარმა დაუბერა.

ხმელი ფოთლები არაკუნდნენ მინე-  
ბზე.

ჯიჟალ დავლიანი  
წონასწორობა



— მიწა იძრა, ჩქარა! — დაფყვნა  
ჯონდომ და ოთახიდან გავარდა...

ქუჩაში სიწყნარე იყო.

ტროლეიბუსები ჩვეულებრივად მი-  
მოდიოდნენ.

ჯონდო დაფეთებული ატრიალებდა  
თვალებს.

— შეგეშინდა? — შეეკითხა ლერი.

— ვერ მხედავ?

— ეჰე!

— ნერვებზე არ მომშალა, თორემ  
თავს გაგიტეხავ. ვაზიან წყლის ავტო-  
მატს ჰგავხარ...

ლერი ხითხითებდა.

— დავრეკო, ჯონდო?

— სად უნდა დარეკო?

— გავიგოთ, მიწა ნაღდად იძრა თუ  
არა... თუ გინდა იქაც დავრეკავ...

— ფსიქიატრიულში?

— ჰო, ავიდეთ, ვნახოთ, ნიძლავს და-  
გიღებ, ყველაფერი თავის ადგილზე იქ-  
ნება.

— არ მინდა.

— ჯონდომ მანქანის კარი გააღო.

ლერი არ ჩაჯდა.

— დაჯექი.

— გადმოდი, ჯონდო, მე დამსვი სა-  
ქესთან.

— დავეჯახებით?

— ჰო.

— გეშინია?

— იმ შიშს მაინც არ ჰგავს, გადმო-  
დი.

ჯონდო გადმოვიდა და უკან ჩაჯდა.

ლერის ნელა მიჰყავდა მანქანა.

— კიდევ ფვარჯიშებ, ჯონდო?

ჯონდოს გაეცინა.

— რას იცინი, შენ რომ მიწისძვრა გე-  
გონა და შეგეშინდა, იცი რა მოხდა?

ჯონდო სდუმდა.

— ახლაც კი გეშინია, როცა ამას გე-  
ლაპარაკები... რატომ დაგავიწყდა, რომ  
შენს მეზობლად სახლებს ანგრევენ? ის  
ხმაური და ზანზარი რომ მიწაზე დაცე-  
მული კედლის ბრალი იყო, რატომ ვერ

უნდა მიმხედარიყავი... გირჩევნია, დაა-  
ნებე თავი მაგ უცნაურ ვარჯიშს. შენ  
ქართველი კაცი ხარ... აბა, სად გავჩინ-  
ლა, ქართველი კაცი — ვაზის, ღვინის,  
მზისა და სიმღერების კაცი, არა სვამ-  
დეს, არა სვამდეს, არა სწუხდეს და არ  
უხაროდეს?.. ზუსტად ამეების დავიწყ-  
ებებისათვის შეიძლება დაისაჯოს...

ლერი გრძნობდა, შიშმა დააბნია ჯო-  
ნდო და აღარ მოეშვა:

— ვარჯიშს შეეშვი. დღეს დავლიოთ,  
შენც დალიე. გზაშიც დავლიოთ, ასე  
სჯობს...

ჯონდო დაიბოლმა:

— ვხედავ, როგორი გამოფიტულია  
შენი ტვინი და მტეგნები ალაგია შიგ-  
ნით, — თქვა ჯონდომ.

ლერი შემოტრიალდა:

— მართლა?

— ჰო, ოღონდ მტეგნები გამხმარია...

— დამცინი?

— დასაციინი რა გაქვს?

— გეყოფა... ერთი ის მოთხარი, ამ  
ხნის ხალხი ვართ, (ლერის გაეცინა ამ  
სიტყვაზე) და რა გვინდა საზანისგან?

— რომანებს ვუწერ. ის კი ფულს მა-  
ძლევს.

— გარდა შავისა?

— შეიძლება ჩემი ცხოვრების მეგო-  
ბარია...

— რა ცხოვრების მეგობარი?

— ცხოვრებაში ათასი რამაა საჭირო...

ლერი მუხრატუკის სატერფულს და-  
აწვა:

— ძველი ხალხების ჩვეულებისა-  
მებრ? ბოროტი ხარ, ჯონდო!

— კი, კაცო, ბოროტი ვარ, ეგ ნაბიჭ-  
ვარი არ არის ბოროტი, ის გოგო რომ  
გაუბედურა?..

— გოგოების გაუბედურება როგორ  
გავიგო?

ჯონდო მიუხვდა, გაუღიმა, მხარზე  
დაარტყა ხელი.

ლერიმ გააგრძელა:

— ჯონდო, შენი მეშინია...

— მშიშარა ხარ. მე მიწისძვრისა მე-  
შინია, შენ კი — ჩემი.

— ორივე შიშია...

— არა, არც ეგრეა საქმე, ჩემი შიში ბუნებრივია, შენი კი... შენ ხორცის გეშინია... მე სულისა.

ლერიმ სიჩქარეს მოუმატა და დინჯად თქვა:

— გინდა ვითხრა, რის ბრალია ყველაფერი?

— ეგ ძალიან ძნელი საქმეა, ნუ იქაჩები!

— არა, მე ჩვენს ამბავზე გეუბნები.

— რისი ბრალია?

— რისა და, სულ ეფილოსოფოსობთ. ქვა რომ ძევს, იმაზეც კი რალაცას ვამბობთ.

— ყრუჩუნა ხარ... იმ სიკვდილის შიშის გამო აზროვნებ და არსებობ... მეტი რა გინდა?

— ეგრეთი აზროვნება არ მინდა. ჩემში, ნახევარი ხორცია, ძმავო. იმას, რასაც გავაკეთებ, მსურს შევესწრო... ჩემი სიმღერები ხალხმა უნდა მოისმინოს... ჯონდომ შეაწყვეტინა:

— შენ კი, იმ ხალხს გინდა უყურო, რომლებიც შენს სიმღერებს უსმენენ და უკართ ტაში ერთმანეთს.

— ცუდია მერე?

საზანის სახლს მიადგნენ.

— მივეცე სიგნალი? — ჰვითხა ლერიმ.

ჯონდო მიხვდა, ერთხელ უკვე ნაცადი ხუმრობა გაიხსენა ლერიმ და გაცინა...

საზანი მწვანელს კრეფდა.

— ჩვენ უკვე აქ ვართ, — გადაიკინკისან თეკლემ.

— როგორა ხართ?

— კარგად.

— შენა? — ჯონდო ნესტანს მუბრუნდა.

— მე ვერა ვარ კარგად... და საერთოდ ვერ გამოვიდა, როგორ შეიძლება ადამიანი მუდამ კარგად იყოს.

ჯონდომ თვალები მოჭუტა:

— ეგ სადაური ფილოსოფიაა?

— შველი, ქალური ფილოსოფიაა, ნესტანის მწვერვალად უპასუხა ლერიმ.

— სულელები არიან სულ კარგად, განაერთო აზრი ნესტანმა.

— თავს რატომ არ აცანცარებ, როცა ასეთი ბრძნული, ჯერ არსადგავონილი აზრები ამოგდის მავ პირიდან? — დამარცვლით გამოსტრა ჯონდომ.

— ყველას ნუ დასცინი... ბევრი რამე ისე არ არის, შენ რომ გვინია...

— ეგრე რომ ლაპარაკობ, ბავშვობა მაგონდება... ერთი თხა გვყავდა — სულ შენა გვავდა...

— ცხოვრებაში სხვისი დაცინვის მეტს არაფერს აკეთებ!

ჯონდომ დაუსტვინა.

— ყველაფერს ვიტყვი! — წამოიყვირა ნესტანმა.

ლერიმ თავი ასწია.

ჯონდოს გაეცინა:

— არ დაგიჯერებენ... „არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ!“ — იცი ეს სიმღერა?

— დამიჯერებენ!

— არ დაგიჯერებთ, არ დაგიჯერებთ!

— წაიმღერა ჯონდომ.

ნესტანს ტირილი წასკდა.

ჯონდო მიუახლოვდა და ნაღელიანად უთხრა:

— ნესტან, გვაპატიე... მე მავატიე... წადი... ჩვეულებრივად ვხუმრობ... შენი ნება არ არის? დანარჩენი კი... ყველას თავისი მიუზღვება — მეც, შენც, თეკლეს, საზანს, ლერის...

ჯონდო მაგიდასთან მივიდა, ღვინით სავსე ჭიქა აიღო...

ლერიც იქ გაჩნდა.

— ნესტანს გაუმარჯოს... ნახვამდის... მშვიდობით... კარგად იყავი.

ლერიმ და ჯონდომ ჭიქები მიაჭახუნეს...

ლერიმ ერთი მოსმით დაცალა.

ჯონდომ ჭიქა გაუშვა ხელიდან და დაამსხვრია.

ნესტანმა ყველას დაუარა, სათითაოდ

ჯამვალ დავლიანთ

წონასწორობა

გადაჰკოცნა და ჯონდოს სთხოვა, გამა-  
ცილეო.

- ვერ გაგაცილებთ!
- ეზოს კიბემდე...
- ვერა-არა-ვერა დამიჯერებთ?
- რალაცა მინდა ვითხრა.
- მაშინ, წამოვალ...
- კიშკართან შეჩერდნენ.
- ნესტანი შემობრუნდა:

— გიყვარვარ... ვიცი... ნურაფერს მი-  
პასუხებ...

ჯონდოს ნაღვლიანად გაეღიმა და თა-  
ვი გაქნია:

- არა, ნესტან...
- გიყვარვარ!
- არა.
- გიყვარვარ!
- ვერ მიყვარხარ... დედას ვფიცავ, ვერა... არა, — ესე იგი, ვერა...
- ვინ გიყვარს?
- წადი, ნესტან...
- თეკლე?
- წადი...
- მითხარი!

— დედაჩემი მიყვარდა...

ნესტანმა თავი ჩალუნა.

ჯონდო ოდნავ წაიხარა:

— რომ ვითხრა, ვინც და რაც მიყ-  
ვარს, დამიჯერებ?

— ჰო.

— კატები მიყვარს... ძალღის ლექ-  
ვები... ერთი კალია, რომელსაც ფრთა  
მოვტეხე... ბაყაყები, ბავშვობაში რომ  
დავხოცე...

ნესტანი გაოცდა.

ჯონდოს გაეცინა.

— ხომ ვითხარი, არ დამიჯერებ-მე-  
თქი...

— მჯერა.

— შენ რომ გჯერა, ის მე არ მჯე-  
რა...

— მოდი, გაკოცებ...

ჯონდო დაიხარა.

ნესტანმა აკოცა, ხელები დაილაგა  
მუცელზე, გაქანავდა და შებრუნდა.

ჯონდო სახლისკენ წამოვიდა და ლე-  
რის მეტს არავის შეუნიშნავს ცრემლე-  
ბი, რომლებიც უპეებშივე ჩაახრჩო.

— აგადულა, ჯონდო?

— რალაც მომავონდა...

— გარდაცვლილის თვალებით შეხე-  
დე ყველაფერს? — ლერი ჩააცხვდა.

— ჰო... ჭკვიანი ხარ... სულ თან უნ-  
და გატარო...

ლერის გაეცინა:

— საცემი ხარ.

— ისე, კარგი კი იქნება, შენნაირი  
ვინმე დარჩეს... შეწყალების მოგონება,  
შენს თავზე, როცა ცოცხალი ხარ, კარ-  
გად მოქმედებს ნერვებზე...

— ცრემლები?

— ჰო.

— შენი აზრით — ნაღვლები მაშინა  
ვართ?

— მოკეტე!

— ალაღად ვითხარი.

— ეგ სიტყვა ყვეყჩურია!

— ბრიყვულია.

— ალაღი...

— ქართულია?

— არა!

— მაშ?

— არ არის ქართული!

— საზანი ქართველია?

ჯონდომ გაიღიმა:

— ყველაფერზე მიფიქრია, მაგრამ  
მაგაზე არა...

— რამდენი რამ გრჩება შესაცნობი!

— მაგას საღდა აქვს ეროვნება... კა-  
ცი რომ მამას გაძარცვავს...

— თეკლე, გარეთ გავიდეთ, ბაღში, —  
სთხოვა ჯონდომ.

...ხეების ძირში გრიღოდა.

თეკლე ჩაეხუტა ჯონდოს.

— მაგისტვის არ დაგიძახე...


— ჩემთან არ გინდა ეგრეთები.

— შენ რა, წითელი კოჭი ხარ?

— კოჭი ვარ.

— გიყვარვარ და ამისი თქმა გსურს...  
ველარ მოგიტმენია, — დიმილით თქვა  
ჯონდომ.

— მიყვარხარ, მხოლოდ, თქმა ამ  
მსურდა, შენ მათქმევინე.



— ცოდო დავიდე?  
 — ჰო.  
 ჯონდომ ხელი დაადო მხარზე, მსუბუ-  
 ჯად დაწვა.  
 დასხდნენ.  
 ჩიტი მღეროდა ბალის რომელიღაც  
 კუნჭულში...  
 თეკლემ ბალახზე ჩაცურდა, კალთაში  
 ჩაუდო თავი ჯონდოს და თვალები და-  
 ხუჭა.  
 — რაზე ფიქრობ? — შეეკითხა ჯონ-  
 დო.  
 — შენ რომ არ იქნები, რას ვიზამ-  
 მეჭი.  
 — რას იზამ?  
 — შენ გგონია, რამე შეიცვლება შე-  
 ნი სიკვდილით?  
 — გარდაცვალებით.  
 — გარდაცვალებით.  
 — შეიცვლება!  
 — არაფერიც არ შეიცვლება.  
 — შეიცვლება!  
 — რა შეიცვლება?  
 — ჩემი ადგილი.  
 — ?!?  
 — მე რომ ვიყავი, ის სივრცე გამო-  
 ცარიელდებოდა.  
 — არ შეივსება?  
 — არა!  
 — არა?  
 — თუნდაც, ვერა.  
 — როდის აპირებ?  
 ჯონდო წამოწვა...  
 — გესმის?  
 — მესმის და არ ვიცი.  
 — როცა მოგეხასიათება?  
 — ალბათ.  
 — ძნელია?  
 — ძნელია.  
 — რატომ მეუბნები იმას, რასაც არა-  
 ვის ეტყობი?  
 ჯონდო მცირე ხნით ჩაფიქრდა და გა-  
 აგრძელა:  
 — უბრალოდ, ჩვენ, კაცები, კამათის,  
 კინკლაობის დროს, ქალებს იმას ვერ  
 ვეუბნებით, რისი თქმაც გვსურს, ამი-  
 ტომ გამოგვდის სულ სხვა...

თეკლემ შუტელზე დაადო ხელი:  
 — ჯონდო, ცოლის შერთვაზე რა აზ-  
 რისა ხარ?  
 — ქალებთან ურთიერთობა მდლის.  
 თეკლემ გაოცებით შეხედა.  
 — არა, სიყვარულს კი არ ვუარყოფ...  
 აი, მაგალითად, შენ რომ დღეს გამეცა-  
 ნი... რა უნდა მეთქვა? საიდან მომეც-  
 ლო? იქნება სჯობდა, დღეს თხასავით  
 მეცანცარა შენთან, შენი სამსახურის  
 ტელეფონის ნომერი ჩამეწერა უბის  
 წიგნაკში, სახლში მივსულიყავი, წვერი  
 გამეპარსა, კარგად გამოვწყობილიყავი,  
 სამუშაოს ბოლოს დამერეკა და პაემა-  
 ნი დამენიშნა?  
 შენს შენის მხრივ შეიცხადებდი, რა-  
 ლა დროს ჩვენი პაემანია, ხალხი რას  
 იტყვისო... მე უნდა დავმოვრალიყავი,  
 სამი დღე მესვა (მელოთა), მეოთხე  
 დღეს ისევ გამეპარსა წვერი და ტელე-  
 ფონზე დარეკვის ნაცვლად სამსახურის  
 კართან დაგხვედროდი... მე კინოს შე-  
 მოგთავაზებდი. შენ მეტყობდი, რა გადი-  
 სო. მე გეტყობდი — ეს ვადის-მეთქი. რა-  
 ხან ეგ ვადისო, წამომყვებოდი... კინო-  
 ში ნაყინს შემოგთავაზებდი. ჯერ უარს  
 მეტყობდი, მერე მოგინდებოდა, გიყიდი-  
 დი და ორთავეს ვაგვეცილებოდა. ჩვენს  
 უკან მსხდომი წყვილი შენიშვნას მოგვ-  
 ცემდნენ, რაც უფრო ვაგვაცილებდა.  
 შენც ვაგეხარდებოდა და მეც ვამახარე-  
 ბდი... შემდეგ შინ ვაგაცილებდი...  
 თქვენი ქუჩის კუთხეში მეტყობდი —  
 მეტს ნულარ მიმაცილებო... — მე ჯერ  
 ვაგძალიანდებოდი, შენ ოდნავ გაბრა-  
 ზდებოდი, მე დაგიჯერებდი და ისე წა-  
 ნიოვიდოდი, ხელსაც ვერ მოგიჭერდი  
 ხელზე. მობუზული ვაგცილდებოდი...  
 რამდენიმე დღის შემდეგ პაემანზე  
 შეგხვდებოდი და თეატრში წავიდო-  
 დით... ანტრაქტის შემდეგ ხელს გამო-  
 ვაცურებდი, ხელს დაგიჭერდი, შენ  
 უკან წაიღებდი, მე მულარით გადმოგ-  
 ხედავდი, შენ გაოცებით შემომხედავდი  
 და მეტყობდი, რა დროს ეგაა, შეხედე,  
 ჯამალ დაგლიანი  
 წონასწორობა



რა საინტერესოდ თამაშობენ მსახიობები... მე მსახიობებზე დავიბოლოდი, ხელზე ხელს მოგიჭერდი, შენ გაბრაზების გამომხატველ ბგერებს გამოსცემდი (აისის!) და ხელს წამართმევდი.. სპექტაკლის კულმინაციისას (სადაც საყვარლები ხანგრძლივი განშორების შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს) ხელს იხევ მოგავლებდი, შენ ოდნავ გასწევდი ხელს, მაგრამ სულ არ წამართმევდი... შინ გაგაცილებდი. ქუჩის კუთხესთან უწინდელივით მეტყობდი, ნულარ წამოხვალ... მაინც წამოვიდოდი და ჭიშკრამდე მიგაცილებდი... კიდევ დაგინიშნავდი პაემანს... რესტორანში წაგყვინდი, კონიაკს დავლევდით, ყავასა და ტბილელს მივაცოლებდით... მე დავთვრებოდი, მიგაცილებდი სახლამდე, შენი ქუჩის კუთხესთან ხელს გადაგხვევდი, შენ არ მომიცილებდი, ჭიშკართან გაოცებდი... შენ ხელს მკრავდი, მე არ ვავიქცეოდი, შინ შემოგყვებოდი, მუხლებზე დავეცემოდი, ავღრივდებოდი და შენს მშობლებს ჩემი უცნაური (ნაგვიანვე) წინადადებით (თქვენი შვილი გამომაყოლებთ ცოლად-მეთქი) გავაშტერებდი... შენც იტირებდი, შენი მშობლებიც და დავწყნარდებოდი... მერე, ჩემს სახლში ჩავგურდი, ქორწინებას ვაფორმებდით და მაინცადამაინც ვარდისფერი საღამური სინათლის შუქზე, ვარდისფერ ოთახში, ვარდისფერ საცვლებში გამოწყობილი, ვარდისფერ ღოგინში, ვარდისფერ სიყვარულს დავეწავებოდი და ცოლ-ქმარი შევიქმნებოდი...

თუკლე გაკვირვებული უსმენდა.  
 როცა ჯონდო გაჩუმდა, თუკლემ ამოიხზრა და ხმადაბლა თქვა:  
 — მართლა მიყვარხარ, ჯონდო... შეიძლება სასაცილო ვარ ამ წუთში...  
 ლერი დაადგათ თავზე:  
 — ქორწინებაც არ ვამიკვირდებთ თქვენგან...  
 — აი, ზეინკალიც მოვიდა.  
 თუკლემ თვალები გაახილა:  
 — ვიქორწინოთ?

— აქამდე რა კარგი იყო ყველაფერი, — ჯონდო წამოდგა. — თუკლე, ეველია ფერი მაინც გათხოვების სურვილით დაამთავრე, — რად გინდოდა?  
 — „პაჩოტნაია ვლავა!“ — ჩააკერა ლერი.  
 — მართლა გინდა? — ჰკითხა ჯონდომ.  
 თუკლემ თავი მიაბრუნა.  
 ჯონდო ჩაიკუნტა:  
 — მართლა, გოგო?  
 თუკლე ტიროდა.  
 — რომელიმე მოთხრობაში, ან რომანში, შენი ტირილი ხელოვნური იქნებოდა და მკითხველი ვერ გაიგებდა... ლერი წავიდა.  
 თუკლემ პაჩია ხელი დაადო ჯონდოს.  
 — პერანგის ღილი შეუხსნა, შიგნით მოუფათურა:

— რა გლუვი კანი გაქვს, რბილი... ჩიტი ისევ უსტვენდა. ოლონდ, მჭახე ტემბრი მოეძალა, თითქოს რაღაცამ დააფრთხო.

ჯონდო გულაღმა იწვა.  
 თუკლე პირქვე დამხობილიყო.  
 — არა გრცხვენია? — დაიწყო ჯონდომ.  
 — არა.  
 — აქედან სარკმელები ჩანს... ჯონდომ თმაზე გადაუსვა ხელი:  
 — ადრე რომ მცოდნოდა ეს ამბები, რაღაცის წერას დავიწყებდო, კარგი რავე იქნებოდა, ნაღდი...  
 — ახლა დაიწყე.  
 — უკვე ვეანა.  
 — საბოლოოდ გადაწყვიტე? ჩიტმა მოუმატა სტვენას.  
 — ჩიტი! — აღმოხდა თუკლეს.  
 — ჩიტებმა ყველაფერი იციან... ჯონდომ ნაღვლიანად გაიხედა ბალის კუთხისკენ, საიდანაც ვალობის ხმა მოდიოდა...\*



კალამი დაედგე, — ვიგრძენი, მეტს ვე-  
 ღარ დავეწერდი... ვაგონში ჩემს მიერ  
 ატეხილი ჩხუბი ვერა და ვერ მოვიშო-  
 რე. ყველაფერი თავიდან დაიწყო და  
 ბოლოს შემდეგი სიტყვებით დამთავრ-  
 და: „ისინი უბრალო ადამიანები არიან...  
 ბავშვებს თბილად აცმევენ, ორპირი ქა-  
 რისა ეშინიათ, დღეში ოთხჯერ ჭამენ,  
 სიგამხდრეს ავადმყოფობად თვლიან,  
 როცა ბავშვი უბუროდ ჭამს — ტუქსა-  
 ვენ, წელიწადში ერთხელ კურორტებზე  
 მიდიან დასასვენებლად, მომტრო ღიპს  
 ჯანმრთელობად თვლიან, საკუთარი  
 პროფესია უყვართ, საუზმის დროს სა-  
 დილზე ფიჭობენ, სადილზე — ვაშლა-  
 მი აწუხებთ, ვაშლამზე — ხვალინდელ  
 დღეზე დარდობენ, ცალ-ცალკე შეგებ-  
 რალებათ, ერთად — საშინელ ძალას  
 წარმოადგენენ, უბრალოდ ცხოვრობენ  
 და თავ-პირს დააღწევენ იმას, ვინც შე-  
 ეცდება ანაირი ცხოვრება წაართვას და  
 შეუცვალოს...“

ასეთი ადამიანების დანახვა მახარებს.  
 მიხარია მათი არსებობა, რადგან ისინი  
 იმსახურებენ იარსებონ ისე, როგორე-  
 ბიც არიან. მიყვარს მათი მხიარული სა-  
 ხეები, მწუხარება, დაბადება, სიკვდი-  
 ლი, ტანჯვა, ნადგელი და ყველაფერი,  
 რასაც ისინი ადამიანურობას ეძახიან...“

ნაწერს გადავავლე თვალი... ჯონდო  
 და ლერი მეგობრები არიან. ერთიც და  
 მეორეც მე ვარ...

ის დღე აღსდგა სიზმარივით, ჩემს მი-  
 ერ დაწერილ (საზანის) რომანზე რომ  
 დავა მოგვივიდა მე და საზანს:

საზანი: არ მომწონს, ნია რომ მუხლე-  
 ბზე უზის გიოს — არაა ლამაზი... ეს  
 გოგო ფუქსავატი, მსუბუქი ყოფაქცე-  
 ვის ქალია და არა გაფუჭებული...  
 მე: ამოვიღოთ!

საზანი: ვიოც არ მომწონს, როგორც  
 ტიპი. მეზიზღება. რად ვინდოდა რომა-  
 ნში რომ შემოიყვანე?

მე: ვიო ბოროტი არაა, მისი საშუა-  
 ლებით უნდა გავხსნათ იმ გონებაჩლუნ-  
 ჭი კომბინატორების ხასიათები.

საზანი: ვინ არიან გონებაჩლუნგები?  
 კომბინატორი და გონებაჩლუნგა? მგნ-  
 ღლაპი ხარ, რა იცი? კომბინატორები რაა-  
 ლი რააა.

მე: რაში მეკითხება მაგათი ბრიყუა-  
 ლი ფილოსოფია...

საზანი: მთავარი ის კი არაა, რაც  
 შენ გაინტერესებს, რომანს მე უნ-  
 და მოვაწერო ხელი და მე ვაგებ პასუხს  
 ამ ხალხზე... მე უნდა შემითანხმო ამგ-  
 ვარი რთული საკითხების გადაწყვეტა,  
 რომანი...

მე: უკვე გითხარით, მე ხელს არ ვუშ-  
 ლი თქვენს კომბინატორებს, მაგრამ  
 მკითხველს ხომ უნდა გავუხსნათ მათი  
 შინაგანი სამყარო.

საზანი: რა სამყაროზე მელაპარაკე-  
 ბი? აქ საქონელია მთავარი...

მე: რა საქონელი?

საზანი: ცხოვრებაში ვერ გარკვეულ-  
 ხარ, ყმაწვილო, და მე მეკამათები?

მე: გამარკვევით.

საზანი: მე დირექტორი ვარ — განათ-  
 ლებით ეკონომისტი. დაიხსომე, — ყვე-  
 ლაფერი საქონლიდან იწყება... განათ-  
 ლება გაკლიათ, ყმაწვილო... ცუდად  
 გისწავლიათ უმაღლესში...

მე: საქონელი ვიცი რა არის და ვინც  
 არის, მაგრამ ადამიანის სული საქონე-  
 ლზე ძვირფასია.

საზანი: სული? აბა-აბა, ეგეთები არ  
 იყოს. — მაგვარი რომ არ დამანახო  
 ჩემს რომანში. ძალიანა გთხოვ...

მე: ჩვენ ვერ მოვრიგდებით.

საზანი: მოვრიგდებით და მზეც მალ-  
 ლა იქნება, მაგრამ სწავლებას ნუ ლა-  
 მიწყებ, რა სულები, რის სულები? მე  
 ვიცი ვინა ვარ დღეს და ვიცი, რა ვიქ-  
 ნები ხვალ!

მე: რას მელაგებოთ? ყველაფერი გცო-  
 ღნიათ...

საზანი: კაცო, ვინა გგონივარ: კლა-  
 სიკური რომანი მინდა... იქნებ არც  
 იცი, რა არის კლასიკური რომანი? აგი-

ჯამვალ დავლიანიშე  
 წონასწორობა

სანა? მაშინ რაღად მინდოდი, მე დავ-  
წერდი თვითონ...

მე: თქვენი აზრით, რა არის კლასიკუ-  
რი რომანი?

საზანი: ფაბულა, ქარგა, ამბავი, დანა-  
წვისი, ტიპაჟი, ამბის განვითარება, კუ-  
ლმინაცია, ნასკვების შეკვრა, პერსონა-  
ჟები... ნასკვების გახსნა, პერსონაჟების  
ურთიერთობის გახსნა, დასასრული...  
იდეა!

მე: მე თანახმა ვარ — ამოვიღო  
თქვენს რომანიდან პოლ მაკარტნი, გიო..

საზანი: (გაოცებულად) პოლ მაკარტ-  
ნი დამიტოვე.

მე: პოლ მაკარტნი იცით ვინ არის?

საზანი: როგორც ჩემს რომანში წერ  
— გიტარაზე უკრავს, ინგლისელი მუ-  
სიკოსია...

მე: თქვენ იგი არ გპირდებათ, რომა-  
ნის საერთო ხაზს დაამძიმებს.

საზანი: მაშინ, მომავლო!

მე: გიოს რა ვუყოთ?

საზანი: მომავლო, მეზიზღება ეგ არა-  
მზადა!

მე: გიო არ არის ბოროტი...

საზანი: ვერ ვიტან! მომავლო!

მე: რა დავიშავათ?

საზანი: მაგ უსინდისოს ჰგონია, ყვე-  
ლაზე ჭკვიანია და ისე ათამაშებს ადა-  
მიანებს, როგორც მოეპრიანება... არც  
მთლად ასეა საქმე, ყმაწვილო!

მე: მე შევეცადე თქვენი რომანის ყვე-  
ლა გმირში ჩამესახლებინა ნაღდი ადა-  
მიანურობა. მე ცხოვრება მაინტერე-  
სებს.

საზანი: ჩაიციან, უჯრიდან ქალღლე-  
ბი ამოალაგა და ჩემს მიერ დაწერილი  
(თავისი რომანის) ნაწყვეტი დამიღო  
წინ.

საზანი: ეს არის შენი ფილოსოფია?  
ეს სისულელეა! ასეთი ნაწყვეტი კაპი-  
ციც არა ღირს!

მე: მართლა, უფრო ძვირია.

საზანი: ეჭვიც გეპარება? აბა ყური  
მიგდე, წავიკითხოთ ერთად, როგორ  
მოგწონს...

საზანი: ძალზე ხმადაბლა ჩაიკითხა

ბოლო სტრიქონები, ორ თითში მოაქ-  
ცია ფურცლები, მაგიდაზე დააგდო და  
სისინა ბგერები გამოსცა.

მე: ამოვიღოთ...

საზანი: ეგ ადვილია, ოღონდ მინდა  
შეგაგნებინო, რომ ამგვარ უაზრობაზე  
ენერგია აღარ დახარჯო. აბა, რას ჰგავს,  
ვის რად უნდა სარკის ჩალეწვა? რამდენ  
მწერალს უხსენებია სარკე... არ ვარგა,  
სუსტია, გულისამრევია..

მე: ისე მელაპარაკებით, თითქოს  
თქვენ მიწერდეთ რომანს...

საზანი: ჩემს ჰალარას ეცი პატივი..  
ამიხსენი ის, რაც ვერ გავიგე. რისთვის  
დაგპირდა ეს ყურიით მოთრეული ამბა-  
ბავი?

მე: ნია შეიშალა. მკითხველს კი  
ერთი სიტყვით ვერ დააჯერებ...

საზანი: შენ რა იცი? განა რა ნახე ამ  
ცხოვრებაში, რომ შესლილებზეც წერ...  
სწორედ ამიტომაა ეს ადგილი ყალბი...  
და საერთოდ, რაც გითხარი გაითვალის-  
წინე... მწერალი უნდა ეცადოს, არ ილა-  
პარაკოს იმაზე, რაც არ უნახავს...

მე: მართალი ხართ, მაგრამ ყველა-  
ფერი, რასაც ვწერ და თქვენი აზრით  
საერთოდ არაფერი აქვს თქვენი რომა-  
ნის საერთო ხაზთან, იქნება გადატანი-  
ლი მქონდეს?

საზანს ნიკაბი გაეკუთხა, ხელები გა-  
ასავსავა, მუშტი შეკრა და ფრთხილად  
დაუშვა მაგიდაზე.

მე: იქნება ხულიგანიც ვიყავი, გამ-  
რტყმელიც, კაციც მიცემია...

საზანი: რეებს მიბედავ ჩემს სახლში?!

მე: იქნებ კაცისთვის ყბები დამილე-  
წავს, წამიგია, მომიგია...


საზანი საკუთარ თავს ებრძოდა. ბო-  
ლოს, მოერიბა ბოლმას, აშლილი ნერვე-  
ბის ქსელი ყანყრატოში მოიქცია და ნა-  
ძალადევი ნაღველით მითხრა:

— მაგისტანებით ვერ შემაშინებ ჯო-  
ნდო, მწერლობა და ხულიგნობა შორისაა  
ერთმანეთისგან...

მე: თქვენ გგონიათ, რაც თქვენ ვერ  
ნახეთ ცხოვრებაში, იმას ვერც სხვა ნა-  
ხავს...

საზანი: პასუხი არ გამცა და ფული





გამომიწოდა. არ გამოვართვი. — მის პატარა, ქალურ, მაგრამ ბანჯგვლიან ხელს დავხედე და ძიუ-ჯიცუს ერთი ხერხი მომავიწყდა, რომელიც ამ დროს მიწერებოდა ხელის მოსამტკრევად...

საზანმა მაგიდაზე დადო ფული და გაყინული თევზის მზერით შემომხედა. შევამჩნიე, რომ ბრაზი თანდათან მოედო...

საზანის მეუღლე შეშინებული თავცივით მოვკჩერებოდა. ამიტომ ჩემმა ნათქვამმა სიტყვებმა ნელ-ნელა შელახა საზანის პატივმოყვარეობა. მას მთავონდა საკუთარი მდგომარეობა, თანამდებობა, სიმდიდრე, — ჩემსას შეადარა (რამაც ვაამაყა), თვითყმაყოფილება იგრძნო და ხელახლა შემეკითხა:

— ჯონდო, ერთგან წერ, რომ დიდ-მუცელა, ხელებპატარა, ფეხმოკლე და ქვედატანგანური მამაკაცები გემრიელად მიირთმევდნენ სამნაირ მწვადსო. რა საერთო აქვს ამ ამბავს ჩემი რომანის საერთო ხაზთან და რა არის სამნაირი მწვადი?

მე: ამოვიღოთ.

საზანი გაბრაზდა:

— სამნაირი მწვადი როგორ გავიგო?

მე: ძროხის, ღორის, ცხვრის...

საზანი: ახლა მთლიან კითხვაზე განვიპასუხო...

მე: მთლად ამოვიღოთ ეგ ადგილი...

საზანი: ვერ გამიგე... კაცმა რომ გკითხოს — ქვეტექსტებიო...

მე: ავიხსნით, მაგრამ ვერ გაიგებთ. და ნერვები აგეშლებათ.

საზანი: ნუ გერიდება, რკინისებური-ნერვები მაქვს — დაგავიწყდა რომ ეკონომისტი ვარ?..

მე: თქვენ გაინტერესებთ რა კავშირი აქვს თქვენი რომანის საერთო ხაზთან მწვადს, რომელსაც სქელი ბიძა-კაცები გეახლებოდნენ?

საზანი: თუნდაც ეგრე იყოს...

მე: ფული აიღეთ მაგიდიდან...

საზანმა ხელის ცახცახით აიღო ფული.

მე: სქელი ბიძა-კაცები, რომლებიც

თქვენს რომანში მწვადებს გეახლებიან, საკუთარ თავში დაჯერებული ერთიან-ბეკრი ფული, — „თავთავიანთი ოჯახი უზრუნველყვეს აუარება ფულით, რომ მათმა შვილიშვილებმაც მათსავით არ იწვალონ...“ ამ ხალხს უამრავი სურვილი გააჩნია — უყვართ სამშობლო, ამბობენ სადღეგრძელოებს, მამა-აბრამის ბატყენები არიან, სინდისი წმინდა აქვთ, ვაჟკაცობაზე თავს სდებენ, ახალგაზრდობას დასცინიან, გრძელთმიანსა და ჯინსებში გამოწყობილ ბიჭებს აგინებენ, კლარნეტი და ზურნა უყვართ... უყვართ ტრადიცია — ქელები, შილაფლავი, ხაშლამა, „ძღლის სროლა“, ქორწილები, ფულის ფრიალი... ისინი არავის არ ეთანხმებიან, გააჩნიათ საკუთარი დოცლაპია აზრი. სუფრაზე ამგვარი ქართულით ლაპარაკობენ: გაუმარჯოს... ნამდვილად... მაღლობა... აუცილებლად გვენახოს... ასი პროცენტით... ასი წლის შემდეგ კიდევ მენახე... შენთან ერთად გამიმარჯოს... ჩვენს ამბავში... საკუთარ ამბავში... ჩვენში დარჩეს... ისინი რომ არ ყოფილიყვნენ... ხსოვნა და მრგონება ნუ მოუშლოთ... იმათი ჩვენ მოგვეცეს... კიდევ მრავალჯერ დაგველიოს... კიდევ ბევრჯერ გვენახოს ასეთი ტყბილი სუფრა... ასჯერაც გავვიმარჯოს, ათითასჯერაც... გაანათლოს... შეუნდოს... პური ვჭამოთ, დრო ვატაროთ, — მეტი არაფერი დავერჩენია... აქ გუშინწინ უფრო კარგი ჩანახი ჰქონდათ — მივქარეთ, არ უდა წამოვსულიყავით... იქა? ვახსოვს? — რა ვსვით, თითო კაცმა ექვს-ექვსი ბოთლი დავლიეთ... რა პურ-მარილი იყო... იმ საწყლებს კი მწვანის მეტი არაფერი ჰქონდათ... რას იზამ... ეეს! ოოს!... ჩვენს სამშობლოს, მიწას, ხალხს გაუმარჯოს... ჩვენი მიწა რომ გააუთოვო... ჰაი-ჰაი! ეეს!.. მეზობლებს გიღღეგრძელებ... იცოცხლონ, გაიხარონ, იმრავლონ... კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა...

ჯამალ ღავლიანიძე  
წონასურობა

საზანი განრისხებული მიცქერდა. — სადღეგრძელოების გაუთავებელმა ჩამოთვლამ სახეზე შეშალა.

საზანმა შემაწყვეტინა:

— ამიხსენი, რას ნიშნავს ეს და რა საერთო აქვს ჩემი რომანის საერთო საზთან?

მე: დამაცადეთ...

საზანი: აღარ ჩამოთვალთ არ გამაგონო! არ მინდა! ვიცი რასაც იტყვი. მიპასუხე — შენი აზრით, ჩვენი სახელოვანი ტრადიციები, — პურ-მარილი, ღვინის სმა და სადღეგრძელოები მოსასპობია?

მე: დამაცადეთ...

საზანი: რა გინდა შვილო ჩემგან? ვინა გთხოვა, ასეთი რომანი დამიწერო?! მე ადრევე გავაცანი ჩემი რომანის გეგმები... დამეცინი? ჯონდო, დაფიქრდი... გადაყარე, ამოილე, მომაშორე, მოსპე ეს გულისამრევი ანბები, მე კლასიკური რომანი მინდა... ხელს მე ვაწერ რომანზე და არა შენი..

საზანის მეუღლე: ჯონდო, შვილო, უარი არ გვითხრა, — დაგვიმთავრე ჩვენი რომანი... ღმერთო! ვოლდემარის ოჯახი ამოვარდეს, ის მენახოს კუბოში, დღე არ გაუთენდეს შენი გაცნობისათვის... ეს რა გვიქნა, — დავგლუპა, გავგანიავა...

საზანი (მეუღლეს): ნუ წუწუნებ! მომშორდი! შენდა მაკლდი! ჩვენს საუბარში ნუ ერევი... მაღალი მატერიებისა შენ რა გესმის!..

მე: თქვენ არ მაცდით... მე ღვინოსაც ვცემ პატივს, ქართულ ტრადიციებსაც, ჭირსაც, ლხინსაც, მაგრამ მე ის ადამიანები აღწერე, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად არიან პატრიოტები, სინამდვილეში კი იმ მიწასა და ხალხს ძარცვავენ, რომელსაც ადღეგრძელებენ...

საზანი: ქვედატანები და ღიპები რა შუაშია?

მე: გამაგებინეთ, რატომ იცავთ ყაჩაღებს?

საზანი: ვინ არის ყაჩაღი, ვისაც წინაპრები, ჭამა-სმა, ალათი და ქვეყანა უყვარს?

მე: ვინ უყვარს ქვეყანა? თქვენს რომანში არც ერთი გმირი არ არის ასეთი... თქვენ მთავარ გმირს უყვარს ქვეყანა? სული უნდა ამოაძროს კაცმა ფულის მეტი არაფერი აინტერესებს! რა ქვეყანა, ვისი ტრადიციები?

საზანი: ჩემს მთავარ გმირებს თავი დაანებე...

მე: სიმართლე გიყვართ?

საზანი შეკრთა და მოგვიანებით მიპასუხა:

— რა საკითხავია, ყმაწვილო!

მე: ვითხრათ სიმართლე?

საზანმა თავი დამიქნია.

მე: თქვენ, მწერალი რომ გგონიათ თავი, ასე პრიმიტიულად არ უნდა აზროვნებდეთ (საზანი კიდევ შეკრთა)... თქვენი გაცხარების მიზეზი ის არის, რომ თქვენი რომანის მთავარი გმირი, თქვენი პროტოტიპია, სხვები — თქვენი ძმაცალები და ნათესავები!..

საზანი: ამას ვის გადავეყარე!.. შვილო! ჩამომიტანე ჩემი რომანი, წალე შენი... არაფერი მაინტერესებს... თავი ხომ არ უნდა მოვიკლა; — ორი ღღის სიცოცხლე დამრჩენია... შენი არაფერი მინდა... ვითომ მიჩუქნია ის ფული..

საზანის მეუღლე (კარში შემოპყოთ თავი): ვოლდემარის ოჯახი ამოწყდა, შავი კუბო და ცხელი ნაცარი მის ოჯახში!

მე: დაწყნარდით... მე საჩხუბრად არ გეკამათებოდით, რაც არა გსურთ, ამოვიღოთ რომანიდან... მე დავიტოვებ თქვენგან დაწუნებულ ნაწილებს და როცა დავბეჭდავ, მაშინ ვისასოვრებთ. საზანი მოლბა:

— წალე, ღმერთმა შეგარგოს, გამოიყენე... შენი ნაწერი შენვე უნდა გქონდეს... ახალგაზრდა კაცი ხარ... მე არ შემეფერის ამგვარი რაღაცეების წერა..

საზანის მეუღლე: ღმერთო, ვოლდემარი მანახე დაკვლანძული!

საზანი: ხომ ვითხარი, დედაყავო — თვალთ არ დამენახვო-მეთქი, ჩვენ უკვე მოვრიგდით. წელან კი არ ვჩხუბობდით — ვკამათობდით... ჩვენი სურვი-



ლია საუკეთესო რომანი დავწერთ და ამის თაობაზე ვპატივობდით...

მე: ასორმოცდაათი ფურცელი რომ დამიწუნეთ, ფულს გადამიხდით?

საზანი: არა! რომანი დამიმთავრე და მერე გცემ პატივს... თუ კიდევ მოუმატებ და გაზრდი — გადაგიხდი...

მე: პირობას არღვევთ?

საზანი: ეს დარღვევა არ არის!

მე: ჩვენი პირობა ასეთი იყო — ყოველი ოცდახუთი ფურცელი უნდა წაგეკითხათ, თუ არ მოგეწონებოდათ, მეტყოდით... დავაიწყდათ?

საზანი: გენაცვალე, მე თანამდებობის პირი ვარ, სად ნქონდა რომანის კითხვის დრო? გენდობოდი...

მე: მე დავამთავრებ თქვენს რომანს. საზანმა ვერ შენიშნა ჩემს ნათქვამში ჩაქსოვილი ბოღმა და მითხრა:

— კი შეილო, დაამთავრე... მე აღარ შემიძლია... ახლა, ქვეყანა თქვენი... რაღა დამრჩენია — ერთი ფეხი სამარეში მაქვს..

მე: კარგად ბრძანდებოდეთ...

საზანმა მანიშნა, მოიცადეო და დაწუნებული ასორმოცდაათი ფურცელი გამომიწოდა:

— გადაათვალიერე, იქნებ ჩემი შენიშვნები გაითვალისწინო, გამოგადგება...

გზას ფეხით დავადექი... ისე ვიყავი გაბრაზებული, რომ საოცარ სიმშვიდეს ვგრძნობდი (საზანი გამახსენდა, რომელიც არ დაიჭვრებდა ამას)...

გვიან მივედი სახლში. ციოს ელვიძა, ვიგრძენი მას კიდევ ერთხელ აეწონდათ თავისი ცხოვრება და ჩემდამი წამოსაყენებელი ბრალდება მზად ჰქონდა. მცირე ხანში ქალის საზარელი ახსნა-განმარტების კორიანტელში გავეხვიეთურმე, მე უფლება არა მაქვს სიცოცხლე გავუმწარო ცოლს... ასეთ ყოფას, გაყრა სჯობია — მე ჩემთვის, ის — თავისთვის. რა მადლი აქვს ამგვარ ცხოვრებას?..

გარეთ გამოვედი, ციო გამომეყვა. ბილიქს დავადექი. ციო უკან მომდევდა და მომწუწუნებდა, რომ ორი შვილის

მამა ოჯახზე უნდა ზრუნავდეს. ვანი არა გვაქვს... წყალი არ არის...

ციო ტიროდა...

● ავდექი თუ არა, ისევ საზანი მომაგონდა. ციოს ელვიძა. მძინარე ლაღობს დავხედე...

ციო წამოდგა, მომიანლოგდა და წამჩურჩულა: „ტამბოვში ხელცარიელი ჩასვლა სირცხვილია — იაფფასიანი საჩუქრები მაინც უნდა ვიყიდოთ... ხალხი რას იტყვის... არადა, აღარც ერთი აღარ ვემუშაობთ. — ეს უფლი კი სადაცაა შემოგვებარჯება. მაივარიც საყიდელია... ზამთარი კიდევ მოვა... ვარაზი სკოლაში უნდა მივებართო — ათასი რამ დასჭირდება... ისიც გაურკვეველია, — სკოლაში მიიღებენ თუ არა — ჩაწერილები არა ვართ... გაზიც გამოსაყვანია... მოთხრობებსაც აღარ გიბეჭდავენ, კრებულის გამოცემა ხუთი წლით გადავიდეს, როდის რა უნდა გვეშველოს?“...

ციო მართალი იყო... რედაქციაში ერთმა მწერალმა თავისი აზრი გამიზიარა ჩენს მოთხრობებზე. — თურმე, ახალი არაფერი დამიწერია, უამრავი გაუგებარი ფრაზა მაქვს... მოთხრობის სამკაულებით (რთული ადგილებით) ვადატვირთვა არ ღირს, რადგან საერთო ანსამბლი, აზრი, დედაარსი, კრედო უფერულდება, იხრჩობა, ქრება, მახინჯდება, მოოქროვილი ხდება... ისე, საერთოდ, მოთხრობები მაღალი დონისაა, დასაბეჭდია, მაგრამ გაბედული მსჯელობებია, რაც შენს ასაკს არ შეფერება, ცოტა ხელის ვაკვრა დასჭირდება და სისინსრილით წავა სტამბაშიო...

● დედაჩემი და დედაჩემი მეორე ოთახში ისხდნენ და ჩემზე ლაპარაკობდნენ... ორთავეს ერთი სადარდელი ჰქონდათ და მერამდენედ იმეორებდნენ

შეგალ ღავლიანიძე  
წონასწორობა

ერთი და იგივეს, რომ ჯერ ერთი, სულ გაპირვებით გავიზარდე, მერე მამაჩემმა მიგვატოვა, ტუბერკულოზი შემეყარა, დღის განყოფილებაზე ჩავაბარე გამოცდები, სამი თვის შემდეგ საღამოს განყოფილებაზე ჩამრიცხეს,—ამიტომ საღადარ მომიწია მუშაობამ: მშენებლობაზე მუშად, მწვანეველად, ცეცხლფარეშად, ლაბორანტად, მომმარაგებლად, ტყავების მომთელავად, მზარეულად... მერე იყო და, ცოლი შევირთე, რომელმაც სულმთლად ამირია თავგზა, თბილისიდან მოუსავალში გადამხვეწა, გამაწამა, ჯვარს მაცვა, ნერვები ნომიშალა და დროზე რომ არ გამოვქცეულიყავი, ალბათ ვეღარაფერი მიშველიდა... მაგრამ, (ციომ) აქაც არ მომისვენა, ჩამოვიდა, ისევ შევირგდით, ისევ დაიწყო ჩემი წამება... ამდენ საქმეზე უარ მოდებულე — იქ სამსახური, უნივერსიტეტი, მივლინებები, აქეთ — მოთხრობები... თანაც არაფერს მიბეჭდავენ, მთლად გავჭლარავდი, ფერი აღარ ნადევს... ციო კი — ერთი წუთიც რომ დამაგვიანდეს, ქალებში დადიხარო... ახლა, ეს სამუშაოც მივატოვე და სულ ავშენდი საბოლოოდ...

ტელევიზორში რომელიღაც ქარხნის მეექვსე საამქროზე საუბრობდნენ. მერე საზღვარგარეთის ქვეყანა აჩვენეს, რომლის მიწაზე გრიგალს გადაუვლია და უსახლკაროდ დაუტოვებია ადამიანები. მცირეოდენი ბაუზის შემდეგ გარდაცვლილი პოეტის ლექსები წაიკითხეს და მისი ფოტოსურათიც გვაჩვენეს. გავიფიქრე ახალგაზრდა მომკვდარა-მეთქი. ბოლოს მოკლემეტრეიანი მხატვრული ფილმის ტყვეობაში მოვექეცი: ერთ სოფელში მოუსვენარი ბიჭი ცხოვრობდა, რომელიც მუდამდღე ითრობოდა, მაგრამ ექთანს გოგონა უყვარდა... მივხვდი, რეჟისორის იმედები ამ ბიჭისა და გოგონას ურთიერთობაზე იყო დამყარებული... ერთხელაც ბიჭი მაგრად გამოთვრა, მამისეული სახლის აივანს ცული დაუშინა. როცა მამამისმა სცადა დაწყნარება, ცული შემართა დასარტყმელად, მაგრამ სად იყო და სად არა,

ექთანს გოგონა გამოჩნდა, რომელმაც ისეთი შეპკვილა, მთელი მეზობლები შეპყარა... ბიჭი ატირდა... ამის შემდეგ ისე გარდაიქმნა ბიჭი, რომ შეზობლები გაბედნიერდნენ. ბიჭმა სმას თავი დაანება, მამას შეურვიდა და ისეთი ქორწილი გადაიხადეს, სულ „ქორჩის წვერზე“ იტრიალეს (იცეკვეს)...

როცა კინოსურათი დამთავრდა, გაშეშებულ, მოშრიალე ეკრანზე ჩვენი სოფლის ნაფუძრები და ახნაურიიანთ დიდი ნაოხარი გაქრთა, რომელშიც გველებს უდევთ ბინა და ხალხი ნაძრახ ადგილს ეძახის...

ვიცოდი, ჩემი არათანმიმდევრული ფიქრები დედაჩემისა და დეიდაჩემის საუბრის ბრალი იყო, რაც კიდევ ერთხელ მაგონებდა იმ წარსულს, რომელიც ჩემმა სიცოცხლემ თანამიმდევრულად ჩამოიტოვა უკან. ამ კანონზომიერ მოვლენას დედაჩემის დარდინანი მონათხრობი ასახიჩრებდა და ხელმეორედ ვდარდობდი უკვე მიკარგულ წარსულს:

პაპაჩემს არ უყვარდა ზღაპრების მოყოლა. მან ამბები იცოდა, რომლებიც არც ზღაპრები იყო და არც სინამდვილე. თვითონაც უცნაური კაცი იყო... პატარაობისას ერთხელ შევეკითხე, პაპა, სული რა არის-მეთქი. გაცივინა, თივანზე ჩამოქდა და ამიხსნა: სული პაწაწინა ჭიკოკონაა, რომელსაც დიდი დედა ჰყავსო. ადამიანს ეს ჭიკოკონა დროდარო გამოეცლება და ისვენებს ტყეებში, მინდვრებში, რიყეებშიო... აი, შენ რომ ხეებს ტოტებს ამტვრევ, ბალახსა ჰგლეჯ, ყვავილსა წყვიტავ, ჭვას ადგილს უწაცვლებ, მერცხალსა ჰკლავ — იქნება იქა ზის სული... მერე გაიზრდები და როცა ავად გახდები, არც კი გეცოდინება მიზეზიო...

ლექსი გადავიკითხე. იგი თეკლეს ვუძღვენი. როცა კონვერტში ჩავდე და მისამართი დავაწერე, გადავწყვიტე ყოველი დაბადების დღე ლექსით მიმელო-

ცა... თველენ გახსენება სკოლის დერე-  
ფნებში დაყრილი ნავთიანი ნახერხის  
სუნით მქლენთავს და დამლაგებლების  
ყვირილით მაწიოკებს...

ციომ მითხრა, რადგან შენ არ გიყვარ-  
ვარ, სწორედ ამიტომ მიყვარხარ და  
ჩემი სატანჯველი ხარო... როცა მას  
ვუყურებ, მეშინია — იგი ოდეს-  
ღაც მინახავს... მუხნარის გაუვალი ტევ-  
რების კოცონებზე უცეკვია რკოს ცეკ-  
ვა, ალისფერი ცეცხლით დაუშანთივარ...

მეგობარმა თავის დასთან წამიყვანა  
სტუმრად. ძველი ტანტი, ძველი ყაიდის  
ლუმელი, დაფუტუროვებული ავეჯი, და-  
ქანგებული საწოლები, ოთხი ჩამოგლე-  
ჯილი ბავშვი და შშორის სუნი გაქცევის  
სურვილით მტანჯავდა... როცა ყველა  
დათვრა, მასპინძელმა რადიო ჩართო.  
კარგახანს ეძება სასურველი რადიოსა-  
დგური და ბოლოს (როგორც იქნა)  
ამომსავლურმა სიმღერებმა სიამოვნე-  
ბის ჟრუანტილი გადასდო სახეზე. თა-  
რის კენესის, ზურნების ჰყვიტინისა და  
კლარნეტის კივილის ფონზე, მთებში  
მოქცეული ერთიბეწო წალკოტი დავი-  
ნახე, რომლის გარშემო ხოჯები, სოფ-  
დაგრები, ალი-ყულები, მოლები, აბა-  
სები, აღები, ყეინები, ხათუნები, მო-  
ჰამედები, ედლინები, ენეერები როკავ-  
დნენ უდაბნოების მცხუნვარე ცეკვას...

მერე რადიო გაჩუმდა (რამაც სუფ-  
რის წვერების სერიოზული უკმაყოფი-  
ლება გამოიწვია: რა არის, ენანებათ ამ  
დალოცვილებს, ერთი-ორი სიმღერა კი-  
დევ დაეკრათო...) და კლასიკური მუ-  
სიკა გაისმა. ჩემი მეგობრის ავადმყოფი  
და ლოგინში წამოჭდა, სახე გაუბრწყინ-  
და. თურმე ძალზე უყვარს ეს ნაწარ-  
მოები, თუმცა არც მისი სახელწოდება  
ახსოვს და არც ავტორის ვინაობა...

ნაწარმოების სახელწოდება არც მე  
ვიცნობდი, ავტორის ვინაობის თქმა დავა-

პირე, მაგრამ თამადამ მეგობრობის სა-  
დღეგრძელო წამოიწყა:

— გაუმარჯოს ჩვენს მეგობრებს...  
გობარი ძმა არ არის... ძმა — ძმაა,  
ძმა არ არის მეგობარი... ძმა — ძმაა,  
მეგობარი-მეგობარია... ჩვენს დროში...  
გატანა... ჩვენს ამბავში... ცოტა არ  
იყოს... ეეს! მეგობრობა!.. ეეეს!..

ოთახი და სუფრის ყველა წვერი მი-  
მოვათვალიერე. იმას რასაც ვხედავდი,  
ერთიბეწოთი არ ესადაგებოდა მოცარ-  
ტის მუსიკა...

ვოლდემარმა გამიღო კარი. იგი სა-  
ცვლის ამარა იყო.

ვოლდემარი: ჯონდო, როგორ ხარ?  
მე: გამარჯობათ, ბატონო ვოლდემარ...

ვოლდემარი: გწუთავს ახალი უფრო-  
სი?

მე: აღარ ვმუშაობ...

ვოლდემარი: კაცი ხარ.. ხომ გეუბნე-  
ბოდი... შენ ხელს უშლიდი ყველას...

სუფთა კაცი ხარ... მინც, მიზეზს არ  
მეტყვი?

მე: ხელი რამაც წამკრა განცხადების  
დაწერაზე?

ვოლდემარი: პო.

მე: მოწინავე სტატიებში მეტი ფული  
გამომიწერეო...

ვოლდემარი: შენ რა გენადგლებო-  
და?!

მე: შენი ლექსები და ჩანახატები  
ჩემს მოწინავეზე იაფიაო...

ვოლდემარი: საწყალი ყოფილა, უბე-  
დური, კრეტინი!, თუმცა მავნაირი ხა-  
ლხიც საჭიროა...

მე: ჯანმრთელადა ხართ?

ვოლდემარი: მადლობთ... ყური მიგ-  
დე, ჯონდო, ენის ამყოლი კაცი არა ვარ,  
მაგრამ შენზე მითხრეს, ვითომდაც ანეგ-  
ლოტებს ჰყვებოდე ჩემზე...

მე: ანეგლოტებს არა, მაგრამ ცოტა  
რამ გადაგვხვდა იმ ჯოჯოხეთში? თქვენ

ჯემალ მაკლიანიძე  
წონასწორიძა

ამდენი კრებულის ავტორი ბრძანდებით და ჩემი მონაყოლი თქვენი ბიოგრაფია...

ახალი ქართული ენის ლექტიკონმა არ ჩამითვალა და დეკანაძეში დამიბარეს, სადაც უკანასკნელად გამაფრთხილეს. ლექტიკონი მოგნახე და ვკითხე, რომელი სახელმძღვანელოდან მესწავლა. ხუთი ავტორის შვიდი წიგნი დამისახელა. საჯარო ბიბლიოთეკაში არ შემისვებს. — მოხუცმა ქალმა პროფესიონალური სიმშვიდით დამარჩია, რომ საჯარო ბიბლიოთეკა ერის საუნჯეა და თბილისში ჩაუწერავი კაცის შეშვება არ შეიძლებაო...

სარეცენზიოდ მომცეს ნაქები ახალგაზრდა ბიჭის მოთხრობები, რომელსაც (როგორც მოთხრობებიდან ჩანს) უყვარს ქართლი, თივის ზვინები, წყაროები, ტყეები, ჯაფარების ჩხავილი, ქართლური დიალოგები, ორღობეები, წვერიანი მოხუცები, ტაშ-ფანდურა (ლხინი), ფსონობა, ზვარი, ცოცხალი თევზი, სველი და პირმოტეხილი ხელადა, ჩაფი, კოკურა...

ქართლში დავიბადე და გავუგე ახალგაზრდა მწერალს, რომელსაც ეგონა, რომ ქართლური ანდაზებით, დიალოგებით და ჩვევებით თავს მოაწონებდა მკითხველს... არადა, ამ ბიჭის მოთხრობებში ზოგან კაკალს ბერტყავენ, კროლავენ, წენგოს აცლიან, კაკაობენ, კიდაობენ, მეზობლები ჩხუბობენ მიჯნის გამო, მოხუცები ფილოსოფოსობენ და ბოლოს ყოველივე ამის ფონზე, ქართლის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს მხრებგანიერი, დიდთვალემა, გრუზათმიანი, მაღალი ჰაბუკი, რომელსაც მკაცრი მამის ქალიშვილი უყვარს...

ერთ მოთხრობაში ავტორის ყურადღება გამახვილებული იყო ქართლურ ქორწილზე. აშკარად წარმოვიდგინე,

რა გაბადრული (ნასიამოვნები, ამაყი, აღლევებული, ბრძნული...) სახეა ქონს და მის დამწერს... ისიც უფროსი... დენ დიდ აღტაცებას განმოიწვევდა ამ მოთხრობის წაკითხვა ახალგაზრდა მწერლის სოფელში. ვერა და ვერ მოვიშორე ქართლურ ქორწილში მყოფი ახალგაზრდა მწერლის ნაწერს: „იანვრის თვეა. თრიალეთზე უკვე ჩამოთოვილა. ოდნავ მოსისინე ქარი თოვლს დაქროლებს, ღარტაფებში აბორიალებს და თეთრ ხალიჩასავით აფენს ახოებში.

მშრალ, ცივ ჰაერს მხოლოდ ძაღლების ყეფაღა ფხრიწავს. ხანდახან ეზოებში ცულის კაკუნი ისმის — ეტყობა, შეშა მოჰკლებიათ.

სალხინაანთ მიხა აივანზე გამოდგა, შეტანილი ნამქერი მოასუფთავა და თავის დედაკაცს გასძახა:

— ქალო, მარიამ! დღესა გიუწანათ კოლანა ბიჭს აქორწილებს და აბა შენ იცი...

— ისეთას ემზადები შენცა, თითქოსდა თამადად გიპირებენო დაყენებასა, — უკბინა ცოლმა.

— ჰაი დედასა!.. — აღარ დაამთავრა მიხამ და უღვაშებში ჩაიციხა.

გიუწანათ კოლას მთელი სოფელი დეპატიუნა, — დიდი ფორიქ-ალიაქოთი ედგა სახლში. მისი ცოლი — პელა ციბრუტიციტით ტრიალებდა, — ხან თონესთან გაჩნდებოდა, დედას პურებსა ჰყრიდა, — ხანაც დამხმარე გოგოებს ჩაუქროლებდა და ყელს უწვევდა, არ შემარცხვინოთო...


კოლა ყველას ფეხებში ედებოდა. ცულს დაავლო ხელი — წაართვეს: როგორ იქნება, დაისვენე, სამყოფნი ვართო. მერე საქათმეს ჩაუქროლა — იქიდანაც მოიშორეს ბიჭებმა.

— რა გინდა შვილოსა, რა, — აღმოხდა ბოლოს და ვანეს გასძახა:

— მოდი ვანე, მინამ ეს ხალხი გაახერხებს რასმე, სული ამომივიდა...

კოლამ ორნახადი გადმოიღო განჯინიდან...

დაბინდდა, კოლას ეზოში ხალხმა მო-



ყარა თავი. ბიჭ-ბუჭობა ცალკე გაკრე-  
ფილიყო — ხანშიშესულებს გარიდები-  
ყენენ. ბავშვები უკვე ძონძებს დაათრე-  
დნენ მაშხლებსათვის...

ის იყო თერთმეტმა მოატანა, რომ  
წყაროსთავზე შუშხუნა ავარდა, რასაც  
მოპყვა კლარნეტის ტკბილი ღუღუნნი  
და მაყრების შეძახილი, რამაც ძაღლე-  
ბი გაღიზიანა და აქნობამდე მიძინებულ  
სოფელში ისეთი გნიასი ატყდა, გეგო-  
ნებოდა, მეორედ მოსვლაო...

მუსიკა მანქანების ბლავილმა შეცვა-  
ლა და ეზოში პირველად „ვოლგა“ შე-  
მოვარდა.

— ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს! —  
დაიძახა მანქანის კარიდან გადმოკი-  
დულმა ნათლიამ...

მეორე „ვოლგიდან“ ერთი აყლაყუ-  
და მაყარი გადმოხტა და მუსიკოსებს  
შეუძახა:

— აბა, გოვიჯან, ჩემო ქორო, შალა-  
ხო შეუბერეთ!

ქორომა და გოვიამ შეუბერეს. შეუბე-  
რეს და აყლაყუდა მაყარამაც შეუბერა,  
ისე შეუბერა „მაკასინებს“ მიწაში ჩა-  
ყინული ქვა აკრეფინა...

— მიდი, შენ გენავე! იუ-იუ-იუ-იუ...  
მიდი, ბიჭო! ჰეი, ბიჭო! ვიპ — ჰეეე!..“



ციოს მეზობელი გარდაიცვალა... —  
იმ ბიჭს მეც ვიცნობდი, მისი სიკვდილი  
მოულოდნელი იყო მეზობლებისათვის.  
საწყალი საშა დედისერთა იყო. — ჩემმა  
სიდერმა ჰირსიუფლებს წააშველა ხე-  
ლი. სიმამრი აბუზღუნდა, ჩემი ცოლი  
მოჩვენებით აქტიურობსო და მთხოვა,  
სახლიდან წავიდეთ სადმეო. სასტუმრო-  
სთან ასი გრამი არაყი დალია, კაფეში  
კიდევ ასი გრამი (მონადირეებისათვის  
განკუთვნილი) არაყი გადაჰკრა, რესტო-  
რანში კონიაკი მიირთვა, ნაყინი მიაყო-  
ლა და მუცელშიც მოუარა...

ძლიერს მივასწარიო შინ, მაგრამ ზედ  
სახლის წინ გაეშალათ საქელებო სუფ-  
რა, რომლის ბოლო მაგიდა ტუპალეტთან  
იდგა. სიმამრი უკან გავარდა და მდინა-  
რეს მიაშურა...

როცა გამოჩნდა, თვალი ჩამიჭრი და  
ხელით მანიშნა — კიდევ ასი გრამი წი-  
წყის არაყი ვშუშხე, კუჭს უხდებოა,  
სახლში კართან ვეღარ მივედით — ქე-  
ლები დაწყებულყო. ვთხოვეთ, გავა-  
ტარეთო. ყველა მოგვანჩერდა...

სიმამრმა კარები მიხურა თუ არა,  
მთხოვა — შენი ჩამოტანილი ქიშიში  
მაჭამეო: ნახევარი კილო ქიშიში შე-  
ჭამა და ტორტის მოზრდილი ნაჭერი  
დააყოლა...

ძლიერი ქარი ამოვარდა. სიმამრმა  
თვალეები დააჭყიტა და როცა წვიმამ  
დაუშვა, სიხარულით გაიბადრა. საქელე-  
ხო სუფრა აიშალა და რადგან ვარდაც-  
ვალებული ვიწროდ ცხოვრობდა, ხალ-  
ხი სახლებისკენ გაიქცა. სიმამრი სარკმე-  
ლთან მივიდა. აფორიაქებულმა ადამი-  
ანებმა კარგ ვუნებაზე დააყენა და სი-  
ცილი აუვარდა — ღმერთის ყოვლისშე-  
მძლეობა ახსენა, ვარდაცვალებული და-  
ლოცა, ხალხი გალანძლა, სუფრას მიუჯ-  
და, ტორტის ორი ნაჭერი შეჭამა, ამო-  
იხენეშა, მეც ასე დამმარხავენო და აზ-  
ლუქუნდა...

სარკმლიდან დედაკაცები მოჩანდნენ  
რომლებიც ფაციფუტით აგროვებდნენ  
საქმელის ნარჩენებს. ერთი მთვრალე კა-  
ცილა ბორიალებდა. სიმამრმაც შენიშნა  
იგი, ზლუქუნნი შეწყვიტა და იმ ბიჭს  
შეაგინა, ქალებს ხელს უშლისო. მთვრა-  
ლი ვიცანი — დამკრძალავ ბიუროში მუ-  
შაობდა მხატვრად და თორმეტგოჯა ნა-  
წლავის წყლული ჰქონდა. ხელფასს რომ  
ავიდებდით, მე და ვალოდია შეგუვლი-  
დით ხოლმე. ცალკე ოთახი ჰქონდა, მა-  
გრამ მხატვარს არ უყვარდა თავის ოთ-  
ახში სმა. — დაბლა, სარდაფში, სადურ-  
გლოში ჩავვიყვანდა ხოლმე, სადაც ყო-  
ველ კუნძულში კუბოები იყო აყუდე-  
ბული. კუბოს დააწვენდა, ზედ ჩამოჯ-  
დებოდა და სადღეგრძელოს (რომლე-  
ბიც უმეტესად ვინების ნაწყვეტები  
იყო) ისე ამბობდა. საბოლოო ჭიქით  
ლერმონტოვს აღღეგრძელებდა, სადურ-

ჯიმალ დავლიანიძე  
წინასწინა

გლოს კუთხეში მიგდებულ ძველ მაგი-  
დას მიაქცერდებოდა (რომელზედაც კუ-  
ბოები იდგა), ამ მაგიდაზე მუშაობდა  
ლერმონტოვი, — იტყოდა, მერე  
არაყს გადაჰკრავდა და ასლუკუნდე-  
ბოდა: ჩვენც ასე დავიხოცებით და აღა-  
რაინ მოგვიგონებსო.. პირველად გავ-  
ვოცდი, არ დავუჯერე, ლერმონტოვს აქ  
რა უნდოდა-მეთქი, მაგრამ მერე მეკუ-  
ბოვებმაც დაუმოწმეს, ძველად ეს შე-  
ნობა თავადისა იყო...

სიმამრმა კიდევ შეაგინა მთვრალს,  
დედაკაცებს ხელს უშლისო! — დაიყვი-  
რა და გარეთ გავარდა. მხატვარი სუს-  
ტი ბიჭი იყო, სიმამრს ვერ გაუძალიან-  
და, შევედრა — საწყალი საშა მეც  
მიყვარდაო, მაგრამ არაფერმა გასჭრა.  
სიმამრმა ხელის კვრით მოაშორა იქაუ-  
რობას...

სიმამრი კარგ ხასიათზე დაბრუნდა,  
მაგრამ სიდედრმა დაუწყო წყევლა —  
საქონელი, პირუტყვი, ბრიყვი, ლოთი  
უწოდა და ატირდა...

... სიმსუბუქე, საიდანაც ჩემი მოგო-  
ნებების კარუსელი აიძრა, გაქრა.  
გულმა მძიმე ფეთქვა დაიწყო.  
თვალეებში ჩაწოლილი მოწითალო სი-  
ბნელე განათდა.

სივრცე და დრო ვიგრძენი... ახლა არ-  
აფერი აღარ უსწრებდა არაფერს. ყვე-  
ლაფერი დალაგდა, აბურდული ვორგა-  
ლის წვერები ისევ გაინასკვა, თვალე-  
ბი გავახილე და ჩემი ცხოვრება ხელახ-  
ლა გაეშურა დღევანდელიდან ხვალინ-  
დელისაკენ...

დედაჩემი ისევ ციოზე ლაპარაკობდა,  
უკვე ათი წელიწადია ვათხოვილია და  
ქმრის მოვლა ვერ ისწავლაო... დედაჩე-  
მი ჩემს სიმამრს აქებდა, ციოსთვის უთ-  
ქვამს — ქმრის მოვლა-პატრონობა არ  
იციო...

დედაჩემი და დეიდა ტიროდნენ. ამან  
არ გამიფუტა ხასიათი, წინა დღეებში

დაწერილი რომანის ნაწილები წა-  
მოკრიფე და კითხვა დავიწყე;

„ჯონდო და ლერი სანატორიუმ „არა-  
ზინდოში“ თეკლესთან არ შეუშვეს. გა-  
სანდელში ერთი გაკნაჭული ბიჭი გაი-  
ცნეს, მაგრად დათვრენ; ის ბიჭიც ნა-  
ტლექარი იყო. ლერი ფეხების ბაკუ-  
ნით მივიდა ტახტამდე.

ჯონდოს დაძინებისა ეშინოდა. თა-  
ხში ფურცლები აფარფატდა: „ზღვაზე  
გაგიცანი, მოიგონე, — მალალი, კბილებ-  
ჩამტვრეული ბიჭი. ხმა არ გამეცი...“  
სარკმლის მინა რაღაცამ შემოლოწა.  
ფურცლები გაქრა.

ოთახს სარკმელი არ ჰქონდა...  
ლერი გააღვიძა და აბლუკუნდა: რა  
ესვით... რა იყო... აგვრია... აუჰ! ერთი  
ლერი სიგარეტი...

ჯონდო თვალეებში შესცქეროდა ლე-  
რის, რომელიც წრებაზად და რამდენი-  
მე გადაჯვარედინებულ ხაზთა შერწყმად  
იქცა. ეს იმას ჰგავდა — ბავშვები რომ  
დანატყვენ ხოლმე კაცს მარტივად. მე-  
რე ხაზები ჯვრებს შეეხლართა და აბ-  
დაუბდა აბლაბუდა მოიწინა...

ჯონდომ შუქი ჩააქრო.  
თეთრი პეპლები აუკანკალდა თვალ-  
წინ: „გამეხარდა შენი წერტილის მიღება  
ფოტოსურათი გამომიგზავნე, ტატიანა  
გრძემეცა, ჩვენთან შემოდგომია. ყურ-  
ძენი მწიფს. თუ იცი, ვაზი რა არის?  
ვნერვიულობ, მომწერე“...

პეპლების ბანცალი შეწყდა — სარ-  
კმლიდან სათითაოდ გაიკრიფნენ...  
ოთახს სარკმელი არ უჩანდა...

ტახტი, რომელზედაც ლერი იწვა, აქ-  
რიალდა და კბილების ნერვებისმო-  
მშლელი კრაჭუნი შეიერთა...

კართან ლანდი გამოორიალდა.  
ჯონდოს ფეხზე დაქაჩეს. თავმა ზრი-  
ალი დაუწყო. საფეთქლებმა გასწიწ-  
კნეს.

დაიბოღმა და ლერის დაუძახა, რაღაც  
მოეჩვენა.

წამოხტა და ვიღაცას კარი გაუღო.  
მატარებლის გამცილებლის ფორმაში



გამოწყობილი კაცი ქათმებს ეძებდა...  
ბოლოს ყოველივე აირია, ხელების  
ქნევა დაიწყო: „ტატიანა, ჩემს წერილზე  
არ გიპასუხია. თქვენმა ფოსტამ შემა-  
ტყობინა, მივუტანეთ წერილიო, ვილა-  
ცამ თუ მოიპარა. იმ შენს თანაკლასელ-  
ზე მაქვს ეჭვი, შენ რომ უყვარხარ. მე-  
ნატრები. ამას წინათ, ქუჩაში დაგინა-  
ხე — ხესთან იდექი, ოპერის წინ. შენ-  
თან მოვედი...“

ხის ტოტები ქანაობდა და მერე სუ-  
ყველა ჭერზე ცეკვავდა.

სარკმლიდან თოვლის ოდნავი შრია-  
ლი შემოდინდა.

ისევ აპირაილდა დაფუტურთვებული  
ტახტი.

ლანდები ტოტებიდან ჩამოვიდნენ და  
ფერხულად გაინასკენენ: „ტატიანა, მი-  
ვიღე შენი წერილი. ფოტოსურათი მო-  
მეწონა... ჩვენთან გაზაფხულია უკვე —  
ნუშებმა დაიყვავილა... თბილისის ფო-  
ტოებს გიგზავნი...“

თიქოს ბნელ ორმოში ჩავარდა.

აღარ თოვდა, ტოტები ქანაობდა...  
გათენება ინატრა...

უჩინარმა ისევ დასცა დანა. ძახილი  
მასთანვე დარჩა. თავი უგუფუნებდა,  
ტკაცუნობდა, წიოდა. წამწამები უცახ-  
ცახებდა, მაგრამ თაფლით ვაეგოზათ  
და თვალებს ველარ ახელდა.

გრძელი ჩრდილი ჩამოუჯდა ფეხებ-  
თან. იმღერეო — ეძალებოდა: „აღლერ-  
ში უნდა შეხედეს ტატიანას. ლერისთან  
ერთად მიდის დასახვედრად...“

კუბეში ორნი არიან...

სამტრედიაში დაათენდა...

აღლერში, ავიდნენ თუ არა, აეროდ-  
რომს მიაშურეს...

გაშლილ ველზე მოგარუნუნე თვით-  
მფრინავებს შეჰყურებს. არასოდეს ბე-  
ზრდება მათი თვალთვალი. უხარია,  
რომ თვითეულ მათგანს ვილაციების  
სადღაც წაყვანა შეუძლია. თვითონ ყო-  
ველთვის ოცნებობს, როცა თვითმფრი-  
ნავის სარკმელთან ზის... დედამიწიდან  
ღრუბლები არ აინტერესებთ ადამიჯ-  
ნებს. თუმცა აბრავლებული ზღვისა და  
ჩამავალი მზის შეერთებისას ქვემოთ

ჩამოჩოჩებულ ღრუბლის გოლიათები  
თვალს იტაცებს, მაგრამ ამგვარი სურათი  
ტროლიებუსივით ჩაიქროლქნს, თუ  
არაფერზე არ ფიქრობ. ამ დროს, ყველა-  
ფერს შეივარძნობ: შრიალს, შხაპუნს,  
ღრუბლებს, თოლიებს და კიდევ იმას,  
რასაც ნამდვილად ვერ შეივარძნობ...

თვითმფრინავმა ჩაიმუხლა. ტატიანა  
ძლივს იცნო. როცა მიუახლოვდა და არ  
აკოცა, გაიფიქრა, ახლავე მერიდებო  
და ბოღმაშერიულ აღვზნებას არეული  
სიცილის ზვირთი მოასკდა...

მერე, ტირილი დაიწყო ტატიანამ...“

... სიმღერა დაამთავრა.

გრძელი ჩრდილი არ მოსცილდა...  
ზემოთ აიყვანეს და გაისროლეს...

ტოტები უმოძრაოდ ეკიდა...

... ლერი სიბნელის ტახტზე იწვა და  
არ ჩანდა. როცა გაღვიძა, აღხსნა, შენს  
შიშებს ბერძნები აგორაფობიას უხმობ-  
დნენ, — არაფრისა ნეც მეშინოდა ბა-  
ვშვობაშიო...

თავი სტკიოდა...

მასპინძელმა უჩრია, სანატორიუმში  
ეკამათ.

დაავიანდათ — ავადმყოფებს უკვე  
ესაუზმათ.

კიდევ ორი საათი უნდა ეცადათ,  
მკვდარი საათიაო.

სამორიგეოში შევიდნენ.

... თოვდა და აბასთუმანი ამიტომ  
იყო ლამაზი.

უცბად სამორიგეოს კარი გაიღო და  
გაოცებისაგან გაშემდნენ — შოთა შე-  
მოვიდა, — მათი ყოფილი თანაკურსე-  
ლი, ძმაკაცი, რომელიც კარგ ლექსებს  
წერდა...

ლერის გაცივანა, ბუნებრივად ჩათვა-  
ლა (უფრო სწორად, არ აგრძნობინა გა-  
კვირვება), ხელი გადახვია ორთავეს, ჩა-  
იხუტა, უჩურჩულა, — სამივე ჭლექია-  
ნები ვართო და ახარხარდა.

თურმე, შოთასაც ჭლექი ჰქონია და  
მალავდა, თავის თავზე ლაპარაკობდა,  
თეკლებზე არა უთქვამს რა...

ჯეხალ დავლიანიძე  
წონასწორობა

ჯონდოს ვგონა, რუსთაველზე ძველ-  
ბურად შევხვდით ერთმანეთს და ვმკი-  
თხაობთ, პირი საით ვქნათო, მაგრამ  
თეკლე აკლდათ...

შოთამ ბალატაში წაიყვანა. რაჭულრი  
ღვინო, ქათმები და სამი ბიჭი დახვ-  
დათ...

... მერე ექიმებმა მთვრალეები აღარ  
შეუშვეს თეკლესთან, სისხლი გადაუხ-  
ხით და ცუდად არისო...

აბასთუმანში ისე თოვდა; რომ თვი-  
თონ აბასთუმანი იქცა თოვლად.

ბორჯომში „ზახმელიაზე“ გამოვიდ-  
ნენ.

ბაკურიანი მოვიგონეს...

კარგი დრო ჰქონდათ გატარებული  
ბაკურიანში. კევი უყვარდა თეკლეს. წა-  
მოჰყრიდა ხოლმე სიცივეში და დაარბე-  
ნინებდა ნაძვანარში. ერთხელ ლერი და  
თეკლე შეეჯიბრნენ თხილამურებით  
სრიალში და მთელი ნახევარი საათი მო-  
უნდნენ თოვლში თავდაყირა წარტოზი-  
ლი ლერის მოსულიერებას. ჩემი აწყო-  
ბილი რობოტი ხარო, ეუბნებოდა თეკ-  
ლე...

სათვლიანი ბიჭი შემოემატათ კუბე-  
ში. — კიევში დაემთავრებინა აღმოსავ-  
ლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. ლერიმ  
და იმან პირი აიქავეს, აღმოსავლური  
და ბერძნული კულტურა ერთმანეთს  
შეაჯახეს და განერვიულდნენ...

... ლერი და სათვლიანი ბიჭი აზიუ-  
რად (ხელების ქნევით) კამათობდნენ,  
რამაც რომელიღაც არაბული კინოფილ-  
მი გაახსენა ჯონდოს.

მატარებელი დიდხანს იდგა ხაშურში.  
ლუდის ფარდულთან რამდენიმე კაცი  
(უნებისყოფო ჩანჩურები, რომლებიც  
მუდამ ნაღვლიანები არიან, დოლ-გარ-  
მონი უყვართ, სიმთვრალეში ტირიან.  
მარილიან ლუდს სვამენ, სიგარეტს ბო-  
ლომდე — თითების მოწვამდე ეწვევიან  
და მაჯაზე საათი უკეთიათ,) აბუხულო-  
ყო, კათხებს უჭახუნებდნენ ერთმა-  
ნეთს...

ორი ბოთლი არაყი იყიდა ჯონდომ.

კუბეში რომ შევიდა, ულვაშა ქალი და-  
ინახა, ლერის ადგილზე ჩამოქცდი...  
ყო, ფეხები უშნოდ გაედგნენ და...  
ისედაც უფერულ დღეს საცვლის ფე-  
რით აუფერულებდა.

ბოთლები მაგიდაზე დადგა.

ქალმა ზიზლით შეხედა სასმელს და  
ასეთივე თვალეზით შეაქქერდა ჯონდოს.  
ლერიც შემოვიდა.

ქალს თვალეზი გაუფართოვდა — ლე-  
რი მოეწონა. ჯონდომ გაიფიქრა, ლე-  
რისნაირებს ადვილად აწინაურებენ  
ყველგანო...

ქიქა ვერ იპოვეს.

ულვაშა ქალი წამოდგა, რამდენიმე  
კეხურა ვაშლი მიაწოდა მათ და უთხრა:  
— ამოჭერით და დალიეთ, ასე აკეთებენ  
ჩვენი კაცებიო (ამ ბოლო სიტყვებმა  
ფარდულთან ატუხული, ხელმეცაც-  
ხა, ლუდით მუცელგაბერილი კაცები  
მოაგონა ჯონდოს), ლერიმ სწორედ ის  
კაცები უდღევრძელა ულვაშა ქალს.

ლერი თამაობდა. — მატარებელი  
სადაც შეჩერდებოდა, იმ არემარის სა-  
დღევრძელოს ამბობდა.. ზედიზედ მი-  
ჰყვა ერთმანეთს გორის, ხიდისთავის,  
გრაკლის, ერთაწმინდის, რკივის, ატე-  
ნის, უფლისციხის, ქვახვრელის, ნოს-  
ტეს, გარიყულას სადღევრძელოები...

კასპში დაღამდათ.

სათვლიანმა კიდევ ერთი ბოთლი არ-  
აყი შემოაშველა მათ.

მატარებელი დიდხანს იდგა — სატ-  
ვირთო მატარებელს უცდიდა...

ამ მოლოდინსა და სატვირთო მატა-  
რებელს ჯონდოსათვის ნერვები არ აუ-  
შლია. ადამიანებს ხე-ტყე, ფისი, ძროხე-  
ბი, ღორები, ცხვრები, ნავთი, ხრეში  
მიაქვთ-მოაქვთ და ეს აუცილებლობაა.  
ეს ასე უნდა იყოს. მგზავრმა ფიქრა-  
დაც კი არ უნდა გაეფლო, რომ ვინმე  
გაუფრუტებს, ანდა დაგცინის, უნდა  
დაიჭერო, რომ თავადაც მონაწილეობ  
იმ საშვილიშვილო საქმეში, რომელიც  
სატვირთო მატარებლის დროულად მი-  
მოქცევაშია ჩაქსოვილი...

ლერი რაღაცას ჰყვებოდა კასპზე.

გაბმული ღრიალ-ღმუილით ჩაიჭრა-  
ლა სატვირთომ და თვალები აუჭკრელა  
ჯონდოს (იმ ზებრასავით, ზოპარაკში  
რომ უნახავს პატარაობისას). ვაგონების  
შავმა ღვართქაფმა შეაკრთო: წერილი  
ეჭირა ხელში. იგი ვიღაც ბიჭმა მოსწერა  
თეკლეს, შემთხვევით მიაგნო, თეკლე  
გაწითლდა, მიხვდა ჯონდო, რომ მისი  
ქალწულობა (რამაც წკმუტუნა ფინია  
ძალი მოაგონა) იმ ბიჭის წილი იყო  
თავიდანვე... ბიჭი სწერდა, სიყვარული  
შენ-მასწავლე (როგორც გერმანულს  
ასწავლიდა აზერბაიჯანულ სკოლაში),  
და დამნაშავე, არა ხარ, ახლა რომ აღარ  
გიყვარავარო...

... თბილისში ყინულავდა. „მებარგუ-  
ლები“ იხვეწებოდნენ, რაქეს წაგიღებ-  
თო. ჯონდომ ლერი ურჩიაზე დასვა. —  
ხალხს სასაცილოდ მოეჩვენა სატვირთო  
ურჩიაზე კაცის ჯდომა...

არ ეძინებოდათ და შოთას საცოლეს-  
თან გასწიეს. მძღოლი იგანებოდა, რა-  
ღაცეებს ჰყვებოდა და აურაცხელ ენერ-  
გიას ხარჯავდა ქაქანში. ალბათ ამ ენერ-  
გიის უქმარისობას იგი იგრძნობდა ორ-  
მოცდახუთი წლისა, როცა საკაცით მი-  
იყვანდნენ კარდიოლოგიის ექსპერიმენ-  
ტულ კლინიკაში და მის ავადმყოფობას  
კლიმაქსს დაამბრალებდნენ...

... ნუნუს თურქული ყავა ჰქონდა და  
ისინიც გაიჭყიბნენ იმიტომ, რომ მთელ  
მსოფლიოს უყვარს ყავა — ენერგიის  
მომნიჭებელი ერთ-ერთი წყარო...

ნუნუმ არ იცოდა შოთას ავადმყოფო-  
ბის ამბავი, თორემ ორში ერთს იხამ-  
და: ან თვალვდაკაწრული (თვალვდა-  
ხოკილი), სანახევროდ შავებში ჩაცმუ-  
ლი ავადმყოფობდა აბასთუმანში. შო-  
თას გამოათავყვანებდა, ხელი მოეწერო-  
თო, შვეიცარიასა და ერიზ მარია რემ-  
არკის „სამ მეგობარს“ შეახსენებდა თა-  
ვიდან ბოლომდე, ან არადა, დაქალებს  
შემოიკრებდა და იტყოდა: აბა რაღა სა-  
ჩემოა, გადამადრძვალი დაფარდატებს,  
შუქი გასდისო. მერე თურქულ ყავას მო-  
ადუღებდნენ, აზიისფრად აილანებოდა-  
ნენ, გაიჭყიბებოდნენ და საღამოს რუს-

თაველზე გაისეირნებდნენ ჩანჭვარე-  
ხით...

ნუნუს მონარქული ტუჩებით და-  
მილსა და გატყეპნილ, ძალათ შეყოფ-  
ნებულ ლაპარაკს ველარ გაუძღეს და  
შოთას მამასთან მივიდნენ, რომელმაც,  
ტრადიციის თანახმად, სუფრის გაშლა  
განიზრახა, მაგრამ უფარი უთხრეს და  
შოთას ოთახის გასაღები სთხოვეს.

შოთას ოთახი ეზოში იდგა განცალ-  
კეებით. ღამის გაფიქვა გადაწყვიტეს...

ოთახი წარწერებით აჭრულბულ მო-  
საწევ ადგილს ჰგავდა. გადამოილ-  
რვეულზე კალამი ისევ ისე იდო, რო-  
გორც დაეტოვნა: „5 დეკემბერი... ამა-  
ლამ აბასთუმანში მივიღივარ... 11 ს. და  
30 წუთი...“

ორივემ იცოდა, რომ შოთასაც თავი  
გენიოსი ეგონა — ცხრა წლისამ პირვე-  
ლი ლექსი დაწერა... პაპამის რადიცი-  
ები უწერია, მამამისი პოეტობდა... ჩემ-  
ში მოიყარა თავი ყველაფერმაო. მისი  
აზრით, თვითონ იყო კაშხალი, რომელ-  
მაც სავგარეულო ენერგია დააგუბა...

ლერი ჩამოჯდა და ჯონდოს უთხრა:  
შოთა იმიტომ დატლქდა, რომ გრძნო-  
ბები ფილტვებში მოაგროვა ამოსანთხე-  
ვადო...

დილით საძუშაოზე გაეშურნენ.  
დაცნობ შენობასთან თანამშრომელ-  
ბი შეკრებილან. კომენდანტის ოთახი-  
დან თარის ეღარუნი და აღმოსავლური  
სიმღერების კორიანტელი გამოდის...

რადგან მოსალამოვდა, ჯონდო და  
ლერი შოთას ოთახში დაბრუნდნენ. თუ-  
ნუქის ღუმელი ვარგარებდა. — შეშა  
ტკაცუნობდა და ბაბოს ნათქვამი სიტ-  
ყვები ავონდებოდა ჯონდოს: ხის ჭიები  
იწვიან და ისინი ტკაცუნობენო...

ყვითელი შუქი დასთამაშებდა კედ-  
ლებს: „თეკლემ უთხრა ჯონდოს, ახალი  
კაბა შევიკრე, გამოსატანად წამომ-  
ყეო... როცა შოთას ამბავი ჰკითხა, სი-  
წითლე წაეკიდა“

ზოგიერთი ამ დროს აუცილებლად  
ჯამალ დავლიანიძე  
წონასწორობა



ლოყაში გააწნაგდა გოგოს, მაგრამ ჯონ-  
დო იმ მიზეზს ეძებდა, მიზეზ-შედევლობ-  
რივ მიზეზთა მიზეზებიდან რომ მო-  
დის...

უნივერსიტეტის ეზო სველი იყო. ძე-  
ლსკამზე ჩამოსხდნენ, აბურძგნული ბე-  
ღურები ეხვივნენ დამბალი პურის  
ქერქს და ჯონდოს გაუკვირდა, როცა გა-  
ბრაზების მაგიერ ბაბოს ავადმყოფობა-  
ზე დაიწყო ფიქრი. ცოტა ხნის შემდეგ  
სრული შეება იგრძნო, რადგან ასეთი  
რამ დაასკვნა: ჩემი ფიქრითა და წუხი-  
ლით საყვარელ ადამიანს ალბათ ავად-  
მყოფობას შევუმსუბუქებო...“

ლერი სდუმდა. — ფეხებზე ეკიდა  
ყველაფრის მიზეზთა მიზეზი და ამიტომ  
ღვინის დაღვევა შესთავაზა ჯონდოს. თი-  
თო ჭიქა რომ დალიეს, ჯონდოს ქელე-  
ხისა და ქორწილის ნაფლეთები აერია  
თავში. ლერიმ ჰკითხა, შოთაზე რა აზ-  
რისა ხარო. (ჯონდოს აზრით. წინადადე-  
ბა — „რა აზრისა ხარ“, მხოლოდ დი-  
რექტორებს, მინისტრებსა და დოქტო-  
რებს ეკუთვნით), უცბათ გასცა პასუხი,  
იგი ერთი არაქართული სიტყვისაგან  
შესდგებოდა, თან დააყოლა — ყბების  
ამომტრევაც ეკუთვნისო ჩემგანო...

ლერი კარადასთან მივიდა (კარადამ  
საზოგადოებრივ ტუალეტში დადგმუ-  
ლი, ქლორითა და ქალღლით გამოტე-  
ნილი ძველმოდური, დანჯღრეული ში-  
ფონერი გაახსენა ჯონდოს), შოთას ხელ-  
ნაწერები გადმოიღო, გაშალა და კითხვა  
დაიწყო: „ძალზედ მოუნდა სიმშვიდე-  
სად ეძებოს? სად იპოვოს? საპოვნელას  
იპოვის? რა არის სიმშვიდე? ადამიანე-  
ბის რიგში ჩადგა, მოლურჯო ქალღლის  
ნაგლეჯი ხელში ჩაიგდო და ვრცელი  
ღარბაზის ყველაზე ჩამოხელებულ კუ-  
თხეში ჩამოჯდა... კინოსურათი დაიწყო,  
სადაც, როგორც ყოველთვის, ვიღაცას  
ვიღაცა უყვარს; ზღვის უკაცრიელ სანა-  
პიროზე ბიჭი მისდევს გოგონას; ვერ  
ეწევა... კისკისი... შეყვირება... ხშირი  
სუნთქვა. კოცნა და... განშორება... და-  
რბაზის უკანა რიგებში მჯდომი ბიჭები  
(რომლებიც მძიმე, ზეთიანი, მხოლოდ  
სახელობითი ბრუნვის არსებითი სახე-

ლებით საუბრობენ) კინოსა და მანურა-  
ბელს შორის დამყარებულ კავშირს დას-  
კინიან, უსტვენენ, ივინებიან. შავტუხა  
ბიჭების მიერ დაწუნებული (დაწიხლუ-  
ლი) კინოფილმი, გადამღების სისხლის  
სიჯიუტით გრძელდება...

რექისორს საგანგებოდ შეურჩევია  
შემოდგომა, ფოთოლცვენა და სველი  
დღე... ის (გმირი) მარტო მიდის (ალბათ  
მასთან). ეკრანზე მოჩანს ორი ფეხი —  
თვალეები ფართოვდება. ადამიანები ერ-  
თი დიდი თვალიდან იცქირებიან. ქალ-  
მა (კინოფილმის გმირმა) სხვა იპოვა ძე-  
ხვის რიგში... ახლა ეკრანზე ორი ფეხის  
ნაცვლად ოთხი ფეხი მოჩანს (რაც რე-  
ჟისორის კაიკაცობაზე და ორიგინალუ-  
რი ხერხების ძიებაზე მეტყველებს), სა-  
მაგიეროდ ფოტოლებისათვის აღარ არის  
ადგილი“...

ჯონდო ჩუმად უსმენდა.  
ლერიმ წაკითხული ფურცლები გვე-  
რღზე მიაწყო და სხვა ფურცლები მო-  
ნახა, სადაც შოთა წერს, რომ კისლოვო-  
დსკში წვიმს... მერე, როგორც იქნა,  
ღრუბლები ჩვარივით დაიძონდა, მისმა  
ბიძაშვილმა ფერმკრთალი გოგონა გა-  
აცნო, რომელიც პარკში წაიყვანა სასე-  
ირნოდ, გვერდზე მოისვა და შეეკით-  
ხა — რუსულად რა ჰქვია ყურის ბიბი-  
ლოსო (რატომღაც არ დაიჯერა ჯონდომ,  
რომ შოთა სიმართლეს წერდა. მისი აზ-  
რით, იგი შეეკითხა — ჰიპს რა ჰქვიაო,  
მაგრამ წერისას შერცხვა, და მისი აზ-  
რით, სიტყვა უფრო პოეტურ სიწმინ-  
დედ გადააქცია)... გოგონამ უპასუხა და  
გაუყვინნ იმ ბილიკს, რომელიც (შოთას  
თქმით), ბუჩქებში მიიხლართებოდა,  
ხან ბნელ, მივარდნილ ადგილას  
გაიღუნებოდა, ხანაც განათებულ ახოზე  
იზმორებოდა (შოთა ცდილობდა მხატ-  
ვრულობა, სისადავე და რომანტიკუ-  
ლობა მიეცა სათქმელისათვის). მერე  
შოთა და მისი ბიძაშვილი შინ გვიან  
მივიდნენ, თაფლი ჰამეს და დაწვენენ...  
მეორე დღეს გაიღვიძეს, ნაგნიტოფო-  
ნი ჩართეს, პოლ მაკარტნის სიმღერა  
მოისმინეს, რომელიც შოთას სიცოც-  
ხლის კვენსას აგონებდა...



ლერის სახე უპრიალებდა ნიცნისა-  
გან.

კიდევ დალიეს. მათ თვალეზში არე-  
კლილ ღუმელებს ცეცხლი შეუკეთეს და  
შოთას ნაწერების კითხვა განაგრძეს:  
„რამდენი, ყოყმანი, რამდენი უძილო  
ღამე, ნუთუ თავს დავიმცირებ? —  
აღფრედ დე მიუსე...“

ჯონდო შეერთა, მაგრამ არ გაკვირვე-  
ბია, რომ შოთას მიერ თეკლესადმი მი-  
წერილ ბარათს ათვალეზებდა და ზიზ-  
ღში ჩაქსოვილი ბრიყული ინტერესით  
კითხულობდა... სიყვარულში ჩახრუტუ-  
ლი შოთა უმტკიცებდა თეკლეს, კი არ  
მიყვარხარ, რაღაც ახალი გრძნობა გა-  
მიჩნდა (სიყვარულზე უფრო ძლიერი),  
ასეთი გულახდილი, როგორიც შენთან,  
ვარ, ჯერ არავისთან ვყოფილვარო. არც  
უნდა გაგიკვირდეს ამ წერილის წაკით-  
ხვა, რადგან ახალი გრძნობა მალაპარა-  
კებს და სტენდალის ჟიულიენს არა ვგა-  
ვარო...

შელამებამდე ქეიფობდნენ. სადღეგრ-  
ძელოთა ტრადიციულმა ჯაჭვმა ხელფე-  
ხი შეუტრა ჯონდოს და ბოღმა იმითდა  
დაანთხია, უსიტყვოდ დაიწყო სმა...

ღამით აღარ და აღარ დაეძინა. შოთა  
და თეკლე ერთად არიან სანატორიუმ-  
ში. ეს წინასწარ მოფიქრებულიაო, მაგ-  
რამ უცბად იგრძნო, შოთას ჯავდა ყვე-  
ლაფერში. საგანი (ან სულიერი), რომე-  
ლსაც კი უმზერდა, დაბადებით თანდა-  
ყოლილ მისივე მზერას ირეკლავდა, აი-  
რიბებდა და, რასაც ხედავდა, სხვისი  
განსჯით ითვისებდა...

აღარ დაეძინა. წამოხტა და შინ წავი-  
და.

თავისი ოთახის კარი შეაღო (გაუკვი-  
რდა, რომ მარტო იყო)... ძველმა სით-  
ბომ ყელი აატკივა, მერე მდლა აპყვა  
და თვალეზში მოაწვა...

პირქვე დაწვა. მეორე ბალიშზე გადა-  
დო ხელი, თეკლეს რომ ედო თავი უკა-  
ნასკენელად...

შოთას სახე ვედარ და ვედარ მოიშო-  
რა. ადრე ძალიან უყვარდათ ერთმანე-  
თი... მერე შოთამ მათივე კურსელი გო-  
გონას ცოლად შერთვა მოინდომა, რო-

მელსაც ჯონდო უყვარდა. ლეონი და...  
ლა, შენ თუ კარგი მეგობარი ხარ, უნდა  
უთხრა ყველაფერიო. ბოლოს დაარწმუ-  
ნა. შოთა რესტორანში დააბატიეს, და-  
თვრენ და ჯონდომ გაუმხილა, სამჯერ  
ვაკოცე დალისო.. შოთა აენტო. ღვინის  
ჭიქები დალეწა, ბოროტი ხარო, უთხრა  
და გაიქცა. მეორე ღღეს ფხიზელი მო-  
ვიდა, ახლა იმან დააბატიეა რესტორან-  
ში და დაარწმუნა, რომ ჯონდო ბრიყვე  
ბრიყვე იყო, რადგან, თურმე არ ჰქონია  
ამისი თქმის უფლება...

იმის შემდეგ მათ ურთიერთობაში რა-  
ღაც ჩაწყდა; მაგრამ ჯონდო შინაგანად  
გრძნობდა, როგორ უფრთხილდებოდნენ  
ერთმანეთისადმი სიყვარულს, რომელიც  
მიფერფლილი ნაღვერდალივით შემორ-  
ჩათ...

ჯონდოს თეკლე გაახსენდა და შოთა-  
ზე გაბრაზდა. თეკლეზე გაეცინა: ერთ-  
ხელ სანადიროდ წაიყვანა. მწყერი რომ  
მოკლა, გახარებული გაიქცა ასაღებად,  
მერე ტირილი დაიწყო, ზე ხარო, უთხ-  
რა ჯონდოს, — ხოლო როცა ბაბომ  
მწყერი გაპუტა და შეწვა, თეკლემ  
ძგლებიანად შეახრამუნა...

ღილით სამუშაოზე დაავიანდა ჯონ-  
დოს. ამან მხრებმოხრილი, სათვალისანი  
ქალარა თანამშრომელი დაბოღმა, ამ თა-  
ნამშრომელმა დირექტორთან დაასმინა,  
თავის მხრივ ისიც დაბოღმა და ამიტომ  
ჯონდოც დაბოღმილი მოვიდა შინ...

მეზობლის ცოლმა დაუჩახა, წერი-  
ლი ეჭირა ხელში. თან ახარა, ჩემმა ქმა-  
რმა ღუმელი მოგიტანა და დაგიდგაო...

შოთას წერილი იყო. კონვერტი მაგი-  
დაზე დადო, ცეცხლი დაანთო, წვერი  
გაიპარსა და კონვერტი გახსნა.

შოთა სწერდა: სანატორიუმიდან გა-  
მოწერაზე უარი მითხრეს. თეკლე კარ-  
გად არის, გუშინ გარეთაც გამოვიდა და  
გუნდაც კი მესროლია... წუხელ, სიზმა-  
რში, თეთრწვერა მოხუცი უნახავს,  
რომელსაც ბრტყელფოთლიანი ბალახი  
უჩვენებია და უთქვამს, ამის ნახარში  
მოგარჩენსო. იქნება ეშველოს რამეო...



**მე აღარ ვიხსენებ**


მე აღარ ვიციდი ფშავის ქალაზე,  
 გაზაფხულის პირს აღარ ვკრეფ იებს...  
 არ მიჩნს არაფრად არც ცხრათვალა მზე,  
 და ქარიშხალსაც არ ვუკრთი ძლიერს.  
 უკვე გუმანით აღარ დავდივარ,  
 გამოთვლილ წუთებს არავის ვართმევ...  
 ეპ, მოსახდენი მოხდა ნამდვილად  
 და დასათმობიც ნამდვილად დავთმე.  
 მე ვეღარ ვუვლი საკუთარ ყანას,  
 ოცნების ბალი გვალვამ გამიხმო...  
 დღეს აღარ ვზივარ ფეხონში მინამ, —  
 სანამ დედის ხმა კიდევ არ მიხმობს.  
 მე აღარ ვიციდი ფიქრით მწარითა,  
 აღარ ვატარებ განცდას საერთოდ...  
 რაც წასასვლელი იყო, წავიდა;  
 რაც ასანთები იყო, აენთო.

მე აღარ ვგვიძებ ჭერში საკიდელს,  
 აღარც კერაში შუაცეცხლს ვანთებ...  
 ჩემი ფანდური უკვე შავგვიძებ,  
 სჩანს, დასათმობი ნამდვილად დავთმე.  
 მე ძველ სიყვარულს აღარ ვიხსენებ,  
 ფიქრის უკვე აღარ ვუმღერი...  
 ტკივილი ბევრი დამაქვს ისევე,  
 ცოტა რამ — წმინდა და გაუმხელი.  
 მე აღარ ვუკრთი ქარიშხალს ძლიერს,  
 არას დავიდევთ ამინდს უღაროს,  
 გაზაფხულის პირს აღარ ვკრეფ იებს,  
 ჩემს გულის სწორას რომ მივუტანო.  
 მე არც ის ვიცი, ვისი რა მმართებს,  
 ან საბოლოოდ რა გზებს მივედნე...  
 უკვე გავშორდი აღმართ-დაღმართებს,  
 ახლა რა ვქნა, რომ გავიმეიდნე.

**ჩემი მისაჯარითი**

სულ ბოლოს ვცხოვრობ ვაჟას გამზირის,  
 ქალაქიდან რომ მიდინარ, მარჯვნივ, —  
 ვარ მოლოდინით მუდამ ავსილი,  
 ამიტომ კარებს არასდროს არ ვჯრი.  
 ღილა-მწუხრობით კარი ღია მაქვს,  
 და ველოდები კაცს საათობით...  
 იქნებ ვერ უძლებს ვიღაც ყიამათს,  
 ჩემი სახლია მისი გამთბობი.  
 ჩემთან შემოსვლა მოსწადდა, თორემ  
 ყიამათი კი რას დააკლებდა,  
 გამოჰყვავა ჯავრი კაცს, თავმომწონეს.  
 და ჩემთან უნდა მისი გაკენეტა.  
 იქნებ მესისხლეს დაუსხლტა ვიღაც,  
 ჩემმა ხმამ უნდა გადაარჩინოს;  
 იქნებ ვიღაცა ემღურის იღბალს,  
 მისთვისაც კაცი არის საჭირო.  
 ფიქრი ვიღაცას რომ არ აუხდა,  
 იქნებ მოჰყვება ბილიკს მწუხარი,  
 ჩემთან ცოტა ხნით უნდა ჩამუხვდა,  
 რომ გადმობერტყოს გულის ბუხარი

იქნებ ვიღაცა უძღურიც არის,  
 არ ძალუძს ბიჯის გადადგმა მეტის...  
 ჰეი, ღია მაქვს ყოველთვის კარი,  
 მგზავრო კეთილო, უჩემოდ შედი!  
 იქნებ ვიღაცას ფიქრი დაეხნა,  
 ეცადა, მაგრამ ვეღარ ახვეტა.  
 და ახლა უნდა, — მისი ვაება  
 დააწვას ჩემი გულის ნადგერდალს.  
 იქნებ ვიღაცა თვალებს აცეცებს,  
 სურს — ცა და მიწა ერთად შეყაროს...  
 იქნებ ვიღაცა მის ტოლ კაცს ეძებს  
 და სწორედ იმ კაცს გადამეყაროს!  
 იქნებ იშუმებს ვიღაც იარებს,  
 უნდა გაუსხლტეს ქარს და ყიამათს...  
 ჰეი, მომსვლელო, ნუ აგვიანებ,  
 რათა ხანია, კარი ღია მაქვს.  
 ვარ მოლოდინით მუდამ ავსილი,  
 ჩემი სახლის კარს არასდროს არ ვჯრი...  
 სულ ბოლოს ვცხოვრობ ვაჟას გამზირის,  
 ქალაქიდან რომ მიდინარ, მარჯვნივ.



მე ახლა თქვენგან არც ისე შორს ვარ,  
ერთი კვირილი ვერ მოგაწვდინოთ —  
შენ ჩემო ქაჩევ, შენ ჩემო კორშავ,  
ჩემო წყალ-ჭალავ, ჩემო გზაწვრილო!  
თვალეებში თქვენი დღის შუქი კვეთავს  
და ვეწაფები შორით ცივ წყაროს...  
თქვენი ხმა ამ დიდ ქუჩებშიც მესმის,  
აკუსურავ და ლიქოკის წყალო!  
არც იმად რამ ღირს, არც იმად რამ ჭირს  
დღეები დარდით ჩამოვალამო,  
მაგრამ მგონია, შორს სადღაც დამრჩით,  
ჩემო ჟინვალო, ჩემო მალაროვ!  
არც გამოვლილი გრძელი გზებია,  
არც დიდი არის დრო განშორების,  
მაგრამ ყოველდღე მესიზმრებიან

გველეთში ჩემი სახლის ყორენი,  
დღესაც თქვენ უნდა მოგაყურადოთ  
თქვენს ცეცხლში მდგარმა და  
გახვეულმა, —  
ჩემო გუდანო, ჩემო კარატეგ,  
დათვისურავ და კაწალხეურავ!  
ო, გული დაბმულ ძაღლივით იწევს  
თქვენგან, ...მლოცველი თქვენი არ  
დამგმით...  
აღბათ ეს თუა ყივილი მიწის,  
აუადობა და მისთვის წვა-დაგვა!  
მე ახლა თქვენგან არც ისე შორს ვარ,  
რომ დღე წუხილში ჩამოვალამო,  
მაგრამ მომნატრდით ორწყალო, კორშავ,  
მომნატრდით ჩემნო მთანო მაღალნო!

### საუკუნე

მიხვალ,  
ჩემო საუკუნე,  
დაცინვით და ხარხარით,  
ზოგს ჭრილობა განუკურნე,  
ზოგს ჩაეცი ლახვარი.  
ზოგს სიკეთე უწყალობე,  
ზოგს — გზა გადაშენების,  
ათასგვარი ფიქრი შობე,  
შობე ცივი ხელები!  
სად აშფოთებ კაცთა გულებს,  
ვისთვის ვინ სად იომა...  
რას უმზადებ, საუკუნე,  
ახლა კაცობრიობას?

### გიხარია

გიხარია, კაცს რომ ხვდები  
ფხიანსა და გულიანს,  
ვისაც სხვისთვის გასაყოფი  
მხოლოდ სიყვარული აქვს,  
ვისაც აღმართ-დაღმართები  
ერთნაირად უვლია!

გიხარია, კაცს რომ ხვდები  
ჯილაგიანს, ჯიშიანს,

სულს ვისთანაც ჩაიწყნარებ,  
შვებას იგრძნობ იშვიათს,  
ვისაც არ აქვს ავი ზრახვა,  
არც არაფრის შიში აქვს!

გიხარია, კაცს რომ ხვდები  
გულადს, პურადს, გონიანს,  
ვისაც ყველა ალალი და



გულმართალი ჰგონია,  
სხვისი შური, სხვისი მტრობა  
რომ არასდროს ჰქონია!

გიხარია, კაცს რომ ხვდები  
ულალატოს, პირიანს,  
მეგობარი განსაცდელში  
რომ არ განუწირია

და კაი ყმის კვალბაზე **გეროვნული**  
ყველაფერში წილი აქვს **საქართველოს**

გიხარია, კაცს რომ ხვდები  
გამართულს და თავგზიანს,  
გულში იმედს რომ ჩაგიყრის  
და გაგიხსნის ხასიათს,  
ვინაც იცის კაცის ფასი  
და თავადაც ფასი აქვს!

**სიხლარა შირაკის ველზე**

მე აქაური ბიჭი ვარ,  
აქ არის ჩემი ედემი, —  
ქედებზე შემოფენილი  
ხემო და ქვემო ქედები.  
აქ ფეხით შემომივლია  
ყველა შარა და გზაწვრილი,  
დარჩენილია ბავშვობის  
უნეტარესი ნაწილი.  
სკოლას აქ დავემშვიდობე,  
დავემშვიდობე ყრმობის წლებს,  
ლექსებმა, როგორც მდეგრებმა,  
ამ ველ-მინდვრებზე მომისწრეს.  
ჩემმა პირველმა სტრიქონმა  
ამ გზებზე გაიწკრიალა,  
შუქი აქ გადაეფინა

ჩემი ოცნების იალაღს!  
აქ ჩემი მასწავლებელი  
მახალისებდა, მაქებდა...  
ცხოვრების გზაზე რამდენი  
სიკეთე წამყვა აქედან!  
აქ არის დედის საფლავი  
წმინდა,  
სალოცი ხატივით,  
ოცი წლის წინათ ნაგლოვი,  
ოცი წლის წინათ ნატირი...  
აქ ყველაზე მეტ სიყვარულს  
ვიპოვი,  
თუ გამიჭირდა!..  
უცხო არავის ვეგონო,  
მე აქაური ბიჭი ვარ!







## მზინ კან...

დილაადრიან  
ამოფა მზე და,  
როგორც შეჭყერის  
სიცოცხლის დედას:  
გაანათებს და  
გათბობს მსარეს,  
ყველაფერს ამჩნევს,  
ყველაფერს ხედავს  
და საბრძოლველად  
მოუხმობს ქარებს!..  
და დაადევნებს  
იმათ თეთრ მხედარს!..  
და დაისამდე  
იქნება ასე —  
ჭენებას ამდენს  
მეწამულ ცაზე  
ის ან გაუძლებს  
ან დამარცხდება!  
მაინც იტაცებს  
ეს სილამაზე!  
არსებობისთვის  
ბრძოლა არ წყდება  
და თუ დაეცა  
უეცრად გზაზე —  
სასიკვდილოა  
ეს დამარცხება!  
მზე, მზე იმარჯვებს  
მუდამ ყველაზე! —  
სანამ აცხუნებს,  
სანამ დაცხრება!





# ქართლის სსრკრების ქრონიკები

თბილისის გათავისუფლება ისე ვერ მოხერხდებოდა, თუ ჭრ მიხი ახლო მდებარე ციხეებიდან არ განდევნიდნენ მტერს. „რუსთავი და სომხითი, და ყოველი სამშვილდე და აგარანი“ ისევე თურქების ხელში იყო, მემატთანე გადმოგვცემს.

და აი, დადგა ჭერი სამშვილდის გათავისუფლებიას.

მეფემ ჩვეულ ხერხს მიმართა — დასავლეთ საქართველოში გადავიდა: „რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცროსე ემინოდის თურქთა და მათთა ციხივანთაო“, მემატთანე გვაუწყებს. რაკი ქართველი მეფე შორს გეგულდებოდათ, თურქები უფრო თამამად იყვნენ, სიუხილზე მოდუნებული ჰქონდათ. ეს ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული, ამიტომაც გაემგზავრა მეფე დასავლეთ საქართველოში.

მაგრამ სანამ სამშვილდის ბედს გავიგებდეთ, ერთ საგულისხმო ფაქტზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ამ ამბებს რომ გადმოგვცემს მემატთანე, იქვე პირველად ახსენებს სიტყვას — გეოგრაფიულ ტერმინსა თუ სახელწოდებას — რასაც მანამდეღ წყაროებში არა ვხვდებით, ვტყობა ახალი შემოღებულია.

მემატანის ზემოთ მოტანილ წინადადებას უშუალოდ მოსდევს ასეთი ფრაზა: „მან უამსა მეფე გარდავიდა იმ ქრეთს...“

იმერეთი ახლა ქვეყნის ერთ-ერთი კუთხეა, — დასავლეთ საქართველოს ნაწილი, მისი აღმოსავლეთი მხარე, — და აქაური ხალხი, საქართველოს სხვა კუთხეთა დარად, განთქმულია შრომის სიყვარულით, შემართებით, სიღარბიანებით, ხტუმართმოსყვარებობით... „ზრდილში არაა იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა“. წერს უფრო მოვიანო ეპოქის პოეტი.

ან: განთქმულია „გვირის იმერის ზრდილოებით“...

ეს სიტყვები კიდევ უფრო მერმინდელი დროის მწერალს ეკუთვნის.

საუკუნეთა განმავლობაში დაიმკვიდრა ამ მშვენიერი კუთხის ხალხმა ასეთი სახელი დარებუტაცია.

მესამე წიგნის პირველი ნაწილის დასასრული. დასაწყისი თ. „ციცქარა“, 18 2.


ამრავალ „იმერეთი“ ახლა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელია. მაგრამ თავიდან ასე არ ყოფილა და საგულისხმოც წნორედ ეს არის. პირველად რომ გაისმა ეს სიტყვა, გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიას გულისხმობდა და მნიშვნელობაც ძალიან ღრმა და ფართო მასშტაბისა ჰქონდა. ლექსიკონებში რომ ნახავთ ამ სიტყვის განმარტებას — „საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, ლიხის ქედის დასავლეთით“ — იქვე შენიშნავს წაკითხავთ და მიხვდებით, რომ „იმერეთი“, ძველი მნიშვნელობით, სავსებით მთელი დასავლეთი საქართველოს სახელწოდება ყოფილა. ძველი მნიშვნელობით, გადმოგვცემს ლექსიკონი. და იმასაც გვაუწყებს, რომ სასაუბრო მეტყველებაში დღემდე შემორჩენილა ის ძველი მნიშვნელობა, ახლის პარალელურად. მაშინ კი, იმ დროს, როცა პირველად გაისმა ეს სიტყვა, მართო ის ფართო მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვეულებრივი სიტყვა კი არ იყო ეს — ღრმა აზრი იყო, ღრმა იდეა, და განუხალვურებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზოგჯერ მარჯვედ შერჩეული სიტყვა თუ სახელი არა მარტო ამ სიტყვით კონკრეტულად გამოხატულ ცნებას გვაგებინებს, არამედ გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებს ხალხის ფსიქიკაში.

ეს ტერმინი დავით აღმაშენებლის მიგნებული უნდა იყოს... ან რომელიმე მისი „განმზარანისა“, ერთ-ერთი ბრძენი მამულიშვილია.

ბედნიერი მიგნება იყო. დავით აღმაშენებლის მთავარი საზრუნავი ხომ საქართველოს გაერთიანება იყო. მთელ მის მოღვაწეობაში ცხადად გამოიკვეთება ეს დიდი იდეა და მისწრაფება.

ახლა დავაკვირდეთ: ეს ახალი ტერმინი იქვე მეორე სიტყვას გულისხმობს, თავისივე განაყოფს, თავისივე ტყუპისცაღს... „იმერს“ რომ ვიტყვი, იქვე „ამერსაც“ ვგულისხმობთ, ამათ დაშორება არ შეიძლება, არ მოხერხდება, სიტყვის მკაფიოდ და ნაილად გამოხატული მნიშვნელობა არ მოგვცემს ამის საშუალებას. და როცა სიტყვა „იმერეთი“ წთვლი დასავლეთი საქართველოს სახელად გაისმა, მას თავისთავად ამოუღდა გვე-



რღში თავის მგორე განუყოფელი ნაწილი ამერეთი, როგორც მისი ძმა, მისი ტუპისცალი. განუყრელი და განუყოფელი. მხოლოდ ლიხის ზუნებრივი ზღუდე შეყოფდა ამ ორ ძმას, ისე კი ერთი იყო — ამერი და ინერი... მაშინდელი ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში — როცა გარეშე მტერიცა და გაერთიანება-შეკავშორების მოწინააღმდეგე ადგილობრივი ფეოდალებიც ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ამ გაერთიანებას და ქვეყნის დაფეთხადეუცმაცებას ლამობდნენ — ადამიანთა ფსიქიკაში ასეთი აზრის დაშვიდრებას განუზომელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ბედნიერად მიგნებულმა სიტყვამ მართლაც დიდი როლი შეასრულა...

მერე, საუწყეთა განმავლობაში თანდათან მტკიცდებოდა და ყალიბდებოდა ეს დიდი ცნება.

„ჭირიც და ლხინიც ხაერთო — კავშირი იმერ-აშიერს...“

სამშობლო „უხმოვს იმერთ და ამერთა, ვისაც თავი აქვს შველისა...“

პირველი სტრქონი აკაკი წერეთელს გუთუნის, მეორე — ვაჟა ფშაველას... სწორად შეასხენებდნენ ხოლმე ამას ჩვენი სასიკადულო მწერლები ხალხს — უკვე მოგვიანებითაც კი, როცა სიტყვას პირვანდელი ფართო მნიშვნელობა თითქმის დაკარგული ჰქონდა...

ხალხურ ზღაპრებშიაც, მსუბუქი და უწყინარი იუმორით რომ ებაეჭრება ერთმანეთს ეს ორი ძმა, ისეც მათ განუყრდობას და მათი ძმობის განმტკიცებას უწყობდა ხელს.

ერთი სიტყვით, მეთორმეტე საუკუნიდან, ანუ დავით აღმაშენებლის დროიდან, მთელს დასავლეთ საქართველოს უკვე იმერთი ეწოდებოდა.

ეგრისის ქვეყანა, ანუ აფხაზეთი, ანუ იმერეთი, წერს ვახუშტი ბატონიშვილი, „იბრეულად ფგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი...“

და ამას მოსდევს სიტყვები, რაც მოგვანიშნებს, რა იღება ემყარებოდა ამ ახალი სახელწოდების შემოღება...

ისევ ჩვენს ამბავს დაუბრუნდეთ. სამშვილდის გათავისუფლების ჭერიც დაღდაო, ვაკეთო კლდეკარსი გამგებელი სპე გიორგი ჭყონლიდელის დისწული თევდორე იყო, მეფის ერთგული „გონიერი“ კაცი... სწორედ ეს თევდორე, ახულები და ივანე ორბელი მიახლნენ გიორგი ჭყონლიდელ-მწიგნობართუხუცესს, სწრაფად გაილაშქრეს სამშვილდეზე და მტერმა გონსმოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ ეს დიდი და მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი აღებოეთ იყო. „სიმაჩვეთ მოიპარეს სამშვილდეო“, მემატანე წერს: ეს გამოიქვა სწორედ იმას მოგვანიშნებს,

რომ მოულოდნელად და უცებ, დიდი სისხლის დაუღვრელად მომხდარა ყველაფერი.

აქ უკვე გიორგი ჭყონლიდელი დიდი სამხედრო ნიჭი უნდა ვეუფლისხმოთ.

ეს უძველესი ქართული ციხე-სიმაგრე, სტრატეგიული თვალსაზრისით — ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანები, სიმტკიცით — ერთ-ერთი უმტკიცესი, ხოლო მდებარეობით — შეუდარებელი სილაშხისა, კლავ დედა-საქართველოს დაუბრუნდა, ამჭერად უკვე დიდი ხნით. როგორც ვხედავთ, ამ გამარჯვებას განუსაზღვრელად დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა.

აი, ხად გამოადგა მეფეს, რომ ორგული ვრისათვის ნაცვლად, კლდეკარში თავისი ერთგული ადამიანი ჰყავდა. სწორედ იქიდან დაიძრებოდა ლაშქარი სამშვილდისაკენ. იქ რომ ისევ მტერი და მოწინააღმდეგე მყოფოდა, სამშვილდის აღება ადვილად და დიდი სისხლის დაუღვრელად აღარ მიხერხდებოდა.

სამშვილდის აღებით ჩვენი ხალხის მდგომარეობა ერთბაშად გაუმჯობესდა. სამშვილდე ახლა პირდაპირ კლდეკარს უერთდებოდა და სამხრეთის ორი ძლიერი ციხე-ქალაქის კავშირი დიდი სიკეთე იყო ქვეყნისათვის. აქ გადიოდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოკლე და მარჯვე სავაჭრო-საქარავნო გზა, და ამდენად ეკონომიური თვალსაზრისით იყო სასარგებლო. მეორეს მხრივ, ქვეყნის სამხრეთით, თრიალეთის ზეგანზე აღმართულ ამ ორი უძლიერესი ციხის კავშირს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა — ჭერ ერთი თბილისის გათავისუფლები-სათვის და, მეორეც, იმ დიდი ბრძოლების დროს, რაც სამხრეთით იყო მოსალოდნელი, რამდენადაც მტერი სწორედ სამხრეთით ახედენდა თავის ძალების კონცენტრაციას...


ხოლო რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ციხის აღებას, იმავე დამეს დამტკიცდა: „ნენს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმარავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტყვენს, და დამით მეოც იქმნენს...“

როგორც კი იხილეს, სამშვილდე დაეცაო, ისეთმა პანეკამ მოიცვა სამხრეთის მომცრო ციხე-სიმაგრეების გარნიზონები, რომ არც ქარველების ჭარს დაელოდნენ, აღარც თავიანთი უფროსების ბრძანებას, დაჰკრეს ფეხი და იმავე ღამეს გადაიხვეწნენ — სიბნელეში იქნება ვერ დაგვიანხონ და გადავრჩეთ.

ამავე წელს ქართველ მეფეს განა დაულაშქრავს და აულა...

ეს იყო 1110 წელს. ეტყობა, მოგვიანებით შემოირტყეს თურქებმა თავში ხელი, ეს რა მოგვივიდა, ჭერ იყო

ვახტანგ ბეჟინძე  
პარტლენის ცხომრბმის ძმონიძეები



და სამშვილდე ასე იოლად დავთმეთ, შერე კი წვრილი ციხეები ჩვენი ნებით დავუტოვეთ ქართველებსაო. შურისძიების გზებით აღივსინენ, თითქმის საკუთარი რამე დაეკარგათ და ის დიდი ციხე-ქალაქი და პატარა ციხეებიც სინამდვილეში მათი უფილიყოს. მოამზადეს დიდი ლაშქარი (100.000 კაციო. დავითის ისტორიკოსი წერს; ვახუშტის ცნობით, 200.000 მეომარი ჰყოლიათ, ოღონდ საიდან აქვს ვახუშტის ეს ცნობა, გაუგებარია, ალბათ დავითის ისტორიკოსს უფრო სარწმუნოა), და ამოდენა ლაშქრით გულმოდგინებით ქართველი მეფის იმერეთში გადასვლას აღარ დაუცადებს, პირდაპირ დაიძრნენ თრიალეთისაკენ.

აღმაშენებელი ამ დროს ნაქარმავეში მდგარა, თან მცირერიცხოვანი ჯარი ჰქონდა — 1.500 ტარბუღლი<sup>1</sup>, მემატთანე წერს. საღამო ხანს გაუგია მეფეს თრიალეთში მტრის ჯარის შემოსვლის ამბავი. ეტყობა, დაცდისა და ჯარის შეგროვების დრო აღარ იყო — თუ მტერი შთავარი ციხეების აღებას მოასწრებდა თრიალეთში, მერე უფრო გამწვანდებოდა საქმე. დაიძრა დავით აღმაშენებელი იმ ათასხუთასიანი მხედრობით თრიალეთისაკენ, მთელი ღამე იარა და გათენებისას თურქების ლაშქარს წაადგნენ თავს („მეწინავე რაზმისაო“, ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს).

მტრის ლაშქარს უკვე მოესწრო დაბანაკება, კარვების გამართვა. საგულდაგულოდ ემზადებოდნენ, დიდი ბრძოლების მოლოდინში, და ქართველების ასე უეცარი გამოჩენა მოულოდნელი გამოდგა.

ეტყობა, ამ მოულოდნელმა გამოჩენამაც თავისი ქნა. ისედაც დავითის სახელი უკვე შიშის ზარი იყო მტრისათვის. მეფის მხლებელი მხედრობაც, უნდა ვიფიქროთ, ღარჩულით ვაჟკაცები იქნებოდნენ. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა და „მიდრეკასა დღისასა (ესე იგი, მზე რომ გადაიხარა) მიდრეკეს სივლტოლად ესოდენ ზარჯანხილნი და მოსწრაფენი“... მორალურად გაუტეხიათ მტრის ლაშქარი, გაუქცევიათ. კარვებისთვისაც აღარ მიუხედავთ, ისე კლდემოდებულეთში გაქცეულან („არცა თუ კარავთა მათა და ჭურჭელთა მოხედნეს ყოვლად... ესრეთ განიბნინეს თვისთა ქუეყანათა“).

მაგრამ იმდენად მოულოდნელი და დაუჭირებელი იყო ათასხუთასი კაცით ამოდენა ლაშქარის დამარცხება, რომ ქართველებსაც აღარა სჭეროდათ — ალბათ გატყუება უნდათ ჩვენი

<sup>1</sup> ნიკო ბერძენიშვილის განმარტებით „ტარბუღლი“ სამხედრო პირნი არიან, რომელნიც სასახლეში (ტაძარში) სხვადასხვა საქმეს ასრულებდნენ: იყვნენ მეფის ტალანი, გუშაგნი, მესაწოლენი და სხვა დავალებათა შემსრულებელნი.

და იმითომ გაიქცნენო, და შორს აღარ გაყვნენ, აღარ გახდიეს.

ამ ამბებს რომ გადმოგვიცემს მემატთანე, უკვე შენიშნავს, რომ ამის შემდეგ გიორგი ჭყონდელმა რუსთავიც გაათავისუფლა.

მეფე ამ დროს მუხრანში მდგარა და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

ალბათ გამოადგებოდა იქნებოდა — თუ შეატყობინებდნენ, შენი დახმარება საჭიროო, მაშინვე გაემართებოდა.

მაგრამ არა, ჭყონდელის მეფის შველა აღარ დასჭირებია — რუსთავი გაათავისუფლა და ამით თბილისის გაათავისუფლების გზაზე მტრის კიდევ ერთი სიმაგრე მოიშალა.


რკალი თბილისის ირგვლივ თანდათან ვიწროვდებოდაო, მკვლევარები შენიშნავენ. მართლაც, ხომ ზედათ, როგორ თანდათან იკვრება და ვიწროვდება წრე თბილისის გარშემო, როგორ დინჯად და მტკიცედ! ეს უკვე შემთხვევითი ბრძოლები აღარ არის — საცა უფრო ადვილად მივაღწევ გამარჯვებას, იქ შევუტევიო. როგორც ითქვა, დავითმა ამ დროისათვის უკვე თავი მოუყარა ლაშქარს, საგულდაგულოდ გაწვრთნა, კარგად აუღო ალღო თურქების სამომარ ტაქტიკას და უფრო ეფექტური მოქმედება დაიწყო, წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით.

მაგრამ თბილისზე შეტევას ჯერ არა ჩქარობდა აღმაშენებელი. ჯერ მთლად ვერ მოეშორებინა მტრის მოთარეშე რაზმები, რომლებიც ისევ და ისევ გამოჩნდებოდნენ ხოლმე აქა-იქ. ქართველებმა უფრო გაახშირეს ამ მოთარეშე რაზმების დალაშქვრა. რუსთავის დაკარგვა განსაკუთრებით მძიმე გამოდგა თურქებისათვის. აქედან მეფე, ეტყობა უფრო მარჯველ ზვირავდა მათი რაზმების საწყოფელს და მოულოდნელად ესმოდა თავს. წინასწარ დაზვერავდნენ, შამაოწმებდნენ რაზმების ძლიერებას და მოულოდნელად დაესხმოდნენ, დამარცხებდნენ. არა ერთგზის. ორგზის ან თუნდაც სამგზისო, მემატთანე შენიშნავს, არამდე მრავალგზისო.

ეს იყო პატარ-პატარა ბრძოლები, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამით ჯერ ერთი, სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა ჩვენი ხალხს გამარჯვების რწმენა — ხალხი გამარჯვებას ეჩვენოდა; მეორე: ზღვა კოვჭით დაილიათ — თანდათანობით ირყეოდა თურქების ძლიერება და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ირვეოდა მითი მტრის უძლეველობის; მესამე: ამითვე მზადდებოდა ნიადაგი თბილისზე გენერალური შეტევისათვის.

სანამ თბილისის ასაღებად მოემზადებოდა, დავითს კიდევ მოელოდა რამდენიმე დიდი ბრძოლა.

ერთი ასეთი ბრძოლა 1118 წელს გაიმართა. ამჯერად უკვე არა ქვემო ან შიდა ქართლში,



არამედ უფრო შორს, სამხრეთ-დასავლეთით, მრავალტანჯულ ტაოში.

ეტყობა, თურქებს მოეჩვენათ, რომ ამ მხარეში ქართველებს მოღუწებული ჰქონდათ ყურადღება და გადაწყვეტის, ახლა აქეთ გაეხსიერებინათ რბევა; ზამთრის სიფიცხესა და მთების საფარველს მიენდვნენო, მემატანე გადმოგვეცემს და „ტაოს ჩამოვდგენ... ხარგები-თაო“ — ტაოს მხარეს დაბინავდნენ. ძალიან დამშვიდებულები ყოფილან, იმის შიში არა ჰქონიათ, ქართველები დაგვესმინათო.

როგორც მისალოდნელი იყო, დავით აღმაშენებელმა არ დააყოვნა, ქართლის ჭარბი საომრად გამზადებული დატოვა, თვითონ კი ვითომც არაფერიო, ბრძოლის ვითომ სულაც არ აშირებდა, ქუთაისს გაემგზავრა.

თურქებს მვერავები ჰყავდათ, ქართველი მეფის წასვლა-წამოსვლა არ გამოეპარებოდათ — „...რამეთუ მათნიცა მსტავარნი ჴელა აღბრან მეფესა და ეძებლიან გზათა მისთა“, მემატანე წერს; რაჟი ნახეს, შეფე თავისი დიდი ამალით ქუთაისს გაემგზავრაო, გული უფრო და-არბივნეს. რას წარმოადგენდნენ, რომ საშინელ ზამთარში მაშინვე უკან გამობრუნდებოდა.

იმ შუა ზამთარში („თუხა თებერვალსა“) დავით აღმაშენებელმა ქართლებსა და მესხებს შემოუთავლა (ესენი ხომ წინასწარვე დატოვა საომრად გამზადებულები) — ამა და ამ დღეს კლარჯეთში შევიყარათო, თვითონ ქუთაისიდან ხუფათს ჩავიდა თავისი ამალით და აქედან კი სწრაფად შემოჰყვა ქორხის ხეობას. დათქმულ ადგილას ქართლები და მესხი მეომრები დახვდნენ. დაესხნენ თავს „გულდებით მსხდომ“ თურქებს და მუსრი გაავლეს, ბასიანიდან კარნიფორამდე სიღვის და გარეკეს; წამოიღეს დიდძალი ნაღები — „ცხენებო, ცხოვარი, აქლემებო, და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა ადივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა“.

სამეფო ხაზინა განქულობით ივსებოდა, თავლები კი — ცხენებით...

ცხენები მეფეს მალე დასჭირდებოდა.

გამარჯვება ვახდა ქართველების ვანუყრელი თანამგზავრი. მომდევნო წლებში ქართველებმა აღდგ ბერეთის ციხე გიში (1117 წელს), შემდეგ დიდი ციხე ლორე. ციხე აგარანი — ეს მოხდა უკვე 1118 წელს. ამ ციხეების აღებასა და ცალკეულ გამარჯვებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო ამბებისათვის. ლორეზე, შავალითად, ივანე ჭავჭავაძე იწერს: იმდენად მნიშვნელოვანი ციხე იყო, რომ საქართველოს ამირსპასალარს ჰქონდა ხოლმე ჩაბარებულიო. ამის წინ, 1117 წელსვე ქართველმა მეომრებმა შირვანს გაილაშქრეს და დიდი ციხე ქალაქიო აღდგეს...

შირვანის ლაშქრობასა და ქალაქორის ციხის

აღებას მეფისათვის ის განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ შან აქ სარდლობათვის შველს მიანდო — უფლისწულ დემეტრეს. თვითონ არ წახულა ამ ლაშქრობაში.

დემეტრეს ლაშქრობაზე საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას მემატანე. ეტყობა, მეფეცა და მისი ახლობლებიც დიდად გაახარა უფლისწულის გამარჯვებამ: „ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვანა მსიღველნი და მსმენელნიო“...

დააკვირდით: მსმენელნიო! მსმენელი გააკვირაო!

ომის მსმენელნი რაღას ნიშნავს?!

ხედავთ, როგორ ფართოდ დარხეულა უფლისწულის გამარჯვების ამბავი! გამარჯვებები უკვე ისე ჩვეულებრივი ვახდა, რომ ასეთ დიდ გაკვირებას აღარ იწვევდა. თვით გამარჯვებულზე მნიშვნელოვანი ხხვა რამე ჩანს აქ. მეფე-მამის სიხარული იყო მთავარი და მემატანემაც იმიტომ დაუთმო საგანგებო ყურადღება. თანაც, ნახეთ, როგორ ამთავრებს ამ ეპიზოდს: უფლისწულმა გამოიღო ციხე ქალაქორი და ძლევამოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისაო.. ხომ სედავთ, მეფის სიხარულს ესმება ხაზი, თორემ რაც უნდა საკვირველი და საგანგებოდ აღსანიშნავი გამარჯვება ყოფილიყო, უბრალოდ გადმოგვეცემდა, ძლევამოსილი დაბრუნდებოდა და იმას აღარ იტყოდა, მამის წინაშე მოვიდაო.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ უღოცადნენ სახელოვან მამას შვილის წარმატებას, როგორ დაწვრიდებოთ ყვებოდნენ ბრძოლის ეპიზოდებს, სა ხოტბას ასხამდნენ უფლისწულს, რა ფართოდ დაირხა უფლისწულის გამარჯვების ამბავი და როგორ უწყობდნენ ხელს ამ ხმების გავრცელებას, რა ზეიმი იყო სამეფო კარზე...

დავით აღმაშენებელი შვილსა ცდის, წვრთნის, ამზადებს, მისი წარმატება განსაკუთრებულ სიხარულსა ჰგვრის!

დავით აღმაშენებლის ბრძოლებისა და მოღვაწეობის ამბებმა გავავტაცეს და მისი ოჯახი კი ჭერ არ გავიცვანა.

ორი ვფიშვილი ჰყოლია აღმაშენებელს — დემეტრე (ის დემეტრე, რომელიც ლაშქარს წაუძღვა შირვანში და ქალაქორის ციხე აიღო) და ვახტანგი ანუ ცვატა. ვახტანგი კვიან შეეძინა მეფეს, უფროსი ძმა რომ სალაშქროდ წავიდა, ის დაბადებულიც არ ყოფილა — როგორც ეტყობა, ერთი წლის შემდეგ დაიბადა. ჰყავდა ქალბებიც, ოღონდ რამდენი, ამაზე ერთი აზრი არ არის. ორი ქალი ნამდვილად ჰყოლია — თამარი და კატა; ზოგი წყაროს მიხედვით მესამე ქალიც ჰყავდა, მაგრამ არც სახე

შანტანგ ბელოძე  
ქართლის ცხოვრების კრებული



ლია მისი ცნობილი და ყველა წყარო არც ადასტურებს ამ ცნობას. იმ ორ ასულთაგან უფროსი — თამარ — შირვანს ყოფილა გათხოვილი, კატა კი სწორედ იმ წელს, როცა ქართველებმა ლორედ აგარანი აიღეს (ესე იგი, 1118 წელს), ბიზანტიაში გაათხოვეს — „ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფესად“.

ორივე ქალის გათხოვება შორს გამიზნული პოლიტიკით იყო ნაქარნახევი: მომავალ დიდ ბრძოლებში, რაც ქართველ მეფეს უნდა გადაეხადა ამიერკავკასიის ქვეყნების გათავისუფლებისა და მთელს ამ მხარეში ჰეგემონობის მოსაპოვებლად, მას მხარდაჭერა სჭირდებოდა — აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც. მარტალია, ბიზანტია ამ დროისათვის დასუსტებული იყო და დიდ დახმარებას ვერ გაუწევდა, მაგრამ აღმაშენებელი შორს იხილებოდა — თვითონ სულჩუქებსაც არა ჰქონდათ მაშინ მყარი და მტკიცე მდგომარეობა და ვერავინ იტყოდა, როგორ წარმართებოდა საქმე სახვალლოდ, ვისკენ გადაიხრებოდა ბედის სასწორი.

იმ ერთი ცნობის მიხედვით, შესამებ ქალი ოსეთში ჰყოლია ქართველ მეფეს გათხოვილი და ისთა მეფის დამოყვრებაც პოლიტიკით იყო ნაქარნახევიც, ვარაუდობენ;

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: თუ ბიზანტიის მხარდაჭერა შეიძლებოდა მომავალში დასჭირდებოდა, ოსეთის დახმარება ახლაც სჭირდებოდა ქართველ მეფეს, ახლაც; ამ 1118 წელს.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას ზოგი მკვლევარი ბერიოდებდა ჰყოფს. ასეთი დაყოფა მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. თავის პოლიტიკაში მას ტენილები და მკვეთრი შემოხრუნებანი არა ჰქონია. დაკვირვებით და დაწვრილებით რომ შეისწავლი მის მოღვაწეობას, გაოცება მოგიაცხვ: თითქოს თავიდანვე, — როცა 16 წლის ჭაბუკი სამეფო ტახტზე ავიდა, — ზუსტად ჰქონოდა ჩამოყალიბებული არა მარტო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ზოგადად, არამედ მთელი მომავალი მოღვაწეობის გრძელი გზა, ყოველი საფეხურის თუ ნაბიჯის, ყოველი შესაძლო შეფერხების გათვალისწინებით... თითქოს წინასწარვე არა მარტო მოგზაურობა, არამედ დაენახოს ეს გრძელი გზა, დეტალურად აეწონა-დაეწონოს ყველაფერი, თანმიმდევრობაც კი იმ დიდი რეფორმებისა, რაც მან შემდეგ გაატარა. აქ იგულისხმება არა სწორა, ხაზოვნობა ამ გზისა, არამედ მთლიანობა, დიდი სახელმწიფოებრივი გეგმისაღმი დაქვემდებარებულობა... საოცარია მისი სიმტკიცე და შეუპოვრობა, მისი დიდი გეგმის ლოკაქურობა...

და, აი, დავით აღმაშენებელმა უნდა გაატაროს მმართველი დიდი რეფორმა.

მას შემდეგ, რაც მტრის ურღვევობაგან თითქმის მთლიანად გაიწმინდა საქართველოს მიწა-წყალი და მხოლოდ თბილისში დარჩა მეტად შეფიქრებული, თითქმის ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული მტერი; მას შემდეგ, რაც ქვეყანა „მოეშენა“, გაურკვეველი მომავლის შიშის მძიმე საზურგეთი გაიფანტა და ახლა შიშით თვითონ დამპყრობელს ჰქონდა ჩვენი ქვეყნისკენ მოპყრობილი თვალები; რაც ქართულმა მეურნეობის წესმა თავისი სახე დაიმბრუნა, რაც სოფლები და ქალაქები აღდგა; გზები გაიმართა და ამ გზებზე სავაჭრო ქარავნები გამოჩნდა; ეკლესია სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა და ქედღიციელ ფეოდალებსაც ნელ-ნელა ქედი მოახრგინეს... ყველაფერი ამის შემდეგ წამოიჭრა მნიშვნელოვანი ამოცანა, რაც ქართველ მეფეს თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული და შესაფერ დროს ელოდა.

აღმაშენებლის გეგმები ფართო იყო და შორს მიდიოდა.

ჭერ კიდევ საუკუნეებამდე წინ მისმა წინაპრებმა დაიხატეს მონადე, კავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობა მოგაგებინათ და ბიზანტიის დიდ იმპერიას დაუპირისპირდნენ.

ბევრი რამე გადაეღობა მაშინ ამ გაბედულ სურვილს:

უპირველეს ყოვლისა, ფეოდალური ურთიერთობი გაპირობებულ შინაგანი წინააღმდეგობანი; მეტე თვით ბიზანტია, რომელმაც ძალიან მწვავედ განიცადა თავისად დაგულბულ გავლენის ფეროში ახალი ძალის აღზვევა (როგორც ვნახეთ, თვითონ ისე გავრთო დასავლეთის „საქმეები“, რომ აღმოსავლეთისაკენ მის მიერ მატარა ქვეყნად მიჩნეული სახელმწიფოს გაძლიერება გამოეპარა); ამის შემდეგ, სასაზარეო პორიზონტზე მოულოდნელად გამოჩენილი დიდი სამხედრო ძალა, რომელმაც მთელი აღმოსავლეთი დაარბია და ბიზანტიასაც კი ქედი მოახრგინა...


სერიოზული დაბრკოლებანი გადაეღობა იმ გაბედულ სურვილს.

მაგრამ ისეთი ძლიერი იყო ძალა და სუნთქვა შორეული დიდი მიზნისა, ისეთ ჩოყერ ნიადაგზე აღმოცენებული გამოდგა იგი და ხაფუძველიც ისეთი მყარი აღმოჩნდა, რომ არ ჩამქალა და ახლა, როგორც კი შემთხვევა მიეცა, ახალი სუნთქვით გაღვივდა.

და, აი, დავით აღმაშენებელი კვლავ მიზნად ისახავს „ურსუნველმყოფ კავკასიის ხალხთა გაერთიანება-განვითარება“ (ციტირებული ფრაზა ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის).

გაიხსენეთ მემბტიანის ხიტყვები, როცა იგი გელათის აშენებაზე გვესაუბრებოდა:

...არს ყოვლისა აღმოსავლისა მეროდ იტხსაღმად...



აქ აღმოსავლეთი შემთხვევით არ არის ნახსენები. მემბრანე, როგორც ვნახეთ, მეფის თანამოაზრე და სულიერი მეგობარია, მისი განზრახვი და თანამებრძოლი. მან კარგად იცის დავით აღმაშენებლის გეგმები. თვითონვე მონაწილე ამ გეგმების ჩამოყალიბებისა და შესრულებისა. და როცა გელათზე ამბობს, ეს არის ყოვლისა აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმი, ამით შესაძრად მიგვანიშნებს იმ დიდი პრაგატულ როლზე, რისი შესრულებაც წინააღმდეგეა საქართველოს მთელს ახლო აღმოსავლეთში. დავით აღმაშენებელმა, ძნელ საერთაშორისო პირობებში გალაწყვიტა მიედრის იმისათვის, რაზედაც მისი წინაპრები ოცნებობდნენ და ვერ მოახერხეს: ქვეყნის გათავისუფლება თუქ დაპყრობისათვის არა კმარავდა, საქართველოს უფრო დიდი მისია ერკო: იგი მეზობელ ხალხებსაც უნდა მიშველებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემთხვევითი არ არის, რომ აგერ, რამდენიმე საუბრის განმავლობაში ქართველ მეფეთაგან პირველად დავით აღმაშენებელმა იუკადრისა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები; ბავშვობაში ათი-თერთმეტი წლისას ჰქონია ბიზანტიური ტიტული, მერე კი მორჩა, აღარ გაიკარა!

რატომ? რა მიზეზით? უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დამამკობებლად თვისი ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს — ქართველი მეფის სახელი უფრო საამაყოდ მიანჩნია!

ამ დიდი გეგმების განხორციელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა, თუ მეფეს კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილი ლაშქარი არ ეყოლებოდა.

ამასთან, მტროსაგან მიწა-წყლის გათავისუფლება და გამარჯვებების მოპოება კი არა კმარავდა, მოსოველების დაცვა და განშტკიცება იყო საჭირო. „ხედივდა რა მეფე დავით ესეოდენთა.. გამარჯუებთა თვისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა... ქალაქთა და ციხეთა, რამე თუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და ლაშქირველად და კუალად თვით მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვენეს დაუცვრომელად შიმოხვლასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.

მტრისაგან გათავისუფლებულ ციხეებსა და ქალაქებს გარნიზონები სჭირდებოდა, მუდმივი დამცველი ჯარი („ციხეთა შინა მდგომად და ლაშქირველად“), მეფესაც უნდა მყოლოდა თავის სიახლოვეს მხედრობა („თვით მის თანა მყოფად“) და, რაც მთავარია, ხელაშქროდ („მოლაშქრედმცა“) — იმ დიდი ბრძოლებისათვის, რაც მომავალში იყო მოსალოდნელი.

ერთი სიტყვით, საჭირო იყო დიდი ლაშქარი,

და ასეთი ლაშქარი არა მყავდათ, არ არსებობდა.


მას შემდეგ, რაც მტერმა მოსწიფოდა, დასაწყისად, ბუნებრივია, მეომრების რიცხვი შემოხვდა; მეურნეობის საბოლოო აღორძინებასა და ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებას მუშაველი სჭირდებოდა და თუ ამ მუშაბელს მთლიანად ჯარში გაიწვევდა მეფე, არა თუ მათთვის მასშტაბით ეკონომიურ გაძლიერება, ლუკმაპურის მოპოებაც გაძნელდებოდა; გარდა ამისა, ყოველი ლაშქრობის ღროს სამეფო კარიცაღკეულო ფეოდალებისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, მათთვის უნდა შეეწირათ მეომრები და ეცადათ, როდის გამოეშვანდინენ. ამასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: მართალია, მეფემ ფეოდალების წინააღმდეგობა გასტება და მათი თვითნებობა აღაგმა, მაგრამ, მემბრანისავე სიტყვები რომ გავისხენოთ, ძალის კულის რა გამართავს, ციხის „მართლად სვლას“ ვინ შეაჩვენებს?.. ფეოდალის ბუნება ვერ შეიცვლება, ბევრი მათგანი, თავისთავად იგულისხმება, უმეცარყოფილი იყო მეფის მკაცრი პოლიტიკით და ახლა შიშს გაეჩუმებინა; თორემ სიძულვილს ღრმად ინახავდა გულში. ამას, რაღა თქმა უნდა, კარგად გრძნობდა დავით აღმაშენებელი და ამიტომაც საჭირო იყო, არა ამ ფეოდალებისთვის შეეწერა ყველა ცალკეულ შემთხვევაში მეომრება და მერე ეცადა, როდის გამოეშვანდინენ, არამედ თვითონ მყოლოდა საკუთარი, კარგად გაწვრთნილი მუდმივი, რეგულარული ლაშქარი, რომლის შიში ექნებოდათ სწორედ ამ ფეოდალებს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ უფრო საფუძვლიანად შევეხეთ ამ მნიშვნელოვან საკითხს.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკით, ბუნებრივია, ბევრი უმეცარყოფილი იქნებოდა. წესრიგის ნაყოფს ყველა კარგად იგემებს ხოლმე, მაგრამ თვით წესრიგი ბევრს როდი უყვარს (ეს სიტყვა აქ, რა თქმა უნდა, ფართო მნიშვნელობით იგულისხმება). ჩვენ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს გავეცანით, როცა ფეოდალები აშკარად დაუპირისპირდნენ დავით აღმაშენებელს. მარტო ისინი როდი მტრობდნენ მეფეს. სხვადასხვა ინტერიულ წყაროს შემოუნახავთ სხვა ფაქტები ფეოდალების განდგომისა, რომელთაც აქ აღარ ჩამოვთვლით.

აქ უნდა გავისხენოთ მემბრანის ერთი საფულისხმო ცნობა. მტრის მიერ დაქერბილი რომელიღაც ციხის აღების ღროს, ქართლში, შუაღლისას, პერანგისამარა მეფე თავისი კარვის წინ მდგარა. უცებ ციხიდან ისარი წამოსულა და მეფეს მკერდზე მოხვედრია; ისეთი ძალით ყოფილა ნატყობი ისარი, რომ გაუპობდა კედელს

ვსბატანს ვაღნიშნა  
ძარბაზის ცხობრებამს ძარბანიბამი



მეფეს გულს. შემთხვევით ხატს რომ არ ეხსნა: მკერდზე მთავარანგელოზის ხატი ეკიდა და მეფის გასაგმირად გამოტყორცნილი ისარი ხატს აუხსნეტა...

მემატიანე პირღაბი არ ამბობს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ: აღმაშენებელი ისეთი მემომარი არა ყოფილა, მკერდი მტრის ისრისათვის მიეშვირა. ეს უხათუოდ მოღალატის ისარი იყო.

მემატიანე იქვე გვაუწყებს, არა ერთჯერ დაუპირებიათ მეფის მოკვლა ღალატითო.

როგორც ითქვა, ეს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ბუნებრივი მოვლენა იყო და მეფეს აიშულებდა, განსაკუთრებული სიფრთხილი უნდა ეხმარა. დავით აღმაშენებელს მწვერავთა დიდი ორგანიზაცია ჰქონდა და ყველაფერს გეზულობდა, რაც კი მის ქვეყანაში, თუ ქვეყნის გარეთ, მოხდებოდა. „არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინამისთა მყოფთა კაცთა, დიდა და მცირედთა, ხა-ქმე ქმნილი, კეთილი ვინა სიტყუა ბოროტი თქმული, — არა-რა დეფარვოდა ყოვლაღვე; არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის სიტყუანიცა და მოგონებანი ვიფთხიმე მოუთხრნის მათ, რომელთა ზარგანხილ უყნის“... გულში რომ გაევილო აღამიანს რამე, უკვე მეფემ იცოდაო...

ერთი სიტყვით, ასეთ პირობებში, როცა ბევრი მტერი და არაკეთილისმსურველი ჰყავდა, მეფეს თავისი პირადი გვარდიაც სჭირდებოდა...

და ესეც გაითვალისწინა დავითმა თავის „საღალატო რეფორმაში“.

ხედავთ, ჯარის რამდენი სახეობა გამოვიდა! რა ფართო მასშტაბის გეგმები ჰქონია აღმაშენებელს! ჯარის ნაწილები — გარნიზონები — ციხე-ქალაქებში ჩასაყენებლად („ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამპირველად“), ჯარის ნაწილები, რომლებიც მეფეს მუდამ თან უნდა ხლებოდა — პირადი დაცვა, პირადი გვარდია („მის თანა მყოფად“), მთავარი ძალა მოლაშქრებისა; რომელსაც მტრის მიერ დაკავებული მიწა-წყალი უნდა გაეთავისუფლებინა, ხოლო თუ ახლად შემოიჭრებოდა მტერი, საზღვარზე დახედროდა და გაებრუნებინა, ქვეყნის მშვიდობა და ნორმალური განვითარება უზრუნველყო...

აი, რა მრავალფეროვანი მიზნები განაპირობებდა ლაშქრის ამგვარ ორგანიზაციას.

ლაშქრის რეფორმა ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია იმ რეფორმათა შორის, რაც დავით აღმაშენებელმა გაატარა.

მაგრამ სად უნდა გამოეტეხნა მეფეს ამდენი მემომარი, რომ მესურნეობასაც მუშა-ხელი არ მოჰკლებოდა და ქვეყანა ეკონომიურად არ დაქვეითებულყო?

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა მძირითადი ნაწილი თავისი მუდმივი ლაშქრისა ქვეყნის გარედან შემოეყვანა.

მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო ისტორიაში კარგად ცნობილი ჩვეულებრივი დაქირავებული ჯარი, რომელიც ხშირად იმედს უცრუვებდა ხოლმე დაქირავებულს — არც გულიანად იბრძოდა, არც დიდ ერთგულებას იჩენდა და ზოგჯერ ღალატსაც არ თაყილობდა, განსაკუთრებით ისეთ წუთებში, როცა ყველაზე მეტად საჭიროებდა მის შველას დაქირავებელი.

არა, ეს არ იყო ჩვეულებრივი დაქირავებული ლაშქარი.

დაქირავებული ჯარის ნაწილებიც ჰყავდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ ეს, რაზედაც ახლა ვლაპარაკობთ, სულ სხვა იყო.

ქართველმა მეფემ თავიანთ ოჯახებთანად შემოიყვანა ეს მემომრები და საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა. თანაც, ცოტა კი რა — ორმოცი ათასი ოჯახი!

თითო ოჯახში მკვლევარები საშუალოდ ხუთ სულს ვარაუდობენ და ამ ანგარიშით, 200.000 სული გამოდის. 200.000 უცხოელი ვრთბაშად შემოუყვანია ქვეყანაში!

თითო ოჯახს საშუალოდ თითო კაცი უნდა ეძლეოდა ლაშქრისათვის. ეს სისტემატურად.

როგორც ითქვა, ეს იქნებოდა მთავარი სამხედრო ძალა, მუდმივი ლაშქარი...

როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა მუდმივი ლაშქარი, მისი რიცხვი სამოცი ათას მემომარს შეადგენდა; ამ 60.000 მემომრიდან 20.000 ქართული იყო, ხოლო 40.000 — ჩამოსახლებული უცხოელი.


თუმცა ცოტა ხანში უცხოელები უკვე აღარ ეთქმოდა ამ ხალხს. ისინი მალე გაითქვიფნენ ქართველებში, ქრისტიანობა მიიღეს, აღვირვალად შეეგუენ ადგილობრივი ხალხის ცხოვრების წესსა და კანონებს, თანდათანობით გაიძვარებოდნენ ამ ხალხის ჩვეულებები, საკუთარი კი დაივიწყეს, ქართული ენაც მალე შეისწავლეს და დედაენად გაიხადეს, საკუთარი ენა კი თანდათანობით გადავიწყდათ... ერთი სიტყვით, მალე გაითქვიფნენ ქართველებში, მალე გაქართველდნენ.

ვინ იყო ეს ხალხი, დავით აღმაშენებელმა რომ კარი გაუღო და დედაწულიანად დაასახლა თავის ქვეყანაში?

გარდა ძველისძველი მეზობელი და მეგობარი ხალხებისა, რომლებიც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდნენ ჩვენს ქვეყანას, იმავე მხარეს დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე უცხო ტომები და გარკვეული დროის შემდეგ გაქრებოდნენ. ასე გამოჩნდნენ ოდესღაც ბუნები, ხაზარები...

იმ დროისათვის, რომლის ამბებსაც ახლა მოგიხსნებოდა, საქართველოს ჩრდილოეთის სა-





წღვრების მიღმა ყვიჩაყები იყვნენ. ეს შუა აზიიდან დაძრული თურქული მოღვმის მომთაბარე ტომები ჭერ კიევის რუსეთის დიდ სახელმწიფოს მიაწყდნენ, მაგრამ რაკი იქ ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდნენ, თანდათანობით სამხრეთით დაიწიეს და ჩრდილო კავკასიაში შებჳრდნენ...

სწორედ ეს ხალხი — ყვიჩაყები — შემოიყვანა დავით აღმაშენებელმა საქართველოში. დავით აღმაშენებლის მეუღლე გურანდუხტი ყვიჩაყთა მთავრის ათრაქა შარღანის ძის ასული იყო და აღმათ ამანაც უფრო ადვილად გადააწყვეტინა სამეფო კარს ყვიჩაყების ჩამოსახლების საკითხი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქართველმა მეფემ სწორედ იმიტომ შეიბრთა ყვიჩაყთა მთავრის ასული, რომ მომავალში ყვიჩაყთა ჩამოსახლება ჰქონდა გადაწყვეტილი.

ჩვენი ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ როცა ყვიჩაყთა შემოყვანის საკითხი წყდებოდა, ქართველმა მოლაპარაკებამ ექნებოდათ რუსეთის დიდ მთავრებთან, კერძოდ, ვლადიმერ მონომახთან.

ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენადაც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გზაზე; მომდევნო ხანებში ეს ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა.

კონკრეტული საბუთი ყვიჩაყების შემოყვანასთან დაკავშირებით რუს მთავრებთან მოლაპარაკებისა წყაროებს არ შემოუნახავს, მხოლოდ ვარაუდობენ ამას. მაგრამ სავსებით დამაჯერებელი ვარაუდია.

საქმე ის არის, რომ ყვიჩაყებსა და რუსეთის სახელმწიფოს დიდი ხანია ერთმანეთში უთანხმოება და ბრძოლები ჰქონდათ: შუააზიიდან წამოსული ყვიჩაყები ხომ რუსეთის მიწა-წყალზე შეიჭრნენ; რაკი წინააღმდეგობას წააწყდნენ, მეერ სამხრეთით დაიწიეს: ბრძოლა ამის შემდეგაც გრძელდებოდა... ასეთ პირობებში, ქართველთა მოლაპარაკებამ ყვიჩაყებთან, მათთან დაახლოება, მისვლა-მოსვლა, სამხედრო კავშირის შეკვრა გაუმართლებელი და საშიში უნდა ყოფილიყო, რამდენადაც რუს მთავრებს საფუძველი ექნებოდათ ეფიქრათ, რომ ეს საეჭვო მოლაპარაკება და დაახლოება მათ წინააღმდეგ წლებოდა... არ შეიძლებოდა, ეს არ გაფთვალისწინებინა საქართველოს სამეფო კარს. ამიტომაც არის დამაჯერებელი ვარაუდი, რომ ქართველ მეფეს წინასწარ მოლაპარაკება ექნებოდა ვლადიმერ მონომახთან. მემატიანის ცნობას, ყვიჩაყების გადმოყვანასთან დაკავშირებით დავითმა მოსალაპარაკებლად წარველინა კაცნი სარწმუნოიო, ჩვენი ისტორიკოსები ისე ხსნიან, რომ ეს „წარველინი კაცნი“ არა მარტო ყვიჩაყთაში, არამედ კიევი მთავართანაც უნდა მისულიყვნენ“...

ასეთი ვარაუდისა და დასკვნის საფუძველს

იძლევა მაშინდელი მდგომარეობის სწორი და საფუძვლიანი ანალიზი.

ეს ერთი.

არის მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაც.

ისეთ პირობებში, როცა საქართველო დაშაყრობელითა მამადიანი მტრების აღუაში აღმოჩნდა, როცა ქვეყნის სამხრეთითა და აღმოსავლეთით ამ მტრული ძალების გამაღებელი კონკრეტაცია ხდებოდა და მათი შემკავებელი ძალა კი არა ჩანდა, როცა ჰრისტიანული ბიზანტია სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და ძალას კარგავდა, შეუძლებელია, რომ ქართველთა, რომელთაც მეგობრისა და მოყვანის მიტება დასაბამიდან მოსდგამდათ და სისხლში ჰქონდათ გამჭდარი, ყურადღება არ მიექციათ მზარდ, ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსათვის და მასთან არა მარტო უბრალო კეთილგანწყობილების, არამედ კონკრეტული სამსკავშირეო ურთიერთობის დამყარებას არა ცდილიყვნენ. წარმოდგენელია ასეთი ურთიერთობის დამყარებას არა ცდილიყო ისეთი ჰქვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, როგორც დავით აღმაშენებელი იყო.

ასეთი ვარაუდის საფუძველს, სხვათაშორის, მოვლენათა შემდგომი მსვლელობაც გვაძლევს — კონკრეტულად გამოვლენილი ფაქტები ამ ურთიერთობის განვითარებისა.

ზემოთ შევნიშნეთ, ოსთა მეფის მოყვრობა მალე გამოადგა დავით აღმაშენებელსო (ერთი წყაროს მიხედვით, მეფემ თავისი ასული ხომ ოსთა მეფეს მიათხოვა). ეს სწორედ ყვიჩაყების გადმოსახლებასთან არის დაკავშირებული.


ყვიჩაყები შორიდან მოსული ხალხი იყო და, ბუნებრივია, ოსებთან კეთილი ურთიერთობა ვერ ექნებოდათ, რამდენადაც ისინი ოსებსაც ავიწროებდნენ საკუთარ მიწა-წყალზე, რადა გახაკვირია, რომ მტრის 40.000 ოჯახს ოსები მშვიდობიანად არ გამოატარებდნენ დარიალის ხეობაში. ამიტომაც შენიშნავს მემატიანე: ყვიჩაყებმა რომ სინარულით მიიღეს ქართველთა წინააღმდეგ, თან „ითხოვეს გზა მშვიდობისა ოსთაგან“.

საქირო იყო ოსებთან მოლაპარაკება, რათა ყვიჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი მშვიდობიანად გამოეტარებინათ საქართველოში. ამას გარდა, ქართველები უნდა ცდილიყვნენ ამ ორი ხალხის შერიგებას და მათ შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებას...

ქართველ მეფეს სხვა დიდი საქმეც ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში...

იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს საკითხები, რომ მეფემ სხვას ვერ მიანდო, თვითონვე გაემგზავრა ოსეთს.

პასტახან პეღიძე  
მარტლის ცნობარების ძრონიტიბიძე



და, რაღა თქმა უნდა „თანაწარჩინა“ უახლოესი თანამშრომელი და მეგობარი გიორგი ჭყონდიდელი.

რას იფიქრებდნენ, რომ ეს იქნებოდა გიორგი ჭყონდიდელის უკანასკნელი სამსახური მეფისადმი და მშობელი ხალხისადმი...

1116 წელმა ბევრი სიხარულიც მოუტანა მეფეს და მწუხარების სიმწარაც აგება.

არ ვიცით, ავადმყოფობდა და იქ გაურთულდა სნეულება, თუ ტრაგიკულად დაიღუპა...

მემბრატანე აქაც სიტყვაძვირია:

„ხოლო მაშინ ოსეთს ყოფასა მიიცივალა გიორგი ჭყონდიდელი...“

ასე მოკლედ გვაუწყებს მემბრატანე მეფის უახლოესი აღმინანის გარდაცვალებას.

ხოლო როგორ დაიტარა იგი ღვაწლში, ამას, მართალია, მოკლედ მაგრამ ძალიან შთაბეჭედავად გადმოგვცემს:

„თავადგა სიყრმითანთა პატრონისა მსახურებათათვის; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტრისა ახალსა და მუნ დაემარხა, რომელი იგლოვა ყოველმან სამეფოჲსან და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსილთა შავისათა ორმოცუ დღე, ვიდრემღის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

სწორედ ამ სიტყვებში შთავარებს კონსტანტინე გამსახურდიას გულისშემძვრელად დაეხატა თავის რომანში — როგორ მოასვენებს ათი ათასი მეომრისაგან შემდგარი მხედრობა იმ მიუჯად მთებსა და ხეობებში ღირსეულ მამულშივლად.

სად მიიბარეს გიორგი ჭყონდიდელი მშობილ მიწას, ამაზე ორი აზრია: რაკი გელათის შემდეგ დავით აღმაშენებელმა შიო მღვიმის მონასტრის ეზოში ღიღი ეცლესია ააშენა, ხოლო მემბრატანის ტექსტში სწორედ ახალი მონასტრია ნახსენებო, ზოგი ვარაუდობს, რომ სწორედ შიო მღვიმეშია დაკრძალული მეფის უახლოესი აღმინანი; სხვა საბუთებიც მოჰყავთ ამ ვარაუდის გასამაგრებლად...

ტრადიციული გადმოცემის მიხედვით, გიორგი ჭყონდიდელი გელათის მონასტრის ეზოშია დაკრძალული. ჩვენც ამ ტრადიციას ვერწმუნეთ, და როცა ველათის ტაძრის ეზოში შევალთ, დავით აღმაშენებლის გახსენებასთან ერთად, ამ შესანიშნავი მამულიშვილის ხსოვნის პატივსაცემადაც მოვიდრიკეთ მუხლი.

ამრიგად, ქართველმა მეფემ შეარჩია ეს ორი ხალხი — ოსები და ყივჩაყები. ოსებმა გზა გაუხსნეს ყივჩაყებს — „შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყათათვის...“ და „აღიხუნა ციხენი და რაილასა და ყოველთა კართა ოსეთისათა და კავკასიისა შიოსათანი“...

დაკვირვლით მემბრატანის ბოლო ფრაზას: ჩრდილო კავკასიის ყველა ციხე და ზეკარი ქართველი მეფის ხელში მოექცა. ეს დიდი გამა-

რჩევა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო — ვახტანგ გორგასალს შემდეგ, ქართველი მეფე ასე მტკიცედ აღარ მდგარა ჩრდილო კავკასიის მთებში.

მნიშვნელოვანი იყო ჭერ ერთი იმიტომ, რომ ამიერიდან ქართველებს უფრო თამამად შეეძლოთ ებრძოლათ სამხრეთით და აღმოსავლეთით მომდგარი მტრის წინააღმდეგ — ზურგი მტკიცედ დაცული და გამაგრებული ბქონდათ, იქიდან თავდასხმის საშიშროება აღარ იყო; მეორედ: საქართველოს გზა ეხსნებოდა ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებთან, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობისათვის.

ერთაშაღ ამდენი უცხოელი მეომრის შემოყვანა მტრისგან ნარბევ და აოსრებულ ქვეყანაში, რაღა თქმა უნდა, რისკთან იყო დაკავშირებული და, არ არის გასაკვირი, რომ ამ იდეას მოწინააღმდეგეც ეყოლებოდა. დაკვირვებით რომ წაიკითხავ მემბრატანის მოთხრობას, დარწმუნდები, რომ ასეთი მოწინააღმდეგეები კარგა ბლომადაც იყვნენ და, აშკარად თუ ფარულად, თავიანთ ექვსა და უქმყოფოლებს გამოთქვამდნენ; არც იმას ერადებოდნენ, რომ ფართოდ გავრცელებიანთ შიში და დაეჭვება. ვანა დავითმა და მისმა განმწარაბებმა კი არ იცოდნენ, რომ ეს საქმე სარიცხო იყო! მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, მათ ისიც ღრმად ბქონდათ შეგნებული, — და ამის შეგნება ძილსა და მოხვედრებს უკრთობდათ, — რომ ქვეყნად შექმნილი მდგომარეობა და მომავლის ინტერესები უსათუოდ მოიხიზვდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას. სწორედ ამიტომ ისინი დიდი სიფრთხილით ეცილებოდნენ მეტად რთულსა და სერიოზულ აქმს. ამას რომ გავითვალისწინებთ, არც ის ერთი შეხედვით საჩოთირო ვარაუდი მოგვიჩვენება უსაფუძვლოდ, თუ რატომ გადაწყვიტა დავით აღმაშენებელმა, ყივჩაყთი მთავრის ასული შეერთო ცოლად.

სანამ ამ ღიღი საქმეს გადაწყვეტდნენ, საგულდაგულოდ აიწინ-ღაწინეს ყველაფერი, ყველაფერი გაითვალისწინეს საფუძვლიანად გაიცვინეს ის ხალხი, მოილაპარაკეს, ნიადაგი შეამზადეს... წინასწარ გაამზადეს ის ადგილები, სადაც უცხოელები უნდა ჩეხსახლებინათ: თანაც, ერთბაშად კი არ გადმოჰყვანიათ 40.000 ოჯახი... არც ერთ ადგილას დაუსახლებიათ: ორი წლის განმავლობაში გადმოჰყავდათ (1118-1120 წლებში) და მთელს ქართლში გაშვანტეს...

რატომ დაასახლეს უმთავრესად სწორედ ქართლში და არა, ვთქვათ, დასავლეთ საქართველოში, ამას ქვემოთ ვიტყვით.

ჭერ ისა ვთქვათ, რატომ მინდვამიანც ყივჩაყები შეარჩიეს?

ამ კითხვას პირდაპირ უპასუხებს მემბრატანე. ჭერ ერთი ხიზამაცეხა და მგომრულ ბუნებას უქებს ამ ხალხს:

ჰქონდათ „წყობათა შინა (ესე იგი, ბრძოლა-ში) სიმინე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა“.

ჩინებული მომარბე ურთაღას:

გარდა ამისა, ადვილად შეესაძინა და მოხაზულმა იყვნენ — განვითარების დაბალ დონეზე იღვწენ და დიდი მოთხოვნილება არ ექნებალათ: მემბრანებზე საგანგებოდ აღნიშნავს მათ „ადვილად დასამჭირებლობას“;

ასევე ადვილად დასამორჩილებლები ჩანდნენ: „ყოველითურთ მომხაზებლობა ნებისა თვისისაო“ — ესე იგი, ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებდნენ, უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ მეფის ნებას...

აისთანა ხალხს უფრო ადვილადაც მოაქცევდნენ თავიანთ რჩეულზე, ადვილად გააქართველებდნენ. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არა მარტო ერთგულების ვარანტიის თვალსაზრისით: როცა უვიჩაუების ჩამოსახლებაზე ლაპარაკობს, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს — ეს, ამასთან, მტრის მიერ შეთხვედრული ქარლის მოსახლეობის გამრავლების წყაროც იქნებოდაო.

აი რატომ დასახლებს ისინი უმთავრესად ქართლში. აშკარაა, ესეც ჰქონდათ მხედველობაში მეფისა და მის განმზრახვებს, როცა უვიჩაუების ვადმოსახლება გადაწყვიტეს. ეს კი, როგორც ნედავთ, ძალიან საუფრადღებო საკითხია.

დავით აღმაშენებელმა რომ თავიდანვე დაიჭირა თადარიგი და ახალ ვადმოსახლელ ლაშქარს ცხენები და იარაღ-საჭურველი მოუშვადა, თანაც, თავისივე ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით რომ შეუდგა მათ სავანებო წვრთნას, ეს ერთი მხარეა. იგი არა ნაკლები გაფაციცებით წერუნავდა, რათა რაც შეიძლება მალე გაქრისტინებოდათ უვიჩაუები, მალე მომხდარიყო მათი ასიმილაცია: მაშადაინი მტრების წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლებში ამას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა...

და, მართლაც მემბრანებზე საგანგებოდ შენიშნავს, „...თვით უვიჩაუნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურციხეი შევიწინებოდა ქრისტიანთა“.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, თითქოს ეს თავისით ხდებოდა. ჩვენ უკვე რამდენჯერ ვნახეთ წემოთ, რომ რწმენის შეცვლა და სხვა რჩეულზე მოქცევა ასე ადვილად და უმტკივნეულოდ არა ხდებოდა.

სხვათა შორის, მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს ერთი ნაწილი უვიჩაუებისა უნგრეთში დასახლებულა, და მათ ქრისტიანობა მიიღეს მხო-

ლოდ მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში. სპეციალურად მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში.

აქ კი, საქართველოში, როგორც ვხედავთ, მალე მომხდარა ეს პროცესი, რადგან სავანეებზე ზოდ წერუნავდნენ ამისათვის. თავიდანვე რომ გავცალკევდეს ვადმოსახლელი ოჯახები და სხვადასხვა ადგილას დასახლებს, ეს ამიტომაც იყო.

ქართველმა მეფემ დაჰყარა — „გუარ-გუარად დააწუთა“ — უვიჩაუთა ჯარი და სპასალარების მიუჩინა. უნდა ვივარაუდოთ, ამ სპასალარებს მარტო სამხედრო წვრთნა და ხელმძღვანელობა კი არა ჰქონიათ დაეისრებულთ: მათი მრავლება უფრო ფართო იყო. ვახუშტი ბატონიშვილი სწორედ ამ სპასალარებს უკავშირებს უვიჩაუების სწრაფ გაქართველებას: „ხოლო უვიჩაუთა დაუღებინა სპასალარნი მთავარნი დასადა და შეიძინებოდნენ მრავალნი ქრისტიანედ“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სხვადასხვა ადგილას ვეწვიდის ამ ორ ცნობას — უვიჩაუების „გუარ-გუარად“ დანაწილებასა და მათ გაქრისტიანებას — ხოლო რაკი ვახუშტი აერთიანებს ორ ფაქტს და ერთად ვადმოგვიცემს, ეს ამიტომ, რომ იგი უსათუოდ ერთმანეთს უკავშირებს მათ და პირდაპირ მივივანშენებს, სპასალარებს ესეც ჰქონდათ დავალებულიო.

აშკარად ჩანს, ამ სპასალარებს მარტო სამხედრო ხელმძღვანელობა კი არა ჰქონიათ დავალებული — მათ ვაცილებით უფრო დიდი და ფართო ამოცანა დაეკისრა აღმაშენებელმა: ისინი, ერთხა და იმავე დროს, ამ უცხო ხალხის სარდლებიც იყვნენ, ნათლიებიც, სულიერი მოძღვრებიც, მასწავლებლებიც, მეურვეებიცა და ყოველდღიური მზრუნველებიც...

საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო ქართველთა ლაშქარს: მუდმივი ლაშქარი (ვახუშტის გამოთქმით, „მარადის მცველი“) — 60.000 კაცი (აქედან 40.000 უვიჩაუი და 20.000 ქართველი); მეფის პირადი გვარდია, „მონა-სა“ — 5.000 (რჩეულნი და ვანსწავლულნი ღუაწლსა... მისანდონი და გამოცდილნი სიმინითა);\* და „ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაშეულნი, ცხენ-კეთილნი და პირმეუქციეფლნი“, ესე იგი, ის ლაშქარი, რომელსაც საქართველის დროს შეკრებდა მეფე და ამ ლაშქრის რიცხვიც საპირობების მიხედვით განისაზღვრებოდა (ზოგჯერ ჰუდზე კაცსაც შეკრებდა). ეს იყო სხვადასხვა კუთხეებისა და საერისმთავ-

ვანსანებ ვეღნიძე  
ქართლის ცხოვრების ძრონიძე

როგორცაჲც შედგენილი ჯარი.1 ზოგჯერ, კიდრე თუ დასტირდებოდა დამატებითი სამხედრო ძალა მეფეს, სხვა ქვეყნებელანაც დაიჭირებოდა ჯარს მეფე ამას უკვე როქის სპა ეწოდებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფეს აღუკვეთავს ბრძოლებში ალაფად მოპოვებულ სამურტლის მეთორმეტათვის განაწილების ძველებურად წესი: „და დავითთან არღარა განიყოფოდა სამურტლენ სპათა ზედა“, ანაზლაურგმა სხვა წესით შემოუღია „პატივი ამათი იყო სხვა“.

უნდა ვთქვათ, რომ ეს წესი ჯარში დისციპლინის განმტკიცების მიზნით შემოიღეს.

დისციპლინის განმტკიცებასა და ლაშქრის ავტორიტეტის ამაღლებას პირველხარისხიან მნიშვნელობას ანიჭებდა დავით აღმაშენებელი. როცა შემატანე ძველ ლაშქარს აკვირებს, თითქოს ცოცხლად ვხედავდეთ დამოღობილ-დარღვეულ, უდისციპლინო, მორალურად განადგურებულ, დაბერებულ, დამშულ, შეუიარაღებელ ჯარის ნაფლეთებს:

„...ტუუეობითა და ზემოხსენებულ ქირთავან მცირე გუნდი მხედრობისა და იგინაც დაჰაბნებულბი, მრავალჯის მტერთავან სივლტოლითა უცხენო და უსაქურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეტარნი და ფრად მოწინა“...

ასეთი ლაშქარი დახვდა ქაბუჯ მეფეს, როცა ტახტზე ავიდა.

შედარებით მცირე ხანში დავით აღმაშენებელმა შექმნა იმ დროისთვის შესანიშნავად შეიარაღებული, ვაჭრთნილი, დისციპლინისანი, პირველხარისხიანი ლაშქარი და ამას დიდი პატივია და დრო მოუღდა.

პირველ ყოვლისა, როგორც ითქვა, დისციპლინა დაამყარა მან ჯარში. დამახასიათებელია, როგორ საგანგებოდ აღნიშნავს შემატანენ, დავითმა ლაშქარში ყოველგვარი უწესობა, გარყვნილება და ლაშქანდარობა აკრძალა: „ხოლო სადუმაკონი სიმდერანი, სახიობანი და განცხრომანი... და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“...

საინტერესოა შემატანის სიტყვები, როცა იგი მოგვითხრობს, როგორ ვარდაქმნა აღმაშენებელმა ჯარი: რაც დახვდა, იმასაც გადმოგვ-

ცემს, როგორი შექმნა, იმასაც გვეუბნება და მერე ერთბაშად შესძახებს, თითქოს ვილცახს ეკამათება...  
საქართველო

თითქოს კი არა, ნამდვილად, ეკამათება... ეს ხომ პოლიტიკის ტონია: მემპრატანე, რომელიც ამავე დროს მეფის უახლოესი ადამიანი და თანაშემწეა, იმ მღელვარე ეპიზოდების მოწმე და თვითმხილველი... ვილცახს ცხარედ ეკამათება. ეს ვილცა ერთი და ორი კაცი არ არის, ეს მთელი ჯგუფია, გავლენიანი საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელსაც მაგრად მოხვედრია მტკიცე ხელი, შეუუწირობიათ, აულაგავთ, და ახლა ღვარძლს ანთხევენ, ბოროტ ხმებს ავრცელებენ, ცდილობენ, მეფე დაამცირონ... ახალგაზრდა მეფის ყოველ ახალ რეფორმას მტრულად ხედებთან, ეჭვსა და უნდობლობას თესვენ, ცინიზმის ბაცილებს ამრავლებენ, ხელს უშლიან, ხოლო როცა თვითონვე დარწმუნდებიან, რომ ახალგაზრდა დავითმა დიდი ნერვების დაძაბვით, დიდი სულიერი ამტანობითა და მოთმინებით, აწარის ღრმა ლოგიკით და ფოლადის შეუპოვრობით მიადგინა საწადელს, უკვე სხვაგვარად დიდებენ: „დიდი ამბავია!.. მავასაც რომ რამე უნდა...“

აი, ამ ხალხს ეკამათება მემპრატანე, პირში სწვდება და არცხვენს... დღე და ღამეს ათენებდა და ამას ისე მიადწიარო, ეუბნებდა; მდელით არხენად წამოწოლილი, დენოს კი არ შეეცოდება და ნებიგრობდა, თვლია არ მოუხუტავს, მუხლი არ მოუხრია, ისე იდევრდა: „ნუ უკუე ძილითა ანუ ადგილითა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მარჯუნებელთა საქმითა შედგომითა“...

ხომ აშკარად იგულისხმება, რომ იგი პირდაპირ მიმართავს იმ ხალხს, ვინც დღე და ღამე განცხრომია, სულ ქიფობს და საქვეყნო საქმისთვის თავს არ იწუხებს.

არა, ამითი არა მთავრდება მემპრატანის პოლიტიკა... იგი გამოცდილი ორატორია: ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ჯერ თითქოს ცოტათი დაცხრება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო მაგრად იფეთქოს. უფრო დიდი ნაცხრომისთვის ემზადება, მკითხველსაც ამზადებს...

ქართველი მეფის ალექსანდრე მაკედონელთან შედარება უყვარს მემპრატანეს და ახლაც, იმ საყვედურის შემდეგ, მაკედონელს გაიხსენებს — ისიც ასე იყო, არც იმას ჰქონდა ძილი და მოსვენებაო...

ჩამოთვლის მაკედონელის საბრძოლო დიდების ამბებს და იქვე:

აბა ერთი დავითის მცირე ჯარის ამარა ყოფილიყო მაკედონელი, თუ მიადწევდა რამეს! ან არადა, დავითს მიეცა სპარსთა მეფობა, ანუ ბერძენთა და რომაელთა ძალი, ან სხვათა დილთა სიმეფობა, და „მამინმცა გენახნეს ნა-

ქმარნი მისნი, უღარენნი სხუათა ქებულთანი“...

და ახლა კი ველარ მოითმენს და იფეთქებს მემატიაზე:

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ, რა-ფხმს განდიდენ, განსუქენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიაჲ ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“...

ეს სიტყვები ნუ შეგვაშფოთებს და ნუ დაგვაფიქრებს. ესეც ორატორული ხერხია: მაგრად უნდა შეანჯღრიოს მოწინააღმდეგე, ვისთანაც ეს პოლემიკა გაუმართავს; მკითხველიც უნდა შეარჩოს და დააფიქროს, გული დაწვივოს, გააზრდოს კიდევ იმ ხალხზე, რომელთა მისამართს ქვემოთ უფრო კონკრეტულად იტყვის.

ამიტომაც ნუ შეგვაშფოთებს ეს სიტყვები. ეს, რა თქმა უნდა, ქართველებს არ ეხება. ქართველი ის მეფეა, ის შესანიშნავი მამულიშვილი, რომელსაც ასეთ ხოტბას ასხამს მემატიაჲნი: ქართველი ის გიორგი ქუთაისელია, რომლის მემატიაჲსეულ დახასიათებას უკვე გავცანით; ქართველი ის იოანე პეტრიწია, გელათის აკადემიაში ახალგაზრდებს რომ ზრდის და გულში სამშობლოს სიყვარულს უნთებს; ქართველი თავად არის სამშობლოს ბედზე მზრუნველი და დაფიქრებული; ქართველები ის ბიჭები არიან, მამულს მკერდით რომ იცავენ და სამშობლოს გმირულად ეწირებიან, ის ბიჭები, მხრებით რომ ამოვიდეს უშველემელი ლოდეტი გელათის კედლების ამოსაყვანად, ქვეყნის დოვლათს რომ ქმნიან, მშობლიურ კულტურას რომ ემსახურებიან... აი, ესენი არიან ქართველები, და ეს თვითონვე ძალიან კარგად იცის მემატიაჲნი. ეს რომ არა სცოდნობდა, არც ამ შესანიშნავ მატიაჲს დაგვიტოვებდა. ხოლო აქ რომ ასე მოიხსენიებს ქართველებს, ეს ორატორული ხერხია, სწორედ იმის ნიშანი, რომ მემატიაჲნი ვიღაცას ეკამათება და ეუბნება: ასეთი ხალხი ვართ, ჩვენივე მამას არა ვცემთ პატივს, ჩვენივე ღირსეული მამულიშვილი სათანადოდ ვერ დაგვიფასებიაო. ეს ძალიან გავრცელებული ფორმაა კამათისა, იმის წინათაც ბევრჯერ უთქვამთ ალბათ ასე...

მემატიაჲნი კი განაგრძობს...

და ახლა უკვე კონკრეტული მისამართიც გამოიყვითა. ხოლო რაკი კონკრეტული ადრესანტი გაჩნდა, პოლემიკამაც მტდი სიმწვავე შეიძინა.

ეს „მბრალბუნნი“ (ანუ გამკიცხველნი, ბრალმდებელნი) ჯერ ხომ მას უსაყვედურებდნენ დავითს — სულ ლაშქარი და ლაშქარი, აღარ შეიძლება ამდენი გაჭირვება (თითქონს აღმუშენებლის კაპრიზები ყოფილიყოს ის ლაშქარი და ის გაჭირვებაც — მისი ბრალის),

ამდენი თმენა!... მოხვენება აღარ არის, სიძვირე კი ვერ უძლებს ამდენ დაჰიმვასაო; ახლა უკვე ველარ მოუწოვია და პირდაპირ უთქვამთ: რაც სინამდვილეში აწუხებდათ. და ახლა, სხვა-სა ბრალბუნსა შემოიღებენ მეტყუელნი ესრეთ: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმე, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაადამღისო“...

აი, რა აწუხებთ იმ მბრალბუნთ! რას უყიენებენ დავითს დიდებულები რად დაამდაბლეს და უღირის ხალხი რად დაამდაბლო? ტენდენციურობასა სწამებენ და ამით მეფისადმი მტრობისა და სიძულელიის ნამდვილ მიზეზს ამუღანებენ. ჩვენ ხომ ვიცით: თანამდებობისათვის შეუფერებელი დიდგვაროვანი აზნაურები მართლა დაამდაბლა და გააძევა დავითმა, და ღირსეულინი აამაღლა... აი, რა აწუხებთ, რა შთა უღრდნით გულის მბრალბუნებო... და რაკი ამხილა ისინი მემატიაჲნი, რაკი ჩვენს დასანახად ნიღაბი ჩამოგლიჯა, უკვე პირდაპირ მმართავს მათ და არცხვენს: „ემა, უსამართლობასა, შოი, უგუნურებასა! ამისთვის აბრალდება, რამეთუ კაცი მიწისაგან ღმერთსა ემსგავსა რომლითაცა საქმითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან, შოი, კაცო?! (დააკვირდით, რა ცოცხლად და ფლერს: თითქოს აგერ ვხედავდეთ და გვეხმოდეს კიდევ, როგორ არცხვენს!) ამისთვის რად არა ღმერთსაც აბრალბენ, უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა?... უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი, ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა, უღირსთა, აღიდნეს, რა უსამართლო ქმნა?... უხმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ, თავთა თვისთა აბრალბუნენ“...

პოლემიკა, რა თქმა უნდა, პირობით ვახსენეთ — ზოგადად უფრო, ვიდრე პირდაპირ და კონკრეტულად. ქვიანი კაცია მემატიაჲნი. იცის, რომ ყოველი მეფის მოქმედება შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, თაობათა შეფასების, განსჯის, პოლემიკის საგანი უნდა გახდეს... და ახლა, გარდა იმისა, რომ იმ კონკრეტულად ნაგულისხმევ და უკვე მისგანვე ნიღაბამოგლევილ მოწინააღმდეგეებს ეღავება და ეკამათება, იგი მომდევნო თაობათა ცხარე პოლემიკაში ფრევა.

დავაკვირდეთ ერთ ძალიან საყურადღებო ფაქტს.

დავით აღმუშენებელმა მამინ დადმოიყვანა უიჩაყები, როცა თითქმის მთელი ქვეყანა — გარდა თბილისისა — სელარუკ დამპყრობისგან გათავისუფლებული იყო: საქართველო მან ადგილობრივი ძალებით, ქართველთაგან შემდგარი ლაშქრით გაათავისუფლა. ეს, ეტყობა შემთხვევით არ მომხდარა. ამის შემდეგაც, განსაკუთრებით პრინციპულ და გადამწყვეტ

მხატვარის ცხრამდობის ძველიაჲნი

ბრძოლებში მეფე ცდილობს უმთავრესად საკუთარ ძალებს დაეყრდნოს. ქართველი მეომრები აომოს. ამის თავისი საფუძველი და გამართლება აქვს. გარდა სხვა ბრინციული მნიშვნელობის საკითხებისა, რაც თავისთავად იგულისხმება, დავითი ალბათ დამპყრობთა მიერ უკვე აოხრებულ სოფლებში ზედმეტ თარეხსაც მოერიდა: ორი უცხო ლაშქრის შებმა საკუთარ ტერიტორიაზე სულ ვანადგურებდა იმ კუთხეებს, სადაც ეს ბრძოლები ხდებოდა; მტრისაგან პირველ დარბევას თუ გადაურჩა, რამ, იმასაც ერთიანად მოსაზრდა, მშვიდობიანი და უმწურო მოსახლეობის მსხვერპლიც შეტი იქნებოდა... ბუნებრივია, ქართველი მეომრები უფროს ფრთხილად იმოქმედებდნენ საკუთარ მიწა-წყალზე.

ამრიგად 1120 წლისათვის ქართველ მეფეს უკვე მზადა ჰყავდა საომრად ახალი დიდი ლაშქარი... და იწყება განუწყვეტელი ბრძოლები — ამჟამად უკვე თურქ-სელჩუკ დამპყრობთაგან საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიის განსათავისუფლებლად.

დადგა თუ არა 1120 წელი და ზამთრის სიციფეები დაიჭირა...

ეს ის დროა, როცა სელჩუკებს თავადაც უძინელებათ ბრძოლა და თან ჰგონიათ, ამნაირ სიტუაციაში ქართველებიც თავს აარბებენ ომსა...

ერთი სიტყვით, დადგა თუ არა 1120 წელი, დავითმა ძველი ეშმაკობა გაიხსენა — „გარდავიდა გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულქურობილ ყვნა ივინი“ (გული გაუმაგრაო, არც თუ უირონოდ შენიშნავს მემატიანი) — იმერეთში გადასულა, ჭრ გეგუთი მოუწახულებია, იქიდან საზღვაო ქალაქ ხუფათისთვისაც დაუხებდავს; დარწმუნებული იქნებ არც იყო, ისე თუ წამოეგებოდნენ თურქები ამ შარტივი ხერხის აწყენე, მაგრამ ნაგულისხმევი კი ესეც ჰქონდა — თუ მოტყუებდნენ და ჩამოედოდადნენ „საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა“, მხედრობა გამწადებული ჰყავდა...

ღმერთმა ისე ყველაფერი კარგი აგისრულოთ: გადავიდა თუ არა მეფე გეგუთს, „ცნეს და სიწორე მისი“, თურქები ხელაღვი ჩამოვიდნენ და „ჩამოღვენ ბოტორას“, ანუ ბურტიას და არხეინად დაიწამორეს; თანაც ცოტა კი არა — „დიდნი ფრიალო“ — ბევრნი ყოფილან...

დავითი შორიდან გაფაციცებით ადევნებდა თვალს. დაბანაკება კი აცალა მტერს და მასივად დაიძრა — „გარდამოიფრინავო“, მემატიანი წერს — და ისე მოულოდნელად დაესხა თავს, რომ თურქებმა განძრევაც ვეღარ მოახერხეს; ვინც მოასწრო ცხენს მოხტომოდა და გაეჭუსლა, ის კი გადარჩა, მგონი, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ, დანარჩენებს მუსლი

გავლენს, „აღიღენ ტყუე და ალაფი ურიცხვი“..

ეს იყო 1120 წლის 14 თებერვალს რაკი ძალიან იოლ გამარჯვებას მიაღწიეს და დიდი მსხვერპლი არ გაუღიათ, თან რაკი ლაშქარი საომრად იყო გამწადებული და განწყობილი, მეფემ გადაწყვიტა, შეტევა გაეგრძელებინა. აქედან შირვანში გაილაშქრა — „აილო შარვანს ქალაქი ყაბალა და ადავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა“.

გამარჯვებით ფრთაშესხმულ ლაშქარს ბევრი დასვენება კი აღარ სჭირდება. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ მაისის დასწყისში (7 მაისს) ქართულმა მხედრობამ ისევ გაილაშქრა შირვანსაკენ, „არბია ლუთითა, ვიღრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე“.

ამ ადგილებს კავკასიონის მთების სამხრეთ კალთებზე ვარაუდობენ მკვლევარები.

დაკვირდით, როგორ გაანშირა დავით აღმაშენებელმა შირვანსაკენ ლაშქრობა აქ თურქებს მტკიცე დასაყრდენი აქვთ და, აშკარაა, მეფეს გადაუწყვეტია ეს მყარი პლაცდარმი მოსულს.

და ამ დროს შირვანში დიდი ამბავი მოხდა — ცტკობა, ქართველი მეფის მონაწილეობით, მკვლევარები შენიშნავენ: „მათვე დღეთა (ესე იგი, იმ ხანებში, როცა ქართველებმა შირვანიც კენ გაილაშქრეს), შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიღონ, და მოსწყვიდნენ შარვანელი... დარუბანდელებს შირვანში აფრიღონი მოუხლავთ, რომელიც თურქული ორიენტაციისა იყო...“

და ამიერიდან შირვანი უკვე სელჩუკების წინააღმდეგ გამოდის ის დიდად მნიშვნელოვანი იყო.

იმავ 1120 წლის შემოდგომაზე დავით აღმაშენებლის ლაშქარს უკვე სამხრეთით ვხედავთ: „რუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნისს, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა, და წარმოიღო ნატყუენავი მათი ურიცხვი“.

საინტერესო ის არის, რომ იქიდან შენიცკენ გამოზრუნებული, გზად კვლავ დასხმია თავს თურქებს და ერთიანად მოუსრავს: „ჩამოვლო მგზავრ, დაესხა სევეგლამეს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტიარლი კარავთა მათთა“... (გზად გამოვლენლამო!... არც ამ სიტყვებს აკლავ ირონიას ცოცხალი ემოციები ჭვრაც არ დამცხრალა, და ამითაც კი ჩანს, რომ დავითის ბრძოლებისა და მოღვაწეობის უშუალო მონაწილეს დაუწერია ეს თხზულება).

შეხედეთ, ამ ერთ წელიწადში რამდენი ომი გადაუღოდა და რამდენი გამარჯვება უხეიმა ქართველთა ლაშქარს. ამ ბრძოლებს რომ ჩამოთვლის, მემატიანე დაუფარავი ხიამაყით (თითქოს ნიშნისმოგებითაც კი) შენიშნავს: „ესე ერთისა წლისაო!“

ჩვენ ხომ ვიცით, რომ დავით აღმაშენებლის მთავარი ამოცანა იყო, საქართველოდან და შერეული მახლობელი აღმოსავლეთიდან თურქ-სელჩუკების განდევნა და მათი ძლიერების თანდათანობით გატეხვა, უცხოელ დამპყრობთაგან ქვეყნის გათავისუფლება და ამ თავისუფლების შეტაკივად ამკვიდრება. სწორედ ამიტომ სჭირდებოდა მას კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი დიდი ლაშქარი. ამიტომვე არ არის გასაკვირი ქართველთა მხედრობის განსირებული თავდასხმები მტერზე.

და მაინც, ერთი წლის განმავლობაში ასე დაუნიებელი ვადამულ ბრძოლებს რომ ვაადვენებ თვალს, ვიღაც უფრო კონკრეტული მიზეზი და სასულტელი მოუძებნო. შოთა მეხსია თავის წიგნში დაამატებულ ვარაუდს ვვთავაზობს.

ჭერ ის გავისხენოთ, რომ იმ ხანებში, 1118 წლიდან მოკიდებული, თურქებმა განსაკუთრებით ვაამლიერტეს შეტევებმა ჭვაროსნების წინააღმდეგ და მძიმე დღეში ჩააგდეს ისინი: ზედმედ ზემოზონდენ გამარჯვებას დასავლეთით, არაერთი განთქმული ევროპელი რაინდი და სარდალი დაიღუპა თურქებთან ნელჩართულ ბრძოლებში, არაერთი რაინდი და სარდალი ტყვედ ჩაყარდა. ჭვაროსნები შევლას საქიროვდნენ.

თუ აღმოსავლეთითაც ვაქტიურდებოდა თურქების წინააღმდეგ შეტევები, ჭვაროსნების მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, შემსლუბუქდებოდა და ამით, თავისთავად, საერთო მიზნის — თურქთა ძლიერების გატეხსა და დასუსტებას საქმეც დაიქარდებოდა. მკვლევარებს სარწმუნოდ მიაჩნიათ სხვადასხვა წყაროს მიერ ზოგადად ვამოაქმული ცნობები დავით აღმაშენებლისა და ჭვაროსანთა ურთიერთობა-მოკავშირეობის შესახებ.

ახლა კი ვავისხენოთ უფრო კონკრეტული ცნობა, რომელსაც შეხანაშნავი ქართული წიგნის „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი ვადმოგვცემს.

მას შემდეგ, რაც ჭვაროსნებმა იერუსალიმი ააღეს, იქ თავისი მეფე ჰყავდათ ხოლმე. 1119 წლიდან — ესე იგი, სწორედ იმ მძიმე დროს, როდესაც თურქები ვაქტიურდნენ და ვაამლიერტეს ჭვაროსნების წინააღმდეგ შეტევა — იერუსალიმის მეფეა ბაღდადის მეორე. აქვე შევხვდებით, რომ ცოტა უფრო მოგვიანებით ამ ბაღდადისნაც ვაქვამა ბედმა ტყვეობის სიმწარე...

მანამდე კი, — ალბათ იმავე ხანებში, როცა იგი სამეფო ტახტზე ავიდა, — იერუსალიმის მეფე ბაღდადის მეორეს ჩვენ ქართველი მეფის სახასილგო ვხვდებით. ასეთია ცნობა, რომელსაც, უცხოურ წყაროებზე დურდნობით იოანე ბატონიშვილი ვაწვდის. იერუსალიმის მეფის ვიზიტი ხაიდუმლო უყოლილა — საქართველოს სამეფო კარზეც კი უყვლას არ ვაუვია — ესე ბაღდადის მოვიდა იდუმალ ქართლსა

შინა მოთხრობისხებერ სხვათა ისტორიებთა ვადმოგვცემს ქართველი მეფე რაღა შენიშნავს: „ვერა რომელთავე ქართველთა სცენს ამათი იდუმალი მოსვლითა“

ამრიგად, ბაღდადის ვიზიტი ხაიდუმლო იყო; ამასთან, მოკლე და საქმიანი. და თუმცა ჩვენ არ მოგვემოვება წყარო, რომელიც ვადმოგვცემდეს ქართველი მეფის დავით აღმაშენებლისა და მეფე ბაღდადის მეორის მოლაპარაკებას შინაარსს, მნელა სულაც არ არის იმისი ვარაუდი, რაზე ილაპარაკეს მათ.

საუბარი, რაღა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას შეეხებოდა. ხოლო იმ ისტორიული ფაქტების მიხედვით, რაც მათ შეხვედრას მოჰყვა; არც იმის ვარაუდიცა მნელი, თუ რა შეთანხმებას მიაღწიეს.

საქართველო უყვე ძლიერი ქვეყანა იყო, დავით აღმაშენებელი და ქართველთა ლაშქარი შიშის ზარს ვახდა მტრისათვის. ქართველმა მეფემ აღუთქვა ბაღდადის, რომ იგი კიდევ უფრო ვაანზიერებდა და ვაამლიერტებდა მტრის წინააღმდეგ შეტევებს, და ამით საქმეს ვაუადვილებდა ჭვაროსნებს დასავლეთით.

ჩვენ უყვე ვნახეთ, რომ ქართველმა მეფემ პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება.

ამასთან დავავიზიტი ერთ საკითხზე უნ. და შევაჩეროთ მკითხველის უურადღება:

როგორც ვნახეთ, თურქ-სელჩუკებს ებრძვიან დასავლეთით ჭვაროსნები და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა აქვთ ვამართული ქართველებს. მტერი საერთო იყო, მაგრამ ჩვენი ხალხის ბრძოლას სულ სხვა სასიათი და მიზნები ჰქონდა. ზემოთ ჩვენ ვნახეთ ჭვაროსანთა ბრძოლების ნამდვილი მიზნები. მათგან ვანსხვაებით, ქართველები ებრძოდნენ დამპყრობლებს, თავიანთ მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერს, რომელმაც მშვიდობიანი ცხოვრება დაურღვია, მეურნეობა დაუუნვრია, ქალაქები და სოფლები დაუქცია, ხალხი ვაუვლიტა... ეს ბრძოლა რელიგიური ფანატისმის ნიშნით არ წარმოებდა, ქართველები მუსულმანებს როგორც სხვა რჯულისა და რწმენის ხალხს კი არ უპირისპირდებოდნენ, არამედ როგორც დამპყრობლებს. მამპადაღური სამყაროთი ვარემოცულ საქართველოს არ შეიძლებოდა მშვიდობიანი ვკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა არა ჰქონოდა ამ სამყაროსთან; ანუ ასეთი ურთიერთობის დამყარებას არა ცდილიყო, როცა კი მტერს თავისი მიწა-წყლიდან ვანდევნიდა. აი, რითი აისხნება იმ ხანებში მოჭრილ ქართულ მონეტებზე არაბული წარწერები: ზემოთაც იქვეა, ესეც აშკარად მოგვიანშეებს, რომ ჩვენს ქვეყანას სავაჭ-

მასტანგ მელიძე  
ქართლის ცხოვრების ძრონიკები

რო ურთიერთობა ჰქონდა მამადიანურ სამყაროებთან.

ერთი სიტყვით, უსათუოდ უნდა განეხილავოთ მიწნები და ხასიათი ჩვენი ხალხის განმავითვისებულნი ბრძოლები და ჭვარცხანთა ლაშქრობებისაგან.

ქართველთა ლაშქრის შეტევები გრძელდებოდა. ჩვენ უკვე ვახსენეთ 1120 წლის მიწურულს გადახდილი ბრძოლები. იმავე ზამთარს — ესე იგი, ეს უნდა ყოფილიყო ან 1120 წლის დეკემბერს ან 1121 წლის დანაწყისში — დავითი აფხაზეთს გადავიდა. ეტყობა, იქაური დიდებულები გადაუდგნენ და საჭირო გახდა მათი „წურთნა“. სწორედ ასე გადმოგვიცმის მემატაიანე: „...განავო საქმენი მინდაურნი... შემოიღრენი დიდაჟრა და წურთინაო“ („შემოიღრენი სტანჯნაო“, ვახუშტი ბატონიშვილი წერს).

ამჟერად თურქთა „ჩამოსატყუებლად“ არ წახლდა მეფე, როგორც ვნახეთ, სერიოზული საშინაო საქმეები გასჩენია. მაგრამ საოცარია — ვერაღა ვერ ისწავლეს სელჩუკებმა ჭკუა: აღმათ დიდი თოვლის იმედით (მკაცრი ზამთარი ყოფილა, ლიხის გადასასვლელზე სამი მხარი — ესე იგი, 5 მეტრამდე — თოვლი იდოო) ისევ „გულდებით ჩამოადგეს პირსა მტკუარისა-სა“! ეგვრად, ახლა მაინც ვერ გაიმოლახავს მეფე მთებსო. ვაფაფულამდე იმ იმედი ჰქონდათ, მოვეშჯადებით, გვეშჯადებოთო... კაცი იმედით ცოცხლობს.

მაგრამ ამჟერადაც გაწირული გამოდგამტარის იმედი. თოვლმაც ვერ დააკავა მეფე: „წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა“...

და არ იკითხავთ, როგორ გამოაღწია იმსიღრმე თოვლში?... ხალხი გამოიყვანა და გააკვალვინა თოვლი — „გარდათბრნიდა მთა ლიხისაო“, შემადიანე წერს, ზღოლი სიმაღლე „გარდასაკუთსა“ თოვლს სამი მხარი ჰქონდაო... ეს სათქმელად არის ადვილი სუთი მეტრი სიღრმის თოვლში გზის გაკვალვას (მიუვალ მთებსო, იმ საშინელ ზამთარში) ეხუმრებით! თანაც, რა გზის — მთელი ლიხის გადასასვლელისა! ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა არა-ადამიანური შრომა დასჭირდებოდა!

მტკიცე კაცი იყო დავით აღმაშენებელი, მტერზე გამარჯვების საქმეს ყველაფერს ანაცვალებდა. ამას მეორე მხარეც ჰქონდა — კარგად იცოდა, რომ მარტო ეს ფაქტიც კი — იმ ზამთარში ლიხის მთის გადალახვისა—საშინელი შიშის ზარი იყო მტრისათვის და ერთ დიდ გამარჯვებას უღრბოდა.

ამის შემდეგ მკითხველისათვის უკვე მოულოდნელი აღარ იქნება, რომ ქართველთა ლაშქარი თავს დაესხა „საზამთროდ ჩამომდგარ“ თურქებს ხუნანში — „აღავსო ლაშქარმან მითთ მტკურამდე და გავთო ბერდუქამდე“ — და ისე გაუღიტეს ურცხვი მტერი, რომ ამის წა-

მღებიც არავინ დარჩა: „არა დაუშთა მფხრობი ამხავისა“.

ეს მომხდარა 1121 წლის მარტში. იოანე ბატონიშვილის ცნობით, სანამ ქართული მხედრობა ხუნანში დაესხოდა თავს თურქ-სელჩუკებს, ჯერ იქვე, ლიხის ძირშივე, სურამშივე, გადაუხდია ბრძოლა. „კალმასობაში“ მოკანილი ცნობა სწორედ ამ ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს: „...შემოიკრიბნა იდუმალ მხედრობანი აფხაზეთა და იმერთა და დანაშთა ქართველთანი დროსა ზამთრისა, და გარდახვეტეს მთაი საფრჩხისა და დაეხსნენ იდუმალ სურამსა მდგომთა თათართა.. აოტნეს და მოსწყვიდნეს“.

ჩვენში ხომ მოკლე ვაფაფული იცის — ერთაშე დაპქერს მზე და ჩამოცეხება, დიდ თოვლობას საშინელი წყალდიდობა მოჰყვა. მდინარეებმა ლამის სულ წალეკეს ყველაფერი. რაღა თქმა უნდა, მტკვარც ადიდდა, კალაპოტში აღარ ეტეოდა, და რომ იტყვიან ხოლმე — მთა და ბარი მოჰქონდა... იმის იმედი, მტკვარს მაინც ვერ გადმოცურავნო, თურქები ამჟერად „ჩადგეს ბარდავს გულდებითა“. ანკი რას წარმოიდგენდნენ, რომ ქართველთა მხედრობა აბოპოქრეტულ ზღვად ქცეულ მდინარეს გადალახავდა! არც ახლა ამატია ეს მტრის მხედრობამ ადიდებული მდინარე გადასცურა და თურქებს დაერია. ეს მომხდარა იენისში.



სანამ გამარჯვებით ფრთაშესხმული ქართული მხედრობა აქ მუსხრს ავლებდა მტერს, იქ, სულთნის კარზე ცოცხა არ იყოს კომიკური სცენა იმართებოდა. თუმცა ყველაფერი პირობითია: ჩვენთვის ჩანს ახლა ეს კომიკური, თორემ იმათთვის, ვინც მაშინ იმ სცენაში მონაწილეობდა, საშინელი ტრაგედია და უბედურება იყო.

ქართველი მემატაიანე ასე გადმოგვიცემს ამ სცენას:

„ესევითართა ქირთაგან შეიწრებულნი თურქმანი და კუალად ვაქარის განძელ-ტფილელ-დამდენი წარვიდეს სულტანსა წინაშე“...

დღეღეგაცია ხლებია სულთანს საჩივრით, თანაც საქაოლ დიდი და ავტორიტეტული დღეღეგაცია — ქართველთაგან შეიწრებულმტ სხვადასხვა კუთხის თურქთა ელჩები და სამი დიდი ქალაქის წარმომადგენლები!

ამ დიდი დღეღეგაციის მისია ადვილი მისახვედრია — ვინც ტყუოდა, ის წყრებოდაო: შენჩივიან სულთანს, ამ დღეში ჩავგავდეს ქართველებმა და ვიღუბებოთ, გვიშველეთო.

და კომიკური მარტო ის კი არ არის, რომ ვთქვათ, თბილისში დაბუდებული გადამთიელი ჩივის — ქართველები ჩვენს ქალაქში არ გვასვენებენ და ჭკუა ასწავლეთ, ჩვენთვის დაგვაყენონ, როდემდე უნდა ვითმინოთ ამდენი უსაქარტლობა და ძალმომრეობაო. კომიკურია, თუ



შეიძლება ასე ითქვას, თვითონ გარეგნული სახე ამ სცენისა: მტერ ეფექტისათვის, უკიდურესი განწირულების გამოსახატავად და სულთანზე შემოქმედების მოსახდენად, დღევანდის წვერებს შავად შეუღლებეთ — ზოგს პირისახე, ზოგს ხედები და ზოგიც თვით ფეხებამდე გამურულა... ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რანაირად უხატავდა თავიანთ სავალალო მდგომარეობას ეს გამურული და შავად შემოსილი, თავზე მიწადაყრილი, აბდავლებული ხალხი სულთანს: „და ესრეთ მიუთხრნეს უკველნი ტირინი, მოწვეწველნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყაღობად თვისა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა“.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამნაირი დღევანდები სხვაგანაც გაუღვანიათ. „უკველსა სპარსეთსაო“ — ესე იგი, სხვა მამალიან მმართველთან. ქართველი მემატიანის ცნობას სომხური და სხვა უცხოური წყაროებიც ადასტურებენ.

კაცმა რომ ითქვას, დღევანდები ანკი რა საქრო იყო: მამალიანური ქვეყნების მესვეურები ისედაც ხედავდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მათ საშეშო მოწინააღმდეგე გამოურჩდათ, ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა საქართველო. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ეს ქვეყანა და შიშის ზარად ევლინებოდა მთელ მამალიანურ სამყაროს.

ასე რომ, მივიდოდა თუ არ მივიდოდა სულთანთან შველის სათხოვნელად შავად გამურული დღევანდები, ამას ალბათ მნიშვნელობა აღარა ჰქონდა — მამალიანური ქვეყნების მესვეურებს ისედაც გადაუწყვიტათ, საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ და ერთხელ და სამოლოდ ესწავლებინათ ტყუა ამ ჯიუტი და დაუმორჩილებელი ხალხისათვის.

ვინ შეერბა ამ ქვეყნების გამგებლები, ან როდის შეიკრიბნენ, სად შეიკრიბნენ და როგორ მოილაპარაკეს, ეს ცნობილი არ არის... ფაქტი ისაა, რომ საფუძვლიანი მოლაპარაკება ჰქონდათ და გადაწყვიტებოდაც მტკიცე და სერიოზული მიიღეს. ალბათ ამ თათბირზე ითქვა და გადაწყდა, რომ ჭვაროსნების წინააღმდეგ მომზადებულნი დიდი შეტევა გარკვეული დროით გადაედროთ და მთელი ძალები აღმოსავლეთისაკენ გადმოეყვანათ, საქართველოს დასალაშქრად. ქართული მხედრობის დამარცხებისა და საქართველოს აღების შემდეგ უფრო გულდამშვიდებით განაგრძობდნენ ბრძოლებს დასავლეთის ფრონტზე. ასევე გადმოგვიცემს ამას ჭვაროსნთა ლაშქრობის მემატიანე გოტიე: მამალიანებს გადაუწყვიტათ — ქართველი მეფის მოსპობის შემდეგ დაუბრკოლებლად შეუვადგებით ანტიოქიის დამარცხებას და ახლა დასავლეთშიაც გავავლებთ ქრისტიანებს მუსრსაო.

მთავარსარდლობა ამ დიდი ლაშქრობისა სა-

ქართველოს წინააღმდეგ დაევალა ნეჩმ-ად-დინ ილღაზს, განთქმულ სარდალს, კაცს „დამანსა და მრავალდონეს“ (ესე იგი, მონეტრებული უოლია და ძლიერიც, მანაიციც) სულთმეფე ტორაკოსის სიტყვით — „წვიადსა და ძლიერსა“; ჭვაროსნთა მებისტორიის დახასიათებით — „გოროსსა და თავგახულს“... შემოთ რომ ვამბობდით, 1119 წლიდან ჭვაროსნებს ძალიან გაუჭირდათ მამალიანების წინააღმდეგ ბრძოლებში, მთავარ დარტყმებს ეს ილღაზი აგემებდა ჭვაროსნებს. სწორედ ამ დროს უწოდეს მას ნეჩმ ად-დინ ანუ სარწმუნოების ვარსკვლავი და მუსლიმანმა პოეტებმა ექნა ზურგისხე „საღვთო ომის მებრძოლს“... ეს აზრები დაწვრილებით აქვს მოთხრობილი თავის წიგნში მკველვარ ქველი ჩხატარაიშვილს.

ამჟამადც სწორედ ილღაზი იყო გამზადებული ანტიოქიაზე ვასალაშქრებულად... მაგრამ როგორც ვნახეთ, ეს დიდი შეტევა გადაიდო. ჭერ საქართველო უნდა აეღოთ და დაემორჩილებინათ.

თუ რა საფუძვლიანად და საგულდაგულოდ მოამზადეს საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება, კარგად შეგვიძლია ვივარაუდოთ ამ კოალიციის შემადგენლობის მიხედვით; ეს იყო მამალიანური სამყაროს დიდი კოალიცია საქართველოს წინააღმდეგ. მემატიანეს მოვუსმინოთ: „სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალაქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სასალარად ელვალი, ძე არღუხისი, კაცი დამანი და მრავალდონე და უბრძანა თურქმანობასა, სადადაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემტლებელსა, ამით თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა“.

დააკვირდით: უბრძანა თურქმანობასა, სადაცა ვინ იყო!... და თანაც, ყოველსა მხედრობადა შემტლებელსაო! ეს იმას ნიშნავს, რომ ქულზე კაცი გაუწვევიათ! ამის შემდეგ ვახკვიარი აღარ უნდა იყოს ის, იმ დროისათვის, ზღაპრული ციფრი საქართველოს წინააღმდეგ წამოსულ მამალიანთა შეერთებული ლაშქრისა, რასაც სომხური და უცხოური წყაროები ასახელებენ.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 600.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი ლაშქარი დამრულა საქართველოსზე. ასეთ ცნობას გვაწვდის შემოთ უკვე ნახსენები გოტიე, ანტიოქიის ომების მემატიანე. მათე ელესიელის ცნობით, მამალიანთა შეერთებული ლაშქარი 560.000 აღწევდა. როგორც ვხედავთ, დიდი განსხვავება არ არის ამ ორ ცნობას შორის... და მკველვარებს გაზვიად-

მანსტანგ ველიძე  
მარტლის ცნობების ძრმნიკაძე

დებულად მიანიათ ეს რიცხვი; ივანე ჯავახი-  
შვილი, მაგალითად, ვარაუდობს, რომ მტრის  
ლაშქარი სამასი ათასი მეომარი იქნებოდა.  
ზუსტი რიცხვის დადგენა ახლა, რა თქმა უნ-  
და, ძალიან ძნელია, მაგრამ ფაქტია — ამას  
ჩვენამდე მოღწეული ყველა ცნობა ადასტუ-  
რებს — რომ მტერმა ურიცხვი ლაშქარი გამო-  
იყვანა...

ჩვენს მეცნიერებს ქართველი მემბრანის  
ზემოთ მოტანილი ცნობა მაშადაღანურ ქვეყა-  
ნათა კოალიციის შემადგენლობის შესახებ,  
შეგრებული აქვთ უცხოურ წყაროებთან. ვფი-  
ქრობ, საინტერესო იქნება გავეცნოთ ამ შე-  
მადგენლობას, როგორც იგი წარმოდგენილი  
აქვს შოთა მესხიას თავის წიგნში.

თვით ილაღი — „სულთნის მიერ ბაღდადის  
გამგებლად დანიშნული, აღუდგლად მიჩნეული  
ციხის მარდინის მფლობელი, აღებოს დამპყ-  
რობი, ხოლო 1121 წლიდან მაიაფარკინის გა-  
მგებელი“.

დურბეჯი — „ქალაქ შილას (მდ ეფერატ-  
ზე). პატრონი... არაბეთის მეფე... აქვეა მო-  
ტანილი ამ დურბეჯის მათე ურბათისეული  
დახაიათება: „კაცი გულადი და მებრძოლი,  
მან დაატყვევა ქალაქი ბაღდადი და სამი ბრძო-  
ლა გადაიხადა სპარსთა სულთანთან — ტუფა-  
თან“... დურბეჯი, სხვათა შორის, ხიძე ყოფილა  
ამ დიდი ლაშქრობის ხარდლის ილაღისა; ლა-  
შქრობის ერთი წლის წინ მისი ქალი შეურათვს  
ცოლად.

თორღულ მოჰამედის ძე — „ყაჯინის, ზენ-  
ჯანის, გილანის და სხვათა, ხოლო 1121-1122  
წლებში არანისა და განძის გამგებელი; სიცოც-  
ხლინ ბოლო სამ წელს სულთანადაც იყო“.

თულად არსლან კუზანი — „თურქი ამირა,  
ბითლისისა და არზანის პატრონი და ქალაქ  
დვინის დამპყრობი“.

განძის ათაბაგი — „უნდა იგულისხმებოდეს  
განძის იმდროინდელი მფლობელია თორღუ-  
ლის ათაბაგი ქენ-თოდლი... განძის ათაბაგი არა  
მარტო თორღულის ლაშქარის უძღვევოდა, არა-  
მედ მას ჰყავდა საკუთარიც“.

„სომხეთის ტერიტორიის წვრილ-წვრილი მა-  
შადაღანი გამგებლები, ამირები“ — ქართველი  
მემბრანის მიერ მოხსენიებული „ყოველთა სო-  
მხითას ამირათა“.

ხედავთ, რა დიდი კოალიცია ყოფილა...

მაგრამ ჭერ არ დავიშთავრებია. „შემოდსა-  
ხელებულთა გარდა, — წერს მკვლევარი, —  
კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა  
მიეღოთ დურბეჯისთან ერთად ამ მიზნით არზ-  
რუმში (ერზერუმში), მოსულთა და დაბანაკე-  
ბულთა: ყუბდ ელმ-ად-იზ-იზნ ჯაბრის, მის  
შვილს, ქალაქ მარდინის ყუბდ აბულ-ფათის და  
ვეზირს აბუ-თამამ-იზნ-აბდუნას“...

სულთანსა და მის თანამზრახველთ მტკიცედ

გადაუწყვეტლივ ერთხელ და სამუდამოდ გაწე-  
ვიტონ და მოხსონ, გაანადგურონ ქართველნი  
ბი. მარათალა, ქართველთა ლაშქარმა ბოლო  
წლებში დიდი გამარჯვება იწიმა, როგორც თ-  
ქვა, შიშის წარის ვახდა მასლობელი აღმოსავლენ-  
თის მაშადაღანური ქვეყნებისა, როგორც სპარს-  
კოც კი იყო ეს გამარჯვება, როცა მაგალითად  
დავით აღმაშენებლის ათას ხუთასი მეომრისა-  
გან შემდგარმა მხედრობამ ხელჩუკების  
100.000-იანი ლაშქარი დაამარცხა, მაგრამ ეს  
მანინ მაშადაღანთა ცალკეული ქვეყნების ლაშ-  
ქრებთან შებმა იყო. ახლა კი, როგორც ვნახეთ,  
სულ სხვა სურათი შეიქნა, ახლა, ამ ქვეყანათა  
შორის შინაგანი წინააღმდეგობების მიუხედა-  
ვად, რაც თავისთავად იგულისხმება, ისინი  
ერთი დროის ქვეშ გაერთიანდნენ, ერთი მიზ-  
ნით არიან შეკავშირებულნი და ძალიან კარგად  
აქვთ შეგნებულნი, რომ ეს გადამწყვეტი ბრძო-  
ლა იქნება.

ან გამარჯვებენ და მასლობელ აღმოსავლენ-  
თში საბოლოოდ გაბატონდებიან, ხოლო ეს უყ-  
ვე, თავისთავად, დასავლეთში, ჯვაროსნებზე გა-  
მარჯვების მეტად მნიშვნელოვანი და საფუძუ-  
ლიანი გარანტია იქნება;

ან, თუ გამარჯვებას ვერ მიაღწიეს, საბოლო-  
ოდ უნდა გამოეთხოვონ აღმოსავლეთში გაბა-  
ტონების გამწარახება და ოცნებას (ხოლო რა-  
მდენად მწარე უნდა იყოს ეს გამოთხოვება  
იმითი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მათ  
უკვე მოპოებული ჰქონდათ ბატონობა და, სა-  
ნამ დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავი-  
დოდა, თავისუფლადაც პარასუბდნენ) და ამ-  
დენად დასავლეთში გამარჯვებაც საძვეოდ გა-  
ინახონ...

თუმცა ამას, ჩვენ ვამბობთ ახლა ასე „ან და  
ანო“ — მათ სათუოდ და საჭოქმანოდ სუ-  
ლაც არ წარმოვიდგინათ საქმე.


ისინი მრისხანე ლაშქრით დაიძრნენ საქარ-  
თველოსკენ და თრიალეთის ქედს უანლოვდ-  
ბიან... მოდიან მტკიცედ, თავდაჭერბულნი, გა-  
ლაღებულნი, მომავალი უძვეელი გამარჯვების  
რწმენით გაამაყებულნი... წინ ვინ უნდა დაუ-  
დგეს — მთელი მაშადაღანური სამყარო დაძ-  
რულა!

ასეთი განწყობილებათა მტრის ლაშქარში.

საქართველოში? საქართველოში რა ხდება?  
ქართული ლაშქარი როგორა ხედება მრისხანე  
მტრის ურიცხვ ჯარს?

საოცარია, რომ დავით აღმაშენებლის ისტო-  
რიკოს ძალიან მოკლედ და თითქოს გაკვირთ  
აქვს ვადმოცემული მაშადაღანთა შეერთებული  
ლაშქრობის ამბავი. დაუჭერბელია, დიდად  
მნიშვნელოვანი ომი ასე ძუნწად აეწეროს. იქ-  
ნად დაიკარგა ეს ადგილები, დროთა ვითარ-  
ებაში თხზულებიდან ამოვარდა და ჩვენამდე  
ვეღარ მოაღწია...

ზემოთ გავეცანით მემბრანის ცნობას მაშა-



დაწოთა შეერთებული ლაშქრის შემადგენლობის შესახებ. ამას უშუალოდ მოსდევს სიტყვები:

„შეკრბნეს ესე უოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმარჯლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქუეყანა, და ავვისტოსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორსა, რომელთა თვით ფერხთა ჴედა ვერ ეტყოდეს ამათ აღგილთა“.

ასე ცოცხლად და შთამბეჭდავად ავციერს მემტკიანე მტრის ლაშქრის მოხვლას. გულდასაწყვეტად ის არის, რომ ქართველთა მზადებას არს გადმოვცემს იგი ასე თვალსაჩინოდ და კონკრეტულად.

„ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და უოველად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა ვანაწყო სპა მისი, და ვითარ უოველი საქმე შეუენიერად და ღონიერად უო, რაბამ (როგორ) რამე წყნარად, უშეფოთვლად და გამოცდილებით და უოველად ბრძნად ვანაგო, და ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებლად, ამათ უოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ უოველთა ბრძნეთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებულ არს მოთხრობად ჴედამიწევნით უოველსავე“.

უცხოურმა წყაროებმა უფრო დეტალური აღწერა შემოგვიანეს. ასეთი წყაროები საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია და სწორედ ამ წყაროებმა მისცეს საშუალება ქართველ მკვლევარებს, სასურველი სიხედალი შეეცოცხლებინათ რვაას ორმოცდაათი წლის წინათ გადახდილი დიდი ომის მთელი სურათი. გარდა წინა თაობათა ქართველი მეცნიერების გამოკვლევებისა, ამ მოვლენას საგანგებო შრომები უძღვენს თანამედროვე მკვლევარებმა. ჴემოთ რამდენჯერვე მოვიხსენიეთ შოთა მესხის წიგნი „ძღველთა საკვირველი“. ეს შრომა, რომელიც დიდგორის ომის რვაასორმოცდამათე წლისთავისადმი მიძღვნილი, სამწუხაროდ ავტორის უკანასკნელი წიგნი გამოდგა: ამავე დიდ თარღს მიძღვნა კიდევ ერთი მშვენიერი წიგნი — ქველი ჩსაბრაიშვილისა და ივანე შაიშველაშვილის „დიდგორის ბრძოლა“. ამ წიგნის ღირსება ის არის, რომ მეცნიერულად შემოწმებული და სხვადასხვა წყაროებთან შეჭერებული ფაქტები ძალიან საინტერესოდ არის მოთხრობილი და, როგორც თქვა, დიდი ომის მთელს ისტორიას გვიცოცხლებს — მის მიზეზებსაც, მომზადებასაც, ბრძოლების ცალკეულ ეპიზოდებსაც, შედეგებსაც და მნიშვნელობასაც.

აქ მოკლედ ვაღმოგვცემთ ბრძოლის ამბავს. ქართველებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა არც ჩვენს ქვეყნის წინააღმდეგ მამადიანური სამყაროს დიდი კოალიციის შექმნისა და და არც გამოლაშქრების კონკრეტული სამზადისის ამბები: უნდა ვთქვათ დავით აღმაშენებელმა მტრის წინასწარი დიდი სამზადისიც

კარგად იცოდა და საქართველოსკენ დაძრული შეერთებული მამადიანური მხედრული მხედრობაც.

მამადიანთა დიდი ლაშქარი რომ თრიალეთს მიუახლოვდა, ქართული მხედრობა უკვე დაბანაკებული იყო და მტრის გამოჩენას ელოდა; მართალი არ იქნება იმისი თქმა, თითქოს, უეჭველი გამარჯვების მოლოდინში ძალიან გულდაშვიდებითა და გულმარხვინად უოფლიოყვნენ ქართველი მეომრები; მაგრამ ალბათ ქვეშაობების არ ვუღალატებთ, თუ ვიტყვით, რომ მტრის ელოდნენ მტაცივ გადაწყვეტილებით: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლათ სამშობლოს თავისუფლების დასაცავად და ან გამარჯვნათ ან იქვე დაწყვეტილიყვნენ.

გოტიე წერს, ბრძოლის წინ დავით მეფემ თავის ჯარს მიმართა: გვიჯობს დავისოცოთ ბროლის ველზე და გაქვევით კი ნუ ვავიქცევითო... და რომ მოვისპოთ გაქვევის საშუალება, ამ ხეობის შესასვლელი (ხეობაში იყო ჩასაფრებული ქართველთა არმიო, იქვე ვაღმოვცემს იგი) ჩვენერგოთ, „ხეთა ხშირი ხორგებით“ შევკრათო...

ეს უცხოელი ისტორიკოსის სიტყვებია. მაგრამ ქართველ მეფე-სარდალს რომ ასეთი მტაცივ გადაწყვეტილება ჰქონდა, ჩვენ არა მარტო უცხოელის სიტყვებით, ან ჴოვადი ვარაუდით, არამედ კონკრეტული ფაქტით შევიძლია დავამტკიცოთ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელს უკვე ჰყავდა უიჯაყების კარგად გაწვრთნილი და საგულდაგულოდ აღჭურვილი ორმოციოთასიანი ჯარი. და როდის უნდა გამოეყენებინა ეს მრისხანე მხედრობა, თუ არა მანიარის განსაცდელის დროს?!

თითქმის ასეთი უნდა იყოს ლოგიკური დასკვნა!

და ერთხელ იქნებ ვაგიკვირდეს კიდევ, როცა გაიგებ, რომ იმ ორმოცდათექვსმეტი ათასიან ლაშქარში, რომელიც ქართველმა მეფემ „ზღვის ქვიშაზე“ ურიცხვად მტრის წინააღმდეგ გამოიყვანა, უიჯაყთა მულმივი ჯარიდან მხოლოდ თხუთმეტი ათასი მეომარი ახლდა. დანარჩენები ქართველები იყვნენ — ორმოცო ათასი ძლიერი და მამაცი, ომში გამოწვრთნილი ვეჯაკიო, სომები მემტკიანე მათე ურბელი ვეაწყებეს.

ქართველ მეფე-სარდალს კარგად ჰქონდა ვათვალისწინებული, რომ ეს იყო დიდი პრინციპული მნიშვნელობის, სამკვდრო-სასაცოცლო ბრძოლა და ომს მხოლოდ ის მეომრები მოიგებდნენ, რომლებიც საკუთარ ღირსებასა და თავისუფლებას, საკუთარ ოჯახს, წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწა-

პანტანო ველიძე  
პარტლის ცნობების ძრონიკები

წყალს იცავდნენ... მხოლოდ ასეთი ხალხი იბრძოლებდა იმ ჭეშმარიტად გმირული სულიწკვეთებით — ან გამარჯვება ან სამშობლოს ხსნა და სიკვდილილი!

უივჩაყთა მუღმივი ჭარიდან მხოლოდ თხუთმეტი ათასი მეომარი შეარჩია დავით აღმაშენებელმა, რჩეული ვაჟაკები, ისეთები, ვისაც ნამდვილად მიენდობოდა. უფრო მეტი უცხოელებს გამოყვანა სარიხკოდ მიიჩნია.

ჩვენ რომ ქართველთა ორმოცდათექვსმეტი ათასიანი ლაშქარი ვახსენებთ, ეს მათე ურბაელების ცნობაა და, ფაქტიურად, 56.000 არც კი გამოდის. ორმოცი ათას ქართველსა და თხუთმეტი ათას უივჩაყს გარდა, ქართველ მეფეს გამოუყვანია კიდევ სუთანის მეომარი „სალანა ტომისა“... და ასი „ურანგები“... თქვენ ალბათ უკვე ხვდებით, რომ ეს „ურანგები“ — ევროპელი ჭვაროსნები იყვნენ.

ასი უცხოელი მეომრის მიმატება, რაღა თქმა უნდა, არაფერს შეცვლიდა: ორმოცდათხუთმეტი ათასიანი ლაშქარს ამით არც შემეტებოდა რამე და არც დააკლებოდა. თითქოს სათქმელადაც კი არა ღირს. მაგრამ ამ ფაქტს უსათუოდ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა — სიმბოლურიცა და უფრო არსებითიც. ჭერ ერთი, ამით ხაზი იწმებოდა ჭვაროსნებისა და ქართველების მოკავშირეობას, რასაც, თავისთავად, დიდი შთაგონების ძალა ექნებოდა საკუთარი ჭარის გასამხნეველადაც და მტრის დასაშინებლადაც; და აქედანვე გამომდინარე, ეს ერთგვარი კონკრეტული სამხედრო ეშმაკობაც იყო: მტერი მარტო სიმბოლურად კი არ აღიქვამდა ჭვაროსანთა მოკავშირეობას, ქართველი მეფე ალბათ ისე განაღვებდა ამ პატარა რაშმს, რომ მოწინააღმდეგეს მოჩვენებოდა, თითქოს ჭვაროსანთა დიდი ლაშქარი იქვე ჰყოლოდეთ და მხმარებდა და ომის მონაწილედ.

ესეც იქნებ ბალღუნის საქართველოში ყოფნის დროს გადაწყვიტეს.

ერთი სიტყვით, ამ ლაშქრით იღვა მეფე „ერთ ხეობაში... ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში“... შემოთ ნახსენებ წიგნში დაზუსტებულია ეს ხეობაც, სადაც ქართველთა ლაშქარი იღვა, და მტრის განლაგების ადგილებიც; ბრძოლების სავარაუდებელი ასპარეზიც... ერთ-ერთი ავტორი ამ წიგნისა თავად მხედართმთავარია და ცოცხლად განგვაცდევინებს დიდი ომის სურათს.

შემოთ ჩვენ ერთი უცხოელი მემბტანის ცნობა ვახსენებთ — ქართველთა ლაშქარი ორი მთის შუა განლაგდა. დავით აღმაშენებელს, როგორც მოსალოდნელი იყო, შვილიც ხლებია ომში, უკვე გამოცდილი და სახელოვანი სარდალი დემეტრე; და ლაშქრის ერთი ნაწილი დემეტრეს სარდლობით სწორედ ერთ-ერთ მთაზე ყოფილა დაბანაკებული — „აქედან აპარებდა მტერს მყოლოდნელ თავდასხმას“.

ერთი სიტყვით, 1121 წლის 12 აგვისტოს (58 დღეს ვარაუდობენ დიდგორის ბრძოლას) მანგლისის მახლობლად, დიდგორის მისადგომთან ერთმანეთის პირისპირ იდგნოდნენ ლაშქარი და ბრძოლის დაწყებას ელოდა...

შორიდან თვალის შევლებითაც ადვილად შეამჩნევთ, რომ ეს ორი ლაშქარი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ერთ მხარეს ჩამიჩუმე არ ისმის.

ეს დამხვდურია, ქართველთა ლაშქარი.

შორიდან მოსული კი უფრო გალალბული ჩანს, თითქოს უფრო თავდაჭერებულიც, უფრო ხმაურიანიც... ისეთი შთაბეჭდილება დგარჩებათ, თითქოს სულწასულობას ვერ მორევიან და მომავლი ბრწყინვალე გამარჯვების სიხარულით წინასწარ ტკბებიანო... სანამ მშვილდებს მოწინადადენ და ისრებს ასხლეტდენ, ჭერ მუქარისა და უკადრისი გინების სიტყვებს ისერიან მოწინააღმდეგისაკენ; ვერ მოუსვენიათ, აღტაცებულები არიან და როგორც ასეთ შემთხვევაში მუდამ ხდება ხოლმე, მხედრების განწყობილება ცუხენსაც გადასდებია, ლაგამდაქერილები ერთ ადგილზე ტრიალებენ, უაღუფე დგებიან, ჰინვინებენ, (გოტიე სწორედ ასე გვიხახიაოებს ამ ლაშქარსა და მის სარდალს: თურქმანთა და არაბთა ურცხვები ჭარი რომ შეტრიაბა, მერე თვალს გადაავლო ლაშქრის სიმრავლეს, უადრესი ამპარტავნობით გაყოყორებულმა).

მაგრამ ყველაზე უფრო თვალში საცემი განსხვავება ის არის, რომ შორიდან მოსულთა ლაშქარი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია — ექვსჯერ, შვიდჯერ აღემატება დამხვდურს... ერთმანეთის პირისპირ იდგნენო. ამას პირობით თუ იტყვი, თორემ მტრის ჭარი მთელს იმ არემარეს, თრიალეთის ვრცელ ქედს მოსდებია. თვალს ვერ გადააწვდენ.

...ეს არა ჰგავდა ერთბაშად მოვარდნილი მტრის ლაშქარისა და სახელდახელოდ შეტრიაბილ დამხვდურთა შეტაკებას, როცა ბევრი რამ არის გაუთვალისწინებელი და ბრძოლის ბედს ზოგჯერ შემთხვევითი მოვლენა გადაწყვეტს, ასეთი ბრძოლებიც გადაუხდიათ ამ ორ მოწინააღმდეგეს. ჩვენ ეს უკვე ვიცით. ეს ბრძოლა კი გადაწყვეტილი იყო, პრინციპული მნიშვნელობისა, და, როგორც ვნახეთ, დიდი წინსვანავლობაში საკულდაგულოდ მზადდებოდა. მოწინააღმდეგე სარდლებს დროც ბევრი ჰქონდათ და წინა ბრძოლების გამოცდილებაც (თუმცა ისინი პირისპირ, ეტყობა, ჭერ არ შეხვედროდნენ ერთმანეთს), ყველაფერი კარგად აეწონდა-დაეწონათ და გაუთვალისწინებიათ. როგორც იტყვიან ხოლმე, შემთხვევითობა აქ თითქმის გამორიცხული იყო — შედეგი უსათუოდ კანონზომიერი უნდა ყუფილიყო.

მაგრამ მხოლოდ მოწინააღმდეგეთა რიცხობრივ თანაფარდობას თუ მივიღებთ მხედველო-

ბაში, მაშინ ამ ბრძოლის შედეგი იქნებ კანონსომიერი არ მოეჩვენოს ადამიანს: სწორედ იმ მხარემ გაიმარჯვა, რომელიც რიცხვით ექვსჯერ და კიდევ უფრო მეტჯერაც ნაკლები იყო...

ძველ ქრონიკებში, ზვიბარ გადმოცემებში, მხატვრულ ნაწარმოებებში არც თუ იშვიათად შეხვდებით ცნობას, როცა ქართველთა ლაშქარი რიცხვით გაცილებით უფრო მეტს — ზოგჯერ ლამის ათჯერაც მეტ მტერს ანარცხებს. თითქოს დაუჭერებელია... მტერს იქნებ მართლაც გაწვინდებულნი იყოს ცნობა, მაგრამ, ხშირად იგი სინამდვილეს გადმოგვცემს, და ეს რაღაც საარაკო განსაკუთრებულობით კი არ უნდა ავხსნათ, არამედ საკმაოდ მარტივი და გასაგები მიზეზები აქვს, რომელთაგან ზოგიერთი აქვე შეგვიძლია დავასახელოთ.

გარდა იმისა, რომ გარძელო საუკუნეების განმავლობაში მტრის გარემოცვაში მყოფ ხალხს ტრადიციულად ჩამოუყალიბდა, სისხლსა და ხორცში გაუჭდა მეომრის თვისებები; ვაჟაკობის, გმირობის, თავისუფლებისათვის მამაცური ბრძოლისა და შეუპოვრობის პატივისცემა ხალხურ ლექსებსა და თქმულებებში ადამიანის უპირველეს ღირსებად იყო დასახული და მთელი ისტორიის მანძილზე ამ ლექსებით იღვამდა ბავშვი ვნას, ამ თვისებებს ლამის დღის რძესთან ერთად იწოვდა... ამ მოტივებს გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართველები, უმთავრესად, თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ და როგორც თავისი ქვეყნის, თავისი ოჯახის, ცოლ-შვილის, პატიოსნების, მამაპაპათა ძველების, თავისი ქირანახულის დამცველნი, ბუნებრივია, უფრო გააფთრებთა და თავგამტეხებით ებრძოდნენ მტერს. ის უპირატესობაც ჰქონდათ, რომ საკუთარ ქვეყანაში ზვიბარად იცოდნენ ყველა ბილიკი და საიდუმლო ხერხელი (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთებში ბრძოლების დროს), თანაც მარჯვედ შეერჩეულ ადგილებზე წინასწარ აგებულ ციხეებში გამაგრდებოდნენ ხოლმე; ამას გარდა, თუკი არჩევანი მათზე იქნებოდა, ცდილობდნენ ისეთ ადგილზე შებოლოდნენ მოწინააღმდეგეს, სადაც მტრის სიჭარბე ფუჭი იქნებოდა, მოწინააღმდეგის ლაშქარი ვერ გაიშლებოდა და ბრძოლის დროს, ფაქტიურად, ერთი ერთზე მორდობდა.

ახლაც ასე მოხდა. ახლაც ვერ მოახერხა მტერმა თავისი ძალების გაშლა და დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. პირაქით, მოწინავე მოლაშქრეთა ზურგში მოზღვავებულმა მეომრებმა პანიკის გავრცელების შეუწყვეტი ხელი და საშინელი არე-დარევა გამოიწვიეს... პანიკამ კი თითქმის ბრძოლის დაწყებისთანავე მოიცვა მტერი. საერთოდ, ძალიან მალე დამთავრდა ყველაფერი. რამდენი ხნისა და როგორი მზადება ჰქონდათ ამ ბრძოლისათ-

ვის, და ქართველი მემბრატანის ცნობით, სამი ოდენ საათში კი გადაწყდა ბრძოლა. გეგმა ზემოთ ითქვა, ორი მოწინააღმდეგე ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ იდგა და ბრძოლის დაწყებას ელოდა. რომელმა მხარემ დაიწყო შეტევა, ამაზე განსხვავებული აზრი არსებობს. სხვადასხვა წყაროს მიხედვით შემონახული ცნობების მიხედვით, თითქოს ასე უნდა მომხდარიყო:

გაყოფილებულმა და იოდ გამარჯვებაში დარწმუნებულმა სარდალმა, მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის ძალები დაზვერა და შეისწავლა, ბრძოლის გეგმა მოიფიქრა და ამის მიხედვით განაღდა ჯარი. რაზემც მტკიცე საბრძოლო დავალება მისცა, დაარბია...

და აი, თორმეტ აგვისტოს, „ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე მოლაშქრეთა ძლიერი ყიფინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულთა ზარდამცემი ბაიარლებით გამოჩნდნენ... მთა და ბარი ბანს აძლევდა სხვადასხვა საკრავთა ხმაურს“.

ეს არის გოტიეს ცნობა და ქართველი მხედართმთავარი და მკვლევარი ივანე შიშხმელაშვილი ასე აკონკრეტებს ამ ცნობას. ...აქ „მითითებულნი ხეობა უნდა გულისხმობდეს ნიჩბისის წყლის სათავის იმ ღელეს, რომელიც... ქართველთა წინა ზახის ცენტრსა და მარცხენა ნაწილს ჩაუღლიდა. თურქთა პირველი მოძლიების ამ ზოგადად გამოსახულ მიმართულებაში უნდა გამოვლენილიყო მათი მიხვედრება იმ მიწების განხორციელებისადმი, რომელსაც ქართველთა ზურგში გასვლა უნდა მოჰყოლოდა... ქართველთა მარცხენა ფრთას განგებაც რომ დაეწია უკან, ამას უფრო მეტად უნდა დაერწმუნებინა თურქები, რომ ქვეშარბილად სწორ გზაზე იდგნენ. უფრო თამამად უნდა შეტრილი ყვინენ ნატბეური ზეუბნის მიმართულებაზე“.

ამრიგად, ერთი ხაზი გაარღვიეს თურქებმა და გამაურებელი ყიფინით წინ მიიწვიეს. ქართველები იმ ადგილას იქნებ უკანაც იხვიენ ამ დროს, რათა ყალბი წარმოდგენა შეუქმნან მოწინააღმდეგეს... ბრძოლის დასაწყისი, ეტყობა, ქართველი მეფის ჩანაფიქრს ემთხვეოდა, ივანე შიშხმელაშვილი შეინიშნავს.

თურქმანთა ის პირველი გამაურებელი ყიფინა თანდათანობით მიწყდა. მოწინააღმდეგის ბანაკში კვლავ სიჩუმე და სიმშვიდეა (იღვავით მეფე ამდენ სიმხვეცეს მოთმინებით განიცდის და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევეს და ანუგეშებსო“, იქვე წერს გოტიე. ქართველი მემბრატანეც ხომ ამასვე ამბობს: „...წყინარად, უშფოთვლად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძანად განაგო“...).

ბრძოლებში გამოცდილი და გამობრძმედილი

ვსხბანტ ჰელოძე  
მარტალის ცნობების ძველი ნაწილი

მთავარსარდალი მამადიანთა შერტებული მხედრობისა ვაცაციცებით აღდგენებს თვალს მოწინააღმდეგის ლაშქარს. იქნებ ელის კიდევ ქართველთა ცენტრალური ნაწილის შემოტევა...

მაგრამ რაკი ეს არ მოხდა, გადაწყვიტა ახლა ამ ფრონტზეც დაეძრა თავისი ლაშქარი... ამა-სობაში, წინ ვაჭრილი მარცხენა ფრთა უკვე ალუაში მოაქცევდა ქართველებს...

ის-იყო, ილღაზს შეტევის ნიშანი უნდა მიეცა მეწინავე რაზმისათვის, რომ უცნაური, მაგრამ ძალიან სასურველი ამბავი მოხდა: ქართულ მხედრობას ორასი მეომრისაგან შემდგარი რაზმი გამოეყო და სწრაფი ნაბიჯით, მაგრამ აბა საბრძოლო მარშით, თურქმანებისკენ დაიძრა. საოწრად აღჭურვილი იყო ეს რაზმი, მაგრამ იარაღი შემართული არა ჰქონიათ. აშკარად ჩანდა, საბრძოლველად არ მოდიოდნენ. უცნაური სწორედ ის იყო, რომ ჭერ ძირითადი შეტევა არ დაეწყო და მოწინააღმდეგე უკვე ნებდებოდა!

ომა რომ მოიგებდა, ამის ეჭვი ალბათ არცა ჰქონია თურქმანთა მთავარსარდალს, მაგრამ ბრძოლის დაწყებამდე თუ გატყდებოდა მორალურად მოწინააღმდეგის სახელგანთქმული ლაშქარი, ამისი წარმოდგენა ძნელი იყო და მამადიანს სარდალიცა და მისი მეომრებიც სახტად ღარჩნენ, დაიბნენ კიდევ.

ადამიანის ცნობიერება ტალღებად აღიქვამს ხოლმე მოვლენას. იმ ფაქტის აღქმას, რომ მოწინააღმდეგე მორალურად გატყდა და მეომრების ერთი რაზმი ტყვედ უფარდებდა გამარჯვებულ სარდალს, ედგის სისწრაფით მოჰყვა მეორე ფაქტი: ილღაზი გამოცდილი სარდალი იყო და ხელაღვე იცნო, რომ ქართველ მეომრებთან ერთად, რომელთა ერთცხვი რაზმში აშკარად ტარბობდა, სხვებიც რიგვინ — ყვიჩაყები, ალანები, ჯვაროსნები!...

ყველაფერს წარმოიდგენდა ანტიოქიის ომების გმირი, მაგრამ აქაც თუ შეხვდებოდა ჯვაროსნებს, ეს აღარ ეგონა!

მაგრამ არა თუ სათანადოდ ვაანალიზება, ამ

უცნაური მოვლენის ბოლომდე აღქმაც კი ვერ მოასწრო, რომ მოწინააღმდეგის ლტოლვილთა რაზმი თურქმანების შუა გაყოფით ლაშქარში შეიქცა...

დეიწყო კიდევ... ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. საგანგებოდ შერჩეული ორასი მამაცი მეომარი თურქმანების ლაშქარს დაერია, გონს მოსვლა აღარ აცალეს.

ბუნებრივია თურქმანები შეცბენ, დაიბნენ... დეა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ქართულთა ძირითადი ლაშქრის გამაყრუებელი ყოფინა გაისმა, რასაც ერთბაშად მოჰყვა ცხენების თქარა-თქური, ხმლენის ჭანა-ჭუხი, ისრების გამაყრუებელი ზუზუნი, გმინვა, კვენსა, მწვავე ტკივილისა და სხეულზე თბილი სისხლის შეგრძქება...

უცბე ასეთივე ყოფინა, თქარა-თქური, ისრების ზუზუნი და ხმლენით გაკვეთილი ჰაერის სისინი ქართველთა მეორე ფლანგადანაც წამოვიდა, იმ მეორე მთიდან, სადაც უფლისწულის მხედრობა იდგა...

ძალიან მალე დამთავრდა ყველაფერი...

რამეთუ პირველსა ომსა (ესე იგი, ბრძოლის დაწყებისთანავე) იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა... ეს ქართველი შემატანის სიტყვებია.

მამადიანს ღმერთი შეეწია ქართველებს და შეებნენ თუ არა, თურქთა მთელი ლაშქარი უკუაქციეს, — გვაუწყებს სომეხი ისტორიკოსი.

...ქართველებს რომ ორასი მეომარი გამოეყო, მუსულმანებმა იფიქრეს, ალბათ გვენებდებიანო და უცბე ვეღარაფერი მოისაზრეს... მაგრამ როცა ეს ორასი „ტყვედ ჩავარდნილი“ გააფორებდა დატრიალდა მტრის ზურგში, თურქმანების რაზმები აირია, უჯანმდგომებმა იფიქრეს, დაგმარცხდითო, შეტრიალდნენ და გაიქცნენ. ისე აირია ყველაფერი, რომ ფხვით გადაქილეს ერთმანეთი და ბევრი ასე გაიფლიტა ურჭულლოები (ესე იგი ქართველები, ამას მამადიანი ისტორიკოსი ვაღმარავცემს და იმიტომ არიან მოხსენებული ქართველები ურჭულოებო) — აედევნენ გაქცეულებს. მუხის ავლებდნენ, ვინც ვადარჩა, ტყვედ მიჰყავდათ... — იბნ ალასირის ცნობები ყველაზე უფრო სრული ჩანს.

თვით ილღაზი, თავში დაჭრილი, მცირეოდენი ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, შინ დაბრუნდა ნახევრად მკვდარი, — ეს უკვე გოტიეს სიტყვებია.

...რამეთუ გლუხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყვედ, — ეს სიტყვებიც ქართველ შემატანეს ეკუთვნის.

ამ წყაროების ცნობითვე, რვა დღეს სდებს ქართველებმა გაქცეულ მტერს და გონს მოხვლისა და ძაღლების მოკრების საშუალება არ მისცეს, ქალაქ ანის საზღვრამდე მიჰყვანეს და ერთიანად გაუფლიტეს.

სხვც ის გაიხსენოთ, რომ მტერმა ვერ მოა-

ხერხა თავინი მრავალრიცხოვანი ლაშქრის ვაშლა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველების ჯარი გაცილებით ნაკლები იყო, ბრძოლის დასაწყისში, სანამ მტრის ლაშქარს ბანიკა მოიცავდა, მკლევარების აწრით, მოწინააღმდეგენი თანაბარი ძალით შეგნენ ერთმანეთს.

ბრძოლის ადგილი საგანგებოდ შეარჩია დავით აღმაშენებელმა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუკი ასე არახელსაყრელი იყო ეს ადგილი მტრისთვის, რაღა აქ გაუმართა ბრძოლა ქართველებს? აველო დავითის ლაშქრისთვის ვერძლი, ქვეყნის სიღრმეში შესულიყო და საქართველოს სხვადასხვა კუთხე დატრია, აგონებინა!

ამას ვერ იზამდა მტერი და ეს ქართველმა მეფემ წინასწარ განჭვრიტა. მტრის მთავარი მიზანი ამჟამად ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრის დამარცხება და განადგურება იყო. ეს ლაშქარი დიდ უსიამოვნებას აუწებდა მას, მოხვენებას უფრთხოვდა, საშუალებას არ აძლევდა მთელი ყურადღება დასავლეთის ფრონტზე გადაეტანა, ჯვაროსნების წინააღმდეგ. ქვეყნის დარბევა ახლა არ უოფილა მთავარი, თან ეს სარისკოც იქნებოდა: ქართველთა ლაშქარი შებრუნდებოდა და ალყაში მოქცევადა ქვეყნის სიღრმეში შეხულ მტრის, პარტიზანულ ბრძოლებს გაუმარტავდა, დალაშქრავდა და ვატებდა... დავითსა და მის ლაშქარს სახელი შორს გავარდნოდა, შიშის ზარი გამხდარიყო მტრისათვის.

ამგვარად, ჩვენ რომ წყდან კანონზომიერებაზე ვლაპარაკობდით, ეს გამარჯვება ხაცვებით კანონზომიერი იყო: იმან გამარჯვა, ვინც საკუთარ მშა.წყალსა და ღირსებას იცავდა. ქართველთა სარდლის სახახელოდ კი ისიც უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ვტყუბა, ძალიან მცირე მსხვერპლით მიაღწია ამ დიდ გამარჯვებას.

დიდგორის ასეთ საარაკო და მართლაც ხაკვირველ გამარჯვებას („მღვვი საკვირველი“ უწოდა ამ გამარჯვებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა) უდღესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი ამბებისათვის. ქართველი მხედრობისა და მისი შესანიშნავი სარდლის სახელი ამ გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო შორს გავარდა. საქართველოს სიმტკიცესა და ძლიერებას უკვე მტერიც აღიარებდა და მოყვარევ.

ჩვენ ვიცით, რა სიფრთხილით მოქმედებდა დავითი ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა გათავისუფლების დროს. აგერ, რამდენი ხნის მეფეა, რამდენ სასახელო გამარჯვებას მიაღწია, რა შიშის ზარი გახდა მტრისათვის და ქვეყნის გულის, მისი მშვენიერი დედაქალაქის გათავისუფლება კი ჯერ არ უცდია.

დიდგორის ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა უკვე შესაძლებლად ჩათვალა დედაქალაქის გათავისუფლება. თბილისისათვის ბრძოლა დიდგორის ბრძოლის გაგრძელებააო, მკლევარები წერენ. თბილისის ამირას მოკავშირეები და მხარდამჭერები შემოცლილი მყავდა. თავს აღარავინ გამოიდებდა მის გამოსაქომაგებლად და დასაცავად.

რა მორალურ-პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის გათავისუფლებას, ამის განმეორებას აღარ მოვუყვებით, ეს ისედაც ცხადია. აქ მხოლოდ ის ვაიხსენოთ, რამდენჯერ სცადეს მისი გათავისუფლება დავით აღმაშენებლის წინაპრებმა, და ყოველთვის ამაო!

ერთი სიტყვით დაღვა ფაში საქართველოს მრავალტანჯული დედაქალაქის გათავისუფლებისა. ოთხი საუკუნე ეწამებოდა თბილისი უცხოელთა ტყვეობაში. ადვილი წარმოსადგენია, რა ზღბოდა აქ ამ ოთხი მძიმე საუკუნის განმავლობაში, რა დღეში იქნებოდა დედაქალაქის მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა... მოვუსმინოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: „ქალაქი ტფილისი, ოდეს ჭერეთ არა სრულიად შემოყუენებულ იყო უღელსა ქვეშე მორჩილებიხასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან დავღავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გაცნნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ“.

დააკვირდით ფრანგებს: „თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან“ (უმიზეზოდ უღებდნენ) „ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან“, „ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ“...

ეს ყუვლაფერი მკვიდრ ქრისტიან მოსახლეობას შეეხება.

„ხოლო მეორესა წესსა, — ესე იგი, დიდგორის ბრძოლის ერთი წლის შემდეგ, 1122 წელს — აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველხავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შეილთა თვისთა საჭურქულად და სახლად თვისად საუკუნოდ“.

უბრძოლველად მაინც არ დაუთმია პოლიციები თბილისის ამირას.

როგორც კი დიდგორის ბრძოლიდან გაქცეული მტრის დევნას მორჩა, დავითს ალყა შემოურტყამს თბილისისათვის, მაგრამ ბრძოლა მაშინვე არ დაუწყია. მიზეზი ჩვენთვის გასაგებია: იმ დიდი გამარჯვების შემდეგ მოკავშირედაკარგული და შეფლისიმედწარმთეული ამირას და

პაბტანგ ველნიშ  
პარტილის ცხონებამის ძრონიკაბი

მარცხება არ გაუჭირდებოდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ ზედმეტ სისხლს მოერიდა.

ჩვენ ხომ ვიცით, რა სიფრთხილით მოქმედებდა იგი საკუთარ ქვეყანაში.

გამართა მოლაპარაკება ალყაში მოქცეული ქალაქის უცხოელ მმართველებსა და ქართველ მეფეს შორის.

აღამიანს ისე არაფერი უძნელდებოდა, როგორც იმედთან გამოთხოვება და ეს ფართოდ გავრცელებული ანდაზაც — წყაღწალებული ხავსს ეკიდებოდა — ამ განცდას გამოხატავს. მარტლაც წყაღწალებულის ხავსზე მოქიდებასა ჭკაფდა თბილისის ამირას მამინდელი მდგომარეობა.

მამინც არ ვატყვია, მამინც არ ვაიტყნა იხტიბარი.

ნეტა რისი ან ვისი იმედით?

აკი თვითონვე გახდა მოწმე, რა მწარე მარცხი იგემეს მისმა მოკავშირეებმა — ამაღმეფურთხილებმა, ნაკვებმა და განადგურებულეებმა თავი ძლივს რომ დააღწიეს ტყვეობას... როდის უნდა მოლოწიერებულეყვენ ისინი იმგვარად, რომ თბილისის ამირასათვის ხამხედრო დანაშაულებსა და თუნდაც უბრალო თანაგრძნობის თავი ჰქონოდათ. ძალიან ბუნდოვანი იყო, ასეთი პერსპექტივა... მაგრამ აკი ვთქვით, იმედთან გამოთხოვება ძნელი იყო და თბილისის ამირაც, ალბათ იმ გაურკვეველი მომავლის იმედით, მოლაპარაკებას აჭიანურებდა და არ ტყდებოდა. დიდი უქეულობაც მოუვიდა, რადგან დავით აღმაშენებელი გააბარა... სწორედ ასე წერს ივანე ჯავახიშვილი: „რაკი ტფილისელები გაშმაგებთ მეფეს წინააღმდეგობას უწევდნენ, იგი თურმე ზეჯავრებულ გულზე ჭერ მკაცრად მოაპყრობა“...

უცხოური წყაროების ცნობებით, მართლაც დიდი ხმაკაცრე გამოუჩინია მეფეს. მუსრი გაუვლია დამპყრობთათვის, გაუშლტია... სუთასი კაცი სარებზე ჩამოაცვა და წამებით მოკლაო, ერთი წყარო გადმოგვცემს... გაძარცვა ქალაქი და მისი დიდი ნაწილი ციხესიხს მისცაო, ვკითხულობთ მეორე უცხოურ წყაროში...

მაგრამ ასეთი ხმაკაცრე დიდხანს არ ვაგრძელებულა, პირიქით, მალე დიდი გულმოწყალება გამოუჩინია დავით აღმაშენებელს. რაკაღ ქალაქს დაუფლდა და მტრის წინააღმდეგობა გატყნა, რაკი დედაქალაქის კვლავ დაკარგვის აღარავითარი საშიშროება აღარ იყო, ქართველ მეფეს დიდი გულმოწყალება გამოუმუღავნებია მამამდიანი მოსახლეობის მიმართ: მუსლიმანების უზნებში, ხადაც ალბათ ქრისტიანებაც ცხოვრობდნენ, აკრძალა ღორის ყოლა და დაკვლა, მამამდიანებს თავისუფალი ღოცვისა და ღოცვისათვის მოწოდების უფლება მისცა, მამამდიანების უზანში აუკრძალა შესვლა ქრისტიანებსა და ებრაელებს. მეფე ყოველ პარასკევს თავის შვილთან — დემეტრესთან — ერთად მე-

ჩეთში შედიოდა, ისმენდა ღოცვასა და ყურანის კითხვას... დავილი მისახვედრია, რაკი ამით უფლებებს აძლევდა სარწმუნოებრივი შემწყარებლობის მაგალითს და ტელიგიოზურ მუღლს აძლევდა. „მან ააშენა უცხო კომათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც უღლფახს უნიშნავდა... დავითი უფრო მეტ პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი...“

როგორც ითქვა, ამას უცხოური წყაროები გადმოგვცემს.

თბილისის ზრდილით აღება და შემოერთება იმდენად ძნელი არ იქნებოდა დავით აღმაშენებლისათვის, რამდენადაც ცხოვრების იმწესების აღდგენა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებსა და ქალაქებში იყო დამკვიდრებული და რაც უცხოელთა ოთხასწლიანი ბატონობის დროს, თავისთავად ცხადია, თბილისში შერყვნილი იქნებოდა, ძალიან დიდი და ძნელი ღონისძიებების ჩატარება მოუხდებოდა მეფეს, რათა საქართველოს ძველი დედაქალაქი კვლავ ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ ცენტრად ექცია, კვლავ ქართული ცხოვრების წესი აღედგინა და უკვე ძლიერი და დიდი ქვეყნის მეთაურობა დაეკისრებინა. სამწუხაროდ წყაროებს არ შემოუნახავთ ამ მუშაობისა და ღონისძიებების კონკრეტული ფაქტები, ეს ჩვენ ჭრე-ჭერიობით შეგვიძლია ძალიან ზოგადად წარმოვიდგინოთ. ეს საკითხი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. თუ რა დიდი მუშაობა გასწია დავითმა ამ მხრივ, კარგად ჩანს იმით, რომ შემოერთების შემდეგ მეფის რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადავიდა, საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ თბილისი გახდა; და ამითავე ძალიან თვალსაჩინოდ ჩანს, თუ რა როლი შეასრულა საქართველოს დედაქალაქმა ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მანამდე არსებული აღორძინება-გაფორჩქნის საქმეში.

ბევრჭრე იგემა მტერმა დამარცხების ხმწარე, განსაკუთრებით მწარე იყო დიდგორის მარცხი... მაგრამ დამარცხებასთან შერიგება მამინც ძალიან ძნელი გამოდგა. ქართველი მემბატანე ვვატყობინებს, რომ თბილისის შემოერთების შემდეგ, 1123 წელს, სუფთანს კვლავ გამოულაშქარა შირვანს, შეუპყრია შირვან-შაჰი, (გენსომეხობათ, რომ ეს შირვან-შაჰი ქართველი მეფის მომხრე და მორჩილი იყო), აუღია შამახია და ქართველი მეფისათვის წიგნი მიუწერია: შენ ტყეთა მეფე ხარ და ველზე გამოსვლას ვერ ეღირსებო, გირჩენია ჭეროვანი ძღვენი გამომიგზავნო და ხარაჯა მისადლო...

ქალილი და მუქარა ნამდვილი სულთანური იყო, ოღონდ მერე უმეტესა ვაჟაკობამ და არა სულთანურად მოქცა.

ასეა ხოლმე, ლაჩარსა და დამინებულს უფრო



უქირს მუქარის მოწოდება. რა ვაქცავიც ბრძანებულა, ახლავ ვენახავთ.

ჩვენ კარგად დავრწმუნდით, რომ დავით აღმაშენებელს ამისთანა საქმის გადადება არ უყვარდა. სწრაფად შეკრიბა ლაშქარი („მსწრაფელ ხმა უყო ყოველთა სპათა მისთა“) და 50 000 მეომრით შირვანისაკენ გაემართა.

სულთანმა რომ გაიგო ქართველი მეფე ამოდენა ლაშქრით მოდისო, ხელადვე აიყარა და ქალაქ შამახისაში გამაგრდა. (ნეტა, თავიდან რას ელოდა?) შეშინებულმა და მრავალი დღის შიმშილითა და წყურვილით შეიწრებულმანაჲ აქეთ გამოუვანაჲ ძღვენი ქართველ მეფეს და გზა სთხოვა, გამიშვი, წავალო. „არა სულტანურად“ მოიქცაო, ირონიულად შენიშნავს ქართველი მემბტანე.

სანამ ქართველი მეფის პასუსს მიიღებდა, ძალიან უსიამოვნო ამბავი მიუტანეს: დავით აღმაშენებელს სულთანის დახახმარებლად 4.000 მეომრით წამოსული ათაბაგი რანისა დაემარცხებინა და მთელი მისი ლაშქარი მოესრა...

ამ ცნობამ კიდევ უფრო დააფეთა სულთანი და მისი „არა სულთანური“ მოქმედებაც ახლა იკითხეთ.

ამდგარა და წვირის სადინარი ხვრელით გააბრულა იმავე დამეს.

ეს მოხდა 1128 წელს. ეს თარიღი თქვენ გახსოვთ. სწორედ 1128 წლისაა მეფის ერთი ანდერძი. რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

ამის შემდეგ დავით აღმაშენებელს დიდხანს აღარც უტოცხლია და თითქოს მოახლოებულ სიკვდილსა გრძნობსო, ზედიზედ ილაშქრებს მტრისაგან მეზობელ მხარეების გასათავისუფლებლად; „დავით აღმაშენებელი თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში თითქმის განუწყვეტლივ იომბდა, თითქოს ცდილობდა, რომ საქართველოს სრულიად გაერთიანება და გაძლიერება ხაჩქაროდ დაემთავრებინა“, წერს ივანე ჯავახიშვილი.

ამავე წელს აიღო დავითმა დმანისი. ოლონდ, ეტყობა, ეს მოხდა ზემოთ მოთხრობილ ამბავზე ცოტა უფრო ადრე. ალბათ სწორედ დმანისის აღებამ გაახელა სულთანი, შირვანისკენ გაელაშქრებინა და დავითისათვის ის მუქარის წერილი მოეწერა.

სულთანის სამარცხვინო გაპარვის შემდეგ კი თვესაჲ არ გაუვლია, კვლავ შირვანში გაილაშქრა მეფემ და „აიღო გულისტანნი“... „დაეხსნენ შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვიტეს ქურდნი, ლეკნი... და აღიხუნეს შარვანისა ციხენი დასანნი და ხოჯაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა...“

იმავე წელს „აღიხუნა (აიღო) ციხენი სომხეთისანი: გაგნი, ტერონკალი, ქავანინნი, ნორბედი, მანანგომნი და ტალინქაქარი... წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბახიანნი სპერამდის, და რაცა პოვა თურქ-

მანი, მოსრნა და ტყუფ ყო; ჩამოვლო ბუღთა ყური, და „დაწუნა ოლთისნი, და მრეწინა ჭრისა ალეთსა დიდსა გამარჯუებითა“... „შეზღვირეთსა“

ეს ყველაფერი გაჯაფხულსა და ჯაფხულის დასაწყისში მოხდა.

იმავე 1128 წელს, ავგისტოში (ჯარს ჭერ კიდევ ხეირიანად არ დაესვენაო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს) ქართველ მეფეს ეახლნენ „მწიგნობარნი ანელთა თავდათან და მოახსენეს მოციქმა ქალაქისა“...

მრავალტანჯვაგამოვლილი ანისის გათავისუფლება სთხოვეს მეფეს. ეს თავისთავად იმას ამტკიცებს, რომ დავით აღმაშენებელს კავკასიის ხალხები იმედის თვლით შეჰყურებდნენ და როგორც მხსნელს ისე მიმართავდნენ...

ანისის მმართველი იმ დროს ლაჩარი და გულდელდალი კაცი ყოფილა; სომეხი მენატანისავე ცნობით, ამ უღირს კაცს გადაუწყვეტა დიდებული ქალაქი ანისი მიეყიდნა ქალაქ კარის სელჩუკ ამირასათვის 80.000 დინარად; სანამ ამას გააკეთებდა, გულდელიაჲ ჯვარი ჩამოახსენებია და ზედ ზღათიდან საგანგებოდ მოტანილი ვერცხლისაგან გამოქედილი გამოსახულება ნახევარ მთვარისა გააკეთებინაო. ქრისტიანები აღუშფოთებია უღირისი მმართველის მოქმედებას და ის იყო, დავით აღმაშენებელს მიმართეს გვიშველიო.

დავითმა სწრაფად შეკრიბა 80.000-იანი ლაშქარი და „წარემართა და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი ძინსი უქირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“.

ანისის დიდი საყდარი, საკათედრო ტაძარი, რომელიც თავის დროზე ბერძენთა მეფის ასულს დედოფალ კატრონიტეს აფუენებინა, თურქებს „მიზგითად ექმნათ. შემოჰკრიბნა მეფემან კათალიკოს-ეპისკოპოსნი და განაახლა კურთხევით“, — გადმოგვცემს ძველ ქართულ წყაროზე დაყრდნობით ვახუშტი ბატონიშვილი. დედოფალი კატრონიტე საყდარშივე ყოფილა დაკრძალული, „მაშინ მივიდა თვით მეფე დავით და კათალიკოსო, ეპისკოპოსნი და ერთობლივი ლაშქარი საფლავსა ზედა, და ახლად წესი აღუკმის. და თვით მეფემან სამგზის საფლავში ჩასძახა: „გისაროდენ შენ, წმიდაო ღვთოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჭულთა ხელთაგან“... ეს, ერთი ძველი ქართული წყაროს ცნობაა. ძალიან საინტერესოა: ძველი ყოფილა ეს ჩვეულება!..

როცა სომეხი მემბტანე ანისის გათავისუფლებების ამბავს გადმოგვცემს, იქვე დასძენს: „...და იყო დავით მეფე წმიდა და სათნო, ყოველად შემკული ღვთის მოსავობით და კეთილი

ვახტანგ მელიქიძე  
ძარბაზის ცნობარბანის ძრონიკაზი

შეპართლიანობით... იგი გამოუჩნდა შემწყნარებელი და მოუფარული სომეხთა ტომს“...

ამ დიდებული ქალაქის მცველად დავითს დაუტოვეთა „აზნაურნი მცხენი“, ხოლო ქვეყნის გამგებლობა აბულეთისა და მისი მისი ივანესათვის მიუხდელია. ის ლაჩარა ვაჟბატონი კი, რომელსაც ქალაქის გაყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი, თავის რვა ძიანად წამოუყვანია და აზნაურთაში ჩაუსახლებია.

ანისის აღების შემდეგ, როცა, „მცირელთა დღელთა მოუსვენა საათა თვისთა“, დავით აღმაშენებელი „წარემართა შარვანს ცველავ შირვანშიცა ვულაშქრია“, და აღიღო ქალაქი შამახისა და ციხე ბირიტი, სრულად უოველი შარვანი“... ამ ციხეთა მცველებად დაუტოვეთა „ღელქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი...“ ხოლო გამგებლად და ზედამხედველად უოველთა საქმეთა დაუნაშინავს თავისი მწიგნობართუხუცენის სვიმონი, ქუონდიდელი მთავარნიკუპოსი.

ქართველთა ბოლო ლაშქრობებმა, ეტყობა ძალიან დააშინა მტერი, სულთანი შიშით ძრწოდო, მებატანე გადმოგვეცხვ; წინააღმდეგობასა და სალაშქროდ წამოსვლას რას გაბედავდა, ძილში ელანდებოდა ქართველი მეფე და მოხვედრებას უარგავდაო. იმტომაც ვახშირა დავით აღმაშენებლისათვის ძღვენის ვჯუნა: „წარმოსცის საჭურველნი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, ფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი და ეძიებენ მშვიდობასა და სიყვარულსა“... და ამას მოხდევს მებატანისავე სიტყვები: „და ვგონებ, ვითარმედ მამთა და პაათავან წადებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმღირენი მრავალწილად უკუნი მოიზღუნა ამან მხენმან. დაამშვიდა ქვეყანა, აღივსო და გარდაეცა უოველთა კეთილთა, განივსო და აღაშენა უოველი ოხერქმნილი. და გარდაემატა უოველთა ჟამთა მშვიდობითა და სიმღირითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად გარდასულთა ოხრებათასა“.

უკვე მიიწურა 1124 წელი.

1125 წლის დასაწყისში კი დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა.

როგორც ვხედავთ, 36 წელი ამეფა დავით აღმაშენებელმა.

უნებურად გავონდება 36 წლის წინანდელი სურათი ქვეყნისა. მებატანის მიერ ძალიან ცოცხლად დახატულ ამ სურათს ჩვენ წიგნის დასაწყისშივე გავეცანით: მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენგებულობა...

ახლა გონების თვლი ვავაყოლოთ დროის ამ შედარებით მოკლე მონაკვეთს: თითქოს დაუ-

ჯერებელია, როგორ შეიცვალა ყველაფერი. განადგურების პირას მისული ქვეყანა თითქოს მკვდრეთით აღსდგა, უძლიერეს, მტუნი და მარცხა, შინაგან და გარეშე წინააღმდეგობებს მოერია, მოღონიერდა, გაძლიერდა, გაერთიანდა... მანამდე არნახულ განვითარებას მიაღწია. რამდენი ახალი კულტურის კერა შეიქმნა, რამდენი ქალაქი აღორძინდა, როგორ გარდაიქმნა ცხოვრება. მყარი საფუძველი მომზადდა კიდევ უფრო დიდი განვითარება-აღმავლობისა...

თითქოს მართლაც დაუჭერბელია!

რამ განაპირობა ეს ზღაპრული გამარჯვება? რა იყო ის ძალა, რამაც ეს შესძლო?

ჩვენ უკვე გავეცანით ზოგიერთ საერთაშორისო მოვლენას, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის ამ სასახლო გამარჯვებას. მაგრამ მთავარი ეს არ უოფილა.

მთავარი იყო ჩვენი მშრომელი ხალხის დიდი სულიერი ძალა, გაუტეხაობა, შემართება, შეუპოვრობა, მაღალი კულტურა, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის დაუცხრომელი სწრაფვა, შრომისმოყვარეობა, ვშირობა... კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ვახუშტის სიტყვები: „ზენი აქვდათ პირმტკიცოწა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა“... ესე იგი, შრომა და ბრძოლა. გმირული და პატიოსანი შრომა! გმირული და პატიოსანი ბრძოლა! საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული დიდი მეგობრული სულიკვეთება, რამაც ახლა, საერთო განსაცდელის დროს, საერთო მტრის წინააღმდეგ, მეზომელ და მეგობარ ხალხებთან კიდევ უფრო მტკიცედ შეკავშირათ...

აი, ის სასწაულმოქმედი ძალა, რომელიც მუდამ ამარჯვებინებდა ჩვენს მშრომელ ხალხს და ახლაც, ამ დიდი განსაცდელისაგან გამარჯვებული გამოიყვანა.

იმ დიდი განსაცდელისა და ბრძოლების დროს ქვეყანას გამოუჩნდა ღირსეული მეთაური, რომელიც მხარში ამოუდგა საკულთარ ხალხს და შესძლო სწორად წარმართა მისი დიდი ძალა და ენერგია.

ახე მიიწურა მეთორმეტე საუკუნის პირველი მეოთხედი.

დადგა 1126 წელი...

მკითხველი ალბათ ელის, როგორ განვითარდა ის ფართო მასშტაბით დაწყებული საქმე...

სანამ მომდევნო პერიოდის ამბებს გავეცნობოდეთ, ცოტა ხნით უნდა შევიჩერდეთ და ამ წიგნის მეორე თავში ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მოვიხილოთ, რაც შემდგომი ამბების გაგებაშიაც დაგვეხმარება.



ილია რაზველთსვილი

## რევოლუციონერის თავდალაბა

ლამაზია ვლადივოსტოკი, შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ზღვის სანაპიროზე გაშენებული ეს ქალაქი, მთავორებზე შეფენილი კომპნია სახლებით და ტყის მწვანე მასივების სიუსეთითა და მშენებელი. თავისი სიკვლეუთ ვლადივოსტოკი განსაკუთრებით ზაფხულის დღეებში გამოირჩევა, როდესაც მის გარშემო მდებარე კუნძულები ამწვანდება, ზღვა და ოყენე ნაოსნობით ახმურდება და უამრავი გემი მოადგება სანაპიროებს. მთაზე შეფენილი ქალაქი დაბლა სრუტეს გადაწყურებს. აღმართ-დღმართიანი ქუჩებითა და გორაკებზე გადმოკიდებული სახლებით, ბუნებრივი და კლიმატური პარობებით ეს ქალაქი, ერთი შეხედვით, საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქებს მოგვაგონებს. ამიტომ წარსულში, ბედის უკუდმართობით რუსეთის იმპერიის უკიდურეს ჩრდილოეთში თუ შორეულ აღმოსავლეთში გადახვეწილ-გაიძიებრებული ყოველი ქართველი ოცნება ყოფილა ვლადივოსტოკში მოხედრა და დროებით თუ სამუდამოდ იქ დასახლება. საქართველოს ბუნებრივ სილამაზესთან მსგავსება ათქმევიანებს ვლადივოსტოკში გადახვეწილ ქართველ ვ. ელსაძეს, 1903 წლის 3 აპრილის „ივერიაში“: ცოტა ეს თუ გაამღებინებს ქართველთ და სამშობლოზე დარღს გვიქარვებსო.

ვლადივოსტოკი სულ სხვაა დღეს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქმა საგრძნობლად იცვალა სახე — გიზარდა, გაფართოვდა და მხრები გაშალა. საცხოვრებელი მასივებით დაიდარა მისი შემოგარენი. ქალაქის მშენებაა ნავსადგური „ოქროს რქა“ აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიებიდან მოსული უამრავი გემი იყრის თავს. მნახველის ყურადღებას იპყრობს ნავსადგურის სანაპიროზე ცაში აზიდული ამწეების სიმრავლე, გემების დატვირთვა-გადმტვირთვის მთავარი ძალა და საშუალება, მტვირთავი მუ-

შების მიმე და დამამცირებელი შრომის შემცველი. აქვეა საზღვაო და სარკინიგზო სადგურები და მთავრდება ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი.

ახალ ყოფა-ცხოვრებით კმაყოფილ და ბედნიერ ვლადივოსტოკელს უყვარს მრავალჭირვარამგადაბალი და ბეგრის მომსწრე თავისი ქალაქი, ამაყობს მისი გმირული წარსულობითა და საუკეთესო ამწყობით, სხვის ბედს იგი აღარ შესტირის, საბჭოთა ხელისუფლებამ შორეული აღმოსავლეთი აყვავებულ ბაღნარად გადააქცია. აქ განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებენ ხალხთა ბედნიერებისათვის თავდადებულ მეგრძოლთა სახელებს, რომელთა სალიდებლად არა ერთი და ორი ძეგლი აღუმართავთ. ქალაქში რევოლუციონისა და სამოქალაქო ომის გმირების სახელობის მრავალ ქუჩას შეხვდებით, მათ შორის ერთი ქუჩა იპყრობს ქართველი კაცის ყურადღებას, თუმცა არაფრით განსხვავდება ვლადივოსტოკის სხვა ქუჩებისაგან. ისიც ისეთივე ხალხმრავალი და ხმაურიანია, როგორც ყველა სხვა, მაგრამ იგი მგზნებარე რევოლუციონერის, მტკიცე ბოლშევიკის, ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ნიკოლოზ ფედორეს ძე ბემშიძის სახელს ატარებს, აი რა იზიდავს ვლადივოსტოკში ჩამსვლელ ყველა ქართველს ამ ქუჩისაკენ.

დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქართველმა ხალხმა მრავალი რევოლუციონერი აღზარდა; რომელთა სახელი შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს და დიდებით შემოსა მშობლიური მხარე, ასეთ გმირთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ლეგენდარულ რევოლუციონერსა და სამოქალაქო ომის სწორუპოვარ მეგრძოლს ნიკოლოზ (ნიკო) თედორეს ძე ბემშიძეს, რომელმაც მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი სიცოცხლე შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფ-

ლების გამარჯვებისათვის ბრძოლას და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს შესწირა.

სამუშაოროდ, ამ სახელოვანი თანამემამულის-საბრძოლო-რევოლუციური საქმიანობა საქართველოში ენობილი არ არის. ფართო საზოგადოებამ არ იცის, ვინ იყო ნიკოლოზ თედორეს ძე ბეშიძე.

ცხოვრების მეტად მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა ნ. ბეშიძეს. იგი დაიბადა 1894 წელს „ბორკილების კუნძულად“ წოდებულ სახლინზე, ყოფილი კატორღელების — თედორე ბარამიძისა და ალათი ბეშიძის ოჯახში. თედორესა და ალათის სასჯელის მოხდის შემდეგ, როგორც სახვედროს წესი იმდროინდელი კანონის მიხედვით და მთავრობის ნებართვით, მიეცათ ცოლქმრობის უფლება, მხოლოდ უნდა ეცხოვრათ ჯვარდაუწერლად. მშობლებს ნიკოს გარდაკიდევ ორი შვილი ჰყავდათ. ყველაზე უფროსი ვიქტორი იყო, უმცროსი კი ევატარინე. იმის გამო, რომ კატორღელს უფლება არ ჰქონდა ჯვარის დაწერისა, კანონი არც იმის უფლებას იძლეოდა, რომ შვილები მამის გვარზე დაეწერათ, ამიტომ თედორე ბარამიძის შვილები დედის გვარით ბეშიძედ მოიხსენებოდა.


ენთი აუწერელი ტანჯვა-წვალება იყო კატორღელის ხვედრი. დღე და ღამე მძიმე სამუშაო ქვანახშირის მალარებში, ოქროს საბადოებზე, ხე-ტყის ჩეხა და ხეების თრევა, დამცილება და აბუხად ავლება, შიმშილი და სიცივე, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა კატორღელი განთავისუფლების შემდეგ, თუმცა მას ეძლეოდა „გლეხის წოდება“ და მიწის ნაკვეთი, თან იქვე დასახლების, ან როგორც მაშინ იტყოდნენ, „ბოსიუნციობის“ უფლება, მაგრამ ყოფილ „ტუსისას“ არ ჰქონდა საშუალება ცხოვრების მოსაწყობად. ზოგი მძიმე შრომით ახერხებდა თავის გატანას, ზოგი მოჰამაგირობით ირჩენდა თავს. ამგვარ ყოფაში უნდა გაეტარებინა ყოფილ „კატორღელს“ 13 წელი, შემდეგ, თუ სახალინზე ცხოვრება მოებზრდებოდა, სხვაგან წასვლის საშუალება ექნებოდა, მთავრობის თანხმობით შეეძლო წასულიყო ვლადივოსტოკში ან ციმბირის რომელიმე ქალაქში, რაც სახალინელი კატორღელების ბუნება იყო. აღნიშნული უფლებით თედორეს და ალათის ოჯახმა მოახერხა 1902 წელს ვლადივოსტოკში გადასვლა და საცხოვრებლად იქ დამკვიდრება. ვლადივოსტოკში მამის ქართველების კოლონია იყო, ჰქონდათ საკუთარი ბიბლიოთეკა ჰყავდათ კონსული — კირილე გელოვანი. ამ ქალაქში სულ სხვანაირად წარმოებდა ბეშიძეების ოჯახის მომავალი თაობის ბედი და მათი ცხოვრების გზა.

ბეშიძეების ვლადივოსტოკში ჩასახლებას შემდეგ მალე გარდაიცვალა ოჯახის მარჩენალი მამა თედორე ბარამიძე, ცხოვრების მთელი სიმძიმე მხრებზე დააწვა წვრილშვილიან დედა ალა-

თის, რომელიც ძალ-ღონეს არ იმუშავებდა, რომ შვილებს არ გასჭირვებოდა. პატარებს დედა შრომას აჩვენებდა, სამშობლოს სიყვარულს, მშრომელი ხალხის პატივისცემას, მეფისა და მისი დამქაშების სიძულვილს უღვივებდა გულში. თეთრგვარდიელი არამზადებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს აქებდა და შვილებს მათ მიმაძღვს უქადავებდა. დედის რჩევითა და ხელშეწყობით რვა წლის ნიკომ მუშაობა დაიწყო ზეინკლის მოწვევდ. ამჟამად „დალზავოდად“ წოდებულ ქალაქის მექანიკურ სახელოსნოში, ეს სახელოსნო იყო ვლადივოსტოკის პროლეტარიატის საბრძოლო ცენტრი. მძიმე და აუტანელი იყო ცხოვრების პირობები ბეშიძეების ოჯახს არ გააჩნდა სახსრები, ყმაწვილი კი სწავლის დიდი სურვილი ჰქონდა. პატარა ნიკო სახელოსნოში რომ მუშაობდა, თან იქვე სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა, სამუშაოდან თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ახმარდა და ასე შრომასა და სწავლავში გადიოდა დრო. ცნობის-მოყვარე და ინტერესიანი ბიჭუნა ხშირად ესწრებოდა მუშათა კრებებს და მიტინგებს. გონებაგამჭირაბი ყმაწვილი ცდილობდა პასუხი მოენახა იმ კითხვებზე, რაც ასე ძალიან აღელვებდა. მას, მის ოჯახს, და საერთოდ მთელ მშრომელ მოსახლეობას. ვლადივოსტოკის მექანიკური ქარხნის ამ სახელოსნოში მიიღო ნიკომ პირველი რევოლუციური ნათლობა. უკვე ამ პერიოდში მას ხშირად ავალუბენ მუშებს შორის არალეგარული სააგიტაციო ფურცლების გავრცელებას. მამაცი და შეუპოვარი ახალგაზრდა შესანიშნავად ართმევდა თავს სპასუხისმგებლო დავალებებს, ამიტომ მან ბოლშევიკი ხელმძღვანელების დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ნიკო აქ დაუტყვემრდა ახალგაზრდა რუს რევოლუციონერს, ზეინკალ ილქისანდრე გულბინოვიჩის, მისი განუყრელი მეგობარი გახდა და მასთან ერთად ეწეოდა რევოლუციური ბრძოლების მძიმე ჰეანას.

ნ. ბეშიძემ ჯერ კიდევ ყმაწვილობაში შეიტყო, თუ არ ძველი გზა ჰქონდა გადასვლა, მაგრამ არ შედრდა, პირიქით, გადაწყვიტა, გაბედულად ევლო ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების მეტად სახიფათო, მაგრამ ამავე დროს დიდად კეთილშობილ და საპატიო გზით და თუ საჭირო იქნებოდა, სიცოცხლეც კი შეეწირა ამ საქმისათვის.

ნ. ბეშიძის რევოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეფის მოხელეებს და იგი 1911 წელს სამუშაოდან დაითხოვეს — საპირველმაისო გაფიცვისა და დემონსტრაციის მოწყობის საშუალისში მონაწილეობისათვის. მალე ნიკომ მუშაობა დაიწყო სამხედრო ნავსადგურში, სადაც კვალავ მეტი გაქანებით აგრძელებს რევოლუციურ საქმიანობას. ნიკო ბუნებით კაცთმოყვარე, მშრომელი ადამიანების



ბატვისმცემელი და დამფასებელი, მათი ინტერესების თავდადებული დამცველი იყო, ამ თვისებების წყალობით მრავალი ერთგული მეგობარი და მხარდამჭერი გაიჩინა. მისი ხელმძღვანელობით მეზღვაურები მონაწილეობას იღებდნენ მუშათა გაფიცვებში და დემოსტრაციებში, შეიარაღებულ გამოსვლებში, ეკონომიურ დახმარებას უწევდნენ დაბატიმრებულ რევოლუციონერთა ოჯახებს.

1914 წელს მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ნ. ბუშიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს მძარცველური ომის საწინააღმდეგო გამოსვლებში. მიტინგებისა და კრებების მომზადებაში, ავრცელებს პროკლამაციებს.

1917 წელს ნ. ბუშიძე რსდმპ, რევკომში მიიღეს, ამ დღიდან კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა მისი აქტიური მონაწილეობა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ამრიგად, ნ. ბუშიძე დიდ ოქტომბერს და შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეხება როგორც უკვე გამობრძანებული რევოლუციონერი და ნაციდი ბოლშევიკი ხელმძღვანელი.

იმპერიალისტებს და შინაგან კონტრარევოლუციონერებს არ სურდათ შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს. ამის შედეგად 1918 წლის ივნისში ვლადივოსტოკში მოხდა კონტრარევოლუციური გადატრიალება. ქალაქის ქუჩებში მრავალი რევოლუციონერისა და მუშების სისხლი დაიღვარა, დაიწყო ინტერვენციის, მკაცრი ტერორისა და სამოქალაქო ომის ყველაზე მძიმე წლები. ვლადივოსტოკის ნავსადგური „ოქროს რქის“ ყურეში შემოვიდნენ ამერიკისა და იაპონიის სამხედრო გემები, რომლებმაც ქალაქში გადმოსხეს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული სადესანტო ჯარის ნაწილები. მანჯურიიდან დაიძრნენ თეთრგვარდიელი არაშხადები. დაიწყო წითელი მებრძოლების განუკითხავი დასჯა-წამება. მოკლეს ვლადივოსტოკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კონსტანტინე სუხანოვი, ორთქვალის ღუმელში დაწვეს ლეგენდარული რევოლუციონერი სერგეი ლაზო. შემოსეულმა მტერმა ქალაქში გააჩაღა ძარცვა-გლეჯა, აწამებდნენ უღანაშუალო ადამიანებს, ძარცვავდნენ ბანკებს, საზღვარგარეთ გაჰქონდათ ხალხის სიმდიდრე; ხე-ტყე, ქვანახშირი, ბუჩქნულო, თევზი მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წადებაც კი შეიძლებოდა. იაპონიის ჯარებმა ხელთ იგდეს რა პრიმორიე, გარეკეს საბჭოები და დაესაზღვრნენ თეთრგვარდიელ მემამბოეებს, რომლებმაც შემდეგ ბურჟუაზიული-წყობილებმა აღადგინეს.

გმზადებოდნენ რა მტრის გასანადგურებლად გადამწყვეტი შეტევისათვის, რეაქციის თარეშის ამ მძიმე დღეებში ბოლშევიკები იძულებული გახდნენ ღრუბით იტაკევენმა სამუშაოზე გადა-

სულიყვნენ, მაგრამ ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ. პირიქით თანდათან გააქრონერეს მუშაობა მასებში. ნ. ბუშიძის ხმა ხალხმევიკების საბრძოლო შტაბად გადაიქცა. შორეული აღმოსავლეთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და საბჭოებმა მობილიზაცია უყვეს მთელ ძალებს მომხდური და შინაური მტრების გასანადგურებლად. მშრომელმა მოსახლეობამ, მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკების აღნიშნულ ღონისძიებებს მებრძოლი რაზმების შექმნითა და მათი ფრონტზე გაგზავნით უპასუხეს. მუშები და გლეხები ნებაყოფლობით მასობრივად შედიოდნენ წითელ პარტიზანთა რაზმებში, მოწინააღმდეგის გაბოროტება და მხეცობა იმდენად ნათელი და აშკარა იყო, რომ ვისაც კი სინდისი ოღნავ მაინც წმინდა ჰქონდა, ერთსულოვნად ზურგს აქცევდნენ რეაქციონერებს და თავგამოდებით იბრძოდნენ ბოლშევიკების მხარდამხარ.

1920 წლის 31 იანვარს პარტიზანებმა ქალაქის მუშათა რაზმებთან ერთად სასტიკად დაამარცხეს თეთრგვარდიელთა რაზმები, ვლადივოსტოკიდან გააძევეს კოლჩაკელი გენერალი როზანოვი და მისი დამჯავშები. ამ გამარჯვებამ ფრთხილ შეასხა და საბრძოლველად აღინთო ქალაქის მშრომელი მოსახლეობა.

1920 წლის მარტში ჩატარდა გუბერნიის პროვკავშირების პირველი ყრილობა, მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნ. ბუშიძემ. ამ დროს იგი არჩეულ იქნა მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარედ, და ამ პოსტზე დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

მეზღვაურები თავიანთ რევოლუციურ და საბრძოლო საქმიანობას წარმართავდნენ ქალაქის მექანიკური სახელოსნოების მუშებთან მკვიდრო კონტაქტში. ნ. ბუშიძეს ამ ძენლ, მაგრამ საბატიო საქმიანობაში მუდამ მხარში ედგა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი ა. გულბინოვიჩი, რომელიც თავის ქართველ მძინაფიცთან ერთად იყო ორგანიზატორი მუშათა სახელოსნოებში წითელ პარტიზანთა და მუშათა მებრძოლი რაზმების შექმნისა ამ რაზმებმა დიდი როლი შეასრულა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში და მტრის საბოლოოდ განადგურების საქმეში.

მუშათა არალეგალურ კრებებზე და მიტინგებზე, მექანიკურ სახელოსნოებში თუ მეზღვაურთა გემთსარემონტო ქარხნებში ხშირად ხდებოდნენ ნ. ბუშიძეს. იგი ესაუბრებოდა მუშებს, მეზღვაურებს, პარტიზანებს ქვეყნის გველაზე საკიბრობო საკითხებზე, მსმენელებს განუმარტავდა პარტიის მიმდინარე პოლიტიკისა და საბრძოლო მოქმედების საკითხს. ამ პერი-

ილია რაზაველიუზილი  
რემოლუციონერის თავდადება



ოდში განსაკუთრებით მგზნებარედ გაისმოდა მისი მოწოდება ებრაოლთა მოლაღატე ძმების მერკულოვების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებდნენ ინტერვენტების მითითებითა და მათივე დაეალებით. მამაცი ქართველი რევოლუციონერი ასრულებდა რა პარტიის მთელ რიგ სამართლო დავალებებს, ამავე დროს ამ წყვეტდა საავტოციო-პრობაგანდისტულ საქმიანობას: ავრცელებდა არალეგარულ ბოლშევიკურ ლიტერატურას, მონაწილეობდა მებრძოლი რაზმებისათვის იარაღის შეგროვებისა და შეკეთების საქმიანობაში, ქმნიდა ფარულ პუნქტებს, საიდანაც ხდებოდა პარტიზანებისათვის იარაღისა და სურსათის მიწოდება. ნ. ბუშიძე ამასაც არ სჯერდებოდა, იგი თავის ბინაზე ჰერში მალავდა რევოლუციონერებს, მისი ბინა გადატეული იყო ავრეთვე ბოლშევიკების არალეგარულ სათათბირო და კრებების ჩატარების საიმედო ადგილად.

ნ. ბუშიძის ხელმძღვანელობითა და მისი უშუალო მონაწილეობით 1921 წლის 16 ივნისს გაიფიცნენ ნავსადგურ „ოქროს რქის“ მუშები და მეზღვაურები. კონტრრევოლუციამ მუშეთა და მეზღვაურთა გაფიცვას უპასუხა ვაძლიერებული რეპრესიებით: გაფიცვის მონაწილენი და ისინი, ვისზეც ეჭვი მიიტანეს ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობაში, სამუშაოდან დაითხოვეს, მათინ მეზღვაურთა კავშირმა ნ. ბუშიძის ხელმძღვანელობით ბოიკოტი გამოუცხადა ყველა იმ საწარმოს, საიდანაც გაფიცვის მონაწილე მუშები და მეზღვაურები დაითხოვეს სამუშაოდან.

ახლოდებოდა ინტერვენტებისა და თეთრკვარდიელების თარეშის აღსასრული. ეს დროც მალე დადგა. 1922 წლის ოქტომბერში ვლადივოსტოკში სასიხარულო ხმა დაიბნა: — პარტიზანთა და წითელარმიელთა რაზმებმა ქალაქს უახლოვდებიანო. ინტერვენტებმა და თეთრკვარდიელმა ბანდებმა იგონეს რა თავისი ბატონობის აღსასრული, ხელი მიჰყვეს მოსახლეობის გაძლიერებულ ძარცვა-გლეჯას, ცდლობდნენ დაეჩქარებინათ შორეული აღმოსავლეთის მთელი სიმიდრის საზღვარგარეთ გატანა. მტრის ამ ვერაგ ზრახვებსა და აღვირახსნილობას მუშათა პროფკავშირებმა დაუპირისპირეს თავიანთი რიგების ორგანიზებულობით და შემვიდროვებამ.

ინტერვენტების უამრავი გემი იღვანავსადგურ „ოქროს რქის“ ყურეში, ისინი ელოდნენ ნადავლს და ემზადებოდნენ საზღვარგარეთ გასაქცევად.

ბოლშევიკებმა და მუშათა პროფკავშირებმა თავის მხრივ, მიიღეს გონივრული და დროულად გადაწყვეტილებები: — უცხოეთის არც ერთი გემი არ გაეშვათ ნავსადგურიდან, ყველა გემი და მთელი მათი სიმიდრე შეენარჩუნებინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საქირო იყო სწრაფი და გონებრივი მოქმედე-

ბა, რომ მტერს არ დაეწრო თავისი ვერაგული ზრახვების განხორციელება. შემქმნა გაფიცულთა კომიტეტი, რომლის შემადგენელნიც შემქმნილი იქნა ნ. ბუშიძეც. მუშათა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, — 19 ოქტომბერს, ინტერვენტებისა და თეთრკვარდიელების გაქცევის წინა ღღეს დაიწყოთ ქალაქში საყოველთაო გაფიცვა. ნ. ბუშიძისა და მის ამხანაგებს დაეველა „ნაწილ-ნაწილ დაეშალათ“ „ოქროს რქის“ ყურეში მდგარი უცხოეთის ყველა გემი და მოწინააღმდეგისათვის მოესპოთ ბორბი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება. დაიწყო გემების დაშლისათვის მზადება. ნ. ბუშიძე თავგამოდებით შრომობდა, რევოლუციონერები დასახული მიზნების განხორციელებისათვის არ იშურებდნენ ძალ-ღონეს, საქმე წინ მიიწევედა, მაგრამ არც, მტერს ეძინა. და ნ. ბუშიძის რევოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია. საიდუმლო პოლიციამ მუდმივი ზედამხედველობა დაიწყო ნ. ბუშიძის. მას ავგნტი მიუჩინეს, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. დიდ საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას საფრთხე დაემუქრა. 1922 წლის 17 ოქტომბერს დაატუსაღეს ა. გულბინოვიჩი, პოლიცია ნ. ბუშიძეს დაეძებდა. 18 ოქტომბერს გაფიცულთა კომიტეტის ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემდეგ ნ. ბუშიძეც შეიპყრეს. ციხეები და თეთრკვარდიელთა საპყრობილებები პატიმრებით იყისო, მათ სასტიკად აწამებდნენ და სიკვდილთ სჯიდნენ.

„ოქტომბრის ერთ საღამოს, — იგონებს ნ. ბუშიძის და, ეკატერინე, — ნიკო დაგვიანებით მოვიდა შინ. ოჯახში ყველას ძალიან გაეხარა მისი გამოჩენა, რევოლუციურ საქმიანობას გადაყოლილი, ის ზომ იშვითა სტუმარი იყო სახლისა, განსაკუთრებით ღელავდა და შვილის შინა-ყოფნას მწვავედ განიცდიდა დედა, ამიტომ ფელციტკულიანმა შესჩივლა შვილს: — შვილო, სულ ვარეთ, რომ ხარ ამ არეულობაში, არაფერი იწყინო, ხომ იცი, რა ურჯულოები არიან თეთრები, მტერმა არ დაგვაბნოს და გული არ მოუკლას შენს უბედურ დედას.“

ნიკომ დედას მხრებზე „ხელი გადახვია და ალერსით უთხრა, — ნუ გეშინია, დედა, ჩემი ჭავრი ნუ გეჭნება, თეთრებს მალე დაეამარცხებთ, იაბონელებს კუთით ქვას ვასროლინებთ და ზედნიერი ცხოვრება გვექნება. შენც მოისვენებ და მეცო.“

18 ოქტომბერს, დილით, ნიკომ ოჯახთან ერთად ისაუზმა და სწრაფად გავიდა შინიდან, ნიკოს წასვლის რამდენიმე საათის შემდეგ ორმა მუშამ ბუშიძეების ოჯახს საზარელი ამბავი აუწყა: — თეთრმა ჯალათებმა ნიკო დააბატონრესო. ამ ცნობით თავზარდაცემულმა დედამ საშველად ქართველების კონსულს, კირილი გელოვანს მიმართა, რომელმაც გამწარებულ ქალს დასამშვიდებლად მხოლოდ ეს უთხრა: ნუ გეშინ-



ნია, ალათი, თქვენს შვილს სასიკვდილოდ ხელს ვერავინ ახლებსო.

მალე ცნობილი გახდა, რომ ნ. ბეშიძე და ა. გულბინოვიჩი ჯალათებს ჯერ ნაც „მანკურით“ იაპონიის ზღვაში გაიყვანეს და იქ აწამებდნენ, ორი დღის შემდეგ კი პატიმრები „რუსული კუნძულის“ საპყრობილეში ჩააწყვდიეს და მხეცური წამებით ცდილობდნენ მათ გამოტეხას, ბოლშევიკების განზრახვის შესახებ უცხოეთის გემების დაშლის თაობაზე, სურათი აგრეთვე ვაეგოთ, ვინ იყვნენ ბოლშევიკური პროკლამაციების გავრცელებისა და მუშათა გაფიცვების მოთავეები. ამოდ ცდილობდნენ გამობრძნედილი რევოლუციონერების ნებისყოფის შერყევას და სულით ვატეხას, მტერმა მათგან ვერაფერი შეიტყო. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დიდხანს არავინ იცოდა, რა ბედი ეწვია ამ მამაც რევოლუციონერებს.

მართალია, ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელებმა მოახერხეს გემების დაშლის ორგანიზატორების საპყრობილეში ჩამწყვდევა, მაგრამ ბოლშევიკებმა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება მაინც შეძლეს: უცხოელთა ყველა გემი ვატაცებულნი ნადავლით დაკავებული იქნა და საბჭოთა ხელისუფლების საკუთრებად გამოცხადდა.

1922 წლის გვიან შემოდგომაზე ვლადივოსტოკში წითელი არმიისა და პარტიზანების შემოსვლისა და იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე, მეზღვაურთა პროფკავშირებმა და სხვა ორგანიზაციებმა სავანგებო ზომები მიიღეს, რომ მოემზებნათ დაპატიმრებული რევოლუციონერები და ეხსნათ მათი სიცოცხლე, მაგრამ ამაოდ, მათი კვალი დიდხანს არსად ჩანდა. მხოლოდ 1923 წლის მაისში მოულოდნელად ფარდა აეხადა თეთრგვარდიელთა და

ინტერვენტთა საშინელ მხეცობას, რევიზიონისტულდებმა ვლადივოსტოკის სანაპირო ზონაში რიყა მავთულით გაღებულ და საშინელ დასახიჩრებელი ორი რევოლუციონერის დედა. ვერავინ შესძლო მათი ცნობა. მხოლოდ დედამ ბავშვობის დროინდელი ნაჭრობებით მუხლითა და დაზიანებული ცერა თითით ამოიწრო თავისი შვილი ნიკო. ცნობილი გახდა თეთრგვარდიელთა ხელით ნაწამები და დაღუპული რევოლუციონერების გინაობა. სამოქალაქო ომის სწორუბოვარი გმირები დიდი პატივით დაასაფლავეს ვლადივოსტოკის გერაშელის სასაფლაოზე.

ასე ცხოვრობდა, იბრძოდა და დაბრუნდა ნიკოლოზ (ნიკო) თედორეს ძე ბეშიძე, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეს შესწირა თავისი ახალგაზრდობა, მშვენიერი სიცოცხლე.

დიდა ნ. ბეშიძის დამსახურება ქართველი, რუსი და სხვა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში, აპიტომია, რომ მაღლიერი შთამომავალი არ იგიწყებს მის ღვაწლსა და ნაშაგარს. გარდა იმისა, რომ ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი ამშვენებს, ვლადივოსტოკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სათუთად უვლიან და ინახავენ ფოტო და წერილობით დოკუმენტებს, რაც კი ნ. ბეშიძის სახელოვან საბრძოლო გზას უკავშირდება, აღნიშნული მასალები ამჟამად ხალხთა მეგობრობის მეუღუემის ფონდში ინახება. ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული რევოლუციონერის საქმიანობა დავიწყებას არ მივცემა. კარგი იქნება თუ მამაცი ქართველი რევოლუციონერის სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას შეერქმევა.

მე იქნებ ვჩქარობ და სინჩქარეში  
რაც დღე მეკუთვნის — იმასაც ვკარგავ,  
მაგრამ მე მჯერა, რომ თქვენს გარეშე  
ვერასდროს ვეღარ ვიქნები კარგად.

ყველას, ეს ლექსი გეკუთვნით ყველას,  
ჩემი უბრალო სიცოცხლის მსგავსად...  
გავიდეს ათჯერ ათასი წელი —  
მე კი აქედან არ წავალ არსად!..

ოთარ ზინლაძე



მედაე საგვლიაშვილი

### გზა სინათლისა

ნარკვევი

მეთორმეტე საუკუნის ვენეციაში შეღამებულზე საშინაოობით სავსე ქუჩებში სიარულს, გონდოლებით მგზავრობას არჩევდნენ თურმე.

მდიდარ პარიზელს მამულიანი მსახური უნებდა გზას.

ოთხიოდე საუკუნის შემდეგ კი აქ, ქალაქის მესვეურნი, თვითელი მოქალაქისაგან ცხრა საათისთვის ფანჯარაში ანთებული ფარნის გამოღვამს მოითხოვდნენ.

1662 წელს ვინმე აბატ ლოდატი დე კარაფს, მეფის ნებართვით, საფრანგეთის ქალაქებში მემამულეების არტელები ჩამოუყალიბებია, დაგვიანებული მგზავრი გზის გასანათებლად მემამულეს დაიჭირავესო.

ლონდონის ქუჩები მეთხუთმეტე საუკუნეში გაუნათებიათ. ხოლო პარიზში ქუჩის კუთხეცში ფარნები პირველად სამასი წლის წინათ დაუკიდნიათ.

ბეტერბურგმა ელექტრონით განათებული სასახლეებითა და პარსპეტებით პირველად 1879 წელს მოიწონა თავი. ხოლო მოსკოვს 1883 წელს ქრისტეს მოედანი, უფრო მოგვიანებით, ჭკის დიდი ხიდი და წითელი მოედანი ელექტრონის შუქით გამოუტაცია ღამის წყვედიადისათვის. იმათი ბედი ტვერსკის ქუჩას მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ გაუზიარებია.

პირველი ელექტროსადგური თბილისში ნაქართველოს სასიქადულო შვილის ილია ქაჯუჯაძის მესვეურობითა და უშუალო თაოსნობით ქართული თეატრისათვის აშენდა. აშენდა იმ შენობის გასანათებლად, რომელსაც ქართველი ერის განათლების, საკუთარი ენის აღორძინებისა და საკუთარი თავის შეცნობის საშახური ეკისრებოდა.

აშენდა ქვეყნის გასანათლებლად და გასანათლებლად.

მუდმივი ქართული თეატრი 1887 წელს აკურთხეს. ამასთან დაკავშირებით, ივერიაში გამოქვეყნდა განცხადება:

„სხვადასხვა ხიფათის თავიდან ასაცილებლად თეატრის ადმინისტრაცია უმორჩილესად აუწყებს თბილისის პატრივემულ საზოგადოებას, რომლის უმთავრეს ნაწილს არა ჰქონია შემთხვევა ელექტრონის სინათლის ნახვისა, რომ ელექტრონის სინათლე შესაძლოა უცებ ჩაქრეს მცირეხნობით და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გაცხოველდეს.

გარდა ამისა, თეატრის ადმინისტრაცია თავს ვალდებულად რაცხს, დაუმატოს, ელექტროგანათების გამო თეატრში ცეცხლი არას გზით არ გაჩნდებია... რომ შემოსხენებულ შემთხვევაში სრული სიბნელე არ ჩამოვარდეს, ამისათვის თეატრში ფარნებიც აინთება“ („ივერია“ 1887 წ. № 254).


რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქის სათათბირომ გამოიტანა დადგენილება აღნიშნული ქსელის შემდგომი განვითარების ალკვეთის შესახებ და რამდენიმე წელი ერთადერთი ელექტროსადგური თეატრის ერთადერთ შენობას ანათებდა, თუმცა ძალა და შესაძლებლობა ბევრად მეტისა ჰქონდა.

80-იან წლებში ქართველი ხალხის დიდა მოამავე, ენთუზიასტი და პატრიოტი ნიკო ნიკოლაძე ქალაქის სათათბიროში წინადადებას არდგენს. თბილისის ქუჩების გასანათებლად ჰიდროელექტროსადგური ავაშენოთ, ელექტროენერგია ჩვენ ვეროპის ქვეყნებზე ბევრად იაფი დაგვიჯდება, რადგან ორთქლის ძალას მტკვრის ძალით შევცვლითო...

ნიკოლაძის განცხადება არქივში ყვითლდებოდა. ქალაქის მსხვილ ვაჭართა წარმომადგენლები, ვინც სათათბიროს წევრებად ირჩეოდნენ და ვისი ზრუნვის ანაბარადაც იყო დარჩენილი ქალაქი, კიდევ დიდხანს ყოყმანობდნენ და გზითა თუ ელექტრონით განათების შივარჩევანში შედიოდნენ.

1895 წლის 26 ნოემბერს ივერია წერდა: „ამ უკანასკნელად ჩვენს ქალაქში ვახშირებული მი-





თქმა-მოთქმაა, რომ ტფილისში შემოღებულ ექნას ელექტრონით განათება... ეს ისეთი საქმეა, რომ წინათაც დაეწყათ ლაბარაკი და რამე გარკვეულ აზრზე დამდგარიყვნენ, არ იქნებოდა მეტრი...

...ჩვენი ტფილისი, რომელსაც შიგ ჩამოუდის ამისთანა ძლიერი წყალი, როგორც მტკვარია, ამ შემთხვევაში მეტად ხელშეწყობილია. და აქაც ეს ძლიერი დონე მტკვარისა, როგორც შენევაში რონისა, დიდად უნდა აადვილებდეს, როგორც განათების საქმეს ელექტრონით, აგრეთვე მანქანების მოქმედებას ელექტრონითვე". ქალაქის გულშემატყვიერები ქალაქისათვის უკეთეს ღონისძიებებს სახავდნენ. ქალაქის სათათბირო თათბირებს უნდებოდა. ქალაქის ცრუ მიმები ყოველნაირად ცდილობდნენ სინათლე დაეწყებისათვის მიეცათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პატარ-პატარა სადგურები სოცოებვით მრავლდებოდა.

მათ შორის ყველაზე დიდი, ბელგეილი კონცისონების მიერ 1905 წელს აშენებული ელექტროსადგური იყო, რომელიც ტრამვაის ემსახურებოდა და რომლის სიმძლავრე მაშინ 1430 კილოვატს უდრიდა.

რაც შეეხება წყლის ენერჯის გამოყენებას... ცხრასიანი წლებში პირველმა ჰიდროელექტროსადგურმა დიდი მთავრის მიხეილის სასახლე გაანთა ლეკმა.

ან რა ქალაქი იტყვია, ან რა დრო ჰყოფნიდა იმ აურაცხელ პროექტებსა და წინადადებებს, რასაც უცხო სახელმწიფოები სთავაზობდნენ საქართველოს, ჩვენ ავიშენებთ და ჩვენვე ვისარგებლებთო.

არამედ არ ისარგებლებდნენ, თუკი ამ წყლით მიღილი ქვეყანაში საკონცესიო ვადად 40-სა და 80 წელს უწყესდებდნენ. ამ ვადას გასვლის შემდეგ, აშენებულს თქვენ გადმოგილოცავთო, პპირდებოდნენ.

ოქტომბრის რევოლუციას საქართველომ ორმოცდაათი დეკლარაციით დაეწინაურა ელექტროსადგური დაიხვედრა. იქედან ყველაზე დიდი სიმძლავრე ოცდახუთჯერ და მეტჯერ ჩამორჩებოდა იმას, რაც გასაბჭოებიდან ორიოდ წლის თავზე დაეგმარა ჩვენმა ქვეყანამ.

თბილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭომ 1922 წლის 23 მაისს ზემოაქვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე გამოიტანა დადგენილება.

„1922 წლის 10 სექტემბერს, იმ ადგილას, სადაც ჰიდროსადგურის არხი გაიჭრება, თბილისის მუშებმა მოაწყვეს შაბათობა, რომელშიაც ოთხმა ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა“ — წერდა ამ შაბათობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე ფილიპე მახარაძე.

ნაომარ ქვეყანაში გამეფებული ეკონომიური სიღუბნის გამო ამ დიდ საქმეს მწვანე გზა და ფიანანზო ვერ დაეფინებოდა და მასზე ზრუ-

ნენ თვით ვლადიმერ ილიან შე ლენინი კისრულობს.

1922 წლის ოქტომბერში ლენინმა დააჩვენა ქვეყანას სწორად: „...უდიდესი ყურადღებით მოექმეცით საქმეს. შეკრიბეთ მთელი მასალა (საქმეთა მმართველობისათვის) მე გამომიგზავნეთ მთელი მასალა და ჯუმიცი (პირადად ჩემთვის)“.

იმ ვაჭირების წლებში, როცა მსოფლიო თუ საბჭოელთა ომებით დარბეული ქვეყანა კაპიკს კაპიკზე აწებებდა, საბჭოთა მთავრობა ზაქსისათვის არაფერს იმუტრებდა, პირადად ლენინის მიითთებოთ იგი საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ობიექტთა სიაში შეტვირთა და მთელი ღირებულების ნახევარზე მეტს საკავშირო ბიუჯეტთან იხდიდა.

თუ მენშევიკების დროინდელ პროექტებს ფრანგი — ტარსი, ინგლისელი — სტიუარტი, ბელგეილი ფირმა — „უირო და ლუშერი“ და ვინმე დიუნონი აწერდნენ ხელს, ვასაბუჯობიდან რამდენიმე წლის თავზე ახალგაზრდა ჰიდროტექნიკოსების მთელი არმია ვაჩნდა: კუჩინაძე და მელო-ფაშაივი, დიდებულოძე და ჩიოვანი, მიქელაძე და მოსტკოვი, შენგელია და ანდრეევი, ჭიქია და ზგორიკინი, კერელიშვილი და ვაბუნიანი, ვანგია და ზევალიშინი, ლოსაბერიძე და შანშიევი და კიდევ სხვა მრავალი, ვინც საბჭოთა ჰიდროტექნიკოსების პირველი თაობის რიგებს ამშვენებდა.

ზაქსის მნახველთა წიგნში 1928 წელს დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი წერდა: „ზაქსი კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ადამიანის ყოვლისშემძლე ნების უსაზღვრო სითავხედვზე, ადამიანის გონების „რაციონალურ უკუშერებზე“ ლაბარაკობს“.

ზაქსის სიმძლავრე 36800 კილოვატს უდრიდა, გამომუშავებდა — 184 მილიონ კილოვატსაათს.

1927 წლის 26 ივნისს ზაქსი საზეიმოდ იქნა გახსნილი. ამ ზეიმს ახალგაზრდა ქვეყნის ყველა კუთხე გამოეხმაურა მისალმებითა და მილოცვებით. მათ შორის დნებპესის მშენებელთა დეპეშაც იყო.

ზაქსის ენერჯის მხოლოდ ნაწილი ხმარდებოდა თბილისის ტრამვის, წყალსადენსა და კომუნალურ საწარმოებს.

მის მიერ გამომუშავებული ენერჯის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად მისალმებთა და მილოცვების დაბადება ითვლება. 1932 წლის შემოდგომაზე სურამის საუღელტეხილე უბანზე ელექტროწყვის უზრუნველყოფა ზაქსის ორმა აგრეგატმა იკისრა.

აბაშის და აჭარის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა თითქმის ზაქსის მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა. მდინა-

მადეა შავლიაშვილი  
გზა სინათლისა



რე აბაშის მიერ 1928 წელს დატრიალებულმა ტურბინებმა 9 მილიონი კილოვატასათი გამოიმუშავა და დღევანდელი გეგმპირობი გაანათა. აჭარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კი გეოლოგიასა და პროექტში დაშვებული შეცდომების გამო გაკვირვდა და 1933 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ.

ზაქსის პირველი აგრეგატების გასაშვებად ეშაღბეზდინენ, მისი სამშენებლო მოედნიდან მოხსნილი მანქანები კი რიონისაკენ მიემართებოდნენ.

რიონის აშენების იდეა, უპირველესად ყოვლისა, ფრომანგანუმის წარმოების ორგანიზაციასთან, ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ჭვანჭვინის მაღაროების, გამამდიდრებელი ფაბრიკების, ელექტროშვიარღების, სურამის უღელტეხილზე რკინიგზის ელექტროწვევის მოწყობის, ქალაქ ქუთაისისა და მისი რაიონების სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციასთან არის დაკავშირებული.

ჭიათურის მდინის ფრომანგანუმად გადაკეთება რომ ხელსაყრელი საქმე იქნებოდა, პირველად დიდმა პოეტმა აკაკი წერეთელმა იყარა უდა. 1881 წელს ივერიაში წერდა, მანგანუმი მდინის ფსი ფუთისა აბაზია, გადაკეთებულს ე. ი. გადარკინებულს კი — ორი მანუოლან სამამდო.

ნიკო ნიკოლაძემ ფრომანგანუმის წარმოების საქმეში ცნობილი ელექტრომეტალურგი რეპი ჩააბა. თავის ვეათან გიორგი ნიკოლაძესა და დილსულ ბესარიონ ჭიჭინაძესთან მიწერა წერილებში მდინის ფრომანგანუმად გადაკეთებისათვის ფართო სარბიელის მიცემის გეგმებს სახედა.

1931 წელს ქართული ჰიდროტექნიკის დიდი მოამაგე ბესარიონ ჭიჭინაძე წერდა: რიონის ვადის გადადებით ძალიან მწვავედა ქუთაისის რაიონის ენერჯით მომარაგების საკითხი. გვიანდება ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების რეკონსტრუქცია და იქმნება საფრთხე, რომ ჩაიშლება ფრომანგანუმის ქარხნის დამოთვრების ვადაო.

უკეთეს ქართულთა საუკუნოვან ოცნებას განხორციელება ალბათ კიდევ დიდხანს არ ელირსებოდა, რიონის მიერ გამოიმუშავებულ ენერჯია რომ არ მიშველდებოდა.

საბჭოთა ქვეყნის ყველა ჰიდროსადგურებს შორის, იგი პირველი სასიხარულო გამოწყობისი იყო, რადგან უცხოურ მოწყობილობებზე უფრო და სამამულო ტურბინებს, გენერატორებსა და სხვა მოწყობილობებს ჩაუტარა პირველი გამოცდა.

1937 წელს აწესმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გააჩიარდნა და ქალაქ ბათუმში მრეწველობის განვითარების საფუძველი და შესაძლებლობა შექმნა.

ორი წლის შემდეგ ამუშავებულმა ალაზან-

ისმა ენერჯეტიკულის გარდა, ორგანიზებული საკითხიც გადაჭრა.

და მინც მოთხოვნებმა ელექტროენერჯიაზე იმაზე მეტი სისწრაფით იზრდებოდა, ვიდრე ამ ენერჯიის წყაროები შენდებოდა.

ელექტროენერჯია მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობისათვის პურსა და ჰაერითი აუცილებელი ხდებოდა.

ელექტროენერჯიის უკმარისობის გამო შეუძლებელი ხდებოდა მსხვილი ქიმიური მრეწველობის განვითარება, მარგანეცის ფეროშენადლულთა წარმოება, თუმცა რესპუბლიკა მიდიდარი იყო მარგანეცის საბადოთა დიდი მარაგით.

აღდგენილ იქნა უკვე დაკონსტრუირებული ელექტროსადგური, რომელიც ადრე ტრამვალის ემსახურებოდა. აშენებულ იქნა ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 48 ათას კილოვატს უდრიადა.

და მინც რესპუბლიკაში ევრეთ წოდებულ ენერჯეტიკული შიშიდია მძინეარებდა.

პირველი ელექტროსადგურების დამბროექტებელთა ჯგუფი, რომელსაც მელიქ-ფაშაევი ხელმძღვანელობდა საქართველოს ჰიდროენერჯიის მენად ჩამოაყალიბდა.

ქართველ ჰიდროტექნიკოსთა პირველ თაობას მათი ღირსეული ცვა შეემატა. ლოსაბერიძესა და ერისტავს, შანშიევსა და განგას, ჩოგვაძე და მღებრიშვილი, რუტკოვსკი და ანდლულაძე, სვანიძე და ხიზანიშვილი, ამირაჯიბი და ელიოვა, ძმები მენაბდეები და მამასახლისოვი, ალიოვა და პავლე ვაფარძიეები, ჭარხალაშვილი და ეზარაძე, მერაბიშვილი და კაკრაშინოვი, ნადირაძე და გაჩეჩილაძე და სხვები ამოუდგნენ გვერდით.

საქართველოში ჰიდროელექტროსადგური არ დაბროექტებულა, ქეშიარტიდ დიდ ჰიდროტექნიკოსს ალექსანდრე ლოსაბერიძეს მონაწილეობა არ მიეღოს.

საქართველოში ძნელად მონახება ჰიდროტექნიკოსი, ალექსანდრე ლოსაბერიძის ნამოწაფარი არ იყო.

სოხუმის ჰიდროელექტროსადგურისა და ხრამშეს 1-ის ჰიდროკანაღის მშენებლობა ვრთლოლად მიმდინარეობდა, მაგრამ იმზე მშენებლებს ხერხი და ჩაქუჩი დააყრვეინა და შაშხანაჩხუტებულეები დარიალისა და მამისონის უღელტეხილზე ცოცხალ კედლებად აღმართა.

„საბჭოთა საქართველოს ელექტროენერჯეტიკის ისტორიის“ ავტორი კ. ჩარკვიანი ამ ხუთსტონიან ქვას იგონებს, რომელიც დარიალის ჩრდილოეთის კარის ზღურბლზე დევს თურმე და რომლის მოცულობა 5655 კუბომეტრია. გვირაბების თხრას მიჩვეული ხრამშესელები ამ უშველვებელ ქვაში გვირაბით შესულან, შიგ დევებერთა დარბაზი გამოუტყვეთით, დაბალი ვაგინიერი ამბრაზურისათვის ლარისს ქალისაკენ უქნით პირი და ამ ორიგინალური საციცხლე

წერტით გადაუხდიათ გზა დაუპატიებლად მობრძანებულებებისათვის.

ომისდროინდელი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მთლიანად პიდროლექტროსადგურების საფუძველზე, რადგან ტყვარჩელაში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ელექტროსადგურები, საწვავის უქონლობის გამო ელექტროენერჯის გამოშვებებს ეუღარ ახერხებდა.

შავიანის კონსტრუქციის ავტომატებს, თბილისის საავიაციო ქარხნიდან აფრენილი თვითმფრინავების, საფეიქრო ფაბრიკების შავი დამზადებული სამსხაზე მუდისა და საპარაშუტე ქსოვილების წარმოებაში და კიდევ სხვა მრავალ საქმეთა შესრულებაში გარკვეული ღვაწლი ზაპსმა, რიონქსმა, აწქსმა და ალაზანქსმაც გაიღო.

1941 წელს, როცა ომს ჩვენი ქვეყნის პალატებიდან ჯერ რივიანად არ გადაქუთებანა, ზამისა და სოხუმის პიდროლექტროსადგურების მშენებლობა უკვე წელში იშლებოდა, ხარაჩოებს იზომავდა, ფალიბებში ჯდებოდა.

ომის უძიმეს წლებშიაც მთლიანად არ შეჩერებულა ხრამპქსზე მუშაობა. ხოლო ომის უკანასკნელ წელში ომში წასული სპეციალისტები იმ გლებებმა შეცვალეს, რომელთაც დიდი მშენებლობა, საერთოდ, პირველად ნახეს.

ხრამპქსში საენერჯატორო სადგურის მოწყობილობები რომ ჩაეტანათ, თბილისზე უნდა გაველოთ. მაგრამ ამ მოწყობილობათა გაბარებები თურმე ტრამაიასა და ტროლიბუსების ხაზების მთლიან დემონტაჟს მოითხოვდა. აქაც გაეცლო, თბილის-მანგლის-ხრამპქსის, გზატყეცილებზე ვერ გაეტეოდა. ამიტომ გადაწყდა ამ გზის რეკონსტრუქციის ნაცვლად, მარნეულიდან 50 კილომეტრიანი გზის გაყვანა.

ამრიგად, დღევანდელი გზატყეცილი ხრამპქსის საჩუქარია, აღრინდელი მიწური სახლების ნაცვლად გაშენებული ვებერთელა დასახლებებიც ხრამპქსის საჩუქარია და მზეზე აქერქილი უშველებელი წყალსაცავისათვისაც ხრამპქსი ელის მადლობას. მაგრამ უმოთვრესი მაინც ის არის, რომ იგი იძლევა ძვირადღირებულ მარეგულირებელ ენერჯიას, რაც ესოდენ აუცილებელია ფაბრიკა-ქარხნებისა თუ მრეწველობის თანდათან მუშაობისა და განვითარებისათვის.

1950 წლის 16 მარტს სახელმწიფო კომისიამ ხრამის პიდროკვანძის მიღების აქტში ჩაწერა, თავისი პარამეტრების მიხედვით ხრამის პიდროელექტროსადგური უნიკალურ ნაგებობას წარმოადგენსო. ხოლო მის მშენებელთაგან უკეთესებს: პროფესორ მანტოვს, ბრიგადირ ობოლაძეს, ინჟინრებს: ჭანკოტაძეს, გინდინს, ერისთავს, ებრალიძეს, მიქაბერიძეს, ჯიბაურს, შანშივეს, რუტკოვსკისა და სხვებს მეორე ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ხრამპქს 1-მა ექსპლოატაციაში გადაცემიდან

თვრამეტი წლის თავზე ძირითადი ფონდების ღირებულება მთლიანად აანაზღაურა.

ხრამპქსის დამთავრებდან წლისთვეს შემდეგ სრულმა ჰესმა უპატაკა მზადყოფნა ქვეყანას დასსსრკ-ს.

და მაინც მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე ბევრად მეტა სისწრაფით იზრდებოდა, ვიდრე ამ ენერჯიის წყაროები შენდებოდა.

პიდროენერჯომშენებლობაში აქამდე განმტკიცებული წესი დარღვა. პიდროელექტროსადგურების ასაშენებლად თანხებს ახლა ის სამინისტროები იძლეოდნენ, ვისთვისაც ისინი შენდებოდა.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ მდინარე მტკვარზე, ახალციხის რაიონში ააგო ჩითახევქსი.

გზათა სამინისტრომ შორის მარეგულირებელ პიდროელექტროსადგურისათვის გაიღო თანხები.

კვების მრეწველობის სამინისტროს სახსრებმა მდინარე ბუქუას დაატრიალებინა ბუქუაქსის ტურბინები.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით ჩაღვა მწყობრში:

- 1947 წელს — ხრამპქს I.
- 1948 „ — სოხუმქსი
- 1949 „ — ჩითახევქსი
- 1954 „ — ორთაჭალქსი
- 1955 „ — შორაქსი
- 1955 „ — ბალნარქსი
- 1955 „ — ივოთქსი
- 1956 „ — ბუქუაქსი
- 1956 „ — გუმათქსი II
- 1956 „ — ტყიბულქსი
- 1958 „ — გუმათქსი I
- 1960 „ — ლაჭანურქსი
- 1961 „ — ტირაფონქსი
- 1963 „ — ხრამპქს II

1949 წელს აშენდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროენერჯალა.

1963 წელს — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.

1940 წლიდან მეოთხედ საუკუნის გასვლას შემდეგ ელექტროსადგურების სიმძლავრე საქართველოში თითქმის ექვსჯერ გაიზარდა.

ზოგი დიდი იყო, ზოგი პატარა, ერთს დიდი სიმძლავრე ჰქონდა, მეორეს — ნაკლები. ზოგი ვალზე აღდრ ამენდა, სხვებმა ძალიან დაიგვიანა. ერთის კილოვტსაათი ძალიან იაფი დაჯდა, მეორის მთლიანმა ღირებულებამ პროექტით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვას გადააქარბა. ასეც იყო და ისეც. მაგრამ თვითეული მათგანი ერთ ენერჯოსისტემაში გაერთიანდა და მეტალურგიული თუ ქიმიური ქარხნების, კვების

**მამლა ზამლიაშვილი**  
**ზან სინათლისა**

მრეწველობისა თუ მანქანათმშენებლობის, სოფლის მეურნეობისა თუ ფეროშენადნობის, კურორტმშენებლობისა თუ სახალხო მეურნეობის ყოველი სხვა დარგის განვითარების პარველ მიზეზად და საფუძვლად გადაიქცა.

ორთავალქისმა თბილისის სანაპირონი ვაშშ-ვენიერა, მტკვრის დონე აამღლა, სანაოსნოდ გამოსაყენებელი გახადა, ქალაქს დიდებული ხილი შესძინა.

სამგორის ჰესებმა...

სამგორის ჰესებს თბილისის ირგვლივ უსარგებლოდ მდებარე მიწების მორწყვისა თუ ათვი-სების ის ამოცანა დაეკისრა, რომელიც უსოვარ დროიდან ხალხისა და ქვეყნის საზრუნავს აღადარებდა იყო გამზდარი. დაწყებული მეფე ერეკლეთი და ვინ იცის, ვისით დამთავრებული, ყველა შეეცდილა იორის წყლით სამგორის ზედაპირდახეთილი მიწების მორწყვას.

როგორც კ. ჩარკვიანი გვიამბობს, ზემოაღნიშნულ ნაშრომში 1887 წელს მეფის ნაცვალ ვორონცოვის ექსპერიმენტრინი არხი გაუჭრი და არხის ბოლოს მონუმენტი დაუდგამს. კახეთის გზატკეცილიდან ახლაც მოჩანს და ახლან მისულებს წარწერის წაეთხვაც შეუძლიათ. „დადგმულ არს სახსოვრად იორის არხის დასრულებისს ჩუმი (1849) წელსა მეფობისა ნიკოლოზ პირველისა და ქაშსა ნამესტნიკობისა ვორონცოვისა. არხი ესე დაწყებულ არს მეფისა ირაკლისა მიერ. განაგებდა... (აქ წარწერა დაზიანებულია) ბაგრატიონ მუხრანსკი“.

არხის მშენებლებს ძეგლის დადგმა ცოტა ნაჩქარვედ გამოეცლიათ. არხის დამთავრების აღსანიშნავად დაუდგამთ, მაგრამ რაღა აღუნებნათ, თუ თვითონ არხი არ დაუმთავრებიათ.

რამდენიმე წლის შემდეგ იმ არხს მიინც დირსებია დამთავრება, ოღონდ არა „მეფობისა ნიკოლოზ პირველისა და ქაშსა ნამესტნიკობისა ვორონცოვისა, არამედ მათი სიკვდილიდან 7-8 წლის გასვლის შემდეგ“.

ჩვიდმეტოდე წლის შემდეგ კი ის არხი ნაარხალად, ხოლო ძეგლი გამოაცანად ქცეულა კახეთის გზაზე მიმავალი კაცისათვის.

არქვის ისე ჩაბარდა, არა თუ არ დაუმტკიცებიათ, არც განუხილავთ ფოთი-ბაქოს რკინიგზის გასყვანად ინგლისიდან მოწვეული უნივერსალური ინჟინრების ბელისა და გაბის შესანიშნავი პროექტი, რომელიც ამ ველების მორწყვისა და ქალაქის სასმელ წყლით უზრუნველსაყოფად თბილისის ზღვის შექმნას ითვალისწინებდა.

და მიინც ამ მიწების მორწყვის ოცნება იმ ცარილზეც დღევრძელი აღმოჩნდა.

გასაბუკების პირველივე დღეებიდან უკეთესი პირობებიცქვიოსების ჰკინაძის, მაჩრადის, ფირალიშვილის და სხვათა და სხვათა ცდა ახალკაცმა და ელერდაშვილის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულმა პროექტმა დაავიარკვი-

ნა და ქვეყანაზე გაჩნდა თბილისისა და სოხოსის ლურჯი წყალსაცავები, 35700 ჰექტარზე გასართავებული მიწა, მსხვილი, საგარეუბნო საბუკოთა მეურნეობები, რომლებიც თბილისსა და რესთავის მოსახლეობას რძით, ხორციით, ბოსტნეულით, სუფრის ყურძნითა და ხილით ამარაგებს და სამი ჰესი: საცხენისსესი, მარტყოფესი და თეთრიხევსესი.

მართალია, ამ ჰესებს საქართველოს დღევანდელ ენერგოსისტემაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, მაგრამ ზემო სამგორის საირიგაციო სისტემის აშენებაში დიდი ღვაწლი და ხარჯი მიუძღვით.

ლაჯანურჰესმა რიონის დანაშული გამოისყიდა, რომის დამშრალი კალაპორტი გააწყალუნხვა და ქუთაისს მდინარე დაუბრუნა.

თუ ენგურჰესის პირობების კასკადში შემაგვალ ვარდნილჰესს არ ჩავთვლით, ელექტროგამომუშავების მიხედვით საქართველოში დღეისათვის ყველაზე დიდი ლაჯანურჰესია. ლაჯანურის პირობების თაღოვანი კაშხალი საბუკოთა პირობების ყველაზე საინტერესო მოვლენად გადაიქცა. ასეთი ფორმის კაშხალის აგება თვით დალოცვილი ბუნებისა და ინჟინერლოსაბერძინის არანაკლებად დალოცვილი ნიჭისა და აზლოს შედეგი იყო.

თაღოვანი კაშხალი ეგრევე გამოსახულ იმ მრუდხაზოვან წყალსაცავებელ ნაგებობას ეწოდება, რომელიც მთელ დატვირთვის საყრდენ კლდეებს გადასცემს და თვითონ თაღოვან მუშაობს.

პირველი თაღოვანი კაშხალი 1611 წელს იტალიაში აშენდა. ქვითორის ნაგებობას თაღაპირველად თიხი მეტრის სიმაღლე ჰქონია, მერე თანდათან უმაღლებიათ და ორას ორმოცდაათი წლის შემდეგ 38 მეტრამდე გაუზრდიათ.

ეგროპასა და აზიაში მცირე ზომის თაღოვანი კაშხლები შემდეგაც უშენებიათ. თავის ნამდვილ განვითარებას ასეთი კაშხლები ჩვენს საუკუნეს უნდა უმაღლოდღენ. მათგან ყველაზე უმაღლესი სამ ქვეყანაშია აშენებული. საფრანგეთში — ტინისა (180 მეტრი) შვეიცარიაში — მოვუაზენისა (237 მეტრი) და იტალიაში — ვაიონტისა (264 მეტრი).

ლოსაბერძინის მიერ ნანგარიშები და პირობებიცქვიოსთა გამოცდილი კოლექტივის მიერ აშენებული ლაჯანურის კაშხალი მთელ ზენს ქვეყანაში პირველი თაღოვანი კაშხალია. სამოცდაათი მეტრის სიმაღლის მქონე კაშხალს თავსა და შუაწელში ორ-ნახევარი მეტრი სიგანე აქვს, ხოლო ფუძესთან — შვიდ-ნახევარი.

ასეთი ფორმის კაშხალმა გრაფიტოულს გაუწია მეტოქეობა და ყველა მაჩვენებლებით დაჯანა. მის აშენებას სულ 25 ათასი კუბომეტრი ბეტონი დასჭირდა, მაშინ, როცა, გრავიტაციულს 112 ათასი კუბომეტრიც არ ეყოფოდა. თაღოვანი 28 მილიონი მანეთი დაჯდა, გრა-

ვიტაქტორი კი 53 მილიონი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი დიხარავებოდა.

ლაჯანურის თაღოვანმა კაშხალმა ულამაზესი წყალსაცავი შექმნა. იგი უშველებელ სარკედ გამოიყენა ლეჩხუმის ულურჯესმა ცამ, ირგვლივ შემორიგებულმა, ზეიადმა მთებმა და ლეჩხუმლების ღამაზაიენაინმა სახლებმა. შემოდგომისას აივნის მოჩუქურთმებულ სვეტებზე ჩაოკიდებული ჭურმისა და ბროწეულის ასხმულები, ხახვისა და ნიერის ვალები, ფშტის ტოტები, ჩხები, აკილოები და ჩურჩხელები იმ სარკეში იწონებენ თავს.

ლაჯანურის თაღოვანი კაშხლის გამოცდალება და სხვა ქვეყნებში აშენებულის შესწავლის ზედმისაწვდომობა დაედო საფუძვლად ჰიდროკინეტიკის — ენგურპეისის დაბროექტებას.

ენგურპეისი ყველა იმათზე, ერთად აღებულზე ორჯერ და მეტჯერ დიდია, რაც დღემდე აშენებულა საქართველოში. ორჯერ და მეტჯერ დიდია ცხრა მთავარ ელექტროსადგურზე: (ზაპსი, რიონპეისი, ხრამპეის-1 და 11, სოხუმპეისი, ჩითახევესი) ორჯერ და მეტჯერ დიდია, როგორც სამუშაოთა ფიზიკური მოცულობით, ისე დაბროექტებული სიმძლავრით. მისი პროექტის შექმნა და მისმა აშენებამ ქართველი ჰიდროტექნიკოსები მსოფლიოს დიდ ჰიდროტექნიკოსებს ამოუყენა გვერდით.

ენგურპეისმა უკეთეს ქართველთა თითქმის ასწლიანი ოცნება ვანახორციელა. გასული საუკუნის მიწურულში ქართული მრეწველობისათვის თავდადებული მებრძოლი, ამ დარგში თითქმის ყველა წამოწყებათა სულისჩამდგელი ნიკო ნიკოლაძე ქართველი საზოგადოების წინაშე აყენებდა ენგურის შესწავლის საკითხს და ამ მიზნით რუს და უცხო სპეციალისტებს იწვევდა.

კავკასიის ქედისა და ზღვის სიახლოვის გამო, ყველა აქაურ მდინარეს დიდი ვარდნა აქვს, ხოლო კალაბოტი უმთავრესად მთებშია ვაკეაღული, რაც მაღალი კაშხლების აშენებისა და, მაშასადამე, დიდი მოცულობის წყალსაცავების შექმნის პირობებსა და საშუალებას იძლევა. ყინულის ნაქურით ნაკვები მდინარეები გაზაფხულიდან ვიდრე შემოდგომამდე უხვწყლიანია, მაგრამ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას წყლის დიდ ხარჯს ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც მის რეგულირებას, რის საშუალებასაც წყალსაცავები იძლევიან.

ჩვენი მდინარეებისადმი უცხო მეცნაერთა მაშინდელი ინტერესის ერთი ძირითადი მიზეზი ესეც იყო.

ჰიდროელექტროსადგურების დიდი და მარფიანი მომავალი იმავეითვე ცნობილი იყო. აბა, როგორ არ დაინტერესებდათ ასეთი შემოსავალი.

სამაგიეროდ ენგურის ირგვლივ აშენებული ღარიბი სოფლები არავის აინტერესებდა.

აქაური წვიმებით ნანებიერები ქაღები და ჰატარა გორაკებზე გაივალ ტყეებში გაშვებულიყო. სახლებიც გორაკებს შეხიზნოდა, რადგან დაბლობში ქობები და მეწყერები გულბორბტ მტრებივით ჩასაფრებულნიყვნენ.

აქა-იქ გაჩვილი ალოგებში სიმინდის ყანები ლურჯად შრიალებდა. ყანის პატრონი ერთთავად იარაღშემართული დადიოდა, რადგან თავსაუღნადირის დღე და ღამე არ გაეგებოდა. ალიონზე აბაჯაჯებული დათვი სიმინდსა ტროავდა, შელამებულზე ლამის კიშპართან მოსულ საქონელს მგელი ყელს უღადრავდა.

რის ვაინახრობით მოწვეულ კირნახულს საბაზროდ ვაჭირებულის მეტი ვინ გამოიმეტებდა. ჭურჭინაკიდებულ ცხენებს ორი გროშის ასაღებად ბაზრის გზას უყენებდნენ. დღიანელზე ამგზავრებულებს ღამე მინც ტყეში უსწრებდათ. იმ თოკივით წვრილ ბლიცზე შემხედრთათვის გზა დაეგდოთ კი არა, თითო-თითონ ვერ ეტოვდნენ. ჭურჭინის თვლები ხეებს ეხატქუნებოდა და ხან ცალ-მხარეს ფერდებებოდა, ხან მეორე მხარეს, ხან ფეხწაფორთხილი ცხენიდან ცურდებოდა. მარტო კაცი გზას როგორ გაუდგებოდა, ვინ იცის, რამდენჯერ ვახდებოდა ის ჭურჭინი ჩამოსაღები და ისევე ასაკილი დაღამებულზე შუა ტყეში დანთებული ცეცხლის ალი ცასა სწვდებოდა, ნადირს აფრთხოდა, შემოდგომის ნესტიანი სიცივით გათოშილ მგზავრებმა ხელ-ფეხს უთბობდა.

უდიდესი ჰიდროკვანძის — ენგურპეისის მშენებლობა გზების გაყვანით დაიწყო. მისი მშენებლობის მრავალწლიანი ისტორიაში ზირველი პერიოდი ურთულესად იმიტომ ითვლება, გვირახის ვაჭრა თუ კაშხლის აგება მაშინ დაიწყო, როცა შესაფერისი ტექნიკა არ არსებობდა. ენგურპეისის მშენებლობას ისეთი დღეებიც ახსოვს, სხვადასხვა საუწყებოდან ჩამოსულ კომისიას ის უნდა გადაეწყვიტა — საერთოდ ღირდა თუ არა მშენებლობის ვაგრძელება, იმ დროისათვის, იმდენად რთულ და სერიოზულ ობიექტად ითვლებოდა. იმ კომისიამ ადგილზე ჩატებული ისეთი დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ნახა, ისეთ რთულ პირობებში მომუშავე და ისეთი დიდი ენთუზიაზმის მქონე ადამიანებს გაეცნო, რომ უყოყმანოდ გადაწყვიტა მშენებლობის ვაგრძელება.

და დაიწყო 310 კილომეტრი საერთო სიგრძის მქონე გზების ბეტონითა და ასფალტით მობირკეთება, მშენებლობის ტერიტორიაზე მოხვედრილ მოსახლეთა ვადასახლება, მათი სურვილის მიხედვით შერჩეულ ადგილებზე, მათთვის

**მედაა შავლიაშვილი  
გზა სინათლისა**



ახალი სახლების აშენება და გზის ზედ კონსტრუქციები მიყვანა.

ის მანძილი, ხურჩინაკილებული ცხენი ლამის ორ ღღეს რომ ანდომებდა, მანქანის მეორე ერთ საათში დასაფარი აღმოჩნდა.

გზა ყოფილა, რაც ყოფილა. იმ გზამ აქაურებს ყავარჩამომპალი, ჩაქამებული და ხეხმოდებული ფიცრის ოლები ქვისა და ბეტონის ორსართულიანი, მწვანედ, ცისფრად და ვარდისფრად გადაღებულ სახლებით შეიცვლევინა. კარწინ ჩამომდგარი მანქანები მოამრავლებინა, ოჯახი ნაირნაირი ავეჯითა და ქონებით აავსებინა.

ზნაუცა ყოფილა, ელექტრობაც, კარდაკარ ჩამორიგებული ვაზიც, სახლებში შეყვანილი მილსადენიც, ცხვირწინ გაჩაღებული მშენებლობაც, სამუშაოს საძებნელად ცხრა მთის გადავლა რომ არ გვირდება და სამუშაოდან დაბრუნებული საყუთის ბაღ-ვენახს მიუბრუნდები.

ენგურის პილაროელექტროსადგურის საერთო სახელწოდებაში ხუთი ელექტროსადგური იგულისხმება. მსოფლიოში უდიდესი თაღოვანი კაშხალი შეტბორილი წყალი ხუთმეტრილიმეტრიანი სადგრივაციო გვირაბს მიწისქვეშა ელსადგურამდე მიჰყავს. მიწის კაშხალთან (რომელიც ე. წ. ვალის წყალსაცავს ჰქმნის) ჩადგმული საქართველოში სადღესოდ ყველაზე დიდი სიმძლავრის მქონე ვარდნილობის I და შავ ზღვაში ჩამავალ, წყალაგყვან არხზე ჩამწყობვებულ, ერთნაირი ტიპის სამი ჰესი — ვარდნილობა—I, ვარდნილობა—II და ვარდნილობა—III. ეს უკანასკნელი ოთხი ჰესი უკვე ქვეყნის სასახურშია ჩაყენებული.

მიწის კაშხლით შეტბორილი ვალის წყალსაცავი ირგვლივ შემორიგებულ დიდ-პატარა გორაკებში ჩაყოლია. თევზის კანივით მზვზე აქერტლი მის ზედაპირს ჩვენი ქვეყნის ყველა წყალსაცავებთან შედარებით ყველაზე მცირე რბევია აღმოჩნდა, რაკი ის დიდპატარა გორაკები ქარს კი არა, ნიავსაც არ აკარებენ. ამიტომ რუმინელ და უკრაინელ, საბჭოთა ნაკრების თუ ბულგარელ ნიშბონებს საწვრთნელ-სავარჯიშოდ გულისა მასპინძელივით ეგებება.

ენგურის ექვსზე მეტი დასახლება გააშენა. აქედან, ძალიან კვანძის დასახლება ხუთი ათასზე მეტ მაცხოვრებელს ითვლის, ხოლო ფოცხოეწერი და ჯვარჯენი კიდევ უფრო მეტს.

ამ ხალხს ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის სკოლებიც ესპორიებთ, ბაღებიც, მღაზიებიც, კლუბებიცა და სპორტული ნაგებობებიც. საბერიოს დასახლებაში ასეთ ნაგებობათა თითქმის ყველა სახეობა არსებობს. ამ სპორტულ ბაზაზე გასულ წელს შეიქმნა ახალი სპორტული საზოგადოება — „ენგური“, რომელიც თავისი რანგითა და უფლებებით უღი-

ნამოსა, „სპარტაკს“ და სხვა კლუბებს შეადგენს. რდება, მაგრამ რომელიც ჯერ ქოლინარკულატორიაა, — ახლა იღვასა თევს და ჯერ ვერც წევრთა სიმრავლეს დაიბრძნახებს და ვერც მწვერონელთა რაოდენობას.

ენგურის შუა წელიდან ვიღვრ ზღვამდე დაქობებული მიწების დაშრობაც ენგურის წყალბაა და ერთთავად აღიღების მიშქევე მყოფი 6500 ჰექტარი მიწის გამოთავისუფლებაც, მიწისა, რომელზეც მომავალში ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგვის პლანტაციები გაიბრუნდება.

ენგურის ჯერ არ დამთავრებულა. მიწისქვეშა ელექტროსადგურის ხუთი ტურბინიდან ჯერ ერთიც არ დაბზიანებულა. 271.5 მეტრიანი თაღოვანი კაშხალი, რომელიც გრავიტაციულით შედარებით თითქმის ექვსჯერ ნაკლებ მოცულობას დასჯერდა, ურჩი ენგურისათვის ჯერ ერთი ლიტრი წყალიც არ შეუტბორია და მინც ენგურის მშენებლები უკვე გულანახადის ასაკრავად და ხულონის პილაროკვანძის მშენებლობაზე გადასვლისათვის ემზადებიან.


ჯვარჯენიდან 25-30 კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც თაღოვანი კაშხლის მიერ შეტბორილი წყალსაცავი შეუტბორავ მდინარეს შეიერთებს, ხულონისა და სპარტაკის ხეობები. ახალი პილაროკვანძი — ახალ წყალსაცავს შექმნის, ხაიშსა და მის მიდამოებს, აგრეთვე ხაიშ-მესტის გზის ნაწილს შეტბორავს. იმ გზის მაგივრად 44 კილომეტრის შარავას მთის მწვერვალებზე გადაატარებს და არწივებსა თუ ორბებს ახალი საბუდრის შოვნის საფორალს გაუჩენს. ეს პილაროკვანძი კაშხალთან ითვლისწინებს ჰესის ანუ გვიანტური საქაინ ტუმბოს აშენებას, რომელიც დღისით ჩვეულებრივი ელექტროსადგურივით ელექტროენერჯის გამოიმუშავებს, ხოლო დამით, იმ წყალს, რომელიც დღისით დიხარჯა, ისევ უკან, წყალსაცავში დააბრუნებს.

ვარციხელები, რომლებმაც მიმდინარე წელს ვარციხელების პირველი აგრეგატის ამუშავება იზეიმეს, რომის აუყვებიან ზევიც და ვარციხესა და ლაქანურის შორის ახალ პილაროკვანძს — მამახვანს ააშენებენ.

ენგურის მშენებელთა ერთ ნაწილს მღინარე კოლორისაკენ მიუწევს გული, სადაც კიდევ ერთი ჰესია — ასაშენებელი.

თბილისის მახლობლად ქინვალისას მშენებლობა რომ არა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ქინვალის მიწაში სიმღვოდ დამალული მონღოლების მიერ აოხრებული ნაქალაქარის საიდუმლო. ნაციხარის ნანგრევებისათვის გერდი რომ აევლო, გზის ტრასის შეცვლას მილიონი მანეთი შეეწირა.

სამგორის ჰესებისა არ იყოს, ქინვალისაკე კომპლექსური დანიშნულებისაა. მისი სიმძლავ-



რე 130 ათას კილოვატს უდრის, გამომუშავება 500 მილიონ კილოვატსაათს. ამ ჰიდროკანდს 40 ათასი ჰექტარი მიწის მარწყვა და თბილისის-სათვის წამში 5 ათასი ლიტრი სასმელი წყლის მიწოდება ევალება. არაგვის დარეგულირება და წყალდიდობათა თავიდან აცილებაც მისი საზრუნავია.

საქართველოს ჰიდროტექნიკის განვითარებამ ბევრი თეთრად გათენებული დამეგები შეიწირა. წინა თაობამ ცოდნა და გამოცდილება შემდეგ თაობას — მიშა ცისკარიშვილსა და ნოდარ ემუხვარს, ვოვა ჯაფარიძესა და ალექო გოჯიაშვილს, ლევან ჯაყელსა და მიშა აბზიანიძეს, სპარტაკ საბაშვილსა და ივერი მაისურაძეს, ვახტანგ გარბილშვილსა და ივანე გაბუნისს, ლუკა ტყემალაძესა და ოთარ გოგიჩაძეს გადაუღო-ცა.

ბუნების მიერ ნაბოძებ სიმდიდრეთაგან, (ქვანახშირის, ნავთობის, ლითონისა და სხვათაგან) განსხვავებით, ჰიდროელექტროენერგია მხოლოდ ერთხელ თხოულობს შრომის, თანხები ია და დროის დახარჯვას. რაკი ნაგებობანი აშენდება, მერე აღარაფერი იხარჯება. 1975 წლის დეკემბერში დამთავრებულმა ენგურჰესის წყალსაგდებმა ნაგებობებმა სადღესოდ უკვე სავსებით გამოისყიდეს თავი და თითქმის მუქთ ენერგიას იძლევიან. და მიუხედავად იმისა, რომ ვარდნილიან-1 სრული დატვირთვით არა მუშაობს, გასულ ზამთარში ენერგიაზე ვაჭირვების გამო, ეს ჰესი რომ არა, ბევრ ოჯახს სხეუნზე ატანალი ლამფის მონახვა დასჭირდებოდა.

1890-1894 წლებში ქ. მოსკოვის გაზით განათებაზე 139136 მანეთი იხარჯებოდა. ნათით განათებაზე — 195731 მანეთი, ხოლო ელექტრონით განათებაზე სულ 13113 მანეთი.

1913 წელს მთელ მოსკოვზე 4 ათასი ელექტროგანათების წერტილი მოდიოდა.

1939 წელს მოსკოვს უკვე 45 ათასი ასეთი წერტილი ჰქონდა. 1950 წელს — 60 ათასი, ხოლო დღეისათვის მოსკოვის ქუჩებს 100 ათასი თანამედროვე დანარი ანათებს.

1913 წელს საქართველოში აშენებულ ელექ-

ტროსადგურების ჯამური სიმძლავრე მხოლოდ კილოვატს უდრდა. გამომუშავება 20 მილიონ კილოვატსაათს.

1940 წლისათვის საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე დიდად გაიზარდა.

მდინარეთა ენერგია მუქთია და დაეყვდრებელი, მაგრამ დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ჰიდროტექნიკოსი ბუნების მაჯისცემას, როგორც ექიმში ავადმყოფისას, უნდა უსმენდეს. გარდა ეკონომიური დასაბუთებულობისა და გამართლებულობისა, ჰიდროელექტროსადგური ისე უნდა აშენდეს, რომ სახალხო მეურნეობის არც ერთ სხვა დარგს ზიანი არ მოუტანოს. არც ზღვეს უნდა დააკლოს ის ქვა და ღორღი, ხარკად რომ მოაქვთ მთის მდინარეებს, თორემ გააყვდელი შემოგვეტრება და ოქროდღირებულ მიწას წაგართმევს, არც ძვირფასი თევზი უნდა გადააშენო, არც ისტორიული თუ არქეოლოგიური ძეგლი უნდა დატბორო, არც ის მიწები ამთავარო წყალს, უნიკალური ჯიშის ღვინოებს, ტეშსა თუ ოჯალეშს რომ იძლევიან, რამეთუ ვერავითარი შრომა ვერ გაზრდის მათ ოდენობას, და, ხელოვნების ძეგლისა არ იყოს, არც დახარჯული შრომით განისაზღვრება მათი ღირებულება.

ეს ყოველივე უნდა გაითვალისწინო და ჰიდროელექტროსადგურები უნდა აშენო უსათოდ უნდა აშენო რადგან როგორც მე-25 ყრილობაზე ითქვა: „...სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ენერგეტიკის განვითარებასთან“.

ამ განვითარების შედეგია ის მიღწევები 1976 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის კონენსტრუქციის პარტიის 25-ე ყრილობაზე აშ. ლ. ი. ბრეჟნევიმ რომ აღნიშნა: „ექვსი ათეული წელი — აღამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე ნაკლებია. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ისეთი გზა გაიარა — ასეულ წლებს რომ ეთაქადება“.

...ოლონდ კი აღსდგეს სამშვიდობოდ სამყარო მთელი, ყველამ ერთმანეთს მეგობრულად ჩასჭიდოს ხელი, რომ ქვეყნად ყველგან სიხარულის იყოს მრავლობა, რომ მადლიერი გვიხსენებდეს შთამომავლობა, — სთქვან: ჩვენი დედა, ჩვენი დიდი სამშობლო მიწა, მართლაც სანუკვარ, მართლაც უტკბეს ოჯახად იქცა!..

ნოდარ გურაშვიძე





## მა, ზღვა და ხელები

უკვე სამოცი წელია ოქტომბერი დაბიჭებს ჩვენს ქვეყანაში, აღმშენებლობის, დიადი გარდაქმნების, ჯერ არნახული მეგობრობის სამოცი წელი, ერთა ძმურ ოჯახად რომ გააერთიანა მრავალეროვანი ჩვენი საშობლო. სამოცი წელია, ერთმანეთის გვერდით იღვწიან რუსი თუ ქართველი, უკრაინელი თუ ტაჯიკი, ბელორუსი თუ უზბეკი, მოლდაველი თუ ყირგიზი, ლიტველი თუ ლატველი, სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ესტონელი, ყაზახი თუ თურქმენი. ასე იწერებოდა და იწერება ახალი საბჭოური ცხოვრების ისტორია და მის ფურცლებში არა ერთი და ორი აღამიანის სახელი ბრწყინავს.

ამ ნარკვევში ერთ-ერთ მათგანზე მოგითხრობთ.

გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილი — ცნობილი ავიაკონსტრუქტორი, სსრკ ორჯონის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-მაიორი. ენციკლოპედიებში, აგრეთვე, ბერძენულ არის მოხსენიებული. 1978 წელს უსრულდება 75 წელი. საშუალო ტანისაა, აბსოლუტურად ფეთრი თმა და საოკრად სათნო სახე აქვს, თუ მუნდირმა არ გასცა, ვერც წარმოიდგენთ, რომ გენერალ-მაიორია, სამხედროები ხომ სახის თავისებური, მტკიცე ნაკვთებით გამოირჩევიან. გიორგი მიხეილის ძეს რომ გაიცნობთ, მიხვდებით — ამ სიმტკიცეს გულით ატარებს.

უცნაურად გავიცანი გიორგი მიხეილის ძე. თებერვლის ჩვეულებრივი, თოვლიანი დღე იდგა მოსკოვში. ელექტრომატარებელი ჩრდილო-დასავლეთისკენ მიჰქროდა, დასავლეთისკენ ტყის მისივია, აი, იქ, ტყის შუაგულში, მალღივი შენობების ერთ-ერთ კორპუსში, როგორც მითხვრეს, წევს გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილი. კორპუსები-მეთქი, თორემ მთელ ქალაქს წარმოადგენს ეს კორპუსები, თავისი მალაზიებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტებით. ქალაქი ლამაზი, დეკორატიული ნარგავებითა და მვეთულბადითაა შემოკავებული. შესასვლელთან აწერია: — „ჰოსპიტალი“.

ჰოსპიტალში, რა თქმა უნდა, ნებართვის გა-

რეშე არავის უშვებენ. მე ეს ნებართვა არა მაქვს და ამიტომ ჯერ-ჯერობით მზალოდ ტელეფონით ვაპირებ დაკავშირებას.

... ყურმილს განყოფილებს უფროსი მედლიტეზი, ვუხსნი, რისთვისაც ვაწუხებ.

— მერე, არ იცით, რომ ავადმყოფის შეწუხება რომ არ შეიძლება?

— გასაგებია, მაგრამ... სხვანაირადაც არ შეიძლება!

ყურმილს იქით სიჩუმეა, შემდეგ უკმაყოფილო, მაგრამ შედარებით შერბილებული ხმა მამშვიდებს:

— ვნახოთ... თუ ისურვებს...

... პატივცემულმა გიორგიმ ისურვა და ეს „არალეგალური“ შეხვედრა ორი დღე გაგრძელდა. (ახლა უკვე შეიძლება ამის თქმა) და ამ ორმა დღემ უდიდესი სიამაყე განმაცდევინა მე, როგორც ყურნალისტს, როგორც საბჭოთა აღამიანს და, როგორც ქართველს. გიორგი მიხეილის ძე მიყვებოდა თითქმის ყოველ წვრილმანს თავისი ცხოვრებისა და ამ მონაყოლში ჩანდა დიდი აღამიანი, კომუნისტი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნია ღვიძლი საქმისადმი, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულისადმი.

მეორე დღეს, როდესაც გამოვემშვიდობე გიორგი მიხეილის ძეს, უფროსი მედლისაც გამოვუარე და დიმიტრი ვკითხვ:

— კი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ თქვენ,



ვინც ტელეფონზე საუბრის უფლებასაც არ მიძღვდით, ჩვენი შეხვედრაც მოაწყვეთ?... — გიორგი მიხეილის ძეს, როცა მოვახსენე

ჭართველს უნდა თქვენთა შეხვედრა-მეტი, იცით, რამხელა სიხარული ჩაუდგა თვალებში? პირდაპირ საოცარი იყო... და როგორ შემეძლო „მშრალი კანონისთვის“ არ ამევილო გვერდი, ვფიქრობ, მაპატიებს კანონი...

კიბეზე რომ ჩამოვდოდით, თან მომყვებოდა გიორგი მიხეილის ძის ეს მჭრქალი სევდით (მე არ მეშინია ამის გამხელა) გაციაგებული სიტყვები: — „ჭართველთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის საქართველოსთან შეხვედრაა. მით უფრო ასეთ პირობებში, თქვენ რომ შეგხვდით. ჩვენს დიად სამშობლოში, საბჭოთა კავშირში, ადამიანი სადღე უნდა იყო, რა სამუშაოს არ უნდა ასრულებდეს (რა თქმა უნდა, ხალხის საყეთილდეთი საქმე მაქვს-მხედველობაში), ყოველთვის გრძნობ სიყვარულს, მხარდაჭერასა და საქმიან-რჩევას, ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩუკოტიდან კალინინ-გრადამდე მუდამ საკუთარ კერასთან იგულვო თავი, მაგრამ, იცით, საკუთარი ბუხარი მაინც საკუთარი ბუხარია, რომლის სითბოთი გამოთბარ დარბაზში დარწმუნა შენი აკვანია, ამ სითბოს დედისა და ბავშვობის მოგონების სითბოც ახლავს უპირველესად და (მოუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს გამიწყვეტია კავშირი) ამიტომაც ჩემთვის მასთან ყოველი მორტი შეხვედრა დიდი ამბავი... ეს შეხვედრები მაგონებენ მე ჩვენს ლამაზ თბილისს, საბურთალოს გორაკს (ნუ გაიკვირებთ, მაშინ იქ, მართლაც მხოლოდ გორაკი იყო), პანკისის ქუჩას, სადაც დავიბადე... თბილისმა და საქართველომ ჩაუყარა ჩემს ცხოვრებას მყარი საფუძველი და უმაღური უნდა ვიყო ეს რომ დავივიწყო!“

ამ ბოლო ხანებში ქართულ პრესაში ორიოდ წერილი გამოქვეყნდა, რომლებმაც მკითხველებს ნაწილობრივ მაინც გააცნო გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილი, მაგრამ მე გული მწყვდება, რომ ამ კაცზე აქამდე აქ, ჩვენთან, საქართველოში, არც ისე ბევრი რამ ვიცოდით, თანაც (მაპატიონ კოლეგებმა) არც ეს წერილებია სრული. არადა, მასზე უკვე წიგნებს წერენ ისტორიკოსები (დიან, ისტორიკოსები) და ერთ-ერთი მათგანია შესამე რანგის კაბიტანი, ისტორიკოსი-მწერალი ანატოლი ბორისის ძე გრიგორიევი, რომელთან ერთად ორიოდ ფის შემდეგ მისსავე ბინაში ერთხელ კიდევ შევხვდი გიორგი მიხეილის ძეს, მაგრამ, ვიდრე ამ შეხვედრაზე ვიტყვოდ რამეს, მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო:

მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალური

სახლის „კაბაკში“ ნელ-ნელა ქრება გაბრუნდ-ღვიალბული ჰალი და ოდნავ მრცხისტრო მოყვითალო შუქი სადგურდება. ჩუქოლია ქვე-ქებს შორეულ შუქვარსკვლავად აუკიფდათ სილურჯე. აქ წყვილებად შემოდინან, მხოლოდ ჩვენს მაგიდასთან ვზვიართ ორი მამაკაცი. მაგიდა დარბაზის ცენტრშია და პირდაპირ ვუყურებთ ესტრადას. ესტრადის წინ საცეკვო ფართია. მე ანატოლი ბორისის ძე გრიგორიევის გვერდით ვზვიართ. მეტად სინტერესო პიროვნებაა ჩემი თანამოსაუბრე. მეზღვეური კაცი ჩვენს ქვეყანაში საზღვაო-საპა-ნურო ნავიგაციის განვითარების ისტორიაზე მუშაობს. მისი დოკუმენტური მითხრობები ამ თემაზე, ნარკვევები და რეპორტაჟები სის-ტემატურად იბეჭდება საკავშირო პრესაში. ამ კაცში ერთნაირადაა გამჭდარი სამი სიყვარუ-ლი, სიყვარული ზღვისა, ჰაერისა და მწერ-ლობისა. მის ბინაში რომ შეხვალთ, რომე-ლილაც დიდი არქივის ერთ-ერთ განყო-ფილებაში გვეგონებათ თავი. კატალოგები, უნიკალური ფოტოები, დოკუმენტები, ყველა-ფერი აქურატულად და საქმის ცოდნითაა ჩაწყობილი კარალებში და საცავებში.

— გიორგი მიხეილის ძე არის ის ადამიანი, რომელმაც ფაქტურად საფუძველი ჩაუყარა და განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა ჩვენს ქვეყანაში მფრინავი ნავების შექმნის საქმე! — ხმამალა თქვა ანატოლი ბორისის ძემ, ისე ხმამალა რომ მეზობელ მანგილებთან მსხლდომაც ესმოდათ, შემდეგ ანატოლი ბორისის ძე მათკენ შებრუნდა:

— გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილის საღ-ღეგრძელოს გთავაზობთ, კოლეგებო!

ოთხი ახალგაზრდა მფრინავი ფეხზე წამო-დგა და შეთავაზებულ საღღეგრძელოს მხარი დაუჭირეს.

— გაუმარჯოს საზღვაო-საპაერო ფლოტს! იქნებ არც არის მიზანშეწონილი, როდესაც ჟურნალისტი სატრაპეზო მაგიდასთან მომხდარ ამბებთან, საღღეგრძელებთან დაკავშირებული ეპიზოდებით ამღიდრებს თავის ნარკვევს, რეპორტაჟს თუ ინტერვიუს (მე ბოლიშს ვუხლი მკითხველს), მაგრამ ამ ეპიზოდმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რაოდენ პოპულარულია სპეციალისტებში გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილი, კაცო, რომელზედაც (ვიმეორებ) აქამდე ბევრი არაფერი ვიცოდით.

— ამაში მისი უადრესად მოკრძალებული ხასიათი დამნაშავე! — ჟერ კიდევ აქ შემოსვლამდე მითხრა ანატოლი ბორისის ძემ.

...დარბაზის შორეული. კუთხიდან ტან-

ზაურ ფიფია  
ცა, ზღვან და ხეილითი



ხმელი, მიღალი, შუახნის მდიორი გამოე-  
მართა. შემოუარა მოცეკვეთ წველებს და  
ჩვენს მაგიდასთან შეჩერდა.

— თქვენ შესვით გიორგი მიხეილის ძის  
სადღეგრძელო? — ოთხი მფრინავი კვლავ  
ფეხზე წამოაღა და ჩინითა და წლოვანებით  
უფროსს სამხედრო პატივით შეხვდნენ.

— ღიასი — ფეხზე მდგომებმა მიუბრუნებ  
ოთქმის ერთხმად.

— რა იცით თქვენ ამ კაცზე? გინახავთ  
ოღესმე?

— მე და აი, ამ ამხანაგს, გვაქვს ბედნიე-  
რება, ვიყოთ მისი უმცროსი მეგობრები! —  
უთხრა ანატოლი ბორისის ძემ და ჩემზე ანი-  
შნა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ... მე კი ერთხე-  
ლად არ მინახავს იგი, სამწუხაროდ, ერთხე-  
ლად არ მინახავს...

— ?!

— მე მისი ერთ-ერთი მარკის თვითმფრი-  
ნაზე. ავტო უკვე თხუთმეტი წელიწადია  
ჩრდილოეთის ზღვებზე დავფრინავ... აი, ამას  
პქვია მანქანა... მომიყევით გიორგი მიხეილის-  
ძეზე რაიმე, ა, ძმებო?

მიორმა ანდრე პორფილეს ძე როვანოვად  
გავაცინო თავი და ჩვენს მაგიდასთან მოაჩოჩა  
სგამი.

ანატოლი ბორისის ძე გრიგორიევმა და მე  
მას ქვემოთმოყვანილი ინტერვიუს შინაარსი  
მოუწყვეით:



— საუბარი დავიწყეთ თუნდაც იქაღან,  
რომ ჩვენი ქვეყნის საზღვრის ორი მესამედზე  
მეტე საზღვაოა და ამ უსასრულო სივრცეს  
ზამთარ-ზაფხულ, ღღე და ღამე, ქარში თუ  
თოვლად დარაჯობს საბჭოთა სამხედრო-საზ-  
ღვაო ფლოტი და საზღვაო ავიაცია, ხოლო ამ  
ავიაციის უმთავრეს შემადგენლობას მფრინავი  
ნაგები და თვითმფრინავმფობიები წარმოად-  
გენენ. ეს უკანასკნელი, თავისმხრივ, ორმოცი  
წელიწადია ემსახურებიან საბჭოთა ქვეყნის  
სამხედრო ძლიერებას საქმეს (განა მარტო  
სამხედრო ძლიერებას? ისინი დიდ დახმარე-  
ბას უწევენ ჩრდილოეთის სახალხო მეურნე-  
ობას, მაგრამ ამაზე სხვა დროს). ეს მანქანები  
ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში შეიქ-  
მნა სპეციალურ საცდელ-საოქსტრუქტორო  
ბიუროში, რომლის დამაარსებელი და ხელმძ-  
ღვანელი თქვენ ბრძანდებით. ამ საოქსტ-  
რუქტორო ბიუროში ცხოვრების საჯარო მიი-  
ლო ათობით ახალი ტიპის პილროთვით-  
მფრინავმა, აქ შექმნილი მანქანებით დამარე-  
ბული სამოციდათხი მსოფლიო რეკორდი, რა-  
მელთა შორის რამდენიმე დღემდე ხელშეუხე-  
ბელია, და კიდევ ბევრი რამ შეიძლება ვთქვათ  
მის მუშაობაზე, მაგრამ, ალბათ შორს წაგვიყ-

ყვანდა, მთავარი კი ის არის, *ქვემოთმოყვანილ*  
„საოქსტრუქტორო ბიუროს“ *ქვემოთმოყვანილ*  
სიტყვებს იქით მულამ თქვენ იგულისხმებით  
(ეს მარტო ჩვენი სიტყვები არ არის, — ასე  
ამბობენ სპეციალისტები და ჩვენი აზრით,  
სრულიად სამართლიანადაც)...

**მ. ბერიაშვილი** — სასიამოვნოა, როცა ასეთ  
კომპლიმენტებს ისმენ, მხოლოდ ზედმეტი არ  
მოგვივიდეს... (ილიმება).

— გვაპატიეთ თუ კომპლიმენტი გამოგვი-  
ვიდა... ეს სინამდვილეთაა ნაკარნახევი და  
შეიძლება კომპლიმენტად არც ჩავთვალოთ!  
გიორგი მიხეილის ძემ, ასეთი ტრადიციული  
შეკითხვა: — რატომ და როგორ განდით ავია-  
კონსტრუქტორი?

**მ. ბერიაშვილი** — (ილიმება) ილბათ იმიტომ  
რომ 1903 წელს დავიბადე...


— ეს ხუმრობაა, რა თქმა უნდა!

**მ. ბერიაშვილი** — ღიას! მაგრამ მინდა  
შეგახსენოთ, რომ პირველად ამ წელს მოეწ-  
ყო, ასე რომ ვთქვათ, შედეგიათი გაფრენა  
ძმებმა რატომბა ამ გაფრენით მთელი მსოფ-  
ლიო ალაპარაკეს, ხოლო რაც წევებმა ჩემს  
ბავშვობას, მასზე, მე ვიტყვოდი, უდიდესი  
შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს ქვეყანაში  
ავიაციის პიონერების, ტერევერკოვისა და  
ჩემი თანამემუღუბების შიუაშვილისა და  
ქებუნიას თვითმფრინავების პირველმა გამო-  
ჩენამ ცაში. მახსოვს, აგრეთვე, ცნობილი რუ-  
სი ავიატორის, უტოჩინის ჩამოსვლა თბილის-  
ში. სადაც მან რამდენიმე საჩვენებელი გაფ-  
რენა მოაწყო. მთელი ჩვენი ოჯახი გაემართა  
დიდუბისკენ, რომ შეხებდა ამ საოცარი მოვ-  
ლენისთვის. უსაზღვრო იყო მაყურებელთა  
აღტაცება, როდესაც უტოჩინი ცაში აიჭრა  
თავისი თვითმფრინავით. არც ისე დიხხანს  
გაგრძელდა ფრენა, მაგრამ ამაში ხომ არ იყო  
საქმე? ამ დღის შემდეგ მე და ჩემმა ძმამ, ვა-  
ნომ, „სერაიოხულად“ მოვკიდეთ ხელი „ავია-  
საქმეს“ — ფრანებს ვუშვებდით საბურთალოს  
გორაკებზე. რა თქმა უნდა, ეს იყო ბავშვური  
გატაკება, მაგრამ მაინც გატაკება, რომელიც,  
ხშირად, საფუძვლად დაედება ხოლმე, მთე-  
ლი შენი ცხოვრების მიზანს!..

შემდეგ ჩემს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნე-  
ლოვანი, რომელზედაც საუბარი უტრნალის-  
ტებთან ღირდეს, 1921 წლამდე, მაინცდამაინც,  
არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ  
მივიღებთ საშუალო განათლებას მიღებას.  
1921 წელს კი გავხდი კომკავშირელი. იმავე  
წელს გამიწვეეს საბჭოთა არმიის რიგებში.  
1923 წელს მქონდა ბედნიერება მიმეღო მონა-  
წილეობა ამერკავკასიის საპირო ფლოტის  
მეგობართა საზოგადოების ჩამოყალიბებაში...

— ბოლოს და ბოლოს...

**მ. ბერიაშვილი** — ღიას! ბოლოს და ბო-



ლოს ავიაციასთან კავშირი დავამყარე, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ ეს არ იყო საბოლოო კავშირი, ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა მედო წინ... იმავე წელს შევეცადე მოეხედრილიყავი ცნობილ ევროპეის საფეროსოს სკოლაში (მაშინ იქ სავსტრებიო იგნავენოდნენ მსმენელები), მაგრამ მიუხედავად კომპაეშორის აპირკავასიის კომიტეტის დაპირებისა, სავსტრი ჩემზე უფრო იბღლიანს შეხვდა... წითელი არმიიდან 1924 წელს დავბრუნდი და სწავლა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავაგრძელე, სადაც ლექციებს მიკითხავდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, კირიაკ ზავრიევი და სხვები. ერთი წლის შემდეგ გადავიდი ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელსაც ავიაციის განყოფილება ჰქონდა...

— რამდენადაც ვიცი ამ ინსტიტუტში მანამდეც ამზადდნენ ავიასპეციალისტებს...

**მ. ბერიაშვილი** — ...1910 წლიდან ამ საქმეს სათავეში ედგა ცნობილი რუსი ხომალდმშენებელი, პროფესორი ბოკლევსკი.

...1930 წელს დავამთარე ინსტიტუტი, მივიღე დიპლომი, რომელშიც ეწერა — „ინჟინერ-მექანიკოსი თვითმფრინავმშენებლობის დარგში“ და დამტოვეს ასპირანტურაში...

— ესე იგი, პედაგოგიური მუშაობისკენ გაგწოიათ გულმა?

**მ. ბერიაშვილი** — არა, არა! ეს ასე რომ არ იყო ამიტომ, ჩემივე თხოვნით მალე გადამიყვანეს მოსკოვის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროში სამუშაოდ...

— ამჯერად კი, გიორგი მიხეილის ძეგ, ალბათ, უკვე დაიდგათ დრო, თქვენი მრავალი წლის რცნების ასრულებისა, — თვითონ შექმნათ საპატრო ლინერი მოვაციყვიეთ, თუ შეიძლება, თქვენს ბიუროს თვითმფრინავზე!

**მ. ბერიაშვილი** — პირველმა ჩემმა, მანქანამ არ დააგვიანა. ამ დროისათვის უკვე მენსისკის სახელობის ქარხნის საკონსტრუქტორ ბიუროს უფროსის მოადგილედ ვმუშაობდმ თავიდან, როგორც წესს, მანქანის პროექტი ბიუროს საბჭოს ჩაებაბრე, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შედიოდნენ ისეთი ცნობილი ავიაკონსტრუქტორები, როგორებიც იყვნენ გრიგოროვიჩი და პოლიკარპოვი. პროექტი მოიწონეს და 1931 წელსვე საცდელი მფრინავი ნაფი, რომელიც გათვალისწინებული იყო ახლო მანძილზე დაზვერვისათვის, პატროში ავიდა. მას „მბრ-2“ დავარქვით. აქ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ჯერ კიდევ 1924 წელს, როდესაც თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ინსტიტუტის კომპაეშორის კომიტეტის მდივანი ვახლდით და ამ

პერიოდში განვიღობა კომპაეშორულმა სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა ჩემი, როგორც კომუნისტის, აღმადანისა და საბჭოთა მოქალაქის ჩამოყალიბებაში, ამ სკოლამ მომცა საშუალება კიდევ უფრო გამეფართოებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსოფლმხედველობა, შეგნება იმისა, რომ, თუ ხარ ადამიანი, მუდამ უნდა იდგე ხალხში, გესმოდეს მისი და ეცადო გავიგოს მანაც, ის კი აუცილებლად გავიგებს თუ სასარგებლო, საკაცობრიო საქმეს აკეთებ, გავიგებს და მხარში ამოგიდგება... დიახ, კომპაეშორმა შემაქლებინა ამის შეგნება და დღესაც, როგორც ხშირად თქვენ, ჟურნალისტები, იტყვით ხოლმე, კომპაეშორული წრთობის ქარისკაცად ეთვლი თავს... რატომ გავისხენე ეს?! — იმიტომ რომ კომპაეშორი კიდევ უთახლო ამომიღბა გვერდში და ეს ვახლდით იმ პერიოდში, როცა ჩემი თვითმფრინავის მშენებლობის საკითხი დაისვა, — ქარხნის კომპაეშორულმა რირგანიზაციამ შეფთბა გაუწია ამ მშენებლობას და, როდესაც ჰიდროთვითმფრინავი ჯერ ზღვის ტალღებზე მსუბუქად გასრიალდა, შემდეგ კი პერში აიჭრა, მართალი ვითხრათ, გული შემეძინდა სიხარულისაგან, დამშვიდებულმა კი ვიგრძენი რომ შემეძლო საკუთარ თავს გავმხელოდი, — უკვე ავიაკონსტრუქტორი ვიყავი... დამეთანხმებით, ეს წუთი დასამახსოვრებელია ყველასათვის, ვინც ცხოვრებაში პირველად გადის როგორც სპეციალისტი!

— „მბრ-2“-იც ასევე მალე თუ გავიდა „ცხოვრებაში“?

**მ. ბერიაშვილი** — ყოველივე ამის შემდეგ მას არაფერი ელობებოდა წინ და მფრინავ-გომოდელი ბუხჰოლდციის მიერ არაერთგზის გამოცდის შემდეგ „მბრ-2“ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მწყობრში მყარად ჩადგა. მე კი ქარხნის საზღვაო-თვითმფრინავების საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორად დამნიშნეს. „მბრ-2“-ზე დაფრინავდნენ გამოცდილი მფრინავები და თავიანთი წყლილი შეპქონდათ ჩვენი ქვეყნის საზღვაო საზღვრების დაცვის საქმეში. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, „მბრ-2“-ზე, მის გამოყობებსებაზე ყოველდღე ზრუნავდნენ კონსტრუქტორები...

— „მბრ-2“ სამხედრო თვითმფრინავი იყო, დიდ სამამულო ომში ხომ არ მიუღია მონაწილეობა?

**მ. ბერიაშვილი** — ვანა მარტო „მბრ-2“ მის გვერდით იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროში შემდ-

**ზაურ ფიფია**  
ტა, ზღვა და ხმლითი

ვომ პერიოდში შექმნილი მფრინავი ნაგები „კორ-1“ და „კორ-2“. როგორც მეზღვაურები ამბობდნენ ხოლმე, ეს თვითმფრინავები იყვნენ საბჭოთა საზღვაო ფლოტის თვალი და ყური. მათ იყენებდნენ, როგორც სადაზვერეო მიზნებისათვის, ასევე წყალსზედა და წყალქვეშა ხომალდების წინააღმდეგ ძირითად დამარტყმელ ძალად. საინტერესო არის ის, რომ ჩვენი მარკის არც ერთი თვითმფრინავი არ გაუნდადგურებია მტერს...

— თქვენის ნებართვით 22 ივნისის ეპიზოდო გვინდა მოვუთხოროთ მკითხველებს?

**მ. ბერიაშვილი** — საინტერესოა თავისთავად...

— 1941 წლის 22 ივნისის ღამე. ჰიდროთვითმფრინავების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უფროსი ლეიტენანტი ტრუნოვი, ბალტიის ზღვის მიდამოებში გადაიოდა სამსახურს. ზუსტად 3 საათსა და 30 წუთზე მფრინავებმა შენიშნეს, რომ რომელიღაც უცხო ხომალდები ჩვენს წყლებში ნადამებს აწყობდნენ. როდესაც თვითმფრინავები მიუახლოვდნენ ხომალდებს, რათა გაეგოთ რა ხდებოდა, იქიდან საარტილერიო ცეცხლი გახსნეს. ტრუნოვმა რადიოთი სასწრაფოდ გადასცა ეს თავის ხელმძღვანელობას და მიიღო რა იქიდან ბრძანება, დაბრუნდა ნაწილში. ნაწილში დაბრუნდულენა ბა უკვე გაიგეს, რომ ფაქტურა ვერმანამ იმი გამოუცხადა საბჭოთა ქვეყანას... ასე მიიღეს იმის პირველი ცეცხლი „მბრ“-ებმა თავიანთ თავზე...

**მ. ბერიაშვილი** — რახან ეპიზოდებზე მიდგა საქმე, არც ჩვენი საკონსტრუქტორო ბიუროს ერთ-ერთი უსუცესი თანამშრომლის კატურაევის ჩანაწერების გახსენება იქნება ურთუო...

პატენტებული გიორგი მაგიდის უჭრიადან იღებს სქელტანთან ალბომს და კითხულობს ჩანაწერების დედანს: — „1941 წლის აგვისტოს თვეში ვიმოყვებოდი ლენინგრადის ახლოს, ერთ-ერთ საფეიქო ნაწილში. მტერი ლენინის ქალაქს უახლოვდებოდა, ჰიდროთვითმფრინავების ესკადრილია მძიმე ბრძოლებში იყო ჩაბმული. გაწყობას ვერ ასწრებდნენ, რომ თვითმფრინავები სასწრაფოდ ბრუნდებოდნენ წინა ხაზზე. ბევრი იყო ღამის გაფრენები. ასეთ დროს „მბრ“-ები ჩვეულებრივ დილით ბრუნდებოდნენ, მაგრამ მოხდა, რომ ერთ-ერთი მათგანი დროზე არ გამოცხადდა ბაზაში. სხვა ყველაფრისთვის თავი რომ დავგვენებდინა, ამდენხანს საწვავი არ ეყოფოდა, გარდა ამისა ნაბრძანები ჰქონდა დროდ დაბრუნებულიყო ყველამ იმედი გადაიწურა, მაგრამ შუადღისას ჰორიზონტზე პატარა შავი წერტილი გამოჩნდა, „მბრ“-მა დაჯდომის ნებართვა ითხოვა. მალე მფრინავები ხმელეთზე გადმოიყვანეს. „მბრ“-იც მოაღდა ნაპირს და ყველაფერი გაირკვა, — აღმოჩნდა რომ და-

ვალების შესრულებისას იგი მტრის მშლავრ ცეცხლში მოექცა და ზღვაზე შეიჭრებოდა. ლბითი დაჯდომა. „თვითმფრინველი ზღვაში ესე იგი, ის უკვე მოსპობილია“ — ვაფიქრეს, ალბათ, „მესერშიმტებმა“ და ზღვას შეატოვს „დამარცხებული“. არ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე. როცა თვითმფრინავი ხმელეთზე გამოიყვანეს, ათობით ნატყვიარი ეტყობოდა, დაზიანებული იყო ბენზინის ერთ-ერთი ავზიც, მაგრამ მფრინავების მამაცობამ და მანქანის უადრესად მაღალმა ტექნიკურმა მონაცემებმა შეუძლებელი შექმნა, — მანქანა და მთელი ეკიპაჟი შინ მშვიდობით დაბრუნდნენ“.

გიორგი მიხეილის ძე კიდევ ერთ დოკუმენტს გვჩვენებს. ეს არის შავი ზღვის ფლოტის მხედართაგანის, ოდესის, სევასტოპოლისა და ნოვოროსისკის გმირული დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ადმირალ ოქტიანოვის (ივანოვის) წერილი მფრინავ ბელიაისადმი: — „ღიას, „მბრ“-2! არ შემოძლია უდიდესი სიამაყით არ მოვიგონო ის ხალხი, რომლებიც ამ შესანიშნავი მანქანებით ემბოდნენ, ხოლმე, მტრის ნებისმიერ ტექნიკას, თვით გამაინდგურებლებსაც კი. აი, სად იყო უდიდესი გმირობის მაგალითები“

...ი ერთ-ერთი მათგანი:

— „მბრ“-ის ეკიპაჟი, რომელსაც კაპიტანი კინაზევი მეთაურობდა, უთანასწორო ბრძოლაში ჩაება, — ერთს თავს დაესხა ოთხი „მესერშიმტ-109“. ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ „მბრ“-მა წყალზე და ჰაერზე თავისი მაღალი მანევრირების წყალობით თავი დააღწია მესერშიმტების ცეცხლს და, როდესაც ზღვის ტალღებზე დამეხულს თავს დასტრიალებდნენ მტრის გაოცებული მფრინავები, მათგან სამი ჩამოავლო კიდევ... ეს სევასტოპოლის გმირული დაცვის დღეებში მოხდა.

— გიორგი მიხეილის ძე, იმმა ხომ არ შეუშალა ხელი თქვენს საკონსტრუქტორო ბიუროს?

**მ. ბერიაშვილი** — ომმა ვის და რას არ შეუშალა ხელი? რაღა თქმა უნდა, მან ნაწილობრივ შეაფერხა ჩვენი საქმეც, მაგრამ 1941 წლის შემოდგომით საკონსტრუქტორო ბიურო ციმბირში გადაიტანეს და იქ გაგრძელდა მუშაობა, ერთ-ერთ ქარხანაში დავიწყებულ „მბ-4“-ის ივივე „კორ-2“-ის გამოშვება, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამასთან ერთად, ბიურო მუშაობდა მძიმეწონიანი მფრინავი ნაგების შექმნაზე, რის შედეგად ფრონტმა მიიღო კიდევ ევროპოლოდებული „მლ-1943“. მანქანის საცდელმა ნიმუშებმა მაღალი შედეგები აჩვენა: — სიჩქარე — 400 კილომეტრ-საათი! ეს ცოცა არ იყო მაშინ...

— შემდგომ წლებში ამ მანქანას ბაზაზე თქვენს საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა მფრინავი ნავი „მბ-6“, რისთვისაც 1947 წელს

პირველად მოგვინიჭათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. ხოლო 1952 წლის 30 მაისს მფრინავმა-გამომცდელმა ივანე სუხოლინმა მსოფლიოში პირველად ჰაერში აიყვანა რეაქტიული მფრინავი ნავი „რ-1“, მალე მას მოჰყვა, ასევე რეაქტიული, „ბე-10“, მისმა სიჩქარემ საათში, თითქმის, 1000 კილომეტრს მიაღწია. ეს, როგორც საზღვარგარეთის პრესაც აღიარებდა, უბრწყინვალესი შედეგი იყო ამ კლასის თვითმფრინავებისთვის...

**მ. ბერიაშვილი** — დიახ, „ბე-10“ მართლაც რომ ჩვენი სიამაყეა დღესაც, მასზე თორმეტი მსოფლიო რეკორდია დამყარებული ამ კლასის თვითმფრინავებისთვის, და თორმეტიც რეკორდის ატორები არიან მფრინავ-გამომცდელები ანდრეივსკი და გურუიანოვი. ამ თვითმფრინავზე მიღწეული იქნა 912 კლომეტრი საათში სიჩქარე, სიმაღლემ, ანუ ფრენის ჰერმა კი ხუთმეტი ათას კილომეტრამდე აიწია. 1961 წელს ეს მანქანა, პირველად, ტუშინოს აეროდრომზე და ლენინგრადში გამართულ პარადებზე მონაწილეობდა...

— ამდენი თვითმფრინავების შექმნელი თქვენს მკვლევართ თუ არა თვითმფრინავის საქესთან?

**მ. ბერიაშვილი** — (იღიმება) საქართველოში ასე ამბობენ — „მკვდლის დანა არ კრისო... ამ კითხვით ხომ არ გინდათ გამომიპვიროთ? არ გამოვივათ... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ თუ სერიოზულად, გეტყვი: ოცდაათი წლისამ ვისწავლე თვითმფრინავის მართვა, ეს თვითმფრინავი იყო „რ-2“. შემდეგ წლებში კი ხშირად მიხდებოდა პილოტთვითმფრინავებზე ფრენა, როცა ჩვენ „მბრ“-ები საცდელ მარშრუტებზე გადიოდნენ მე მუდამ მეორე მფრინავის სავარძელში ვიჯექი და თვითონ ვადგენებდი თვალყურს ჩვენივე ქმნილების გულისცემას (ხომ ხედავთ, მეც ყურნალისტებივით მხატვრულად აზროვნება დავიწყე!). ვფიქრობ, რომ, როგორც ყურნალისტებისა და მწერლებისთვისაა მხატვრული აზროვნების უნარი აუცილებელი, ასევე აუცილებელია ავიაკონსტრუქტორისთვის საფრენოსნო ტექნიკის დაუფლება, ვაიგებს რა მის სირთულეს, იგი უფრო პასუხისმგებლობით მოეცდება თავის საქმეს. მე უფლა ჩვენს თვითმფრინავს თან ვახლდი, როგორც ინჟინერ-გამომცდელი.

— როგორც ცნობილია, თქვენს საკონსტრუქტორო ბიუროში იქმნებოდა, აგრეთვე, სამგზავრო-სამოქალაქო ლაინერები...

**მ. ბერიაშვილი** — პირველი ასეთი თვითმფრინავი იყო „მბ-1“, რომელიც „მბრ-2-ის ბაზაზე შეიქმნა. ის თავის დროზე დაფრინავდა მარშრუტით — „ოდესა-ბათუმი“. შემდგომში კი ჩრდილოეთის „მოქალაქეობა“ მიი-

ღო და იქ წლების მანძილზე ემსახურებოდა სახალხო მეურნეობას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პილოტთვითმფრინავზე მოხდინეს 1938 წელს თავიანთი ძირსდაღოშქენი „გადფრენა“ — „სიევასტოპოლი — არხანგელსკი“ — მამაცმა მფრინავმა ქალიშვილებმა პოლინა ოსიპენკომ, მარია რასკოვამ და ვერა ლომაკომ, მათი გმირობა უმაღლესი ჯილდოთი, — ლენინის ორდენით აღნიშნა საბჭოთა მთავრობამ, მათი სახელები მსოფლიოსთვის გასაცნობილი.

ჩვენი პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე ხაზი გაესვა ადგილობრივი საპაერო მარშრუტებისთვის ახალი მარჯის კომფორტული და მოხერხებული თვითმფრინავების შექმნის აუცილებლობას. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თუ არა, ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა სადღესოდ. ხშირად მოსკოვიდან ვლადივასტოკამდე რამდენიმე საათში ჩაფრინდებით, მაგრამ, თბილისიდან, მთამაღალის რომელიმე სოფლამდე ჩასვლას მთელი დღეები მოუწდებათ! სავტომობილო გზა ძველი ვასაყვანია, თვითმფრინავები კი არ დაფრინავენ, რადგან ყველა თვითმფრინავს როდი შეუძლია უბრალო გრუნტზე დაჯდომა...

ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროში ამ ბოლო წლებში შეიქმნა რამდენიმე თვითმფრინავი ადგილობრივი ხაზებისთვის, მათ მცირე ასაფრენი მოედანი სჭირდებათ, ამასთან, უბრალო გრუნტზეც თავისუფლად შეუძლიათ დაჯდომა და აფრენა. მათგან გამოვიყო „ბე-30“-ს და მის ბაზაზე შექმნილ „ბე-32“-ს. ამ უქანასკნელზე მფრინავ-გამომცდელმა ევგენი ლახნოსტოვმა გასულ წელს ერთდროულად ორი მსოფლიო რეკორდი მოუხსნა ამერიკელ მფრინავს ლოლიენტალს სამ და ექვსიათას მეტრზე ამ კლასის თვითმფრინავებით სწრაფ ასვლაში.

— ამ თვითმფრინავით უკვე ვიფრინეთ და უნდა გითხრათ, რომ მისი შესანიშნავი სალონი, შესანიშნავი კომფორტი და ზანევირების უნარი, ბევრ სიამოვნებას მოგვრის მგზავრებს...

**მ. ბერიაშვილი** — დიახ, დიახ! სწორედ ამ თვითმფრინავზეა საუბარი და იგი მალე, ალბათ, სერიულად გამოვა, თქვენ მხოლოდ საცდელ ნიმუშზე მოგიხდათ ფრენა...

• • •

... უკვე გვიანი ღამე იყო.  
— არ ვიცით, ამდენ შთაბეჭდილებას რომელი ეურნალი ან გავზეთ და დაიტევს ერთბაშად...

**ხაშრ ფიფია**  
ცა, ზღმა და ხმელთი

— ალბათ ავობებს, ნაწილ-ნაწილ დაწე-  
როთ... — თქვა და კვლავ გაიღიმა.

— ძნელი კია, მაგრამ შევეცდებით! — დაე-  
პირდით მას და... ამიტომაცაა ეს პირველი  
საუბარი ასე მოკლე.

— ჩემი კარი მუდამ ღიაა! — სტუმარ-  
მოყვარე მასპინძლის ღიმილით გვითხრა პა-  
ტიცემულმა გიორგიმ. ბინის გამოღებული  
კარიდან კი საბჭოთა საზღვაო-საჰაერო ფლო-  
ტის ისტორია იმზირებოდა და ზღურბლთან  
მისი პატრიარქი გიორგი მიხეილის ძე ბერია-  
შვილი იდგა...

— დიახ!.. — თქვა ანდრეი ზორჯილაძეს ძემ,  
— ამ კაცმა უდიდესი საქმე გაიკეთა... ცი-  
ში კრეისერი ააფრინა, ჯერ კიდევ მაშინ...  
ნამდვილი კრეისერის ერთდროულად დაიპყ-  
რო ცა, ზღვა და ხმელეთი! ეს ხუმრობა რო-  
დია ვწუხვარ, რომ ხვალ დილითვე ებრუნდე-  
ბი ნაწილში და ვერ ენახავ გიორგი მიხეილის  
ძეს! ჩემგან გულთბილი მოკითხვა გადაეცით,  
ჯანმრთელად იყოს, სხვა ყველაფერი რიგზე  
იქნება... ასეთი აღამიანები ქმნიდნენ და ქმნი-  
ან ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

---

გიხაროდეს „კაფე-თესე“ — ხმები ჩიტა მაგალობელთა,  
ცამ ლაჭვარდი ჩამობარდნა, მიწამ ოქრო ამობელტა,  
გიხაროდეს, საქმე შენი, — ნაფუნჯარი, ნაყალმარი,  
გიხაროდეს ქორწინება ამირანის და ყამარის,  
გიხაროდეს — დროშა შენი მზეობს ომის შესამრიდად,  
გიხაროდეს, გიხაროდეს, გიხაროდეს! — ჭეშმარიტად!

ზოთა ნიშნიანიძე



# წერილები



კარლო გოგხაძე

## სმოკრაგის წესის პრობლემა თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენის, რეალურად არსებული სოციალიზმის მიმზიდველი ძალის ზრდისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ვითარებაში, დღეს თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრების წესის პრობლემას, როგორც ახალ, უაღრესად აქტუალურ პრობლემას. ეს იმით, რომ ყველამ კარგად შეივარძნო — მომავალი ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წუობას, რომელიც შესძლებს უზრუნველყოს არა მარტო ადამიანთა მატერიალური ცხოვრების მაღალი დონე, არამედ, რაც მთავარია, რომელსაც შეუძლია შექმნას ისეთი გარანტირებული ცხოვრების წესი, რომელიც, ხელს შეუწყობს პიროვნების ყოველმხრივ, პარმონიულ განვითარებას.

სკკ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვიღო პერიოდში საბჭოთა ქვეყნების მიერ განვლილი გზის ერთ-ერთი მთავარი შედეგია ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესი. ჰუმანიტარული კოლექტივიზმისა და ამხანაგობის აღმოსაფერო, ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის შეკავშირება, მეგობრობა, რაც დღით-დღე მტკიცდება, ჯანსაღი ზნეობა, რომელიც ძალასა და სიმტკიცეს ვემატებს — ასეთია ჩვენი ცხოვრების წესის წარმტაცი ფერები.

შემთხვევითი არაა, რომ მეთავე ხუთწლეულის გეგმებში სპეციალურადაა ხაზგასმული სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების შესახებ. ეს

პირველ რიგში ეხება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის შემდგომ მნიშვნელოვან პროგრესს, ყველაფერს, რაც ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირებას.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში დიდი ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე, ამ ქვეყნების ადამიანთა ჯანსაღი ოპტიმისტური განწყობილების ფონზე, მკაფიოდ გამოსჭვივის კაპიტალის ქვეყნების ადამიანთა დეკადენტური, ელევგური განწყობილება. თვით სოციალისტური ქვეყნებისადმი ხელაღებით მტრულად განწყობილი პრესაც კი იძულებულია აღიაროს, რომ „არასდროს ასე დიდი არ ყოფილა კონტრასტი, ერთის მხრივ, საბჭოთა საზოგადოებისათვის, დამახასიათებელ რწმენასა და მიზანდასახულობის გრძნობასა და, მეორეს მხრივ, დანარჩენი უმეტესი ქვეყნების მუდმივ დრეიფს შორის ერთი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისიდან მეორისაკენ.“

სკკ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ გაძლიერდა ბურჟუაზიული საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური კრიზისი. მან მოიცვა ხელისუფლების ინსტიტუტები, ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები, იგი ძირს უთხრის ელემენტარულ ზნეობრივ ნორმებს. გრძელდება სულიერი კულტურის დაკნინება, იზრდება დამნაშავეობა. იმპერიალიზმი ყველაფერს

კიდრულობს, თანაც უკუგადებს დემოკრატიის ყოველგვარ მოჩვენებითობას. იგი მზად არის ფეხქვეშ გათელოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტიც, ყოველგვარი კანონიერებაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰუმანურობაზე, ცილისწიებაზე, საზოგადოებრიობის ვაბრუებაზე, ეკონომიური ბლოკადა, საბოტაჟი, შიმშილი-სა და ნგრევის ორგანიზება, მოსყიდვა და მუქარა, ტერორი, პოლიტიკურ მოღვაწეთა მკვლელობა, ფაშისტური უაიღის რბევა-აწითეობა — ასეთი არსენალი აქვს თანამედროვე კანტრევოლუციას, რომელიც მუქად საფრთხისთვის იმპერიალისტურ რეაქციასთან შეკავშირებული მოქმედებს.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ახლანდელი კრიზისი კაპიტალიზმისა ჩვეულებრივი არ არის. ახლა ყველა ხედავს: გაქარწყულა ერთეული მთავარი მიზი, რომელიც რევოლუციის ტრეშშია და ბურჟუაზიულმა იდეოლოგიებმა შექმნეს, — მიზი, თითქოს ჩვენი დროის კაპიტალიზმს შეეძლოს თავი დააღწიოს კრიზისებს. კაპიტალიზმის მერყეობა სულ უფრო ცხადი ხდება. აშკარად ჩაიშალა დაპირებანი კაპიტალიზმის „გაჯანსაღებისა“ და მის ფარგლებში „სასოფელთაო კეთილდღეობის საზოგადოების“ შექმნის შესახებ.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კაპიტალიზმმა თავისი ისტორიული განვითარების პერიოდში დიდი მიღწევებში მოახერხა საწარმოო ძალთა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში, მაგრამ დღეს აშკარა გახდა და ამას თვით კაპიტალიზმის აპოლოგეტებიც ვეღარ უარყოფენ, რომ კაპიტალიზმმა ვერ შესწლო შეექმნა ისეთი ცხოვრების წესი, რომელიც უზრუნველყოფდა პირიქების ყოველმხრივ განვითარებას. პირიქით, სიმდიდრის, ფულის, საგანთა გაფეტრების, სინარბისა და გამორჩენისადმი დაუოკებელი მისწრაფების ფორსირების კვალობაზე, სრულიად გაუფასურდა ადამიანი, პიროვნება, რომელიც აღმოჩნდა საყოველთაო თვითგაუცხოების ვითარებაში. ეს დამტკიცებულია უკვე ლოგიკურადაც და ფაქტურადაც.

ამ რთულ კრიზისულ ვითარებაში და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ბურჟუაზია და სოციალ-რევოლუციონისტები ახალი კონცეფციის, „ცხოვრების ხარისხის“ შესახებ კონცეფციის მოშველიებით ცდილობენ გამოჩინონ სოციალური მანევრირების ახალი რეზერვი და ერთხანს ამაზე გადააყლონ მასების ყურადღება. ამ კონცეფციის დედაბარი იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოაშორონ ადამიანთა ყურადღება კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობებისაგან და მთელი სოციალური ბოროტების წყაროდ გამოაცხადონ ტექნიკური პროგრესი. მაშ, სოციალურ

ბოროტებათა მიზეზია არა საზოგადოებრივი პოლიტიკური წყობილება, არამედ საშენიერო-ტექნიკური პროგრესი.

ჩვენი საუკუნის 50-60-იან წლებში, ზღვარებზე, როცა კაპიტალისტურ სამყაროში ადგილი ჰქონდა ერთგვარ ეკონომიურ ბუმს, აშშ-ის სოციალურ-პოლიტიკურ ლიბერატორაში (რისმენი, გელბრეიტი და სხვ.) გაიშალა ხმები, თითქოს ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ „მიადრწია ეკონომიური სიმშვიდის სტადიას“, რომ გამომდინარე აქედან მას შეუძლია „უზრუნველყო საყოველთაო კეთილდღეობა“, არსებობს ამაღლოთ ყველა მოქალაქის „ცხოვრების ხარისხი“. ბევრი დრო არ დასკორეგებია იმას, რომ თვით მისსავე ავტორებს უარყოფთ ამ კონცეფციის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა. გელბრეიტი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ცხოვრების ხარისხის ამაღლება“ შეუძლებელია ეკონომიკის პერიოდული გაცხარებული აღმავლობის საფუძველზე. კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულ მომხმარებლური იდეალებისა და საგანთა კულტისათვის გელბრეიტი ისევ და ისევ ტექნიკურ პროგრესს აღნაშნულებს.

1973 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა წიგნი სათაურით „ცხოვრების ხარისხი ამერიკაში. გარემოს გაქუჩუყიანება, სიღარიბე, ძალმომრეობა, შიში“. წიგნის ავტორები მკაცრად აკრიტიკებენ ამერიკაში ცხოვრების ხარისხის შესახებ შექმნილ შეხედულებებს და ცდილობენ წამოაყენონ რადიკალურ გარდაქმნათა თავიანთი ალტერნატივა. ისინი აღნიშნავენ, რომ ამერიკული საზოგადოება მოცულია პარადოქსული წინააღმდეგობებით: ჩვენ შევძელით გადაგვესვა ადამიანები მთვარეზე, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია გავწმინდოთ გაბინძურებული ჰაერი და წყალი. ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო უნივერსიტეტები გვაქვს, ამავე დროს სტუდენტები განუხედავად ისწრაფვიან ალტორმინონ პოტენციური ანტიინტელექტუალიზმი და ა. შ.

მნელია დავიჯეროთ, რომ ბურჟუაზიის აპოლოგეტები ვერ ხედავდნენ, თუ რა არის ამ ანტიინტელექტუალიზმისადმი სწრაფვის ნამდვილი მიზეზი. ამის მიზეზი ხომ ის სოციალური გარემო, ის ცხოვრების წესია, რომელიც დომინირებულია ამ საზოგადოებაში და განსაზღვრავს ახალგაზრდა თაობის სულთერ და მორალურ სახეს. ძალმომრეობის, სისასტიკის, სექსის, ადამიანის ნატურის ანარქისტულ და ირაციონალისტურ გამოვლენებათა თითქმის უკონტროლო პროპაგანდა, ასე უხვად რომ იღვრება დასავლეთ-გაზრდობისა და ტელევიკანებიდან, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ფურცლებიდან, საზოგადოებრივ უხედურებად იქცევა, საშინო კატასტროფულ



სახეს იღებს. ამავე დროს ვერავის გამოსავალი ვერ მოუტეზნია, ვინაიდან ეს ხომ ვი-  
ლაცეებს დიდ მოგებას აძლევს. ხოლო რაც  
ძალევა ფულს, მოგებას — ის გამართლებული-  
ცაა. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მენ-  
ეჯმენტის ერთ-ერთი ამერიკული ოეორეტი-  
კოსის — ლევიტის გულხანდილი აღიარება  
იმის შესახებ, რომ კორპორაციების საქმე არ  
არის კეთილდღეობა და საზოგადოება, მათი  
საქმეა აყეთონ, შექმნან ფული და არა სასი-  
ამოვნო მუსიკაო.

ოფიციალური მონაცემებით ჩვენი პლანე-  
ტის მზრდილი მოსახლეობიდან 800 მილი-  
ონზე მეტი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინა-  
რია. მათი უმეტესობა ქალია. ვასაგებია, რომ  
წერა-კითხვის უცოდინართა ძირითადი მასა აზი-  
ის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნე-  
ბის წილად მოდის. მაგრამ რაღა დავამართ-  
ამერიკის შეერთებულ შტატებს? 1974 წ.  
ამ ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის, განათლე-  
ბის და სოციალური უზრუნველყოფის მინი-  
სტრმა უენინერგერმა ქვეყანას აუწყა, რომ  
აშშ-ში სასკოლო ასაკის 7 მილიონმა ბავშვმა  
და 9 მილიონმა მოზარდმა პრაქტიკულად არც  
კითხვა იცის და არც წერა.

1970 წელს საბჭოთა მწერალმა და პუბლიცი-  
სტმა გ. ა. ბოროვიკმა ნიუ-იორკში ვაერთიანე-  
ბული ერების ორგანიზაციის შენობის წინ მო-  
აწყო ამერიკელი ახალგაზრდების გამოკითხვა,  
თუ რა იციან მათ იმ დროის შესახებ, როცა  
სსრუ და აშშ ერთად იბრძოდნენ ჰიტლერულ  
ფაშისმის წინააღმდეგ. გამოკითხულთა  
შორის იყვნენ კოლეჯების სტუდენტები და  
უფროსკლასელები. გამოკითხვისას ერთ-ერ-  
თმა სტუდენტმა სთქვა, რომ ზუსტი ციფ-  
რის დასახლება არ შეუძლია, მაგრამ, მისი  
აზრთი, ომში უფრო მეტი ამერიკელი მიიღუ-  
ბა, ვიდრე საბჭოთა ადამიანები, ვინაიდან საბ-  
ჭოთა კავშირი ომში ჩაება ამერიკაზე უგვი-  
ანეს, იმ დროს, როცა ომი უკვე მთავრდებოდა  
და ფაშისმზე გამარჯვების ბედი გადაწყვეტილი  
იყო. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთმა გამოკით-  
ხულმა არ იცოდა ვინ ვის მხარეზე და ვის  
წინააღმდეგ იბრძოდა. ერთ-ერთმა, მაგალითად,  
განაცხადა, რომ აშშ, დასავლეთ გერმანია და  
იაპონია იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის წინა-  
აღმდეგ.

სახელდახელო გამოკითხვის შედეგ გ. ა.  
ბოროვიკს საყონსულტაციოდ მიუშარათავს გე-  
ლაპის ცნობილი ინსტიტუტისათვის ქ. პრინ-  
სტონში. ამ ინსტიტუტში 1967 წ. ოქტომბრის  
რეკლუციის 50 წლისთავთან დაკავშირე-  
ბით მოუწყვიათ ამერიკელთა გამოკითხვა  
თემაზე „რა იციან ამერიკელებმა საბ-  
ჭოთა კავშირის შესახებ?“ აი, ამ გამო-  
კითხვის შედეგებიც: ამერიკელი კოლე-  
ჯების სტუდენტთა 16% არ იცის ვის მხარე-

ზე და ვის წინააღმდეგ იბრძოდა საბჭოთა კა-  
ვეშირი მეორე მსოფლიო ომში. სტუდენტთა 9%  
აზრით საბჭოთა კავშირი იბრძოდა გერმანიის  
მხარეზე, გამოკითხულ სტუდენტთა 25% — მათ  
დასახელოა ორი რომელიმე საბჭოთა ქალაქი,  
8% — არ იცოდა საბჭოთა კავშირის დედა-  
ქალაქი. სტუდენტთა 34% არასოდეს არ წაუ-  
კითხავს რუსი ავტორის არცერთი წიგნი. გა-  
მოკითხვის წინა ხუთი წლის მანძილზე არც  
ერთ ამერიკელ სტუდენტს არ წაეკითხა საბ-  
ჭოთა ავტორის წიგნი. სტუდენტთა 87% არა-  
სოდეს უნახავს საბჭოთა ფილმი.


საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამ-  
გეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა  
სკკ XXV ყრილობაზე განაცხადა, რომ სამ-  
წუხაროდ დასავლეთში საქმეს ისე წამოად-  
გენენ, თითქოს საბჭოთა კავშირი აფერხებდეს  
კულტურულ დასეულობათა გაცვლას. მაგრამ  
ასეა კი სინამდვილეში? მაგალითისათვის ავი-  
ლოთ სამი ქვეყანა: აშშ, საფრანგეთი, და ინ-  
გლისი. ბოლო წლებში ჩვენში გამოცემული  
იყო ამერიკელ ავტორთა შვიდი ათასი ნა-  
წარმოები, 4, 5 ათასი ინგლისელ და ფრანგ  
ავტორთა ნაწარმოები ცალ-ცალკე. ამ წიგნე-  
ბის საერთო ტირაჟი შეადგენს 600 მილიონ  
ეგზემპლარს. როგორც ხედავთ საგულანსმო  
ციფრებია. მაშინ, როცა ამ ქვეყნებში ამ ხნის  
მანძილზე ჩვენს ლიტერატურიდან ძალიან უმ-  
ნიშვნელო რამ გამოიკათ.

1976 წ. იენისში ბერლინი გამართულ ევ-  
როპის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა  
პარტიების წარმომადგენელთა კონფერენცი-  
აზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა:  
„რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფო-  
ებს, ღამაში სიტყვები სულიერ განცეულობა-  
თა გაცვლის შესახებ სემარისად გვსმენია,  
რეალური საქმეები კი ცოტაა. ეს სხვადასხვა  
დარგში ვლინდება. ინგლისსა და საფრანგეთ-  
ში, მაგალითად, ქვეს-შვიდჯერ ნაკლებ საბჭო-  
თა ავტორების წიგნებს უშეებენ, ვიდრე ჩვენ  
საბჭოთა კავშირში — ინგლისურსა და ფრან-  
გულს. დასავლეთის ქვეყნებში ათჯერ ნაკლებ  
საბჭოთა კინოფილმებს უჩვენებენ, ვიდრე ჩვენ-  
ში — დასავლურს, სამჯერ ნაკლებს — სატე-  
ლევიზიო პროგრამებს და ა. შ.

საერთო სოციალისტური ქვეყნების სალ-  
ხები გაცილებით უკეთ იცნობენ დასავლეთის  
ცხოვრებას, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნე-  
ბის მშრომელი მასები — სოციალისტურ სა-  
ნამდვილეს. რა არის ამ მოვლენის მიზეზი? —  
ყველაზე ღრმა მიზეზი ის არის, რომ ბურჟუა-  
ზიული ქვეყნების მმართველი კლასი აშკარად  
არ არის დინიტრეგებული, რომ ამ ქვეყნების

### პარლზ გოგხაძე

ცხოვრების წისის პრობლემა თანამედროვე  
იდეოლოგიურ ბრძოლაში



შრომელბმა პირველწყაროდან შეიტყონ სიმართლე სოციალიზმის ქვეყნების, მათი საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პოლიტიკური და ზნეობრივი მრწამსის შესახებ.

კაპიტალიზმმა აშკარად დაკარგა საზოგადოების მართვის უნარი, რამდენადაც მას ძალი არ შესწევს გააჩნსადოს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნას პირობები პიროვნების ნორმალური განვითარებისათვის.

რასიზმი, ნაციონალიზმი, უციღურესი ინდივიდუალიზმი, ცხოვრებისადმი მომხმარებლური მიდგომა, უიდეომა და აპოლიტიკურობა, რასაც ადამიანთა შეგნებაში ნერგავს და განამტკიცებს კაპიტალის ქვეყნებში ცხოვრების ყოველდღიური პრაქტიკა, კიდევ უფრო აღრმავებენ ამ საზოგადოების სულიერ კრიზისს, კიდევ უფრო აშოშვლებენ საზოგადოების განუფრელ მანკიერებებსა და წინააღმდეგობებს. მიუხედავად თავისი სამრეწველო ძალისა და მოქნილობისა, რომელსაც ეს საზოგადოება ავლენს სოციალ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დარგებში, იმპერიალიზმი, ერთის მხრით, იძულებულია გადავიდეს ღრმა თავდაცვაზე ანტიიმპერიალისტური ძალების წინაშე, მეორეს მხრით, სულ უფრო რეაქციული ხდება, რაც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული. სკკ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა: „კომუნისტები სულაც არ აპირებენ კაპიტალიზმის „აგრომატური კრახის“ წინასწარმეტყველებას. მას კიდევ აქვს დიდი რეზერვები. მაგრამ ბოლო წლების მოვლენები ახალი ძალით ადასტურებენ, რომ კაპიტალიზმი არის საზოგადოება, რომელსაც მომავალი არ აქვს.“ არ შეიძლება აქ არ გავგახსენდეს დიდი ლენინის სიტყვები, რომელიც მშვენივრად ახასიათებს დღევანდელ სიტუაციას: „ცხოვრება თავისი გაიტანს. და, ბურჟუაზია ბორგავდეს, ბრაზობდეს და ცოფებს ყრიდეს... კომუნისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მომავალი ყოველ შემთხვევაში მათ ეჭუთებით, და ამიტომ დიად რევოლუციურ ბრძოლაში უდიდესი მგზნებარება ჩვენ შეგვიძლია (და უნდა) შევეერთოთ ბურჟუაზიის გაფრთხებული ბორგვის უარესად დინჯ და ფხიზელ გათვალისწინებასთან“ (თხ. ტ. 31, გვ. 110).


ეს ფაქტი, რომ მთელ მსოფლიოში ყველა კლასი თუ სოციალური ფენა მთელი სერიოზულობით მსჯელობენ სოციალიზმის შესახებ, სიმბტომატურია თანამედროვე სამყაროსათვის, რომელშიც რეალურად არსებული სოციალიზმი პოლიტიკურ მოვლენათა ცენტრია. . საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების მსოფლიო-ისტორიული წვლილი კაცობრიობის პროგრესში განუზომელია. იგი გამოიხატება იმ ძირეული რევოლუციური გარდაქმნების სიდი-

ადით, რომელიც მათ განახორციელებს. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მადგეია ცხოვრების ახალი სოციალისტური წესის შექმნა და ჩამოყალიბება, რომელიც დღითიდღე უფრო სრულქმნილი ხდება, ვითარდება და იგეზბა სოციალისტური მშენებლობის ახალ მიღწევათა ყვრილობაზე.

სკკ XXV ყრილობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში თვისობრივად ახალ მიჯნას წარმოადგენს. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისი მთავარი ამოცანებით მეცხრე და მეათე ხუთწლეულების გეგმები თითქოსდა ერთ მთელ წარმოადგენენ. ყრილობამ განსაზღვრა პარტიის ეკონომიური და სოციალური პოლატიკის პრინციპული საფუძვლები განვითარებული სოციალიზმის პირობებში. მართო მეცხრე ხუთწლეულის მანძილზე ერთნახევარჯერ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდები, ხოლო 1965 წელთან შედარებით, ბოლო ათი წლის მანძილზე გაორმაგდა ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი. ე. ი. ეკონომიურ პოტენციალს, რომლის შექმნას ჩვენ თითქმის ნახევარი საუკუნე მოვანდომეთ, დაუშვავთ იმდენივე სულ ათიოდე წელიწადში. მეცხრე ხუთწლეულის მანძილზე საბინაო პირობები გაუუმჯობესდა 56 მილიონ კაცს. ეს ნიშნავს, რომ მართო ერთი ხუთწლეულის მანძილზე საბჭოთა კავშირში აშენდა 56 ახალი ქალაქი თვითეული მილიონიანი მოსახლეობით.

კიდევ უფრო შთამაგონებელ პერსპექტივებს გადავიშლის მეთაურ ხუთწლეუდი, 1980 წლისათვის მნიშვნელოვნად ამაღლებდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური ცხოვრების დონე. მაგრამ ცხოვრების დონესა და ცხოვრების წესს ჩვენ დიალექტიკურ ერთიანობაში განვიხილავთ. რა თქმა უნდა ადამიანთა მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლების გარეშე შეუძლებელია ცხოვრების სოციალისტური წესის შემდგომი განვითარება. მაგრამ ჩვენ ისიც გვესმის, რომ სოციალისტური ცხოვრების წესი მექანიკურად არ ყალიბდება, ე. ი. იგი არ იქმნება მხოლოდ ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებით. ჩვენ, — აღნიშნავდა სკკ XXV ყრილობაზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — ბევრს მივადრევეთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად ვადრევეთ ამ ამოცანას. მაგრამ საჭიროა, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად განუწყვეტლოვ მდლდებოდეს ხალხის იდეურ ზნეობრივი და კულტურული დონე, თორემ კვლავ მემჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებთან გვექნება საქმე. ეს არ უნდა გამოგვჩრეს.

რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადა-



ხევა, რასაც ვერ კიდევ ვაწყდებით. მომხვეჭელობა, კერძომესაყუთრული ტენდენციები, ხულოდგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს“.

სსრ კავშირი იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა ქალთა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა. ჩვენი უღიდვის მონაპოვარია, რომ განათლება და კულტურა ყველასათვის ხელმისაწვდომი გაეხადეთ. საბჭოთა ქვეყანამ პირველმა უზრუნველყო საზოგადოების ყველა წევრისათვის პოლიტიკური და სოციალური უფლებები და მათი თანასწორობა. სოციალიზმმა რეალურად უზრუნველყო მილიონობით მშრომელთა ჩაბმა სახელმწიფო მმართველობაში, სოციალიზმმა დააპყვირა ადამიანთა ახალი, თანასწორი ურთიერთობა. ყოველივე ამის საფუძველზე შეიქმნა სოციალისტური ცხოვრების წესი. ის რაც ჩვენი ამ მხრემ მოვიპოვეთ, უკვე დიდი ხანია სოციალიზმს ბევრად მაღლა აყენებს, ვიდრე, რომელიც გნებავთ ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყანას.

მაგრამ ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო არ ჯერდებიან მიღწეულს. მიღწეული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მიჯნებიდან უკეთ ვხედავთ ახალ ამოცანებსაც და ჩვენს შესაძლებლობებსაც.

მარქსიზ-ლენინიზმი გადაჭრით ილაშქრებს ცხოვრებისადმი მეშინაურ, მომხმარებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ, ცხოვრების მატერიალური დონის ფეტქმინაისათვის და მისი ცალმხრივად და იზოლირებულად განხილვის წინააღმდეგ. სოციალისტურ საზოგადოებაში მუდმივად მზარდი მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური განვითარების საბოლოო მიზანი როდია, არამედ განილებმა, როგორც პიროვნების სულიერი და ფიზიკური ჰარმონიული განვითარების საშუალებად, მისი სოციალური აქტივობის საშუალებად.

ვაშენებთ რა კომუნისტურ საზოგადოებას ჩვენ ამავე დროს კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ეს არ არის საზოგადოება რძის მიდინარეობითა და თავლის ნაბრებებით, ეს არ იქნება ზემომხმარებლური საზოგადოება, იგი როდი იქნება თავიწყვეტილი ფუფუნებისა და ქაბაფუშტული მისწრაფებების მქონე პირთა საზოგადოება, უქნართა და მცონართა საზოგადოება, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ არა მარტო სიმძირის იდეალიზაციისა (მაძირის ბურჟუებიც არიან), არამედ გამოვდივართ სილატაკის, როგორც „სიკეთის“ თვალთმაქცური „ფილოსოფიის“ წინააღმდეგაც. სკკპ X V ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტები არ არიან ასკეტნიზმი, ადამიანის მოთხოვნილებათა ხელოვნური შეზღუდვის მომხრენი, პირიქით, კლ-

მუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ადამიანის მთელი ნიჭის, მისი შემოქმედებითი ძალების სრული და თავისუფალი მოვლენა ცხოვრების კარგი მატერიალური პირობების შექმნას გულისხმობს. მაგრამ ჩვენი ცხოვრების სოციალისტური სტილი გამორიცხავს ყოველგვარ ფლანგვას მატერიალურ-ღირებულებათა, შრომის, ენერჯის უაზრო ხარჯვას.

თავისუფალი შრომა ჩვენში ითვლება არა მარტო საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის საშუალებად, არამედ იდეალადც, რამდენადაც მხოლოდ და მხოლოდ ასეთი შრომის და მისი სწორად ორგანიზების, როგორც ორიენტირის პირობებში შეიძლება მივალწიოთ და შევიწარმინოთ ადამიანის პიროვნების მთლიანობა, მოვახდინოთ ზენიარბივი პიროვნების, როგორც უმაღლესი ღირებულების ფორმირება. ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება შესაძლებელია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი მისი სწორი ორიენტაციის პირობებში მხოლოდ. 1976 წ. ივლისში გამართულ რუსეთის მეტალურგიული ქარხნის პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა: „დისციპლინის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდას ბირდაპირი დამოკიდებულება აქვს არა მარტო წარმოებასთან, შრომის შედეგებთან, არამედ განაწილებისა და მოხმარების პრობლემებთანაც. ნებისყოფის ისეთი გამოვლინებები, როგორიც არის ჩინებული დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ადამიანს შესაძლებლობას აძლევს კონტროლი გაუწიოს თავის მოთხოვნილებებს, განვითაროს გემოვნება, გონიერული ზომიერი მოხმარების გზას დაადგეს. უკულტურო, უდისციპლინი, ცუდად აღზრდილი ადამიანის სიხარბეს მოხმარების სფეროში საზღვარი არა აქვს. დისციპლინიანი და კულტურული კაცი მოხმარებას გონიერულად ეიკლება. იგი არასოდეს არ გადადგამს წინაუხედავ ნაბიჯს გამიღრმავების, კერძომესაყუთრული გარმონიების გულისათვის“.

ცხოვრების სოციალისტური წესის ქმნალობა, ფორმირება და სრულყოფა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს კერძომესაყუთრულ, ინდივიდუალისტურ, მეშინაურ ფსიქოლოგიასთან და მორალთან ბრძოლის პროცესში, სოციალიზმისადმი მომხმარებლური მიდგომის, ადამიანთა ანტისაზოგადოებრივი ქვეყის წინააღმდეგ ბრძოლაში. მომხმარებლური მიდგომის საფუძველია პირადი კეთილდღეობის ეგოისტური ცნების გამოცხადება სახელმძღვანელო პრინციპად.

ჩვენს კლასობრივ მტარებს და მოწინააღმდეგეებს იდეოლოგიური დივერსიის პროცესში

**პარლმ გომხამამ**  
ცხოვრების წესის პრობლემა თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში



მიზანში აქვთ ამოღებული სოციალისტური ცხოვრების წესი, ისინი ცდილობენ სხვადასხვა ინსინუაციითა და სოციალური დემაგოგიის მეტოდებით სახელი გაუტეხონ მას, შეარყიონ მისი საფუძვლები. რა თქმა უნდა, მათ დიდი სურვილი აქვთ მიადწიონ იმას, რომ იხილონ ჩვენი ადამიანები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, „დეიდეოლოგოზირებულნი“, მოკლებულნი მაღალ იდეალებსა და მიზნებს, ამორალური, აპოლიტიკური და სოციალურად პასიური და ა. შ.

ბურჟუაზიის ზოგიერთი იდეოლოგი იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს სოციალისტური ქვეყნების ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის გაუნჯრელი ამადლება ამ ქვეყნებსაც მომხარებლურ საზოგადოებად აქცევს, თითქოს მატერიალური კეთილდღეობა აქაც არსებობის ძირითად აზრად იქცევა და სხვა, რაც თითქოს გადაავარებს სოციალისტურ საზოგადოებას და მისი ცხოვრების წესს გარედან ჩაურევლად, ასე ამგვარად, თითქოს სოციალიზმი დაჰკარგავს მის ყველა ისტორიულ მონაბოგარს და ფასეულობებს. ისინი აშკარად ელემენტარულ ლოგიკურ შეცდომას უშვებენ, როცა აკეთებენ დასკვნას ანალოგიით, გამომდინარე მათი მწარე გამოცდილებიდან, ჩვენ მოვავაწერენ იმას, რისთვისაც თვითონ ვერ გაურთმევიანთ თავი.

ორი სოციალური სისტემის შეჯიბრისა და დაპირისპირების პირობებში სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია მთელი სიციხადით წარმოაჩენს თვითღულის შესაძლებლობებსა და უნარს განავითარონ არა მარტო საწარმოო ძალები, არამედ შეჰქმნან პირობები პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

წინააღმდეგობა მოგებისადმი მონოპოლიების თავაწყვეტილ მისწრაფებასა და მშრომელთა საარსებო ინტერესებს შორის შეუძლებელს ხდის კაპიტალიზმის პირობებში ადამიანის ნამდვილი ღირსების შესაბამისი ცხოვრების ხარისხის შექმნას. უტოპიურია კაპიტალიზმის მესვეურთა ყოველი ახალი ცდა შეაყოვნონ ეკონომიური განვითარების ტემპები, რომ თავი დაიღწიონ ეკოლოგიურ კრიზისს, მოახდინონ კაპიტალის საზოგადოების ტრანსფორმაცია „ნაკლები აქტიურობისა და მეტი სამართლიანობის“, „მოკრძალებულ და გაწონასწორებულ“ საზოგადოებად. სოციალური გაჯანსაღების ყველა მათი პროექტი, აწყდება რა ვადაუღახავ წინააღმდეგობებს, რაღა უნდა ჰქნან, მეტი აღარაფერი დარჩენიათ იქადაგონ დაცემულობისა და ესხატოლოგიური განწყობილებიდან, თანაც ამტკიცებენ მისი გლობალურობა. როცა კაპიტალიზმი პერიოდულად იღწევდა აღმავლობებს, ისინი ამას სწორედ კაპიტალიზმის უპირატესობებს მიაწერდნენ. მაგრამ, ღღეს, როცა იგი მოექცა საერთო კრიზისის მარწუხებში ე. ი. როცა მან უკვე დაკარგა საკუთარი ძალების


რწმენა, ისინი ცდილობენ გამოეყვლინონ სულითადად და ყველაფერი გაიფრცელონ და, რა თქმა უნდა, სოციალიზმზეც. ამრიგად ისინი კაპიტალიზმის ისტორიულ ბელს ავრცელებენ მთელს კაცობრიობაზე. მაგრამ არც ასე ძნელი ამოსახსნელია ამ სოციალური დემაგოგიის მიზანდასახულება.

სკკ XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეენეშვი წახსენა „თუ როდენ რთული იყო 1972 წელი. ბუნების სტიქიას მაშინ დაუუბირისპირეთ ჩვენი ძალა, ჩვენი ორგანიზებულობა, ჩვენი ნება. ცენტრალურმა კომიტეტმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დარაზმეს, შთააგონეს ადამიანები, დაიწყო ნამდვილი ბრძოლა პუროსათვის. ამ ბრძოლაში კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის მუშები, საბჭოთა არმიის მეომრები, სტუდენტები“. ეს იყო ცხოვრების სოციალისტური წესის თვალსაჩინო, პრაქტიკული გამოვლენება. რაიმე ამის მსგავსიც რომ გამოიჩნებოდა კაპიტალის სამყაროში.

სოციალისტური ცხოვრების წესი ეს არის სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე დაფუძნებული ადამიანთა თვისობრივად ახალი ყოფა, აზროვნება და ქცევა, რაც ვლინდება პიროვნების საზოგადოებასადმი დამოკიდებულებაში, კერძოთ: შრომისა და საკუთრებისადმი, საზოგადოებრივი დოვლათისადმი დამოკიდებულებაში, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებაში, კოლექტივიზმსა და ინტერნაციონალიზმში, პრინციპულობასა და სოციალისტური თანაცხოვრების წესთა და კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევისადმი შეურიგებლობაში, ოჯახისადმი დამოკიდებულებაში, ადამიანის დამოკიდებულებაში მატერიალურ და სულიერი ფასეულობებისადმი, იგი ვლინდება ადამიანის გარეგნულ ქცევაშიც, დასვენებისა, ორგანიზებასა და შინაარსში.

სოციალისტური ცხოვრების წესში ვლინდება პიროვნების მაღალი კლასობრივი და პარტიული შეგნებულობა, მისი იდეურობა, სოციალისტური ცხოვრების წესის საყოველთაო დამკვიდრებასა და განვითარებას სოციალიზმის დროს ხელს უწყობს პარტიის ხელმძღვანელობით ცხოვრების ყველა სფეროს მეცნიერულად ორგანიზებული გეგმიანი ფუნქციონირება.

„კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით ადამიანთა შეგნებაში, — აღნიშნავდა სკკ XXIV ყრილობაზე ამხ. ვეს ჰოლი, — აღმოცენდნენ ახალი კრიტიკიუმები, რომელთა საფუძველზეც ისინი ერთმანეთს აღარებენ ორ მსოფლიო სისტემას, ეს შეფასება არ ამოიწურება მონაცემთა მხოლოდ ზედპირული დაპირისპირებით. ისინი ითვალისწინებენ არა მარტო სამარწველო ზრდის ან სოციალისტური ფასების მან-



გენბლენს. ანლა ნანწორზეა შეგდებულ იმეო-  
 ლი ცხოვრების ხარისხობრივი მხარე. მატერია-  
 ლური უზრუნველყოფის დონე აქ მნიშვნელო-  
 ვან როლს თამაშობს, მაგრამ განზომილებათა  
 მასშტაბები უფრო ფართო ვახდა. იგი მოიცავს  
 ადამიანურ ფასეულობათა მთელს სპექტრს. ისი-  
 ნი მოიაყვენ ამა თუ იმ სისტემისათვის დამახა-  
 სიათებელი მორალის, კულტურისა და ფილო-  
 სოფის კონცეფციებს. ამ კომპონენტთა, უმე-  
 ტესობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ცხოვ-  
 რების ხარისხობრივ მხარეზე, ვერ გავზომავ ვე-  
 რავითარი ციფრობრივი მონაცემებით.“

სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ იდეო-  
 ლოგიური ბრძოლის პრბლემები სულ უფრო  
 წინა პლანზე გამოდის, ხოლო სიმარტლე სო-  
 ციალიზმის შესახებ მძლავრი იარაღია ამ  
 ბრძოლაში. სოციალისტური ცხოვრების წესის  
 შემდგომი სრულყოფისა და განვითარების  
 თაობაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყუ-  
 რადღებას იმსახურებენ XXV ყრილობაზე სკკპ  
 საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებული სა-  
 კითხები: ხალხის ხმისადმი, მშრომელთა წერი-  
 ლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულე-  
 ბის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდ-  
 გომი განვითარების, მიღებულ დადგენილე-  
 ბათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიე-  
 რების შესახებ, მომხვეჭელობის, კერძო-  
 მესაკუთრული ტენდენციების, ხულოცნობის,  
 ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და ადამიან-  
 ისადმი გულგრილობის წინააღმდეგ ბრძოლის  
 გაძლიერების, პატრიარქალშინის, კუთხურო-  
 ბის, ნაციონალიზმის, შოვინიზმის და სხვა მან-  
 კიერებათა და ნაკლოვანებათა წინააღმდეგ  
 ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ხელმძღვანელ-  
 თა პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მათი  
 მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერების,

სოციალისტური დემოკრატიისა და იმედდრო-  
 ულად მოქალაქეთა დისციპლინისა და პა-  
 სუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, სა-  
 ზოგადოების წინაშე, ცენტრალიზმისა და დე-  
 მოკრატიზმის შემდგომი სრულყოფის, პი-  
 როვნების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის,  
 მთელი აღმზრდელითი საქმისადმი კომპლექ-  
 სური მიდგომის, სახალხო განათლებისა და  
 პროფესიული მომზადების სისტემის სრულ-  
 ყოფის, შრომისათვის ადამიანის მომზა-  
 დების შესახებ, მხატვრული ინტელიგენ-  
 ციისადმი, ტალანტისადმი გულისხმიერი დამო-  
 კიდებულების, მშრომელთა პატრიოტული  
 აღზრდისა და ერთდროულად მასების ინტერ-  
 ნაციონალისტური შეგნების განმტკიცების,  
 სამეცნიერო მუშაობაში შემოქმედებითი ატ-  
 მოსფეროს შექმნის, ცხოვრებასთან მეცნი-  
 ერების კავშირის განმტკიცების შესახებ, გა-  
 რემოს დაცვის შესახებ და სხვა.

პარტიისა და მთელი ხალხის მიერ ამ ახო-  
 ცანების შესრულება უზრუნველყოფს იმ სა-  
 ზოგადოებრივ პოლიტკური და მორალურ-  
 ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას, რომ-  
 ლებიც ხელს შეუწყობენ სოციალისტური  
 ცხოვრების წესის შემდგომ განმტკიცებას, ახა-  
 ლი მსოფლმხედველობის ადამიანის ფორმირე-  
 ბას.

სოციალისტური ცხოვრების წესი ჩვენი  
 უდიდესი მონაპოვარი და კაპიტალიზმთან შე-  
 დარებით უდაო უპირატესობაა. ჩვენ ვაპა-  
 ყობთ ჩვენი ცხოვრების წესით, რომელიც კა-  
 ცობრიობას უჩვენებს ახალ პორიზონტებს,  
 ახალ მორალურ დირებულებებსა და იდეალებს.  
 ჩვენი ვალია კვლავაც სრულყოფთ და დავიცვათ  
 იგი საერთაშორისო ასპარეზზე მჭაფრი იდეო-  
 ლოგიური ბრძოლის პირობებში.

მე შენი მარად სიცოცხლე მინდა;  
 მოწამე არის მაღალი დმერთი!..  
 მარტო იმიტომ მოგკვდები მშვიდად,  
 რომ შენ მოგაკლო სიკვდილი ერთი!..

ზაურ გოლძვამძე





თარგმნი ჩხაიძე

# მწერლის წმინდა სიტყვა


არც-რა ბიჭობა ეგ არი,  
მაძღარი მძღერდვ, მგალობდვ.

გაბა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1974 წელს გამოსცა რეზო ჭეიშვილის ნაწარმოებთა კრებული. კრებულში წარმოდგენილია მწერლის მოთხრობები და რომანი: „ქალაქში დინოზავრები დადიან“ (ეს რომანი „ჩემი მეგობარი ნოდარის“ გადამუშავებული ვარიანტია). რეზო ჭეიშვილის მოთხრობები ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია. ისინი მოიწონეს და აღიარეს ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ. სამი შერჩეული მოთხრობა: „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“, „ცისფერი ხიდები“ და „მიწების ვანაწილება“ წარმოდგენას გვიქმნის კრებულში შეტანილი მოთხრობების მხატვრულ ღირსებებსა და მათს საერთო დონეზე. გვიჩვენებს, სწორედ ამ მოთხრობების გამო ჩამოყვებულ სიტყვა მკითხველს.

მხატვრულ სიტყვას საკვირველი ძალა აქვს. ელაც უცხო და შორეული ადამიანის, ისიც, ვინ იცის, არსებულისა თუ არარსებულის კიბრა და ლხინს გაგაზიარებინებს; მისი ბედით ვაგაზარებს და უბედობით დაგამწუხრებს; შეგათვისებს, შენინად გიქცევს. ასეც ზომ ხდება: რელიური ადამიანის აშკარა ბედშობას შეესწრება კაცი ცხოვრებაში და დიდად არ შეწუხდება, მინცდამინც არ მიაქცევს ამ ამბავს უშურადღებას, ისე აუვლის ვერდს. მაგრამ წაიკითხავს წიგნი ამგვარი კაცის თავგადასავალს და მაშინ კი გრძნობა მოერევა, გულს მოხვედბა. ანდა, ვთქვათ, ვაზეთში ამოიკითხავ ცნობას: მსოფლიოს ამა და ამ კუთხეში ესა და ეს სოფელი გადაბუვს, ამდენი და ამდენი უდანაშაულო ქალი და ბავშვი მხეცურად ამოხოცესო. უტყუარია ეს ცნობა, აი ახლა

შენს მეზობლად მომხდარა, და თუმცა მთელი შეგნებით თანუგრძნობ იმ უბედურთ, მაინც, შესაძლოა, ფაქტადვე, ზოგად ცოდნადვე გარჩეს ის ცნობა გონებაში, გულისკენ გზა ვერ გაიკვილოს (მით უმეტეს, თანადროული მასობრივი ინფორმაციის პირობებში, როცა ათასგვარი უბედურების ამბავს, რაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ხდება, უმალ იგებ, და რასაც თითქოს ნებაუწებურ ეჩვენება უყრი). მაგრამ წაიკითხავ ავტორ, როგორ ვედება ვინმე ილიუშა სნევირევი, წარმოსახვის ნაყოფი რომ არის მწერლისა, და არ იქნება, გული არ დაგეწვას. ოღონდ მუზათა წინამდგომ აპოლონს (მუზავეთს) ერთი უღმობელი თვისებაც აქვს: თუ არ გწყალობს, შენს დარდას თუ სიხარულს სხვათა დარდად ან სიხარულად არ გაქცევენებს; რაკინდ კეთილშობილური სურვილით უნდა იყო შთაგონებული, რაკინდ გულისშემკვრელი რამ უნდა გჭონდეს სათბობ-გასამხელი, თუ მისგან უხილავი მირონი არ გცხობა, ისე სხვის გულს ვერ შესწრავე (ვგულისხმობ პროფესიული, და არა გულუბრყვილო, უცადი მკითხველის გულს). ან ეგზალტირებული პათეტიკისკენ გადავიცდება ფეხი, ან უემეზური სანტიმენტალიზმი გადაგმლევს; ანდა, იმის მაგიერ, მკითხველში ვარკვეული ემოციის აღძვრას მიადღწიო, — წინა პლანზე, ნავსად, ამ ემოციის აღძვრის სურვილი, აღძვრისადმი სურაფეა იჩენს თავს. ის კი არა, ფრიად ღირსეულ შემოქმედსაც ზოგჯერ ვერ აურიდებია ეს საბედისწერო ნაკლი. მაგალითად, ტოლსტოიმ თქვა ლეონიდ ანდრეევის მისამართით, როცა მისი ერთი მოთხრობა წაიკითხა: ვაშინებს, მე კი შიშს არა ვგრძნობო («Он пугает, а мне не страшно».)



თუ ხელოვნება, თანხმად ცნობილი ვასია ზღერისა, იმას ნიშნავს, რომ ერთი ადამიანი თავის ნაგრძნობას და ნაზრევს, სახოვად გამოხატულს, სხვებს უზიარებს გარკვეული გარეგნული ნიშნების მეოხებით, მაშინ ცხადია: რაც უფრო აღდეკავებულია მწერლის მიერ მკითხველის გულში აღძრული ემოციის მიერ მკითხველს, თავად მწერალს რომ განუცდია ოდესმე, მით უფრო უშუალო ეთქმის ამ მწერლის ნიჭს, მით უფრო ძლიერი ეთქმის მის წმინდა შემოქმედების ღვრიტას.

ნაგრძნობა-ნაფერადი მწერალი, ჩვეულებრივ, პერსონაჟების მეშვეობით ვაცხადებს ხოლმე. პერსონაჟს ორგვარი ხერხით გამოსახვენ ძირითადად. ერთია გარედან ხატვის ხერხი. აქ თავიდათავია თვალისმიერი დაკვირვება, „თავისებური ობიექტი“. ყურადღება მახვილდება პერსონაჟის გარეგნულ პორტრეტზე, ჩამოულობაზე, მის ქცევასა და ექსტ-მიმიაჯზე, ხმის კილო-მოქცევაზე — სულიერი მოძრაობის მატერიალურ გამოვლინებაზე. ასეთ შემთხვევაში „ფსიქოლოგიის სათავეა მხოლოდ გარეგნულად გამოვლენილი ფაქტები“ (შტ. ცვივი). ესაა ე. წ. ექსტროსპექტული გზა ხატვისა (ამგვარად დახატულია, მაგალითად, აკაკი აკაკიევიჩ ბაშაჩხინი). მეორეგვარი ის გზაა, როცა მწერალი უშუალოდ გვახედებს პერსონაჟის შინაგან სამყაროში; ავტორის „სამთვალეურეო პუნქტი გვიჩიის სულშია ვადატანობი“ (ვ. დნებროვი). მისი „ინტუიციური მზერა“ მიმართულია „მეს“ სიღრმისაკენ. იგი შიგნიდან გვიჩვენებს და გვაცნობს პერსონაჟს. გვიჩვენებს მის უიღუმალეს სურვილს, ლტოლვას, ფიქრსა თუ გრძნობას. ეს არის ინტროსპექტული გზა ჩვენებისა. ასე ნაჩვენებია, მაგალითად, მაკარ დევუშინი. ამ ორ ხერხს ზოგჯერ პირობითად თუ გამოიწვევს მხატვრული შემოქმედების ამა თუ ამ ნიმუშში: შესაძლოა, ერთი და იგივე მწერალი მეტნაკლებად ორივე ხერხს იმეციებდეს არამითუ სხვადასხვა ნაწარმოებში — ერთსა და იმავე ქმნილებაშიც, ნაირგვარი პერსონაჟების წარმოსახვისას.

თანადროული პროფესიული, გონებაგანივითარებელი, ინტროვერტული ტიპის მკითხველი, მომეტებული ინტერესის საგნად თავისივე ემოციურ-ინტელექტუალური ცხოვრების სფეროს რომ მიიჩნევს, მხატვრულ ქმნილებაშიც უპირატესად საკუთარი თავის გამოხატულებას, საკუთარი ფიქრებისა და განწყობილებების უქუფენას ეძიებს. წიგნთან განმარტობულს, მას სურს თავის თავს ჩაუღრმავდეს, თავისი შინაგანი არსების ფარულ მხარეებს ჩასწვდეს, საკუთარი რაობა უკეთ გაიცნობიეროს. რვირფას და თავისებურ შეგებისმოგვრელ მონაპოვრად თვლის, თუ წიგნის ავტორისაგან ამ დროს მიიღებს იღუმალი რამ სულიერი სატკივრის, პიროვნული რამ ლტოლვის გახედულად

გამდგენების, არსებობის ღრსად ცნობის დი სტურსა და უფლებას.

ვასაგებია, რომ ამგვარ პერსონაჟებს სხენებული ყიდის მკითხველი შედარებით უფრო ადვილად ამაყრებს შინაგან კონტაქტს, უფრო იოლად აიგივებს თავის თავს მასთან და უფრო ბუნებრივად ემორჩილება მის ემოციურ ზეგავლენას, ვიდრე იმგვარი პერსონაჟისას, რომლის ბედ-იბდლის ჩვენება, შესაძლოა, არ უზახეხებდეს სხენებული ტიპის მკითხველის უშუალო, ღრმად შინაგან, პიროვნულ ინტერესს. მით უმეტეს, თუ ეს პერსონაჟი არ არის რაიმე სულიერი პრობლემის მტვირთველი, თუ მისი ხვედრის განსაზღვრელი მიზეზი მასშივე კი არ ბუდობს — მის მიღმა, გარე სინამდვილეში ძევს.

რეზო კვიციანი მოთხრობა „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორიაში“, მთავარი გმირის ბიჭიკოს სახით, სწორედ ამ მეორეგვარ პერსონაჟს გვიხატავს ექსტროსპექტულად, მაგრამ ძლიერ ემოციურ შემოქმედებას აღწევს. იმ დისტანციის გრძნობის გაქარწყლებას, იმ გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერის მოშლის ახერხებს, რაც მკითხველსა და ნაწარმოებებს გვირს შორის არსებობს ხოლმე. გვირის წრფელ გულშემატკივარსა და მისი ხვედრის თანამოზიარეს გვხვდის. როგორ ახერხებს ავტორი ამას? რადგან ხელოვნებაში მხატვრული სახისათვის სულის ჩასაბერად, სუნთქვის მისინი ქებალად, ერთი შემოქმედის სიტყვით, რომ ეთქვას, გადამწყვეტია ოდნავი რაღაც („ЧУТЬ-ЧУТЬ“), ხოლო ეს „ЧУТЬ-ЧУТЬ“ სცილდება საკუთრივ წერის ტექნიკის საზღვრებს და თანდაყოლილი ნიჭის კეთილღებებას შეადგენს, ამიტომ უნაყოფო იქნებოდა ანალიზის მეშვეობით იმ საიდუმლოს ზედმიწევნით ახსნის ცდა, რასაც ქმნილების მხატვრული შემოქმედების ძალა იძალავს. მაგრამ საცნაურია ძირითადი მექანიზმი, ზემოხსენებულ მოთხრობაში ბიჭიკოს სახის მხატვრული შემოქმედების თავისებურებას რომ განსაზღვრავს. ერთი შეხედვით, თითქოს ძნელი არ უნდა იყოს თანავგრძნობა ავტორთან პერსონაჟის მიმართ, რომლის ადამიანურ ღირსებას ბარბაროსულად გაქვლავენ წერტილში ჩიბობისა თუ შურის გამო, თითქმის ტყუილბურალოდ; პერსონაჟის მიმართ, რომელსაც ამით საშუალოდ გააუბედურებენ. ზოგადი მორალური თანაგრძნობა, შესაძლოა, მართლაც ადვილად დავეუფლოს სინდისის წინაშე ვალმისახდელად, მაგრამ იმისათვის, რომ კონკრეტულ-გამოცნობადი, ინდივიდუალური, ერთბაშადი დამოკიდებულება გავიჩინდეს მოქმედი პირისადმი, ავტორს უშუალო, თითქოსდა უნებლიე ემოციური რე-

თენგივ ჩხაიძე  
წვირლის წმინდა სიტყვა

აქცია, იმისათვის, რომ საკუთარი თავი წარმოიდგინო მის ადგილას, საამისოდ მწერალმა მეთხველის დამორჩილებისთვის შეფარვით გამოართული ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. ამ ორთაბრძოლის მოგებას რეზოლუციონში იწყებს პერსონაჟის (ბიკოს) ხასიათის გაცნობით. ავტორისეული ძუნწი პირდაპირი დახასიათებითა და ასევე ძუნწად მოხმობილი დეტალების მეშვეობით ვეცნობით ხალხს ადამიანს, რომელსაც უყვარს შრომა, ლხინი და მეგობრები (ბიკო ამ დროს, ე. ი. ამ ამბის დაწყებისას, მოთხრობაში რომ ხდება, ჯერ ისევე ახალგაზრდა, უცოლშვილო, მართებელა კაცია. დაქორწინებას ის-ისა აპირებს). რამდენიმე დეტალი დავამჩნობს, რომ იგი, პროფესიით ინჟინერია, გვაჩვენებელია საზოგადოების მიერ, მოხვეჭილი აქვს საუკეთესო სპეციალისტის სახელი და ხელმძღვანელობს ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტს. ხოლო მისი განსაკუთრებული სიყვარული ლხინისა, მეგობრებთან ერთად მოღვინისა, მეგობრების უნაგრო პატივიცემა, „ქეიფი ოთხი ეტლით“, რამდენიმე მეტყველი დეტალით რომ არის ნაჩვენები, არსებითად იგივეა, რაც ხალხის ყოფის მიმართ. იგი თავდაც ხარობს სიცოცხლით და სხვასაც ახარობს. აქ მკლავდება მისი ბუნების ის თვისება, ქართული კაცის ხასიათის ერთ-ერთი ნიშნული თვისება რომ არის და ლიტერატურაში ამ ფორმულითაა გამოხატული — „გაახარე-გაიხარე!“

ბიკო უეცრად გაქრება (ღმით წაიყვანენ შინიდან), არავინ იცის მისი ასავალ-დასავალი, ბრუნდება ათი დღის შემდეგ და ისევე გამოცვლილი, სრულ კონტრასტს ქმნის წინანდელ მხიარულ, უნადვლო ბიკოსთან. ახლა ეს არის მორალურ-ფსიქოლოგიურად გაცამტვერებული ადამიანი. ავტორი ამას გარეგნულად გამოვლენილი ნიშნებით მიხედვით გვიჩვენებს, მხოლოდ იმის მიხედვით, რასაც უშუალოდ თვალი დასმენა აღიქვამს ხოლმე დამკვირვებლისა (და სწორედ ამ დეტალებით კარგად გვაგარანობენ პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას, იმას, რა ჯოჯოხეთის ცეცხლიც უნდა უტრიალებდეს პერსონაჟს გულში). თუ წინათ ერთი ზარზე იმით, „ოთხი ეტლით“ იცოდა შინ მობრუნება ბიკომ — პირველ ეტლში თვითონ იჯდა, მეორეში და მესამეში ამანაგები ისხდნენ, მეოთხეში — დამკვირვებელი — ახლა ჩუმად შეიკრება თავის ოთახში, არის განმარტობებული, პაპიროსს წევს და რაღაცას თავისთვის ლაპარაკობს. იგი არა მარტო განადგურებულია, დაშინებულიცაა. ამას პერსონაჟის ქცევით მიგვანიშნებს ავტორი: კაცი, ვისი გულისა და სახლის კარიც ღია იყო ადამიანებისათვის, შინ მისვლისთანავე დარბაზს დავმანავს და ოთახის კარს „შეგინდან აუქვადვს“ (ეშინია, ღამით ისევე არ მოაქითხონ წასაყვანად).

მაგრამ შიშთან ერთად მას ბრახიც კლავს,

ბოლომ ახრჩობს იმ კაცის გამო (ის კაცი გვარად ტუყვაძეა), ვინაც უღანაშუალოდ ცდილობდა შეუგინა. და ეს ქნა წერულები, ვინც გულდრძობობის გამო, ვაბედვით კი იმას ვაბედდინა, რომ იცოდა, ძალა მის ხელთ იყო და გაუვიდოდა, პასუხს არავინ მოსთხოვდა.

ბიკოს სულის მშფოთვარებას გვიმტყუნებს მისი თავისებური საქციელი: როცა მეზობლები მიუქაყუნებენ კარზე ამბის გასაგებად, ბიკო ფანჯარას გამოადებს, ვადმობტება (კარი აქვე დილი აქვს), ორ დიდ ქვას წამოაფლავს ხელს, თავწახრილი გაიქცევა, ღობეს ეცემა, ორ სარს გაგლვავს და მეზობელ ეზოში, სადაც ჭვარამობტრეული ეცლესა დვას, ყვირილით გადავარდება — „ტუყვაძე, მოგვალე, შენი დედა... მოგვალე, სად წახვალ, სად ვარბობი... ტუყვაძე, გაჩერდი, თუ ვაქაევი ხარ!“


დიდხანს ირბენს და იყვირებს, შემდეგ მოულოდნელად შეჩერდება, ქვეს გადაყარს და დაწყინებული თავის ეზოში შებრუნდება.

მერმე ყოველდღე უხსტად იგივე ამბავი მეორდება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს. ამის მეტს არც რამეს აკეთებს ამიერიდან ბიკო, არც რამეს აშავებს.

ეს კონკრეტული, თვალნათლივი და იმავე დროს მარტივი ფორმა პერსონაჟის მწვავე შინგანი მდგომარეობის გამოვლენისა იღბლიანად შეუჩრჩევია მწერალს: აქ პირვანდელი სიმძაფრითა და უშუალოებით ჩანს ტყუილბრალოდ გაქვლილი ადამიანის გაცოფებაცა და უილაჯო გულს შემოსკდომაც, სულიერი ჩანაცა და უძალიერის იზბრაზეც. ხოლო ისეთი დეტალი, როგორიცაა ქვის ხელში აღება უჩინარი მეტოქის ჯავრის ამოსაყვრად, რაღაცნაირი ბავშვური გულმდუღარების, ბავშვური უმწეობისა და თავისებური გულბრყვილობის ასოციაციას აღძრავს. ბავშვის უსამართლოდ შეურაცხყოფილი გრძობა ხომ ჯერაც შეუზღუდველი, სტიქიური, წმინდა და მიამიტური სახით იჩენს ხოლმე თავს. ასეთივე წმინდა, შეურაცხელი სახით ვლინდება ბიკოს დაგუბებული გრძობაც. ავტორი გვერდს უვლის იმას, რაც ხელს შეუშლიდა პერსონაჟის ემოციის თავისუფლად, შეუზღუდველად გამოვლენას; მაგალითად, ბიკოს უილაჯო გააფთრებას მთლიანად ტუყვაძისადმი მიმართავს. სინამდელიში კი ძნელი დასაჭრებელია, ყველაფრის მიზეზად მხოლოდ ტუყვაძეს საზავდეს სხეულბული პერსონაჟი (ისიც განათლებული, საზოგადოებრივ საკითხებში ვათვითცნობიერებული კაცი). მაგრამ მიზეზთა ძიება, განსჯის ელემენტის შემოტანა დაწვედა პერსონაჟის იმ უშუალო ემოციურ ტონუსს, ერთი კონკრეტული ადამიანის, ტუყვაძის მოქმედებით რომ არის გამოყვეული. ეს კი თავის მხრივ შეანელებდა წმინდა ემოციურ შემოქმედებას, რასაც თვით ბიკოსის სახე, მისი ბედი ახდენს ჩვენზე.

ხელოვნებაში რაიმე გარკვეული მოვლენისა





თუ ვითარების სიმწვავეს, იმ ვითარებაში მოქცეული პერსონაჟის ტრაგიზმს მაშინ ვიგრძნობთ სოლმე კემპარტიად, სრული ძალით, თუ, ჯერ ერთი, ვხედავთ, რომ პერსონაჟი მაქსიმალურსა და თანაც თავისებურ, განსაკუთრებულ რეაგირებას ახდენს და, მეორეც კიდევ, თუ მისი ხასიათი ისეა ნაჩვენები, რომ ჩვენს თავს უნებურად წარმოვიდგენთ ხოლმე მის ადგილას. ბიჭიკო ერთეული ლაღი, თავმოყვარე, საკუთარი ღირსების გრძნობით დაჯილდოებული ადამიანია; მისთვის უცნობია უსახო შიმის ატმოსფეროში ცხოვრება; და როცა მოულოდნელად მდილივით გასრესენ, მთელი მისი არსება სტიქიურად ამხედრდება მისი აღმოფხვრების გრძნობა ისეთივე ცხარე და მოუნელებელია, როგორც გრძნობა გულბრყვილო სათუთი ბავშვისა, რომელსაც პირველი სასტიკი მოპყრობა ან უმიზეზოდ აბუჩად აგდება გაუგებარა და განუსაზღვრელად უსამართლო ეჩვენება; ბავშვისა, რომლის ხალასი უნარი, იუცხოოს უსამართლობა, აკვირვებდეს ის, რაც გასაკვირია, ჯერაც არაფერს მოუჩლუნგებია, არაფერს დაუთრგუნავს. ბიჭიკოს ხასიათი მარტივი, გარკვეული და ნათელია, მოკლებულია არა მარტო რაიმე ბუნდოვანებას ან სირთულეს, — საგანგებო ინდივიდუალიზაციასაც. მწერალს განგებისად შერჩეული აქვს ხასიათის ისეთი ნიშნები, რაც ერთ ადამიანს კი არ გამოარჩევს და განასხვავებს სხვებისგან, — აერთიანებს სხვებთან. ერთი ამგვარ თვისებათაგანი — ზემოთაც აღვნიშნეთ — სიცოცხლის სიხარულია. ეს თვისება, რაგინდ ნავლწყარილიც უნდა იყოს ზოგჯერ, მაინც ცოცხლობს ადამიანის გულის სიღრმეში. ცოცხლობს თუნდაც სურვილი, ნატურა იმ თვისების კვლავ აღორძინებისა, ან თუნდაც სევდა მისი დაკარგვის გამო. სიცოცხლის სიხარულის მარტივი, ულემენტური გრძნობა, შევგება ამ სიხარულის უპირველესი უფლებისა, ძალმოგრობით გამოწვეული გულბრყვილო, სტიქიური სულიერი ჯანყი ის ფაქტორებია, გამორჩეულად რომ უწყობს ხელს მკითხველის შინაგან კავშირს ხსენებულ პერსონაჟთან, ბადებს თანაზიარობის გაცნობას (ერთი წუთით წარმოვიფხვნივთ, ბიჭიკო ერთეულის დღეში ჩავარდნილი გვეხილოს, ვთქვათ, ბელიკოვისთანა დუნე, უსიცოცხლო, ყველაფრის მოშინი არსება, ისედაც წამდღუწუმ რომ ელის, ვითუ რაიმე მოხდესო. მკითხველის ემოცია ამგვარ შემთხვევაში სულ სხვანაირი იქნებოდა). სწორედ ზემოთაღნიშნული წინაპირობებმა ქმნის იმის საფუძველს, რომ ბიჭიკო ერთეულის სახე მარტივი, პირვანდელი, ელემენტური ძალით ზემოქმედებს ჩვენზე.


მწერლის თავშეკავებული ტონი (ალაგ იუ-მორიაჲ, ალაგ ირონიით რომ არის შეფერი-

ლი), თხრობის განგებისად ნეიტრალური სტილი გარკვეულწილად პირობადებს მწერლის კლიშეების ბუნებრიობასა და უშუალოდ მისი თხრობის მთავარი გმირის თავდადასავალი რომ ახდენს. ავტორი არ ცდილობს, თავს მოგვახვიოს თავისი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან, ძალად გაგვესწავლოს თანაგრძნობით მთავარი გმირისადმი, დემონსტრირება უყოს საკუთარი პოზიციის აქტიურობას. იგი ენდობა თვით საგნებსა და მოვლენებს.

მოთხრობის თემის განვითარება აქ როდი წყდება. ნაწარმოები მოიცავს სინამდვილის ზოგიერთ ისეთ ასპექტს, რაც საფუძველს გვაძლევს, მისი თემა ზოგადად ასე გავსაზღვროთ: საზოგადოება და ბედი ინდივიდუალისა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საავადმყოფოში შედგენილ ისტორიას ბიჭიკოს ავადმყოფობისას (ბიჭიკოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ) — ამ ნამდვილ გულს მოთხრობისას. პედანტიური გულმოდგინებით გამოიკვლივენ აქ ავადმყოფის მდგომარეობას, სკრუპულოზურად აღნუსხავენ გამოკვლევის შედეგებს. მხოლოდ ნამდვილი მიზეზი რჩებათ სნეულებისა ყურადღების მიღმა. ავადმყოფის ხასიათის თითქმის ყოველი წვერიმანით, მისი ცხოვრების თითქმის ყოველი ფაქტით დაინტერესდებიან ექიმები; დაინტერესდებიან მისი წარსულითაც, მშობლებითაც, იმასაც კი მიაქცევენ ყურადღებას, ბავშვობისას ყბაყურა და ყვიანახველა რომ გადაეტანა. არ დაინტერესდებიან მხოლოდ ნამდვილი მიზეზით სნეულებისა. იმ ფაქტისათვის, რომ ავადმყოფი შუადღისას ცოფდებოდა და ვიღაცის გვარს ახსენებდა, მწერლის სიტყვით თუ ვიტყვით, ყბაყურაზე და ყვიანახველაზე მეტი ყურადღება არ მიუქცევიათ. სხვადასხვაგვარ საშუალებას მიმართავენ სნეულის განსაკუთრებულად, ასე გასინჯეთ, ენის გასატეხსაც კი მისცემენ. მაგრამ ამ საშუალებებს არაფერი კავშირი არა აქვს სნეულების ნამდვილ მიზეზთან. მთელს ამ ისტორიას ავადმყოფობისას, გადმოცემულს განგებისად მშრალი, საქმიანი სტილით, თავიდანვე გამსჭვალავს ფაქტორი ირონია. ირონია მატულობს და ისეთი მწარე ხდება, სარკაზმად იქცევა. სარკაზმს აძლიერებს მკითხველი ცოდნა (ნაგულისხმევი ავტორის მიერ): თუნდაც შეეტყუთ ამ ადამიანებს ნამდვილი მიზეზი, არაფერი შეიცვლებოდა. ამრიგად, აშკარადება საზოგადოების წევრისათვის ამ ოფიციალური ზრუნვის სრული ფორმალურობა და მოჩვენებითობა.

ლიარაფერი უშველება ბიჭიკოს. მართალია, მისმა გარე ნათესაებმა და შემდგომ მეგობ-

თემატიკა ჩხაიძე  
მწერლის წმინდა სიტყვა



**რეზო** დააბრუნს, სხვაგან წაეყვანათ სამეურ-  
ნალოდ, ფულიც შეაგროვეს, მაგრამ ის ფული  
შემოეხარათ და საბოლოოდ თავი ვერაფერს  
დაადგეს.

სიკვდილი გაათავისუფლებს ბიჭიკოს გაუმე-  
ღღრებულად არსებობისაგან. დინალოდ სცენა-  
ში, სადაც ბიჭიკოს დასაფლავებდა აღწერილი,  
ავტორს კვლავ შემოჰყავს ტუვეკაძე. მას შემ-  
დეგ, რაც მოთხრობაში ასახული ამბავი მოა-  
და, ბევრ წყალს ჩაუვლია. ერთ დროს ყოვ-  
ლისშემძლე ტუვეკაძის ნაცვლად ჩვენ წინაშეა  
სასჯელოზობილი, კამილე დასწრელებული, და-  
ჩაჩანკებული კაცი. ნაცვლის ეზო-გარემოს  
ხილვისას მას მოგონებები გაეღვიძება და თი-  
თქოს ბუნდოვანი სინანულის გრძნობაც შეი-  
პყრობს. აწყყოს ფონზე განსაკუთრებით უაზ-  
როდ გამოიყურება წარსულში ჩადენილი ავჯა-  
ცობა. როცა მკითხველი თავას მიაყოლებს  
დასაფლავებდიან შინისაგან მარტოდმარტო  
მიმავალ ტუვეკაძეს, რომელსაც აუტანელი ტვი-  
ვილები აწუხებს, თითქოს ავტორის წარმოუთ-  
ქმელი შეგონება მოესმის: ერთხელ ეძლევა  
სიცოცხლე ადამიანს და ისე უნდა გალიოს  
იგი, უკან რომ მოიბედოს, ბოროტების ნაპარ-  
ტახალი კი არ შერჩეს ზელთ, სიკეთის ნაყო-  
ლივმა გაუნათოს გული.

გარკვეული ვითარების დრამატულობის გა-  
მოსახატავად ზოგი მწერალი ამ დრამატულო-  
ბის შესაქმნელ მაქსიმალურ პირობებს მოუყ-  
რის ხოლმე ნაწარმოებში თავს და ამ გზით ახ-  
დენს მკითხველზე დამთრგუნველ შთაბეჭდი-  
ლებას. რეზო ჭეიშვილი საპირისპირო გზას  
ირჩევს: იგი თითქმის მინიმალურ პირობას იშ-  
ველივებს. პართალიც, ბიჭიკო ერთელს რომ  
ბოროტება უყვეს, გაცილებით უფრო ნაკლებია  
იმ ბოროტებასთან შედარებით, სხვა მისნაირ  
ზეგარაც რომ დასტყდომია თავს. სამუდამოდ  
ვადკარგვა, შინ კიდევ ბედის ანაბარად დარ-  
ჩენილი უსაკო შვილები... სამავიეროდ, ამგვა-  
რი ხერხის გამოყენებით ავტორი გასაქანს  
აქლევს ჩვენს წარმოსახვას, რადგან თითქოს  
ვეუბნებმა: თუ ეს შედარებით მსუბუქი ხვე-  
დრია, რაღა ითქმის იმათ ვაშო, ვისაც გაცილე-  
ბით უფრო მძიმე ხვედრი ეგვრა?

რეზო ჭეიშვილი ამ მოთხრობით ინდივი-  
დუუმის ძირითად ინტერესებს გამოხატავს.  
ინდივიდუუმის ბედისა თუ უბედობის მიხედ-  
ვით ზომავს იგი სოციალური სინამდვილის  
ავკარგს; გვენერგავს ადამიანის მოქალაქეო-  
ბრივი უფლებების, პიროვნების თავისუფლე-  
ბის პატივისცემას. ეს მისი ჰუმანისტური პო-  
ზიციაა. ამ ჰუმანისტური პოზიციით ესმურე-  
ბა მწერალი ამდროული ჩვენს საზოგადოების  
მისწრაფებებსა და სულისკვეთებას.

(ორიოდე მცირე შენიშვნა. თავის დროზე  
ეს მოთხრობა უწერდა „ციცქარში“ გამოქვეყ-

ნდა და სათაურად ჰქონდა „ტუვეკაძის ავად-  
მყოფობის ისტორია“ ავტორის შემდგომ სათა-  
ური ნაწილობრივ შეუცვლია: „შერჩეული გვა-  
რის ტუვეკაძის მაგიერ ნამდვილი სახელი, ბი-  
ჭიკო, ჩაუვსამს. ჩვენი აზრით, სჯობდა თავდა-  
პირველი ვარიანტი, როცა გვარი ტუვეკაძის, იმ  
კაცისა, ვინც ბედისწიკად ექცა მოთხრობის  
მთავარ პერსონაჟს, სათაურში იყო გატანილი.  
ბევრნი ხომ ბიჭიკოს სწორედ ტუვეკაძედ იცნო-  
ბდნენ. თავად ბიჭიკო მწერლის მოთხრობების  
წინა კრებულის მიხედვით გვარად ჩიქოვანი  
გახლდათ. ამ ბოლო კრებულის მიხედვით კი  
ერთელია. პერსონაჟის გვარის შეცვლა, ისიც  
მთავარი პერსონაჟის გვარისა, არ იყო სასუ-  
რველი).

თუ „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორიაში“  
ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო მთა-  
ვარი პერსონაჟი, მისი ბედი, „ციცქერ ხიდე-  
შში“ აქტენტი გადატანილია იმ დაწესებულე-  
ბაში გაუმეებულ ზნე-ჩვეულებათა გამოსახე-  
ზე, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობა უხ-  
დება მთავარ მოქმედ პირს, სოსო ანჩაძეს.  
უშთაგრესი მანკი, რასაც ააშკარავენს ამ დაწე-  
სებულების მუშაეთა დამოკიდებულება ს. ანჩ-  
ძესთან, ეს არის გულგრილობა, უსულგულო-  
ბა. გულგრილობა და მისი მიზეზები შეიძლება  
სხვადასხვაგვარი იყოს. აქ გამოხატული  
გულგრილობის თავისებურება ს. არის,  
რომ თითქმის ყველანი, ვისაც ს. ანჩ-  
ძის საქმის მოგვარება ჰპართებს, გა-  
რეგნულად მხალ არიან, დაეხმარონ მას,  
თითქოს ესმარებიან კიდევ, თითქოს ცდას არ  
აქლენ; მპირდებიან, ამუღებენ; გრძნობენ,  
რომ დაუსრულებლივ აწვალებენ ადამიანს,  
და თუმცა არც ისეთი უსაშველო საკითხი აქვთ  
გადასაწყვეტი, მაინც საოცარი ვულგარილობის  
ტუვეკაძეში არიან მოქცეულნი, ნამდვილი მო-  
ნდომება აკლიათ. საქმეც მყდარი წერტილი-  
დან არ იჭერის. საგულისხმო ამბავია: თანად-  
როული შეგნების მქონე ადამიანი თითქოს  
მონდომებულია, თანაც მოვალეობა უკარნა-  
ხებს, სათანადო ყურადღება გამოიჩინოს მეო-  
რე ადამიანის მიმართ; ესმის, რადღენ სჭირ-  
დება ეს ყურადღება იმ ადამიანს, რომელსაც  
ვარეგნულად ამხანაგურ-ფაბილარულად, ლა-  
მის შინაურულადაც ეპყრობა. მაგრამ საქმე  
საქმეზე რომ მიდგება, გულისხმიერების გრძ-  
ნობა მიაკლდება სოლმე, რაღაცნაირ შინაგან  
ინდიფერენტულობის ემორჩილება. ეჩვევა და  
ევლება ამ ინდიფერენტულობას. ასე რომ, იმ  
კაცის ბედი, არსებობა რომ ვთქვათ, სრული-  
ად არ აღადრებს.

მოთხრობის წონისი, ორი სიტყვით თუ ვიტ-  
ყვით, ამგვარია: სათანადო დაწესებულებაში



უნდა წაიკითხონ, განხილონ და შეაფასონ ავტორ ს. ანჩის ნაწარმოები. ეს პროცესი რატომაც რამდენიმე წელიწადს ჰიანურდება. ბოლოს, თვით ავტორის დაუღალავი შეცდილობით, დანიშნავენ განხილვას. მაგრამ ეს განხილვა უშედეგო, ფორმალური გამოდგება. ყველაფერი ისევე თავიდან უნდა დაიწყოს. ავტორი მოხვედრალია მოჯადობულ წრეში, პარადოქსულ სიტუაციაში.

ამ უბრალო, მარტივ ქარავზე, თითქმის ანეკდოტისებურ შთაბეჭდილებას რომ ტოვებს და, ერთი შეხედვით, ადვილი სედმისაწვდომი ჩანს ხორცშესახსმელად, რეზო ჭეიშვილი ავებს მხატვრულად ძლიერ მოთხრობას, რომელიც, მასში გამოხატული ზნეობრივი აზრის გარდა, — თავისთავად, თვითმპარი ესთეტიკური ღირებულების მქონეა. საერთოდ, რაც უფრო ნაკლებად შეიცავს ხოლმე გარეგნულ ფაქტებსა და ამბებს მხატვრული ნაწარმოები, რაც უფრო ღარიბული და გარეგნულ დამანტრეკებულობას მოკლებულია მისი ფაბულა, მით მეტად ვლინდება მწერლის ნიჭი და ოსტატობა სიტყვიერი ხელოვნების ნამდვილი ნიმუშის შექმნისას. კერძოული წერილობები, ძალდაუტანებელი კომიკური სიტუაციები, უცნაური შემთხვევითობანი, იმეღ დროს დამაქერებელ შთაბეჭდილებას რომ ახდენენ, ქმნიან «ციცფერი ხიდების» იმგვარ მხატვრულ ქსოვილს, რაიც მოწმობს ავტორის ფანტაზიის, მხატვრული გამოსახვის ნიჭისა და ცხოვრებაზე დაკვირვების უნარის ბუნებრივ მთლიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობის გამჟოლი აზრი თავიდანვე ადვილი მისახვედრია და მარტივი, არსად მხატვრული ქსოვილისაგან გამოვარდნოლი, გამოკალკელებული არ არის; არსად ვამოთიშულად, ამ ქსოვილის პარალელურად არ მოძრაობს — მთლიანად მასთან არის შერწყმული და შესისხლხორცებული. აზრი საესებოთ გაღობილი, გათქფვილია მხატვრულ სახეებში; ეს კი ხალასი შემოქმედებითი ნიჭის ნიშანია. აქვე უნდა ვთქვათ, რომ რეზო ჭეიშვილისათვის უკუაა ნაძალადევი იუმორი, ავრთვე ის იაფფასიანი იუმორისტული ტონი, მოკლენათა ასახვის ზერულობასთან ერთად ფელეტონების ავტორთათვის რომ არის ხშირად ნიშანდობლივი.

მწერლის მიერ მოთხრობაში დახატული ვითარება იმდენად უფაერი, სასაცილო და, მასთან ერთად, უგვინია, რომ თავისებურ გროტესკულ სურათად ილიქმება. ამ სურათს უმთავრესად ქმნის მოქმედ პირთა ერთი საერთო უარყოფითი თვისების — გულგრილობისა თუ მოჩვენებითი ყურადღებანიანობის — პიპერბოლიზებულად წარმოჩენა. თვით მოქმედ პირებს კარიკატურულად გამასხარაებულთ, რეალურ იერდაკარგულთ კი არ გვიჩ-

ვენენს ავტორი, თუმცა უღობზლად დასცილინ მათ, არამედ ჩვეულებრივი ტიპისა და ძველად აღამაინებად წარმოავიღვენს, ბუნებრივი დამაქერებლობით გვიხატავს მათს იერსახეს; ამ მხრივ მოთხრობის მხოლოდ იმ ადგილის გამო უნდა გამოვთქვათ შენიშვნა, სადაც მთავარი წერსონაეი, ს. ანჩე, სიტყვას ამბობს თავისი ნაწარმოების განხილვისას. ს. ანჩის გადაკარბებული პაროდიული მეტყველება, შეგაღამოვ თვითმიზნურ, ალოგიკურ ფრაზებგარეული, მოკარიკატურული ელფერს აძლევს მის ქცევას, რაც, ჩვენი აზრით, რამდენადმე არ შეესატყვისება მოთხრობის მიზანდასახულობასა და საერთო სტილს.

შეაძლოა, მწერალმა ნაწარმოებში ამხილოს რაიმე უეეთურობა, არ მოერდოს ისეთი ფაქტის საამუაროზე გამოტანის, როგორცაა, ვთქვათ, სასაფლოს მოხელის მიერ ნამალავი საფლავის მიწით ვაჭრობა, მაგრამ მიზნს ბოლომდე ვერ მიადწიოს. შესაძლოა, სტრიქონსა და სტრიქონს შორის ისიც იგრძნო, ავტორს თვითონვე რომ უკვირს, ეს რა გაბედული რამე ვთქვითო; გაბედულება იქნებ მართლაც გამოეჩინოს. ღონად უცნაური ის არის, რომ გულის მოფხანასთან ერთად, ავტორისა და შენს უნებლიეთ, გინდებდა რაღაც ბუნდოვანი შეგრძნება, რაიც გაუწებებს, და როცა ბოლოსდაბოლოს გაიცილობიერებ, ხვდები, რომ გონებაში შემოხრჩნულა, თითქოს უკანა კარიდან შემოპარულაო, აზრი, დაახლოებით ასე რამ გამოითქმოდა: კი, სისაძაგლეა ეს ამბავი; ასე როგორ უნდა წახდეს ადამიანი... მაგრამ... ასე კია და... ჩნს, ამგვარი ყოფილა ცხოვრება, შენც თვალს უნდა გაუსწორო, შეეჩვიო როგორმე... აქედან ცხადო უნდა იყოს, რომ მსგავს შემთხვევაში მიზნის სრულად მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც მწერლის ბოლომდე გაცნობიერებულ პოზიციას, ისე მხილების სავანებო ფორმას.

რეზო ჭეიშვილი ისე გვიხატავს უარყოფით მოკლენას, რომ სიცბლის გამანადგურებელი ძალით უარყოს იგი, შევვიქმნის სრულ შეუარიგებლობის განწყობილება, გაკვილევოს აზრი ამ მოკლენასთან დაუნდობელი ბრძოლის საკითხებისა. ამგვარ აზრსა და განწყობილებას გვიქმნის იგი სატირის მახვილი იარაღის მომარჯვებით, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ ნაჩვენები მანკიერი საქციელი ზნეობრივი ქცევის ლამის ჩვეულებრივ ნორმად წარმოავიდგება, ხოლო დახატული სურათი ადამიანთა ურთიერთობის ზოგადი სურათის შთაბეჭდილებას ახდენს. როცა საჭიროა, რეზო ჭეიშვილს კალამი გაბედული და ბასრი აქვს; მწერალს

**თენგიზ ჩხაიძე**  
მწერლის წმინდა სიტყვა




სამზოვზე გამოაქვს, რაც მზის სინათლეს ვერ უნდა დაემალოს. და ამას აკეთებს ჩემად და უპრეტენზიოდ, რადგან ამგვარი პოზიცია, ერთ-ყოფა, მწერლის ბუნებრივ და ერთადერთ სწორ პოზიციად მიაჩნია.

„ცისფერ ხიდებთან“ დაკავშირებით აღიძვრის ზოგიერთი პრინციპული საკითხი.

ხსენებულ მოთხრობაში გამოყენებული მხატვრული ასახვის პრინციპის თავისებურება ის არის, რომ ვარკვეულ უარყოფით ადამიანურ თვისებასა თუ საზოგადოებრივ მოვლენას მთელი სიცხადითა და სიმკვეთრით, თანაც ფრიალ განზოგადებულად წარმოგვიდგენს. ამით ხაზი გაესმის აღძრული პრობლემის მნიშვნელობასა და სიმწვავეს, აგრეთვე იმის საჭიროებას, რომ საზოგადოებამ განსაკუთრებულ ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ პრობლემებისადმი, რომ მის გადაჭრას გაიოლებულად და ჰაიპარად ვერ მოუღებია. მეორე მხრივ, ასახვის კონკრეტულობისა და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში ჩვენების თვალსაზრისით, იგივე პრინციპი უკმარისია, მას ზოგი სახის დანაკარგი ახლავს. მაგალითად, მოთხრობის წამკითხველი დაბეჭდილებით ვერ იტყვი, ს. ან-ძის ნაწარმოები კარგია თუ ცუდია, მხარდაჭერის ღირსია თუ უარსაყოფია. შეგიძლია, ფაქტობრივად, ასეც ივარაუდო და ისეც. საქმე ისაა, რომ ავტორი არც ცდილობს დააქონკრულოს ეს საკითხი. მისთვის ამ შემთხვევაში პრინციპულად ერთია, მოწონების ღირსია ეს ნაწარმოები თუ დისაწუნია. მთავარია, ადამიანთა შორის გაშუქებული ინდიფერენტულობა აჩვენოს, მოთხრობაში ჩაქსოვილ აზრს რაც შეიძლება ფართო მატერიალი განზოგადება მიანიჭოს, ერთგვარი სიმბოლური ძვრებადობა შესძინოს. ამგვარი პოზიციისას არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს თავად ნაწარმოების სიაგვარგეს, ავტორის ნიჭიერებასა თუ უნიკობას. მაგრამ საზოგადოებისათვის ასევე ერთნაირი მნიშვნელობისა როდია, უხეირო ნაცოდღელთა უღობავენ გზას თუ საჭირო, ნიჭიერად დაწერილ წიგნს, რომელსაც შეუძლია გარკვეულ სარგებლობა მოუტანოს იმავე საზოგადოებას; ნიჭიერ კაცს ჩაგრავენ თუ უნიკოს არ აძლევენ იმის საშუალებას, ცხოვრების გზა აიხილოს. მოთხრობაში ნაჩვენებია ის უპრინციპობაც, რაც ახსიარითი დაწესებულების ზენ-ჩეულუბას აღსაიფთხებს. მაგრამ ნაჩვენებია არა განვითარება-ცვლილებაში და კონკრეტულ ფაქტორებთან კავშირში, არამედ ოზოლირებულად და რამდენადმე გამყარებულ-გაქვავებულადაც. ეს იმიტომ, რომ ავტორის მეთოდი არ არის რკვევისა და ანალიზის მეთოდი. რთული თანამედრო-

ვე ცხოვრების წვლამა სიმბოლურად თუ სიმბოლურ-ალეგორიულ აზროვნებასთან ერთად, ადამიანის რაობისა და ადამიანთა ურთიერთობის ზოგად, ზედროულ ნიშან-თვისებათა წარმოჩენასთან ერთად, მოითხოვს ცოცხალი სინამდვილის ცალკეული მხარეების მრავალმხრივად და სისავსით გამოსახვას, მოვლენათა კონკრეტულ მიზეზობრივ კავშირში და განვითარება-ცვლილებაში ჩვენებას, ანალიტიკური მეთოდის უფრო ფართოდ გამოყენებას ჩვენს მწერლობაში. მართალია, ლიტერატურის მიზანი, საბოლოო, სინამდვილის სინთეზური სურათის შექმნისავე სწრაფვია, მაგრამ ანალიტიკური აზროვნების მიერ სათანადო ნიადაგის შეუმზადებლად ამგვარ სწრაფვას სასურველი შედეგი არ ექნებოდა.

რამდენადაც ჩვენი საზოგადოების ესთეტიკური შეხედულების თანახმად ლიტერატურას შემეცნებითს მნიშვნელობასთან ერთად გარდაქმნილი ძალაც აქვს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს, ბუნებრივად ისმის „ცისფერ ხიდებში“ გამოხატული უარყოფითი ზნობრივი მოვლენის დაძლევისა და ამ დაძლევის გზების საკითხი. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი მატერიალი ქმნილება უშუალო ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, ხელს უწყობს მის ზნობრივ აღზრდას, უღვიძებს სურვილს, ებრძოდეს ცუდს თავის თავში ან თავის ირგვლივ. მაგრამ არის საზოგადოებაში ფესვგადგმული ზოგიერთი ისეთი უარყოფითი მორალურ-ფსიქოლოგიური თვისება, რის დასაძლევადაც ამ თვისების მატარებელი ინდივიდუუმის მართლოდენ საკუთარი ძალისხმევა, მართლოდენ შეგნების აქტიურ როლზე დანდობა არ კმარა. ყოველ შემთხვევაში, არ კმარა მკვეთრი ცვლილების, რადიკალური შედეგის მისაღწევად (რასაკვირველია, რადიკალის, როგორც ყველგან, ისე აქაც შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ ჩვენ გამოხალის შემთხვევებზე არ ვლაპარაკობთ). არის აგრეთვე ნაწარმოებები, რაიმე მნიშვნელოვან, საკუთბოროტო ეთიკურ-ფსიქოლოგიურ საკითხს რომ ეჯება, მაგრამ მათი ავტორები, რაკი მოქლენათა ზედამწყველადტივებებენ, ერთადერთსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას სუბიექტურ ფაქტორს მიანიჭებენ ხოლმე. „ცისფერი ხიდების“ ერთ-ერთ ღირსებად ისიც მიგვაჩნია, რომ მის ავტორს, ხელისა და წერის რეალისტურ-ობიექტური მანერის წყალობით, სუბიექტური ფაქტორის წინ წამოწევისთან ერთად მთლად უუყარადგმოდ არ დარჩენია ობიექტური ფაქტორის არსებობა. მართალია, ეს ფაქტორი მკრთალად არის წარმოჩენილი, უფრო სწორად, ბუნდოვანად მნიშვნეულია, მაგრამ გარკვეული მსკელობისა და დასკენის გამოტანის საშუალებას მიანიჭ იძლევა. თუ ურთოდლებით დაკავიერდ-



ბით მოთხრობის პერსონაჟთა ქცევასა და განწყობილებას (მაგალითად, ვასო ჩორგალაშვილისას და ზოგიერთი სხვისას), საცნაური უნდა გახდეს, რომ მათში ფეხმოკიდებულ ფორმალიზმსა და შინაგან ინდიფერენტულობას, რასაც საქმიანი ურთიერთობისას ამჟღავნებენ, მათს გაბეზრებულობას გამუდმებულ ერთფეროვანი საქმიანობით, ფესვი უდგას გარკვეულ საზოგადოებრივ მოვლენაში, კერძოდ, იმ ობიექტურ რეალობაში, თანამედროვე საზოგადოებაში არსებული შრომის დანაწილება რომ ეწოდება. ამრიგად, შრომის დანაწილების არსებულ წესში სასურველი ცვლილებების შეტანა დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკის უმაღლესი დონის მიღწევაზე. რამდენადაც წარმოების ურთიერთობაში ადამიანი მონაწილეობს, ხოლო მის ზნეობასა და ფსიქიკაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოების ეფექტიანობა, ამდენად ადამიანის ჩვენება წარმოებაში, საერთოდ საზოგადოებრივ შრომაში, შრომითს ურთიერთობაში, ლიტერატურის ინტერესებისა და საბატიო მოვლენების სფეროში შემოდის. იმ როლზე, ლიტერატურას ამ მხრივ რომ შეუძლია შესარულოს, თანამედროვე რუსი მწერალი ა. გელმანი ამბობს: „ღარწმუნე-

ბული ვარ, საქმიანი ცნობების მწიგნობარდონის ამაღლება სერიოზული რეზერვია ჩვენი ეკონომიკის; ვფიქრობ, ლიტერატურას უნარი შესწევს, ხელი შეუწყოს ამ რეზერვის რაც შეიძლება სრულად „ჩადგომას მწყობრში“. მაგრამ ამგვარად წარმართული ჩვენი მსჯელობის შედეგად თითქოს წრე შეიკრა და ჩინში მოვექვეით. მართლაც, ზემოთ ის აზრი გამოთქვით, ჩვენი საზოგადოების წევრთა „საქმიანი ცნობების ზნეობრივ დონეს“, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკის არსებულ დონე განსაზღვრავსო. მაშასადამე, ამ ზნეობრივი დონის მკვეთრად ამაღლებისათვის გარკვეული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაა. საჭირო. მეორეს მხრივ კი სტიმულად ისევ ზნეობრივ ფაქტორს ვსახავთ. გამოსავალი იმ კონკრეტულმა რეზერვმა უნდა მიგვიითოს, რასაც საქმიანი ცხოვრების ზნეობრივი მხარე შეიცავს და რისი მაქსიმალურად გამოყენებაც რეალური მამოძრავებელი ძალაა ეკონომიკის შემდგომი წინსვლისათვის. ამიტომ, ისევ „ციოსფერი ზილების“ მაგალითს მივებრუნდეთ.

რა არის იმ გულგრალობის მთავარი მიზეზი, ზემოხსენებულ დაწესებულების მუშაკნი რომ იჩენენ ადამიანის მიმართ? ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხედვრა, რომ ამის მიზეზია დაწესებულების მუშაკთა გულგრაილი თუ გაუგულ-

1 იმ აზრის ნათესაყოფად, რასაც აქ ვგულისხმობთ, მოვიტანთ შემდეგ ამონაწერს: „საქმე ისაა, რომ, როგორც კი შრომის დანაწილება იწყება, თვითუღს უჩნდება მოქმედების რომელიმე გარკვეული, განსაკუთრებული არე, რომელსაც მას თავს ახვევენ და რომლიდანაც გამოსვლა მას არ შეუძლია: იგი მონადირეა, მეთევზე ან მწყემსია, ანდა კრიტიკული კრიტიკოსი და ასე უნდა დარჩეს, თუ არ სურს დაკარგოს არსებობის საშუალებანი, — მაშინ როდესაც კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც არავინ არ არის შეზღუდული მოქმედების რაიმე განსაკუთრებული არეთი, არამედ თითოეულს შეუძლია, ყოველ დარგში დახელოვნდეს, საზოგადოება არეკულებს მთელ წარმოებას და სწორედ ამიტომ შესაძლებლობას მიქმნის, დღეს გავაკეთო ერთი, ხვალ კი — მეორე, დილით ვინადირო, ნაშუადღევს ვითევზაო, საღამოთი პირტუყვს მოვუარო, ვახშმის შემდეგ კრიტიკას მივყო ხელი, — როგორც ჩემს სულსა და გულს ნებაეს, — დღეს გავაკეთო ისე, რომ არ გავხდე მონადირე, მეთევზე, მწყემსი ან კრიტიკოსი.“ (იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, გამომცემლობა „სახპოთა საქართველო“, 1975 წ., გვ. 31).

კულტურულ დონისძიებათა კომპლექსის განსახორციელებლად, რაც უზრუნველყოფდა ძირითადი პირობების მომზადებას ამგვარ მდგომარეობაზე გადასვლისათვის, საჭიროა შრომის ქთანამედროვე მდგომარეობის სერიოზული ცვლილება. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სამუშაო დღის ხუთ საათამდე შემცირება. საჭიროა აგრეთვე საყოველთაო სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლების შემოღება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად ამირჩიონ პროფესია. და არ იყვნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიჯაჭვულნი ერთ რომელიმე პროფესიაზე. საჭიროა კიდევ ზოგიერთი სხვა სახის ძირითადი ცვლილება, რაც ცნობილი გახლავთ სათანადო ლიტერატურიდან. ცნობილი გახლავთ ისიც, რომ ყველა ამ წინაპირობის შესრულების შემდეგ შეიძლება გახდეს შრომა საზოგადოების წევრთა თვალში „პირველი სსსიციოცხო მოთხოვნისება“, ტვირთის წილ იქნეს „სიამოვნებად“. ცხადია, რომ ზემოხსენებული ძირითადი პირობების მომზადებისათვის აუცილებელია იმ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, რაც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას.

თენგიზ ჩხაიძე  
მწიგნობრივ წმინდა სიტყვა



გრძელბული დამოკიდებულება თავიანთი საქმი-  
საღმი. სწორედ იმდენად, რამდენადაც ფორმა-  
ლურად ეკიდებიან თავიანთ საქმეს, ისინი ინდი-  
ფერენტული და უსულგულონი არიან (მთხე-  
დავად, ვისიგენებათი იერისა) იმ ადამიანის მი-  
მართ, ვისთანაც სამსახურებრივი ურთიერთობა  
აქვთ. ეს ფორმალურობა კი, საქმისაღმი დამო-  
კიდებულებაში თავჩენილი, მოვალეობის საზოგა-  
დოებრივი გრძნობის მოღუენების გამოხატულებაა,  
იმის შედეგია, რომ შეგნება შრომის საზოგადოებ-  
რივი მნიშვნელობისა შესუსტებულია. ხოლო  
იქ, სადაც შესუსტებულია შრომის საზოგა-  
დოებრივი მნიშვნელობის შეგნება, დიდი გარ-  
ჩევა აღარა აქვთ ნიჭისა და უნიჭობისა, იმისა,  
თავიანთი მოქმედებით სასარგებლო საქმეს  
უწყვენ თუ არა სამსახურს. ამგვარ პოზიერ  
ნიადაგზე ფეხს იყიდებს უბრინცობის სე-  
ნცი, ცხაღია, როცა ნიჭიერება და უნიჭობა,  
ღირსება და უღირსობა თითქმის ერთნაირ ფასს  
შეიძენენ, ბრინციულობას საყრდენი ეცლება  
და შეფასების საზოგად, პრაქტიკული მოქმე-  
დების განსაზღვრელად აღვიღად. იქვეცა ესა თუ  
ის სუბიექტური მოსაზრება, პირადი ხელსაყრ-  
ლობისა თუ არაჩველსაყრლობის მქონე ბრინ-  
ციები, თუნდაც რაიმე მერკანტილური მიზანი  
გამორიცხული იყოს, მსგავს ვითარებაში ადამ-  
იანი მიიწვ იმას აფიქობინებს, ვისმე პირადად  
არ აწყენინოს, არ გადაიკიდოს, ვიდრე ბრინ-  
ციულად მოიქცეს (სულელი ვარ, აუტივიარ  
თავი ავტივიარ!) «ცისფერი ხილდების» პერ-  
სონაჟთა თვალში საქმე უმთავრესად არსებო-  
ბის საშუალებათა მოპოვების წყაროდ ქცეუ-  
ლა, ნაცვლად იმისა, რომ თანდათან «პირველი  
სასიცოცხლო მოთხოვნილება» ხდებოდეს. ამ  
ადამიანებს სედიანად ავინდებთ «ოთახებში  
გატარებულ ცხოვრების საუკეთესო წლებში»  
(იგულისხმება ცხოვრების კი არა, სიცოცხლის  
საუკეთესო ხანა. ავტორის ეს. სიტყვა აქ ზუს-  
ტი არ არის. თ. ჩ.) გულს მინცდამიანიც არც  
«საოთახო დღეების» უღიმღამო პერსპექტივა  
უხარებთ. მათი საქმიანობის გამო შეიძლება  
ითქვას, რომ იგი იმუნლებითი უფროა, ვიდრე  
შეცნობილი აუცილებლობაა. საზოგადოებრი-  
ვი შრომისათვის შეცნობილი აუცილებლობის  
მნიშვნელობის რაც შეიძლება სრულად დაბ-  
რუნება ის უმთავრესი რეზერვია, საქმიანი  
ცხოვრების ზნეობრივი-უსიქოლოგიური მარე  
რომ შეიცავს. ვასაგება, რომ ამ რეზერვის  
გამოყენებისა და განახლების ეფექტურობა  
დამოკიდებულია იმ რეალურ ცვლილებებზე,  
რაც სისტემატურად უნდა ხდებოდეს შრომის  
თანამედროვე მდგომარეობაში, მატერიალური  
ცხოვრების პირობებში საერთოდ და რასაც  
ზემოთ გაკვირთ შეეხებთ. რამდენადაც ამ  
მნიშვნელოვანი რეზერვის მაქსიმალურად ამო-  
ქმედება საერთო პარტიული საქმის პრაქტიკულ

მიზნად არის ქცეული, შესაბამისად ინტერბა  
მწერლობის საპატიო მისიის სოლოფს. მწერ-  
ლობისა, რომელსაც განსაკუთრებული ძალა  
შესწევს, ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის  
ფსიქიკაზე, შეგნებაზე. მწერლობამ კიდევ უფ-  
რო მეტად უნდა შეუწყოს ხელი სიჯანსაღის  
იმ პრინციპულ ბრძოლას სიღამპლესთან, ჩვენს  
გარშეშო, ჩვენს წიაღში რომ ხდება.

კრებულში წარმოდგენილი ვახლავთ მოთ-  
ხრობა «მიწების განაწილება». ესაა მიჯფრი  
სატრულო ქმნილება, რომელიც სასაცილოდ  
აღდებულია შემოქმედებითი ინტელიგენციის  
ზოგიერთ წარმომადგენელს შორის ფეხმოკი-  
დებული საძრახისი ჩვეულება. ამბავი, ამ მოთ-  
ხრობას რომ უღვეს საფუძვლად (ციცფერი  
ხილდების» ფაბულისა არ იყოს), ანეკდოტურ  
ამბავს მოგვავონებს. (სიტყვა ანეკდოტის ხმა-  
რებამ აქ არ უნდა შეგვაბებუნოს. ანეკდოტი  
იმით არის კარგი, რომ მკაფიოდ და შეკუმშუ-  
ლად გამოხატავს რაიმე მოვლენის არსს. გავი-  
ხსენით თანაც, არსებითად ანეკდოტისებურ  
ამბავზე რომ არის ავბებული ზოგიერთი კლა-  
სიკური ნოველი).

... (მწერალთა) სასახლეში უჩვეულო თავყრი-  
ლობაა გამართული. ანაწილებენ მიწებს,  
ოღონდ... საფლავის მიწებს — კავშირის ქე-  
რაც ცოცხალი წევრებისათვის. შეკრებულ  
დიახ, არც ერთ მათგანს მიწის ზეგით რომ არ  
დატოვებენ სიკვდილის შემდგე, მაგრამ მიწიც  
ღელავენ, რადგან მთავარია — «თუ ვინ სად,  
ვის გვერდში და ახლომახლო დაიდებს ბინას»  
საიმსოფლოდ. კავშირის წევრები, რანვისა და  
დამსახურების მიხედვით, ძირითადად ორგვარი  
კატეგორიისა ზალხადა დახარისხებული: პანთე-  
თეონისტებად» და «ცხრაწრელებად». პანთე-  
ონისტები ისინი არიან, ვისაც პანთეონში უნ-  
და ერგოს სამუდამო ბინა (პანთეონები სამგვა-  
რი კატეგორიისაა მნიშვნელობის კვალობაზე:  
«წმინდაგორის», «ბედულისა» • და «საბუესი».  
გასაწილებელ ადგილთა რაოდენობა აქ მკა-  
ცრად განსაზღვრულია პანთეონთა ტერიტორი-  
ის გადაკვირთულობის გამო) ცხრაწრელებს  
კი სთავაზობენ «ცხრა წრედ დაყოფილ ტრიალ  
მინდორს — უნომროდ და უმისამართოდ», გა-  
ნის ვარეუბანში. ვანის კანდიდატება საერთო  
სიამო არიან შეტანილნი.

ამ უჩვეულოდ კომიკურ სიტუაციას აძლი-  
ერებს ის, რომ მიწების განაწილების საქმე  
ფაქტიურად კავშირისავე თავაკეებს აულიათ  
ხელში და თავიანთივე შესხედულების მიხედვით  
აღვენენ, ვის სად მიუჩინონ საუკუნო სამკვი-  
დრებელი; ამასთან, თავანთთფის საუკეთესო  
აღვილებს ინაღდებენ წინასწარ, თუმცა ზოგი  
მათგანის დამსახურება ფრიად სიეჭვო ჩანს.

მიგალითად, კრებვის მიმდინარეობისას, კამათის დროს, ირკვევა (თითქმის მთელი მოთარობა ამ კრების სურათს გვიხატავს), რომ ნესტორ დვალს, უკვე საკმაოდ ხანმოთუელ კაცს, ვერ არსებობდა არაფერი დაუწერილი, მაგრამ რაკი მიწების გამანაწილებელი პრეზიდენტის წევრი ვახლდათ, თავისთვის „ბედების“ პანთეონში გაუნადღებია ადგილი. ირკვევა ისიც, რომ ზოგს აქაც ნაცნობობითა და ქმაბიკობით მოუბოვებია პრივილეგია. აქაც ისევე იბრძვიან, როგორც ჩვეულებრივ, იმავე ხერხსა და მეთოდს იყენებენ, რასაც ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში მიმართავენ ხოლმე. ზოგს ბედი გაუღიწებეს: იმაზე მეტს მიადწევს, რისი იმედიც ჰქონდა თავისი დამსახურების მიხედვით. ზოგი, პირიქით, უძმაყოფილებას გამოთქვამს, მეტის ღირსად მიაჩნია თავი და ცდილობს, უკეთესი ადგილი ჩაიგდოს ხელში. ზოგი საერთო სიაშიც კი ვერ მოხვედრილა (საამისოდ კავშირის წევრობის, სულ ცოტა, სამი წლის სტაჟი ყოფილა თურმე საჭირო. თუმცა, ვიეთათვის აქაც დაუშვიათ გამონაკლისი). არიან აშკარად „ღაჩაგრულნიც“, სტაჟი საკმარისზე მეტი რომ აქვთ, მაგრამ მათი არსებობა მაინც რომ არავის გახსენებია. ერთი მთავარი ვახლავთ წყნარი, მორიდებული ჯიმისტარო გეგია.

მაგრამ მთავარი მოთარობაში ესაა ჯგუფური პორტრეტი კრების თავმჯდომარის და მისი ამხანაგებისა, პრეზიდენტის რომ სხედან, აგრეთვე ზოგი სხვა დამსწრისა, აქტიური მონაწილენი რომ არიან გათამაშებული კომედისა და თავიანთ ნამდვილ სახეს აშკარაებენ ჩვენ წინაშე. ამ აღმანიებს უმაღლეს მიზნად ქცევიათ თავიანთი უზომო პატივმოყვარეობის დამკაყოფილება, უოლონ ქცევა და იერი ისეთი მოჩვენებითად საქმიანი აქვთ, ისეთი სერიოზული, ოფიციალური, გეგონება, რაიმე საქვეწო საქმისათვის ირკვებიანო.

ავტორი ერიდება მოქმედ პირთა პირდაპირ დახასიათებას (მხოლოდ კორნელი ბირაბირის ხასიათს გვაცნობს წინასწარ. ისიც იმდენად გვაცნობს, რომ ვასაგები ვახლეს მისი უცვარი გაცხარება კრებაზე). ბერსონაეთა იერსახეს ცხადად წარმოგვიდგენს მათივე ქმისტი, ქვევისა და ლაბარაიის მანერა, ხმის კილო-მოქცევა, ერთმანეთს შორის გაღაჟურჩეულება-გაღალაპარაკება, დაბრაში წამოსროლილი ესა თუ ის რებლიკა, მოულოდნელად გამართული დიალოგი თუ შეკამათება.

ავტორი თხრობას იწყებს ჩვეული ნეიტრალური (გარეგნულად ნეიტრალური) სტილით; ყოველგვარი ზედმეტი ახსნა-განმარტებისა და წინასწარი ფსიქოლოგიური შეზახდების გარეშე შევყავართ საქმის კერსში. არც თავისი პოზი-

ციით, არცთუ თხრობის ინტონაციით არ იმედგანებს სუბიექტურ წინასწარ დამოკიდებულებას იმ უჩვეულო, დაუჭარბებელ მიხედვით, სადაში, რას წარმოსახვასაც აპირებს, არცთუ საიმიხოდ ზრუნავს საგანგებოდ, უჩვეულო სურათის ნამდვილობა არწმუნებინოს მკითხველს. მის სამართლიანად მიიჩნია, რომ გამოხატავს მოვლენის შინაგან არსს, მხატვრული აღლო კი სწორად უქარნახებს, რომ გათვითცნობიერებული მკითხველი ისედაც საკმარისად ინფორმირებულია საიმიხოდ, რათა ეგვი არ შეეპაროს წარმოსახვით სიტუაციის შინაგან სიმართლემდე. ამიტომ ის უჩვეულო სურათი, ის უჩვეულო გარეგნული ფორმა, რითაც მოვლენის შინაგანი არსება გამოხატული, მკითხველს აღარ ეჩვენება დაუჭარბებული. ხოლო რაკი მწერლის სტილი, თხრობის მანერა არ შეიცავს იმის აშკარა მანიშნებას, ან რაიმეგვარ სიგნალს, ნახეთ, რა სპეცირებული რამე უნდა გაუწყუოთ, ბუნებრივად იქმნება მოულოდნელობის ეფექტი, როცა მკითხველი ერთბაშად ხვდება საქმის ვითარებას.

თითქმის მთელი მოთარობა, რომელშიც კრების უაღრესად კოლორიტული სურათია წარმოდგენილი, დაწერილია თავისებური სტენოგრაფიული ანგარიშის ფორმით. მაგრამ ეს სურათი ისეა შეზავებული ძენწი, აბრტყელი ავტორისეული რემარკებით, მეტყველო, ზუსტი სატირული დეტალებით, რომ თვალწინ გადავქმულაბთ გარკვეული კატეგორიის აღმანიება ზნეობრივი არსი. ავტორი აქ აღწევს აზრის მხატვრული გამოსახვის ისეთ მიცდუნებელ სისადაუსს, მიაშიტ აღმანიან რომ აფიქრებინებს, ამის დაწერას მეც შეეძლებლიო.

მოთხრობაში გამოხატული ზნეობრივი არსი გარკვეული კატეგორიის აღმანიებისა იმგვარ თავისებურ, სპეციფიკურ შთაბუქდილებას აღძრავს, რომ გაძულებს, ძირისძირამდე ჩაწყვეს ამ შთაბუქდილებას და ჩისწვდე ფესვს მისას. შთაბუქდილების თავისებურებას ის განსაზღვრავს, რომ აქ საქმე უნება ხელოვანს, მწერალს. რა არის ის არსებითი თავისებურება, რასაც ამ მოთარობას მიხედვით საკუთრივ მწერლისათუ ხელოვანის უარყოფითი ზნეობრივი სახე წარმოაჩენს? კრების სურათი, უწინარეს ყოველისა, აშკარაებს კრების მონაწილეთა ერთი ნაწილის უსაშველო პატივმოყვარეობას, ამბიციურობას, პირადი ვანდილებს მანისა. მაგრამ ეს თვისებები დამახასიათებელია საერთოდ აღმანიანათვის და სპეციფიკური არ არის მხოლოდ პოეტკაციისათვის. იგივე სურათი

თენგიზ ჩხინძი  
მწერლის წმინდა სიტყვა

ავლენს მწერალთა თავდაცულ სწრაფვა-საც უკვდავებისაკენ. მაგრამ თავისთავად ეს სწრაფვაც ჯერ კიდევ არ ჩაითვლება სამრახი-სად. „უკვდავების ხიზნობა“ ნამდვილი შემოქმედის წადილიცაა. როცა ჰემინგუეისთანა წაღდა და გულმართალ შემოქმედს ჰკითხეს, მწერლის მიზნად რა მიგაჩნიათ, მან მიუგო: კარგ წიგნს თუ დაწერ, უკვდავებაც ზელთა გაქვს, აი, რისთვის წერსო მწერალი. მანც რატომ აქვს ამ სწრაფვას აქ ასეთი მახინჯი, უგვანი და შეუსაბამო ფორმა? ამის მიზეზი რომ ნათვლავით, მწერლის ქეშმარიტი რაობა უნდა გავიხსენოთ. ქეშმარიტ მწერალს გამო-სახვის ნიჭისა და ოსტატობის გარდა ფართო და მგრძობიარე გული გამოარჩევს. სულით იგი თავისებური მითითური მინდიაა. მინდიას ლიტერატურული სახის ამოსავალი მუხლია: შემეცნება ბადებს სიყვარულს. მინდასეული უნივერსალური სიყვარული, კერძოდ, იმსაც ნიშნავს, რომ გესმოდეს და შენად მიგაჩნდეს მეორე ადამიანის გულისთქმა და საწუხარი; ბუნებრივად გწამდეს, რომ მისაც სწორედ ისეთივე უფლება აქვს ბედნიერების და ყო-ველივე სიკეთისა, როგორც შენა გაქვს; რომ მისი სურვილებიც ისევე დაინდა, როგორც შენი, და ვიდრე ხედავ, მისი ზედღრი, ყოფა შენსაზე უარესია, შენს სულს დამწვიდება არ შექცდოს. ამ სიყვარულს უნდა აირეკლავდეს მწერლის შემოქმედება. ამგვარი შემოქმედება ის განსაკუთრებული სფეროა, სადაც მკითხველი თავის თავს იგულებს სრულფასოვან ადა-მიანად, რომელიც ვაგების და შეყვარების ღირსია. იქ პოულობს, თუ დაკარგული აქვს, თავის თავს, თავისი ბუნების უკეთეს მხარეს. იქა გრძნობს, რომ ჰყავს უცნობი გულთამბი-ლავი და უჩინარი თანამდგომი, მოსარჩლე. როცა შემოქმედი ამგვარი სიყვარულთაა შთაგონებული, მაშინ ნაკლებად ზრუნავს თავისი პერსონის წინ წამოწევაზე, ხელოვნუ-რად გაბერვაზე უკვდავებას იგი თავისი იდეე-ბისა და მხატვრული სახეების ცხოველმყოფე-ლობაში ხედავს, იმ კეთილშობილური, ამაღ-ლებული გრძნობების გამარადიულებაში, რასაც თანადროული და მომავალი თაობების ადამიანებს აღუძრავს საკუთარი შემოქმედე-ბით. შილერი ამბობდა: „როცა ვფიქრობ, რომ, შესაძლოა ასი და უფრო მეტი წლის შემდგომაც... პატივით მოაგონ ჩემს ხსოვნას და სამარეში მწოლმაც კი მოვიყა აღტაცება და ცრემლი (ხაზგასმა ჩემია. თ. ნ.), მაშინ ეხარობ, პოეტის მოწოდება რომ მერგუნა; ვუტირებები გამჩენს და ჩემს არცთუ იშვიათად სასტიკ ხედრს“. ცხადია, ამგვარი შემოქმედი-სათვის ხელოვნების იდეალი უფრო მაღლა

დავს, ვიდრე საკუთარი პიროვნება. იტყვიან, აქ მწერლისა და მწერლობის ინტელექტუალური რაკი, იდეალს კი ერთეული თუ მრავალრიცხოვანი. ეს მართალია; მაგრამ ლტოლვა იდეა-ლისადმი, თუნდაც წუხილი მის გამო ხომ აუ-ცილებელია. ხოლო საქმეც ის არის, რომ „მო-წეების განაწილებაში“ გამოყვანილ პერსონაჟთა ერთი ნაწილის იმგვარი ზრუნვა უკვდავებისა-თვის, როგორადაც ისინი ზრუნავენ, და იმგვა-რი წარმოდგენა უკვდავებაზე, როგორც მათ აქვთ თუ შექმნიათ, ნიშნავს მწერლისა და მწერლობის იდეალის სრულ უგულებელყოფას, ამ იდეალისათვის გულარხედინად ზურ-გის შექცევას. მსგავსი ყოილის შემოქმედნი, გინდაც ვარკვეული ნიჭი ჰქონდეთ და ოსტა-ტობის გარკვეულ დონესაც ფლობდნენ, თავი-ანთ თავს კი არ მიიჩნევენ ხელოვნების კუთვნილებად, პირიქით, ხელოვნებას თვლიან თავიანთ კუთვნილებად, თანაც ღირებულად თვლიან იმდენად, რამდენადაც პატივმოყვარეო-ბის გრძნობას უკმაყოფილებთ და პი-რადი უკვდავების გააჩანტის აძლევენ. ისი-ნი თავიანთ ნაწარმოებებში უმცირიან ადამიანს, ვამოხატავენ პროგრესულ აზ-რებს. მაგრამ მათი შემეცნება ვერ შობს იმ სიყვარულს, რაც ზემოთ მინდიას სახეს დაეუ-კავშირეთ და ნამდვილი მწერლის ერთ-ერთ არსებობთ თვისებად მივიჩნიეთ, იგი თეორიული სიყვარულია. გონებისმიერი მიტრფილება. და არა სისხლ-ხორციში გამჭდარი ის გრძნობა, კონსტანტინე გამსახურდიას რომ ათქმევინა: მწერალმა ისეთი არაფერი უნდა დაწეროს, რის დასაცავადაც შემდგომ ხმლის მოქნევას ვერ შეიძლებდაო. ამგვარი დასკვნის გამო-ტანის საფუძველს იძლევა „მიწების განაწილე-ბაში“ დახატულ პერსონაჟთა ერთი ნაწილის მორალურ-ფსიქოლოგიური სახე.

ის მწერლური პოზიცია და კრიტიკული სუ-ლისკვეთება, რაც რეზო ქეიშვილმა „მიწების განაწილებაში“ გამოავლინა და ლიტერატურის ქეშმარიტი ინტერესების ერთგულებითაა ნაკა-რნაწევი, ცხადია, არ ჩაითვლება ერთი პიროვ-ნების პოზიციად და სულისკვეთებად. ესაა ჩვენი თანადროული ეროვნული მწერლობის მოწინავე, საუკეთესო ნაწილის სულისკვეთება და განწყობილება. ეს არის, ამავე დროს, ჩვე-ნი მწერლობის არა მარტო ღირსებისა და თვი-თშეგნების მაჩვენებელი, არამედ ლიტერატუ-რის შემდგომი წინსვლისა და წარმატების ერთ-ერთი საწინდარიც. მწერალი მოაგონებს ხელოვნების ზოგ მსახურს, რომ ისინი ყველაზე მეტად უნდა იჩენდნენ სულიერი კათარზისის ძვირფას უნარს.



## ლიმიტი უზნაძის ლექსიკონი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე

ამ ბოლო დროს ხშირად ლაბარაკობენ ლიტერატურისმცოდნეობაში მათემატიკის, ფილოსოფიისა თუ ფსიქოლოგიის გამოყენებაზე. ერთი ახალგაზრდა კატეგორიულადაც კი მოითხოვდა: „თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიისათვის ლიტერატურისმცოდნეობის კარების გახსნა“. თითქოს დღევანდლამდე ლიტერატურისმცოდნეობაში ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას კარები დახშული ჰქონდა, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ქართული ლიტერატურისმცოდნეობის დიკარებში ფილოსოფოსნიც შემოსულან და ფსიქოლოგნიც. თავიანთი სიტყვა უთქვამთ და ღრმა კვალიც დაუტოვებიათ.

ერთ-ერთი მათგანია ფსიქოლოგი ღიმიტრი უზნაძე.

1909 წელს გაზეთ „ღრთებაში“ (№ 252 და 253) გამოქვეყნებულია მისი წერილი „ბარათაშვილის ღირის მოტივები“. წერილი მიზნად ისახავს გაარკვიოს, როგორაა გამოხატული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ადამიანის მისწრაფება მარადისობისაკენ. დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ „მერანი ნ. ბარათაშვილის შემოქმედი, აბსოლუტური სულია, მერანის რბენი, — ამ სულის ლტოლვაა, დასრულებულ აბსოლუტად იქცეს“. და რადგან ბარათაშვილს სწამს, რომ ესთეტიური ტკბობა ამაობების გრძნობას ასუსტებს, აქრობს და ამავე დროს სჯერა საბოლოო გამარჯვებისა, მკვლევარი ასკვნის: „ბარათაშვილი ოპტიმისტი და არა პესიმისტი“.

შეიძლება იფიქრო, 1909 წელს 23 წლის ღიმიტრი უზნაძემ მოუსმინა ლექციას ბარათაშვილზე. არ დავთანხმებ მომხსენებელს და თავისი აზრი გამოთქვავ. (სხვათა შორის ეს წერილი პოლიმიკური ხასიათისაა). ლიტერატურით თითქმის ყველა პროფესიის ახალგაზრდა ერთ პერიოდში დაინტერესებული და ეგ არის და ეგო. მაგრამ ღიმიტრი უზნაძისათვის ლიტერატურა

და ხელოვნება ახალგაზრდული გატაცება როდის იყო. 1911 წელს მან „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა წერილი, „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდევილი““. ამავე წელს აქვს დაწერილი ორი წერილი ქუთაისის ლიტერატურულ საღამოებსა და ჩეხოვის „ძია ვანოს“ თეატრალურ დადგმაზე. 1913 წელს გაზეთ „ერში“ საკმაოდ ვრცელად აქვს მიმოხილული ალექსანდრე აბაშელის პოეზია.

1922 წელს ის ხელახლა უბრუნდება ნიკოლოზ ბარათაშვილს და აქვეყნებს საკმაოდ სერიოზულ ნარკვევებს „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“. (ნ. ბარათაშვილის ლექსები. 1922 წ.) და „ლიტერატურა როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი“, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ნიმუშზე. (ქურნალი „ილიონი“ № 3).

ასე რომ, ღიმიტრი უზნაძე ლიტერატურით, ხელოვნებით, მოღვაწეობის თითქმის ყოველ პერიოდში იყო დაინტერესებული. იგი რა თქმა უნდა ხელოვნების სპეციფიკად ჭეშმარიტების წვდომასთან ერთად მშვენიერების განცდას თვლის. ე. ა. ჭეშმარიტება და მშვენიერება — ორივე ერთად უნდა ახლდეს ხელოვნების ნიმუშს. მას ხელოვნების თავისებურებად მიაჩნია კონკრეტულ სახეში აბსტრაქტულის ასახვა. მისი აზრით, ხელოვნების ნაწარმოების შეფასება ორგვარი თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს: ესთეტიური და ფილოსოფიური.

სწორედ ფილოსოფიური თვალსაზრისითა აქვს ადრეულ პერიოდში განხილული ნ. ბარათაშვილის პოეზია, ილია ჭავჭავაძის „განდევილი“, ალ. აბაშელის ლირიკა. იგი წერს: „ნ. ბარათაშვილის პოეზია, პოეზიაა ადამიანის სულის აბსოლუტობისაკენ ლტოლვისა; ბარათაშვილის ტანჯვა, ტანჯვაა ძლიერი სულისკვეთების მიწის შვილისა, ადამიანის არსებაში გამოწვეული მღელვარებისა“.

1922 წელს კი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განხილვა დ. უზნაძის ისტორიულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითა აქვს ნაცადი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა რომ სულ ცხრა წელიწადს გრძელდებოდა, მკვლევარს ეს ცხრა წელიწადი სამ პერიოდად აქვს დაყოფილი. პირველ ხანებში, 1835-1837 წლებში, პოეტის „გრძნობებს მარტო უბედურებისა და კენესის სურათები ატყვევებდა, დაუშვრტელი მრავალფეროვნების სამყაროში მარტო უბედურთა და განწირულთა გრძნობებს იზიარებდა“.

1837-1843 წლებში კი „ბარათაშვილის მთელი ცნობიერების ველი მისი მღვლავრე სულის ზვირთების განცდილთა და ანალიზით იყო მოცული“. ამას მკვლევარი ყურადღების ფსიქოლოგიის კანონის მიხედვით არაკვეს, იგი წერს: „ყურადღების ფსიქოლოგიის კანონის მიხედვით ცნობიერების ველის ცენტრალურ წერტილს ყოველთვის ინტენსიური განცდა იპყრობს, და ამ შემთხვევაში განსულიერებული სასწორის ყურადღებაც უფრო თავისი მოძრაობის მდგომარეობისავე იქნებოდა მიმართული, ვიდრე იმ უხილავი საგნებისავე, რომელიც ამ მდგომარეობას სცვლადნენ. რა თქმა უნდა, ბარათაშვილის მთელი ცნობიერების ველიც მისი მღვლავრე სულის ზვირთების განცდილთა და ანალიზით უნდა ყოფილიყო მოცული, და ასეც იყო; ბარათაშვილი ღია თვალებით ჩასცქეროდა მსოფლიოს, მაგრამ მის ყურადღებას თვით მსოფლიოს სურათები კი არ ატყვევებდნენ, არამედ ის ძლიერნი განცადნი, რომელნიც ამ სურათებისაგან იყვნენ გამოწვეულნი“.


1843-1845 წლებში ნ. ბარათაშვილი, „სუბიექტური სულის განწყობილების ფარგლებს სცილდება და ყურადღებას ობიექტური სინამდვილის გეოსკენად მიმართავს: „ქედნობრილი და თვალცრემლიანი მგოსანი შეუპოვარ და ქედმაღალ მებრძოლად გარდაიქმნება“. „მის ბრძოლას განსაზღვრული მიზანი ჰქონდა შუქს და შინაარსს აძლევს. იგი ამ მიზნისათვის იბრძვის“. ასე რომ, ამ ცხრა წელიწადში ნ. ბარათაშვილის ერთბაშად გაუვლია სენტიმენტალისტის, ბედის მომდურავი რომანტიკოსისა და თავგანწირული მებრძოლის გზა. ამ გზას მკვლევარი ბარათაშვილის შემოქმედების უვერტიურას უწოდებს, „მაგრამ უვერტიურა ყოველთვის ტრაგიკული მთავარი მოტივის გამომხატურებელია და ბარათაშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობაშიც ნათლად ისახება დამახასიათებელი თვისებები მისი შესაძლო მომწიფებული შემოქმედებისა. ექვე არ არის, უკმაყოფილების გრძნობა მუდამ უმოთარეს მოტივად დარჩებოდა ბარათაშვილის შემოქმედებაში, რომლის ნიადაგზეც სინამდვილის ობიექტურ სფეროსთან ბრძოლის პროცესი თანდათანობით გაიშლებოდა. რეალისტური ჩანასახი ბარათაშვილის სულიერი განწყობილ-

ბისა დასრულებულ სახეს მიიღებდა მგოსანის შემოქმედებას და ბარათაშვილი თავისი სულის მუდმივი ანალიზის მაგიერ ბრძოლის წყურპილით აღტყინებული გმირებს ქმნიდა. სურათებს მიჰყოფდა ხელს. „მერანისა“ და „სულთ ბოროტოს“ ავტორი ფსიქოლოგიური აუცილებლობით „კაენისა“ და „მანფრედის“ ცხოვრებით დაინტერესდებოდა და ქართულ მწერლობას უთუფლდ იდიდ პოემების სახით მებრძოლი გმირების სახეებს აჩუქებდა“.

სრულიად კანონზომიერი დაკვირვებაა, ოღონდ ერთი რამ, ნ. ბარათაშვილი მოასწრო მებრძოლ გმირთა სახეების ჩუქმა ქართული მწერლობისათვის. ნეთუ მებრძოლი გმირები არ არიან ერთკვე მეორე და სოლომონ ლიონიძე? მაგრამ, რა თქმა უნდა, მკვლევარი სხვაგვარ გმირებს გულისხმობს, ბედთან შეკიდებულ გმირებს. ვინ იცის, სწორედ ასეთები იყვნენ დაკარგული პოემის „ივერიელის“ გმირები.

დომიტრი უზნაძის დაკვირვებით „ხელოვანის შემოქმედება არ არის ფილოსოფიური აზროვნების ცნობიერი ნაყოფი, იგი უფრო გრძნობითი განცდის საშობად იბადება“. მაგრამ მაინც მიზანშეწონილად მიიჩნევს იმის შესწავლას, თუ „რას ფიქრობდა ხელოვანი თავისი სულის ტყივილების შესახებ“, რადგან ეს საკითხი „თუ მგოსანი შემოქმედებას არა, მისი პიროვნების ცნობიერ მხარეს მაინც ნათელს ჰქონს“. მისი აზრით, „ბარათაშვილი ხელოვანი არ იქნებოდა, რომ ერთხელ დ. სამუდამოდ განსაზღვრული, რაციონალურად განსაჯრეტი სისტემა შეექმნა და დაწყნარებულიყო, მას ასეთი სისტემა არ ჰქონდა. უფრო მისი ძიების პროცესში იყო ჩაფლული და ერთხელ რომ ერთს აცხადებდა თავისი სულის ტრაგედიის წყაროდ, მეორეხელ თავისი გულის ტყივილებს მიხეზად მეორეს თვლიდა“. დ. უზნაძე ბარათაშვილს უბრძოლბირებს დასავლეთ ევროპის რომანტიკოსებს და განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ბარათაშვილი ხსნას მოვლის აღმამანის დანიშნულების, თავისი ნამდვილი ხვედრის ამბარეზე მოღვაწეობისაგან.

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილი ჩვენი ყოფა-წუთისოფელი აღუვსებელ საწყაულს შეაღარა. უზნაძის აზრით, ამით პოეტს სურდა ეთქვა, რომ აღამანთა მისწრაფებანი დაუცხრომელია. შემდეგ კი პოეტმა ნათლად დაინახა ამ მისწრაფებათა აპოკალიფტიკური ბუნება და „მერანის“ დაბრკოლებასთან ბრძოლის წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებლად ჩათვალა ყველაფერი იმის ზეარაკად მიტანა, რაც თავისი ბუნებით შედარებითი ხასიათისაა, მაგრამ ჩვენი სააქაოს ცხოვრებისათვის განსაკუთრებით უქვირფასად ითვლება ყოველი გრძნობა, რომელიც საწუთროს გვაგვიშვებს, რომელიც მას ძვირფასად ჰხდის ჩვენთვის, ყველაფერი ეს ბრძოლის უნდა შეეწიროს. მხოლოდ



მაშინ იქნება შესაძლებელი ითქვას „უცლად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის-კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც ღარჩება“.

უვალი გზა აირჩია დიმიტრი უზნაძემ, როცა გადაწყვიტა, გამოეყვალა ნ. ბარათაშვილის პოეზიის ესთეტიკური ეფექტის ფსიქოლოგიური საფუძველი. მან გამოითვალა. ბარათაშვილის პოეზიაში გამოყენებული სიტყვების მთელი რაოდენობა (სულ 5146) და დააჯგუფა შეგრძნებათა მოდულობის მიხედვით. ცალკე გამოჰყო ემოციური ტონის სიტყვები და ასეთი სურათი მიიღო:

სმენითი შეგრძნების შინაარსის სიტყვათა რიცხვი	51
მხედველობითი ემოციონალური	98
275	

გაირკვა, რომ „ბარათაშვილი სრულიად არ ცდილობს, სმენითი ან მხედველობითი შინაარსის წარმოდგენები აღძრას ჩვენს ცნობიერებაში“. აქედან თავისთავად ისმებოდა კითხვა, მაშ რაში უნდა ეფიქთ ბარათაშვილის პოეზიის დიდი ესთეტიკური ეფექტის საფუძველი? პასუხი ნათელია: ემოციაში.

მოსალოდნელი იყო, პოეტს მეტად გამოეყენებინა აქუსტიკური შეგრძნების შინაარსის სიტყვები. ის კი მიმართავს ვიზუალურს. (სმენითი მასალა 0,3%, მხედველობითი 1,3%). დ. უზნაძე ამ ფაქტს ასე ხსნის: „ეს ერთხელ კიდევ იმის საბუთია, რომ ბარათაშვილისათვის გრძობათა აღსაქმრელად გარე სამყაროს სურათებს თითქოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და მის ემოციონალურ ბუნებას უფრო შინა სამყაროს პროცესები აღაგზნებენ“.

დ. უზნაძეს ცალკე აქვს გამოკვლეული პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც სულ 1707 სიტყვას შეიცავს, აქედან სმენითი და მხედველობითი შინაარსის სიტყვათა რაოდენობა თანაბარია, ემოციონალური კი 1,2%-ს ქარბობს. ასე რომ, პოეტი პოემაშიც ემოციონალისტიცაა.

წერილში „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, მკვლევარი, როგორც ვიცით, განვითარების სამ ეტაპს გამოყოფს. აქ კი არკვევს რა ფსიქიკური მასალით სარგებლობდა პოეტი თითოეულ ხანაში და ამბობს: „შეგრძნე-

ბითი შინაარსის სიტყვათა სიმცირე ემოციონალურთან შედარებით ყველა საფეხურისთვის თანაბრად დამახასიათებელია“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ბარათაშვილი თავისი შემოქმედების ყველა საფეხურზე თავის ფანტაზიას განსაკუთრებით გრძობათა სფეროში ამოძრავებს“. დიმიტრი უზნაძის დაკვირვებიდან ისიც ცხადია, რომ პოეტის ფანტაზიას არც შეგრძნებითი მასალის არეში განუცდია ცვლილება. ყველა საფეხურზე მხედველობით შეგრძნებებს ამოვინებს სმენითსაც.

ასეთია დიმიტრი უზნაძის დაკვირვებანი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე.

და ბოლოს: რა მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედების ფსიქოლოგიურ დოკუმენტად მიჩნევას და გამოყენებას? და რა მნიშვნელობა აქვს დღეს ლიტერატურისმცოდნეობაში დიმიტრი უზნაძის გამოკვლევებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე?

იმაზე თუ რა მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედების ფსიქოლოგიურ დოკუმენტად მიჩნევას და გამოყენებას, თვითონ დიმიტრი უზნაძე წერს: „ლიტერატურულ ნაწარმოებთა დოკუმენტური მასალის ამ თვალსაზრისით შესწავლა უეჭველია მწერლის ფსიქოლოგიური ტიპის საკითხის გადაჭრას ხელს შეუწყობდა და მაშინ ჩვენს ხელთ ისტორიულ-ფალოლოგიური კრატეისთვისაც ერთ-ერთი მძლავრი იარაღი გაჩნდებოდა“.

რაც შეეხება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელმასათვის დიმიტრი უზნაძის დაკვირვებებს, ვგონებ, ვერც ერთი მკვლევარი, ვინც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შეცნობას, მასში გარკვევას, ახსნასა და ანალიზს შეეცდება, ისევე ვერ აუვლის გვერდს დიმიტრი უზნაძის შრომებს, როგორც ილია ჭავჭავაძის წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. თუ ილია ჭავჭავაძემ თქვა პირველად, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის „გულსიტყვანი, გრძობანი, ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულსანი“. (ილია „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“) დიმიტრი უზნაძემ კონკრეტულად განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში დიდი ესთეტიკური ეფექტის საფუძველი.

რადღა იქნება ჩემი ქვეყნისთვის ჩემი სიკვდილი გულდამოუთქავი —  
თუკი სამშობლო — სკის დასაცავად  
გავიწირები, როგორც ფუტარაი...  
მედვა ჰახიძე

## ნიგნი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ისჯობიან

რაც დრო გადის, მით უფრო ამაღლებულ სხივმოსილებას იძენს დიდი ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. მით უფრო იზრდება ინტერესიც ვაჟას მემკვიდრეობის შესწავლისადმი. ბევრი იწერებოდა ვაჟაზე აღრეც; შეუღარებულად უფრო მეტი დაიწერა ჩვენს დროში.

თავისთავად ძნელია გზის გაგნება ამ ლიტერატურაში, ხოლო სიახლის ან ახლებურად თქმა ვაჟაზე არა მარტო სათანადო ნიჭსა და განსწავლულობას, არამედ საკუთარ ძალბში ღარწმუნებას და მეცნიერულ გამბედაობას მოითხოვს.

აღნიშნულის გათვალისწინება კიდევ უფრო აღვივებს ინტერესს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ ახლახან გამოქვეყნებულ წიგნზე „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ისტორიისათვის“, რომლის ავტორია იუზა ვეგენიძე.

იუზა ვეგენიძის წიგნი, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან სრულიად ახლებური მისვლით. წიგნში დიდი მწერლის სულიერი მემკვიდრეობა „შემოქმედებით ისტორიის“ თვალსაზრისითაა განხილული. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ასეთი ინტერესი არა თუ ვაჟას მიმართ, არამედ საერთოდ არცერთი ქართველი მწერლის მიმართ არ გამოქმედებულა. ქართულ სინამდვილეში, მართალია, ჩვენ უკვე ვაჟაქვს ნაშრომები ცალკეული ლიტერატურული ნაწარმების შემოქმედებით ისტორიაზე; ეს ნაშრომები საკითხისადმი იმგვარ მიდგომას ვარაუდობენ, როგორც ჩვენი საუკუნის დასაწყისში რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში პროფ. ნ. პიკსანოვმა და მისმა მოწაფეებმა დაამკვიდრეს. ამ რიგის კვლევა-ძიება დღესაც წარმოებს და მისგან დიდ შედეგებსაც მოვლიან.

აღნიშნული ხასიათის ნაშრომებში არსებითად ცალკეული მხატვრული ნაწარმების შექმნის და გაფორმების, ე. ი. ტექსტის ცვლილებათა ისტორიაა გახილი კვლევის

საგნად და მომეტებულად ერთობ საკულისხმო, მაგრამ მინც ტექსტოლოგიური ამოცანებითაა დაპირებული.

ი. ვეგენიძე საკითხს თვისობრივად სხვაგვარად სვამს. იგი ცილდება ერთი ნაწარმობის ფარგლებს და საერთოდ მწერლის შემოქმედებით ისტორიას იკვლევს, ესე იგი მწერლის სხვადასხვა ნაწარმობათა შორის ეძებს საერთოსა და განსხვავებულს, არკვევს თუ რა ანათესავებთ მით ერთმანეთთან. ეძებს იმ განსაკუთრებულ ნიშნებს, რაც ამ ნაწარმობებს ერთი ინდივიდის, ერთი ხელოვანის კუთვნილებად აქცევს.

ი. ვეგენიძე ცდილობს თვალი გაადევნოს მთლიანობაში მწერლის განვითარებას შემოქმედებით ინტერესების, მისალისადმი მიმართების, მოტივთა ჩასახვა-მომწიფების, მათი ურთიერთკავშირის, მხატვრული განსახიერების და კიდევ ბევრი სხვა ასპექტით. ყოველივე ეს კი, როგორც ითქვა, მიმართულია იქეთკენ, რომ მწერლის შემოქმედებით თავისებურებები გაარკვიოს, ვაჟას პოეტურ ინდივიდუალობას კიდევ უფრო მიგვაახლოვოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კვლევა-ძიების თანამედროვე საფეხურზე მწერლის შემოქმედებით პროცესთა შესწავლა უიღრესად აქტუალურ პრობლემათა რიგში ღვას კროგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ასევე ესთეტიკის, ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის თვალსაზრისებში. ავტორი წიგნში კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტს, კერძოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ზოგად პრობლემათა ასპექტში განიხილავს. ნაშრომის ამდგვარი ხასიათი მის არა მარტო კონკრეტულ ლიტერატურულ, არამედ ზოგად თეორიულ ღირებულებასაც აპირბებს და ეს იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივ შემოქმედებით პროცესებზე მსჯელობა ზოგადობის ფარგლებს არსებითად ვერ ცილდება. ამ ნაშრომის მიხედვითაც ხდება ცხადი, რომ ზოგად-თეორიული

დასკვნები ფასეულია განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტული მასალის ანალიზზე ამოზრდებიან, ან ამ უცანსესელის საფუძველზე მოწმედებიან.

შემოქმედებითი პროცესებისადმი განსაკუთრებული ინტერესი, დიდძალი სრულიად სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა, ამ საკითხების შესწავლას რომ ისახავდა მიზნად, მკვლევარის წინაშე თავდაპირველად ამ მასალის გაანალიზების მოთხოვნას აყენებდა. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას ეძღვნება ნაწარმოების პირველი თავი. აქ, ამ თავში, გრცლად, შემოიღება ითქვას, ჩვენს სინამდვილეში პირველად არის სათანადო სიღრმით დახასიათებული მწერლის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის საზღვრები და ამოცანები. ამით შემზადებულია წინადაგი უშუალოდ კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისათვის.

„შემოქმედებითი ისტორიის“ საკითხთა კვლევა დიდ, ზოგჯერ პირდაპირ გადაულახავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და როგორც ი. ევგენიძე ფიქრობს, მეტად ფართოცაა იმ საკითხთა წრე, რომლებიც მწერლის ამ თვალსაზრისით დახასიათებას ველისხმობს. ი. ევგენიძეს სრულიად შეგნებული აქვს ეს სიფართოვეც და სირთულეც და მოსაწონი სიფრთხილით და სიფაქიზით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ავსებული იკვლევს მათ.

წიგნის ავტორი ყველა შემთხვევაში, სანამ საკითხის კვლევას დაიწყებდეს, ამ საკითხის შესწავლის ისტორიას იძლევა. იგი არ აღუნდოვანებს საქმის ვითარებას, ნათლად წარმოადგენს დასმული საკითხის მნიშვნელობასაც და ამ პრობლემის შესწავლის გზაზე ცალკეულ ავტორთა მონაპოვარსაც მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღნიშნავს. მხოლოდ ასეთი ვითარების გათვალისწინების ფონზე იძლევა ი. ევგენიძე საკუთარ დასაბუთებულ დასკვნებს. ასეა ეს გაკეთებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიის საკითხების შესწავლის შემთხვევაშიც. ი. ევგენიძის აზრით, ქართული სინამდვილეში ვამოძღვანდა სათანადო ინტერესი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი პროცესებისადმი. არსებობდა ეს ინტერესი გამოიწვია ვაჟას ნაწარმოებთა წყაროებზე მითითებით და იმის აღნიშვნით, რომ იგი თავისი ნაწარმოებების მასალას იღებს ხალხური შემოქმედებიდან და მათაოსიდან.

„ლიტერატურისმცოდნეთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეჩვენებინათ, აიკისო თუ არა შემოქმედების პროცესში ვაჟას თხზულებათა წყაროდ მიჩნეული ძველი მასალა ახალი შინაარსით“ (გვ. 21). ამ საკითხაც მიიქცია ვაჟას მკვლევართა ყურადღება, მაგ-

რამ კვლევა-ძიება ძირითადად აღწემათი ხასიათისა იყო და ვაჟას როგორც სელოვანის ზოგად თავისებურებათა ნათელყოფას მიზნად არ ისახავდა. მწერლის შემოქმედებითი ისტორიის მიზანდასახულება, ერთის მხრივ, ისიცაა, რომ ეს საკითხი გახადოს თვალნათლივი.

ნაწარმოების მხატვრული შემოქმედების ძალა მისი შექმნის თავისებურებები მწერლის შემოქმედებითი ინტერესებითაცაა დაპირობებული, წიგნის მესამე თავი სწორედ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ინტერესების დახასიათებას ისახავს მიზნად.

ბევრი მწერალი მიუთითებს თავიანთი შემოქმედებისათვის სიყმაწვილის შთაბეჭდილებების მნიშვნელობაზე. აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველაც საგანგებოდ გახაზავს ამას. ი. ევგენიძეს მხედველობიდან არ რჩება ეს მომენტი. მისი დასკვნით, ფშავერი მითოლოგიის პერსონაჟები, ბიბლია და კლასიკური ლიტერატურული ნიმუშები იმთავითვე მოექცა ვაჟას ინტერესთა სფეროში და ამანაც განსაზღვრა გარკვეულად ხასიათი მწერლის სულიერი ფორმირებისა.

ვაჟა-ფშაველასათვის როგორც შემოქმედისათვის ყოველსიმომცველი ცნებებია პატრიოტული და სოციალური, სწორედ ამ მოტივთა მოტივებში ერთიანდება საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის, სულიერი სიძლიერის, გამორჩეულობის, სულიერი თბილობის, სინდისისა და სიყვარულის, ბუნების, ხელოვანის როლისა და საზოგადოებაში მისი ადგილის თუ სხვა მრავალი გამძლე მოტივი და თემა ვაჟას შემოქმედებისა.

ი. ევგენიძის დაკვირვებით, ვაჟა მისწრაფვის იმეთვე, რომ ცალკეული გრძნობათულ ვითარებაში დახატოს, მრავალნიერ განცდათა, იდეათა ქიდიოს, მათთან ურთიერთობის ფონზე, რომ მწერლის შემოქმედებითი აქტივობა ინტერესის თვალსაზრით ამდროს მაქსიმალურია.

მომდევნო თავში ავტორი ვაჟას შემოქმედებით მოტივთა ურთიერთკავშირებს გვიჩვენებს. იგი თვალს ადევნებს ცალკეულ მოტივთა ჩასახვა-ზრდეს, მათი ურთიერთში გადასვლის რთულ პროცესს. ამ სურათის ჩვენების ფონზე იკვეთება თანდათან ვაჟას თემათა სიმყარეც და მრავალფეროვნებაც.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს ერთმანეთთან ინიც აახლოვებთ და ურთიერთს ამსვავსებთ, რომ მათში გამოძღვანებულია ინტერესი მითიურ-ლეგენდური, სიზმრისული და ოც-

**ლალო მინაშვილი**  
წიგნი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით  
ისტორიაზე

ნება-ჩვენებების ფორმით წარმოდგენილი მასალისადმი. მკვლევარის დაკვირვებით, ეს ყველაგან ჩანს: ლექსებშიც, პოემებშიც და მოთხრობებშიც და ეს მასალა მომეტებულად ეპიკოსი პოეტის მასალაა.

მომდევნო სამ თავში შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით ცალ-ცალკეა განხილული ვაჟას ლირიკა, პოეტური ეპოსი და ბროზა.

სრულიად გასაგებია, რომ ი. ევგენიძე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიის გასათვალისწინებლად ვერ განიხილავდა ვაჟას ყველა ცნობილ ნაწარმოებს. ეს საქმე არა მარტო ღიად აღემატება ერთი მკვლევარის შესაძლებლობებს, არამედ სათანადო მასალის (ავტოგრაფების თუ სხვა ხასიათის) უქონლობის შემთხვევაში ამ საფეხურზე მათი განხილვა მოცემული ასპექტით ფაქტურად ვერც განხორციელდება. ამიტომ სრულიად მართებულად მკვლევარი ვაჟა-ფშაველას შემოქმედლების სხვადასხვა დროითი მონაკვეთიდან ირჩევს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მწერლის მხატვრულ შესაძლებლობათა გასათვალისწინებლად, ე. ი. რომელთა სახელებთანაცაა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებული ვაჟას ღიადება და რომლებსაც ამასთანავე გააჩნიათ ავტოგრაფები ან მწერლის მიერ ნასწორები ხელნაწერები, ამგვარი მოსაზრებებით ხელმძღვანელობისას წიგნის ავტორი ჩერდება ვაჟას ლირიკულ შედევრებზე „ამირანსა“ და „არაგუნე“, „სიმღერაზე“ (ყუდიგენი ახალგაზრდა მგოსნებს) და „ფშაველი ჯარისკაცის წერილზე“. პოემებიდან წიგნში განხილულია „გოგოთურ და აფშინა“ და „ეთერი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველისშემელი“. პროზული თხზულებებიდან — „პატარა მწყემსის ფიქრები“, „ხმელი წიფელი“ და „ბუნების მგოსნები“.

ვაჟას შემოქმედებითი მასალის ეპიკურმა ხასიათმა, რომლის შესახებაც ი. ევგენიძე ლაბარავობდა წინა თავში, პოეტის ლირიკის შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით განხილვისას ბუნებრივად დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ვაჟა-ფშაველა ლირიკულ გარემოში მოაქციოს თავისთავად ეპიკური ხასიათის მითურ-ლევანდური მასალა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკული ლექსების ავტოგრაფთა მონაცემებს გათვალისწინების საფუძველზე ი. ევგენიძე თვალნათლივ უჩვენებს იმას, თუ როგორ ახლოვებს ვაჟა ერთმანეთთან პიროვნულსა და მითურს, თუ როგორ იქცევა პიროვნული განცდის ნაწილად მითური. სწორედ ამგვარი შერწყმა აპირობებს ვაჟა-ფშაველას ლირიკის ობიექტურ სახეს.

ვაჟა-ფშაველას ღიადება თავდაპირველად მის ეპიკურ ქმნილებებს დაუკავშირდა, რადგან ყველაზე მძაფრად აქ იჩნდა ვაჟა-ფშაველას მითურმა თავისებურებებმა. სრულიად ბუნებრივია, რომ ვაჟას ეპიკური ქმნილებების შემოქმედებითი ისტორიის გათვალისწინებას წიგნში ყველაზე ღიად ადგილი უჭირავს (გვ. 100-196).

„გოგოთურ და აფშინა“, როგორც ვაჟას შემოქმედებითი მოტივთა ურთიერთკავშირის დროს ცხადპო მკვლევარმა „პოეტის პაბუკობის დროინდელ იდეალთა გამაერთიანებელი ქმნილება“. ამიტომ ბუნებრივად პოემათა განხილვის გზაზე წიგნის ავტორის ყურადღება ყველაზე ადრე სწორედ ამ პოემაზე შეჩერდა. ი. ევგენიძე აკვირდება პოემის მითურ-ლევანდურ წყობას, მკითხველისათვის ერთგვარად საცნაურდება ის გზა, რომელზედაც ხდება ვაჟას თანადროული ამბის დაქვემდებარება მითურ-ლევანდური თხრობის მანერისადმი. ვაჟა-ფშაველა, ავტორის დაკვირვებით, ამ მიზნით სხვათა თქმის ნაირნაირი ფორმებს მიმართავს. თვითონ იგი ნაწარმოებში გამოილი მოქმედების მხილველად კი არ წარმოსდგება, არამედ მისგან განზე დგება და ირჩევს ობიექტური თხრობის გზას, რაც პოემაში შესაბამისი მეტყველების ტონის გაჩენას იწვევს. ესაა ვაჟა-ფშაველასთან მითოქმედლობის გერმოზატლები.

პოემა „ეთერი“ ი. ევგენიძეს იმ აზრით ანტურესებს, რომ აქ ვაჟამ სიყვარულის თემა აირჩია გამოსახვის საგნად. მართალია, ეს გრძნობა ვაჟას ლირიკაში ადრეც ელინდება ნირინდირი ფორმით. მაგრამ ფართო პლანით მისი დასახიათების სურვილი აქამდე მაინცდამინც არ გამოძლეანებულა. ეს თემა თავისი ჩანადიქრით მოქმედების დამატულ გაზრებას მოითხოვდა. როგორც კვლევამება ხდის ცხადს, აქაც ბატონობს ვაჟა-ეპიკოსის ნიჭი, „ეთერში“ ვერ გხვდავთ ერთმანეთს გვერდით მრავალნაირი გრძნობათა ისახვის, არ შეინიშნება პოემაში მოქმედების დრამატული გამოსახვის პრეტენზია. ვაჟა ცდილობს დაშორდეს ხალხური მასალის გოლუმბრყვილო ფორმას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხალხური ნაწარმოების მარტივ ქარგას მიჰყვება, რაც ბერესონაყთა განცდების დრამატულად წარმოსახვის შესაძლებლობებს ზღუდავს.

„შემოქმედებითი ისტორიის“ თვალსაზრისით „სტუმარ-მასპინძლის“ განხილვისას ი. ევგენიძე საყურადღებოდ მიიჩნევს იმას, თუ რამ განაპირობა ვაჟასთვის ეგზომ შნიშვნელოვანი პრობლემის — საზოგადოებასა და პიროვნებას შორის არსებული კონფლიქტის პრობლემის საჩვენებლად ნაყოფიერ მასალად სტუმარ-მასპინძლობის იდათის შერჩევა? ამ იდათის შინაარსის, მისი გამოვლენის სხვადასხ-

ვა ფორმის და კერძოდ ქართულ გარემოში მისი გამოვლენის თავისებურების ჩვენების საფუძველზე ავტორი იძლევა საყურადღებო დასკვნას, რომლის თანახმადაც, ამ პოემაში განსახიერებელი პრობლემის საჩვენებლად ამ ადამიანს შერჩევა მეტად ეფექტურია, რომ „ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაში რაინდული თვისების შემცველ მომენტებს აქცევს თავისი შემოქმედებით ინტერესის საგნად, რამდენადაც სტუმარ-მასპინძლობის საკუთრივი შინაარსი პიროვნული საწყისის წინააღმდეგობის, ანუ რაინდულისაგან წარსულის ნიშნებს შეიცავს“ (გვ. 139).

პოემების განხილვა სრულდება „გველისმკამლის“ შემოქმედებით ისტორიის დახასიათებით, რამდენადაც, ავტორის თქმით, „გველისმკამელი“ ითვლება ვაჟას „ეთიკურ-ესთეტიკური მისწრაფებების მოწიფულობის გამოხატულებად, თუ ერთგვარ „შეჯამებად“ (გვ. 160). ცნობილია აზრი, რომლის თანახმადაც „გველისმკამელი“ დაწერის, ე. ი. 1901 წლის, შემდეგ ვაჟა-ფშაველას ნიუს შესუსტება დაეტყო, რომ პოეტმა ამოსწურა თავისი შესაძლებლობები (გ. ქიქოძე). ამ აზრის საპირისპიროდ, ი. ევგენიძე ფიქრობს, რომ 1901 წლის შემდეგ, როცა „გველისმკამელი“ შექმნა, ვაჟას ნიუსის შესუსტებასთან კი არა გვაქვს საქმი, არამედ ახალი თემების და განსახიერების ახალი ფორმების ძიებასთან, ოდნავ ეს ძიებები ვაჟას გარდაცვალებამ ნაადრევად შეწყვიტა.

ი. ევგენიძე ღრმა ანალიზის საფუძველზე არკვევს ვაჟას დინტერესების მიზნულ გველისმკამელი მიხედის, ერთის შეხედვით, უცნაური მასალით. ერთობ საგულისხმოა კუთხის შედეგები, რომელიც მიმართულია ვაჟას ინდივიდუალისტურ ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ კონცეფციებთან და მოკავშირეობის ჩვენებისაკენ და რომელიც ამოწმებს ამ მხრივ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებებს. ბერძნულ მკვლევარისაგან განსხვავებით ი. ევგენიძე წინასწარ აკვიტებული მოსაზრებით კი არ აუქმებს და უგულვებელყოფს, არამედ ამოწმებს, ხსნის და განმარტავს იმ შთაბეჭდილებათა წარმომავლობის საფუძველებს, რაც ვაჟას ინდივიდუალისტურ კონცეფციებთან დაკავშირებით, ნიქსეს „ზეკაიტან“ დაკავშირებაში გამოიხატა. ლიტერატურული გავლენის ახლებური ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით მკვლევარი დამაჩერებლად ასახულებს, რომ, რასაკვირველია, არ შეიძლება ვამტიციოთ ვაჟას სიმბათიით განწყობა რომელიმე ინდივიდუალისტური თეორიის მიმართ, მათ შორის ნიქსეს მოძღვრების მიმართ, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ აღნიშნული თვალსაზ-

რისები არ იძლეოდა შემოქმედებით ნიქსე ვაჟას პრინციპულად განსხვავებულ, საკუთარი პოეტური პოზიციის შესაქმნელად, რომელიც ფილოსოფიურ-ლიტერატურული ცხოვრებისადმი ვაჟას უარყოფით მიმართებაშიც შეიძლება ძიება გავლენის ფაქტისა, იმნაირი გავლენისა, როდესაც პოეტი აღინდელთან ფარულ შემოქმედებით კილაში ქმნის ახალ სინამდვილეს“ (175 გვ.).

მკვლევარი წიგნის ამ ნაწილში საგულდაგულად ანალიზის საფუძველზე კიდევ ერთხელ გახაზავს „გველისმკამელის“ მაღალ მხატვრულ ღირსებებს და ამით კიდევ ერთხელ აცლის საფუძველს პოემის მხატვრულ ძალაში დამკვირვებას. ეს ეპიკი კი ადრეც აღსებობდა და ამჟამადც ცოცხლობს.

წიგნის ბოლო წიგნი წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას პროზაულ ნაწარმოებთა დახასიათებას შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით. აქ მოთხრობათა ვარიანტების შედარების საფუძველზე ნაჩვენებია, თუ როგორ უქვემდებარებს მწერალი მასალას საკუთარი წერის მანერას. როგორია შემოქმედებითი ძიებათა გზა, რომ განსხვავებული მასალა ფსიქოლოგიურ თხრობას დაუქვემდებარდეს, გარეგულ ამბავთა ადგილი თანდათანობით დაიჭიროს სულიერმა განცდებმა.

„ბუნების მგონების“ შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისით განხილვისას ი. ევგენიძე აკვირდება იმას, თუ როგორ ხდება ეს ნაწარმოები მწერლის ესთეტიკურ-ეთიკურ იდეალთა გამოხატულები, თუ რა გამოარჩევს მას ანდერსენის მოთხრობების ან ლ. ტოლსტოის ხოლსტომერ-ისაგან. აქვე ავტორი ცდილობს დასაბუთოს, რომ „ბუნების მგონების“ ვარიანტად მიჩნეული „შაშვის ქუა“ თავისთავადი ლიტერატურული ღირსების ნაწარმოები უნდა იყოს. საფიქრებელი კია, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილად ადრეული რეაქციაა „ბუნების მგონებისა“ და არა დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოები.

ი. ევგენიძის „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“ ერთიანი მწყობრი თვალსაზრისით გამართული წიგნია, აქ ერთ ლიტერატურისმცოდნეობით მიზანს არის დაქვემდებარებული დიდალი სრულიად სხვადასხვა ხასიათის (ლიტერატურული, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური, სოციალოგიური, ფილოსოფიური) მასალა. მიზანი კი როგორც მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი სიღრმეებთან კიდევ უფრო მი-ახლოვებაში გამოიხატება.

**ლალო მინაშვილი**

წიგნი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ისტორიაზე

ეს წიგნი ვაჟის შემოქმედებითი პროცესების ბევრ საგულისხმო თავისებურებას გვითვალისწინებს; იგი გვიჩვენებს, თუ როგორი ენერჯის განვითარებაა საჭირო მხატვრული შედეგის შექმნისათვის, თუ როგორ სულიერ აქტივობას გულისხმობს თხზვა.

ი. ეგვენისის წიგნში გარდა იმისა, რომ მწერლის შემოქმედებითი ისტორიის ერთგვარი სურათია წარმოდგენილი, განილულია და შემოწმებული, დამაჯერებლად უარყოფილი ან ახლებურად დასაბუთებული ვაჟის შესახებ გამოთქმული ბევრი მოსაზრება.

ნაშრომში წარმოჩენილია ვაჟის პოეტური ინდივიდუალობის ძირითადი თავისებურებები, რაც ამასთანავე არის პირობა მისი უსაზღვროდ მრავალფეროვანი შემოქმედების ერთიანობისა; ყოველი ცალკეული ნაწარმოების განხილვისას იგრძნობა, რომ იგი ნაწილია სწორედ იმ დიდი მთელისა, რომელსაც ვაჟ-

ფშველას შემოქმედება ჰქვია. ი. ეგვენისი ამ მხრივ აგრძელებს მისი მასწავლებლისა და ვაჟის შემოქმედების სახელოვანი მკვლევარის გრიგოლ კიენაძის გზას.

ამ წიგნს აზრითი სისადაე და სიცხადე გააჩნია, რაც მკითხველსაც აქტიურად განაწყობს დასმულ პრობლემებზე ფიქრისა და განსჯისათვის...

სათანადო ინტერესის გამომჟღავნების შემთხვევაში, რასაკვირველია, ამ წიგნს შეიძლება აღმოაჩნდეს ნაკლიც, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანია მისი სიახლე, რომლის ჩვენებაც იყო არსებითად ჩვენი მიზანი, რომ იგი ფარავს ყოველ მოსალოდნელ შენიშვნას.

ეს წიგნი ბაღებს ვაჟა-ფშაველას ამოუწურავი შემოქმედების ამ თვალსაზიროთ კვლევის გაგრძელების სურვილს და, ცხადია, არა მარტო ვაჟის შემოქმედებისას.

---


სახელი? — ყველას, ვინც ეტანება,  
დიდება? — ვისაც მოესურვება.  
მე — მხოლოდ შენი ძილში ზმანება,  
მე — მხოლოდ შენი ცეცხლით ხურვება.

მიწამებისარ და უნდა მწამდე —  
ჩემი ბოლნისი, ჩემი ატენი...  
იხილონ — როგორ აგზიდავს ცამდე  
სიმღერა ჩემი... ცრემლად ნადენი.

ემზარ კვიციანი







ნოღარ უიფუიქი, გურამ კახანაძე

## სტრესი, ბიოკრიტიკი და საზოგადოების დაავადება

კაცობრიობის არსებობის არც ერთ პერიოდში გულს, აღმნიანის ამ საოცარ ორგანოს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუწყვენებლად მუშაობს, თანაც მარტი მოქმედების ისეთი კოფიციენტით, როგორც არც ერთ ხელოვნურად შექმნილ სრულყოფილ მექანიზმს არ გააჩნია, ისეთი დიდი საშიშროება, როგორც ჩვენს საუკუნეში გაუჩნდა, არასოდეს დადგომია. სულ უფრო და უფრო მატულობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებით შეპყრობილ აღმნიანთა რიცხვი, სულ უფრო ხშირად და ხშირად ზიანდება გული. ცნობილია, რომ იგი მოსვენებულ მდგომარეობაშიც კი ძალიან დიდ მუშაობას ასრულებს, თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე, ვთქვათ, მაქსიმალური სიჩქარით მორბენალი აღმნიანის ჩონჩხის კუნთები; ხოლო სხვა ორგანოებთან და ქსოვილებთან შედარებით, მასში მიმდინარე ენერგეტიკული ცვლის ინტენსიობის პროცესი 15-20 ჯერ მეტია.

მაინც რატომ ზიანდება ასე ხშირად გული, რატომ მიიღო ეპიდემიური ხასიათი გულის იშემიურმა დაავადებამ? (გულის იშემიური დაავადება — სნეულებაა, რომელიც ვითარდება გულის კუნთის სისხლით მომარაგების შემცირების ან შეწყვეტის შედეგად, რაც მისი მეგებავე სისხლძარღვებს — კორონარული არტერიების პათოლოგიურ პროცესთანა დაკავშირებულია. ხოლო მოიკარდის ინფარქტი მისი ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე ფორმაა).

პარავარდის უნივერსიტეტის პროფესორი მაკ-მაგანი აღნიშნავს, რომ ამჟამად მოიკარდის ინფარქტით სიცვდილის საშიშროება ისევე დიდია, როგორც უწინ ინფექციური დაავადებების (ტიფი, შავი ქიბი, ქოლერა, ტუბერკუ-

ლოზი) ერთ-ერთი უდიდესი ეპიდემიების დროს ჩნდებოდა ხოლმე. ოღონდ მოსახლეობა ამის შესახებ მაინცდამაინც გათვითცნობიერებული როდია. ამ დაავადების ეპიდემიის ზრდის შედარებით დაბალი ტემპი ხელს უწყობს მისი ნამდვილი სახის შენიღბვასა და დაფარვას. ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში. აღმნიანის სიკვდილიანობის ყველა მიზეზთა შორის გულისსხლძარღვთა დაავადების წილი 40-56% შეადგენს, ხოლო ამ პათოლოგიით გარდაცვლილთა შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მოიკარდის ინფარქტზე მოდის. სემედიკინო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ჩვენთაობის უფროსი ასაკის აღმნიანებუ მათ მამებთან შედარებით დაახლოებით ცამეტი წლით ადრე შეიძლება დაავადდნენ გულის იშემიური სნეულებით, „ცივილიზაციის ამ დაავადებით“. ცამეტი წელი... შეიძლება მარადისობის საზომით იგი მართლაც არაფერია, მაგრამ აღმნიანისათვის ის მაინც მირიადი წუთია.

ჩვენს საუკუნის დასაწყისში კაცობრიობამ სძლია დიდ სენს ტუბერკულოზს. არ არსებობს საიდუმლო საკეტი, რომელსაც გასაღები არ მოერგოს. მაგრამ შემდეგ, მის ნაცვლად ჩუმად სვლით სხვა სენი მოგვადგა, როგორც ჩვენი ეპოქის უდიდესი ეპიდემია. იგი მოწიფული, მოწინავე, ინდუსტრიულად განვითარებული საზოგადოების დაავადებაა.

ოვიდუსი ამბობდა: „Principis obsta; sero medicinis quum mola per longus invaluere moras“ — დასაწყისშივე შეებრძოლეთ სნეულებას, დაგვიანებულ შემთხვევაში წამლები აღარ მოქმედებენ. მეცნიერებმა ეს იციან, და ამიტომაც გადაიქცა გულის იშემიური დაავადება

დება XX საუკუნის მეორე ნახევარში მედიცინის პირველ პრობლემად. უდავოა, მეცნიერება წიკითხავს ამ იეროვლივს.

რა თქმა უნდა, ამ პატარა წერილში, ვერ განვიხილავთ ყველა ფაქტორს, რომელსაც კავშირი აქვს გულის კუნთის ინფარქტთან. მაგრამ მაინც რა ვიცით ამ დაავადების შესახებ, რატომ ვახშირდა ასე?

მიზეზი შეიძლება კონტინენტის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მომატება იყოს, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ასეუბნელი ცხოვრების პირობების სწრაფი შეცვლა — მისი ტემპის დაჩქარება და შრომის პროცესის ვართულება, ამასთან დაკავშირებული ფიზიკური აქტიურობის შემცირება და ხანგრძლივი ფიზიკური გადაძაბვა, კვების ხასიათის შეცვლა, დიდი რაოდენობით ცხოველური ცხიმების გამოყენება; თამბაქოს წიგის ფართო გავრცელება. ასეთ პირობებში, როდესაც თვალსა და ხელს შორის იცვლება, ვითარდება, ადამიანის ორგანიზმი, როგორც ყოველი ბიოლოგიური სისტემა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი კონსერვატიუზმია ადამიანთაუბელი, ბევრ შემთხვევაში სრულყოფილ შეგუბებას ვერ ასწრებს გარემოსთან. და მაშინ ზიანდება გულს, ხან ნელ-ნელა, შემუშინველად, ხანაც უეცრად.

დღეისათვის მეცნიერებმა მიოკარდის ინფარქტის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად სტრესორულ ფაქტორს თვლიან. Stress — სტრესი — დაძაბვა, დატვირთვა. სერთოლ, სტრესული რეაქცია ორგანიზმის სისტემების ფუნქციის „გადაძაბვის“ შედეგია და წარმოიქმნება ბიოლოგიურად საკმარისი სიძლიერისა და ხანგრძლივობის გამძლიანებლებს მოჭმულებს შედეგად. რაზე თვლის, რომ მიოკარდის ინფარქტის უშუალო განვითარებას იწვევს ძიძმე ფიზიკური ან ემოციური სტრესი, დაძაბული სიტუაციის აღმოცენება სამუშაოზე თუ ოჯახში, ქუჩაში თუ სტადიონზე. ზოგჯერ სულ მცირედი ნერვული გადაძაბვა, ერთ ბეწო რამეზე გაი-უშვებლებლის ატეხვაც კი საბედისწერო ხდება ადამიანისათვის — ვითარდება გულის კუნთის ინფარქტი, ინსულტი, პიპერტონიული კრიზი, ალერგიები.

ცნობილია, რომ ემოციური გადაძაბვის შედეგად ცოცხალი ორგანიზმის პიპოთალამერ-პიპოთიზურ-ადრენალურ სისტემაში განსაზღვრული ძვრები აღინიშნება. ეს ორგანიზმის სხვა სისტემაში იწვევს ცვლილებებს, კერძოდ, ცხიმოვანი ცვლისა და სისხლის შედელების სისტემაში. სტრესული ფაქტორი, როგორც გარემოს გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორი, მრავალი შეიძლება იყოს: პიპოსია, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, ემოციები, ტემპერატურული გავლენა. ორგანიზმის სტრესული

რეაქცია, როგორც რაოდენობრივად ისე, თვალსაზრისით განსხვავდება ბიოლოგიური ფიქლოვითი, ფიზიოლოგიური თუ სოციალური თვალსაზრისით. ძირითადად გამოყოფენ ორ ათვისობრივად განსხვავებულ სტრეს-რეაქციას. ერთი ქსოვილებზე მოჭმელობს ფიზიკური (ქიმიური) გზით და ეგრეთწოდებულ ფიზიოლოგიურ (ფიზიკურ) სტრესს იწვევს. მეორე ფსიქოგენურად მოჭმელობს, რის გამოც ვითარდება ემოციურ-ფსიქოგენური რეაქცია. იგი კი მიზეზი ხდება სტრესისა.

ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი და პიროვნების გარკვეული ფსიქიური მდგომარეობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში განიხილებოდა, როგორც გულის იშემიური დაავადების განვითარების ხელისშემწყობი ფაქტორი. 1896 წელს ოსლერი სტენოკარდიაზე და მიოკარდის ინფარქტზე წაკითხულ ლექციებში აღნიშნავდა, რომ ათეროსკლეროზის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი — თანაბროვე ცხოვრების მღელვარება, შფოთვა, მოუსვენრობა და დაძაბულობა. ხოლო ამ სნეულებით შეპყრობილ ადამიანებს იგია ახასიათებდა როგორც პიროვნებებს, რომლებიც „მთელი სიჩქარით მიისწრაფვიან წინ“.

უარყოფითი ემოციები ინფარქტის სახით ცხოველებსაც ეი აქევეს. ასე მაგალითად, სენსორული და ემოციური სტრესით გულის კუნთის ინფარქტი გამოუწვევით ვირთხება, კენის ბატენებასა და სოხუმის საშენში გაშვებულ მაიმუნებში.

დამბრმა იშემიური დაავადებით დასნეულებული ადამიანთა, როგორც მღმდმეოდ რადიის მაიმებელი, მოუსვენარი, ცხოვრებაში წარმატებისათვის და წინ წაწევისათვის მღდამ ბრძოლაში ხელჩართული ადამიანი. მოჩვენებითი ბრძოლა, დაუცმაყოფილებლობის შინაგანი გრძნობა ახასიათებს მათ. ხშირად ეს — „სიზღვის“, „დანიადის“, „ექსიონის“ ტიპის ადამიანები არიან.

სტრესის დროს ორგანიზმში „ვეგეტაციური ქარიზალი“ ამოვარდება ხოლმე. იგი სისხლის შედელების თვისების გავრდას იწვევს, რაც თრომბოზის მიზეზი შეიძლება გახდეს. ხოლო სისხლძარღვში თრომბის გაჩენა ინფარქტის ძირითად პირობადაა მიჩნეული. დადგენილია, რომ ემოციური სტრესი მაშინ ხდება განსაკუთრებით ბათოგენური, როდესაც კომბინაციაში წარმოვადდება სხვა ისეთ რისკ-ფაქტორებთან, როგორცაა პიპერქოლესტერინემია, არტერიული წნევის მომატება, თამბაქოს დიდი რაოდენობით წევა, სიმსუქნე და უმოძრაო ცხოვრება. ყოველშემთხვევაში ნათელია, როდესაც კორონარული სისხლძარღვები სრულიად საღია, არც დალი ფიზიკური გადატვირთვა და არც ძლიერი ემოციური ფაქტორი მიოკარდის ინფარქტს არ იწვევს.

ემოციური დაძაბულობა ჰქრება იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება დასახულ მიზანს აღწევს. მაგრამ დღესდღეობით ამ ქვეყნად ხშირად ისეთი ვითარება წარმოიქმნება, როდესაც ორგანიზმს განვითარების საშუალება აღარა აქვს, როდესაც ადამიანი ევლარ მოქმედებს ან ეჩვენება რომ უძლურია. სწორედ ასეთ შემთხვევაში დებულა ემოცია პათოლოგიურ მნიშვნელობას.

ბ. თქმა უნდა, მთელი სიცოცხლის მენძილზე ყველა ადამიანი განიცდის ამა თუ იმ სახით სტრესული ფაქტორის მოქმედებას. მაგრამ ყველას როდი უვითარდება ინფარქტი. აქ მნიშვნელობა აქვს ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებს, ასაკს, სქესს, თუ როგორ აფასებს თვითონ პიროვნება აღმოცენებულ ვითარებას. ვარემოვებას. ცხოვრებაში, ისევე როგორც ბრძოლაში, ომში — მოსალოდნელი დარტყმა ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე მოულოდნელი. როგორც ჩანს, თავი კი არ უნდა ავარდლოთ ემოციებს, არამედ უნდა ვისწავლოთ მათი „მართვა“, დროზე „მოთოკვა“. ცხოვრებაში ზოგჯერ ძალზე მძიმე წუთები უღდება ხოლმე ადამიანს და ვეჟაკობაც ის არის, თუ როგორ გვავართმევთ მას თავს. ნებისყოფა და გონიერება ამ საქმეში ჩვენი პალადიუმია. ამიტომაც თავის დროზე უნდა დავიწყეთ — ბავშვობიდანვე, როგორც კუნთების, ისე გონებრივი აპარატის გავარჯიშება.

დღეისათვის მიოკარდის ინფარქტის დიაგნოზირების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხში გარკვეული წარმატება მოპოვებულია. მაგრამ ვასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სოკრატე გვასწავლის, რომ ჭეშმარიტება შემწვარ მტრედვიით როდი ჩავგვიარდება განცვიფრებამსაგან დაბჩენილ პირში, რომ მის დასადგენად, ისევე როგორც ყოველი უმაღლესი კეთილდღეობის მოსალოდნელად, რაინდული ბრძოლის გავწევაა საჭირო.

მეცნიერებმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება ცოცხალი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციონალური მდგომარეობის პერიოდულ ცვლილებებს. 1906 წელს ფლენსმა პირველმა გამოთქვა აზრი მრავალდღიან რიტმის არსებობაზე, რასაც ბიორიტმი ანუ სიცოცხლის ციკლოტრობა უწოდა. იგი აკვირდებოდა დაავადების გამწვავებებს პერიოდებს და ცდილობდა ავადმყოფის დაბადების თარიღსა და დაავადების სიმპტომებს შორის კავშირის დადგენას.

ცოცხალი ორგანიზმა მრავალრიცხოვანი რიტმის ერთობლიობას წარმოადგენს. ამიტომაც იქცეეს სულ უფრო მეტ ყურადღებას სიცოცხლის რიტმი და მისი კანონზომიერების გამოვლინება. დღეისათვის მედიცინას საკმაო ფაქტი გააჩნია ცალკეული დაავადების სიმპტომების რიტმული გამოვლინება. ექიმები კი ხშირად ამა თუ იმ დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის პროცესში ნაკლებ ყურადღებას

აქცივენ ბიოლოგიურ რიტმს. ამჟამად ცნობილია, რომ ზოგიერთი დაავადების (ჰიპერტონიული სნეულება, სტენოკარდია, ბრონქიალური ასთმა) გამწვავების გახშირებში გარკვეულ როლს ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციის დაქვეითება თამაშობს ღამის პერიოდში. ბიორიტმების შესწავლა საშუალებას მოგვცემს მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისით მივედგეთ სამკურნალო წარწლების გამოყენებას პრაქტიკულ მედიცინაში.

ერთი და იმავე ორგანიზმში ცალკეული ფუნქციების რიტმული ცვლილება დროის სხვადასხვა მონაკვეთში მეორდება. ზოგიერთი ციკლი მხოლოდ რამდენიმე სეკუნდი გრძელდება (თავის ტვინისა და გულის ბიორიტმების პერიოდული ცვლილება, სუნთქვითი მოძრაობა), ზოგიერთი კი — ერთიდან რამდენიმე საათის, დღის, თვის და წლის განმავლობაში, (სადღეღამისო, სამთვარიო, სეზონური, წლიური და სხვა რიტმები).

ბიორიტმებს საფუძვლად შემდეგი ფაქტორია უდევს: დაბადებიდან მოყოლებული ადამიანის სიცოცხლე სამ რიტმს ემორჩილება: ფიზიკურს ემოციურს და ინტელექტუალურს. ფიზიკური რიტმის ციკლი 23 დღეს გრძელდება, ემოციური (მას ზოგჯერ მგრძობელობის ციკლსაც უწოდებენ) რიტმის ციკლი — 28 დღეს, ინტელექტუალური რიტმის ციკლი — 33 დღეს. ემოციური ციკლის ხანგრძლივობა დაახლოებით სამთვარიო თვის და ქალის ფიზიოლოგიურ ციკლის ხანგრძლივობას უდრის.

ეს სამი რიტმი, სხვადასხვა ციკლებთან კომბინაციაში, ყოველდღიურად განსხვავებულ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. თითოეული ციკლის პირველი ნახევარი დადებით პერიოდს შეადგენს, მეორე ნახევარი — უარყოფითს. დღე, როდესაც რიტმის მრუდი ნულოვან ხაზს გადაკვეთს „კრიტიკული“ ეწოდება. დადებითი პერიოდი, როდესაც ადამიანი აქტიურ მდგომარეობაშია, მოდის ფიზიკური ციკლის 2-11 დღეებზე, ემოციური ციკლი 2-14 დღეებზე და ინტელექტუალური ციკლის 2-16 დღეებზე. უარყოფითი პერიოდის დრო აღინიშნება ფიზიკური ციკლის 13-23 დღეების განმავლობაში, ემოციური ციკლის 16-28 დღეებისა და ინტელექტუალური ციკლის 18-33 დღეებში. ამ პერიოდში ადამიანის მდგომარეობა შედარებით უარესდება.

კრიტიკული დღე, ეს ის დღეა, როდესაც რიტმი დადებითი მდგომარეობიდან უარყოფითში გადადის ან პირიქით, და მას აგრეთვე ნულოვანი დღე, „უდი“ დღე ეწოდება. ითვლება, რომ ამ დროს მდგომარეობა არისტოტელური და მოსალოდნელია სტრას-რეჟ-

ნოდარ შიფშიმი, გურამ კახანავა  
სტარსკი, ბიორიტმი და საშუალო წააგვადება

ქციის განვითარება. ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლეში ყოველი ცვლილება სწორად სახიფათოა. ფიზიკური და ემოციური ცვლილების კრიტიკულ დღეს უმეტეს შემთხვევებში აღმათობა მატულობს.

ფიზიკური ციკლის პირველი ნახევარი შესაფერისი დროა ინტენსიური სპორტული ვარჯიშისათვის, შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, ქირურგიული ოპერაციების ჩატარებისათვის, საერთოდ ყოველი სამუშაოს გაწვევისათვის, რომელიც ფიზიკურ დატვირთვის მოითხოვს. ადამიანი ამ დროს ჯავარზუა, მეტად ამტკავნებს ფიზიკურ ძალას, გამძლეობას, სიმამაცეს, ენერგიულობას, წინააღმდეგობას გაწვევის უნარს, შეუპოვრობას. მეორე ნახევრის განმავლობაში კი ადვილად იღლება, ამანი აკლდება, უქვეითდება გამძლეობა, მიდრეკილია ავადმყოფობისადმი.

ემოციური ციკლის დადებით პერიოდში, როგორც წესი, ადამიანი ოპტიმისტურადაა განწყობილი, ხალისით ებმება კამათში, ლობიერად ექვევა ახლობლებს თუ ნაცნობებს. უარყოფით პერიოდში, პირიქით, ცუდი გუნება-განწყობა ეუფლება.

ინტელექტუალური ციკლის პირველ ნახევარში ადამიანს ეადგილება სწავლა, ყოველგვარი ინტელექტუალური საქმიანობა, რთული პრობლემების გადაწყვეტა, ექსპერიმენტების ჩატარება. მეორე ნახევარში კი უქვეითდება აზროვნების უნარი, მეხსიერება.

ფიზიკური და ემოციური ციკლების ნულოვანი დღეები საშუალოდ ექვს დღეში ერთხელ მეორდება. განსაკუთრებით საშიშია ორმაგი კრიტიკული დღე, როდესაც ორი განსხვავებული ციკლის კრიტიკული დღე ერთმანეთს ემთხვევა. ორმაგი კრიტიკული დღე წელიწადში დაახლოებით ექვსჯერ მეორდება. ყველაზე საშიში დღე კი სამმაგი კრიტიკული დღეა, რომელიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ დგება. დიდი მნიშვნელობა აქვს ბიორიტმის თეორიის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას. უზრადდება უნდა მიექცეს ადამიანის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობას, ხასიათს, ტემპერამენტს, ამგვარად ბიორიტმი ადამიანის მდგომარეობის კომპლექსურ მაჩვენებელს წარმოადგენს, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს ფიზიკურ, ემოციურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიორიტმების თეორია დღემდე საკმარისად როდია დამუშავებული. იგი დამყარებულია რიტმული ციკლების და ადამიანის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მდგომარეობის სათუთო კავშირზე.


ამა თუ იმ პიროვნების ბიოლოგიური ციკლის დადგენა დიდ სიმძლეებთან როდია დაკავშირებული. საქირთა სიცოცხლის დღეების მთლიანი რიცხვის დათვლა, რომელიც დაბა-

დების პირველ დღიდან იწყება და მთავრდება განსახილველი თვის პირველი დღით, მიღებული რიცხვი იყოფა თითოეული ციკლის დღეების რაოდენობაზე, ესე იგი, 23-ზე, 28-ე და ხოლოს 33-ზე. გაყოფის შედეგად მიღებული ნარჩენი განსაზღვრავს თითოეული ციკლის თვის დადებით პირველ დღეს. ესე იგი, ყოველი ციკლის დასაწყისად პირველი დადებითი დღე ითვლება.

ბიორიტმების თეორიას პრაქტიკულად იყენებენ. 1969 წელს იაპონიაში ავტობუსების ფირმის „თმი რელიევი კომპანის“ ადმინისტრაციამ შესწავლა მძღოლების ბიორიტმები. ნულოვან დღეს ისინი ღებულობენ სპეციალურ გამაფრთხილებელ ბარათს და მძღოლებიც ამ „ცუდ“ დღეს განსაკუთრებით ყურადღებიანი არიან. ასეთი ღონისძიებით საგზაო შემთხვევებმა იაპონიაში პირველ წელს ორჯერ იკლო. შევცვილმა მეცნიერმა პანს შეინგმა, შესწავლა რა 1 400 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაასკვნა, რომ ათ მძღოლდღიდან ექვსი ავარიასში ხვდება მისი ბიორიტმის კრიტიკულ პერიოდში არსებულ დღეს. ამჟამად იაპონიაში ბიორიტმის დახასიათებით სარგებლობს 2 000-ზე მეტი სამარეწველო კომპანია. მას ფართოდ იყენებენ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც თავისი ბიორიტმის მდგომარეობის მიხედვით „კრიტიკულ“ მდგომარეობაში იმყოფება, სპეციალურ ნიშანს ატარებს — „ბიორიტმის ნულოვანი დახასიათება“. ამით მოსალოდნელი შეცდომებისა და უსიამოვნო ვითარების თავიდან აცილებას ან შემცირებას აღწევენ. სხვა თანამშრომლები იმ პირებს, რომლებიც „კრიტიკულ“ მდგომარეობაში იმყოფებიან, შესაბამისად მზრუნველობით ეპყრობიან.

ფრიად საინტერესოა, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში (მინისტრა თ. დავითაშვილი) 1974 წლის-1 ივლისიდან დაიწყეს ბიოლოგიური რიტმის თეორიის პრაქტიკული გამოყენება. „ავტოტრანსტენიკის“ საწარმოო ტექნიკური გაერთიანების საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში (დირექტორი — კ. ცხაკაია) გამოთვლილი მანქანისათვის შეიმუშავეს პროგრამა. მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა მექსიკულად, წამიერად განისაზღვროს მძღოლის კრიტიკული დღე. ამ „ცუდ“ დღეებში მძღოლი საუკესთან არ ჯდება, იგი ვარაუმი რჩება. ამ ღონისძიების შედეგად ავტობუსის მძღოლების მიერ მომხდარი ავარიების რიცხვი პირველსავე წელს 25% შემცირდა.

ჩვენს ინსტიტუტში — საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო კვლევის



ინსტიტუტში ეწვევლობთ მთავარდის ინფარქტით დაავადებულთა ბიორიტმებს. სამედიცინო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოჩნდა გამოკვლევები ზოგიერთი შინაგანი დაავადებების დროს აღმოცენებული ციკლური რემისიებისა და გამწვავებისა, რომლებიც ვარგები ვარემოს ფაქტორების გავლენაზე არ არის დამოკიდებული. გულის იშემიური დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფთა შორის ვადგენთ ენდოგენურ რიტმს, რომლის არსებობას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონოდა მთავარდის მწვავე ინფარქტის განვითარების მომენტის განსაზღვრისათვის. გვიანტერესებს, არსებობს თუ არა მართლა მრავალდღიური რიტმი, რომლის ცალკეულ ფაზას მნიშვნელება ენიჭება ამ დაავადების განვითარებაში. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს განსაზღვრული დღეები, როდესაც მთავარდის ინფარქტის განვითარება ამ ავადმყოფისათვის ყველაზე მეტად მოსალოდნელია. ეს დღეები ენდოგენურად განპირობებულ მრავალდღიან ბიორიტმებთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ისინი ორგანიზმის იმ სისტემის ფუნქციონალურ მდგომარეობას განსაზღვრავენ, რომელთა ცვლილება გულ-სისხლძარღვთა სისტემის კატასტროფის განვითარებას უწყობს ხელს. აღმოჩნდა, რომ 60% შეთხვევაში მთავარდის ინფარქტი ვითარდებოდა კრიტიკულ დღეებში, უპირატესად ფიზიკურ-კრიტიკულ დღეს — 32,2% შემდეგ ემოციურ კრიტიკულ დღეს — 20% შემთხვევაში და დაბოლოს — ინტელექტუალურ კრიტიკულ დღეს — 7,5% შემთხვევაში. თითქმის ყოველ შემთხვევაში მთავარდის ინფარქტის განვითარებას წინ უძღოდა სტრესული რეაქცია — ავადმყოფის ფიზიკური ან ემოციური „გადაძაბვა“. სტრესული ფაქტორი განსაკუთრებით საშიშია ბიორიტმის, „ცუდი“ ფაზების პერიოდში. ამ დროს შესაძლებელია მთავარდის ინფარქტის ისეთი

მძიმე ვართულებების განვითარება, როგორცაა პარკუჭების ციმციმი, პაროქსიზმული ტაქიკარდია, თრომბოემბოლიების, შინაგანი ვილის სინდრომის წარმოშობა. საჭიროა ერთი და იგივე ავადმყოფზე ხანგრძლივი დაკვირვება. მისი ფუნქციონალური მდგომარეობის შედარება სისხლის შედედებისა და სისხლძარღვების სისტემებთან. საინტერესოა ერთი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფს მთავარდის ინფარქტი ორჯერვე კრიტიკულ დღეებში განუვითარდა. პირველად 1971 წელს ფიზიკურ კრიტიკულ დღესა და მეორედ, განმეორებით, 1977 წელს ემოციურ კრიტიკულ დღეს.

ჩვენი მონაცემები წინასწარია. მაგრამ ახლაც ნათელია, რომ სასურველია გულის იშემიური დაავადებით შეპყრობილმა პირებმა იცოდნენ თავიანთი კრიტიკული დღეები, განსაკუთრებით ორმაგი და სამმაგი კრიტიკული დღეები. ამ დღეებში ავადმყოფებმა, თავი უნდა აარიდონ ყოველგვარ სტრესულ-რეაქციას. საჭიროა ფსიქოფორმაკოლოგიური საშუალებების და სისხლის შემადგენელი თვისებების მარეგულირებელი სამკურნალო ნივთიერებების, ეგრეთ წოდებული ანტიკოაგულანტების — ჰეპარინის, სინკუმარის გამოყენება.

უილიამ ფოლკენერმა თქვა, აღამიანი დიდა იმის გამო, რომ მას გული აქვსო. სწორედ ამ ორგანიზმს, რომლის ძირითად ნებისყოფას სხეულში სისხლის მოძრაობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, გადარჩენისთვისაა მიმართული დღეისათვის მეცნიერების და მედიკოსების მთელი ყურადღება. და შორს არ არის ის დრო, როდესაც მედიცინას საუკუნის დაავადებაზე გამარჯვების ნიშნად ოდესღაც თეზესის მიერ დაარსებულ ჯილდოს — პალმის რტოს გადასცემენ. ხოლო ჯერ-ჯერობით აი, ასეთ ურთიერთდამოკიდებულებაშია სტრესი, ბიორიტმი და მთავარდის ინფარქტი.

შენ ხარ ბუდე სიკეთისა,  
სიბრძნის წყარო, ერის თვალი,  
ჩვენთა გულთა განმკითხველი,  
ჩვენიც ხმალი, ჩვენიც ფარი...  
შენით არის გაზაფხული,  
სიხარულიც შენით არის!

მორის ფოცხიშვილი.



# აქრონი

ვლადიმერ ოსინსკი

## და შეიკრა რკალი...

პარმენმა სწავლა რომ დაასრულა, სკოლის დირექტორმა სიმწიფის ატესტატი გადასცა და უთხრა:

— აბა, ბიჭო, გამომართვი, საჩუქრად მიიხნე...

ტექნიკუმში ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი ჩვენს გმირს პირდაპირ მისტიკურ შიშს გვრიდა. გარდა ამისა, შეგნებული ახალგაზრდა გახლდათ; ამიტომ რიხით განაცხადა: ქვეყანას მუშახელი სჭირდება, წარმოებაში უნდა წავიდეთ.

და კეთილმა ძია მურმანმა, რომელსაც საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკირა, შრომისმოყვარე მძიმე მდივანდ მიჰგვარა თავის ბავშვობის მეგობარს, — ერთ-ერთი დიდი კანტორის მმართველს.

პარმენს მოეწონა სამუშაო. გულმოდგინედ აკეთებდა მანქანაზე, ბეჭდავდა საქმიან ქაღალდებს და რეგისტრაციაში ატარებდა კანტორის სახელზე შემოსულ მასალებს. პატივმოყვარეობის თანდაყოლილი გრძნობა, მის ხასიათში ყველაზე მკვეთრად რომ გამოსჭვივოდა, უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა. საამისოდ ფართო ასპარეზი ჰქონდა: პირად თუ სამსახურის საქმეზე მოსულ ხალხს პირველად ხომ მისთვის უნდა მიემართა.

პარმენს შეეძლო ეთქვა:  
— მოითმინეთ. უფროსი ხუთ წუთში მივიღებთ. მაგრამ ვინ დაუშლიდა მოხოვენლისთვის მოეჭრა:

— დღეს უფროსს მიღება არა აქვს, ვერც ხვალ მოახერხებთ ნახვას, აჯობებს, ასე, ერთი კვირის შემდეგ შემოიაროთ.

და ბოლოს, უფლებამოსილი იყო, დამაჯერებლად გაეცხადებინა:

— თქვენი აქ მოსვლით ხელს გვიშლით

მუშაობაში. არღვევთ ჩვენი საქმიანობის მშვიდ რიტმს — და რაკი ამ მხრივ უფროსის მხარდაჭერას გრძნობდა, მომსვლელებს უფრო ხშირად ბოლო ტრახას შეაგებებდა ხოლმე.

როგორც ვთქვით, პარმენი კმაყოფილი იყო თავისი სამსახურით, და მამასადამე, ცხოვრებითაც, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული და პარმენის მშვიდ ცხოვრებასაც ბოლო მოეღო, ამაში ბრალი გრძელნაწნავეებიან ვარდოს მიუძღოდა.

ვარდოს მოსწონდა პარმენი, მაგრამ სამსახურს უწუნებდა, მისი თანამდებობა არაფრად ეკაშნიკებოდა. თავისებურად ალბათ მართალიც იყო, როცა ვაცხარებით ამტიკებდა: რომ მკითხონ, შენი ქმარი ვინ არისო, რა პასუხი გაცემ? ენა არ მომიბრუნდება, ვუთხრა, მდივან-მემანქანედ მუშაობსო.

და პარმენი დედასთან წავიდა, დედამ ძია მურმანს მიაშურა, ძია მურმანმა კი თავის ბავშვობის მეგობარს, გავლენიან პირს — კანტორის უფროსს მიაკითხა. ამ უცანასკნელმა ცოტა ხანს იფიქრა და ბოლოს თქვა:

— მართალი ხარ, ძმაო, უსამართლოდ მოვეჭკეციტ პარმენს, ოთხი წელიწადია უმწიკვლოდ მუშაობს, მის დაწინაურებაზე კი დღემდე არავის უფიქრია. დროზე მომაკითხე, ჩვენი მოხუცი თანამშრომელი, ბურდული, რა ხანია, პენსიაზე გასასვლელია.

ბურდული დიდი პატივით ვააცილეს. მოხუცი დაღონებული მდივოდა, ქაღარამოსილი თავი ჩაეჭინდრა და თან მიჰქონდა საჩუქრად მიძღვნილი ელექტროსამოვარი. იმ დღიდან კი უფროსი ადმრციცველის სავარძელზე პარმენი დაჯდა; მხოლოდ წინასწარ ბურდულის რბილი ბალიში აიღო და თვალს მიაფიარა.

კანტორაში მის ვარდა, უმცროსი ადმრციც-

ველიც ჰყავდათ, ამიტომ პარმენი, როგორ-  
ღაც, თავისთავად გახდა უფროსი, თუმცა, კაც-  
მა რომ თქვას, არც თუ ისე გავლენიანი... ამგ-  
ვარად დაიწყო მისი მოღვაწეობა ხელმძღვა-  
ნელ სამუშაოებზე.

ღრო ნელ-ნელა ამცირებდა კალენდრის  
ფურცლებს და აიძულებდა მდივან ქალს ძვე-  
ლი კალენდრები ახლით შეეცვალა.

ღიახ, პარმენს უკვე მდივანი ჰყავდა და სხვა  
დაწესებულებაში, სხვა თანამდებობაზე მუშა-  
ობდა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ერთხელ  
და სამუდამოდ მთიგო თავისი ბიძის ბავშვო-  
ბის მეგობრის, ბატონი მურმანის გული, როცა  
გულწრფელად და თითქოს ოდნავ დარცხვენით  
უთხრა: მე თბოლი ვარ, მაგრამ მამის შავი-  
რობა თქვენ გამოიწიეთ.

პარმენის მაგიდაზე კალენდარი კალენდარს  
ცვლიდა, ასევე იცვლებოდა თვით მაგიდები  
და მატულობდა ტელეფონების რიცხვი. მაგ-  
რამ ყველა ამ პროცესს პარალელურად სხვა  
პროცესებიც სდევდა: საქმოდ შეთხელდა  
პარმენის სწორი და გრუხა თმა, რომლის წყა-  
ლობითაც ერთ დროს გრძელწაწვებიანი ვარ-  
დოს გული დაიპყრო, ასევე სწრაფად მიუღო  
ქონი, წელი დაუმსხვილდა, ზანტი მოპარობა  
დასჩემდა, ზანტადვე ლაპარაკობდა, მაგრამ  
ყოველ სიტყვას ღირსებით წარმოთქვამდა.

ვერც კი მოასწრებდა ყოფილი მდივან-  
მემანქანის ოჯახი ახალ, უფრო ხალვათ ბინაში  
გადასვლას, რომ მის კედლებს შორის ისევ  
და ისევ ვიწროდ გრძობდა თავს: რადგან ვარ-  
დოს თავის ღირსიულ მეუღლეს მტელად ყო-  
ველგვარი საჭირო თუ არასაჭირო ნივთი  
უყვარდა. თანაც ეს სიყვარული დროთა ვი-  
თარებაში უფრო და უფრო ეძალებოდა...

შესანიშნავად ცხოვრობდა ჩვენს ბედ-  
ნიერი წყვილი.

პარმენს უყვარდა ხოლმე ისე, სხვათაშორის  
თქმა: ჩემი დაწესებულება საათივით მუშაობ-  
სო შართალია, იყენენ ადამიანები, რომლებიც  
ამ დროს გულღვარძლიანად დასქენდნენ: ღიახ,  
იმ საათივით, დღეღამეში ორჯერ რომ უჩვენებს  
სწორ დროსო. მაგრამ მათი სიტყვები პარმენის  
ყურამდე არ აღწევდა.

წუნარად და მშვიდად ცხოვრობდა პარმენი,  
მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოწყენდილ  
ცაზე ეთვლოდნენ და იშუქა.

უტკრად ყოველგვარი გავრთხილების გა-  
რეშე დაკარგეს ადგილები ძია მურმანმა, მისმა  
ბავშვობის მეგობარმა, მეგობრის მეგობარმა  
და ასე შემდეგ...

პარმენის ირგვლივ დატრიალდა ძალზე  
უსიამოვნო და საშინელი სიტყვების კორიან-  
ტელი. მას წამისწამ ესმოდა: „არაკომპეტენ-  
ტურობა“, „ნათლიმამობა“ „თავგასულლობა“,

„პროტექციონიზმი“, „მომხვევლობა“, და სხვა  
ამგვარი.

რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ჩვენს გმირს აღ-  
რეც გავგონა, მაგრამ ისინი მუდამ რალდენის  
განუცხებულ ცნებებზედ მიჩნდა. ვერ გავრკეი-  
ვის მიერ ან რისთვის იყენენ გამოგონილი.  
დღეს კი მათ საგნობრივი მნიშვნელობა მოი-  
პოვეს და ჭიუტ ფაქტებზედ იქცნენ.

როცა პარმენი სამუშაოდან მოხსნეს, დად-  
გენილებაში „თავგასულლობისა“ და „მომხვე-  
ველობის“ გარდა, აღნიშნული იყო: „პროტოხად  
გამოყენება“, „უხეში შეცდომები“... ამის მო-  
ყვება სრულიად მოულოდნელი და საშინელი  
რამ... პარმენი ჩამოაცილეს ნომენკლატურულ  
სამუშაოს; სადაც ისე მუდროდ იყო მოკალა-  
თებული და თავი უბედნიერეს კაცად მიიჩნა-  
ნაზად მოაღერეს მზისა და მეგობრულად მო-  
ციმიკივე ვარსკვლავთა სხივებზევე, როცა უშ-  
ფოთველად მიჰყვებოდა ცხოვრების დინებას.

ნუთუ ყველაფერი დაიღუბა. საქმის გამო-  
სწორება აღარ შეიძლება?

— არა! — ბალნიანი მუშტი დაახეფა პარ-  
მენმა მაგიდაზე. — ეს არ მოხდება, გავაგები-  
ნებთ, ვინცა ვარ!

საცოდავად აწკრიალდა სერვანდში ჩამწ-  
კრივეული ბრძოლის ჭიქები, თუმცა სერვანდი  
ოთახის შორეულ კუთხეში იდგა. მაგიდიდან  
გადმოვარდა და ბროლის წინწყლებზედ გაიბნა  
უშველებელი საფერფლე, მაგრამ ვარდოს  
სხა არ გაუღია, როგორღაც დაიბნა და შიშ-  
ნაჰში გაინაბა, თუმცა სხვა დროს ქმარს ამ-  
გვარი ხუმრობისათვის კარგ დღეს არ დააყრი-  
და.

პარმენი კი დაუყოვნებლივ გადავიდა სიტყ-  
ვიდან საქმეზე:

მტკიცე ხელით ახდა ხუფი კელისძველ  
საწერ მანქანას, რომელიც ადრევე ჩამოეწერა  
და თავისი სამსახურებრივი კარიერის მოსაგო-  
ნებლად შინ მიეტანა.

შემდეგ დაჯდა და მსხვილად ჩამობეჭდა  
ცარცის საუკეთესო ქაღალდზე, კარგა ბლომად  
რომ შემორჩენოდა ტუბილმოსაგონარი დროი-  
დან: უსახელო წერილი... მთელი  
გვერდი ააქრედა ხელმძღვანელ სამუშაო-  
ზე მისი შემცველი პირის დასახასიათებ-  
ლად. დაამკირა და ლაფში ამოსვარა, შეადარა  
ტურას, რომელიც ლომის ნადავლის ნარჩენებს  
თქვლევს, აფთარს, რომელიც ბილწი ყმითლით  
ბლაღვს ღამელ სიჩუმეს და მშვიდ ძილს  
უფრთხობს პატიოსან ადამიანს. ბრალად სდებ-  
და ამ კაცს მრავალკოლიანობას, კათოლიკური  
და მამადიანური სარწმუნოების აღიარებას,  
და ზემდგომი ორგანოების ყურადღებას მიამ-

შლადიმიერ ოსინსპი  
და შიშირბ რბაღი...

წრობდა იმ ფაქტს, რომ ეს პოლიტიკურად ბეცო, ოპორტუნიზმის ქაობში ჩაფლული ხელმძღვანელი უსახელო თითზე ოქროს ბეჭედს ატარებდა. დაბოლოს, პარმენა ამ უსახელო წერილს ზუსტად მიაწერა თავისი სახელი, მამის სახელი, ბინის მისამართი და რატომღაც, დაბადების ადგილი და დრო.

ხუთიოდე წუთი აღტაცებით ეძლეოდა შუროსიძეების გრანოზას და მხოლოდ ამის შემდეგ მოისაზრა, რომ უსახელო წერილი ამ სახით არ იწერებოდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა პირველი და ბოლო გვერდების თავიდან გადაბეჭდვა, რომ ჩამოეცილებინა სიტყვა „უსახელო“, ხოლო სახელის, გვარის და მამის სახელის ნაცვლად, მიეწერა: „შეურავებელი კეთილისმსურველი“.

თუ დასაწყისში პარმენი წერილს ცალი თითით ბეჭდვდა, შემდგომ და შემდგომ საქმე გაუიოლდა, ახალგაზრდობაში მიღებულმა ჩვევამ თავი იჩინა და საქმეც სწრაფად წავიდა წინ.

რაც დრო გადიოდა, უფრო მეტი კმაყოფილებით ეძლეოდა „შემოქმედებით შრომას“. ზოგ განცხადებას და საჩივარს საკუთარ გვარს აწერდა. ეს ისეთი ტექსტი იყო, სადაც პარმენი აღნიშნავდა, უსამართლოდ მომეტყვნოდა და ხაზს უსვამდა თავის დამსახურებას საშობლოსა და ხალხის წინაშე, ან სადაც არწმუნებდა ხელმძღვანელ ამხანაგებს, მზად ვარ, მთელი ჩემი მჩქეფარე ენერჯია, მდიდარი გამოცდილება და მრავალმხრივი ცოდნა ნათელი იდეალებს. განხორციელებას მოვახმარო.

მაგრამ მთავარი უბედურება მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ დადგენილებაში პარმენის ხელმძღვანელ სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე აღნიშნული იყო: „მოეწყოს სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით“.

წლების განმავლობაში, ვიდრე პარმენი ცხოვრების საფეხურებს მალდა და მალა მიუძვებოდა, ბევრი რამ შეიძინა და შეისწავლა ასე, მაგალითად, შეეძლო მაგრად ეყვირა თანამშრომლების ან მთხოვნელებისათვის (რა თქმა უნდა, იმ პირთათვის, ვისი დამცირებისთვისაც არავინ დასჯიდა, ამას კი შეუცდომლად გრძობდა). ელაქუტა უფროსების წინაშე, და კეთილგანწყობილება შეენარჩუნებინა მათთან, ვისი ქვეშევრდომიც შეიძლება მომავალში გამხდარიყო. პარმენს შეეძლო მარჯვედ შენიღბულიყო და თავი კრიტიკისა და თვითკრიტიკის მომხრედ ეჩვენებინა. გულიანად ეძინა დაუსრულებელი თათბირებსა და კრებებზე, თანაც ისე, რომ თვალი წამითაც არ მოეპუტა, სახე კი მუდამ ყურადღებიანი ჰქონოდა, უყვარდა ბუნდოვანი რეზოლუციები, რომლებიც არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა, შესანიშნავად ეხერხებოდა საქმის გა-

პიანურება უმარტივენი საკითხების გადაწყვეტისას, რაც ქმნიდა სირთულის შთაბეჭდილებას და პირადად მას თითქოს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა...


ყველაფერა ეს შესანიშნავად აითვისა პარმენმა. ვერ ისწავლა მხოლოდ ერთი რამ — მუშაობა. ამიტომ იყო, რომ ახლა მთელ თავის ძალ-ღონეს უსახელო წერილების წერას ანდომებდა. თავს შეურაცხყოფილად გრძობდა და შევბას მვლანელობაში ეძებდა. მის ფიზიკურ თვალს ვერაფერს გამოაპარებდით. ხან მორცხვად ევარებოდა ფსევდონიმს, ხანაც სააშკარაზე გამოდიოდა. ცხვებოდა და ცხვებოდა წერილები: ნაკლებ, დაუღვერობაზე. შეცდომებზე, დარღვევებზე, დამახინჯებებზე, ბორბოქმქმედებასა და დანაშაულზე. მისი ტანზეა უშრეტო იყო, ისევე, როგორც უკეთეს დროთაგან შემორჩენილი საუკეთესო ქალაქის მარაგი.

მისი შემოქმედება იწყებოდა მუდმივი მიწაწერით — „ასლი“. შემდეგ მოსდევდა დასახელება და მისამართები ყველაზე სოლიდური და ავტორიტეტული ორგანიზაციებისა. პარმენი ამხილებდა ყოველგვარ ნაკლს დაწყებული მსოფლიო მასშტაბების მოვლენებიდან, დამთავრებული ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის მუშაობაში არსებული უწყისიერობით და მართლაც განსაკვირვებელ აღმოჩენებს ახდენდა. აღამიანები, რომლებმაც თავის დროზე პარმენი, ძია მურმანი, მისი ბავშვობის მეგობარი და მეგობრის მეგობარი შეცვალეს, თურმე ლითები, ანარტული მოთამაშები, მეკრთამები, ვამფლანგელები იყენენ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგჯერ მის საჩივრებსა და განცხადებებში მოყვანილი ფაქტები დასტურდებოდა. ამგვარად გამოირკვა, რომ კონტროლიორმა მეოთხე სვლაგების ავტობუსში არ დააჯარიმა უბილეთო მგზავრი, რომელმაც გულახდილად აღიარა, რომ არ ჰქონდა ბილეთის შესაქმნი ფული. ეს მგზავრი სულ ხუთნახევარი წლის იყო, სახეზე ღვარად სდიოდა ცრემლი, დედამისი წინა გაჩერებაზე ჩამოსულიყო. კონტროლიორმა თურმე დაივიწყა სახელმწიფო ინტერესები, თავისი მოვალეობა (ბოლომდე არ შეუძოწმებია ბილეთები), პატარა დამნაშავეს ხელი ჩაჰკიდა, უკან მიმავალი ავტობუსით გაბრუნდა და ბავშვი ჩააბარა უნუგეშო დედას, რომელმაც მყისვე შეიმშრალა ცრემლები და გზაბნეული შვილი კარგად გატყევა

დადასტურდა აგრეთვე საჩივარში მოყვანილი ფაქტები ცეკავშირის ღამის დარაჯზე, რომელიც თურმე „არაკეცავიურულად“ იქცეოდა და დამდაპობით, მორიგეობის დროს, უშფოთველად ხვრინავდა. დარაჯმა თავი იმართლა, ავტო უკვე ნახევარი წელია, სამორიგეო ობიექტთან ელექტროსიგნალიზაცია გაიყვანეს,





ამიტომ ყარაულობა, საერთოდ, საქირო აღარც  
 არის. ამის თაობაზე ადრეც არაერთხელ მო-  
 ვახსენე უფროსებსო.

დარაჯი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს და  
 საქმე ამით დამთავრდა. პარმენმა კი ამ ღიბე-  
 რალოზმის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა  
 ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთს.

მისი უსასრულო საჩივრები, წერილები და  
 განცხადებები იძულებულს ხდიდა ათობით  
 აღამიანს, მოთმინება მოეკრიბათ და შეემოწ-  
 მებინათ ფაქტები, დაეწერათ დასკვნები, გაე-  
 გზავნათ პასუხები.

როდესაც პარმენმა იგრძნო, რომ შესამჩნე-  
 ვად შესუსტდა ინტერესი მისი შემოქმედები-  
 სადმი, უსახელო წერილი გაუგზავნა პროკუ-  
 რატურას, ამ წერილში იბრალებდა, რომ ოცი  
 წლის წინათ შეურაცხყოფა მიიყენა ქალს  
 ჩრდილოეთის რომელიღაც ქალაქში, სადაც  
 არასოდეს ფეხიც კი არ დაუდგამს. ამ საჩივარ-  
 მა რამდენადმე აღადგინა მისდამი მიმჭრალი  
 ინტერესი, თუმცა საშიხლის უქონლობის გამო  
 გამოძიება მაღვევ დასრულდა.

ასე გაგრძელდა დაახლოებით სამიოდე წელი.  
 ამ ხნის განმავლობაში პარმენს დროებით უმუ-  
 შევარს ეძახდნენ. თუ ვინმე უტაქტოდ შეე-  
 კითხებოდა, რა სახსრებით ცხოვრობო, პარმენ-  
 ნი ქედმაღლურად ეტყოდა: შრომიით დანაზო-  
 გებითო.

მას სხვადასხვა ადგილი შესთავაზეს, მაგრამ  
 ყოველთვის უარს ამბობდა, არ სურდა ეგრეთ  
 წოდებული რიგითი სამუშაო, ცდილობდა ისევ  
 ნომენკლატურულ ორბიტაზე გამსხლტარიყო,  
 მაგრამ ორბიტა ამას აშკარად ეწინააღმდეგე-  
 ბოდა. და პარმენიც განაგრძობდა საჩივრების  
 წერას:

შფოთავდა, ამხილებდა, ჩიოდა, ბრაზობდა.  
 მაგრამ დადგა დილა, მას მოჰყვა დღე, დღე  
 საღამომ შეცვალა. ისე დაღამდა, პარმენზე ერთ-  
 თი სტრიქონის დაბეჭდვაც კი ვერ მოახერხა,  
 ბოლოს ღრმად ამოიოხრა და გადაწვეტილ-  
 ბა მიიღო.

ახლა ზის სავარძელში, იმ რბილ ბალიშზე,  
 ოდესღაც მემკვიდრეობით რომ ღარჩა აწ გან-  
 სვენებული ბურღულისაგან, კანტორის უფრო-  
 სის მოსაცდელ ოთახში, საიდანაც დაიწ-  
 ყო მისი ვარსკვლავებით მოჭედილი გზა.

გულმოდგინედ ბეჭდავს ქალაღებს, სიამოვნე-  
 ნებით ატარებს ეურნალში შემოსულ ფოსტას,  
 კმყოფილია თავისი ცხოვრებით და ადგილი-  
 თაც. მხოლოდ ერთი რამ აწვეს გულზე მძიმე  
 ტვირთად, არ შეუძლია ავტორიტეტულად გა-  
 ნუცხადოს მთხოვნელებს: თქვენი აქ მოსვლით  
 ხელს გვიშლით მუშაობაში, არღვევთ ჩვენი  
 საქმიანობის მშვიდ რიტმსო. უფროსი ამის  
 ნებას არ აძლევს.

ზოგჯერ ღამდამობით ხრინწიანი ხმით ჩაჰყ-  
 ვირის ვარდოს თბილსა და რბილ მკლავს: უარი  
 ეთქვას! აეკრძალოს! დაისაჯოს!

ასეთ დროს ერთგული მეუღლე ალერსით  
 უსვამს ხელს მელიტ თავზე, რომელიც გუ-  
 ლისშემძვრელი მოგონებების გამო ოფლით  
 არის დაცვარული და მშვიდად ეღუღუნება:

— ნუ ღელავ, პარმენ, ყველა ხომ ხელმძღ-  
 ვანელი, ვერ იქნება, ვილაცამ ხომ უნდა იმუ-  
 შაოს.

და პარმენიც ფშვინით გადაბრუნდება მეორე  
 გვერდზე, სახეზე მშვიდი ღიმილი აკრავს...  
 სიზმარში ხედავს თავის საბეჭდ მანქანას და  
 სავარძელს, რომელზედაც რბილი ბალიში  
 დევს.

თარგმანი ეთერ თხარაძემ.



---

გარეკანის მეორე გვერდზე კედლის მხატვრობა „მომავლისაკენ“ ეკუთვნის ზ. ლიმაშას.  
მესამე გვერდზე — ზ. გოლუაშას ნამუშევარი „წითელი ესკადრონი“.

მოთხრობების ილუსტრაციები ბ. თოდრინასი.

---

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

---

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-46-76, მდივანი — 72-26-85, მთ. რედაქტორის  
შოადგოლე — 72-26-82, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-80,  
ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ციხესი“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო  
— 72-43-75.

---

გადეცა ასაწეობად 11.8.77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.10.77 წ., ქალაქის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.  
თაბახი 15,35. შეკვ. № 2563. უე 00830. ტირაჟი 28,950.

---

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



6 1/221



ფანტონი 60 კვ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236